

National Parliamentary Library of Georgia

Public Lectures in National Library

**Tbilisi
2007**

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

საჯარო ლექციები ეროვნულ ბიბლიოთეკაში

თბილისი
2007

სარედაქციო ჯგუფი:

გორდელაძე გულიკო
კაციტაძე ნელი
ლორთქიფანიძე ლალი
ნადირაძე ნელი
პაპალაშვილი ლევან
სიხარულიძე ნინო
საბანაძე გიორგი
საყვარელიძე ლილი
სიმონიშვილი მათია
შონია მათია
შუბითიძე თეა
ჭყონია მარიამ
ჯგერენაია ემზარ

ISBN - 978-9941-0-0520-6

© საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა 2007

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა;

ნოდარ ლადარია – დანტე ალიგიერი. მოწვევა წიგნთან;

ნოდარ ლადარია – ხმისა და ბგერის სიმბოლიკისთვის დანტე ალიგიერის «ღვთაებრივ კომედიაში»;

ზაზა შათირიშვილი – ვაჟა-ფშაველა და პოეზიის საწყისი;

ლაშა ბაქრაძე – ქართველები გერმანელების მხარეს მეორე მსოფლიო ომში;

ლევან აბაშიძე – მეცნიერება და რწმენა;

ალექსანდრე ბენდიანიშვილი – ერთი წიგნის შეფასების ცდა და ანტიქართული კონცეფციის კრიტიკა;

ნოდარ ანდლულაძე – სამყაროს მოსმენა. ალფრედ ტომატისის ანთროპოლოგიური კონცეფცია – “Big-Bang”- დან მოცარტამდე;

ნათელა ფოფხაძე – ფარნავაზ I ქართველთა მეფის მონეტები;

მერაბ ღალანიძე – ბერმონაზვნობა ქრისტიანულ აღმოსავლეთსა და დასავლეთში;

ლელა იაკობაშვილი – ძალაუფლების ქალური და მამაკაცური სქემები «ვეფხისტყაოსანში»;

გაგა ნიჟარაძე – იაპონური კულტურის მოდელები;

ტილმან ალერტი – გერმანული მისალმება;

თომას ჰოიზერმანი – შეხვედრა ეროვნულ ბიბლიოთეკაში;

ნათია ამალლობელი – მიმდინარეობები დღევანდელ ფრანგულ ლიტერატურაში;

კახა კაციტაძე – გზის შესახებ;

ზაზა ფირალიშვილი – იერონიმუს ბოსხი: მოხეტიალე;

გოგი გვახარია – კინო და ძალაუფლება (სერგეი ეიზენშტეინი);

Рабин Рав Авимелех Розенблат – Нормативный иудаизм в Торе (Основные понятия Торы);

ზურაბ კიკნაძე – ადამიანი ბიბლიურ დროში;

ნოდარ სარჯველაძე – წარმატების ფსიქოლოგია;

გურამ წიბახაშვილი – დღევანდელი ტენდენციები ფოტოგრაფიაში;

ელიზბარ ელიზბარაშვილი – ნიცშე და საქართველო. რეალური ისტორია;

მერაბ ცაგარელი – შეიცან ტვინი შენი;

მერაბ ლომია – ცენტრალური ნერვული სისტემა და ადამიანის ჯანმრთელობა;

დენის მორბინი – სიღრმისეული სიკეთის გახსნა – ადამიანად ყოფნის ხელოვნება;

პოლ მანიჩი – «მაგნას“ ეპოქა: ბრენდის ტოტემიზმი და წარმოსახვითი გადასვლა სოციალიზმიდან პოსტ-სოციალიზმზე საქართველოში;

ემზარ ხვიჩია – პიროვნება – ერი – ცივილიზაცია. საზოგადოების ოპტიმალური სტრუქტურა ახალი პარადიგმის მიხედვით;

გიორგი კვაშილავა – ფესტოსის დისკო – კოლხური ოქროდამწერლობა;

Томас Венцлова – Граненый воздух . . .;

ავტორები.

წინასიტყვაობა

2006 წლის 7 ივნისს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა პირველი საჯარო ლექცია. მას შემდეგ, 2007 წლის ბოლომდე მეცნიერების, კულტურისა და სამოქალაქო განათლების დეპარტამენტის ინიციატივით ბიბლიოთეკამ კიდევ ოცდაცხრა ე.წ. «პარასკეობას» უმასპინძლა.

ზოგ მომხსენებელს ჩვენი შერჩევით ვიწვევდით, ზოგი კი თავად ავლენდა ჩვენი კათედრიდან თავისი თვალსაზრისის გავრცელებისა და თავისი ნამუშევრის ფართო საზოგადოებისთვის გაცნობის სურვილს. წინამდებარე კრებულში თავი მოუყარეთ ყველა მოხსენებას, განურჩევლად იმისა, თუ როგორ მოხვდა მათი ავტორი ჩვენთან.

მიუხედავად იმისა, რომ ხშირ შემთხვევაში მომხსენებლებს თავად ვარჩევდით, არასდროს ჩავრეულვართ სასაუბრო თემის შერჩევის პროცესში და, ალბათ, ამიტომ არის

კრებული მრავალფეროვანი. იგი გარკვეულწილად ასახავს იმ სამეცნიერო ინტერესებს, რომლებიც XXI საუკუნის დასაწყისში ქართული საზოგადოების ყურადღების ცენტრშია ან ცდილობს იქ მოხვედრას.

ვიდრე ეს ტექსტები თქვენამდე კრებულის სახით მოვიდოდა, გრძელი გზა გაიარა. შეიძლება ითქვას, წინამდებარე დოკუმენტი ეროვნული ბიბლიოთეკის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კულტურის პროგრამების განყოფილების თანამშრომლების ერთწლიანი შრომის შედეგია.

დასასრულ აღვნიშნავთ, რომ საჯარო ლექციების ჩატარების ტრადიცია, მიუხედავად არაერთი ობიექტური ხელისშემშლელი გარემოებისა, დღესაც ცოცხალია და ამ ტრადიციის ნაწილად ქცევა შესაძლებელია ნებისმიერ ხუთშაბათს გუდიაშვილის ქუჩაზე. ეს კი, თავის მხრივ, იმასაც ნიშნავს, რომ კრებული არ არის პირველი და უკანასკნელი. იმედი გვაქვს, რომ მომავალ წელს თქვენ ეროვნულ ბიბლიოთეკაში წაკითხულ საჯარო ლექციათა მეორე კრებულსაც იხილავთ.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მეცნიერების, კულტურისა და სამოქალაქო განათლების დეპარტამენტი

ნოდარ ლადარია

დანტე ალიგიერი. მოწვევა წიგნთან

პირველი წინადადება ყოველთვის ძნელია, მაგრამ ცოტა ხნის წინათ გამომეცხადა აწ გარდაცვლილი გადაცემის _ «ფსიქოს» აჩრდილი და, ამიტომ, ასე უნდა დავიწყო: ძალიან არ მიყვარს BBC-ის დოკუმენტურ-შემეცნებითი ფილმები და კიდევ Discovery Channel. წარმოვიდგინოთ, როგორ მოიწვევდა Discovery Channel ადამიანს დანტე ალიგიერის პოეზიის წასაკითხად. ალბათ, აუხსნიდა, ვინ იყო დანტე, როდის დაიბადა, სად მოღვაწეობდა, რა გადახდა ცხოვრებაში, რას წარმოადგენს მისი მთავარი ნაწარმოები, რამდენ ნაწილად იყოფა, რა პერსონაჟებია მასში, რა არის აღწერილი და ა. შ. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან კარგია, მაგრამ ძალიან ჰგავს სარეკლამო რგოლის აგების იმ პრინციპს, როდესაც ეკრანზე ჩნდება ვინმე ექსპერტი, მაგალითად, ქიმიკოსი, სტომატოლოგი ან ფარმაცევტი და ამბობს: ავიღოთ კვერცხი, წავუსვათ მას „ბლენდამედი« და ჩავდოთ მჭავაში. მე არ ვამბობ, რომ ამგვარი პრინციპი მთლიანად მოკლებული იყოს ყოველგვარ ღირსებას, მაგრამ სხვა გზას ვარჩევ _ ახლა თქვენს წინაშე წარვდგე არა როგორც ადამიანი, რომელმაც რაღაც იცის, არამედ ადამიანი, რომელიც ცხოვრების განმავლობაში კითხულობდა დანტეს და გაუჩნდა გარკვეული გამოცდილება, რომლის გაზიარებაც ახლა სწადია. სინამდვილეში ამითაც არაფერს ახალს არ ვიგონებ, ანუ ამ შემთხვევაში მე წარვდგები თქვენს წინაშე, როგორც დიასახლისი, რომელიც ამბობს: მე

ძალიან მიჭირდა რეცხვა, მაგრამ მას შემდეგ, რაც შევიძინე «ტაიდი», ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. სხვა სიტყვებით, ეს არის რეკლამის მეორე პრინციპი, რომელიც ამ შემთხვევაში მე უფრო მომწონს, რადგან ერთია, როდესაც ადამიანს აძლევ ხელში უცხო ქალაქის რუკას და ის, თითქოსდა, ყველაფერს თვალნათლივ ხედავს ამ რუკაზე, მაგრამ უჩნდება ადგილზე ყოფნის ილუზია; და მეორეა, როდესაც ერთ მცირე ხვრელს უკეთებ მას გალავანში, შეგყავს ქალაქში და იქ ტოვებ. ამ შემთხვევაში ის ვერაფერს ხედავს, მაგრამ აქვს განუმეორებელი შანსი, რომ თვითონ გამოიძიოს ეს ქალაქი და თვითონ შეიქმნას მის შესახებ საკუთარი შთაბეჭდილება.

აი, ეს გზა ავირჩიე და მინდა დავიწყო ოდნავ შორიდან, მინდა შევადარო დღევანდელი ჩვენი შეხვედრა ერთ ვითარებას, რომელიც რეგულარულად ხორციელდებოდა XIV საუკუნის ფლორენციაში, როდესაც სანტა მარია ნოველას ტაძარში ამბიონზე გამოდიოდა ჯოვანი ბოკაჩო და იქ შეკრებილ მრევლს უკითხავდა და განუმარტავდა დანტეს «ღვთაებრივ კომედიას». უნდა ითქვას, რომ ამ კომენტარის, ყოველ შემთხვევაში, მისი შემორჩენილი ნაწილის გაცნობის საშუალება მქონდა და უნდა გითხრათ, რომ მაინცდამაინც არ მომხვედრია გულზე. ალბათ, ეს ჩემი, როგორც მკითხველის ნაკლია.

ამ მომენტში მე გაცილებით უფრო მეტად მაინტერესებს სულ სხვა წიგნი, რომელსაც ჰქვია „ნარკვევები დანტე ალიგიერის შესახებ“. ის დაწერა XVIII ს-ის ბოლოს ან XIX ს-ის დასაწყისში ვინმე ლორენცო და პონტემ. ლორენცო და პონტე არის მოცარტის ოპერების „ფიგაროს ქორწინებისა« და „დონ ჟუანის« ლიბრეტისტი. ის ჯერ იუდეველი იყო, მაგრამ მამამისმა ცოლის სიკვდილის შემდეგ გააუპატიურა მცირეწლოვანი მოახლე. ამ ძალადობის მომსწრე სრულიად ახალგაზრდა ვაჟი გაიქცა სახლიდან და მოინათლა. ლორენცომ აიღო იმ მღვდლის გვარი, რომელმაც მონათლა. მიუხედავად ამგვარი მორალური არჩევანისა და მეტად ღრმა განათლებისა, რომელიც იეზუიტებთან მიიღო, ლორენცო და პონტე იყო ავანტიურისტი პიროვნება, რომლის მსგავსიც ბევრი იყო XVIII ს-ში. ეს კაციც ვერ ასცდა „ღვთაებრივი კომედიის« გამოცდილებას, რომელიც ზემოხსენებულ წიგნში დატოვა. მე ჯერ არ წამიკითხავს ეს წიგნი, მაგრამ შემთხვევით არ მოგიტხრობთ მის ისტორიას, რადგან აქ მთავარია, რომ დანტე ალიგიერის პოეტურ განცდას მიუახლოვდა ადამიანი მას შემდეგ, რაც მის გამოცდილებაში შევიდა უსამართლობისა და ძალადობის მსხვერპლი _ მამის მიერ გაუპატიურებული ბავშვი.

აქვე გახსენების ღირსია ამერიკელი პოეტი ჰენრი ლონგფელო, „ჰაიავატას სიმღერის« ავტორი, რომელიც მისი მცირეწლოვანი ქალიშვილის ტრაგიკული სიკვდილის შემდეგ და, მე ვიტყვოდი, მის შედეგად მივიდა «ღვთაებრივი კომედიის» პოეტური თარგმნის იდეასთან.

დანტეს პოეზიის წყაროს ყოველთვის განსაკუთრებულად ეწაფებიან უსამართლო, გაუგებარი ძალადობის მომსწრე ან მისი მსხვერპლი ადამიანები. მაშინაც კი, როცა ეს ადამიანები არა უშუალოდ დანტესთან მიდიან, არამედ პოეტურად ცდილობენ თავიანთი მწარე გამოცდილებისგან გათავისუფლებას, მათსა და დიდ ფლორენციელს შორის უხილავი კავშირი მყარდება.

ასე მოვდივართ ჩვენ იმ პოეტურ მოვლენასთან, რომელსაც ბურღივით ან ურნალივით გამოვიყენებთ, რომ გალავანი გავარღვიოთ და შევალწიოთ დანტე ალიგიერის ქალაქში. მხედველობაში მაქვს 1788 წელს დაბადებული გერმანელი პოეტი

ფრიდრიხ რიკერტი, რომელმაც 1834 წ. დაწერა პოეტური ციკლი “Kindertotenlieder”, ანუ «სიმღერები მკვდარ ბავშვებზე». რიკერტს მოუკვდა ორი მცირეწლოვანი შვილი – ეს საკმაოდ ხშირი მოვლენა იყო იმ დროს. ეს ტრაგიკული გამოცდილება რიკერტმა გამოხატა ვრცელ პოეტურ ციკლში, რომელიც პოეტის სიკვდილის შემდეგ 1872 წელს გამოქვეყნდა და ზუსტად 30 წლის შემდეგ გუსტავ მალერმა შეთხზა იმავე სახელწოდების ვოკალური ციკლი „სიმღერები მკვდარ ბავშვებზე“, რომელიც არა მარტო კომპოზიტორის შემოქმედებაში, არამედ მსოფლიო მუსიკალურ ლიტერატურაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებია. ერთი სიტყვით, საქმე ეხება მნიშვნელოვან კულტურულ მოვლენას, რომლის ერთ პატარა ფრაგმენტს განვიხილავ დღეს იმისათვის, რომ გვქონდეს დანტეს შემოქმედებასთან მიახლოების საშუალება და, გარდა ამისა, დანტე დავინახოთ არა როგორც რაღაც თავისთავადი მოვლენა, ჩაკეტილი XIV ს-ის ფლორენციაში, არამედ როგორც ადამიანი, რომელიც დგას მთელი ევროპული კულტურის სათავეებთან.

ეს ორი სტრიქონი დაფაზე გახლავთ დაწერილი. ვინც გერმანული არ იცის, დავამშვიდებ, რომ არც მე ვიცი. ეს პოეტური ციკლის ერთ-ერთი ლექსის დასასრულია. თვით ლექსს კი ჰქვია „ახლა კი ვხედავ, თუ რატომ ეს ბნელი ცეცხლი«. მხატვრული სახე „ბნელი ცეცხლი“ აგონიაში მყოფი ბავშვის ანთებულ მზერას გულისხმობს. მაგრამ შევხედოთ თვით სტრიქონებს:

“Was dir Augen sind in diesen Tagen,
In kunft’gen Nächten sind es dir nur Sterne”.

«ის, რაც შენთვის მხოლოდ თვალებია ამ დღეებში,
მომავალ ღამეებში შენთვის მხოლოდ ვარსკვლავებია».

აქ გამოყენებულ რიტორიკულ ფორმულას ეწოდება ბერძნული სახელი – ხიაზმი. ეს არის ჯვარედინი, ღერძული ან ცენტრალური სიმეტრიის მქონე სტრუქტურა. აი, წარმოიდგინეთ მაგალითად, ასეთი ორი წინადადება – „გაზაფხული დადგა, მოფრინდნენ მერცხლები“ – ეს არის ხიაზმი.

სტრუქტურა ასეთია:

ქვემდებარე _ შემასმენელი][შემასმენელი _ ქვემდებარე.
ასევე ფერები, რომ დავალაგოთ შემდეგნაირად:
ლურჯი _ თეთრი _ წითელი][წითელი _ თეთრი _ ლურჯი.

ხიაზმის სტრუქტურა ორნაწილიანია. ნაწილთაგან მეორე წარმოადგენს პირველის სარკისებურ ანარეკლს. ასეთი სტრუქტურა უბრალოდ და შემთხვევით არ არის გამოყენებული. ჩვენ საქმე მაღალ პოეზიასთან გვაქვს. ამიტომ უნდა მოვძებნოთ გამართლება, რომელიც ფორმალურ რიტორიკას პოეზიის სახეს მისცემს.

დავაკვირდეთ, რომ პირველი ტაეპი (ის, რაც შენთვის მხოლოდ თვალებია ამ დღეებში) ეხება იმ დროს, როცა ბავშვი ჯერ კიდევ ცოცხალია, მეორე კი (მომავალ

დამეებში შენთვის მხოლოდ ვარსკვლავებია) – სიკვდილის შემდგომ დროს. გამოდის, რომ მათ შორის გამყოფი, ანუ სიმეტრიის ცენტრი თვით სიკვდილის მომენტიცაა.

ახლა ვნახოთ, რატომ შეიძლება განვიხილოთ ეს ორი წინადადება, ორი ტაეპი, როგორც ერთმანეთის სარკისებური ანარეკლი. პირველი იწყება ქვემდებარით და მთავრდება დროის გარემოებით, მეორე კი იწყება დროის გარემოებით და მთავრდება ქვემდებარით, ანუ ეს მეორე წინადადება სინტაქსურად პირველის საპირისპიროდაა აგებული. გარდა ამისა, დაუკვირდით სემანტიკას, ანუ სიტყვების მნიშვნელობას. აქ ჩვენ გვაქვს „თვალეები« და „ვარსკვლავები«. ამავე დროს, ვარსკვლავები ძალიან ხშირად თვალების მეტაფორაა, ე.ი. გვაქვს რეალური თვალი და მისი ერთგვარი ანარეკლი პოეტურ წარმოსახვაში. შემდეგ „დღეები« და „ღამეები»: დღე და ღამე ერთმანეთის საწინააღმდეგო რამ არის; გარდა ამისა, ცნება „დღე« არ არის მარკირებული. „ჩემი დღეები დათვლილია«, – ამბობენ ხოლმე; „ამ დღეებში«, – ვიტყვით ჩვენ, „ამ დღეებში დაგირეკავ« – თუმცა, შეიძლება ღამის 12 საათზე დაურეკო. დღე – ეს არის, უბრალოდ, დროის აღნიშვნის ერთეული, რომელსაც საკმაოდ ხშირად ვიყენებთ. ასეთივე თამაში „დღისა« და „ღამისა«, ანუ მარკირებული და არამარკირებული ტერმინებისა, გვხვდება შექსპირის „რომეო და ჯულიეტაში«, როდესაც გამზრდელი ეუბნება საქორწილოდ გამზადებულ ჯულიეტას: „ბედნიერ დღეებთან ერთად სასიამოვნო ღამეებიც მოგცეს ღმერთმა«. თვითონ, ასე ვთქვათ, ამ კურთხევის თუ დალოცვის მხატვრული ეფექტი არის აგებული თამაშზე „დღესა« და „ღამეს« შორის და იმ ასოციაციურ მნიშვნელობებზე, რომლებიც ამ სიტყვებს აქვს ჩვენთვის.

მაგრამ რიკერტის ლექსში ეს უბრალოდ სემანტიკა არ არის, რადგან ამ ორ წინადადებას შორის დამოკიდებულება დამორჩილებულია მთავარ იდეას და ეს მთავარი იდეა არის სიკვდილი. აი, ავიღოთ სემანტიკური, უფრო ზუსტად, სალექსიკონო მნიშვნელობით იდენტური სიტყვები. უფრო მეტიც, ერთი და იგივე სიტყვა, რომელიც ამ ორ ტაეპში გვხვდება. ვნახავთ, რომ ადგილმდებარეობა ამ სიტყვის მნიშვნელობაზე გადამწყვეტად მოქმედებს. მხედველობაში მაქვს სიტყვა «ნურ» – „მხოლოდ«, დაუკვირდით: nur Augen – „მხოლოდ თვალეები« და nur Sterne – „მხოლოდ ვარსკვლავები«. ეს ორი „მხოლოდ« ძალიან განსხვავდება ერთმანეთისაგან. Nur Augen არ არის ლირიკული გმირის ან ავტორის პირადი განცდა; ამას ეუბნება და კარნახობს ცივილიზაცია, საზოგადოება ან კულტურა, რომელშიც ავტორი ცხოვრობს. ეს მხოლოდ თვალეებია, ამბობს კულტურა; ეს ხორცია, წარმავალია, ეს მაინც მოკვდება, მთავარი სულია. ამგვარი დიქტატის ქვეშ ითრგუნება ავტორი მაშინ, როდესაც სხვაგან გამოყენებული „მხოლოდ« – nur Sterne – გამოხატავს თვით ავტორის ან ლირიკული გმირის მისწრაფებას: მე არ მყავს ის ადამიანი გვერდით, რომელიც მინდა, რომ მყავდეს და მე მას ვეძებ ცაში, მაგრამ იქ რასაც ვპოულობ, მხოლოდ ვარსკვლავებია, რაც მე არ მაკმაყოფილებს. როგორც ვხედავთ, ლექსიკონური მნიშვნელობით იდენტური სიტყვები ამ პოეტურ კონსტრუქციაში ერთმანეთის საწინააღმდეგო მნიშვნელობას იღებს, რადგან ემორჩილება ავტორის ჩანაფიქრს და იმას, რასაც კარნახობს ხიანჯის, ასე ვთქვათ, ზოგადი სტრუქტურა.

დავაკვირდეთ კიდევ ერთ გარემოებას: მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი ტაეპი მოიცავს აწმყოსა და მომავალს, გრამატიკული ფორმა მაინც ერთია: აწმყო დროისა. ამ გრამატიკული ხერხით გამოითქმება სიკვდილის გარდაუვალობა: ის ისეთივე ცხადია,

როგორც აწმყო, ისეთივე ჭეშმარიტია, როგორც ჩვენი უშუალო ამჟამინდელი შეგრძნებები.

შედეგად შეიძლება მივიღოთ პოეზიის, ასე ვთქვათ, მუშა განმარტება და შევთანხმდეთ, რომ პოეზია ვუწოდოთ ისეთ წყობილსიტყვაობას, რომელსაც აქვს შესაძლებლობა და უნარი რამდენიმე სიტყვით შეზღუდულ სივრცეზე გამოხატოს ადამიანის ცხოვრებისა და მისი განცდების მთელი სისავსე.

როგორც ვხედავთ, რიკერტის ორ სტრიქონში გრამატიკული და სემანტიკური ხერხებით მიღწეულია ის შედეგი, რომ გამოხატულია როგორც ადამიანის პირადი განცდა, ისე მისი ადგილი იმ საზოგადოებასა და კულტურაში, რომელშიც ის მოიპოვება და ურთიერთობა, რომელიც ამ კულტურას აქვს ადამიანთან. თითქოს გაგვიგრძელდა საუბარი რიკერტის ამ ორ სტრიქონზე, მაგრამ ეს გვჭირდება იმისათვის, რომ თვალსაჩინოდ დავინახოთ დანტეს პოეზიის სიდიადე: შეიძლება ითქვას, რომ „ღვთაებრივი კომედია» პოეზიის ამავე მუშა განმარტებას ემორჩილება, ოღონდ ორის მაგიერ 15000-ზე მეტი ტაეპია და, შესაბამისად, უნდა წარმოვიდგინოთ, რამდენი შესაძლებლობა არის ამ ტექსტში იმისა, რომ გამოხატულ იქნეს ადამიანი, მისი ადგილი სამყაროში, საზოგადოებაში სხვა ადამიანის მიმართ და ა.შ.

ახლა მთავარ თემად და მთავარ საყრდენ წერტილად სიკვდილი ავირჩიოთ და ვნახოთ, რას გვეუბნება ამაზე დანტე ალიგიერი. ოღონდ ჯერ თქვენი ყურადღება უნდა მივაქციო ერთი შეხედვით ბანალურ მომენტს: რა აზრისაც არ უნდა იყოთ დანტეზე, ან შეიძლება არც გქონდეთ რაიმე აზრი, მაინც დარწმუნებული ხართ, რომ დანტე პოეტია. საინტერესოა, რომ არავის მოსდის აზრად, რომ ეს შეფასება ხანგრძლივი ინტელექტუალური ბრძოლის მონაპოვარია...

უფრო გასაგები რომ გახდეს, გეტყვით, რომ ძალიან არ მიყვარს ქართული პოეზიის ერთი სტრიქონი: „თქვენ გგონიათ, რომ არ ჰყოლია მტერი რუსთაველს?». არ მიყვარს იმის გამო, რომ აქ სრულიად ბანალური და თავისთავად გასაგები რამ მოგვეწოდება, როგორც დიდი აღმოჩენა. მიმაჩნია, რომ მსგავსი სიტყვები პოეზიად შეიძლება შერაცხულ იქნეს იმ გარემოებაში, როცა სკოლაში ლიტერატურის სწავლება აგებულია სრულიად მანკიერ პრინციპებზე, პრინციპებზე, რომლებიც გამორიცხავს კულტურაში აზრთა და შეხედულებათა მწვავე კონფლიქტს.

ამიტომაც საქართველოში შეიძლება საკვირველიც კი იყო, რომ ისტორიაში იყვნენ ადამიანები, რომლებიც სრულიად სერიოზულად განიხილავდნენ შეკითხვას: არის თუ არა დანტე ალიგიერი პოეტი? მხოლოდ ერთ მაგალითს დავასახელებ: XVII და XVIII საუკუნეებში ცხოვრობდა ვინმე სავერიო ბეტინელი, რომლის სახელი დღეს არავინ იცის, შესაძლოა, რამდენიმე ვიწრო პროფილის სპეციალისტის გარდა. ეს ძალიან ნიჭიერი კაცი იყო – ეგრეთ წოდებული “Letterato” (ამ სიტყვით იტალიელები ღრმა ჰუმანიტარული განათლების მქონე ადამიანს აღნიშნავენ). ამავე დროს, შეიძლება ითქვას, იყო იგავმიუწვდენელი სტილისტი. საოცრად ეშხიანი იტალიურით წერდა. ერთი სიამოვნებაა მისი კითხვა. ჰოდა, სწორედ ეს სავერიო ბეტინელი ამბობდა: „წავიკითხე ეს თქვენი დანტე ალიგიერი. რა არის ეს? კაცმა დაწერა ამოდენა პოემა, მაგრამ რას მოგვითხრობს? – წავედი წინ, შემდეგ გავუხვიე მარჯვნივ, შემდეგ ავიქნიე ხელი, შემდეგ მოვაბრუნე თავი და ა.შ. გასაგებია, რომ ბაროკოს ეპოქის ლამაზი პოეზიის თაყვანისმცემლებისათვის გაუგებარი იყო, როგორ შეიძლება პოეზია შეჯვარდეს

თხრობასთან, ანუ იმასთან, რომ ადამიანმა უნდა გაგაგებინოს, რა ხდებოდა მოცემულ მომენტში, მოცემულ დროს»...

ახლა კი მივადექით დანტეს ქალაქის გალავანს და დროა, ხვრელი გავანგრიოთ. ამიტომაც ავარჩიე ისეთი ადგილი „ღვთაებრივი კომედიიდან», სადაც ლაპარაკია სიკვდილზე, როგორც ადამიანის ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენაზე და, ამავე დროს, მოყოლილია ამბავი – ის, რაც ხდებოდა მოცემულ ადგილას და მოცემულ დროს. ამ ორი გარემოების შერწყმა ზემოთქმულის შუქზე დაგვანახებს, ვიმედოვნებ, დანტე ალიგიერის პოეტურ სიდიადეს.

ჯერ ამ ადგილის ჟღერადობას დავუკვირდეთ:

“mentre che l'uno spirto questo disse,
l'altro piangea sm che di pietade
io venni men cosi com'io morisse
e caddi come corpo morto cade”

“სანამ ერთი სული ამას ამბობდა,
მეორე ტიროდა, ისე რომ ამ სიბრაღულისგან
მე გული წამივიდა, თითქოს მე კვდებოდი
და დავეცი, როგორც მკვდარი სხეული ეცემა.”

ერთი შეხედვით, აქ დიდ პოეზიას არაფერი ესაქმება, რადგან მოვლენის აღწერა გვაქვს. მაგრამ როგორაა ორგანიზებული ეს აღწერა? – ჩავუტაროთ იგივე ანალიზი დანტეს ამ ოთხ სტრიქონს. უპირველეს ყოვლისა, თქვენს ყურადღებას მივაქცევ იმას, რომ აქ ორჯერ მეორდება პირის ნაცვალსახელი „მე“. „მე გული წამივიდა, თითქოს მე კვდებოდი«. სინამდვილეში ეს „გული წამივიდა« ცუდი თარგმანია. იტალიური „venni men« ნიშნავს დაკლებას, სიტყვასიტყვით რომ ვთარგმნოთ, გვექნება „მე დავაკლდი«. როდესაც ადამიანს გული მისდის, ამ პროცესის დასაწყისს გრძნობს; შემდეგ მას მოასულიერებენ ან თვითონ მოსულიერდება. მეორე მომენტი უკვე უფრო მნიშვნელოვანია: „მე კვდებოდი« – აი, ამ „მე“-ს ებლაუჭება ადამიანი, ეს „მე« აკლდება და მიდის. სწორედ მისი შენარჩუნება და ამქვეყნად დატოვებაა საჭირო, ამიტომ მეორდება ორჯერ.

ზიგმუნდ ფროიდმა ოდესღაც განიხილა „ღვთაებრივი კომედიის« ერთ-ერთი ადგილი, სადაც წმ. პეტრე აღმფოთებას გამოხატავს რომის ეკლესიის დაცემის გამო და ამბობს, რომ „ტახტი ჩემი იქ უქმად არის«. „უქმად არის« ორჯერ იმეორებს იტალიურ ზმნას “vacare” (აქედან «ვაკანსია» – უქმი ადგილი). ფროიდი ამბობს, რომ ეს გამეორება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან გამოხატავს პეტრეს შინაგან მდგომარეობას. ფროიდი ასევე ადგენს ლეონარდო და ვინჩის შინაგან განწყობას, რადგან მხატვრის დღიურებში არის ჩანაწერი – „კატერინა მოკვდა, მოკვდა კატერინა«. ამ გამეორების საფუძველზე ადგენს, რომ კატერინა დედამისი იყო. ახლა მე უბრალოდ ვიყენებ ამ ანალოგიას იმისათვის, რომ გითხრათ: ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ტრაგედიის, სიკვდილის ტრაგედიის ქვაკუთხედი არის „მე«, რომელიც იკარგება.

შემდგომ ვითარება კიდევ უფრო მძიმდება: *caddi* – „დავეცი“ – ეს ზმნა წარსული დროის პირველ პირში დგას, ამიტომ ჯერ კიდევ ინარჩუნებს „მე“-ს პატარა კვალს, მაგრამ არა მარტო გრამატიკული მიზეზების გამო: უბრალოდ, წარსული ჩვენია, თუმც მიუღწეველია, თუმც სამუდამოდაა დაკარგული, მაინც ყველა სხვა დროზე უფრო ჩვენია, რადგან ჩვენს მეხსიერებას წარმოადგენს, ჩვენს გამოცდილებას ქმნის. მაგრამ აი, შემდგომ ამისა, მოდის ნამდვილი სიკვდილი – “*come corpo morto cade*” – «როგორც მკვდარი სხეული ეცემა». «ეცემა» – მორჩა, გათავდა – აქ „მე“ უკვე აღარ არის, „მე“ უკვე სრულიად გაიხსნა, დაიკარგა; მაგრამ ამით საქმე ჯერ არ დასრულებულა: სიტყვას – „სხეული“, – “*corpo*” – სჭირდება არტიკლი, იტალიური ენის ნორმების თანახმად, განუსაზღვრელი ან განსაზღვრული, რომელიც აქ არ არის. რას ნიშნავს ეს? მინდა გაგახსენოთ ერთი ადგილი თომას მანის „დოქტორ ფაუსტუსიდან“, სადაც ადრიან ლევერკიუნი ეუბნება თავის მეგობარს, – დაუკრას გამა დო მაჟორი, ოღონდ გამოტოვოს მეშვიდე საფეხური „სი“. „დო, რე, მი, ფა, სოლ, ლა, დო“ – ასე ვერასოდეს ვერ მიხვდები, ეს დო მაჟორია თუ ფა მაჟორი. მეშვიდე საფეხური ანიჭებს ინდივიდუალობას გამას. არტიკლის არარსებობა პროპოზიციში “*corpo morto cade*”, მიგვანიშნებს, რომ ჩვენ არ ვიცით, ეს რომელიმე ცალკეული სხეულია თუ საზოგადოდ სხეული, ეს არც აბსტრაქციაა, არც კონკრეტულობა – ეს არის უსახურობა და ამ უსახურობას ჰქვია სიკვდილი. ეს მშვენივრად ეთანხმება დანტე ალიგიერის საყმაწვილო პოეზიიდან ერთ შესანიშნავ ფრაგმენტს, სადაც წერია: “*villana morte*”, რაც შეიძლება ვთარგმნოთ, როგორც მხდალი სიკვდილი, მაგრამ სიტყვა “*villana*” ძალიან რთულია – ლათინურად “*villanus*” ზედსართავი ან არსებითი სახელია, “*villanus*” არის ის, ვინც ცხოვრობს ვილაში. „ვილლა“ ამ შემთხვევაში არ ნიშნავს აგარაკს აუზითა და NTV+ პარაბოლური ანტენით. ამ შემთხვევაში ეს არის სოფელი, ანუ სიტყვა “*villanus*” ყველაზე კარგად ითარგმნება ქართულად, როგორც „გოიმი“. *Villana morte* – „გოიმი სიკვდილი“, გოიმი იმიტომ, რომ უსახურია, არაფერი თავისი არა აქვს, ყველაფერს სხვას სტაცებს. აი, სწორედ ამ ღერძზე შეგვიძლია ავაგოთ ურთიერთობა დანტესა და რიკერტს შორის და, გარდა ამისა, განვაგრძოთ ეს ღერძი ცოტა უფრო აქეთ, მიშელ ფუკომდე, რომელმაც სრულიად სხვა საფუძველზე წარმოთქვა ერთი საოცარი წინადადება: „სული სხეულის დილეგია“. მერწმუნეთ, რომ არ ყოფილიყო დანტე ალიგიერის ზემოთ გადმოცემული სულისკვეთება, ვერ ითქმებოდა მიშელ ფუკოს ეს სიტყვები. რას ნიშნავს ის, რომ „სული არის ხორცის დილეგია“ – ამის განხილვა შორს წავგიყვანს. ახლა კი გავაფართოვოთ მხედველობის არე, რამდენიმე ნაბიჯით უკან დავიხიოთ და ისე შევხედოთ ამ ოთხი სტრიქონის კონტექსტს. აღწერილი მოვლენა ხდება ჯოჯოხეთის პირველ გარსში, სადაც სულები სასჯელს იხდიან ხორციელი ცოდვებისათვის, ვნებებისათვის, მოკლედ რომ ვთქვათ, სექსისათვის. თვითონ ის სული, რომელიც ლაპარაკობდა, არის ფრანჩესკა და რიმინი, სხვანაირად, ფრანჩესკა რიმინელი, ანუ იმ ქალაქის მკვიდრი ქალი, სადაც ქართველები ჩარტრული რეისებით დაფრინავენ სხვადასხვა საქონლის ჩამოსატანად. ფრანჩესკა და მისი სატრფო, ვინმე პაოლო, ერთ მშვენიერ დღეს კითხულობდნენ წიგნს. ამ წიგნში აღწერილი იყო სასიყვარულო ისტორია რაინდ ლანსელოტსა და დედოფალ ჟენევიევას შესახებ. ვისაც ნანახი აქვს ფილმი რიჩარდ გირის მონაწილეობით, ალბათ, გაიხსენებს ამ ამბავს. კულმინაციურ მომენტში ორი მკითხველი ბაგეებს კოცნით შეაწებებს ერთმანეთს. ამის შემდეგ შეყვარებულებს სიკვდილი ელის: ტრადიცია მათ

მკვლელად ფრანჩესკას ქმარს, ჯანჩოტოს ასახელებს. საინტერესოა, რომ გუსტავ დორე, ფრანგი მხატვარი, თავისებურად ასახავს ამ მომენტს თავის გრავიურაზე. ფრანჩესკა და პაოლო ერთმანეთს კოცნიან და მათი სავარძლის უკან დანით ხელში ჩასაფრებულია ჯანჩოტო. რა აძლევს უფლებას გუსტავ დორეს და, თქვენ წარმოიდგინეთ, დანტეს შემოქმედების ბევრ სერიოზულ მკვლევარსაც ივარაუდონ, რომ ეს მკვლელობა მოხდა მაშინვე?! ამის საბაზია ფრანჩესკას სიტყვები: „quel giorno piú non vi leggemmo avante” – იმ დღეს მეტი აღარ წაგვიკითხავსო. ახლა კი მივმართავ თქვენს ადამიანურ გამოცდილებას: თქვენს საყვარელ ადამიანთან ერთად სხედხართ და კითხულობთ წიგნს. უეცრად ორივენი გრძნობთ ერთმანეთის მიმართ დაუძლეველ იმპულსს, და ამის მერე რომელი ჭკუათამყოფელი განაგრძობს წიგნის კითხვას?! ნუთუ კითხვის შეწყვეტის გასამართლებლად უნდა წარმოვიდგინოთ სავარძლის უკან ჩასაფრებული ხანჯლიანი მკვლელი?! როგორც ვხედავთ, კომენტატორები ძალიან ხშირად იმყოფებიან ერთგვარი აკადემიზმის ტყვეობაში და ვერ ახერხებენ ტექსტის ისე წაკითხვას, როგორც საერთოდ ნორმალურ ადამიანს უნდა კარნახობდეს მისი ჩვეულებრივი ადამიანური გამოცდილება.

მაგრამ დავუკვირდეთ კიდევ ერთ გარემოებას: თუ რიკერტის მთავარი სტიმული არის ბავშვის სიკვდილი, თავისთავად მძიმე ტრაგედია, დანტესთან სრულიად განსხვავებული ვითარებაა. თუ ჩავიხედავთ იტალიურ ქრონიკებში, დავინახავთ, რომ ქალბატონი ფრანჩესკა და რიმიჩი იყო ოცდაათს გადაცილებული, მისი სატრფო, პაოლო კი – ორმოცს, თანაც ისინი ერთმანეთის რძალი და მაზლი იყვნენ. როგორც ვხედავთ, საქმე გვაქვს რიგით ოჯახურ ინტრიგასთან. მაგრამ მიუხედავად ამისა, მიუხედავად გაბატონებული კათოლიკური იდეოლოგიისა, დანტე თავისი აღწერით სრულიად არადეკლარაციულად, არამედ პოეტურად აკეთებს უმნიშვნელოვანეს განაცხადს: ადამიანის ყველაზე „უმნიშვნელო» ყოფითი ვნებებიც იმსახურებს მაღალ პოეზიას. გავიხსენოთ, რომ ამგვარი ჟღერადობის ტექსტი მარსელ პრუსტამდე ექვსასი წლით ადრე დაიწერა.

და ბოლოს, მინდა შევეხო ერთ მეტად მნიშვნელოვან მომენტს: როდესაც დანტე ალიგიერის „ღვთაებრივ კომედიაზე» საუბრობენ, ძალიან ხშირად ისმის სიტყვა «ალეგორია». ალეგორია, მოგეხსენებათ, არის ავტორის მიერ სიმბოლოების საშუალებით დაფარული აზრის გამოხატვა. ალეგორიას ხშირად იყენებდნენ შუა საუკუნეებში არა მარტო აზრის გამოსახატავად, არამედ საღვთო წერილის განმარტებისთვის – ბიბლიური ამბები ხშირად სწორედ ალეგორიულად ესმოდათ. ალეგორია ძალიან უყვარდათ შემდგომ ეპოქებშიც, მაგალითად, XVII საუკუნეში, სწორედ მაშინ, როცა დანტეს პოეტობაში ეჭვი ეპარებოდათ. შემოდგომა გავიხსენოთ იმ დროის ყველაზე დიდი იტალიელი ფილოსოფოსი ჯამბატისტა ვიკო, რომლის მთავარი ნაწარმოებია უშველებელი თხზულება: „ახალი მეცნიერების საფუძვლები». წიგნის შესავალში ავტორი გვიხსნის მის მთავარ იდეას და მოჰყავს გრავიურა, რომელზედაც გამოსახულია სხვადასხვა სიმბოლოები და მითიური პერსონაჟები. ავტორი გვიხსნის, რომ გრავიურა ალეგორიულად გამოხატავს წიგნის შინაარსს. ოდნავი დაფიქრება მიგვანიშნებს, რომ ალეგორიას შეიძლება ერთი შეხედვით უმნიშვნელო, მაგრამ ჩვენი განხილვისთვის არსებითი თვისება ჰქონდეს: ავტორი თავისი ნების მიხედვით ალაგებს სასურველ

ფიგურებს _ ეს ფიგურები არ ცოცხლობენ და, მით უმეტეს, არ ემუქრებიან ავტორს. ისინი უსიტყვოდ ემორჩილებიან მის ნებას.

ახლა ვნახოთ, რა გვაქვს დანტესთან და რა ხდება ამ შემთხვევაში. ამისათვის გავიხსენოთ მისი თხზულების დასაწყისი: "Nel mezzo del cammin di nostra vita mi ritrovai per una selva oscura..." _ «ჩვენი ცხოვრების ნახევარ გზაზე, მე უცბად, მოულოდნელად აღმოვჩნდი ბნელ, უღრან ტყეში...». თავიდან გვაქვს სრულიად მშვიდი და სიმეტრიული სურათი. 3 სტრიქონი, შემდეგ 9, შემდეგ ისევ 3. მერე მეორდება 3, 9, 3. პირველი 30 ტერცინა ასეა აგებული: ჯერ არის აღწერილი რაღაც მოვლენა და ამ აღწერას 3 ტაეპი უჭირავს, შემდეგ ავტორის ფსიქოლოგიური დამოკიდებულება ამ მოვლენასთან _ 9 ტაეპი, შემდეგ 3 ტაეპზე კი კვლავ არის რაღაც მოვლენა, რომელიც ეხმაურება ზემოთქმულს და ეს ყოველივე მეორდება ორგზის.

ეს სიმეტრიული წყობა საშუალებას იძლევა, ვიფიქროთ ავტორის ნების სრულ განხორციელებაზე. აქ მართლაც გვაქვს საბაზი, ვილაპარაკოთ, ასე ვთქვათ, ასპროცენტთან ალეგორიაზე: ვიმსჯელოთ, რომ ბნელი ტყე ადამიანური ცხოვრების ალეგორიაა, მაღალი მწვერვალი _ ცხოვნებისა, მზე _ ქრისტესი ან ჭემ- მარიტებისა და ა. შ.

მაგრამ 31-ე ტაეპი მოულოდნელად იწყება სიტყვებით: "ed ecco" _ „და აი«... რა ხდება? "Ed ecco, quasi al cominciar de l'erta" _ „და აი, თითქმის აღმართის დასაწყისთან...». დანტე ალიგიერის რიგრიგობით გამოეცხადება სამი ცხოველი _ ფოცხვერი, ლომი და მგელი. მაგრამ აქ არის სიტყვა „თითქმის«, რომელიც სრულიად უცხოა ჩვეულებრივი ალეგორიისათვის, რადგან ალეგორიაში არაფერი არ უნდა იყოს ავტორისათვის მოულოდნელი: მინდა აღმართის დასაწყისში მოვათავსებ იმ ფოცხვერს და მერე ლომს და მერე მგელს, მინდა ბოლოში, მაგრამ დანტესთან აშკარაა, რომ ავტორის სურვილი, მისი ნების მდორე დინება უკვე დაბრკოლებულია: 32-ე ტაეპიდან სიმეტრია სრულიად ირღვევა და ჩვენ ვერანაირ სიმეტრიულ სტრუქტურას ვეღარ ვხედავთ გადმოცემაში. გამოდის, რომ პოეტი კარგავს კონტროლს საკუთარ ტექსტზე და ტექსტი მასზე ბატონობს, ტექსტი თრგუნავს მას, მაშინ როდესაც საკუთრივ ალეგორიაში ეს ვერასოდეს მოხდება.

კიდევ ერთხელ გავიმეოროთ: ტყიდან გამოსვლის მოწადინე დანტე ხედავს სამ ცხოველს: ფოცხვერს, ლომს და მგელს. ისინი ალეგორიულად ჯერ კიდევ რაღაცას აღნიშნავენ, მაგრამ იმის შედეგად, რომ ალეგორია უკვე ბატონობს ავტორზე, უნდა ვივარაუდოთ, რომ ის უბრალოდ ალეგორიის ავტორი კი არ არის, არამედ წინასწარმეტყველი. ეს ცხოველები ზუსტად ასევე შემოდინან ტექსტში, როგორც 4 საშინელი ცხოველი შემოდის ბიბლიური წინასწარმეტყველის _ იეზეკიელის ხილვაში. ეს უკვე აღარ არის მოგონილი რამ: ამას უკვე შეიძლება ვუწოდოთ მისტიკური გამოცდილება: გამოცდილება, რომელიც მოდის შენთან გარედან, რომელსაც შენ არ იგონებ.

ეს იდეა ახალი არაა: დანტე ალიგიერი პირველად ინგლისურად XIX საუკუნის 20-იან წლებში ითარგმნა და ის ატარებს ქვესათაურს "vision" _ ხილვა. ჩვენს საუკუნეში უკვე ცნობილი არგენტინელი მწერალი ბორხესი ამის თაობაზე ერთ მეტად ბრიყვულ შენიშვნას აკეთებს. იგი ამბობს: ეს არ შეიძლება იყოს ხილვა იმიტომ, რომ ხილვა მოკლეაო. _ როგორ შეიძლება ადამიანი 20 წლის განმავლობაში წერდეს ტექსტს და ეს იყოს ხილვა. ამ შემთხვევაში, როგორც ეტყობა, ბორხესი ურევს ერთმანეთთან ხილვასა

და ჰალუცინაციას. ჰალუცინაცია მართლაც მოკლეა, მაგრამ ხილვა შეიძლება გაცილებით უფრო დიდხანს გრძელდებოდეს, თუ ადამიანი არის წინასწარმეტყველი, ამ სიტყვის ბიბლიური გაგებით, რადგანაც წინასწარმეტყველი არ არის ფსიქოლოგიური მდგომარეობა – ეს არის სოციალური მდგომარეობა. წინასწარმეტყველი ადამიანის სოციალური როლია, როლი, რომელიც დანტემ თავის თავზე აიღო, როდესაც ჩაიფიქრა თავისი გიგანტური თხზულება და ამ დასკვნას თვით ავტორი გვკარნახობს.

მგელი, რომელიც დანტეს ტყიდან გამოსასვლელ გზას უღობავს, განასახიერებს რომს, უფრო ზუსტად, რომის ეკლესიას, უფრო დეტალურად კი პაპის კურიას. დანტეს მეგზური ვერგილიუსი ამბობს, რომ ეს მგელი კიდევ დიდხანს იბატონებს, სანამ არ დაიბადება ძალღი, რომელიც მის ამ ბოგინს შეაჩერებს. ეს ძალღი, – ეუბნება ვერგილიუსი დანტეს, – არ იკვებება არც მიწით და არც ლითონით: აქ იგულისხმება, რომ ეკლესიისგან განსხვავებით არც ტერიტორიული პრეტენზიები აქვს და არც ისე ანგარებიანია ფულის თვალსაზრისით. ვერგილიუსი ამ ძალღის კიდევ ერთ თვისებას გადმოგვცემს: მისი თვისტომი იქნება „ქეჩასა და ქეჩას შორის“ – „tra feltro e feltro“. მიხეილ ლოზინსკის რუსულ თარგმანში არის „меж войлоком и войлоком“. რას ნიშნავს ეს ყოველივე? ძალიან ბევრი ვინმე ცდილობდა იმის გამოცნობას, ვინ იგულისხმება ამ ძალღში, ვის წინასწარმეტყველებს დანტე. ამბობდნენ, რომ ეს უნდა იყოს საფრანგეთის მეფე, ახალი პაპი, რომელიც ბოლოს დაუდებს რომის კურიის ბნელ საქმეებს. ერთ-ერთმა კომენტატორმა, მგონი ის იყო გვარად ბუტი, გაბედა და თქვა, რომ ეს იყო თავად დანტე. ეს ყველაზე ახლოსაა ჭეშმარიტებასთან. მაგრამ ყოველთვის ფიქრობდნენ, რას ნიშნავს „ქეჩა«. ფიქრობდნენ, რომ აქ ფონეტიკური მსგავსება უნდა გამოვიყენოთ და მიუთითებდნენ მონტეფელტროს ციხე-დარბაზზე, სადაც, სავარაუდოდ, უნდა დაბადებულიყო მომავალი გმირი. მაგრამ საქმე საკმაოდ მარტივადაა: ძალღი, რომელიც ამ შემთხვევაში ჭეშმარიტების სიმბოლოდ უნდა მივიჩნიოთ, არის არა დანტე, არამედ ტექსტი, თვითონ „ღვთაებრივი კომედია«, ხოლო ქეჩა ამ შემთხვევაში არის ის მასალა, რომლისგანაც მაშინ აკეთებდნენ ყდებს. მისი თვისტომში, ესე იგი, სხვა წიგნები არიან ქეჩასა და ქეჩას, ანუ ორ ყდას შორის. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია უკვე გაბედულად დავასკვნათ, რომ დანტემ სრულიად შეგნებულად აიღო თავის თავზე წინასწარმეტყველის ფუნქცია. პირველივე ქების ამ სტრიქონებში ის იღებს პასუხისმგებლობას მომავალი 20, 30 ან 40 (როგორ გაუმართლებდა, ჯერ არ იცოდა) წლის განმავლობაში ყოფილიყო ხილვის ქვეშ და ყოფილიყო ჭეშმარიტების მდალადებელი, ჭეშმარიტებისა, რომელიც მას აღარ ეკუთვნოდა და რომლის ქადაგება, გადმოცემა იწყება 31-ე ტაეპიდან, სადაც მთავრდება ყოველგვარი სიმეტრია, სადაც მთავრდება ავტორის მეფობა ტექსტზე და იწყება ტექსტის მეფობა ავტორზე.

სწორედ ამ გარემოებაზე, თვით ავტორის თითქმის ცხადად გამოხატულ განზრახვაზეა დამყარებული ჩემი პირადი გამოცდილება, რომელიც მკარნახობს: „ღვთაებრივი კომედია« არ ეკუთვნის იმ წიგნთა რიცხვს, რომლებიც უნდა იკითხო ან უნდა წაიკითხო, არამედ ეს არის წიგნი, რომელთან ერთად შეიძლება იცხოვრო.

გმადლობთ ყურადღებისათვის!

შეკითხვა დარბაზიდან:

– ბატონო ნოდარ, მერაბ ლაღანიძემ დაამკვიდრა ერთი ასეთი ტრადიცია: მის ღონისძიებებზე ყოველთვის სარგებლობდა მასპინძლის უფლებით და პირველ შეკითხვას თვითონ დასვამდა ხოლმე. მეც ვისესხებ და გამოვიყენებ ამ მეთოდს. ერთი რამ მაინტერესებს:

გამოდის, რომ ფორმა სიტყვებისთვის შინაარსის მოკარნახეა, მე პოეტური ფორმა მაქვს მხედველობაში. თქვენ ახლა განმარტეთ, თუ როგორ არის გამოყენებული ლექსში სინტაქსური წყობა და როგორ შეიძლება მას სიტყვამ მნიშვნელობა შეუცვალოს.

საინტერესოა მიშელ ფუკოს გამონათქვამიც: „სხეული არის დილეგი სულისა“. გამოდის, რომ ფორმა და ის, თუ როგორ იტყვი, ბევრად უფრო მნიშვნელოვანია გრძნობაზე, რომელიც შეიძლება გქონდეს...

ნოდარ ლაღარია:

– ამაზე ოსკარ უაილდს აქვს ძალიან კარგი გამონათქვამი: ყველა ცუდი პოეზია გულწრფელიაო. ეს რაც შეეხება გრძნობებს და, მოდით, ამით გრძნობებზე საუბარი შეწყდეს.

მე მიინდა ასეთი მაგალითი მოვიყვანო. ჩვენ ვიცით ადრექრისტიანული ძალიან ბევრი ნიმუში იმისა, სხვათა შორის ვიზუალურიც, სადაც „ხორცი არის სულის დილეგი“. მაგალითად, ადრექრისტიანულ საფლავებზე გამოსახავდნენ გალიას და შიგ ფრინველს: ე. ი. ეს არის ხორცში ჩაჭედილი სული და სიკვდილის შემდეგ ის გამოდის და თავისუფლებას პოულობს.

მოდით, დავსვათ შეკითხვა: გამომდინარეობს თუ არა მსგავსი განწყობა საკუთრივ და უპირატესად ქრისტიანობიდან?

ამ შეკითხვაზე უნდა გავცეთ უარყოფითი პასუხი. რატომ მაინცდამაინც ქრისტიანობიდან? განა იმავ დროს არ დაიწერა იმპერატორ ადრიანეს ცნობილი ლექსი, რომელიც ასე იწყება: "animula, vagula, blandula" – „სულო სათუთო, მოხეტიალე“. ეს იყო საზოგადო განწყობა, რომელიც გამოიხატა პოეზიაში. ეს ადამიანები, სხვათა შორის, ყოველდღე უყურებდნენ გლადიატორების ბრძოლებს, ყოველდღე ხედავდნენ საშინელ სიკვდილს და, ბუნებრივია, გარკვეული აზრები უჩნდებოდათ. მე გეტყვით, რომ ქრისტიანული თეოლოგიის წვლილი ზემოხსენებული თვალსაზრისის გამომუშავებაში ისეთივეა, როგორც გლადიატორთა ბრძოლებისა. ჩვენ არ ვიცით, რა ფაქტორები ახდენს გავლენას რთული იდეოლოგიების წარმოშობაზე, რა ფაქტორები გროვდება და კრისტალიზდება შემდეგ იმისათვის, რომ ადამიანმა გამოხატოს ეს სურათში ან ქანდაკებაში ან პოეტურ ტექსტში. ამავე დროს, როდესაც რიკერტის ან დანტეს სტრიქონების ანალიზს ვახდენდით, სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ მათ ავტორებს ეს შეგნებული ჰქონდათ.

შეკითხვა დარბაზიდან:

– და მაინც, როგორ შეიძლება განვსაზღვროთ დანტეს ქმნილების საზრისი?

ნოდარ ლაღარია:

– ასე გეტყვით: საზრისი და მნიშვნელობა არ არის ისეთი რამ, რაც ტექსტში მოიპოვება ერთხელ და სამუდამოდ. საზრისი და მნიშვნელობა არის ის, რაც კითხვის პროცესში იბადება. ეს არის ავტორისა და მკითხველის ურთიერთობის ნაყოფი.

საზრისის გაცოცხლება უკვე მკითხველის საქმეა. იმის შესახებ, რასაც დღეს ჩვენ ვლაპარაკობდით, დანტეს, თვითონ ავტორს, წარმოდგენა არ ჰქონდა, მაგრამ

საუკუნეების განმავლობაში სწორი კითხვის პროცესი ქმნის ნაწარმოებს. ნაწარმოები, ეს მხოლოდ ის კი არ არის, რაც დაიწერა და დაიდო; ნაწარმოები არის ის, რაც ცოცხლობს, რასაც საზოგადოება იღებს, რასაც საზოგადოება ებრძვის, და საზოგადოებას არ უნდა შეუშალო ხელი იმიტომ, რომ მასთან ბრძოლა ტექსტის სიცოცხლის მნიშვნელოვანი ნიშანია. ის ათწლეულები, როდესაც დანტეს საერთოდ არ აღიარებდნენ იტალიაში, ის ბოღმა, რომლითაც მასზე ლაპარაკობს თვით ფრანჩესკო პეტრარკა, ისევე წარმოქმნის და რაღაც წვლილს მატებს დანტეს დიდებას, როგორც მისი ხოტბა. ამ შემთხვევაში ასეა. მთავარია, უნდა ველოდოთ მკითხველს, იმიტომ რომ მკითხველი ქმნის ტექსტს.

შეკითხვა დარბაზიდან:

_ რას იტყვით ქართული თარგმანის შესახებ?

ნოდარ ლადარია:

_ კონსტანტინე გამსახურდიას თარგმანს გულისხმობთ? მე კონსტანტინე გამსახურდიას თარგმანი ამჟამად არ გამაჩნია. ოდესღაც მქონდა და არანაირი სურვილი არა მაქვს, რომ ეს წიგნი მქონდეს, რადგან არ მჭირდება. მაგრამ მეორე მხრივ, ვერ უარვყოფ იმას, რომ სწორედ ქართული თარგმანიდან დაიწყო ჩემი და დანტეს ურთიერთობა, მაშინ როდესაც 13 წლის ვიყავი. ასე რომ, საიდან მოდის მადლი, არ იცი.

_ დიდი მადლობა, ბატონო ნოდარ!

ხმისა და ბგერის სიმბოლიკისთვის დანტე ალიგიერის «ღვთაებრივ კომედიაში»*

შუასაუკუნეობრივი გადმოცემის თანახმად, კლუნის სასულიერო ორდენის ერთ-ერთი რეფორმატორი, პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის შთამაგონებელი, XI საუკუნის უთვალსაჩინოესი რელიგიური მოღვაწე წმ. ბერნარ კლერვოელი ერთხელ მთელი დღის განმავლობაში მიუყვებოდა ცხენით ჟენევის ტბის ნაპირს, მაგრამ იმდენად იყო ჩაფლული შინაგან ჭკრეტაში, რომ ტბა ვერ შენიშნა. გრძნობადი, ნივთიერი სამყაროსაგან ასეთი გაუცხოების უნარი, რა თქმა უნდა, განსაკუთრებული სიწმინდის, სხვა სიტყვებით, მაღალი სულიერი ორგანიზაციის მაჩვენებელი იყო. შეგრძნებების მსგავსი «გამორთვა» ქრისტიანული ასკეტური ტექნიკის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდი და მოთხოვნაა. XII საუკუნის თეოლოგის, აილრედ დე რიევოს ტრაქტატში – «სულისათვის», – ვკითხულობთ: *Te ipsum insipice cogitantem. Ecce in tenebris positus, et clausisti oculos, aures obturasti, nihil flagrat naribus, nihil sapit palato, nihil tactus operatur* /Ailred of Rielvaux, *De anima*, ed. C. H. Talbot, in “Medieval and Renaissance Studies”, Suppl. I., London 1952, p. 77.

დააკვირდი საკუთარ თავს, როცა ფიქრობ. აჰა, ბნელში იმყოფები, თვალები დახუჭე, ყურები დაიცავი, არაფერს ყნოსავს ნესტოები, არაფერს იგემებს სასა, არაფერი აღძრავს შეხების გრძნობას. გრძნობათა ამგვარი «გამორთვა», რა თქმა უნდა, ღმერთთან მიახლოების, ღმერთის წვდომის ე.წ. აპოფატიკურ გზას უკავშირდება, რომლის უკიდურესად გამარტივებული გადმოცემა ამგვარად შეიძლება: ყოველივე შექმნილი და გრძნობადი ცვალებადი და წარმავალია, რითაც რადიკალურად განსხვავდება ღმერთისგან; ამიტომ საჭიროა ყოველივე წარმავალის უარყოფა და გამორიცხვა –

მხოლოდ ასეა შესაძლებელი ღვთის შეცნობა. მეორე გზა, ე.წ. კატაფატიკური, ამის საწინააღმდეგოა: ამ შემთხვევაში ცენტრალურ ადგილს იჭერს იდეა, რომ ყოველივე შექმნილი თავის თავში ატარებს შემოქმედის ნებას, ესე იგი, მის ბუნებასთანაა ნაზიარები. აქედან გამომდინარე, ღვთის შეცნობა შესაძლებელია გრძნობადი საგნების სამყაროზე დაკვირვებით. ამ მეთოდის ასკეტურ ასპექტს კი უზრუნველყოფს ის, რომ ნებისმიერი საგანი თავისთავად კი არ უნდა იქნეს განხილული, არამედ მხოლოდ როგორც მინიშნება ან ხატი მის მიღმა მდგომი მარადიული ჭეშმარიტებისა. რა თქმა უნდა, ამგვარმა მინიშნებებმა შეიძლება შეადგინოს საკმაოდ გრძელი მიმდევრობები, სადაც ყოველი წინა რგოლი შემდგომზე მიუთითებს. ღვთის შემეცნების ამ ორი მეთოდიდან არც ერთს არ გააჩნია უპირობო უპირატესობა. საღვთო წერილის ავტორიტეტიც ორივე მათგანს ერთნაირად მტკიცე საყრდენს აძლევს: თუ იესო ქრისტეს იგავები და სასწაულები კატაფატიკურ გზას ამკვიდრებს, მისი პირდაპირი იმპერატივები აშკარად გამოკვეთილ აპოფატიკურ ტენდენციას გამოხატავს. რა თქმა უნდა, აქ ვერ შევეხებით ამ ორი გზის ისტორიულ და თეოლოგიურ დახასიათებას, მაგრამ აუცილებლად მიგვაჩნია, მივანიშნოთ ერთ შესაძლებლობაზე: ღვთის შემეცნების ორი გზა საკმაოდ ცალსახად უკავშირდება კომუნიკაციის ორ ცნობილ მოდელს, რომელთაგან ერთ-ერთი გულისხმობს, რომ უწყება უზრუნდება ადრესატს (ანუ კომუნიკაცია ხორციელდება სქემით «მე – მე»), მეორე კი აღნიშნავს უწყების გადასვლას ადრესატზე (სქემა «მე – სხვა»). გასაგებია, რომ კომუნიკაციის პირველი მოდელი უკავშირდება აპოფატიკურ გზას, მეორე – კატაფატიკურს. თუმცა, არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: თუ კომუნიკაციის პირველ მოდელში («მე – მე») უწყება მოგზაურობს მხოლოდ და მხოლოდ დროში, მეორე მოდელი («მე – სხვა») მოითხოვს ისეთი საშუალებების გამოყენებას, რომლებიც უზრუნველყოფენ უწყების სივრცეში გადაადგილებას. სწორედ ასეთ საშუალებად გვევლინება ხმა.

ცალკე გამოკვლევის საგანია, როგორ ვლინდება დანტეს «ღვთაებრივ კომედიაში» კომუნიკაციის ორი ხსენებული მოდელი. ამ საკითხის გადაწყვეტა მჭიდროდაა დაკავშირებული საზრისთა იმ სიმრავლესთან, რომელსაც ატარებს პოემის ტექსტში მოცემული პირის ნაცვალსახელი «მე». წინასწარ შეგვიძლია ვთქვათ, რომ გმირისა და ავტორის პიროვნების რთული და მრავალმხრივი ურთიერთობა ხორციელდება ერთი დაპირისპირების ფონზე. ეს დაპირისპირება მხედველობასა და სმენას შორის არსებობს.

თვითონ პოემას ხშირად უწოდებდნენ «ხილვას» (visione) და ამ დასახელებაში წინა პლანზე გამოდის ავტორის სულიერი ბიოგრაფია, მისი გზა ცოდვიდან მონანიებამდე და სინანულის გავლით ღვთის შემეცნებამდე. აქ ვხედავთ, რომ ავტორი თვითონ კითხულობს საკუთარი ცხოვრების უწყებას და მისი წაკითხვის საშუალებით წინ მიიწევს სულიერი სრულყოფისკენ. «ღვთაებრივი კომედია», გაგებული როგორც ხილვა, ასახავს ღვთის შემეცნების აპოფატიკურ გზას და აქ აშკარად იკვეთება კომუნიკაციის მოდელი «მე – მე». მაგრამ დანტე ალიგიერს ბევრი აქვს სათქმელი სხვისთვისაც: სწორედ ამას მიაჩნებდა პოემის პირველსავე სტრიქონებში გამოჩენილი ანტითეზა: «მე – ჩვენ»:

Nel mezzo del cammin di nostra vita
mi ritrovai per una selva oscura (Inf. I, 1-2).

[ჩვენი ცხოვრების ნახევარგზაზე (მე) აღმოვჩნდი ბნელ ტყეში]

ცხადია, «ჩვენი ცხოვრება» აზრობრივად ძალიან დატვირთული გამოთქმაა, მაგრამ ამჯერად მისი მხოლოდ ერთ-ერთი აზრი გვანტერესებს: დანტე ალიგიერი თავიდანვე «ათავსებს» საკუთარ თავს კაცობრიობის შუაგულში (არა ცენტრში, არამედ შუაგულში – გამოთქმა «nel mezzo» აღნიშნავს არა მარტო რაიმეს ტოპოგრაფიულ ცენტრში ყოფნას, არამედ მოვლენებში მაქსიმალურ ჩართულობას, ადამიანებთან მჭიდრო სიახლოვეს, მათთან თანაზიარობას). ამგვარი «მე», რომელიც იმთავითვე «ჩვენ შორის» იმყოფება, მარტოდენ ხილვებით ვერ მიაღწევს ჭეშმარიტების ფლობას: მან აუცილებლად უნდა გაგვაგონოს თავისი ხმა. ერთი შეხედვით, შეიძლება ვიფიქროთ, რომ «ხმა» აქ შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც «ენის» სინონიმი, მაგრამ ეს ასე არ არის. ენა უნივერსალური მატარებელია: ის აუცილებელია კომუნიკაციის ორივე მოდელის განსახორციელებლად, ამიტომ ერთგვარად ინდეფერენტულია ამ მოდელებს შორის განსხვავების მიმართ, მაშინ როცა ხმის, როგორც ენისაგან დამოუკიდებელი აგენტის მონაწილეობა, რომლის გარეშე შესაძლებელია პირველი მოდელი, აუცილებლად იქცევა მხოლოდ სხვებთან ურთიერთობაში. დასტურად შეიძლება მოვიყვანოთ წმ. ფრანჩესკო ასიზელის მაგალითი – მეტად ნიშანდობლივი და ჩვენს თემატიკასთან არსებითად დაკავშირებული – კერძოდ, მისი «ყვავილების» XIII თავი, სადაც მოთხრობილია, როგორ ყვირის საღვთო ექსტაზში აღტაცებული წმინდანი:

E vassene santo Francesco dietro all'altare, e puosesi in orazione, e in quella orazione ricevette dalla divina visitazione sm eccessivo fervore, il quale infiammt sm fattamente l'anima sua ad amore della santa poverta, che tra per lo colore della faccia e per lo nuovo isbadigliare della bocca pareva che gittasse fiamme d'amore. E venendo cosm infocato al compagno, sm gli disse: "A, A, A, frate Masseo, dammi te medesimo". E cosm disse tre volte, e nella terza volta santo Francesco levv col fiato frate Masseo in aria, e gittollo dinanzi a sù per ispazio d'una grande asta.

და შევიდა წმიდა ფრანჩესკო საკურთხეველში და დადგა ლოცვად. ამ ლოცვაში კი ეწვია მას საღვთო მადლი ისეთი მხურვალეობით, იმდენად აღუნთო სული წმიდა უპოვარების სიყვარულით, რომ სახის ფერსა და დაღებულ პირზე ისე ეტყობოდა, თითქოს სიყვარულის ალს გამოსცემსო. ასე მხურვალეობით მოცული მიუახლოვდა ამხანაგს და უთხრა: «ა, ა, ა, ძმაო მასეო, მომეცი შენი თავი». ასე უთხრა სამგზის და მესამე თქმაზე წმინდა ფრანჩესკომ სულის ბერვით ასწია ძმა მასეო ჰაერში და თავის წინ კარგა გრძელი ჭოკის მაძილზე დააგდო.

სხვათა შორის, «ყვავილების» ამ თავში ვპოულობთ პირდაპირ ინტერტექსტულ მითითებას დანტეს «სამოთხეზე», მაგრამ ჩვენს თემატიკასთან არსებითი კავშირი მხოლოდ ამით არ ამოიწურება: საქმე ისაა, რომ დანტე ალიგიერი თვითონ იყო დავალებული ორი უმნიშვნელოვანესი სასულიერო ორდენის – დომინიკელთა და ფრანცისკელთა კულტურისგან და მის თხზულებებს ეტყობა შესაბამისი აშკარა გავლენა. თუ დომინიკელთა მემკვიდრეობამ უმთავრესად დანტეს ფილოსოფიური აპარატის ჩამოყალიბება განაპირობა, ფრანცისკელთა სულიერება, განსაკუთრებით, მისი სოციალურად რადიკალური და არსებითად მისტიკური ნაწილი, აისახა «ღვთაებრივი კომედიის» ცენტრალურ თემატიკაში. მართალია, წმ. ფრანჩესკოს «ყვავილების» ტექსტი, დანტეს ნაწარმოებთან შედარებით, გვიანდელი კომპილაციაა, მაგრამ აშკარაა, რომ

ამგვარი კომპილაციებისათვის ყოველთვის იღებდნენ მხოლოდ დასაბამიდან წამოსული ტრადიციით დამტკიცებულ და ძირითადი ტენდენციების ადეკვატურად ამსახველ გადმოცემებს. დავუბრუნდეთ «ყვავილების» ზემოთ მოყვანილ ფრაგმენტს. აქ, როგორც ვხედავთ, საღვთო აღტაცების უმაღლეს წერტილზე აყვანილი წმიდანი გამოსცემს სრულიად ასემანტიკურ ბგერებს, მაგრამ ამ ბგერების გრაფიკული ასახვა არ არის უბრალოდ შორისდებული – ენობრივ უზუსტობაში დაკანონებული ონომატოპოეტური სიტყვა: ტექსტში ვხედავთ ყვირილის კოდიფიკაციას. ხმა გვევლინება, როგორც გამოუთქმელის მატერიალური აგენტი: ენის ეთნიკურ თუ ნაციონალურ შეზღუდულობას აქ უპირისპირდება ყვირილის უნივერსალობა. ასემანტიკური ხმის კოდიფიკაციის მაგალითებს «ღვთაებრივ კომედიაშიც» ვპოულობთ, თუმცა აქ მათ უფრო ნეგატიური ფუნქცია აკისრია. ამ მხრივ, ყველაზე ცნობილია შემდეგი ადგილი «ჯოჯობხეთიდან»:

“Pape Satan, pape Satan aleppe!”,
comincit Pluto con la voce chioccia (Inf, VII, 1-2).

[«პაპე სატან, პაპე სატან ალეპე!» — დაიწყო პლუტომ ხრინწიანი ხმით.]

შესაძლოა, აქ არაბული ენის მიბაძვაც იყოს — ზოგიერთ მკვლევარს პლუტოს ყვირილში ესმის მინიშნება არაბული ქალაქის, ალეპოს კარიბჭეზე. მაგრამ როგორც არ უნდა იყოს ავტორის შთამაგონებელი კონკრეტული გარემოებები, მნიშვნელოვანი ერთია: ზეციური სიტყვის გამოუთქმელობას (რაც ამოუწურავ საზრისს ნიშნავს) ჯოჯობხეთი უპირისპირებს თავისი ენის გაუგებრობას (ეს კი საზრისის უქონლობას გულისხმობს). უფრო დიდი სიმწვავეთ გამოხატავს იგივეს XXXI ქებაში მოცემული «ფრაზა», რომელიც სულეთში მოგზაურს ბიბლიური გმირის, ნიმროდის პირიდან ესმის. აქ უკვე საქმე გვაქვს დანაწევრებული მეტყველების პირდაპირ პაროდირებასთან, რომელიც მოწოდებულია, ხელახლა განაცდევინოს მკითხველს ბაბილონში მომხდარი ენათა აღრევის შოკი:

“Raphil tam amische zabm almi”,
comincit a gridar la fiera bocca,
cui non si convenia piú dolci salmi (Inf, XXXI, 57-59).

[«რაფელ მაი ამეკე ძაბი ალმი», — იწყო ყვირილი მრისხანე პირმა, რომელსაც არ შეჰყვარის უფრო ტკბილი საგალობლები.]

საგულისხმოა, რომ ნიმროდის აბრაკადაბრის ბოლო «სიტყვა» (ალმი) გართმულია სიტყვასთან სალმი (ფსალმუნები, საგალობლები), რომლებიც აღნიშნავს ხმისა და საზრისის უმაღლეს ჰარმონიულ შერწყმას, და რითმის საფუძველში მდგომი ფონეტიკური მსგავსება კიდევ უფრო საცნაურს ხდის აზრობრივ შეუთავსებლობას, კიდევ უფრო ამძაფრებს ტერცინის მესამე ტაქტის ირონიას. სიტყვა «voce» (ხმა) «ღვთაებრივ კომედიაში» 80-ჯერ გვხვდება. კანტიკების მიხედვით სიხშირე ასეა განაწილებული: 21-ჯერ «ჯოჯობხეთში», 29-ჯერ «განსაწმენდელში», 30-ჯერ «სამოთხეში». ამაში საკვირველი არაფერია, რადგან ამ ორმარცვლიანი სიტყვის სიხშირე პოემის

ვრცელ ტექსტში ციპფის კანონს უნდა ემორჩილებოდეს. გაცილებით უფრო საინტერესოა, რანაირად ვითარდება კანტიკიდან კანტიკამდე ამ სიტყვით წარმოდგენილი საზრისის წარმომქმნელი ფუნქცია. თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ის ფუნქცია, რომელსაც სიტყვა «voce» ასრულებს ერთ რომელიმე კანტიკაში, მიჰყვება მას ტექსტის ბოლომდე. მაგრამ ყოველ მომდევნო კანტიკაში ემატება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია, რომელიც ამ სიტყვით აღნიშნულ რეალობას მანამდე არ ჰქონია.

«ჯოჯოხეთი»: თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ აქ ხმა მხოლოდ პერსონაჟის მახასიათებელი თვისებაა. თითქმის ყოველთვის თან ახლავს შესაბამისი ზედსართავი, მაგალითად, «soave» (მშვიდი, ნარნარი), ან «chioccia» (ხაფი, მჭახე). ჯოჯოხეთში შესვლის პირველ წამს გარემომცველ სიბნელეში დანტე მხოლოდ ბგერით შთაბეჭდილებებს ეყრდნობა:

Diverse lingue, orribili favelle,
parole di dolore, accenti d'ira,
voci alte e fioche, e suon di man con elle
facevano un tumulto... (Inf. III, 25-28).

[სხვადასხვა ენა, საძაგელი კილოები, მწუხარე სიტყვები, მრისხანე ბგერები, მაღალი და ხრინწიანი ხმები, მათთან კი ხელების ტყლაშუნი ქმნიდა ერთიან გუგუნს...]

ამ მხრივ, ბგერითი შთაბეჭდილება თავიდანვე წარგვიდგენს წარწყმედილ სულთა მთელ სამეფოს. ამის შემდეგ ხმა ყოველი ახალი პერსონაჟის პირველი მახასიათებელი ნიშანია.

«განსაწმენდელი»: აქ პირველად გვესმის ადამიანის ხმა, როგორც სიმღერა, გალობა. ეს ყოველთვის უნისონია და თანაც ყოველგვარი მუსიკალური თანხლების გარეშე – a capella. ხმა განსაწმენდელში ისმის არა მარტო როგორც კონკრეტული სულის ინდივიდუალური ხასიათის ნიშანი, არამედ როგორც ადამიანის სამადლობელი ღვთისადმი. გარდა ამისა, განსაწმენდელის მთის სხვადასხვა დონეებზე, სადაც ცხოვნების მომლოდინეთა სულები თავიანთ ცოდვებს ინანიებენ, განუწყვეტლივ ისმის უხილავი ხმები: ესენი შესაბამის ცოდვას კიცხავენ, ან ამ კონკრეტული მანკიერების საპირისპირო სიქველის ამსახველ მაგალითებს მოუთხრობენ მონანიე სულებს. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ განსაწმენდელის ამგვარი «აკუსტიკური ორგანიზაციის» კულტურული არქეტიპი იყო მონასტრის სატრაპეზო, სადაც ძმათა ყოველ სადილს ან ვახშამს მუდამ თან ახლდა მორიგე მოწესის ან მორჩილის მიერ საღვთო წერილის, წმიდანთა ცხოვრების ან სხვა რამ სულის მარგებელი ტექსტის კითხვა. «სამოთხე»: სიტყვა «ჰარმონიას» აქ პირველივე ქებაში ვპოულობთ. მართალია, პირველად ეს სიტყვა «განსაწმენდელის» XXXI ქებაშია გამოყენებული, მაგრამ თავისი არსით სწორედ სამოთხეზე მიანიშნებს, რადგან გვესმის სწორედ იმ მომენტში, როცა მიწიერ ედემში ასული პოეტი პირისპირ ხვდება ბეატრიჩეს. სამოთხეში ხმა პირველად ხდება პოლიფონიური. შეგვიძლია ვთქვათ, რომ პოლიფონია და, აქედან გამომდინარე, ჰარმონია სამოთხის ატრიბუტია და თავის თავში განსხვავებულ საწყისთა ერთი მიზნისთვის თანამშრომლობას გულისხმობს. ამიტომაც, სამოთხეში ყოველი გალობა არა

მარტო მრავალხმიანია, არამედ აქ უსულო საგნებიც ჟღერს – კერძოდ, ზეციური სფეროები. გალობას თან ახლავს აკომპანემენტი – ეს უკვე «შემოსილი» ხმაა (რივესტიტა). მოვისმინოთ კანტიკის პირველი სტრიქონები:

La gloria di colui che tutto move
per l'universo penetra, e risplende
in una parte più e meno altrove (Par, I, 1-3).

[დიდება მისი, ვინც ყოველივეს ამოძრავებს, ქვეყნიერებას გამსჭვალავს და ბრწყინდება ზოგან მეტად, სხვაგან კი ნაკლებად].

სწორედ ამგვარ მეტნაკლებობაში არის ჰარმონია: თუ ჯოჯოხეთი, ასე ვთქვათ, იძულებითაა ორგანიზებული საღვთო სამართლის მიერ, ხოლო ყოველ ცალკეულ გარსში წარწყმედილი სულების სრულ ქაოსს წარმოგვიდგენს, სამოთხისათვის ჰარმონიულობა შინაგანი წესია — ის არა მარტო სხვადასხვა «დონეებადაა» ორგანიზებული, არამედ ყოველ ცალკეულ დონეზე მასში მყოფი სულების ერთობლიობა წარმოადგენს თვალსაჩინო წესით მოწყობილ საზოგადოებას და არა ბრბოს. სამოთხის ბინადარნი პოეტის თვალწინ ხან მისტიკურ ვარდს შეადგენენ, ხან არწივს. ეს მათი თავისუფალი ნების თანახმად ხდება, ხოლო ყოველივე ამის აღმნიშვნელად გვევლინება ბგერითი მახასიათებელი – სიტყვა «ჰარმონია». როგორც ვხედავთ, ბგერასა და ხმას დანტეს გამომსახველობით საშუალებებს შორის საგრძნობი ფუნქციური დატვირთვა აქვს. მაგრამ ამასთან ერთად, ის ღრმა კონცეფტუალური მნიშვნელობითაც ხასიათდება. ამის დასტურია პოემის პირველივე ქებაში ასახული შეხვედრა ვირგილიუსთან. ვირგილიუსი, რომელიც ავტორს უნდა წარუძღვეს ჯოჯოხეთსა და განსაწმენდელში, ასეა დახასიათებული:

dinanzi a li occhi mi si fu offerto
chi per lungo silenzio parea fioco (Inf. I, 52-53)

აქ წარმოიქმნება ადეკვატურად თარგმნის პრობლემა: «ჩემს თვალწინ წარსდგა ის, ვინც ხანგრძლივი დუმილის გამო ჩანდა» ... – როგორი ჩანდა? საქმე ისაა, რომ იტალიური ზედსართავი fioco (სუსტი) გამოიყენება მხოლოდ ბგერის, უფრო სწორად, ხმის მიმართ. აქ კი, როგორც ამას ნაცვალსახელი chi (ვინ) გვიჩვენებს, ლაპარაკია თვით ვირგილიუსის პიროვნებაზე და არა მის ხმაზე. შეიძლება ითქვას, რომ პოეტი გაიგივებულია ბგერასთან: პოეტი არის არა ის, ვინც წერს, არამედ ის, ვინც ჟღერს. დანამდვილებით ვერ ვიტყვით, რომ დანტემ აქ ერთგვარად განახორციელა შუა საუკუნეების კულტურაში საკმაოდ გავრცელებული ლოკუსი – Plato est mortus scribendo, Christus est mortus orando (პლატონი მოკვდა, როცა წერდა, ქრისტე – როცა ლოცულობდა), – რომელშიც აშკარაა ხმის უპირატესობა წერასთან შედარებით, მაგრამ პოეტისა და მგალობელის იგივეობას უეჭველად კონცეფტუალური მნიშვნელობა ენიჭება. სწორედ ამ იგივეობითაა გამოხატული პოეზიის დემოკრატიულობა ფილოსოფიასთან შედარებით: თუ პლატონმა თავისი ნაწერები დაუტოვა კაცობრიობის გამორჩეულ უმცირესობას, იესო ქრისტე განურჩევლად ყველასათვის მოკვდა ჯვარზე.

სწორედ პოეზიისა და ხმის გაიგივება გვევლინება იმის კიდევ ერთ დასტურად, რომ ლექსი განურჩევლად ყველასადმი უნდა იყოს მიმართული, რასაც ამტკიცებს ხალხური ენის უპირატესობაც ლათინურთან შედარებით. რა თქმა უნდა, ვირგილიუსთან პირველი შეხვედრა გაცილებით უფრო დამაჯერებლად ადასტურებს პოეზიისა და ბგერის კონცეფტუალურ იგივეობას, ვიდრე პოემაში არსებული მიმართვა მუზეზისადმი ან შესაბამისი მითოლოგიური პარალელები, რადგან ვირგილიუსის ამგვარ დახასიათებას ვერ ავხსნით პოეტური ტრადიციის ფორმალური გამეორებით. პოეტის, როგორც მაგლობელის, იგივე კონცეფცია დასტურდება «განსაწმენდელშიც» გვიანი ანტიკური ხანის პოეტთან, სტაციუსთან შეხვედრისას:

Tanto fu dolce mio vocale spirto (Purg. XXI, 38)

[იმდენად ტკბილი იყო ჩემი მაგლობელი სული].

აღსანიშნავია, რომ ზედსართავს «vocale» (მაგლობელი, მღერადი) მთელ პოემაში მხოლოდ ამ ადგილას ვხვდებით. ბგერის თემატურ, უფრო მეტიც, თეოლოგიურ მნიშვნელობაზე «ღვთაებრივ კომედიაში» მიგვანიშნებს კიდევ ერთი ეპიზოდი “ჯოჯოხეთიდან”, რომელიც შემდეგი სტრიქონით მთავრდება:

Ed elli avea del cul fatto trombetta (Inf. XXI, 139)

ამ ადგილს კონსტანტინე გამსახურდია ასე თარგმნის: «უკანალიდან მოგვასმინა დუდუკის ხმები». ორიგინალთან უფრო ახლოსაა მ. ლოზინსკის რუსული თარგმანი: “в задом тот трубу изонразил;”. მაგრამ აქაც შემასმენელი არღვევს დანტეს ტექსტთან შესაბამისობას. «ჯოჯოხეთის» XXI ქების ბოლო სტრიქონის ზუსტი თარგმანი ასეთია: “და მან უკანალისგან ქმნა საყვირი». როგორც ვხედავთ, აქ ლაპარაკია არა უბრალო ხმოვან მიბაძვაზე, არამედ უფრო ღრმა შინაარსის მქონე გაიგივებასა თუ ტრანსფორმაციაზე, სადაც უკანალი იქცევა საყვირად. სიტყვას «trombetta» იტალიურ ენაში აქვს ორი მნიშვნელობა: 1) მცირე ზომის საყვირი; 2) საყვირის დამკვრელი, რომელიც ამავე დროს ასრულებს საჯარო მაუწყებლის ფუნქციას. ასე წარმოიქმნება ტაეპის მეტად არსებითი მნიშვნელობა: «და მან უკანალისგან ქმნა საჯარო მაუწყებელი». ახლა კი დროა განვიხილოთ პოემის მთელი ეპიზოდი, რომელსაც ასრულებს მოყვანილი ტაეპი: «ჯოჯოხეთის» XXI ქების ბოლოს დანტე და ვირგილიუსი თავს დააღწევენ დემონებს და სამშვიდობოს გასულნი გასცქერენ მათ უძლურ მრისხანებას: ბოლმისგან კბილებდაკრეჭილი ეშმაკები შებრუნდებიან თავიანთი წინამძღოლისკენ, რომელიც უკანალიდან ხმამაღალ ბგერას გამოსცემს. ეპიზოდი შეიძლება განვიხილოთ ბინარული ოპოზიციების გამოვლენის ხერხით. პირველი ბინარული ოპოზიცია გვხვდება ქების დასაწყისში:

Cosm di ponte in ponte, altro parlando

che la mia comedia cantar non cura (Inf. XXI 1-2)

[ასე მივდიოდით ხიდიდან ხიდზე სხვადასხვა საგნებზე საუბრით, რაზეც გალობას ჩემი პოემა არ ზრუნავს].

ვხვდებით დაპირისპირებას ლაპარაკსა და გალობას შორის: დანტე და ვირგილიუსი ბევრ რამეზე ლაპარაკობდნენ ჯოჯოხეთში მოგზაურობისას, მაგრამ ყველაფრის გადმოცემას როდი უნდა გაუყადროს თავი მგალობელმა პოეტმა _ იგულისხმება, რომ ის მხოლოდ მნიშვნელოვანს ირჩევს. ასე დაწყებული ქება მთავრდება ემმაკის უკანალიდან გამოსული ხმის აღწერით. რითი უნდა იყოს ეს ხმა უფრო მნიშვნელოვანი ორი პოეტის საუბარზე?

განვაგრძოთ ბინარულ ოპოზიციათა განხილვა. უკანალს, უფრო სწორად კი ანუსს, რომლიდანაც ხდება ხმის გამოცემა, რა თქმა უნდა, შეესაბამება პირი. ეს სულაც არ არის შემთხვევითი ან ხელოვნურად შექმნილი ოპოზიცია _ მას საკმაოდ მდიდარი ტრადიცია აქვს შუასაუკუნეობრივ კულტურაში. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ემმაკის იკონოგრაფიაში ხშირია გამოსახულებები, სადაც დემონი გამოსახულია დუნდულებზე თვალებით. ამ შემთხვევაში კუდი ასრულებს ცხვირის, ხოლო ანუსი ბაგეების ფუნქციას. ემმაკის ჭეშმარიტი სახე მისი უკანალია _ ეს სიტყვა (ცულო) მხოლოდ ერთხელაა გამოყენებული მთელი პოემის მანძილზე. ასევე ერთხელაა გამოყენებული სიტყვა «trombetta», რომლის მნიშვნელობაზე უკვე ვილაპარაკეთ ზემოთ. ამ სიტყვის ოპოზიციად გვევლინება «tuba» (ბუკი), რომელიც პოემაში სულ ორჯერაა გამოყენებული და ამათგან თემატურად მნიშვნელოვანია «სამოთხის» XXX ქების ის ადგილი, სადაც დანტე ამბობს:

Cotal qual io la lascio a maggior bando
che quel de la mia tuba... (Par. XXX, 34-35)

[ისეთი, რომელსაც მე უფრო დიდ მაუწყებელს დავუტოვებ, ვიდრე ჩემი ბუკია...]

როგორც ვხედავთ, აქ ბინარული ოპოზიცია «trombetta» _ «tuba» ვრცელდება ამ სიტყვებით გამოხატულ მთელ სემანტიკურ ველზე, რომელიც მოიცავს არა მარტო მუსიკალურ საკრავებს, არამედ საჯარო მაუწყებლებსაც. დემონთა წინამძღოლი, რომელიც უკანალიდან საყვირის ხმას გამოსცემს, აშკარად რაღაცის შეტრიალებული სახეა. მაგრამ რისი? აქ შეგვიძლია გავიხსენოთ მიცვალებულთათვის ლათინური ლოცვის ერთი ცნობილი ადგილი: თუბა მირუმ სპარგეტ სონუმ _ ბუკი საოცარს ავრცელებს ხმას. რომელი ხმა იგულისხმება? _ რა თქმა უნდა, ანგელოზთა მიერ ახმოვანებული ბუკები, რომლებზედაც გვამცნობს მოციქულ იოანეს გამოცხადება. ანგელოზთა გამოცემული ბგერა გვამცნობს საღვთო სამართლის გამარჯვებას, გვამცნობს საშინელი სამსჯავროს დასაწყისს, რომელსაც ვერავინ გაექცევა (L'amor che nella mente mi ragiona _ არაფერი დარჩება დაუსჯელი, _ ნათქვამია მიცვალებულთათვის იმავე ლოცვაში). ამის საპირისპიროდ, დემონის გამოცემული ბგერა გამოხატავს დამარცხებით გამოწვეულ ბოღმას და იმას, რომ დემონთა მუქარას ყოველთვის დააღწევს თავს მართალი. ამგვარად კრავს ერთი შეხედვით, უფრო სწორად, მოსმენით კომიკური ბგერითი სიმბოლო წარმოუდგენელი სივრცის მომცველ თეოლოგიურ წრეს. თუმცა, ხმითა და ბგერით არა მარტო თეოლოგიური წრე იკვრება «ღვთაებრივ კომედიამში», არამედ ცხადდება პოეზიის ადგილი შექმნილ სამყაროში. სწორედ ამას მიგვანიშნებს «განსაწმენდელის» მეორე ქების ერთი უცნაური ადგილი. განსაწმენდელის ნაპირზე მყოფი დანტე მოულოდნელად შეხვდება ახალმოსულ სულთა ჯგუფს, რომელთა შორის

არის მისი მეგობარიც – მუსიკოსი კაზელა. პოეტის თხოვნით კაზელა მღერის დანტეს ერთ-ერთ კანცონას: L'amor che nella mente mi ragiona – სიყვარული, რომელიც აზროვნებს ჩემს გონებაში. ირგვლივ მყოფებს გაიტაცებს ჰანგისა და ლექსის ძალა:

Lo mio maestro e io e quella gente
ch'eran con lui parevan sm contenti,
come a nessun toccasse altro la mente (Purg. II, 115-117)

[ჩემი ოსტატი, მე და მასთან მდგომი ის ხალხიც იმდენად კმაყოფილნი ვჩანდით, თითქოს სხვა არაფერი ეხებოდა ჩვენს გონებას].

რა შეიძლება ინატროს ამაზე უკეთესი ხელოვანმა? მაგრამ უეცრად ჩნდება განსაწმენდელის კარიბჭის მცველი კატონი და მრისხანედ მიმართავს გალობის მსმენელ სულებს:

Correte al monte a spogliarvi lo scoglio
ch'esser non lascia a voi Dio manifesto (Purg. II, 122-123)

[გაიქეციოთ მთისკენ და მოიცილეთ ქერცლი, რომელიც ღვთის განცხადებულად ხილვას გიშლით].

ამ ბრძანებაზე კაზელა გალობას წყვეტს და დამფრთხალი სულები სასწრაფოდ აუყვებიან განსაწმენდელის აღმართს. რატომ გასწირა ასე სასტიკად დანტემ საკუთარი შემოქმედება და მასთან ერთად მთელი პოეზია? ჩარლზ სინგლტონის აზრით, აქ საქმე გვაქვს ავგუსტინე ავრელიუსის მოძღვრების აპლიკაციასთან: იგულისხმება კატაფატიკური მიდგომის ერთ-ერთი მთავარი პოსტულატი იმის შესახებ, რომ ყოველი ნივთი ან მოვლენა მნიშვნელოვანია არა თავისთავად, არამედ როგორც ერთგვარი ნიშანი, რომელმაც საბოლოოდ შემოქმედის შემეცნებამდე უნდა მიგვიყვანოს. ამგვარად, პოეზია არის მხოლოდ ერთ-ერთი ნიშანი ჭეშმარიტებისკენ აღმავალ გზაზე, მისი ზედმეტად დაფასების შემთხვევაში კი გზამკვლევი ნიშანი ადვილად იქცევა მხედველობის დამბურავ ქერცლად. რა თქმა უნდა, ახსნა ლოგიკურია, მაგრამ არსებობს ერთი ყურადსაღები გარემოება: იტალიური სიტყვა «scoglio» ნიშნავს არა მარტო ქერცლს ან, ფიგურალურად, უწმინდურების ნადებს, არამედ კლდეც. უფრო მეტიც, დღევანდელ ენაში ის მხოლოდ «კლდე» ნიშნავს, რადგან ქერცლისა და ნადების მნიშვნელობის აღმნიშვნელმა სიტყვამ ორაზროვნების თავიდან ასარიდებლად გრამატიკული სქესი შეიცვალა (scoglia). რომელი კლდე დგას დაბრკოლებად განსაწმენდელში შემოსულ სულებსა და ღმერთს შორის? თუმცა, ამ პრობლემის გარკვევა სცილდება წინამდებარე სტატიის თემას...

7 ივნისი, 2006 წელი.

ზაზა შათირიშვილი

ვაჟა-ფშაველა და პოეზიის საწყისი

როგორც მიწიდან იზრდება ბალახი,
ისე იზრდება ენიდან ლექსი...
ფრიდრიხ ჰოლდერლინი

«სტუმარ-მასპინძლისა» და «ალუდა ქეთელაურის» საერთო თემა პიროვნებისა და საზოგადოების კონფლიქტია. მაგრამ საქმე ისაა, რომ, მაგალითად, «სტუმარ-მასპინძელში» ერთმანეთს უპირისპირდება არა „კოლექტიური» და „ინდივიდუალური», არა პიროვნება და საზოგადოება (თემი), არამედ ორი კანონი – სტუმარ-მასპინძლობის „წესი» (ოჯახის კანონი) და „წესი» სისხლის აღებისა (თემის კანონი). ჯოყოლა და ალაზა იცავენ ერთ წესს, ხოლო თემი – მეორეს და, ცხადია, რომ (როგორც ჭეშმარიტ ტრაგედიაში), ორივე მხარე მართალია.

ჩემი აზრით, ვაჟა-ფშაველას „ჰუმანისტური» ინტერპრეტაცია (რომ ვაჟა გმობს ერთა შორის შუღლსა და „გლობალურ ღირებულებებს» ამკვიდრებს; რომ „ინდივიდუალიზმი» აქ „ტოტალიტარიზმსა» და „კოლექტივიზმს» უპირისპირდება) ქრონოლოგიური პროვინციალიზმის გამოვლინებაა. ვაჟა-ფშაველას გააზრება მხოლოდ მარადიულ კონტექსტში შეიძლება: „მარადიული» კი აქ მეტისმეტად მარტივ რამეს აღნიშნავს – უწყვეტ კლასიკურ პოეტურ ტრადიციას.

პოლისი და ოჯახი

ტრაგედია, ჰეგელის ესთეტიკის თანახმად, ესაა, როცა ზეცა მიწას უპირისპირდება, ოჯახი – ქალაქს, ოლიმპოს ღმერთები – ქვესკნელის ღმერთებს, ოჯახის კანონი – პოლისის კანონს და როცა ორივე მხარე მართალია. მიცვალებულის დამარხვა, ისევე როგორც სტუმარ-მასპინძლობის „წესის» დაცვა, ოჯახის საქმეა, ხოლო მოღალატის დასჯა თუ სისხლის აღება – პოლისმა (თემმა) უნდა აღსარულოს. ამიტომაც, ჰეგელის აზრით, საუკეთესო ტრაგედია არის არა სოფოკლეს «ოიდიპოს მეფე» (როგორც ამას არისტოტელე ფიქრობს), არამედ სოფოკლეს «ანტიგონე».

ანტიგონეს კონფლიქტი ისაა, რომ ანტიგონეს ძმა – პოლინიკე – ერთ-ერთი იმ შვიდთაგან, რომელიც თებეს წინააღმდეგ იბრძოდა – თებეს მეფემ, კრეონმა, როგორც მშობლიური ქალაქის მოღალატე, დაუმარხავი დატოვა. ამიტომაც დაირღვა დამარხვის რიტუალი – პოლინიკე ჰადესის მიღმა დარჩა, რის გამოც ქვესკნელის ღმერთები შეურაცხყოფილნი და განრისხებულნი არიან. მათი რისხვა, ცხადია, ოჯახს დაატყდება, რადგან დამარხვის რიტუალი ოჯახმა უნდა აღასრულოს, მაგრამ, მეორე მხრივ, მოღალატე უნდა დაისაჯოს, მისი დასჯა კი – პოლისის საქმეა. მაშასადამე, ერთმანეთს უპირისპირდება ორი კანონი – პოლისის კანონი, რომელსაც ოლიმპიელი (ზეციური) ღმერთები მფარველობენ, და ოჯახის კანონი – რომელსაც ქვესკნელის (ხთონური) ღმერთები განაგებენ.

«სტუმარ-მასპინძელში» სამი კონფლიქტია: ჯოყოლა უპირისპირდება თემს, ანუ სტუმარ-მასპინძლობა უპირისპირდება სისხლის აღებას; ალაზასაგან ზვიადაურის დატირება ასევე, უპირისპირდება თემის კანონს, ხოლო სულ ბოლოს, ჯოყოლა ისევ უპირისპირდება თემს, რადგან „მარტო ბრძოლა» სახლის, ოჯახის, ანუ საკუთარი ღირსების დაცვაა, ხოლო თემი, ცხადია, სხვაგვარად ფიქრობს. სამივე შემთხვევაში მართალია ორივე მხარე, რადგან ორივე მხარე ოდენ ერთ „წესს», ერთ კანონს იცავს და ადასრულებს.

«სტუმარ-მასპინძელი» ტრაგიკული ნაწარმოებია, მაგრამ არ არის ტრაგედია – ესაა ეპოსი.

ზღვა და მთა

თავდაპირველად იყო ზღვა და იყო ქალაქი ტროა. ამის შემდეგ კი იყო დიდი ომი. ტროას ომიდან ნაწილებად და ნაწილებად მობრუნებულ ვეტერანებს მოჰქონდათ არა ოდენ სახელი და დიდება. მათ მოჰქონდათ ამბები, ლექსად ნათქვამი ამბები, რადგანაც სალექსო საზომი – ესაა მეხსიერებისა და ენის ბუნებრივი ყალიბი. მაგრამ ბუნებას სჭირდება საკუთარი თავი – სტიქია, რათა ამბავი ლექსად იქცეს, ხოლო სიტყვა შეუწყობელი – შეწყობილ სიტყვად. როცა ტროას ომის ვეტერანები იონიის ზღვაზე მოცურავდნენ, ისინი ნიჩბებს რიტმულად უსვამდნენ – მოსმა / პაუზა / მოსმა / პაუზა / მოსმა – ასეთი იყო დაბრუნების რიტმი. ტროას ომის ამბებიდან და ზღვის ზვიადაური ჯოყოლასთვის და ალაზასთვის უკვე ძმაა. მოსისხლე, რომელიც მსხვერპლად შეწირეს, სტუმარ-მასპინძლობის ქრონოტოპოსში – ესაა ძმა, რომელიც მოკლეს. მოკლული და დაუმარხავი ძმა არ შეიძლება დაუტირებელი დარჩეს. წესი არ არის. სწორედ ამიტომ, სტუმარ-მასპინძლობა და ძმადნაფიცობა საიქიოსაც ჰყოფს.

ქვესკნელის ღმერთები კი ჩუმად არიან. ისინი უკვე აღარ არიან ღმერთები.

არისტობულოსის ამბავი

როდესაც პატროკლეს ცხედრისთვის ბრძოლას დაიწყებენ, ერთი ქისტი გადაწყვეტს, რომ „მარტოვამ უნდა იომოს». მარტოვამ უნდა იომოს, რადგან მისი სტუმარი და ძმა დაუმარხავია, ხოლო მისი ღირსება შელახულია. ის უნდა შეებრძოლოს მტერს, რადგან უნდა დაიცვას უკვე არა მთლიანად თემი, არამედ ოდენ საკუთარი სახლ-კარი, ოჯახი, ოჯახის წესი, ანუ ღირსება.

ჰეროდოტე თავის ისტორიაში გვიყვება ვინმე სპარტელი არისტობულოსის ამბავს: როცა მან შეატყო, რომ სპარტელები მარცხდებოდნენ, გამოვიდა ფალანგიდან, სხვა მხრიდან შეუტია მტერს, მარტომ იბრძოლა და სპარტელებს გამარჯვებაში დაეხმარა. სპარტელთა კანონის თანახმად, ფალანგიდან გამოსვლა არ შეიძლებოდა. ამიტომაც, არისტობულოსი ქალაქის კედლების გარეთ დაუმარხავი დატოვეს.

არისტობულოსის შემთხვევაში ერთმანეთს დაუპირისპირდა პოლისის სიყვარული და პოლისის კანონი.

ჯანდი და პირიმზე

ჯოყოლა და ზვიადაური, ცხადია, საიქიოშიც ძმადნაფიცები არიან. ასევე, ზვიადური და ალაზა და-ძმა საიქიოშიც. უფრო ზუსტად, სწორედ საიქიოს ეს ვიზიონი („სურათი») ამტკიცებს, რომ სტუმარ-მასპინძლობა, ძმადნაფიცობა, დის მიერ ძმის დატირება ნამდვილად მოხდა. ეს ყოველივე ჭეშმარიტია. ყველაფერი სწორია. ყოველივე ის, რაც მოხდა, სტუმარ-მასპინძლობის წესის მიხედვით მოხდა. ამიტომაც, ვიზიონი ლოკალიზებულია სივრცეში – ჩნდება სწორედ იმ ადგილას, სადაც ჯოყოლა მოკლეს.

მაგრამ ვიზიონს ჯანლი ეფარება –

მაგრამ გაჩნდება ჯანლი რამ
კურუმად შავის ფერთა,
დაეფარება სანახავს
წერა-მწერალის წერთა.
ზედ აწევს ჯადოსავითა,
არ დაიმტვრევა კვერითა,
ვერ შეულოცავს მლოცავი,
არ აიხდება ხელითა.
მხოლოდ მდინარის ხმა ისმის,
დაბლა მიქანავს ხველითა
და უფსკრულს დასცქერს პირიმზე
მოღერებულის ყელითა...

რა არის ეს ჯანლი? რაღა თქმა უნდა, ეს არაა ის „შავი ნისლი», რომელიც პოემის დასაწყისში როგორც „სტუმარი ცოტა ხანისა, / ხვალ სხვაგან წავა აქითა».

მაშ, რა არის ეს ჯანლი? საქმე ისაა, რომ როგორც არსებობს თემის წესი და სტუმარ-მასპინძლობის წესი, ასევე, არსებობს ჯანლი და პირიმზე „მოღერებულის ყელითა». ჯანლი და პირიმზე ბუნების ორ „წესზე» მიგვითითებს. მაგრამ იმისათვის, რათა სტუმარ-მასპინძლის ფინალი და ბუნების ეს ორი წესი გავიგოთ, საჭიროა ვაჟას სხვა ტექსტის მოხმობა:

ბუნება მბრძანებელია,
იგივ მონაა თავისა,
ზოგჯერ სიკეთეს იხვეჭავს,
ზოგჯერ მქმნელია ავისა,
ერთფერად მტვირთველი არის
საქმის თეთრის და შავისა;
საცა პირიმზეს ახარებს,
იქვე მთხრელია ზვავისა...

ბუნების ამ ორი წესის „დიალექტიკური სინთეზი» ვაჟასთან არ ხდება, რადგანაც ეს შეუძლებელია. შესაძლებელია ოდენ შერიგება.

ვაჟა-ფშაველა და კლასიკური პოეტური ტრადიცია

«ალუდა ქეთელაური», «გველისმჭამელი» და «სტუმარ-მასპინძელი» შერიგების გარეშე მთავრდება. ბუნების ორი წესი ყველგან უპირისპირდება ერთმანეთს. ოღონდ, თუ სტუმარ-მასპინძელში ამ ორ კანონს სტუმარ-მასპინძლობის წესი და თემის წესი ეწოდება, «გველისმჭამელში» ესაა – ქაჯების წესი და კაცთა წესი, «ალუდა ქეთელაურში» – „მტერობა» და „კაი-ყმობა».

ესქილეს ორესტეა წარმოგვიდგენს და გვიჩვენებს, რომ შერიგება შესაძლებელია – ოღონდ მხოლოდ მაშინ, თუ ოლიმპოსა და ქვესკნელის ღმერთები შეთანხმებას მიაღწევენ. მხოლოდ ამის შემდეგ დაეხსნებიან შურისმაძიებელი ერინიები დედისმკვლელ ორესტეს. მაგრამ, საქმეც ისაა, რომ ეს შერიგება დროებითია. ეს უფრო მორიგებაა, ვიდრე შერიგება.

კითხვაზე, თუ როგორაა შესაძლებელი შერიგება, ანტიკურ პოეზიას პასუხი არა აქვს. მაგრამ ანტიკურ პოეზიას აქვს ის ყალიბი, რომელმაც ეს შერიგება შეიძლება გამოხატოს – ესაა ვერგილიუსის «ენეიდა». როგორც კლასიკოსი ფილოლოგი რუდოლფ ბორხარდტი აღნიშნავს, «ენეიდა» – „ესაა მთელი ლათინური დასავლეთის ძველი აღთქმა», ისევე როგორც „ელინური აღმოსავლეთის ძველი აღთქმა პლატონია – ორივე [ვერგილიუსი და პლატონი] ახალი აღთქმისკენ მონიშნავს გზას, ორივეს ძალუმს მისი მიღება და ათვისება,» – დასძენს ერნსტ რობერტ კურციუსი.

თუკი ჰომეროსი ქალაქის დანგრევისა და შინდაბრუნების ამბავს გვაუწყებს, ვერგილიუსი ქალაქის დანგრევის, ადამიანის ხსნიას და ახალი ქალაქის დაარსების ამბავს მოგვითხრობს. ვერგილიუსი მოგვითხრობს, თუ როგორ აღდგა ძველი ტროა ახალი ქალაქის სახით. ამიტომაც, ეს ახალი ქალაქი – რომი – არის მარადიული ქალაქი-ფენიქსი. როცა ენეასი ჰადესში ჩადის, ის ოდენ, ოდისევსის მსგავსად, საკუთარ მომავალს როდი უჭვრეტს, ის, ამავე დროს, ხედავს საკუთარი ქალაქის, იმ ქალაქის, რომელიც უნდა დააარსოს – მარადიულ მომავალს. ენეასი უჭვრეტს საკუთარ შთამომავლობას, ხედავს PAX ROMANA-ს და მის შემოქმედს – ავგუსტუსს. გასაკვირი არაა, რომ სწორედ ვერგილიუსი გახდა ლათინური საშუალო საუკუნეების მოძღვარი და მეგზური, დანტეს მეგზური საიქიოს გზაზე – ჯოჯოხეთიდან სამოთხის კარიბჭემდე.

მაგრამ დავუბრუნდეთ კითხვას – როგორაა შესაძლებელი ეს შერიგება? ეს შესაძლებელია ოდენ იმ შემთხვევაში, თუ თვითონ ღმერთი საკუთარი თავის მსხვერპლშეწირვით შეარიგებს მიწასა და ზეცას, პოლისსა და ოჯახს, მონასა და მბრძანებელს, პირიმზესა და ჯანღს, ელინსა და იუდეველს, საეროსა და სასულიეროს – შეარიგებს ერთხელ და სამუდამოდ შემრიგებელი რიტუალით, რომელიც იქნება მის მიერ, მასთან ერთად და მასში.

ვაჟას ერთადერთი პოემა, რომელიც შერიგებით მთავრდება, «ბახტრიონია»:

დაფიქრდა გველი ძლიერად,
გული ევსება ბრალითა.
ბევრის ცოდვების მოქმედსა
გადაუბრუნდა გუნება:
რა სიბრალულით იმსჭვალვის

მისი გველური ბუნება!

... ..

მთელს ერთ თვეს ასე უვლიდა
ადამის მოდგმის მტერია,
ბოროტების გზა გაუშვავს,
სიკეთე დაუჭერია!

დროთა აღდგენის ეს ყალიბი, ასევე ვერგილიუსთან გვხვდება, ოღონდ არა «ენეიდაში», არამედ ბუკოლიკების IV ეკლოგაში:

ULTIMA CUMAEI VENIT IAM CARMINIS AETAS;
MAGNUS AB INTEGRO SAECLORUM NASCITUR ORDO.
IAM REDIT ET VIRGO, REDEUNT SATURNIA REGNA,
IAM NOVA PROGENIES CAELO DEMITTITUR ALTO.
TU MODO NASCENTI PUERO, QUO FERREA PRIMUM
DESINET AC TOTO SURGET GENS AUREA MUNDO,
CASTA FAVE LUCINA; TUUS IAM REGNAT APOLLO.

დადგება, სიბილას სიტყვით, ჟამთასვლის მარადი რკალი,
თავიდან იწყება დროის დიდებულ წყობათა სრბოლა.
გვახარებს ქალწული კვლავაც სატურნის საუფლოს მოსვლას,
ახალი თაობა ზევით ეშვება ისევე მალლით.
ო, ამ ახალშობილ პირმშოს _ სასწაულს _ ნიშანს, რომ რკინის
თაობას ოქროსით შეცვლის, მეოხად ეყავ და შემწედ,
ქალწულო ლუცინავ! უფალ აპოლოს სუფევის დროა.

16 ივნისი, 2006 წელი.

ლაშა ბაქრაძე

ქართველები გერმანელების მხარეს მეორე მსოფლიო ომში

2005 წელს მეორე მსოფლიო ომის დასასრულიდან 60 წელი შესრულდა. სწორედ ამ თარიღს მიეძღვნა ჩემი მოხსენება, რომელიც გოეთეს ინსტიტუტში წავიკითხე. მოხსენება ეხება მეორე მსოფლიო ომის დროს პროპაგანდას როგორც გერმანიის, ისე საბჭოთა კავშირის მხრიდან. მოგეხსენებათ, პროპაგანდის მეთოდოლოგია და ტექნოლოგიები თავისთავად არის საინტერესო თემა.

ზავარიის მთავარ სახელმწიფო არქივში (მიუნხენი) კავკასიასა და საქართველოში პროპაგანდისტვის გამიზნულ ნაცისტურ პლაკატებს წავაწყდი და სურვილი გამიჩნდა, ისევ დავბრუნებოდი ჩვენში ჯერ კიდევ თითქმის უცნობ თემას – გერმანულ-ქართულ თანამშრომლობას, კოლაბორაციას მეორე მსოფლიო ომში.

ზავარიის არქივის პლაკატების ასლებისა და ეროვნული ბიბლიოთეკის ომისდროინდელი საბჭოთა პლაკატების გამოფენა გოეთეს ინსტიტუტში 9 მაისს გაიხსნა. მასში საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკაც მონაწილეობდა, რომელშიც ომისდროინდელი საბჭოთა პლაკატების საინტერესო კოლექცია ინახება. გამოფენილ პლაკატთა შორის სამი სპეციალურად საქართველოსთვის იყო გაკეთებული. სულ ვიპოვე 6 გერმანული პლაკატი, რომლებიც სპეციალურად კავკასიაში პროპაგანდისტვის დაიბეჭდა. მიუხედავად იმისა, რომ გერმანელებმა ვერ მოასწრეს საქართველოს დაპყრობა და კავკასიაში მხოლოდ რამდენიმე უღელტეხილის დაკავება მოახერხეს, პროპაგანდისტვის კარგად მომზადებული იყვნენ (იხ. I პლაკატი). შემდეგ სურათზე კარგად ჩანს, როგორ დებენ ფიცს ქართველები გერმანულ დროშაზე. ახლა დავუბრუნდეთ მოხსენებას:

1941 წლის 22 ივლისს იოზეფ გებელსმა გერმანელ ხალხს ფიურერის მოწოდება წაუკითხა რადიოში (სხვათა შორის, იმავე დღეს საბჭოთა კავშირშიც მოლოტოვმა და არა სტალინმა მიმართა საბჭოთა ხალხს):

„...გერმანელო ხალხო! ამ მომენტში მიმდინარეობს შეტევა, რომელიც გაშლილობითა და მასშტაბით უდიდესია მსოფლიოს ისტორიაში... ამიტომ მე გადავწყვიტე, გერმანიის იმპერიისა და ჩვენი ხალხის ბედი და მომავალი ისევ ჩვენს ჯარისკაცებს მივანდო. დაე, ღმერთი იყოს ჩვენი მშველელი სწორედ ამ ბრძოლაში!»

გერმანია-საბჭოეთის ხელშეკრულების შემდეგ დამდგარი 22 თაფლობის თვე დამთავრდა ისე, როგორც მოსალოდნელი იყო. თავის მოკავშირე ბენიტო მუსოლინის ჰიტლერმა 21 ივნისს, ომის წინა დღეს აცნობა საბჭოეთზე თავდასხმის გადაწყვეტილება: „ახლა კი ბედნიერი ვარ, რომ ამ ტანჯვისგან (გულისხმობდა „მეგობრობის« თვეებს) გავთავისუფლდი». ჰიტლერი არ ენდობოდა მუსოლინის და სწორედ ამიტომ შეატყობინა ომის დაწყება წინა დღეს. ჰიტლერს ეწინააღმდეგებოდნენ მთელი რიგი გენერლები – ახსენებდნენ ბისმარკის ანდერძს იმის თაობაზე, რომ გერმანიამ არასდროს არ უნდა დაიწყოს ომი ერთდროულად ორი მიმართულებით. ასეთი ტოტალური რეჟიმებისთვის დამახასიათებელია ერთპიროვნული გადაწყვეტილებები და, მიუხედავად ამდენი გაფრთხილებისა, ომისთვის მზადება დაიწყო. ჰიტლერმა ეს ომი პრევენციულად გამოაცხადა. მისი განმარტებით, თუ გერმანია თავს არ დაესხმებოდა საბჭოთა კავშირს, მაშინ საბჭოთა კავშირი დაასწრებდა. აქედან იღებს სათავეს ლეგენდები იმის შესახებ, თითქოს პირველად საბჭოთა კავშირი დაესხა თავს გერმანიას. ცნობილია „ყინულმჭრელის« თეორია, რომელიც სსრკ-დან გაქცეულმა უშიშროების ყოფილმა თანამშრომელმა სუვოროვმა (ფსევდონიმია) დაწერა. ასეთი მოსაზრება 1941 წლისთვის არსებობდა, თუმცა, რა თქმა უნდა, სიმართლეს არ შეესაბამება. სტალინს 22 ივლისამდე არ სჯეროდა, რომ გერმანია თავს დაესხმებოდა. მაგრამ, როგორც ჩანს, ფარულად მაინც ემზადებოდა – ომის დაწყებისას საზღვარზე თანაბარი ძალები იყო. ამ ორმა ქვეყანამ, გერმანიამ და საბჭოთა კავშირმა, მეორე მსოფლიო ომის დასაწყისშივე გაიყვეს აღმოსავლეთ ევროპა და ახლა ორი ტოტალიტარული რეჟიმი ერთმანეთის

პირისპირ იდგა. ჰიტლერის გეგმის მიხედვით, წლის ბოლოსთვის რუსეთი და კავკასია უნდა აეღოთ და ურალამდე მისულიყვნენ. გერმანია მომზადებული არ იყო იმისთვის, თუ როგორ უნდა განეხორციელებინა მმართველობა ოკუპირებულ ტერიტორიებზე. სამაგიეროდ, მომზადებულნი იყვნენ ის პიროვნებები, რომლებიც ომის მოგების შემდეგ თანამდებობებზე უნდა დანიშნულიყვნენ.

1940 წლის ივლისიდან გერმანია აღმოსავლეთში ომისთვის ემზადებოდა. საგარეო საქმეთა სამინისტროს, გენერალური შტაბისა და სხვა უწყებების მაღალჩინოსანთა გაფრთხილებების მიუხედავად ფიურერის 1940 წლის 18 დეკემბრის სრულიად საიდუმლო ბრძანებით „ოპერაცია ბარბაროსა» (საბჭოთა კავშირზე თავდასხმა) გადაწყვეტილი საქმე იყო.

„როცა «ბარბაროსა» დაიწყება, მსოფლიო სუნთქვას შეიკრავს» – ადოლფ ჰიტლერი.

ჰიტლერი დარწმუნებული იყო სწრაფ გამარჯვებაში და ოკუპირებული ტერიტორიების მოწყობაზე, მოსახლეობის ბედზე, მათ გადმოსაბირებლად ან მათ შორის პროპაგანდის წარმოებაზე ფიქრით თავს დიდად არ იწუხებდა. 1941 წლის 30 მარტს ჰიტლერმა 250 გენერლის წინაშე მომავალი ომი „ორ მსოფლმხედველობას შორის ბრძოლად» და „გამანადგურებელ ომად» გამოაცხადა. ის ითხოვდა „ბოლშევისტური კომისრებისა და კომუნისტური ინტელიგენციის განადგურებას». მაგრამ ამ გეოპოლიტიკურ „საცხოვრებელ სივრცეში» (Lebensraum) კავკასია არ მოიაზრებოდა, ერთი ზოგადი გეგმა არ არსებობდა. ამის გამო გერმანიის სხვადასხვა უწყებები თავიანთ „კავკასიურ გეგმებს» ადგენდნენ.

დაპირისპირება გერმანულ უწყებათა შორის კავკასიის მაგალითზე

ჰიტლერმა ჯერ კიდევ 1933 წელს გერმანელი ოფიცრების წინაშე გერმანიის მომავალ მიზნად „აღმოსავლეთში საცხოვრებელი სივრცის» მოპოვება და მისი გერმანიზება დასახა. ეს ეთნო-სოციალ-დარვინისტული საფუძვლის მქონე გეოპოლიტიკური კონცეფცია, რომელიც ნაცისტური გერმანიის იდეოლოგიის ერთ-ერთ ქვაკუთხედად იქცა, მიზნად ისახავდა საბჭოთა ტერიტორიიდან რასობრივად არასასურველი 30 მილიონამდე აბორიგენის გაძევებას (პრაქტიკულად კი ამოწყვეტასაც) და აქ გერმანელების დასახლებას (მართალია, ეს საკითხი არც გერმანელ ხალხთან იყო შეთანხმებული – აღმოსავლეთში გადასახლების მსურველი ძალიან ცოტა თუ იქნებოდა). ჰიტლერი იმდენად იყო შეპყრობილი ამ იდეით, რომ 1945 წლის 29 აპრილს, თვითმკვლელობის წინა დღეს, თავის უკანასკნელ მიმართვაში არმიას ისევ „აღმოსავლეთში საცხოვრებელი სივრცის» მოპოვებისკენ მოუწოდებდა. გერმანელების უხეში, პრიმიტიული, რასისტული იდეოლოგიით გაჟღენთილი პოლიტიკა გერმანიის დამარცხების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზეზი გახდა.

საინტერესოა ერთი რამ: მიუხედავად იმისა, რომ ძირითად გადაწყვეტილებებს ჰიტლერი იღებდა, მისადმი დაქვემდებარებულ სამინისტროებში დიდი დაპირისპირება იყო. გერმანიის ხელისუფლება არ უნდა წარმოვიდგინოთ ერთ მონოლითურ ძალად. კომპეტენციები კარგად გამიჯნული არ ყოფილა – ნაციონალ-

სოციალისტურ პარტიასა და სხვადასხვა უწყებათა შორის კონკურენცია უფრო სუფევდა, ვიდრე თანამშრომლობა. ომის დროს გერმანულ უწყებათა და მათ ხელმძღვანელთა შორის, განსაკუთრებით აღმოსავლეთის პოლიტიკაში, გაჩნდა დაპირისპირება, შეიძლება ითქვას, მტრობაც. პატარა ფიურერები ერთმანეთს ექიშპებოდნენ დიდი ფიურერის წინაშე თავის გამოჩენისა და გავლენათა სფეროს გაფართოების მიზნით. გარდა ამისა, თუ ჰიტლერის მთავარი არქიტექტორისა და ომისდროინდელი შეიარაღების მინისტრ ალბერტ შპერის სიტყვებს მოვიშველიებთ – «დამოკიდებულება სხვადასხვა მაღალჩინოსან ფიურერს შორის შესაძლებელია გასაგები გახდეს მხოლოდ მაშინ, თუ მათ ფიქრსა და მიზნებს ავხსნით, როგორც ბრძოლას ჰიტლერის მემკვიდრეობისათვის».

კავკასიასთან დაკავშირებით სამი რამ იყო ომის დასაწყისში ცხადი: გერმანიას სჭირდებოდა კავკასიის ნავთი (გროზნო და ბაქო). რასისტული თეორიის თვალსაზრისით, კავკასია ძირითადად არიელებით იყო დასახლებული (სომხებზე აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა) და კავკასიელების გადასახლება არ იგეგმებოდა.

ომის დაწყებისას ჰიტლერმა თქვა:

„კავკასია, თუ მისი ნავთის მიღება გვინდა, უმკაცრესი მეთვალყურეობის ქვეშ უნდა ავიყვანოთ, რადგანაც სხვა პირობებში, ამ სისხლის ალებით დაორსულებულ სივრცეში, ტომებს შორის მტრობა შეუძლებელს გახდის ყოველგვარ სარგებლიან ექსპლუატაციას».

ვინ იყვნენ ის ქართველები, რომლებიც, მეტ-ნაკლებად ახდენდნენ გავლენას გერმანიის პოლიტიკაზე? ნაციზმის ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგი, ომის დაწყების შემდეგ ოკუპირებული აღმოსავლეთის ტერიტორიების მინისტრი, ბალტიელი გერმანელი ალფრედ როზენბერგი¹ კარგად იცნობდა ემიგრანტულ წრეებს და გარკვეულწილად, მათ გავლენასაც განიცდიდა. ყოფილი საბჭოთა ტყვეები, ძირითადად, ომის შუა პერიოდში შემოვიდნენ სცენაზე. როზენბერგთან განსაკუთრებით დაახლოებული ალექსანდრე ნიკურაძე იყო. მას გერმანელი ცოლი ჰყავდა და კარგად იცნობდა ხელისუფლების წარმომადგენლებს. ნიკურაძე გერმანიის მოქალაქე და 1934 წლიდან ნაცისტური პარტიის წევრი, განათლებით ელექტროფიზიკოსი იყო, მაგრამ ჰაუსჰოფერთა და შპენგლერით გატაცებული ბუნებისმეტყველებისა და გეოპოლიტიკის შეთავსებას ცდილობდა. ძველმა ნაცნობმა, ალფრედ როზენბერგმა მას „კონტინენტალური ევროპის კვლევის ინსტიტუტი» შეუქმნა, სადაც ამ თემის კვლევას აწარმოებდნენ ჰაუსჰოფერის თეორიის ჭრილში. როზენბერგს ძალზე მოსწონდა ნიკურაძის შეხედულებები; ნიკურაძის თანამოაზრე იყო მისი ძმა იოანეც.

ალექსანდრე ნიკურაძე ფსევდონიმით – „ა. ზანდერსი» – რამდენიმე გეოპოლიტიკური შინაარსის წიგნის ავტორია, მათ შორის წიგნისა „კავკასია» (სამჯერ

¹ ალფრედ როზენბერგი – (ტალინი, 1893_1946) არქიტექტურასა და საინჟინრო საქმეს რევალსსა (ტალინსა) და მოსკოვში სწავლობდა. 1918 წელს გერმანიაში გაიქცა. ჰიტლერის გაცნობის შემდეგ 1920 წლიდან იყო ნსმშგ-ის წევრი. გამოაქვეყნა ანტიემიტური და ჟიდომასონების მსოფლიო შეთქმულების წინააღმდეგ მიმართული ნაწარმოებები, ცნობილი „ფალშივკა», „სიონის ბრძენთა ოქმები». დიტრიხ ეკარტის გარდაცვალების შემდეგ „ფოლკ. ბეობ.» მთავარი რედაქტორი. 1924 წელს 1923 წლის პუტჩის შემდეგ ჰიტლერი მას ციხიდან თავის მოადგილედ ნიშნავს. 1930 წელს აქვეყნებს სქელტანიან წიგნს – „მეოცე საუკუნის მითი», რომელიც ჰიტლერის „მან კამპფის» შემდეგ ნაციონალსოციალიზმის მთავარი წიგნია. 1933_1945 ნსმშგ-ის საგარეო პოლიტიკის ამტის უფრ. 1934 წლიდან „ფიურერის რწმუნებული ნსმშგ-ის მთელი სულიერი და მსოფლმხედველობითი სწავლისა და აღზრდის სამეთვალყურეოდ». 1941_45 მინისტრ. 1946 ნიურნბერგის ტრიბუნალის გადაწყვეტილების შესაბამისად სიკვდილით დასაჯეს.

გამოიკა: მიუნხენი 1938, 1942, 1944), რომელშიც ის კავკასიისთვის საქართველოს განსაკუთრებულ მნიშვნელობას წარმოაჩენს. მისი წარმოდგენით, საქართველოს, როგორც ცენტრალურსა და პოლიტიკურ, ყველაზე უნარიან ქვეყანას, კავკასიაში იგივე როლი ენიჭებოდა, როგორც გერმანიას ევროპაში. მის გავლენას უნდა მივაწეროთ როზენბერგის პროქართული შეხედულებები – იგი ჯერ კიდევ 1927 წელს ანიჭებდა დიდ მნიშვნელობას კავკასიის რუსეთისგან გამოყოფას, ხოლო 1941 წლის აპრილში წერდა, რომ „კავკასიის ხალხებს შორის ქართველები ისტორიულად უთუოდ წამყვანები იყვნენ» და ამიტომ „ქართველები, შეიძლება ითქვას, მასპინძელი ხალხი უნდა გახდეს კავკასიური სახელმწიფოების კონფედერაციისა, ... რომლებმაც შესაძლებელია გერმანიას სთხოვონ მათი კულტურული და ეროვნული არსებობის დაცვა». რასაკვირველია, გერმანია ასეთ პასუხისმგებლობას არ გაეცეოდა. როზენბერგის წარდგინებით 1941 წლის 16 ივლისს ჰიტლერმა კავკასიის მომავალ რაიხსკომისრად როზენბერგით ბალტიელი გერმანელი, არნო შიკედანცი დანიშნა (ცოტა არ იყოს უცნაურია, რომ წითელი კომისრების განადგურებისკენ მოწოდებების მიუხედავად, გერმანელები იგივე სიტყვას ხმარობდნენ. ეს ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობის უნდობლობასაც იწვევდა). ეს პრიმიტიული რასისტი, საშუალო დონის ჟურნალისტი და უნიათო მოხელე შიკედანცი ნიკურამის გავლენის ქვეშ იყო და ომის დროს სხვა არაფერი გაუკეთებია საკუთარი საგუბერნატორო-საკომისრო სასახლის გეგმების შედგენის გარდა, რომელიც, რასაკვირველია, კავკასიის დედაქალაქ თბილისში უნდა წამოეჭიმათ. შიკედანცს ომის დროს ფეხი არ დაუდგამს კავკასიაში². სამწუხაროდ, ამ სასახლის გეგმა არ მოგვეპოვება.

როზენბერგს იმდენად სჯეროდა ალექსანდრე ნიკურამის, რომ 1944 წელს (!) დაავალა, მთელი შტაბით პარიზში გადასულიყო ფრანგ მოაზროვნე საზოგადოებაში როზენბერგის ევროპული იდეების საქადაგებლად. ამ დროისთვის გერმანელები ხედავდნენ, რომ პრობლემები იქმნებოდა და ომი მათთვის ცუდად დამთავრდებოდა. თუმცა, ჯერ კიდევ ცოტა ადამიანი მოელოდა გერმანიის ასეთ სასტიკ დამარცხებას.

აღმოსავლეთის სამინისტროს (ასე ერქვა შემოკლებით როზენბერგის სამინისტროს) პროქართული განწყობა ძალიან აღელვებდათ სხვა კავკასიელ ემიგრანტებს, რომელთა შორის ისედაც დიდი აზრთა შეხლა-შემოხლა იყო კავკასიის მომავლის თაობაზე. ზოგი ფედერაციის, ზოგიც კონფედერაციის, სხვები კი დამოუკიდებელი სახელმწიფოების ჩამოყალიბების ან კიდევ პროთურქული ორიენტაციის მომხრენი იყვნენ. მათ აზრს ისედაც არავინ უგდებდა ყურს გერმანულ უწყებებში. განსხვავებით პირველი მსოფლიო ომის პერიოდისგან, ემიგრანტულ გაერთიანებებს ნაცისტები თავიდანვე უნდობლობით ეკიდებოდნენ: გერმანია-საბჭოთა კავშირის პაქტის დროს მათი მოქმედება უაღრესად შეიზღუდა, ომის დაწყების შემდეგ კი, ფაქტობრივად, აიკრძალა. ამის მიზეზი ის იყო, რომ ჰიტლერს არ სურდა ემიგრანტებთან თანამშრომლობა და გამარჯვების სხვასთან განაწილება. ნაცისტებს არ სიამოვნებდათ ულტრამემარჯვენე ემიგრანტთა მიერ ნაცისტური სიმბოლიკის გამოყენება და კრძალავდნენ ამას, ისევე როგორც

² არნო შიკედანცი – (რიგა 1893 – თავი მოიკლა „ფიურერის ბუნკერში« 1945), სტუდენტური გაერთიანება „რუბონიას» წევრი (მიიღეს 2.3.1911-ში ალფრედ როზენბერგთან ერთად). 1918 წელს გერმანელ მხედართა რევიმენტის მოხალისე. ომის შემდეგ 1923 წლამდე მანქანის ფონ შოიბნერ-რიხტერის თანამშრომელი მისი საგარეო პოლიტიკის ორგანიზაცია „აუფბაუში«. 1923 წელს ბავარიიდან გააძევეს სხვებთან ერთად ჰიტლერ-ლუდენდორფის პუტჩში მონაწილეობის გამო. 20-იან წლებში „ფოლკიშე ბეობახტერის» რედაქტორი, როზენბერგის მთავარი რედაქტორობის დროს. 1927 წელს დაწერა: „ებრაელები – ანტირასა».

უნიფორმებისა და ორდენების ქუჩაში ტარებას ან ემიგრანტთა შორის ნაცისტურ მიმართვებს (მაგ. : Parteinosse-ამხანაგო), ხოლო გერმანიის მოქალაქეებს ემიგრანტული ორგანიზაციების წევრობა ეკრძალებოდათ.

მაგრამ 1941 წელსვე ტყვეთა ბანაკებში პროპაგანდა დაიწყო მათი გადმობირებისათვის. ქართველი ემიგრანტები 1941 წლიდან აფრთხილებდნენ გერმანელებს, რომ ყურადღებით მოჰყრობოდნენ ტყვეებს. მიუხედავად ამისა, ტყვეებს იმდენად ცუდ პირობებში ამყოფებდნენ (ბანაკებში მასობრივად იხოცებოდნენ ტყვეები – გერმანიის მხარე არ აღმოჩნდა სათანადოდ მომზადებული), რომ მათი გადმობირება შემდგომში გაძნელდა.

როზენბერგის მიხედვით, კავკასიური ფედერაცია თანასწორი პარტნიორი უნდა ყოფილიყო „შავიზღვისპირეთის სახელმწიფოთა გვირგვინში», რასაკვირველია, გერმანიის ხელმძღვანელობით. კავკასია, უკრაინა, რუმინეთი და კახაკთა ტერიტორია ევროპის „გაგრძელება» გახდებოდა, როგორც თავის დროზე გოთების სახელმწიფო იყო (ნაცისტი ფიურერების ევროპული რიტორიკა, თუ რასისტულ გადახვევებს ამოვიღებთ, დიდად წააგავს დღევანდელი ევროპელი ლიდერების პროევროპულ სიტყვებს). მაგრამ როგორც არ უნდა ყოფილიყო ნათელი მომავალი, პირველი ეტაპი მაინც მკაცრი გერმანული კონტროლი უნდა ყოფილიყო და რაიხსკომისარიატის სტატუსი კავკასიისთვის, ისე როგორც უკრაინისთვის, მოსკოვეთისთვისა და ოსტლანდისთვის (ბალტიის ქვეყნები ბელორუსიითურთ) დიდად სახარბიელო არ იყო. ომის პირობებში აღმოსავლეთის სამინისტროს გეგმებით დიდად თავს არავინ იწუხებდა.

გერმანულ წრეებში მეორე გავლენიანი ქართველი მიხეილ ახმეტელი იყო, რომელიც, ძმები ნიკურაძეებისა და მრავალი სხვა ქართველის მსგავსად, 1920 წელს დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის სტიპენდიით უცხოეთში წავიდა სასწავლებლად. იგი საქართველოს პირველი რესპუბლიკის დროს გერმანიაში საქართველოს წარმომადგენლის, გასაბჭოების შემდეგ ქართული ემიგრაციის ხელმძღვანელის, შემდეგში კი კავკასიის სამეკავშირეო კომიტეტის, გნებავთ შტაბის (გერმანულად: Verbindungsstab) – ანუ მთელი კავკასიური ემიგრაციის წარმომადგენლობის თავმჯდომარის – ვლადიმერ ახმეტელის ძმისშვილი იყო. ის საბჭოთა ეკონომიკის (პირველ რიგში, სოფლის მეურნეობის) სპეციალისტი გახდა და შემდგომში ბრესლაუს (პოლონურად: ვროცლავი) სახელგანთქმულ აღმოსავლეთ ევროპის ინსტიტუტში მუშაობდა. ეს ინსტიტუტი იმ დროისთვის აღმოსავლეთ ევროპის კვლევის საუკეთესო ინსტიტუტი იყო. როგორც ჩანს, ადრიდანვე კარგი ურთიერთობა ჰქონდა სხვადასხვა დონის ნაცისტ მოხელეებთან, რომლებიც მას საბჭოეთის საუკეთესო ექსპერტად მიიჩნევდნენ. ქართველ ემიგრანტს ჰიმლერთანაც ჰქონდა ურთიერთობა, მაგრამ მისი საკონტაქტო პირი მაინც ჰაიდრიხი იყო. ჰაიდრიხი ნამდვილი ინტელექტუალი იყო, რაც ხელს არ უშლიდა ბოროტმოქმედებაში. მას ჰიმლერის ტვინსაც უწოდებდნენ. ანეგდოტიც არსებობდა ოთხი H-ს შესახებ – Himmlers Hirn heisst Heydrich – ჰიმლერის ტვინს ჰაიდრიხ ჰქვია. 1937 წლის დასაწყისში სს-ის მაღალჩინოსნებისა და ახმეტელის შეთანხმებისამებრ სს-ის, და გესტაპოს მოხელეებმა გერმანიის ყველაზე დიდი რუსეთ-საბჭოთა კავშირთან დაკავშირებული ბრესლაუს აღმოსავლეთ ევროპის ბიბლიოთეკა პირწმინდად გაწმინდეს (გაქურდეს) და მისი 33 ათასზე მეტი ტომი ბერლინში გადმოიტანეს, სადაც საბჭოთა კავშირის კვლევის

ინსტიტუტი შენიღბვის მიზნით „არქეოლოგიური კვლევის ცენტრის» სახელქვეშ შექმნეს. ამ ინსტიტუტის შეფი მიხეილ ახმეტელი გახდა. ახმეტელს გერმანელი ცოლი ჰყავდა, გერმანიის მოქალაქე და 1937 წლიდან ნაცისტური პარტიის წევრი იყო, გერმანელობდა და ქართველებთან კონტაქტს ერიდებოდა. ამბობენ, რომ სს-ში მხოლოდ იმიტომ არ შევიდა, რომ შემოთავაზებული ჩინი იუკადრისა. ის არ უყვარდათ ქართველებს და სძულდათ გერმანელ მეცნიერებს, რომლებიც მას დილეტანტიზმში, კოლეგათა დასმენებსა და მაქინაციებში ადანაშაულებდნენ.

საგარეო საქმეთა სამინისტრო და ემიგრანტები

საგარეო საქმეთა სამინისტრო ომის დასაწყისში ცდილობდა აღმოსავლეთის მიმართულებით გავლენა მოეხდინა. ეკონომიკისთვის პასუხისმგებელი გიორინგის მთავარი მიზანი კი იყო ოკუპირებული ტერიტორიების ეკონომიკური ექსპლუატაცია, რომელიც მისი ხელმძღვანელობით ტარდებოდა. როდესაც კავკასიას მიუახლოვდნენ, გერმანელები მიხვდნენ, რომ უკვე ოკუპირებულ ტერიტორიებზე არასწორ პოლიტიკას აწარმოებდნენ. მაგალითად, უკრაინელები გერმანელებს თავიდან, როგორც გამანთავისუფლებლებს შეხვდნენ, მოგვიანებით კი რასისტული პოლიტიკის გამო ჩამოშორდნენ მათ.

საგარეო საქმეთა სამინისტროში ქართველებს გულშემატკივრობდა საბჭოთა კავშირის საუკეთესო მცოდნე, გრაფი ვერნერ ფონ დერ შულენბურგი. ის პირველ მსოფლიო ომამდე თბილისში გერმანიის კონსული იყო, ომის დროს ქართველ ემიგრანტებთან თანამშრომლობდა და საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში გერმანიის დიპლომატიური სამსახურის წარმომადგენელი იყო საქართველოში. შულენბურგი იყო გერმანიის ბოლო ელჩი მოსკოვში. იგი რუსეთთან გერმანიის ომის წინააღმდეგი იყო და სტალინის გაფრთხილებასაც კი ცდილობდა. შულენბურგი 1944 წლის შეთქმულებაში მონაწილეობის გამო ღალატის ბრალდებით სიკვდილით დასაჯეს.

შულენბურგი კარგად ხედავდა ომის პირობებში საბჭოთა კავშირის ქვეყნების ემიგრანტებთან ურთიერთობის აუცილებლობას. მისი ინიციატივით ბორმანის, როზენბერგისა და სხვათა წინააღმდეგობის მიუხედავად 1941 წელს, აპრილ-მაისში ბერლინის სასტუმრო „ადლონში» ემიგრანტთა სხვადასხვა ჯგუფების კონფერენცია მოეწყო. მას შემდეგ, რაც როზენბერგის (და მის ზურგს უკან ნიკურადის) ჩარევის შედეგად ჰიტლერმა თავყრილობა აკრძალა, შულენბურგის მოწინააღმდეგეებმა ამ ღონისძიებას დაცინვით „ადლონიადა» უწოდეს. ჰიტლერმა საგარეო საქმეთა სამინისტროს აღმოსავლეთის საკითხებში ჩარევაც აუკრძალა, სამაგიეროდ, ემიგრანტებთან კონტაქტი შედგა და გერმანული უწყებები მათ ადვილად ვეღარ მოიშორებდნენ თავიდან. ემიგრანტები აღმოსავლეთის სამინისტროს გადააბარეს, სადაც მათ ძირითადად ორ მათდამი განსაკუთრებულად კარგად განწყობილ მოხელესთან ჰქონდათ ურთიერთობა – დოქტორ ოტო ბროიტგიამთან (ყოფილი კონსული) და ორიენტალისტიკის პროფესორ გერჰარდ ფონ მენდესთან.

ადლონის კონფერენციაზე რომიდან ჩამოვიდა ირაკლი ბაგრატიონი, რომელიც შულენბურგის ფავორიტი იყო ჯერ კიდევ დასაარსებელი ქართული კომიტეტის

თავმჯდომარეობაზე. როზენბერგი მას „დეგენერირებულ არისტოკრატს» ემახდა და შულენბურგს მის საქმეებში ჩარევაში ადანაშაულებდა. როგორც უკვე ვთქვით, ეს შეკრება ფაქტობრივად ჩაშალეს.

„პოლიტიკური ომის საწარმოებლად» გერმანია კარგად მომზადებული არ იყო, მაგრამ გარკვეული უწყებები, რასაკვირველია, ამაზეც მუშაობდნენ.

როგორც მოგახსენეთ, გერმანელები მიხვდნენ, რომ კავკასიაში არ გამოადგებოდათ ისეთი პოლიტიკა, როგორსაც სლავებით დასახლებულ ტერიტორიაზე ატარებდნენ. 1941 წლამდე ვერმახტი არაოფიციალურად ცდილობდა ემიგრანტების გადმობირებას, 1941 წლიდან კი ოფიციალურად დაუშვა მათი და საბჭოთა ტყვეებისგან შემდგარი ლეგიონების შექმნა. 1942 წელს შეიქმნა ჩრდილოეთ კავკასიის ლეგიონი, ჩამოყალიბდა ქართული, სომხური და აზერბაიჯანული ლეგიონები, ასევე, შერეული ლეგიონიც, მაგალითად, „ბერგმანი». მასში გაერთიანებული იყვნენ სხვა კავკასიელებიც ნახევარი გერმანელი და ნახევარი ქართველი მეომრებისგან შედგებოდა.

„ბერგმანში» მოღვაწეობდა ცნობილი გერმანელი პროფესორი ობერლენდერი, რომელიც მანამდე პრალაში მუშაობდა. მან ჩამოაყალიბა „ბერგმანი», რომლის შეფიც თავად იყო. იმ პერიოდისთვის, როდესაც გერმანელებმა საქართველომდე მოაღწიეს, თეოდორ ობერლენდერმა რამდენიმე მოხსენება გაუგზავნა ჰიტლერს, რისთვისაც ის ყოველგვარ საქმიანობას ჩამოაშორეს. ობერლენდერს ყოველთვის კარგი ურთიერთობა ჰქონდა კავკასიელებთან, მათ იცავდა, მეგობრობდა გივი გაბლიანთან და სხვა ემიგრანტებთან. თავის მოხსენებებში ის აღნიშნავდა, რომ კავკასიის მიმართ პოლიტიკა შესაცვლელი იყო და კავკასიელები მოკავშირეებად უნდა ჩაეთვალათ. მართლაც, ომის დროს ჩრდილოეთ კავკასიაში ავტონომიური ხელისუფლებები ჩამოაყალიბდა და კოლმეურნეობები გაუქმდა. ამ ავტონომიებში ჩერქეზებს, ყაბარდოელებსა და სხვა უმცირესობებს სიტყვის უფლება ჰქონდათ. გერმანელებს კარგი დამოკიდებულება ჰქონდათ ყალმუხებთან, იმდენად, რომ ყალმუხების უზარმაზარ სტეპს მხოლოდ 500 გერმანელი აკონტროლებდა. ასე რომ, საბჭოთა კავშირის მიერ გამოგონილი პარტიზანული მოძრაობა სინამდვილეში არც ყოფილა კავკასიაში.

გერმანელები თავიდანვე საკმაოდ ადვილად მივიდნენ კავკასიის უღელტეხილებამდე (თუ არ ჩავთვლით ნოვოროსიისკისა და ... ბრძოლებს). 1942 წლის ზამთარში, როდესაც სტალინგრადთან ბრძოლაში გერმანელები საბჭოთა ჯარმა გაანადგურა, ფაქტობრივად, კავკასიის ფრონტის მოწყვეტის საშიშროება შეიქმნა. გენერალმა კლაისმა, ოპერაციის მეთაურმა (რატომღაც ამ ოპერაციას BLAU ანუ «ლურჯი» ერქვა) განაცხადა, რომ ბრძოლას აზრი არ ჰქონდა, რადგან „მათ უკან ზურგი არ იყო, წინ კი _ მტერი».

საინტერესოა, რომ მნიშვნელოვანი გერმანელი მწერალი ერნსტ იუნგერი 1942 წლის 12 დეკემბერს კავკასიის მთებში ყოფნისას დღიურში ჩაიწერს, რომელსაც შემდეგში „კავკასიური ჩანაწერების» სახელით გამოსცემს:

„მშობლიური იყო; ისეთი გრძნობა მქონდა, რომ ასეთ მუხიან ფერდობზე წინათაც ხშირად ვყოფილვარ. კავკასია არა მარტო ძველი განმთსაცავია ხალხების, ენების, რასებისა; მასში, როგორც კიდობანში, ასევე ჩასვენებულია ცხოველები, მცენარეები, ლანდშაფტის ხატები ევროპისა და აზიის შორეული მხარეებიდან».

პროპაგანდა

გოებელსის სახალხო განათლებისა და პროპაგანდის სამინისტრომ 1941 წლის აპრილში აღმოსავლეთში ომის მზადებასთან დაკავშირებით აღმოსავლეთის განყოფილების, შემდეგში კი აღმოსავლეთის სივრცის გენერალური რეფერატის შეფის, ცნობილი პროპაგანდისტის, ებერჰარდ ტაუბერტის თაოსნობით შექმნა ახალი სამმართველო კოდური სახელწოდებით „ვინეტა«. „ვინეტა« ამზადებდა პროკლამაციებს, პლაკატებს, ფილმებს, ფირფიტებსა და რადიოგადაცემებს აღმოსავლეთში პროპაგანდის მიზნით. ომის წინ ინფორმაციის გამჟღავნების შიშით ტაუბერტს თავისი თანამშრომლები ფაქტობრივად დამწყვდეული ჰყავდა. ეს ორგანიზაცია მთელი ომის განმავლობაშიც სასტიკად გასაიდუმლოებული დარჩა.

ომის წინა კვირაში 10-12 რუსი, უკრაინელი, კავკასიელი, შუააზიელი და საბჭოთა კავშირის სხვა ხალხთა წარმომადგენელი ინტენსიურად იწერდა ფირფიტებზე ტექსტს საბჭოთა ჯარისკაცებისადმი იარაღის დაყრისა და ტყვედ ჩაბარების მოწოდებით. პროპაგანდის სამინისტრო სამხედრო ძალებთან თანამშრომლობდა, ვერმახტ-პროპაგანდის განყოფილებასთან. სამხედრო თვითმფრინავები საბჭოთა ტერიტორიაზე ყრიდნენ პროკლამაციებსა და ბროშურებს, 1943 წლიდან კი მტრის ზურგში პროკლამაციების გასავრცელებლად სპეციალურ რაკეტასაც იყენებდნენ. ომის პირველ დღეებში 8 მილიონი პროკლამაცია ჩამოიყარა საბჭოთა ადამიანების თავზე. პროპაგანდაში აღმოსავლეთის სამინისტრო და ზოგჯერ, საგარეო საქმეთა სამინისტროც მონაწილეობდა. ზოგიერთ პროკლამაციებზე გამოსახული იყო ტყვეობაში მყოფი სტალინისა და მოლოტოვის შვილებიც.

სიტყვა ძალიან გამიგრძელდა, ამიტომ პროპაგანდაზე საუბარს აქ შევწყვეტ და მოხსენების ბოლო ნაწილზე გადავალ.

ქართული სამეკავშირეო შტაბი, რომელიც 1942 წელს შეიქმნა, მთელი ომის განმავლობაში ცდილობდა, აღიარებული ყოფილიყო გერმანიაში საქართველოს წარმომადგენლობად, ემიგრანტულ, განმათავისუფლებელ მთავრობად (როგორც I მსოფლიო ომის დროს). 1945 წლის მარტში, როდესაც გერმანიის დამარცხება ყველასთვის ცხადი გახდა, გერმანიამ აუსრულა სურვილი ქართველებს. ეს ფაქტობრივად დაცინვა და განაჩენის გამოტანის ტოლფასი იყო. ქართველებთან ერთად გერმანელებთან მსახურობდნენ ვოლგისპირელი თათრები, თურქისტანელები და ვლასოვის უზარმაზარი არმია. გერმანელებს სურდათ, რომ ვლასოვის არმიაში შესულიყო ყოველი ზემოხსენებული კავკასიური დაჯგუფება, მაგრამ კავკასიელებმა უარი თქვეს ამ წინადადებაზე. ამ შტაბების საერთო სპიკერი იყო მიხეილ კედია. მას, ისევე როგორც გივი გაბლიანს, ყველა გერმანულენოვან წრეებში დიდ პატივს სცემდნენ.

გერმანელების მხარეს იყო გადაბირებული ძალიან ბევრი უბრალო ადამიანი – სამხედრო ტყვეები, რომლებსაც სჯეროდათ, რომ გერმანელებთან მოკავშირეობით საქართველო დამოუკიდებლობას დაიბრუნებდა, ან უბრალოდ, ტყვეთა ბანაკიდან გაღწევა უნდოდათ. ქართველების გადაბირებაში ქართველი ემიგრანტებიც მონაწილეობდნენ. ბევრი მათგანის ბედი ბოლომდე დღესაც არ არის გარკვეული და ეს თემა კიდევ ბევრ მუშაობას მოითხოვს. რაც შეეხება გამოქვეყნებულ პუბლიკაციებს, გამოდიოდა გაზეთი „საქართველო« და მისი დამატება ჟურნალი „საქართველო«;

იბეჭდებოდა მათი კონკურენტი ჟურნალი, უფრო მაღალი ხარისხისა და შინაარსის გამოცემა „ქართველი ერი“; გამოდიოდა სხვადასხვა წიგნები ქართველი ლეგიონერებისათვის, მაგალითად, „ჩვენი სიმღერები“, რომელშიც ძალიან მძარე გემოვნების ლექსები დაიბეჭდა. ლეგიონერებისთვის გამოსცეს შოთა რუსთაველიც. გერმანელები მიიჩნევდნენ, რომ ოკუპირებული ტერიტორიების ენებს შორის ქართული ენა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო. გერმანელი ჯარისკაცებისთვის გამოვიდა ილუსტრირებული „გერმანულ-რუსულ-უკრაინულ-ქართული ლექსიკონი“. ეს მიგვითითებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო გერმანელებისთვის ქართული ენა რუსულისა და უკრაინულის შემდეგ.

საბჭოთა კავშირის მხარეს დაახლოებით 700 ათასი ქართველი იბრძოდა, გერმანელების მხარეს კი შეუდარებლად ნაკლები, – 32 ათასამდე და მათ შორის, 500 ემიგრანტი.

ძალიან ბევრმა ქართველმა იცოდა, რომ ჰიტლერი მაშინვე დამოუკიდებელს არ გახდიდა საქართველოს – მათ სჯეროდათ, რომ ჰიტლერი მუდმივად არ იქნებოდა გერმანიის ლიდერი. მათთვის მთავარი იყო, რუსეთი და ბოლშევიზმი დაემარცხებინათ. ფიქრობდნენ, რომ გერმანიის პროტექტორატის ქვეშ მყოფი საქართველო უფრო ადვილად გახდებოდა დამოუკიდებელი. რამდენად რეალური იყო მათი ჩანაფიქრი, ეს ჯერ კიდევ კამათის საგანია, მაგრამ მათი დიდი უმრავლესობა ისეთივე თავდადებითა და რწმენით იბრძოდა, როგორც მეორე მხარეს მდგომი ქართველობა. ორივე მოწინააღმდეგე ბანაკში მებრძოლები ერთნაირი პატივისა და გახსენების ღირსნი არიან.

23 ივნისი, 2006 წელი

ლევან აბაშიძე

მეცნიერება და რწმენა

დიდი მადლობა მოწვევისთვის, დიდი მადლობა მობრძანებისთვის. ჩვენი ლექციის თემა ვრცელია; შესაბამისად, პრეტენზია არ მაქვს, რომ მას სრულად ამოვწურავთ. მოგაწვდით მოსაზრებებს, რომლებიც დაგვეხმარება მეცნიერებასა და რწმენას შორის არსებული ურთიერთმიმართების სწორად გაგებაში. სიტყვა «მეცნიერებაში» მე ვგულისხმობ საბუნებისმეტყველო მეცნიერებას (science), ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით, კერძოდ, იმ მეცნიერებას, რომელიც XVII საუკუნიდან ჩამოყალიბდა. მეცნიერებას განუზომლად დიდი გავლენა აქვს თანამედროვე ცივილიზაციაზე და ის სულ უფრო მიუწვდომელი ხდება არაპროფესიონალებისთვის, რაც შესაძლოა ცრურწმენებისა და უსაფუძვლო შიშის წყაროც იყოს.

ჩემი სწავლის, განათლებისა და მუშაობის პირველი ეტაპი დავუთმე ფიზიკას და მეტნაკლებად ვიცნობ ამ მეცნიერებას, თუმცა, დღეს ამ დარგში აქტიურად არ ვმუშაობ.

თანამედროვე საბუნებისმეტყველო მეცნიერების უმთავრესი პრინციპი

მოვიყვან ერთ პატარა მაგალითს, რომელიც დაგვეხმარება იმ უმთავრესი იდეის გაგებაში, რომელსაც მოხსენება ეხება.

წარმოიდგინეთ გაზქურა, რომელზეც დგას ჩაიდანის და მასში ადუღდა წყალი.

ისმის კითხვა: რა მოხდა? რატომ ადუღდა წყალი?

ერთი პასუხი: წყალი ადუღდა იმიტომ, რომ ქვეშ არის ცეცხლი, რომელმაც გაახურა წყალი და, შედეგად, ის ადუღდა. შეიძლება უფრო დეტალური პასუხი გავცეთ: წყლის გახურების შედეგად მოხდა ორთქლის ბუშტების აქტიური წარმოქმნა, რომლებიც ზედაპირზე ამოვიდნენ. ეს არის დუღილის პროცესი, რომელსაც ჩვენ ვხედავთ.

სხვა პასუხი შეიძლება იყოს ასეთი: წყალი ადუღდა იმიტომ, რომ მინდა ჩაის დალევა!

კითხვის დასმა, თუ რომელი პასუხია სწორი, სასაცილო იქნებოდა. ორივე პასუხი სწორია და ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება, იმიტომ რომ პასუხები სხვადასხვა სფეროებს განეკუთვნება.

აი, სწორედ ეს გახლავთ ერთ-ერთი მთავარი იდეა, რაზეც მე ვისაუბრებ. კითხვა, თუ რომელი იძლევა სამყაროს რეალურ სურათს – მეცნიერება თუ რწმენა, ისეთივე უაზროა, როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითის შემთხვევაში.

რასაკვირველია, ამაზე გვიფიქრია და ბევრს ლექციის გარეშეც ესმის, რომ მეცნიერება და რწმენა სხვადასხვა სფეროებია. ხშირად ეს სფეროები ერთმანეთს აბსოლუტურად არ ეწინააღმდეგება. თუმცა, ზოგიერთს მიაჩნია, რომ მეცნიერებასა და რწმენას შორის ფუნდამენტური წინააღმდეგობა არსებობს.

მეცნიერების დაბადება

ანტიკური ხანის ერთ-ერთი უდიდესი მეცნიერი (ამ სიტყვის ფართო გაგებით) იყო არისტოტელე. მან აღწერა ბუნების კანონები ანუ ის, რასაც მან «ფიზიკა» უწოდა. დიდი ხნის განმავლობაში ეს აღწერა საკმაოდ გავრცელებული და ქმედითი იყო როგორც ქრისტიანულ, ისე ისლამურ სამყაროში და მეცნიერების განვითარებაზე ძალიან დიდი გავლენა მოახდინა. შეიძლება ითქვას, რომ ამ გავლენამ XVII საუკუნემდეც მოაღწია, როდესაც მოხდა გარდატეხა და ჩამოყალიბება დაიწყო თანამედროვე მეცნიერებამ. გალილეო გალილეით და ისააკ ნიუტონით იწყება ახალი ფიზიკა, რომელიც არისტოტელეს ფიზიკას ჩაენაცვლა.

რაში მდგომარეობდა ეს კარდინალური გარდატეხა?

მოვიყვან ორ მაგალითს.

პირველი მაგალითი: არისტოტელეს მიხედვით, იმისათვის რომ მოძრაობა მუდმივი იყოს, საჭიროა მუდმივი ძალა. ძალა იწვევს მოძრაობას, ხოლო ძალის არარსებობა – უძრაობას. თითქოს ყველაფერი ცხადია. ყველამ ვიცით, მანქანამ რომ იაროს სწორ გზაზე, მისი ძრავა უნდა მუშაობდეს და ფეხი მუდმივად უნდა გქონდეთ დაჭერილი აქსელერატორზე; ცხენიც მუდმივად უნდა ეწეოდეს ურემს, იმისათვის რომ ურემი არ გაჩერდეს. საჭირო იყო გალილეო გალილელის ძალიან დიდი გონებამახვილობა იმის დასადგენად, რომ სხეულზე ძალები თუ არ მოქმედებენ, მისი მოძრაობა

თანმიმდევრული და წრფივია, ანუ ის მუდმივი სიჩქარით მოძრაობს და არ არის აუცილებლად გაჩერებული. ჩვენ ვიცით, რომ როდესაც კოსმოსური ხომალდი დედამიწას მოწყდება და გაფრინდება, მას არ სჭირდება საწვავი თანმიმდევრული და წრფივი მოძრაობისთვის. მუდმივი სიჩქარით მოძრაობისთვის არ არის საჭირო ძალა. ძალა იწვევს აჩქარებას და არა სიჩქარეს. ეს არის მექანიკის საწყისი, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ ნიუტონის მექანიკას. მაშინ რატომ ჩერდება ურემი და მანქანა, როცა მათ არ ეწევიან? რატომ არ მოძრაობენ ისინი მუდმივი სიჩქარით ძალის გარეშე? გალილეო გალილეი მიხვდა, რომ მოძრაობენ! ისევე, როგორც გატყორცნილი ქვა აგრძელებს მოძრაობას, როდესაც მას აღარ ვაწვებით და მანქანაც არ ჩერდება მომენტალურად, თუ ძრავა გამოირთო. მაგრამ დედამიწაზე იმგვარი პირობებია, რომ ყოველთვის ჩნდება სიჩქარის საწინააღმდეგო ძალა, რომელიც სხეულს აჩერებს. ეს არის ხახუნისა და ჰაერის წინააღმდეგობის ძალები, ანუ გალილეო გალილეის გენიალური მიხვედრის თანახმად, ყველა სხეულის უძრაობისკენ მისწრაფება ორი ფაქტორის შედეგია: 1. სინამდვილეში თუ არა გარეშე ძალა, საგანი მუდმივი სიჩქარით იმოძრაებდა; 2. არის ძალები, რომლებიც მოძრაობის საპირისპიროდ მოქმედებენ და მას აჩერებენ. ამიტომ, თუ მუდმივი სიჩქარით მოძრაობა გსურთ, კეთილი ინებეთ და მუდმივად მოადეთ საგანს ძალა, იმისათვის რომ მუდმივად გადალახოთ მოძრაობის საპირისპირო ძალები. გამწვევი ძალა, იქნება ეს ძრავა თუ ცხენი, საჭიროა წინააღმდეგობისა და ხახუნის ძალების გადასალახავად. შეიძლება დავასკვნათ, რომ გარკვეული აზრით, არისტოტელე არ იყო მართალი და სწორი კანონი გალილეო გალილეიმ აღმოაჩინა.

მეორე მაგალითი: ჩვენ ვიცით, რომ ნებისმიერი საგანი ვარდება ქვემოთ, მაგალითად, ქვა. რატომ ვარდება ქვა ქვემოთ, თუ მას ხელს გავუშვებთ? საერთოდ, მეცნიერება იწყება მაშინ, როდესაც დავსვამთ კითხვას – რატომ? რა თქმა უნდა, ამ აზრით მეცნიერება ანტიკურ ხანაშიც არსებობდა. თუმცა, არისტოტელე ამ საკითხს არ იხილავს. ძველ, არისტოტელესეულ ფიზიკაში ეს საკითხი შემდეგნაირად წყდება: ყველაფერი სიმშვიდისაკენ, უძრაობისკენ მიისწრაფვის; არსებული ოთხი ელემენტიდან (ცეცხლი, ჰაერი, წყალი, მიწა) მიწისთვის სიმშვიდე ქვემოთ არის. ქვაში მეოთხე ელემენტი ჭარბობს და ამიტომ ქვა ქვემოთ მიისწრაფვის. აი ცეცხლი, მაგალითად, მიისწრაფვის არა ქვემოთ, არამედ ზემოთ, იმიტომ რომ ცეცხლისთვის სიმშვიდე ზემოთაა.

ნიუტონმა იმავე კითხვას სხვა პასუხი გასცა. თქვენ იცით ნიუტონის კანონი მიზიდულობის შესახებ, რომელიც ნამდვილად გენიალურია. ნიუტონმა თქვა, რომ ქვა ვარდება დედამიწაზე იმიტომ, რომ ნებისმიერი ორი სხეული ერთმანეთს იზიდავს. რაც მეტია ეს სხეულები, მით უფრო იზიდავენ ერთმანეთს. ვინაიდან ყველაზე დიდი სხეული ჩვენს სიახლოვეს დედამიწაა, სწორედ მის მიზიდულობას ვგრძნობთ. არა მარტო ქვა, არამედ ნებისმიერი სხეული ქვემოთ ვარდება – მას დედამიწა იზიდავს. ნიუტონი გენიალურად მიხვდა, რომ ერთი და იგივე მიზიდულობის ძალა არის მიზეზი, როგორც ვაშლის ვარდნისა ხიდან მიწაზე, ასევე მთვარის მოძრაობისა დედამიწის გარშემო. ნიუტონამდე არავის აზრად არ მოსვლია ეს ორი მოვლენა ერთმანეთისთვის დაეკავშირებინა.

რაზე მეტყველებს ეს ორი მაგალითი? პირველ შემთხვევაში ის მეტყველებს მეცნიერების პროგრესზე, – იმაზე, რომ მეცნიერება ნაბიჯ-ნაბიჯ წინ მიიწევს. მოვიდა

დრო და მოვიდნენ მეცნიერები, რომლებმაც ბუნების მოვლენების უფრო ზუსტი ახსნა შემოგვთავაზეს. მათ უფრო სწორ და ზუსტ პასუხებს მიაგნეს არსებულ კითხვებზე და ახალმა კანონებმა შეცვალეს არსებული კანონები. არისტოტელეს ფიზიკა მოძველებული აღმოჩნდა. შემდეგ აინშტაინმა კიდევ უფრო ზუსტი კანონები აღმოაჩინა და ა.შ.

მაგრამ აქ რომ დავსვათ წერტილი, ეს არ იქნება საკმარისი და სრული პასუხი იმაზე, თუ რა შეიცვალა საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში XVII-XVIII საუკუნეებში. მაშინ ნამდვილი რევოლუცია მოხდა მეცნიერებაში. ამ რევოლუციის არსი არ მდგომარეობს იმაში, რომ მეცნიერებამ უფრო ზუსტი და გონებამახვილური პასუხი აღმოაჩინეს, ვიდრე არისტოტელემ. საქმე ეხება ბევრად უფრო ღრმა და საფუძვლიან გარდატეხას, ვიდრე ერთი თეორიის მეორით შეცვლაა. პრინციპულად შეიცვალა მიდგომა სამყაროს კვლევისადმი!

მოვლენის მიზეზი

არისტოტელემ იცის, რომ არსებობს ორი მიზეზი: ბუნებრივი და მიზნობრივი. პირველ შემთხვევაში მოქმედებს ბუნებრივი კანონი, ხოლო მეორეში – ნება. არსებობს ეს ორი მიზეზობრიობა. ჩემს პირველ მაგალითში მოცემულია მიზნობრივი მიზეზი ანუ ის, რომ მე მინდა ჩაი დავლიო და ამიტომ წყალს ვადუღებ. ბუნებრივ (ფიზიკურ) მიზეზს თუ განვიხილავთ, წყლის ქვეშ არის ცეცხლი, რომელიც აცხელებს და ადუღებს მას.

XVII საუკუნემდე ეს ორი მიზეზი არ იყო ერთმანეთისგან გამიჯნული. მიაქციეთ ყურადღება, რომ არისტოტელეს ფიზიკა არ მიჯნავს ბუნებრივსა და მიზნობრივ მიზეზებს (ქვა ქვემოთ სიმშვიდისა და უძრაობისკენ მიისწრაფვის). ამის საპირისპიროდ მეცნიერები, დაწყებული გალილეო გალილეიდან – დეკარტი, ნიუტონი და სხვები განდევნიან მიზნობრივ მიზეზებს მეცნიერებიდან. მათი ახსნით, ქვა ვარდება არა იმიტომ, რომ რაღაც მიისწრაფვის რაღაცისკენ; ქვა ვარდება არა იმიტომ, რომ ღვთის ნებაა, ყველა ქვა ეგდოს ძირს; ქვა იმიტომ ვარდება, რომ ბუნებაში არსებობს ძალა, რომელიც ყველა სხეულზე მოქმედებს. ეს არის ბუნებრივი მიზეზი, რომელსაც აგრეთვე უშუალო მიზეზს უწოდებენ – ერთი მარტივი, უნივერსალური და ბუნებრივი მიზეზი: არსებობს ძალა, რომელიც მოქმედებს ყველა სხეულზე და ყველა სხეულს მიიზიდავს ქვემოთ, დედამიწის ცენტრისკენ. სხვა, ანუ მიზნობრივ მიზეზებს არ განვიხილავთ! მნიშვნელოვანია ის, რომ ეს უდიდესი ადამიანები, მეცნიერები და ფილოსოფოსები დევნიდნენ მიზნობრივ მიზეზებს მეცნიერებიდან (მეცნიერების მეთოდისკენ) და არა საკუთარი მსოფლმხედველობიდან. თუ მე ვარ მეცნიერი და ამავე დროს მორწმუნე, მე მწამს, რომ ყველაფრის პირველმიზეზი ღმერთია, მაგრამ მე, როგორც მეცნიერი, რომელიც ვიკვლევ საგნის დახრილ სიბრტყეზე დაგორებას ან პლანეტების მოძრაობას, არ ვხელმძღვანელობ ამ რწმენით და კონცენტრირებული ვარ ბუნებრივ მიზეზებზე.

სწორედ ეს არის ფუნდამენტური განსხვავება ახალ და ძველ მეცნიერებას შორის და არა ის, თუ ვინ უფრო სწორად ახსნის თავად მიზეზებს. ჩვენ სკოლიდან გვაქვს გონებაში ჩანერგილი, რომ ყველაფერი წრფივად მიმდინარეობს, რომ მოვიდნენ ახალი მეცნიერები და რაღაც ახალი აღმოაჩინეს. მაგრამ უმნიშვნელოვანესი, რაც მოხდა, იყო ის, რომ მეცნიერებამ თავისი თავი შემოიზღუდა და სამაგიეროდ შეიძინა კონცენტრირებულობა, ძალიან დიდი ქმედითი ძალა.

ამ აზრის ნათელსაყოფად კიდევ ერთ მაგალითს მოვიყვან. პიერ სიმონ ლაპლასი (1749_1827) უდიდესი მეცნიერი იყო. მას მრავალი შრომა აქვს ციურ მექანიკასა და პლანეტების მოძრაობაზე. ის ნიუტონის შემდგომ პერიოდში მოღვაწეობდა და მის მექანიკას იყენებდა ინსტრუმენტად. ერთ-ერთი გადმოცემის თანახმად, ლაპლასს ნაპოლეონმა ირონიულად ჰკითხა: მე გავიგე, რომ თქვენს ბოლო წიგნში ღმერთს არსად ახსენებთო. მეცნიერმა ნაპოლეონს უპასუხა, _ მე ეს ჰიპოთეზა არ მჭირდებაო. ერთი შეხედვით, შეიძლება დაგვრჩეს შთაბეჭდილება, რომ ათეისტი ლაპლასი ამბობს, რომ მას ღმერთი არ სწამს და ამიტომაც არ ახსენებს მას, როდესაც იკვლევს ბუნებას. მაგრამ თუ ამ დიალოგს ჩავუღრმავებთ, ლაპლასი ამბობს, რომ მეცნიერულ შრომაში არ იხილავს ღმერთის არსებობა-არარსებობას და ღმერთს, როგორც მიზეზს (მაგალითად, მოძრაობისა). ის კონცენტრირებულია სხვა რამეზე, კერძოდ, ბუნებრივ მიზეზებზე. სწორედ ეს არის თანამედროვე მეცნიერება! აღნიშნული დიალოგი ნაპოლეონთან არაფერს ამბობს ლაპლასის რწმენისა თუ ურწმუნოების შესახებ. ლაპლასი მეცნიერული კვლევის დროს არ იყენებს ჰიპოთეზას ღმერთის არსებობის შესახებ! აღვნიშნავ იმასაც, რომ ლაპლასი ასევე არ იყენებს ჰიპოთეზას ღმერთის არარსებობის შესახებ.

მრავალი მეცნიერი, რომელიც ამ მეთოდებს სრულად ავითარებდა, უაღრესად მორწმუნე იყო. კეპლერი, რომელმაც უდიდესი გამოთვლები ჩაატარა და პლანეტების მოძრაობის სამი კანონი აღმოაჩინა, უაღრესად მორწმუნე ადამიანი იყო. ნიუტონი, მართალია არ იყო მართლმორწმუნე ქრისტიანი და ის არ იზიარებდა მოძღვრებას წმიდა სამების შესახებ, მაგრამ მას ღრმად სწამდა ღმერთის, როგორც სამყაროს შემოქმედისა.

მეცნიერებამ თავისი თავი შემოიზღუდა და ამით შეიძინა უზარმაზარი ძალა. ისტორიაში ხშირია შემთხვევები, როდესაც პიროვნების თვითშეზღუდვა დიდ ძალას ათავისუფლებს, დიდ პოლიტიკურ მშენებლობას უდებს საფუძველს. დაწყებული ლიკურგედან, დამთავრებული ჯორჯ ვაშინგტონის ჩათვლით, დიდმა პოლიტიკოსებმა თავისი თავი შემოიზღუდეს და დასაბამი მისცეს დიდ პოლიტიკურ კულტურას.

მეცნიერება თავის თავში შეზღუდულია იმიტომ, რომ მას აინტერესებს მოვლენების მხოლოდ ბუნებრივი, უშუალო მიზეზები. ეს არ ნიშნავს, რომ მე, როგორც მეცნიერს, არ უნდა მაინტერესებდეს ღვთისმეტყველება, რომ უნდა ვიყო ურწმუნო და ა.შ. სრულიადაც არა. შეიძლება ღრმად მორწმუნე ვიყო და მაშინ ჩემთვის, ყველაფერი, ყველა კანონი და კანონზომიერება ღვთისაგან იქნება, მაგრამ უშუალოდ კვლევისას ამ ჰიპოთეზას არ ვიყენებ. ეს არის თანამედროვე მეცნიერული მეთოდი და თუ თამაშის ამ წესს არ აღიარებ, მეცნიერი ვერ იქნები. ამიტომაც, რომ მეცნიერება თავს უყრის სხვადასხვა მსოფლმხედველობის მეცნიერს: მორწმუნეებს, მცირედ მორწმუნეებს, ურწმუნოებსა და აგნოსტიკოსებს. მსოფლმხედველობათა ასეთი განსხვავება არ უშლით მათ ხელს ერთობლივი კვლევისთვის. მთავარია, რომ ისინი იზიარებენ თანადროული მეცნიერების უმთავრეს პრინციპებს, ანუ პარადიგმას.

ბუნება, როგორც გადაშლილი წიგნი

განვიხილოთ კიდევ ერთი თეზისი, რაც მეცნიერების გასაგებად მნიშვნელოვანია. მოვიყვან ძალიან ძველ მეტაფორას _ ბუნება, როგორც გადაშლილი წიგნი. ერთ-ერთ დიდ მოღვაწეს, ქრისტიან განდეგილს, წმიდა ანტონი დიდს ჰკითხეს, როგორ ცხოვ-

რობდა ის უდაბნოში საღვთო წიგნის – ბიბლის გარეშე. წმიდა ანტონმა უპასუხა: ჩემს წინაშე გადაშლილია უდიდესი წიგნი – ბუნება, რომელშიც მე ღვთის სიბრძნის, სიყვარულის, სიკეთის შესახებ ვკითხულობო.

ეს იდეა ღრმად არის ქრისტიანულ სამყაროში ფესვგადგმული და ჭეშმარიტი მორწმუნისთვის ბუნების ჭკვრეტა – ღვთის გამოცხადებაა.

ნიუტონს მიაჩნდა, რომ ამ ქვეყანაზე ორი წმიდა საქმე არსებობს – წმიდა წიგნის კითხვა და ბუნების, როგორც გადაშლილი წიგნის კითხვა. ბუნების კანონების დადგენა ნიუტონს წმიდა საქმედ მიაჩნდა, ვინაიდან ვსწავლობთ რა ბუნებას, ამ გადაშლილ წიგნს, ჩვენ ამით ამ წიგნის, ანუ ბუნების შემოქმედს ვჭკვრეტთ. მართლაც, საიდან მოდის ეს კანონები? თუ გვწამს ღმერთი, მაშინ უნდა გვწამდეს, რომ ბუნებაც და მისი კანონებიც ღვთის შექმნილია.

გავყვეთ და ჩავუღრმავდეთ წიგნის ამ მეტაფორას. თუ ბუნება წიგნია, მაშინ ისევე, როგორც წიგნში, ბუნებაშიც არის ნიშნები და ნიშანთა ერთობლიობები, რომელთა უკან რაღაც აზრია. ჩვენ გვინტერესებს, რა მიმართებაა ამ ნიშნებსა და მის უკან არსებულ რეალობას შორის. მეცნიერება, რომელიც ამ მიმართებებს იკვლევს, სემიოტიკა (ბერძნული სიტყვიდან semeion – ნიშანი) ეწოდება. ქვემოთ გამოვიყენებთ ამ მეცნიერების უმთავრეს დებულებებს ჩვენი მეტაფორის გასაღრმავებლად.

სემიოტიკა გამოჰყოფს სამ ძირითად ასპექტს ნიშნისა და ნიშანთა სისტემის შესწავლისას: სინტაქტიკა, სემანტიკა და პრაგმატიკა.

სინტაქტიკა სწავლობს ნიშანთა სისტემის შინაგან თვისებებსა და კანონზომიერებებს და არ ეწევა მათ ინტერპრეტაციას.

სემანტიკა განიხილავს ნიშანთა მიმართებას იმასთან, რასაც ისინი აღნიშნავენ. ამაში შედის სიტყვისა და წინადადების მნიშვნელობის ან მნიშვნელობათა დადგენა.

პრაგმატიკა სწავლობს ნიშანთა მიმართებას „ადრესატთან“, ანუ მკითხველთან. პრაგმატიკა განიხილავს ნიშნების ინტერპრეტაციის საკითხს, იმას, თუ რას ეუბნება ტექსტი მკითხველს, მისი საზრისი და ფასეულობა.

ბიბლიის შესწავლისას სინტაქსისი ნიშნავს ტექსტის დადგენას, სემანტიკა – თითოეული სიტყვისა და წინადადების მნიშვნელობის დადგენას, ხოლო პრაგმატიკა უმაღლესი დონეა გაგებისა, ანუ იმის დადგენისა, თუ რას მეუბნება მე, მკითხველს ბიბლიის შემქმნელი.

შეიძლება, მე ბიბლიის ტექსტი უაღრესად კარგად ვიცოდე და მაინც არაფერი მესმოდეს, თუ არ გავიგე მთავარი – რისთვის შეიქმნა ბიბლია, რას მეუბნება ის მე. მორწმუნემ იცის, რომ ბიბლია იმისთვის შეიქმნა, რომ ადამიანი ღმერთს დაუბრუნდეს, დაუახლოვდეს; მაგრამ შეიძლება მე ვიყო უძლიერესი ბიბლისტი და ვერ გავიგო ის უმთავრესი რამ, რაც ნაკლებად განათლებულს ესმის.

ახლა ამ კუთხით განვიხილოთ სხვა წიგნი – ბუნება, ამ წიგნის გაგება, ანუ ბუნების კვლევა. მეცნიერება ადრე არ იყო დარგებად დაყოფილი. კვლევა იწყებოდა ბუნების საზრისის ძიებით (პრაგმატიკა), შემდეგ გადადიოდა თითოეული მოვლენის გარჩევაზე, მათ ანალიზზე (სემანტიკა), ხოლო ბოლო საფეხური იყო სინტაქტიკა, ანუ ამ ბუნებრივი კანონზომიერების დადგენა ნიშნებს შორის, ანუ ბუნების მოვლენებს შორის.

თანამედროვე მეცნიერება შემოფარგლულია მხოლოდ ამ ბოლო ეტაპით – კანონზომიერების დადგენით, ანუ სინტაქტიკით! ის მხოლოდ ბუნებრივ მიზეზებს

იხილავს! მაგრამ თუ თავს მხოლოდ სინტაქტიკით შემოვიფარგლავთ, ჩვენ არაფერი შეგვიძლია ვთქვათ წიგნის ავტორზე და არც იმაზე, თუ რას გვეუბნება ეს წიგნი ჩვენ.

მეცნიერებამ თავი შემოიზღუდა იმით, რომ ბუნების გადაშლილი წიგნის მხოლოდ სინტაქტიკით არის დაკავებული. სწორედ ამ თვითშეზღუდვის გამო მეცნიერებას არც აქვს პრეტენზია, იმსჯელოს ამ უმაღლეს სფეროზე. ამიტომაც არის, რომ მეცნიერთა შორის არიან როგორც ათეისტები, ისე უაღრესად მორწმუნეები. მეცნიერებისგან არც უნდა ველოდოთ პასუხებს მსოფლმხედველობის უმთავრეს საკითხებზე.

მეცნიერების საზღვრები

დღეს მეცნიერება ბევრ სფეროში აწყდება მის მიერვე დადგენილ საზღვრებს. პირველ მაგალითს კოსმოლოგიის სფეროდან მოვიყვანთ. ვიცით, რომ თანამედროვე თეორიის მიხედვით, ჩვენი სამყარო 13 მილიარდი წლის წინ დაიწყო ერთი დიდი აფეთქებით. რაც უფრო უახლოვდებიან მეცნიერები თავის თეორიულ კვლევაში ამ დიდი აფეთქების საწყის მომენტს, მით უფრო ცხა და ხდება, რომ საკუთრივ დიდი აფეთქების მიზეზის დადგენა და მისი ახსნა სცილდება მეცნიერების ჩარჩოებს. ჩვენ ნებისმიერ მიზეზზე ვამბობდით, რომ მას წინარე მიზეზი ჰქონდა, მაგრამ დღეს მეცნიერება მიადგა ისეთ მოვლენებს, რომლის წინა მიზეზი სცილდება ბუნებრივი მიზეზების სფეროს და, ამგვარად, მეცნიერების სფეროს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კითხვა, თუ რა იყო დიდ აფეთქებამდე და რა იყო მიზეზი დიდი აფეთქებისა, – ისეთი კითხვებია, რომლებიც მეცნიერებამ დასვა, მაგრამ თვით მეცნიერება მათ ვერ უპასუხებს.

სხვა პრობლემა, რომელიც ხშირად ამოწყოფს თავს სხვადასხვა სახით, ანთროპული პრინციპია. ეს უაღრესად საინტერესო საკითხი ჯერ კიდევ არ არის ამოხსნილი. ამ პრინციპის მიხედვით აღმოჩნდა, რომ მთელი სამყარო იმთავითვე ზუსტად (უდიდესი სიზუსტით!) იმგვარადაა შექმნილი თუ მოწყობილი, რომ შესაძლებელი იყოს სიცოცხლის, და საბოლოო ჯამში ადამიანის არსებობა. აქედან მოდის თვით სახელი – ანთროპული პრინციპი (ანუ ადამიანური პრინციპი). ცხადია, რომ რადგან ადამიანი არსებობს, სამყარო იმგვარია, რომ ეს შესაძლებელი იყოს, და ამაში საოცარი არაფერია. საოცარი ის არის, რომ თუ თეორიულად განვიხილავთ სხვადასხვა შესაძლო სამყაროებს, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან ფიზიკური კონსტანტებით (როგორებიცაა ელექტრონის მასა, ელექტრონის მუხტი, სინათლის სიჩქარე, დიდი აფეთქების ენერგია, გრავიტაციული კონსტანტა და სხვ.), აღმოჩნდება, რომ უამრავ შესაძლებლობებში არც ერთი არ იძლევა სიცოცხლის წარმოშობის შესაძლებლობას ჩვენი სამყაროს გარდა. და ისმის კითხვა: რატომ არის სამყარო სწორედ ასეთი? ის შექმნა ღმერთმა, რომელმაც ყველაფერი იცის და რომელიც ადამიანის შემქმნელიცაა? ეს პასუხი რელიგიისა და რწმენის სფეროშია და არა მეცნიერებისა. მეცნიერების ფარგლებში ამ კითხვაზე პასუხი არ არის. მეცნიერებამ დასვა კითხვა, რომელსაც ვერ პასუხობს, ან იქნებ ჯერ ვერ პასუხობს?

ჩემი დღევანდელი მოხსენების უმთავრესი აზრი ის არის, რომ მეცნიერებას აქვს თავისი მეთოდი, თავისი სფერო, თავისი შეზღუდვები, ხოლო მეცნიერებისა და რწმენის ურთიერთმიმართება არ არის მარტივი, ცალსახა და ერთგვაროვანი. ხშირად მათი სფეროები გამიჯნულია. მაგრამ ვინაიდან ორივე წარმოადგენს ადამიანის საქმიანობისა

და ინტერესის უმნიშვნელოვანეს სფეროს, მათ შორის ხშირად ყოფილა ურთიერთქმედება, _ როგორც თანამშრომლობა, ისე კონფლიქტი.

სამწუხაროდ, ჩვენს საზოგადოებაში გავრცელებულია მოსაზრება, რომ მეცნიერებასა და რწმენას შორის არსებობს მუდმივი კონფლიქტი და ერთის აღიარება მეორის უარყოფას ნიშნავს. ამგვარი აზროვნება მატერიალისტური და კომუნისტური პროპაგანდის შედეგია. ათეისტური იდეოლოგია ნერგავდა აზრს, რომ მეცნიერება და მისი წარმატებები ამტკიცებს რწმენის უსაფუძვლობას; რომ თუ რწმენა სწორია, მაშინ მეცნიერება უნდა ცდებოდეს და, პირიქით, _ თუ მეცნიერებაა სწორი (და პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ის სწორია), მაშინ რწმენაა არასწორი. საოცარია, რომ მას შემდეგაც, როდესაც თითქოს კომუნისტურ-ათეისტური იდეოლოგია გადაიღახა, აღნიშნული იდეა მეცნიერებისა და რწმენის ურთიერთდაპირისპირების შესახებ ცოცხლობს. და როდესაც ადამიანი იღებს რწმენას, მას ჰგონია, რომ ვალდებულია მეცნიერება უარყოს; ანუ იმის მაგივრად, რომ უკუაგდოს კომუნისტურ-მატერიალისტური თეზისი მეცნიერებისა და რწმენის ურთიერთგამომრიცხავობის შესახებ, ის სრულად რჩება მის ტყვეობაში და თავს ვალდებულად მიიჩნევს სკეპტიკურად მიუდგეს მეცნიერების მიღწევებს. ამით აიხსნება ევოლუციის თეორიის წინააღმდეგ გალაშქრების, ე.წ. კრეაციონიზმის დანერგვის მცდელობები და სხვ.

ჩემი დღევანდელი მოხსენების მიზანი სწორედ ის იყო, რომ მეჩვენებინა, რამდენად უსაფუძვლოა მეცნიერებისა და რელიგიის დაპირისპირების თემა.

30 ივნისი, 2006 წელი

ალექსანდრე ბენდიანიშვილი

ერთი წიგნის შეფასების ცდა და ანტიქართული კონცეფციის კრიტიკა

2005 წლის დეკემბრის მიწურულს გიორგი წიქარიშვილმა გამომიგზავნა თავისი წიგნი _ „ჟამი ჭეშმარიტი (დამარცხებული მოძრაობის ქრონიკა)“. სახელწოდება ძნელად გასააზრებელი აღმოჩნდა ჩემთვის, ამიტომაც ეს საახალწლო „ნობათი“ გულდასმით წავიკითხე.

1988_1993 წწ. საქართველოში განვითარებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენათა ობიექტური შეფასება, კრიზისული სიტუაციიდან ქვეყნისა და ხალხის გამოყვანის გეგმა-პროექტის შემუშავება მეტისმეტად რთული საქმეა. მაგრამ გ. წიქარიშვილი არ შეუშინდა სიძნელეს, და რაკი ხანდაზმული თაობა ფიქრობს, ხოლო ახალგაზრდობა ოცნებობს უკეთეს მომავალზე, წარმოგვიდგინა ფაქტობრივი მასალა და მოვლენათა თვითმხილველის ერთგვარი „წინასწარი ანალიზი“, რათა ერი არ შეცდეს და ეპოქის „სულისკვეთება“ ნათლად შეიგრძნოს (დასახელებული წიგნი, გვ. 3).

ავტორი უდაოდ ნიჭიერი და შრომისმოყვარე კაცია. საკმაო სიღრმე-სისრულით შეუსწავლია ფაქტობრივი მასალა, ზოგიერთი მოვლენის სწორად შეფასებასაც ახერხებს,

მაგრამ არცთუ იშვიათად სცილდება ჭეშმარიტებას, უშვებს ისეთ შეცდომებს, რომლებიც მკითხველი საზოგადოების დიდმა ნაწილმა შეიძლება დანაშაულად აღიქვას.

გ. წიქარიშვილი მართებულად წერს, რომ 1989 წლის „9 აპრილი უდიდესი მნიშვნელობის ტეხილია საქართველოს უახლეს ისტორიაში“ (გვ. 68), მაგრამ ეს თარიღი მან შეაფასა მხოლოდ როგორც ტრაგედია და უარყოფითი მოვლენა. ავტორის აზრით, „საზოგადოებრივ ცნობიერებაზე უდიდესი დამანგრეველი ზეგავლენა იქონია იმან, რომ 9 აპრილის შემდეგ, ფაქტობრივად, არაფერი შეიცვალა“ (იქვე). მას მხოლოდ იმის თქმის საფუძველი ჰქონდა, რომ ფორმალურად (იურიდიულად) მართლაც არაფერი შეცვლილა, მაგრამ არ უნდა დაევიწყებინა იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ 9 აპრილს ჩადენილი დანაშაულის შემდეგ საბჭოურ-კომუნისტური იმპერიის იმიჯი შინ და გარეთაც უკიდურესად დაეცა, დაჩაგრულ ერთა განმათავისუფლებელი მოძრაობა კიდევ უფრო გაფართოვდა. საქართველოში კერძოდ, საბჭოურ-კომუნისტური ხელისუფლება მხოლოდ ფორმალურ არსებობას განაგრძობდა. საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სიტუაციას ეროვნული მოძრაობის ლიდერები აკონტროლებდნენ. 9 აპრილის შემდეგ კიდევ უფრო განმტკიცდა განმათავისუფლებელი მოძრაობის გამარჯვების რწმენა, რაც საიმპერიო ხელისუფლების დაძაბუნების პირობებში სავსებით ბუნებრივი და რეალური განცდა იყო.

წიგნის ავტორი კი მომდევნო გვერდებზეც იმეორებს თავის არასწორ აზრს, გმობს მომიტინგეთა ლოზუნგს – „ძირს რუსეთის იმპერია“, უარყოფით მოვლენად მიაჩნია ის, რომ „9 აპრილმა გამოიწვია ხელისუფლების (საბჭოურ-კომუნისტურის ა. ბ.) სრული დამბლა საქართველოში, მოუსპო მმართველ ელიტას მოსკოვთან პოლიტიკურ თამაშში ყოველგვარი მანევრის საშუალება“ (გვ. 71). გ. წიქარიშვილი თითქოს მისტირის პატიაშვილისა და გუმბარიძის უნიათო ხელისუფლებას, მიწასთან ასწორებს აპრილის მშვიდობიანი დემონსტრაციის მეთაურებს და გვარწმუნებს, რომ ამ მოძრაობის ორგანიზატორებს „ისტორიის მსჯავრი არ ასცდებათ“ (გვ. 73). მომიტინგეთა ლიდერებს თურმე ვერც სობჩაკის კომისიის დასკვნა გაამართლებს, რომლის მიხედვით 9 აპრილის ტრაგედიაში მთელი დანაშაული საბჭოური იმპერიის ხელმძღვანელებს და მათი ბრძანების შემსრულებლებს დაეკისრათ. ამგვარ მსჯელობას ავტორი ამთავრებს ძნელად გასააზრებელი, თითქმის აბსურდული დასკვნით: „9 აპრილს ჩვენ, ქართველებმა, მოვსპეთ არა კონკრეტული ხელისუფლება (კერძოდ, საბჭოური ა. ბ.), არამედ ხელისუფლება, როგორც ასეთი; შემდგომ კი (1990 წლის 28 ოქტომბერს) ხელისუფლების ახლად შექმნის მცდელობა უკვე გვიან იყო და კრახით დასრულდა“ (გვ. 529).

გ. წიქარიშვილი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის არსის შესახებ თავისებურ „ორიგინალურ“ თეორიას გვთავაზობს. მისი აზრით, „ეროვნული მოძრაობა არის პიროვნული ინტერესების კოლექტიური ძალისხმევით განხორციელების საშუალება, – ჭეშმარიტი ეროვნული მოძრაობა შეიძლება მხოლოდ ინდივიდუალურ მისწრაფებათა ერთობლიობიდან ამოიზარდოს. შეუძლებელია ერს „თავს მოახვიო ეროვნული მოძრაობა, თუ იგი მის შინაგან (პიროვნებისა თუ მთელი ერის? ა.ბ.) თვისობრივ მისწრაფებას არ გამოხატავს“ (გვ. 487). ეს დებულება შეიძლება შებრუნდეს და მოვლენის დეფინიცია არსებითად არ შეიცვლება. ეროვნულ მოძრაობაში ინდივიდი და კოლექტივი განუყოფელია. მოძრაობის წარმატება დამოკიდებულია ინდივიდების ეროვნულ სულისკვეთებაზე და მათი გაერთიანების უნარზე. მხოლოდ საერთო

ეროვნული მოძრაობა აღწევს წარმატებას. XIX საუკუნის პირველ მესამედში საქართველოს მოსახლეობის სხვადასხვა კლასების სოციალური ინტერესები განსხვავებული იყო, მაგრამ რუსეთის იმპერიის დაპყრობითი პოლიტიკის წინააღმდეგ ერთად იბრძოდნენ ბაგრატიონი უფლისწულები, თავადაზნაურობა, სამღვდელოება და გლეხობა. განმათავისუფლებელი მოძრაობის მეორე ეტაპზე ილია ჭავჭავაძე და საერთოდ თერგდალეულები სულ იმას ცდილობდნენ, რომ ვიწრო სოციალურ ინტერესებს ხელი არ შეეშალა საერთო ეროვნული მოძრაობისათვის. საერთო ეროვნული სულისკვეთება დომინირებდა საქართველოს პირველ რესპუბლიკაში (1918_1921 წლები).

მე პირადად მიმაჩნია, რომ საქართველოში საერთო ეროვნული, სოციალურად დაუნაწილებელი, განმათავისუფლებელი მოძრაობა მიმდინარეობდა 1988_1991 წლებშიც, და ეს იყო მისი წარმატების საფუძველი. გ. წიქარიშვილის აზრით კი, რაც 1988_1991 წლებში თურმე „არ იყო ეროვნული მოძრაობა, ანუ არ იყო მოძრაობა, რომელიც თითოეული ინდივიდის შინაგან მისწრაფებებს, მის უზენაეს ნებასა და თვისობრივ (?) ინტერესებს გამოხატავს. სწორედ ამით აიხსნება, რომ ქართველებს აღმოგვაჩნდა ისეთი „მოძრაობა“, რომელიც 1988 წელს დაიწყო დიდი ალტკინებით... და სამარცხვინოდ დამთავრდა ალექსანდრე ლებედთან და სხვა რუს გენერლებთან ბინძური გარიგებით“ (გვ. 191).

გ. წიქარიშვილს, რა თქმა უნდა, უფლება აქვს გააკრიტიკოს ცალკეული პოლიტიკური პარტიები, ეროვნული მოძრაობის ზოგიერთი ლიდერები, დაგმოს მათ მიერ დაშვებული საბედისწერო შეცდომები, მაგრამ სამწუხარო შედეგების გადაბრალება მთელი ერისა და მისი განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის, მკრეხელობაა.

წიგნში არასწორადაა შეფასებული 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნები. ავტორი ასე მსჯელობს: „9 აპრილი თავისთავად (შედეგის თვალსაზრისით) ხომ უბედურება იყო, მაგრამ ყველაზე უარესი, რაც ამის შემდეგ შეიძლება მომხდარიყო, 28 ოქტომბერს განხორციელდა _ ისეთი ხელისუფლების არჩევით, რომელიც ერმა რეალურად არჩია“ (გვ. 185). გ. წიქარიშვილი გუმბარიძეს ადანაშაულებს _ ანგარიში არ უნდა გაეწია საზოგადოებრივი აზრისათვის და თავისუფალი არჩევნები არ უნდა ჩატარებინაო. არჩევნები რომ საბჭოურ-კომუნისტური წესით მომხდარიყო, ქვეყანას ბევრი უბედურება ასცილდებოდაო.

ჩემი და ბევრ სხვათა აზრით, თავისუფალი არჩევნების ჩატარება, მისი შედეგი ეროვნული მოძრაობის დიდი გამარჯვება იყო. ამის შემდეგ ჩატარდა საყოველთაო რეფერენდუმი. საქართველოს მოსახლეობის 97 პროცენტმა ხმა მისცა საქართველოს დამოუკიდებლობას. ხალხის ამ ნების საფუძველზე 1991 წლის 9 აპრილს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაცია. მალე ჩატარდა პრეზიდენტის პირდაპირი და საყოველთაო არჩევნები. მონაწილეთა 93%-მა ზ. გამსახურდიას მისცა ხმა, მას მიანდო ეროვნული სახელმწიფოს მეთაურობა. ეს სულაც არ იყო „ყველაზე უარესი“ არჩევანი, როგორც გ. წიქარიშვილი აცხადებს: იმ მომენტში არჩევნებმა რეალურად ასახა საქართველოს შინა პოლიტიკური სიტუაცია და ხალხის მაშინდელი განწყობილება. მოქალაქეთა დიდი ნაწილი ზ. გამსახურდიას სახელთან აკავშირებდა დიდი ხნის ნანატრი დამოუკიდებლობის მოპოვებას, იმედოვნებდა, რომ მისი მეთაურობით საქართველო შესძლებდა აღორძინება-განვითარებას, მსოფლიოს მოწინავე

სახელმწიფოთა რიგებში ჩადგომას. მომდევნო ტრაგიკული მოვლენების დატრიალებაში ბრალი ედება არა ქართველ ერს, არამედ ცალკეულ პარტიებსა და ლიდერებს, რომლებმაც ბევრ შემთხვევაში თვითვე გამოაშკარავეს ამბიციები, ხელისუფლებისკენ სწრაფვა და შინა ომი დაიწყეს.

გ. წიქარიშვილი არსებითად სწორად მსჯელობს ერთიანი ეროვნული მოძრაობის დაშლისა და შინაპოლიტიკური დაპირისპირება-წინააღმდეგობის მიზეზებზე. იგი აღნიშნავს, რომ ზვიადისტებსა და ოპოზიციას შორის მსოფლმხედველობრივ-პროგრამული სხვაობა არ ყოფილა, – ორივე მხარის საბოლოო მიზანი დამოუკიდებლობის მოპოვება და განმტკიცება იყო. ზ. გამსახურდიას არაფერი გაუკეთებია ისეთი, რაც ეწინააღმდეგებოდა „მოძრაობის იდეოლოგიას, მიზნებსა და ამოცანებს“, მაგრამ ოპოზიცია მეორეხარისხოვან ბრალდებებს მაინც უყენებდა; თუ საქირო გახდებოდა, საქართველოს პირველი პრეზიდენტის წინააღმდეგ ელცინის გამოყენებასაც კი ვარაუდობდა (გვ. 323). შეიარაღებული ოპოზიციის ლიდერები საკმაოდ ფართოდ იყენებდნენ კრიმინალურ ელემენტებს. წიგნში დამოწმებული მასალის მიხედვით, „ეს სოციალური ფენა“ გვარდიისა და მხედრიონის ძირითად დამრტყმელ ძალას წარმოადგენდა. მისი „დამსახურებაა“ ზვიადისტთა ხელისუფლების დამხობა.

ამ მოვლენის შეფასება, წიქარიშვილის მართებული განცხადებით, უნდა მოხდეს „ერთადერთი კრიტერიუმით – გაკეთდა თუ არა არჩევანი „ნაკლები ბოროტების სასარგებლოდ“. გადატრიალების ორგანიზატორებმა საზოგადოებას უნდა დაუმტკიცონ, რომ თუ ზვიად გამსახურდია ხელისუფლების სათავეში დარჩებოდა, ე.ი. გადატრიალება არ მოხდებოდა, „შედეგი (ქვეყნისთვის) იქნებოდა იმაზე უარესი, რაც გადატრიალების შემდეგ ობიექტურად მივიღეთ – სამოქალაქო ომი, ეროვნული ცნობიერების კრახი, კრიმინალთა გაბატონება, სეპარატისტთა გაძლიერება, ტერიტორიების დაკარგვა“; აგრეთვე, სუსტი ხელისუფლება, რომელსაც მომდევნო წლებში ემინოდა ჭეშმარიტად რადიკალური რეფორმების გატარება და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა (გვ. 331).

გ. წიქარიშვილი თავს იკავებს მოვლენის სამართლებრივი შეფასებისგან, არ აღნიშნავს, რომ დეკემბერ-იანვრის ამბოხი იყო ანტიკონსტიტუციური აქტი, რომელმაც დაამხო ხალხისგან არჩეული ლეგიტიმური ხელისუფლება, მაგრამ პრაგმატიზმის პოზიციიდან წერს: „ნამდვილად არ ვარ დარწმუნებული, რომ გამსახურდიას ხელისუფლებაში დარჩენას ქვეყნისთვის იმაზე უარესი შედეგი მოჰყვებოდა, რაც მის დამხობას მოჰყვა.“ მისი აზრით, ამ შემთხვევაში არჩევანი გაკეთდა „მეტი“ და არა ნაკლები ბოროტების სასარგებლოდ (გვ. 332).

ავტორი, მართალია, მომხდარისთვის პასუხისმგებლობის გარკვეულ წილს ზვიად გამსახურდიას აკისრებს, მაგრამ უფრო მკვეთრად აკრიტიკებს ტრიუმვირატს და სამხედრო საბჭოს: გვარდია და მხედრიონი კრიმინალებით აავსეს, ზვიადის ერთგულებისთვის სამეგრელო დაარბიეს, არსებითად, მათ გაუადვილესო რუსეთს საქართველოში დესტაბილიზაციისა და ანარქიული სიტუაციის შექმნა, რის შედეგადაც მოიშალა „ყოველგვარი სახელმწიფოებრივი სტრუქტურა საქართველოში“. გ. წიქარიშვილი იმასაც აღნიშნავს, რომ სამოქალაქო ომით ბრწყინვალედ ისარგებლეს

არძინბამ და კოკოითმა, გალადდაო აგრესიული სეპარატიზმი აფხაზეთსა და სამაჩაბლოში.

წიგნში დიდი ადგილი აქვს დათმობილი აფხაზეთში მიმდინარე ომს. ავტორი ხაზგასმით ლაპარაკობს ქართული ჯარის უსუსურობაზე, გვარდიისა და მხედრიონის მიერ დაშვებულ შეცდომებზე; ხოტბას ასხამს აფსუა-სეპარატისტთა სამხედრო ორგანიზაციას. მისი განცხადებით, „სამხედრო ხელოვნების თვალსაზრისით“ აფსუათა მიერ 1992_93 წლებში წარმოებული კამპანია სრულიად უნაკლო იყო, იმსახურებს ქრესტომათიულ მაგალითად ქცევას“ (გვ. 439). იგი ივიწყებს, რომ ამ ომის დროს გვებრძოდნენ არა მარტო აფსუები, არამედ კოალიციური შეიარაღებული ძალები და არა ხუთასიოდე კაცი, არამედ რამდენიმე ათასი, რომელიც ახორციელებდა რუსი სამხედრო სპეციალისტების მიერ შედგენილ სამხედრო-ოპერატიულ გეგმას.

1993 წლის სამოქალაქო ომის ესკალაციაში ავტორი ორივე მხარეს სდებს ბრალს. ამის მიზეზს ქართველთა გენეტიკურ კოდში ეძებს: შინაბრძოლები შორეულ წარსულშიც ხდებოდა და ახლაც მოხდაო. მისი აზრით, სომხეთში ვერავითარი შინადაპირისირება ვერ გამოიწვევს სამოქალაქო ომს. წარმოუდგენელია, ლატვიაში მომხდარიყო ის, რაც საქართველოში ფაქტი გახდა 1992_1993 წლებში. ბევრს ეცადა რუსული სპეცსამსახური, მაგრამ ვერაფრით მოახერხა სამოქალაქო ომის პროვოცირება ჩეჩნეთში, საქართველოში კი სულ ადვილად შესძლო. ეს შემთხვევითი ამბავი არ არისო (გვ. 489).

გ. წიქარიშვილის აზრით, პოსტსაბჭოური სივრცის ერთა განმათავისუფლებელი მოძრაობა ანტიკომუნისტური იყო და არა ანტირუსული. საქართველოს ეროვნული მოძრაობის ლიდერებმა კი წინ წამოსწიეს ანტირუსული ლოზუნგები, რამაც უდიდესი ზიანი მიაყენაო ქვეყანასა და ხალხს. იგი თავის პოზიციას ასეთ საფუძველს უძებნის: „თუ საქართველო ერთიანი მოსკოვური სახელმწიფოს (ფედერაციის) სუბიექტად დარჩებოდა“, აფხაზები ვერ მოახერხებდნენ ეთნოწმენდას და ცხინვალის რეგიონში კონფლიქტი არ გადაიზრდებოდაო საომარ ფაზაში. სრული დემაგოგიაა იმის მტკიცება, თითქოს „საქართველოს რომ ჭკვიანური პოლიტიკა ეწარმოებინა, დამოუკიდებლობასაც მოვიპოვებდით და აფხაზეთ-სამაჩაბლოსაც შევინარჩუნებდით. ეს გამორიცხებულია“ (გვ. 507).

განსახილველი წიგნის ავტორის აზრით, „საქართველოს ძირითადი ეროვნული ინტერესი იყო ეთნოგრაფიული და ისტორიულ- კულტურული სივრცის მთლიანობის შენარჩუნება“ (გვ. 511) და არა დამოუკიდებლობის მოპოვება. ის, რაც დღეს გვაქვს (საქართველოს სახელმწიფოებრივი სტატუსის თვალსაზრისით), არ ღირდა იმად, რა ფასადაც იგი დაგვიჯდა“, ე.ი. აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაკარგვად.

გ. წიქარიშვილი იმასაც წერს, რომ დაშვებული შეცდომისა და უბედურების გამოსწორება შეუძლებელიაო. „პოლიტიკაში არსებობს შეუქცევადი ცნება, _ ის რაც მაშინ დაიკარგა, დაიკარგა სამუდამოდ და ამ საქმეს აღარაფერი ეშველება“ (გვ. 512). ავტორის აზრით, უბრალო ადამიანისთვის, მისი სიმშვიდისა და ოჯახური მყუდროებისთვის „მიზანშეწონილი იქნებოდა არა ერთიანი, დიდი (საბჭოური) სახელმწიფოს დაშლა, არამედ მისი ტრანსფორმაცია ნამდვილ ფედერაციად ან კონფედერაციად, განახლებულ კავშირად საბაზრო ეკონომიკითა და პლურალისტური დემოკრატიით“ (გვ. 516).

უნდა ითქვას, რომ იყო მომენტი, როცა თითქმის მთელი ინტელიგენცია (და მეც პირადად) მხარს უჭერდა საბჭოურ-კომუნისტური იმპერიის გარდაქმნას თავისუფალ კონფედერაციულ გაერთიანებად, მაგრამ გორბაჩოვმა და მისმა გარემოცვამ კონფედერაციის იდეა დაგმეს. სწორედ ამის შემდეგ გაფართოვდა ერების ბრძოლა სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისთვის, რაც სულაც არ ყოფილა უარყოფითი და უპერსპექტივო მოვლენა.

ავტორი არცთუ უსაფუძვლოდ წერს, რომ ყველა ქვეყანასა და სახელმწიფოში პროცესების წარმართვაში გადამწყვეტ როლს ასრულებს „ელიტა“, რომელიც ძირითადად ინტელიგენციისგან შედგება. ასეთი მცირერიცხოვანი ფენა საბჭოეთის ყველა ერს ჰყავდა, მაგრამ „განსხვავებით საქართველოსგან, არც ერთ რესპუბლიკაში ელიტა საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების მართვისგან არ ჩამოუშორებიათ,.... ამიტომ წარმართა ეროვნული მოძრაობა ლიტვაში ცივილიზებულიად, პოლიტიკის კანონთა და ტექნოლოგიის სრული დაცვით,.... ამიტომ შესძლეს თავიდან აეცილებინათ ფართო მასშტაბიანი კატაკლიზმები, სამოქალაქო დაპირისპირება, ნგრევა და ქაოსი“ (გვ. 524_525).

თუ ქართველმა ხალხმა ეს ვერ შესძლო, ამის საფუძველი ისტორიულ წარსულში ძევსო. წიგნის ავტორის აზრით, „ქართველი ერის უბედურების სათავე მისი ეთნიკური „არშეკრულობა“. დიდწილად თურმე ეს „თვისება“ იწვევს ეთნოფსიქოლოგიურ პროცესებს, რაც ესოდენ ძალუმად გამოვლინდა 1988_1993 წლების მოვლენებში. გ. წიქარიშვილის აზრით, „ხანგრძლივი ისტორიული პროცესის შედეგად „შეიკრიბა“ მხოლოდ საკუთრივ ქართის ერთობა, მაგრამ ყველა ქართველური ტომის შეკრების პროცესი დასრულებული არ იყო და ვგონებ, აღარც დასრულდება უახლოეს ისტორიულ პერსპექტივაში“ (გვ. 589). მიმაჩნია, რომ ასეთი „კონცეფციის“ წინააღმდეგ ყველაზე სასტიკ პროტესტს ამ „შეკრების პროცესის“ ვითომდა მიღმა დარჩენილი მეგრელები და სვანები განაცხადებენ.

გ. წიქარიშვილის აზრით კი ამ „არაშეკრებულობიდან“ გამომდინარეობს „ეროვნული არასრულფასოვნების ქვეცნობიერი შეგრძნება და ის ფენომენი, რასაც პირობითად შეიძლება „ეროვნული ნევროზი“ ვუწოდოთ (გვ. 591). ეროვნული არასრულფასოვნების გრძნობის წაშლას ამაოდ ცდილობდა და ცდილობს თურმე ქართველი ინტელიგენცია (მწერლები, მეცნიერები, კულტურის მუშაკები).

ქართველი ინტელიგენციის მიერ დაშვებული დანაშაულის ტოლფასი შეცდომა იყო, ავტორის აზრით ის, რომ მის მიერ ქართველ ხალხში აღზრდილი ამბიციის „არ შეესაბამებოდა ერის რეალურ თვისებებს და შესაძლებლობებს,.... ვერ გაიხსენებთ მთქმელსა და ნათქვამს, რომ ჩვენ ვართ ერთი საწყალი, სუსტი ერი უშველებელი ამბიციით და პაწაწკინტელა შესაძლებლობებით“ (გვ. 608).

ასეთი უკიდურესი ნიჰილისტური შეხედულება არც ერთ სოციალ-ინტერნაციონალისტს არ გამოუთქვამს, არ ახასიათებდა თვით ჯაბადარსაც კი, რომლის წერილები გამანადგურებელი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ილია ჭავჭავაძემ. გადაჭარბებული ამბიციის და სიამაყე პიროვნული ნაკლია, მაგრამ ქართველი ერი მთლიანობაში ამაყი და თავისუფლებისმოყვარე რომ არ ყოფილიყო, ისტორიულ ქართველებს ვერ გაუძლებდა, მონობას შეეგუებოდა და სახელმწიფოებრიობას ვერ შეინარჩუნებდა. ქართველი ინტელიგენცია (მეც პირადად 1980 წელს გამოცემულ წიგნში

– ეროვნული საკითხი საქართველოში, 1801_1921) მიზნად ისახავდა ქართველ ხალხში ჩაენერგა არა უსაფუძვლო ამბიცი, არამედ გაეღვივებინა საბჭოურ-კომუნისტური რეჟიმისგან დათრგუნვილი ეროვნული თვითშეგნება და თავისუფლებისთვის ბრძოლის სულისკვეთება. გ. წიქარიშვილს კი არ მოსწონს „ქართული ინტელიგენციის მსოფლმხედველობრივი კრედო, საოცარი სიზუსტით რომ გამოიხატა პოეტის სიტყვებში: – „დავბადებულვარ, რომ ვიყო მონა და საქართველოს მედგას უღელი“. ქართული ტოტალიტარული ეთნონაციონალიზმი, მისი აზრით, „გამორიცხავდა დებულებას, რომ ადამიანი (მოქალაქე) კი არ არსებობს საქართველოსთვის, არამედ საქართველო არსებობს ადამიანისთვის» (გვ. 614).

პიროვნებისა და ერის ინტერესთა ასეთი დაპირისპირება, მათი უფლება-მოვალეობის ცალმხრივად განსაზღვრა ეწინააღმდეგება სახელმწიფოს წინსვლის საქმეს, რაც პიროვნებისა და მთელი ერის მოვალეობას შეადგენს.

გ. წიქარიშვილი თითქოს აღიარებს აზრს, რომ ქართველი ხალხი უცხოტომელთა შემწყნარებელი და ტოლერანტული თვისების იყო, რომ საქართველოში, მაგალითად, არასდროს ყოფილა ანტისემი ტიზმი, მაგრამ ამის მიზეზი, მისი განცხადებით, „ჩვენი განსაკუთრებული ეთნოტოლერანტობა კი არ არის, არამედ ის გარემოება, რომ საქართველოში (ესპანეთისა და რუსეთისგან განსხვავებით) ქრისტიანობა არასდროს ყოფილა ჭეშმარიტად სახალხო რელიგია“ (გვ. 614). ეს, რა თქმა უნდა, სიყალბეა. ყველა საღად მოაზროვნეს მიაჩნია, რომ ქრისტიანობა და ქართველობა შუა საუკუნეების საქართველოში იდენტური ცნებები გახდა. (გრ. ლორთქიფანიძის აზრი ქრისტიანული ეკლესიის დიდი როლის შესახებ).

წიგნის ბოლო თავში – „სახელმწიფოებრივი კულტურა“ – ავტორი წერს: „უძველესი სახელმწიფოებრივი ტრადიციის“ ქადაგება ქართველ ინტელიგენციას (თურმე) ქართველი ერის უნიკალურობის დასადასტურებლად დასჭირდა, სინამდვილეში „მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია“, რა თქმა უნდა, ლამაზი ზღაპარია. მთელი თავისი ისტორიის განმავლობაში საქართველო სულ 100_150 წელი თუ იყო ერთდროულად სუვერენული და ერთიანი სახელმწიფო (გვ. 636). გ. წიქარიშვილი არაფერს ამბობს იმაზე, რომ დაქსაქსულობა, დანაწევრებული მონარქიების არსებობა თითქმის საყოველთაო მოვლენა იყო. თუ გ. წიქარიშვილის თეორიას მიიღებენ, გერმანელები სირცხვილით დაიწვებიან, რადგან მთელი შუასაუკუნეების განმავლობაში გერმანია დანაწევრებული იყო სამეფო სამთავროებად. მეტ-ნაკლები ხნით ფეოდალურ სახელმწიფოებად დაშლილ-დანაწევრებული იყო იტალია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, რუსეთი და სხვა ქვეყნები. XV ს-ის მეორე ნახევარში საქართველოს ერთიანი მონარქიული სახელმწიფოც დაიშალა, მაგრამ ერთიანობის იდეა გამძლეობას ინარჩუნებდა, სახელმწიფოებრივი ტრადიცია გრძელდებოდა ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოებში და სამთავროებშიც. ისტორიოგრაფიაში დაფიქსირდა ერთიანობის იდეის ამსახველი ცნება – „საქართველოები“.

გ. წიქარიშვილის აზრით კი, სახელმწიფოებრივი ტრადიციის არარსებობა გამომქადაგნდა 1988_1993 წლებში. „აბა, რომელი სახელმწიფოებრივი კულტურული ერი დაუშვებდა იმას, რაც საქართველოში მოხდა 1988 წლიდან“ (გვ. 637). თუ მისი თავიდან აცილება ვერ შევძელით, ამის მიზეზი იყო „ქართული ელიტის უპასუხისმგებლობა,

ზნეობრივ-მსოფლმხედველობრივი ინფანტილიზმი და ინტელექტუალური სიმწირე, რაც ისევ და ისევ ერის სახელმწიფოებრივი გაგრძელებაა».

გათვითცნობიერებული ქართველისა და ზოგი სხვატომელი მოქალაქის კიდევ მეტ აღშფოთებას გამოიწვევს ალბათ განსახილველი წიგნის „ბოლოთქმა“. ავტორი 1988_1993 წლების მოძრაობისთვის თითქოს იმეტებს „ეროვნულ-განმათავისუფლების“ სტატუსს, მაგრამ იქვე წერს, რომ ამ მოძრაობას დადებითი და კარგი არაფერი მოჰყოლია. მისი ფაქტობრივი შედეგი მხოლოდ ნგრევა, სისხლისღვრა, ტერიტორიების დაკარგვა არისო. დამოუკიდებლობა თითქოს მოვიპოვეთ, „სუვერენული სახელმწიფოს“ სტატუსი მივიღეთ, მაგრამ თვით ქართველი ერის სტატუსი არარაობად იქცაო. შინ და გარეთ, უახლოეს ანეგდოტებში „ქართველი“ სულ უფრო ხშირად ფიგურირებს, როგორც მშიშარა „კურდღელი“, თანაც იცით როგორი ყაიდისა? თავის თავზე სხვას რომ „გაფუყულ“ წარმოდგენას უქმნის, სინამდვილეში კი წარმომადგენელია იმ 4 მილიონი ერისა, რომელიც ასი ათასიანმა აფსუებმა დაამარცხეს.

ქართველთათვის ისტორიულად თანდაყოლილმა ნაკლმა, გ. წიქარიშვილის აზრით, განსაკუთრებული სიძლიერით ამ ბოლო ხანებში იჩინა თავი. ფაქტი გახდა ი. ჭავჭავაძის მიერ „ძლივს შეკოწიწებული“ ეროვნული ცნობიერების რღვევა, ეროვნულობის დისკრედიტაცია. იმასაც ამბობს, რომ „საქართველოს ისტორიულ და თანამედროვე პრობლემათა ერთობლიობა „სისტემური კრიზისის სფეროს განეკუთვნება. სხვანაირად, ის, რაც ხდებოდა და ხდება საქართველოში“, გახლავთ სისტემური უკმარისობის კრიზისი (გვ. 654).

წიგნის ავტორი, როგორც ჩანს, თვითონაც ვერ ერკვევა „სისტემური კრიზისის“ არსში, მაგრამ მაინც ცდილობს მკითხველი აამაღლოს თავის თეორიამდე. სამეცნიერო ბრუნვაში შემოაქვს ისეთი ბუნდოვანი ცნებები, როგორიცაა „სისტემის აპრიორული უკმარისობა“, ცდილობს გაშიფროს ისეთი ვითარება, როცა იქმნება (ან ისტორიულად ყალიბდება) იმთავითვე არამდგრადი სისტემა, რომელსაც „რესურსული და სისტემური მდგრადობის ძალზე დაბალი კოეფიციენტი აქვს“. ამის ისტორიული მაგალითიაო ქართველი ერი და ქართული სახელმწიფო. ჩვენი სისტემის არამდგრადობის საფუძველი, გ. წიქარიშვილის განცხადებით არის ის, რომ საქართველო (სახელმწიფო) ვერ აკონტროლებდა საკუთარ პოლიტიკურ და ეკონომიკურ საზღვრებს; საზღვრისპირა რეგიონებში ცხოვრობდნენ და დღესაც ცხოვრობენ, თანაც კომპაქტურად სხვა ეთნოსები, რომელთაც ბუნებრივი კავშირი აქვთ მოსაზღვრე სახელმწიფოებთან. „კორუფციაც ერთ-ერთი მათგანია და ისიც უფრო საზოგადო მოვლენაა და არა კონკრეტული ხელისუფლების მანკი“. არამდგრადობის მიზეზი ყოფილა თურმე აგრეთვე „ქართველი ერის ეთნიკური არაკონსოლიდურობა, საზოგადოებრივი შეგნება, ცენტრალური ხელისუფლების ტრადიციული უღონობა, რეგიონალურ ელიტათა ტრადიციული პარტიკულარიზმი, მატერიალური რესურსების აპრიორული სიმცირე და სხვა (გვ. 657).

ყოველივე ამან განაპირობაო ის, რომ ქართული მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფო იშვიათად იყო ერთიანი და სუვერენული. „ცივილიზაციური ორიენტირების მხრივ კი ლამაზი ილუზიაა საქართველოს ეგრეთწოდებული ევროპული ორიენტაცია“, რადგან „ევროპა ყველა თვალსაზრისით ჩვენზე გაცილებით წინაა. ბუნებრივია, „ნატურის ხეში“ აღწერილ საზოგადოებას“ არავინ მიიღებსო ევროკავშირში.

გ. წიქარიშვილს მიაჩნია, რომ საქართველოს მხოლოდ მაშინ გაეხსნება მომავალი, თუ შევძლებთ „სისტემური დისონანსის მაქსიმალურ შემცირებას, დავიწროებას. საქართველოს თურმე იხსნის „ურბანო-ცენტრისტული“ კონცეფცია (გვ. 661). უნდა მივბადმოთ დიდ ებრაელ ერს, რომელმაც საკუთარი ტერიტორიისა და სახელმწიფოს გარეშე 2000 წელი გაუძლო ისტორიულ ქართველებს და შეინარჩუნა ეროვნული თავისთავადობა. ებრაელების გამძლეობის საფუძველი იყო ოცნება იერუსალიმზე და იქ დაბრუნების იმედი, რაც გამართლდა კიდევ.

წიგნის ავტორი გვარწმუნებს, რომ „ასეთივე ეროვნულ-სახელმწიფოებრივი კონცეფცია გაიზიარაო სომხობამ (ეჩმიადინი) და ბევრმა სხვა ერმა, „ელცინის შემდეგ თვით რუსეთმაც კი (?!), რომელიც ივანე მესამის ეპოქიდან მხოლოდ და მხოლოდ „ტერიტორიულ-სივრცით პარადიგმაში ვითარდებოდა“ (გვ. 652_663).

ამგვარი მსჯელობით მკითხველს წინასწარი შემზადების შემდეგ გ. წიქარიშვილი წერს: „ჩვენი ღრმა რწმენით, საქართველოს ერთადერთი ხსნა (თუ საერთოდ შესაძლებელია) სწორედ ურბანო-ცენტრისტული სახელმწიფოებრივი კონცეფციაა, რომელშიც „ტრანსცენდენტური შემკრები საწყისის“ ფუნქციას „ქართული იერუსალიმი“ – ჩვენი დედაქალაქი თბილისი შეასრულებს.

ხსენებულ პარადიგმაში, ავტორის განცხადებით, ტერიტორიას კი არა აქვს მნიშვნელობა, არამედ „შემკრები“ სუბსტანციის ძალმოსილებას. ამ პარადიგმაში «საქართველო (როგორც სახელმწიფოებრივი ფენომენი), შენარჩუნდება ტერიტორიების დაკარგვის მიუხედავად“. ასეთი კონცეფციის ფარგლებში ტერიტორიას თურმე არ აქვს თავისთავადი, სულიერ-ზნეობრივი ღირებულება. ამგვარი ღირებულება აქვს მხოლოდ თბილისს, ისევე როგორც იერუსალიმს ებრაელებისთვის (გვ. 663).

გ. წიქარიშვილი გრძნობს, რომ ქართველი ხალხი „ურბანო-ცენტრისტულ კონცეფციას» არ მიიღებს, ტერიტორიების დაკარგვას არ შეურიგდება. ამიტომ ყველნაირად ცდილობს, გავლენა მოახდინოს ქართველთა ეროვნულ ცნობიერებაზე, დაითანხმოს თავის იმ შეხედულებაზე, რომ საქართველოს შემადგენლობაში დარჩეს მხოლოდ ის რეგიონები, სადაც ქართველები უმრავლესობას შეადგენენ და თბილისის სუვერენიტეტს აღიარებენ.

ამის შემდეგ წიგნის ავტორი ამაზრზენი სიმშვიდით განაგრძობს თავის მსჯელობას: „ამ კონცეფციით, თუ მაგალითად, ქართველ ჯარისკაცს, მესაზღვრეს და მებაჟეს უშუალოდ ჯავახეთში არ დაედგომება და იქ თავის ფუნქციას ვერ ასრულებს, მაშინ მან ახალ მიჯნაზე უნდა დაიხიოს და ჯავახეთ-სამცხის საზღვარზე დადგეს“. ასევე უნდა მოიქცესო ენგურთან და ცხინვალის მისადგომებთან მდგარი ჯარი, მესაზღვრე და მებაჟე; მათაც იქ დაიცვან „თბილისის ინტერესები“, სადაც რეალურად შესაძლებელია (გვ. 664).

ამგვარად, გ. წიქარაშვილმა ქართველ ხალხს შესთავაზა კაპიტულანტური, არსებითად მოღალატური კონცეფცია, რომელიც მხოლოდ აგრესიული სეპარატიზმის წინსვლაზე ასხამს წყალს. იგი ეწინააღმდეგება არა მარტო ქართველი ერის ინტერესებს, არამედ სამართლიანობის საერთაშორისო პრინციპსაც. ავტორი მაინც ცდილობს რამენაირად გაიტანოს თავისი, „ამტკიცებს“, რომ „აღწერილ პარადიგმაში საქართველო შეუდარებლად უფრო მდგრად სისტემად იქცევა. უმთავრესი სახელმწიფოებრივი მენტალური პრინციპი ხდება ჩვენთვის (ქართველი ხალხისთვის ა.ბ.) ძალიან ძნელად

აღსაქმელი მაქსიმა: საქართველო არის მხოლოდ იქ, სადაც უპირობოდ და უექველად ვრცელდება საქართველოს ხელისუფლების (თბილისის) სუვერენიტეტი და იურისდიქცია“ (გვ. 665). ეს ვითომდა „კონცეფცია“ არა მარტო ძნელი აღსაქმელი, არამედ აბსოლუტურად მიუღებელია.

სულ ბოლოს წიგნის ავტორი აცხადებს: „ჩვენი მოკრძალებული გამოკვლევის დედააზრი ნამდვილად არ გულისხმობს, რომ თუ სახელმწიფოებრივად უკულტურო და არაპასიონალური ერი აღმოვჩნდით, ამის გამო უღირსი ერი ვართ, ... გააჩნია, რას მივიჩნევთ „ღირსებად“. ერის სახელმწიფოებრივ უკულტურობაში ხომ ხშირად ამ ერის სულიერი სისპეტაკე, თავისუფლებისადმი დაუოკებელი სწრაფვა მქდავანდება. „ჭეშმარიტება სამშობლოზე მაღლა დგასო“, ამას მხოლოდ ქართველი იტყოდა, ...პასიონალურობა (რაც გ. წიქარიშვილის აზრით, ქართველებს არ გააჩნდა ა.ბ.) ნგრევისა და აგრესიის ნიჭია და სხვა არაფერი. ეგებ ამით მაინც ვინუგეშოთ თავი. მით უმეტეს, რომ ამ ჩვენს საცოდავ ქვეყანას, როგორც ჩანს, უკვე აღარაფერი ეშველება. იგი განწირულია, ოკეანეში ჩაკარგული პატარა ნავივით იცურავს უმიზნოდ და უგზო-უკვლოდ, 21-ე საუკუნის აბობოქრებულ მსოფლიოში. ასეთი ბედისწერისა ყოფილა საქართველო _ დიდი ბიზანტიის ეს საბრალო ნამსხვრევი“ (გვ. 667).

ასე მიაღწია კულმინაციას გ. წიქარიშვილის ნიჰილისტურ-ანტიქართულმა განწყობამ და აზროვნებამ. ეს კაცი დღევანდელ საქართველოს მოევლინა შორეული ჰეროსტრატეს ორეულის სახით. მისი მიზანი ალბათ არის, ქართველი ხალხი ანტიეროვნული პოზიციით გააკვიროვოს და აღაშფოთოს, ხოლო დასავლეთ სამყაროში მამაცი პიროვნების, „ვიწრო ეროვნულ ინტერესებზე ამაღლებული“ ინტერნაციონალისტ-კოსმოპოლიტის იმიჯი მოიპოვოს და ამ გზით „უკვდავოს“ თავისი სახელი. საქართველოში გ. წიქარიშვილის აშკარად ნიჰილისტურ, სამართლიანობის პრინციპისგან მთლიანად გამიჯნულ „კონცეფციას“, რა თქმა უნდა, დაგმობა არ ასცდება.

ქართველი ხალხი არასოდეს ყოფილა სხვა ტომელთა მჩაგვრელი და შემავიწროებელი. არც დღეს ღალატობს ტოლერანტობის ტრადიციას, იცავს მის ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვა ერთა წარმომადგენლების მოქალაქეობრივ და სხვა უფლებებს. საქართველოს მთავრობას არც არსებული ავტონომიების გაუქმება დაუსვამს დღის წესრიგში. ეთნო-კონფლიქტები გარედან დახმარების მოიმედე, სეპარატისტულად განწყობილმა ელემენტებმა წამოიწყეს. აფხაზეთისა და ცხინვალის ოლქის ლიდერებმა დაარღვიეს საერთაშორისო სამართლის ნორმები და საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი. საერთაშორისო ორგანიზაციები ხელს ვერ უწყობენ ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტის აღმოფხვრას. ომის სუნი ტრიალებს, მაგრამ საბრძოლო ოპერაციების გაჩაღება არც ქართველ ხალხს აწყობს და არც ავტონომიების მოსახლეობას. გამოსავალი ერთია _ მხარეების კომპრომისული შეთანხმება.

საქართველოს პრეზიდენტი, პარლამენტი და მინისტრთა კაბინეტი მზად არიან დააკანონონ ავტონომიების არსებობა; მათი თანამედროვე სტატუსის, უფლება-კომპეტენციის განსაზღვრისთვის შექმნან შერეული კომისიები, ე.ი. საქართველოს ხელისუფლება გარკვეულ დათმობაზე მიდის; თანხმობას აცხადებს უნიტარული სახელმწიფოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ მოწყობაში შეიტანოს ფედერაციის ელემენტები. სეპარატისტებმაც უნდა შეკვეცონ პრეტენზიები. ვალდებული არიან,

ანგარიში გაუწიონ ომის ზღვარზე მისულ დამაბულობას, მშვიდობისმოყვარე ფართო საზოგადოების ინტერესებს და ხელი მოაწერონ შეთანხმებას ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ავტონომიური სტატუსით დაბრუნების შესახებ. ასეთ კომპრომისულ შეთანხმებას აუცილებლად დაადასტურებს საერთაშორისო სამართალი.

მაგრამ კომპრომისული შეთანხმების ერთ-ერთი, არცთუ უმნიშვნელო პირობაა საქართველოს სახელმწიფოებრივი მიზიდულობის ძალის ამღლება. პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა უკვე გაამახვილა ყურადღება ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალისა და ხალხის მატერიალური კეთილდღეობის ამღლების აუცილებლობის შესახებ, რაც დაკვრითი წესით ვერ განხორციელდება. დღევანდელი გაჭირვებული ყოფის პირობებში კი უზნეობად აღიქმება ის ფაქტი, რომ მინისტრები და პარლამენტარები ერთმანეთს ეჯიბრებიან საკუთარი ხელფასების მაქსიმალურად გაზრდაში, ხალხზე კი ნაკლებად ფიქრობენ. საქართველოში «ვარდების რევოლუციის» შემდეგაც გრძელდება სიმდიდრისა და სიღარიბის პოლარიზაცია. სამუალო ფენა თითქმის არ არსებობს. სიღატაკის ზღვარზე აღმოჩნდა მოსახლეობის 60 პროცენტი და მათ შორის ინტელიგენცია – მწერლები, მეცნიერები, პედაგოგები, კულტურის სფეროში დასაქმებული მოქალაქეები. ვიდრე მთელი ხალხის მატერიალური კეთილდღეობის საგრძნობლად ამღლების პირობები არ არსებობს, მმართველმა ელიტამ და მოხელეებმაც თავი უნდა შეიკავონ, ნაწილობრივ მაინც გაუწიონ ანგარიში სამართლიანობის პრინციპს. ამის გარეშე შინაგანი სტაბილურობა საექვო გახდება და ქვეყნის (სახელმწიფოს) გამთლიანება გაძნელდება.

80 წლის კაცი ვარ, ვემზადები საუკუნო სასუფეველში გასამგზავრებლად. მინდა, თან წავიყოლიო იმედი, რომ კაცთა გონიერების წყალობით თუ არა, ღვთის შეწევნით მაინც საქართველო გამთლიანდება და მყარად დადგება პროგრესის გზაზე.

მწარე სიმართლე (გიორგი წიქარიშვილის პასუხი)

მიმდინარე წლის 19 მაისს „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნდა ერთობ „ემოციური“ სტატია, რომელიც ეხება ჩემს წიგნს – «ჟამი ჭეშმარიტი. (დამარცხებული მოძრაობის ქრონიკა)».

მინდა, გულწრფელი სინანული გამოვთქვა იმის გამო, რომ წიგნი სტატიის პატივცემულ ავტორს გავუგზავნე, ვინაიდან მასში გამოთქმულმა მწარე (ჩემთვისაც მწარე) სიმართლემ ღვაწლმოსილი ქართველი ინტელიგენტი აშკარად შეაწუხა. ასეთი მიზანი ნამდვილად არ მქონია.

პატივცემული ავტორის საგულისხმოდ ისღა უნდა შევნიშნო, რომ მე ჟურნალისტი (პოლიტოლოგი) ვარ და არა ისტორიკოსი. ამდენად, რაიმე რეგალიის მაძიებლად ვერ ჩავითვლები ვერც საქართველოში და ვერც დასავლეთში, სადაც ამ წიგნის არსებობის შესახებ, გარწმუნებთ, არავინ არაფერი უწყის და, ბუნებრივია, არც ასეთი „პერსპექტივა“ აქვს, როგორც პატივცემული მეცნიერი უწინასწარმეტყველებს.

მით უმეტეს, რომ შინაარსობრივად ჩემი წიგნი მთლიანობაში უფრო ერთგვარი „იმპრესიონისტული“ ნარკვევია და არა აკადემიური პრეტენზიის მქონე ნაშრომი. ეს გარემოებაც წიგნის შესავალში შემთხვევით როდია ხაზგასმული.

გარდა ემოციისა და „ინტელიგენტური კრულვისა“ („ჰეროსტრატე“, „ლალატი“ და ა.შ.), სტატიაში ერთადერთი სერიოზული არგუმენტი ამოვიკითხე: განა, მაგალითად, გერმანიაში არ იყო ფეოდალური დაქუცმაცების ეპოქა? კაცმა რომ თქვას, ამ კონტრარგუმენტს იმთავითვე ველოდი, მაგრამ წიგნმა ყველაფერი ვერ დაიტია.

საქმე ის გახლავთ, რომ ქართული ისტორიოგრაფიისთვის ზოგადად დამახასიათებელია „პრესტიჟული“ ევროპული ანალოგების მოძიება შინაარსობრივად აბსოლუტურად განსხვავებული მოვლენებისთვის, რაც საქართველოში ხდებოდა.

გერმანული (ზოგადად, ევროპული) ფეოდალური დაქუცმაცებულობა სულ სხვა მოვლენაა – ეს გახლდათ ერთგვარი „სუვერენიტეტა ჭიდილი“, მაშინ როდესაც ის, რაც XVII-XVIII საუკუნეებში ხდებოდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში, იყო არა „ფეოდალური დაქუცმაცებულობა“, არამედ ანარქია, სახელმწიფოებრივ სისტემათა სრული დეგრადაცია და უხელისუფლებობა – თუნდაც „მრავალხელისუფლებობა“, რაც თვისობრივად, კატეგორიულად სხვა მოვლენაა!

დასადასტურებლად მხოლოდ ერთი კითხვა-არგუმენტი:

დამისახელეთ თუნდაც მცირე მონაკვეთი გერმანიის ფეოდალური დაქუცმაცებულობის ისტორიიდან, როდესაც გავრცელებულიყოს ისეთი საზარელი ფენომენი, როგორცაა უცხოეთში „ტყვის სყიდვა“, ანუ ის, რასაც ამ უცნაური ტერმინით ჩვენში აღნიშნავდნენ. არადა, ეს ძალზე სიმპტომატური მაგალითია!

აღარაფერს ვამბობ თვით ანალოგიის არცთუ კორექტულობაზე: „გერმანიები“ სუვერენულ სახელმწიფოებს წარმოადგენდნენ, ხოლო „საქართველოები“ (XVI-XVIII საუკუნეებში) – ირანის ან თურქეთის ავტონომიურ რეგიონებს. განა შეიძლება XVII საუკუნის აბსოლუტისტური ავსტრია და პრუსია შევადაროთ იმავე ეპოქის საწყალობელ ქართლსა და იმერეთს?

გერმანიის ფეოდალური დაქუცმაცებულობის ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორი იყო მუდმივი ბრძოლა ფეოდალებსა და ინსტიტუციურად მზარდ ქალაქებს შორის, რაც ქვეყანაში ერთდროულად რამდენიმე მძლავრი სამეურნეო-პოლიტიკური ცენტრის წარმოშობას განაპირობებდა.

არაფრის მსგავსი არ ხდებოდა საქართველოში, უფრი მეტიც: ჩვენს ქვეყანაში ევროპული ტიპის ქალაქი (ფენომენოლოგიური და სოციალურ-პოლიტიკური თვალსაზრისით) XIX საუკუნემდე არც არსებობდა იმ სახით, როგორც არსებობდა შუა საუკუნეების ევროპაში.

დამისახელეთ თუნდაც ერთი მაგალითი იმისა, რომ შუა საუკუნეების საქართველოში ქალაქს ფეოდალის წინააღმდეგ ეწარმოებინა ისეთი შინაარსის ბრძოლა, როგორსაც მაგალითად, აწარმოებდნენ კიოლნი, ვორმსი, მაინცი, ულმი ან აუგსბურგი – თავიანთი სენიორების წინააღმდეგ.

გერმანიაში „ფეოდალური დაქუცმაცებულობა“ ერთგვარად „განვითარების ფუნქცია“ იყო და არა სახელმწიფოებრივი დეგრადაციის მაჩვენებელი.

სოციალური თვალსაზრისით კი გერმანიის ფეოდალური დაქუცმაცების ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი გახდა დაპყრობითი ომები, რომლებსაც იმპერია აწარმოებდა იტალიისა და სლავური ქვეყნების წინააღმდეგ, რამაც გამოფიტა და დაასუსტა ერთიანი სახელმწიფო. განა დასაშვებია, ეს თუნდაც შევადაროთ იმას, რაც იმავე პერიოდის საქართველოში ხდებოდა? შეიძლება ითქვას, გერმანიის ფეოდალური დაქუცმაცება

თვით გერმანიის საგარეო აგრესიის „პოლივექტორულობამ“ და ამ ნიადაგზე რეგიონულ ელიტათა ინტერესების სხვაობამ (სხვადასხვა მიმართულებით ამ აგრესიის, შესაბამისად, რესურსთა კონცენტრაციამ) განაპირობა და არა გამანადგურებელმა უცხოურმა ინტერვენციამ, როგორც XII_XV საუკუნეების საქართველოში.

მეტაფორულად თუ ვიტყვით, გერმანიის ფეოდალური დაქუცმაცებულობა „დაშლა“ იყო, ხოლო საქართველოსი – „მსხვერვა“.

კიდევ ერთი უმძლავრესი ფაქტორი გახდა რელიგიური ომები, წმიდა საყდრის პოლიტიკური ზეგავლენა და რეფორმაცია.

გერმანიის ფეოდალური დაქუცმაცებულობა დასრულდა ბისმარკის ეპოქით, გაერთიანებითა და მძლავრი, სუვერენული სახელმწიფოებრიობის დაფუძნებით, რომელიც ამისდა მიუხედავად გარკვეული მიმართულებებით ჩამორჩა სხვა ევროპულ „ზესახელმწიფოებს“ და სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა ორი მსოფლიო ომი XX საუკუნეში.

საქართველოს „ფეოდალური დაქუცმაცებულობა“ კი დასრულდა საბოლოო სახელმწიფოებრივი კვდომით და სხვა სახელმწიფოს გუბერნიებად ქცევით.

გერმანიის (ზოგადად, ევროპის) ფეოდალურ დაქუცმაცებულობაში იმთავითვე იდო და იგრძნობოდა განვითარების, რეინტეგრაციისა და „სუვერენიტეტის გამთლიანების“ მძლავრი ტენდენცია. საქართველოს „ფეოდალური დაქუცმაცებულობის“ ძირითადი არსი, მთავარი ტენდენცია – ვექტორი კი ანარქიის შემდგომი გაღრმავება, საბოლოო დეგრადაცია და სახელმწიფოებრივი კვდომა იყო.

საერთოდ კი, მე მგონი, ქართული აზროვნება რაც მალე მოიშლის ყველა შესაძლო თუ შეუძლებელ შემთხვევაში დიდ ევროპელ ერებთან შედარება-გატოლების მავნე ტრადიციას, მით უკეთესი მისთვის.

შესანიშნავად მესმის, რომ მწარე სიძარტლე (არა მხოლოდ ამ ნაწილში) ძალიან ძნელი აღსაქმელია. მართლაც, მტკივნეულია იმ ღირებულებების შეხება, რომელსაც მთელი ცხოვრების განმავლობაში პატრიოტული გულმხურვალეობით ზრდიდი და ელოლიავებოდი; შესაბამისად, რეაქცია მწვავეა და ეს არათუ გასაგებია, არამედ მისაღებიცაა, თუ რასაკვირველია, პიროვნულ შეურაცხყოფას არ ჩავთვლით, რაც ამცირებს დისკუსიაში მონაწილეობის სურვილს.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, საქმე გვაქვს მოვლენასთან, რომელსაც გასული საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო სოციო-ფსიქოლოგი ლეონ ფებტინგერი „კოგნიტიურ დისონანსს“ უწოდებდა.

ამავდროულად, სიძარტლე სიძარტლედ რჩება, ისევე როგორც რეალობა – რეალობად.

მკითხველსაც ბოდიშს ვუხდი ასეთი შედარებისთვის, მაგრამ ქართული საზოგადოება დღეს მიხეილ ჯავახიშვილის ერთი შესანიშნავი მოთხრობის გმირს (ხაზს ვუსვამ: „გმირს“ და არა უბრალოდ, პერსონაჟს) ჰგავს, რომელიც სათაყვანებელი შვილის სიკვდილში თავს არ უტყდება, რადგან ასეთ შემთხვევაში საკუთარი დანაშაულიც უნდა აღიაროს!

ოღონდ, მისთვისაც ისევე, როგორც ჩვენთვის გადარჩენის, შემდგომი სიცოცხლისა და სხვა შვილზე ზრუნვის აუცილებელი პირობა მწარე, შემადრწუნებელი რეალობისთვის თვალის გასწორებაა.

პასუხის პასუხი (ალექსანდრე ბენდიანიშვილი)

გ. წიქარიშვილმა, მართალია, „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოაქვეყნა საპასუხო წერილი, მაგრამ ჩემს მიერ წამოყენებულ მთავარ შენიშვნა-ბრალდებებზე არაფერი უთქვამს. კონტრშეტევაზე გადმოვიდა, დამიწუნა ის, რომ ანალოგი გავავლე საქართველოს ფეოდალურ დაქუცმაცებულობასა და გერმანულ (ზოგადევროპულ) ფეოდალურ დაშლილობას შორის, ცდილობს იმის დამტკიცებას, რომ საქართველოს არც ძველად ჰქონდა რამე საერთო დასავლეთ ევროპასთან და არც დღეს აქვს. მისი აზრით, დასავლეთევროპული და, კერძოდ, გერმანული ფეოდალური დაშლილობა სულ სხვა მოვლენაა. ეს იყო ერთგვარ სუვერენიტეტთა ჭიდილი (არ იცის, რომ სუვერენულ უფლებამოსილებათა გამო საქართველოს მეფე-მთავრებიც დაობდნენ), საქართველოში კი XVII-XVIII საუკუნეებში იყო არა მხოლოდ დაქუცმაცებულობა, არამედ სრული ანარქია, სახელმწიფოებრიობის სრული დეგრადაცია. ეროვნული ნიჰილიზმის სენით დაავადებული გ. წიქარიშვილი დაასკვნის, რომ გერმანიის (ზოგადად, ევროპის) ფეოდალურ დაქუცმაცებულობაში იმთავითვე იდო და იგრძნობოდა განვითარების, რეინტეგრაციისა და სუვერენიტეტის გამთლიანების მძლავრი ტენდენცია; საქართველოში კი თანდათან ღრმავდებოდა ანარქია და სახელმწიფოებრიობის კვდომის პროცესი. ამიტომ იყო, რომ შუა საუკუნეების ევროპამ არ იცის ისეთი სენი, როგორც იყო ადამიანთა დატყვევება და უცხოელებზე გაყიდვა, საქართველოში კი ტყვეთა გაყიდვამ ფართო ხასიათი მიიღო.

გ. წიქარიშვილი არაფერს ამბობს იმაზე, რომ ეს არაადამიანური მოვლენა ქართველთა გენეტიკურ კოდში კი არ იდო, არამედ ოსმალეთის აგრესიისა და ზეწოლის შედეგს წარმოადგენდა. ამ უბედურებას თავგამოდებით ებრძოდნენ ქართველი მონარქები: იმერეთის მეფე სოლომონ პირველმა სპეციალური კანონი გამოსცა მისი აღმოფხვრისათვის, რასაც ოსმალეთის სულთანმა ახალი ომით უპასუხა.

გ. წიქარიშვილი თავის პასუხში იმასაც წერს, რომ გერმანიაში თანდათან მომრავლდა ქალაქები, ფაქტი გახდა მათი ბრძოლა ფეოდალ მფლობელთა წინააღმდეგ, საქართველოში კი ევროპული ტიპის ქალაქი არ არსებობდა, მოქალაქეთა ოპოზიციური მოძრაობა არ ყოფილა; ქართულ ისტორიოგრაფიაში კი გაბატონებულია თვალსაზრისი (რასაც არაერთი უცხოელი მეცნიერიც იზიარებს) იმის შესახებ, რომ საქართველოში დომინირებდა ევროპული ყაიდის ფეოდალიზმი, ანალოგიური საკუთრებისა და მეურნეობის ფორმები, მაგრამ საქართველოში მკვეთრად არ გამოვლენილა სამწევრიანი წოდებრივი სტრუქტურა. ეს იმით იყო განპირობებული, რომ საქართველოში ფეოდალური წოდება არ ყოფილა ჩაკეტილი კასტა. ქართული ადათი და კანონი დიდვაჭრებსა და გამდიდრებულ გლეხებს გზას უხსნიდა მაღალი წოდებისკენ. ბევრი მათგანი აზნაურობას ღებულობდა. ამიტომ იყო, რომ საქართველოში თავადაზნაურობა შეადგენდა მოსახლეობის 5-6 პროცენტს, დასავლეთ ევროპაში კი 2 პროცენტს არ აღემატებოდა. საქართველოში ყოველთვის იყვნენ ე.წ. „ახალკაცები“. მათი წარმომადგენელი იყო ყუთლუ-არსლანი, რომელმაც თამარ მეფეს „კარავის“ დადგმა, პარლამენტის წინამორბედის წოდებათა სათათბიროს უფლება-კომპეტენციის გაფართოება მოსთხოვა. მაღალი წოდების აზნაურული ფენა იყო მეფის ძირითადი საყრდენი, ცენტრალიზებული მონარქიის ჩამოყალიბების საფუძველი. გ. წიქარიშვილმა

არ იცის ან განგებ მალავს იმ ფაქტს, რომ XVII_XVIII საუკუნეების საქართველოში მიმდინარეობდა ბრძოლა ქვეყნის გაერთიანებისთვის. 1762 წელს ქართლ-კახეთი გაერთიანდა, 1790 წელს კი გაფორმდა ქართველ მეფე-მთავართა სამოკავშირეო ხელშეკრულება, ფაქტობრივად შეიქმნა კონფედერაციული გაერთიანება ერეკლე მეორის მეთაურობით.

გ. წიქარიშვილს უფლება აქვს ნიჰილისტური სენი ატაროს, მაგრამ მას არავინ მისცემს უფლებას საქართველოს ტერიტორიები გაასაჩუქროს და აგრესიული სეპარატიზმის წისქვილზე დაასხას წყალი.

7 ივლისი, 2006 წელი.


ნოდარ ანდლულაძე

სამყაროს მოსმენა.

ალფრედ ტომატისის ანთროპოლოგიური
კონცეფცია – “Big-Bang”- დან მოცარტამდე

(საუბარი I)

ჩემმა ვოკალურმა ძიებებმა საოპერო არტისტის საქმიანობაში, ასევე სიმღერის პედაგოგიკაში, მძაფრად დამისვეს მუსიკალურ-ვოკალური სმენის, სმენის ესთეტიკის, სმენის კულტურის საკითხები არა მარტო სიმღერის ხელოვნების ფარგლებში, არამედ ზოგადად ადამიანის ესთეზისის უმთავრეს ველებში: ადამიანი, როგორც „მსმენელი არსება“ („Mensch Hürer“ – კარლ ბარტი).



სლაიდი 1

ადამიანის რაობის ძიებებში შეიმჩნევა სმენისადმი ნაკლები ყურადღება მხედველობასთან შედარებით.

უკვე 35 წელზე მეტია, რაც ვწერდი ერთ-ერთ გამოკვლევაში: „ბგერის სამყარო ჯერაც არ არის გამოკვლეული ისე, როგორც სინათლის სამყარო. სმენის თეორიას ჯერ კიდევ ისე ვერ იყენებენ ადამიანის ცნობიერების, შემეცნებისა და მხატვრული შემოქმედების ძირითად საკითხთა გადასაწყვეტად, როგორც დღეს უკვე იყენებენ მხედველობის თეორიას. ჩვენ, ვოკალისტებს, ჯერაც არა გვაქვს ისეთი წიგნი, როგორიცაა რ. გრეგორის „გონიერი თვალი“. არადა, როგორ გვჭირდება – გონიერი ყური! აი, სად უნდა წყდებოდეს ვოკალური ხელოვნების, ვოკალური შემსრულებლობის, ადამიანის რაობის საკითხები.



სლაიდი 2

თხუთმეტი საუკუნე ჰყოფს ორ გა-მონათქვამს, რომელთაგან ერთი ეკუთვნის ფილოსოფოსს, მეორე კი ვოკალისტს:

1. „სიმღერას ორი რამ წარმართავს – მეცნიერებით აღზრდილი გონება და გონებას მორჩილი სმენა“ (ბოეთიუსი, V-VI სს.).

2. „მშვენიერი, ცოცხალი სიმღერის ხელმძღვანელი უნდა იყოს ყური და მრჩეველი – ორგანული შემეცნება“ (ტურის ვან ბორი XX ს.). (სლაიდი №1).



სლაიდი 3

კაცობრიობის ისტორიულ წარსულში სმენას, ყურს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ამასვე მოწმობს სახარებაც, ეკლესიასტეც და, განსაკუთრებით, თვით ქრისტიანობა, რომელიც სმენის რელიგიადაა მიჩნეული ელინისტურ ტრადიციასთან შედარებით,

რომელიც მხედველობის უპირატესობით აღინიშნება (მოტანილია ციტატები ლუკას სახარებიდან, ეკლესიასტე). (სლაიდი № 2, 3).



სლაიდი 4

ადამიანის ერთ-ერთ დამახასიათებელ თვისებად მიჩნეულია მოსმენის უნარი („რწმენა მოდის ყურით და არა თვალით“, _ ამბობს მორან ბროკი).

რელიგიები იყენებენ სიმღერას, როგორც რიტუალის ორგანულ ნაწილს. მეტიც! წმიდა სიმღერები განსაკუთრებული დანიშნულების მატარებელია მლოცველთათვის (საილუსტრაციოდ მოყვანილია გურული საგალობლები _ 1902 წლის ჩანაწერები, აღდგენილი ანზორ ერქომაიშვილის მიერ, და ებრაელი კანტორის სიმღერა სინაგოგაში).



სლაიდი 5

ძველ ინდურ მსოფლმხედველობაში განსაკუთრებული ადგილი უკავია სპილოს (Ganesha), როგორც სიბრძნის სიმბოლოს: სპილო ბრძენია, იმიტომ რომ „ბევრი რამ სმენია“ თავისი უზომო ყურებით. სპილოს კბილით დაიწერა ვედები (დანელ ლევი, ევფონია, სიცოცხლის ბგერა).

ფილოსოფოსთა შორის გამოვეყოფდით სირენ კიერკეგორს: „ყოველივე განისაზღვრება ყურით: გრამატიკის კანონები განისაზღვრება ყურით; კანონის გაგება განისაზღვრება ყურით“.

ღვრება ყურით; ფუნდამენტალური ბანი – ყურით. ამიტომაც სხვა ცხოვრება გამოისახება, როგორც მთელი მუსიკა, როგორც დიადი ჰარმონია. ეჰა, შეძლებდნენ მაინც ჩემი ცხოვრების დისონანსები უმაღლეს შერწყმას“ (კიერკეგორი).



სლაიდი 6

სხვაგან, მოცარტთან დაკავშირებით კიერკეგორი ამბობს: – „ბგერა შეაღწევს იქ, სადაც ვერ შეაღწევს მზის სხივი“.

ყურზე აღიბეჭდება მთელი ორგანიზმი (სლაიდი № 4, 5). ვოკალის მეთოდულაში პედაგოგის ყური განსაზღვრავს მოსწავლის მუშაობას ხმის დახვეწაზე (სლაიდი № 6, მარიო მელანის წიგნიდან „Parliamo un po' di canto“).

ყოველივე ზემოთქმულმა მიმიყვანა ალფრედ ტომატისის გამოკვლევებამდე ყურის, სმენის, მოსმენის შესახებ. ტომატისმა შექმნა „სმენის ანთროპოლოგია“.






Figure 21
SCHÉMA DU DIAGRAMME CYBERNÉTIQUE
DE L'ACTE CHANTÉ

1. Intentionnalité – 2. Cerveau – 3. Acte chanté – 4. Capteur auditif.


სლაიდი 7



სლაიდი 8




სლაიდი 9




სლაიდი 10

ტომატისი აღნიშნავს, რომ უკუკავშირების პრინციპი მან აღმოაჩინა ვინერის მიერ აღმოჩენილ კიბერნეტიკულ კანონზე ადრე 1947 წელს (სლაიდი № 7).

ყური ტომატისისათვის არის ის ორგანო, რომელიც განაპირობებს ადამიანის ორ ფეხზე დგომას, გამსჭვალავს და განსაზღვრავს მთელ ფსიქო-მოტორულ ორგანიზმს, აწესრიგებს ჰარმონიულ შეთანხმებულ მოძრაობას, წონასწორობას და მუხტავს ტვინს - ენერგიით ბგერითი აკუპუნქტურისებური ზემოქმედების საშუალებით (სლაიდი № 8, 9, 10, 11, 12; სმენის ცენტრისა და ნერვული სისტემის ურთიერთობათა ამსახველი ტომატისის შრომებიდან: „სიცოცხლე და ყური“, „ყური და ხმა“, „სამყაროს მოსმენა _ Big-Bang-იდან მოცარტამდე“).




სლაიდი 11



სლაიდი 12

„სიმღერამ შექმნა ადამიანი“.


„ადამიანი არის ანტენა, ჩადგმული ზეცასა და დედამიწას შორის, რათა თავისი არასრულყოფილი ენით გადმოსცეს ზეგარდმო უწყება“. ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანი ხდება ე.წ. „სმენის პოზა“, როდესაც მთელი ორგანიზმი მობილიზებულია მოსმენისათვის და ბგერის, სიტყვის, სიმღერის შექმნისათვის (სლაიდი № 13; „სწორი დგომის“ გამოსახულებით).




სლაიდი 13

დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ტომატისი „ძვლის ხმას“. ეს ბგერაა, ხმა, ფონაცია, რომელიც აირეკლება ძვლის ვიბრაციული შეგრძნებებით (თავის ქალის, სახის, სასის, კისრის ძალებით, ხერხემლით, მკერდით, ნეკნებით, მენჯით, წვივებამდე). ძვლის ვიბრაცია მთავარი მაკონტროლებელია მაღალხარისხოვანი სასიმღერო ხმისა. ყველა დიდი მომღერალი შეგნებულად თუ ქვეცნობიერად ეყრდნობა ამ კონტროლს სიმღერის დროს.

ტომატისმა წამოაყენა და დაამტკიცა დებულება: „მომღერალი გამოსცემს იმ ობერტონებს, რომელთაც ისმენს მისი ყური“ (უფრო კატეგორიულად: „მომღერალი მღერის ყურით“). ამ დებულებას საფრანგეთის მედიცინისა და მეცნიერებათა აკადემიებმა მიანიჭეს „ტომატისის ეფექტის“ სახელი (რაულ იუსონისა და ანდრე მულონგეს წარდგინებით).



სლაიდი 14



სლაიდი 15

ამის საფუძველზე ტომატისმა შექმნა ე. წ. „ელექტრონული ყური“, რომლის მეშვეობით კურნავდა მრავალ დაავადებას, არა მარტო პროფესიულ სასიმღეროს, არამედ ფსიქიკური წარმოშობის _ ტრავმატულს, აუტიზმს, ენამოჩლექილობას, შიზოფრენიას. ტომატისი თავის მეთოდს უწოდებს აუდიოფსიქოფონოლოგიას. მსოფლიოში გაიხსნა მრავალი ცენტრი, რომელიც იყენებს ტომატისის „ელექტრონულ ყურს“ (სლაიდი № 14). მოტანილია „ელექტრონული ყურის“ ტომატისისეული სქემა-უკუკავშირებზე აგებული (სლაიდი № 15) და იუსონის სქემა მის წიგნში „La voix chante“).

ამ მხრივ ტომატისს სპეციალურად აქვს შესწავლილი ენრიკო კარუზოს სარეზონანსო სისტემა (ილუსტრირებულია კარუზოს ხმის ჩანაწერებით _ მეირბერის „აფრიკელი

ქალიდან“ ვასკო და გამას არია და დონიკეტის „ლუჩია დი ლამერმურიდან“ კარუზოს, ტეტრაცინის, სკოტის და სხვათა შესრულებით).

ტომატისი გამოყოფს სმენითი კონტროლის სამ გზას: ძვლის გზას, ჰაერის გზას და კუნთების გზას. ეს ყველაზე სრულყოფილი სქემაა ვოკალური ემისიის კონტროლის მასინთეზირებელი (სლაიდი № 16; ტომატისიდან). აქ შეიძლება ჩაირთოს ე.წ. „მორანის წერტილი“ (სლაიდი №17; იუსონიდან) და ბგერის რეზონანსის სხვა მაჩვენებლები (სლაიდი № 18, 19, 20, 21, 22; ანტონიო იუვარადან, მოროზოვიდან).



სლაიდი 16





Fig. 77 - Evolution des sensibilités palatales au voisinage de la couverture des sons ouverts dans une technique vocale à très forte impédance ramenée - Voyelle A émise par un baryton (premier registre).


სლაიდი 17




სლაიდი 18



სლაიდი 19



სლაიდი 20



სლაიდი 21

აქვეა აღსანიშნავი როსინის საოცარი სიზუსტის ფორმულა ბგერის ემისიის თაობაზე, გამოთქმული კომპოზიტორის მიერ 1868 წელს მეგობართან საუბარში, რომელიც მოტანილია ჯაკომო ლაური-ვოლპის წიგნში: „უნილბოდ“ და ჟაკლინ და ბერ-ტრან ოტების წიგნში: „ვოკალური პედაგოგია და ევროპული ვოკალური ტექნიკები“.

დედანში ეს ფორმულა ასე ჟღერს: „Difondere il suono con aiuto di palato che e transmettore per autonomasia delle piu belle sonorita” – „განვავრცოთ ბგერა სასის საშუალებით, რომელიც არის გადამცემი გამორჩევით მშვენიერ ჟღერადობათა“.

ჟაკლინ და ბერტრან ოტები განაგრძობენ: როსინის ამ ფრაზის შემდეგ წარმოუთქვამს – Amore, Bello და უთქვამს: „სასაში არეკლილი და იქიდან განვრცობილი ეს ბგერები, განა თავად მუსიკა არ არის!“

ამ ზონაში არეკლილ ბგერას ოტები უწოდებენ „პალატალურ ხმას“, ხოლო თვით ამ სარეზონანსო ზონას რაულ იუსოი უწოდებდა: „სასის ძირითადი მათემატიკური ბგერები“.

ამგვარი ემისიის საილუსტრაციოდ მოხმობილია ც. ტატიშვილის შესრულ ლეხით ლეონორას არიის ჩანაწერი პუჩინის „ედგარიდან“ და მ. კალასის შესრულების ჩანაწერი – ადრიანას არია ჩილიას „ადრიანა ლეკუერერიდან“.



სლაიდი 21

შემდგომში საუბარი გადატანილია ავტობიოგრაფიულ პლანში, რომელშიც ხაზგასმულია მომხსენებლის მეცადინეობა და ძიებანი იტალიაში ყოფნის დროს (1960_1961, 1961_1962 წწ. სეზონები, პედაგოგი ჯენარო ბარა-კარაჩოლო, კონსულტანტი ევჯენიო გარა, კონცერტმასტერი ენრიკო პიაცა, კოლეგები – ჯანი რაიმონდი, რაინა კაბაივანსკა, თამარა მილაშკინა, ლარისა ნიკიტინა, ალექსანდრე ვედერნიკოვი...). მოყვანილია ჯანი რაიმონდისა და ჯოან საზერლენდის შესრულებით არტურისა და ელვირას დუეტი ბელინის „პურიტანებიდან“, რომელიც მიჩნეულია XIX ს. კლასიკური ბელკანტოს სრულყოფილ ნიმუშად.

I საუბრის ბოლოს მოხმობილია სანტუცასა და ტურიდუს დუეტი მასკანის „სოფლის კავალერიიდან“ ც. ტატიშვილისა და ნ. ანდლულამის შესრულებით, როგორც ნიმუში მათი ერთობლივი ძიებებისა და მიღწევებისა ქართული ბელკანტოს ჩამოყალიბების გზაზე.

ნათელა ფოფხაძე

ფარნავაზ I ქართველთა მეფის მონეტები

ფარნავაზ I ქართველთა მეფის ზეობის ხანა დაემთხვა ალექსანდრე მაკედონელის დაპყრობითი, უსამართლო ომების ხანას. ამ ომებმა მილიონობით ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა შეიწირა, მრავალი ადამიანი დასახიჩრდა. იმ მკვლევარებს ვუჭერ მხარს, რომლებიც ალექსანდრე მაკედონელის დაპყრობით პოლიტიკას გამოხევენ, მის მიმართ „დიდი მეფის“ სახელის, განსაზღვრების შეუფერებლობას აღიარებენ. ალექსანდრეს შეჭრას ქარდიას ანუ საქართველოს სახელმწიფოში ფარნავაზ მეფე მედგრად შეეწინააღმდეგა, საგანგებოდ მოემზადა, ჯარისკაცებისათვის გასამრჯელოდ დიდძალი ვერცხლის ათგრამიანი ფული-მონეტები გამოუშვა მიმოქცევაში. მკვლევართა ცნობით, განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ფული ფარნავაზმა ქალაქ თარსოში//ტარსიში იქვე მდებარე ვერცხლის საბადოდან დაამზადებინა. საისტორიო რუკებზე ქალაქი თარსო აღბეჭდილია ხმელთაშუა ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს მახლობლად – ჩრდილოეთით. ფარნავაზ პირველის სახელმწიფო იმ მხარესაც მოიცავდა და ილიონის (ტროას) მხარესაც. ფარნავაზ პირველმა უხელმძღვანელა ჯარს თავდამსხმელი ალექსანდრე მაკედონელის ჯარის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელიც ამჟამინდელ ქალაქ კონსტანტინეპოლის//სტამბოლის სამხრეთით მიმდებარე სრუტეებში – ზღვაზე მოხდა და გაიმარჯვა, დაამარცხა ალექსანდრე მაკედონელი, ფლოტი მოუსპო. ალექსანდრე იძულებული გახდა ახალი გემების აგებაზე ეზრუნა. ფარნავაზ მეფე ემხრობოდა პარსიას// (ასე უწოდებდა თავის თავს ემეგრული//ლურსმნული დამწერლობით აღბეჭდილ წარწერებში) //პარსის//ფარსის მეფეს დარივუმს ალექსანდრე მაკედონელის წინააღმდეგ. დარივუმ (ემეგრული ლურსმნული დამწერლობით) //დარივუმ მეფის ხელმძღვანელობით ჯარი აღმოსავლეთში შეება ალექსანდრეს ჯარს და, სამწუხაროდ, დამარცხდა. დარივუმის სახე დამარცხებისას აღბეჭდა თვითმხილველმა ხელოვანმა ნახატზე. ის ცხენზეა ამხედრებული, შეწუხებულია და მის მზერაში სასოწარკვეთილება გამოსჭვივის. ერთი შეხედვით, გარეგნობით, სახის ნაკვთების მოყვანილობით, დარივუმ მეფეს ქართველს, ქართული მოდგმის პიროვნებას ვამგვანებ. დარივუმ მედ (მედეთელი) – ასე იხსენიება ის ინგლისურენოვან გამოკვლევებში.

ფარნავაზ მეფემ ორჯერ უხელმძღვანელა ჯარს ომში აფრიკის კონტინენტზე-ნილოსის აუზის ქვემო წელში. მეორედ ომისას ნილოსის ადიდებითა და მიმდებარე მხარის დატბორვით ფარნავაზის ხელქვეითი მებრძოლი ჯარი ძლიერ დაზარალდა. ამის შემდგომ ლათინურად და ელინურად ნაწერ ისტორიებში ფარნავაზის ბედის შესახებ ცნობები არ მოიპოვებაო, აღნიშნავენ უცხოელი ამჟამინდელი მკვლევარები.



ახლა იშვიათია ერი, რომელსაც ძვ.წ.-ით მეოთხე საუკუნეში თავისი ეროვნული ფულის არსებობით თავმოწონება შეუძლია. ამ იშვიათ ერთა რიცხვს ქართველები

მიეკუთვნებიან. არქეოლოგებმა კარგა ხნის წინ გაამდიდრეს საზოგადოების ცოდნა ფარნავაზ I მეფის მონეტების მოპოვებით მიწის წიაღიდან. საისტორიო წიგნებში, ნუმიზმატიკურ ცნობარებში არაერთხელ გამოქვეყნდა ფარნავაზის მონეტების სურათები. მათზე აღბეჭდილია თვით ფარნავაზი, მისი სახის გასწვრივ კი ქართული ასომთავრული ანბანით წარწერა, რომელსაც ერთ-ერთ მონეტაზე ენათმეცნიერი, ბატონი გოჩა ასათიანი, კითხულობს ასე: „კეი~ი ფ~ზ“. ამ დაქარაგმებული, შეკვეცილი წარწერის გამოტოვებული ასოების აღდგენით, მისი აზრით, წერია: „კეისარი ფარნავაზი«. ვეთანხმები, ზოგ იმჟამინდელ მონეტაზე ფარნავაზის იგივე სურათია, მაგრამ ქართული ანბანით სხვა სიტყვებია აღბეჭდილი. ფარნავაზ მეფის ზეობიდან სამი-ოთხი საუკუნის შემდგომ შედგენილი, მსოფლიოს ელინური და ლათინურენოვანი ისტორიების თანახმად, ეს ფარნავაზი ჯერ პარსის//პერსიის ხელისუფლის მეგობარი სატრაპი იყო. შემდგომში შესძლო გამეფება. ემეგრული//ლურსმნული დამწერლობით აღბეჭდილ დედან ტექსტებში წერია სიტყვა «ლუგალ-უქქინ» [მეფე-ხელისუფალი; «ლუგალ» მეფეა] და არ წერია «სატრაპი», რომელიც იხსენიება ლათინურენოვან მოგვიანო ხანის აღწერებში. მეტად საყურადღებოა, თუ რომელი დამწერლობა იყო მის სახელმწიფოში აღიარებული. სწორედ ამ დიდი საკითხის დადგენაში გადამწყვეტია მის მიერვე გამოშვებული ფულის – ვერცხლის მონეტებზე ქართული წარწერების არსებობა. ამით დგინდება, რომ ფარნავაზ პირველის ქვეყანაში სახელმწიფო დამწერლობა იყო ქართული, კერძოდ, ქართული ასომთავრული. მასში ორმოცი ასო-ნიშანია. მეორე დასკვნაც აშკარაა: ფარნავაზის ქვეყანაში სახელმწიფო ენა იყო ქართული.

თვალს ახარებს ამჟამინდელი ქართულწარწერიანი ფულის ნიშნები. სასურველია, ფარნავაზ I მეფის ზემოთ აღნიშნული ერთ-ერთი მონეტის ერთი ან ორივე მხარის („შუბლის« და „ზურგის« ანუ „წაღმა« და „უკუღმა« მხარის) რაიმე სახით აღბეჭდვა ერთ-ერთ ამჟამინდელ ფულზე, ვთქვათ, ლითონის //მეტალის ერთლარიან ახალ მონეტაზე. აუცილებელია ფარნავაზ პირველის სახელმწიფო მოღვაწეობის 24 საუკუნოვანი იუბილეს აღნიშვნა თბილისში, ქუთაისში, ცხუმში, ბათუმში, თელავში და, შეძლებისდაგვარად, სხვა კერებში, სადაც ქართველები მოსახლეობენ.

საზოგადოებას განსაკუთრებით ახარებს ხოლმე ღია ცის ქვეშ უფასოდ გამართული ზეიმები, ფესტივალები სასიმღერო, საცეკვაო ქართული ანსამბლების მონაწილეობით, მამულიშვილურ თემაზე დაწერილი ქართული ლექსების მხატვრული კითხვით, ქართული ჭიდაობით, ხარების ანუ კუროების დაჭიდებით ანუ ღონისძიებით, რომელსაც ძველთაგანვე ეწოდება „კურული«. «კურო» სანაშენედ შერჩეული ჯიშის ხარის აღმნიშვნელი ქართული სიტყვაა.

ქართულ ენაზე დაწერილ ტექსტში – „ცხოვრება ქართველთა მეფეთა მათთა« – ფარნავაზ I ძვ.წ. IV საუკუნეში მოღვაწედ განიხილება. ქართველთა მეფე გიორგი XIII-ის ვაჟის, ვახტანგის მიერ რუსულ ენაზე დაწერილ საქართველოს მოკლე მიმოხილვაში დასახელებულია ფარნავაზის ზეობის წელი – ძვ.წ. 360 წ. ეს მონაცემი ემთხვევა ელინურ და ლათინურ ენებზე I-II საუკუნეებში შედგენილი რამდენიმე ავტორის მონაცემებს. კერძოდ, ფარნავაზ პირველის ხელისუფლად დანიშვნის თარიღად მითითებულია ძვ.წ. 413_387 წწ. ფარნავაზის დაბადება სახელდება ძვ.წ. 435 წელს, გამეფება – ძვ.წ. 387 წელს. ლათინურ წყაროში მისი ქვეყანა სახელდება „პარდია«-დ, რაც, უეჭველად, ქართი ანუ საქართველოა. ლათინურენოვან წყაროებში მისი ქვეყანაა ხმელთაშუა ზღვის

დასავლეთი სანაპიროც მიმდებარე კუნძულით „ლეზბოს« (იქნებ „ლაზებისა« ეწოდებოდა და შემდგომში დაერქვა „ლეზბოს«). ამ კუნძულის დედაქალაქს, მთავარ ქალაქს „კარდია«//ქარდია//ქართი ეწოდებოდაო, წერენ უცხოელები. მათივე ცნობით, ფარნავაზი როგორღაც წარმოშობით ენათესავებოდა პარსაიას//პარსის//პერსიის მეფეს დარივუმ III-ს კოდომანეს. ფარნავაზის მეუღლე იყო პარსაიას//პარსის//პერსიის მეფის ართოხერხე II-ის ასული _ აპამეა. მისი სახელი _ «აპამეა» _ მიენიჭა ვრცელ მხარეს. ზოგი ლათინურენოვანი ავტორი ოთხიოდ საუკუნის შემდგომ, ფარნავაზს ჰელესპონტის ფრიგიის სატრაპად, შემდგომში _ მის მეფედ ასახელებს. ჰელესპონტის სახელით აღნიშნულია დარდანელისა და ბოსფორის სრუტეები და მიმდებარე „მარმარილოს« ზღვა. ფრიგია რომაელების მიერ საუკუნეთა შემდგომ შერქმეული სახელწოდებაა ამ სრუტეთა აღმოსავლეთით მიმდებარე მიწა-წყლისა. იმავე ლათინურენოვანი ისტორიკოსების ცნობით, ამ მხარეს, მეორენაირად, «ქარდია» ეწოდებოდა, რაც ჩვენებურად, ქართულად კარდი, კარდიეთი, ქართი, საქართველოა. ფარნავაზ I-ის მამის სახელია ფარნაკე. იმავე საუკუნეში კარდიას ანუ ქართის მეფედ იგივე ლათინი ავტორები ასახელებენ ევმენე//ეუმენე//ომენე ქართს//ქართველს, აქებენ მის გამჭრიახობას, პატიოსნებას. მისი შვილი იყო მითრადათა, რომელიც გამეფდა მითრადათა პირველის სახელით. მითრადათა I-ის შვილთაშვილები, მათი მემკვიდრეები იყვნენ მომდევნო მეფეები _ მითრადათას სახელით ცნობილნი, მათ შორის ბრწყინავს მითრადათა VI-ის სახელი. მას სიცოცხლეშივე შეარქვეს „დიდი« მისმა მტრებმა _ უცხოელებმაც კი. მასზე წიგნები გამოაქვეყნეს გიორგი გოზალიშვილმა, ლევან სანიკიძემ, ლევან გოთუამ. განსაკუთრებით მომწონს ლევან გოთუას წიგნი მითრადათა დიდზე.

მისი

კარდიული

//ქართული წარმომავლობიდან გამომდინარე, ბუნებრივია მის მონეტაზე ქართული „მხედრული« და „ნუსხა-ხუცური« ასოებით აღბეჭდილი წარწერა _ «დევ». ამ ქარაგმის ანუ შემოკლებული წარწერის წაკითხვა, ჩემი აზრით, ასე შეიძლება: დ[ათა] ევ[პატორი].

ფარნავაზ I-ის, მითრადათა ევპატორის მოღვაწეობის შესაცნობად აუცილებელია ქართველთა სახელმწიფოს, ქართი//ქართველი ერის შესახებ მანამდე აღბეჭდილი არქეოლოგიური მონაცემების გათვალისწინება.



განსაკუთრებით საყურადღებოა მდინარე ნილოსის ქვემო წელში მდებარე ქალაქ ტანის მიდამოში 1963 წელს საფრანგეთიდან წარგზავნილი არქეოლოგების მიერ

აღმოჩენილი იქაური ფარაონის საფლავის ქვა იეროგლიფური წარწერითა და ძალაუფლების სიმბოლოს _ ქორის გამოსახულებით: ორივე თათში კეთილდღეობის სიმბოლო აქვს ჩაბღუჯული (თითოში _ თითო). ეს სიმბოლო მიაგავს ქართულ ასომთავრულ „დ“-ს, რომელიც, თავისთავად, გამოსახავს მზეს ჰორიზონტის ხაზზე, რაც აღნიშნავს ახალი წლის პირველი დღის დადგომის მომენტს _ იქაური კალენდრის საფუძველზე. ამ ფილაზე კვეთილობა ძვ.წ. 1020-იან წლებშია შესრულებული ფარაონის სახელისა და თარიღის მიხედვით. იმ წლებში ქართის//ქართუს//საქართველოს სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი ქალაქი იყო ბაბილი//ბაბილონი, რომელიც შუამდინარეთის, მესოპოტამიის სახელით შემდგომში ცნობილ მხარეში მდებარეობს. ბაბილონი მდებარე სასახლეში ცხოვრობდა ქართის მეფე, სახელად ნაბუ-კოდორ I. მან სახელი გაითქვა სახელმწიფო აღმშენებლობით, კულტურის გაფურჩქვნაზე ზრუნვით და იმდენად კარგი სახელი დაიმკვიდრა, რომ ძვ.წ. 604 წელს გამეფებულ მეფე ნაბუ-კოდორ II-ს თავის დროზე მშობლებმა-მეფემ და დედოფალმა სწორედ პირველი ნაბუ-კოდორ მეფის პატივსაცემად დაარქვეს მისი სახელი, რითაც დაბადებიდანვე იზრუნეს თავისი ქვეყნისადმი ერთგულების, თავდადების ნიშნით მის აღზრდაზე. მან მშობლების იმედი გაამართლა და ნაბუ-კოდორ „დიადის“ სახელი დაიმკვიდრა. 19 წლისა თავისი ვრცელი სახელმწიფოს ჯარს მეთაურობდა; ალაგმა რამდენიმე წლის წინ მის დასავლეთ ნაწილში ტერორისტული გზით დამკვიდრებული უცხოელები და განდევნა; ნილოსის ქვემო წელში მდებარე ძირძველი, მისი წინაპრების კუთვნილი მიწა-წყალიც დაიბრუნა. ნაბუკოდორ დიდის ყმაწვილობისა და მოწიფულობის დროინდელმა ორმა სურათმა დღემდე მოაღწია და მრავალჯერ გამოქვეყნდა. რადგან ქართის სახელმწიფო იყო ნაბუკოდორ II-ის მეფობისას ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთით მიმდებარე მხარეც, უნდა დავეთანხმოთ იმ ფაქტორს, რომ ძვ.წ. IVს-ში ფარნავაზ I, ძვ.წ. I ს-ში მითრადათა დიდიც იმ ძველქართულ მხარეებს სამართლიანად ფლობდნენ, მართავდნენ და უცხოტომელი ტერორისტებისათვის მათ დათმობას არ აპირებდნენ.



კიდევ უფრო წინათ, ძვ.წ. XI ს-ში, ქართველთა ყოფნას მდინარე ნილოსის ქვემო წელში არსებულ ქალაქ ტანაში მოწმობს ფრანგი არქეოლოგის მიერ 1963 წელს იქვე აღმოჩენილი ზემოხსენებული მეფის საფლავის ქვაზე ქორის თათში ჩაბლუჯული ქართული ასომთავრული „დ“-ს ქვემოთ ქართული „მხედრული« ანბანით მიწერილი სიტყვის „იბერ« არსებობა. ამით მისმა შემქმნელმა საზოგადოებას მიანიშნა, განუმარტა, რომ თათში ჩაბლუჯული გამოსახულება იბერთა ანბანით წერია. ასევე ძველია გამომწვარ თიხაზე აღბეჭდილი, მეფე-ქალის შესაფერად, დარბაისლურად შემოსილი, გვირგვინოსანი კოლხი მედეას გამოსახულება. ხელთ უპყრია არა თვალ-მარგალიტით მოოჭვილი მდიდრული, არამედ მწიფე მტევნებით დახუნძლული ვაზის რტოს უბრალო კვერთხი; კაბის შუა წელზე კი ქართული მხედრული ასოებით სიყვარულით ამოუქარგავს თავისი ქვეყნის სახელი _ «აიია».

უნდა ვიცოდეთ, რომ საქართველოს ძველი სახელწოდებაა „ქართი«. სიტყვა „ქართი« ჩვენიანებმა შექმნეს ორი სიტყვის: „ქიანა ართი«-ს შერწყმით. ორივე სიტყვა მეგრულია. ქიანა-ქვეყანას, მიწა-წყალს, სახელმწიფოს ნიშნავს, „ართი« არის ერთი, ერთიანი, ანუ ის, რისი მთლიანობის მოშლაც მიუტევებელი დანაშაულია.

ჩვენს უძველეს დამწერლობას (ლურსმნულს) მისი შემქმნელი ჩვენიანები „ემეგრ«-ულს უწოდებდნენ წერილობით მრავალჯერ აღბეჭდილ ტექსტებში. ასეა ეს განმარტებული ბრიტანეთის, კოლუმბიისა და სხვა ენციკლოპედიებშიც, ლურსმნული დამწერლობის სახელმძღვანელოებში. ზემო თქმულის გათვალისწინებით სავსებით გარკვეულია, რომ ქართის სამეფო ჯერ კიდევ წარღვნამდე შექმნეს მეგრელებმა ანუ ეგრებმა და პირველი ცნობილი მეფე იყო სახელად ალული; შემდგომში ათმა იმეფა მიმდევრობით, რასაც მოჰყვა მერეხი (ძლიერი წვიმა სეტყვით) და იმ კუთხის დატბორვა, სადაც იყო ქალაქი ერეხი. «ერეხელი ვარ, ერეხელი, მერეხელი, ამისთანა საარიკო»... _ ომახიანი სიმღერით იხსენებენ იმ სტიქიურ მოვლენას ჩვენიანები. ეს სიმღერა _ «ერეხელი» _ ზუგდიდის გუნდმა შეასრულა სსრკ-ს დედაქალაქის _ მოსკოვის უდიდეს დარბაზში 1937 წელს საქართველოს რესპუბლიკის საზეიმო ორკვირიანი ღონისძიების მსვლელობისას. მშვენივრად მღერიან მას ბიჭუნების გუნდ «მართვეს»/(არწივის ბარტყები) ათი წლის წინანდელი წევრები. სასურველია ამ ძველთაძველი ქართული//მეგრული//კოლხური სიმღერის ხშირად გადაცემა რადიო-ტელევიზიით, დადგმა ცეკვითა და სიმღერით ჩვენი სათანადო ანსამბლების მიერ. ეგრი „ჯვარს« ნიშნავს შუმერულში ანუ ძველ მეგრულში. სინამდვილის გათვალისწინებით, ჩვენი სახელმწიფოს ძველი სახელწოდებაა „ქართი« და არა „საქართველო«. სასურველია ამჟამად პრესაში ამ ძველი სახელწოდების აღდგენა და დამკვიდრება, რათა აღარ დაგვჭირდეს იმის ახსნა-განმარტება, რომ ამჟამინდელი საქართველო ხუთი-ექვსი ათასი წლის წინ (შესაძლოა, უფრო წინათაც) დაარსებული სამეფო „ქართი«-ს გამგრძელებელი პოლიტიკური რეალობაა.

წინა წერილებში განვიხილეთ, რომ „ლურსმნული« ანუ მეგრული//ეგრული დამწერლობით მოღწეულია ჩვენი მეფის, სახელად ური-ენგურის შესახებ ტექსტები, ასევე, მისი ბიუსტები, მთლიანი ქანდაკებები, მის სიცოცხლეშივე მის სამეფო კარზე შექმნილები. ამ მეფეს კეთილი, ქართული სახე აქვს. მან გაიყვანა სარწყავი არხები, ააგო დიდი ტაძრები. ეს სასიკეთო საქმიანობა განაგრძეს მისმა მემკვიდრეებმა. ამ მეფემ შექმნა წერილობით მსოფლიოში დღეისათვის ცნობილი უძველესი-პირველი წესების,

კანონების კრებული. შემდგომში ის კიდევ მეტად გააუმჯობესა მისმა ერთ-ერთმა შვილთაშვილმა _ მეფე ჰამურაპმა//ჰამურაბმა. ურ-ენგური ძვ.წ. 2000-ან წლებში ზეობდა. მის მომდევნო პოლიტიკოსებზე სიტყვას ამჟამად აღარ გავაგრძელებთ. გაკვირით შეგახსენებთ, რომ „მთიანი ქართის» ანუ მთიანის ქვეყნის მეფე რატის ასულია თათუ, რომელიც 14 წლისა გაათხოვეს ძვ.წ. XIV-ის შუა წლებში ქვეყანა გიმეთის (შემდგომში ეგვიპტე რომ უწოდეს) ფარაონ ექნ-ამონზე. მან გამეფების მეხუთე წლისთავზე ქართვების სარწმუნოება „ათენა» (გამთენებელი) შემოიღო თავის ვრცელ სახელმწიფოში, თავადაც „ათენას მიმდევარი» _ ექნ-ათენა დაირქვა, ცოლს თათუს, სადედოფლო სახელით, ნეფერტიტი-ამონას _ სახელი გადაარქვა და ნეფერტიტი-ათენა უწოდა, შვიდ შვილსაც თავიდანვე სახელებში „ათენა» ჩაურთო; ანქი-სე-პა-ათენა, მერი-ათენა, ვაჟს-თუთა-ანქი-ათენა უწოდა. შემდგომში ვაჟი გაფარაონდა და საზოგადოების ზემოქმედებით, წლების შემდეგ, „ათენას» ნაცვლად „თუთა-ანქი-ამონი» დაირქვა. ეს სახელი ჩვენში, სამწუხაროდ, ტუტან-ხამონის სახით არის ცნობილი-რუსული ენის გავლენით. „თუთა» მთვარეა მეგრულში და გიმეთურშიც (ძველ ეგვიპტურში), „ან» _ ცაა, „ქი» _ მიწაა. „გიმე» მეგრულში ქვემოს ნიშნავს და მართლაც მიესადაგება „გიმეთის» სახელწოდებას, რადგან ის ნილოსის სწორედ ქვემო წელში მდებარეობდა. ქართული/მეგრული და გიმეთური//ეგვიპტური მრავალი საერთო სიტყვის, ცნების მსგავსი ასო-ნიშნების არსებობას ბატონმა ლადო ალფენიმემ წიგნი მიუძღვნა, რომელსაც „სფინქსის ღიმილი» უწოდა. ის ძალიან საინტერესოა. უნდა გვახსოვდეს, რომ გადმოცემით ქართის//საქართველოს მეფე აია//აიეტი და ფარსის//პერსიის//სპარსეთის დამაარსებელი მეფე პერსე ძმები იყვნენ. ამით შთამომავლობას გადაეცემოდა ცოდნა ქართვებისა და პერსეების//ფარსელების//სპარსეების ათასწლეულების წინათ ნათესაობის შესახებ. დიდი ხნის წინ პერსიას ერქვა „მედია»//მედეთი _ იქ ქართველი ქალის მედეას, მის შემდგომ კი მისი ვაჟის-სახელად „მედე»-ს მეფობისას შერქმეული სახელი. მანამდე ქართველთა ერთ-ერთი ტბის (ამჟამინდელი სახელწოდებით, კასპიის ტბის) ირგვლივ მიმდებარე მიწა-წყალს ერქვა „არია» ანუ „არიელების ქვეყანა». მკვლევართა განმარტებით, ცნება „არია» დაკავშირებულია „არ»-ძირთან, ფუძესთან და ნიშნავს „მიწათმოქმედების გამომგონებელს», „მიწათმოქმედებასთან სისხლხორცეულად მიჯაჭვულ ერს». იმავეს ნიშნავს ჩვენი ერის სხვა სახელწოდებები: „გეორგები» (გე-მიწაა, დორგი-დარგვაა მეგრულში), ივირ-ქი, „ივირ ქიანა» („ივირ» მიწათმოქმედებაა სუანურში); მათესალა//მათუსალა (მთესველი//მიწათმოქმედი ერი, აქედან _ თესალონია _ ქვეყნის სახელი); მახაჩქალი (ჩრდილო-დასავლეთ კასპიისპირეთში. «ხაჩქვა», თოხვნაა მეგრულში); მარგიანა (კასპიის ანუ მედეტის ტბის აღმოსავლეთით). სიტყვა მარგიანას ძირია «მარგალი», რაც ნიშნავს მეგრელს. ქართველი ერის და ქართული დამწერლობის, ქართული კულტურის, ქართული ცივილიზაციის წარმოშობისა და განვითარების მთელი რიგი საკითხების გაშუქებისას გასათვალისწინებელია XX საუკუნეში, როგორც საქართველოს სახელმწიფოს ამჟამინდელ მიწა-წყალზე, ისე მის ფარგლებს გარეთ-ძველ საქართველოში, ისტორიულ მიწა-წყალზე მიკვლეული ათასობით ნივთიერი საბუთი, რაც ზოგი საკითხის სხვაგვარად დასმასა და გადაჭრას მოითხოვს, ვიდრე ეს საბჭოურ, სსრკ-ის ჟამინდელ მეცნიერებაში იყო განმარტებული. მაგალითად, 1950-იან წლებში დაბეჭდილი სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის ატტომეულ „ვსემირნაია ისტორიაში» მრავალი მოსაზრება განგებ მახინჯდებოდა, კერძოდ, ქართველი ერის წარმოშობისა და

მისი კულტურის მომცველი ვრცელი მიწა-წყლის მიფუჩეჩება-მიჩქმალვასთან დაკავშირებით. რომელიმე ერის წარმოშობის საკითხზე მსჯელობისას ითვალისწინებენ ხოლმე ამ ერის სახელწოდებების აღბეჭდვას სხვადასხვა ენოვან წყაროებში, თუნდაც, ამ ერს თვითონ დამწერლობა არც კი გააჩნდეს. მაგალითად, ჩაჩან//ჩეჩენ ეთნოსზე მსჯელობისას, საბჭოთა ისტორიკოსები ეფუძნებოდნენ ერთ-ერთ გვიანდელ ქართულ ტექსტში სიტყვა „დურძუკის» „ძურძუკის» მოხსენიებას კავკასიონის ქედისა და მისი ჩრდილოეთი წინამთების იქით-ჩრდილოეთით მოსახლეთა ერთი მცირე ნაწილის მიმართ. ყურადღებას მივაპყრობ იმ ფაქტს, რომ „ძუკუ», „ძუკუები» ქართველების ერთ-ერთი შინაურული სახელწოდებაა და ნებისმიერ არაქართველთა მიმართ ცნება დურძუკის გამოყენება გაუმართებლად, უსაფუძვლოდ მიმაჩნია.

ქართული//ქართი ერის//ეთნოსის წარმოშობის თარიღზე მსჯელობისას, ჩვეულებრივ, აღიარებულია, რომ ის ადამიანის წარმოშობის პირველ ჟამსვე არსებობდა იქვე, სადაც შემდგომში თავისი ეროვნული სახელმწიფო წარმონაქმნები ჩამოაყალიბა.

ზემოხსენებული სხვადასხვაენოვანი წერილობითი ცნობები „ინტერნეტით» მოვიპოვე. საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ინტერნეტი მკითხველებისათვის ხელმისაწვდომი გახდა 1994_95 წლებიდან. ოდნავ ადრე დამკვიდრდა ინტერნეტი მისი შემქმნელების ქვეყნის _ აშშ-ის საჯარო ბიბლიოთეკებში.

მადლობით მსურს მოვიხსენიო ის უცხოელები და საქართველოს მოქალაქეები, რომლებმაც მკითხველებს ინტერნეტით უფასოდ სარგებლობის საშუალება მოგვცეს. ამავე ბიბლიოთეკაში არის ხელმისაწვდომი „ებსკო»-ს საინტერნეტო მასალა, რომელიც გაწმენდილია ზედმეტი მასალისაგან და მხოლოდ მაღალხარისხოვან სამეცნიერო ლიტერატურას გვაწვდის მის მომხმარებლებს. მადლობით მოვიხსენიებ ამავე ბიბლიოთეკის შენობაში განთავსებულ ა. დიუმას სახელობის ფრანგულენოვანი ლიტერატურის ცენტრის, ა. ჰუმბოლდტის სახელობის გერმანულენოვანი ლიტერატურის ცენტრისა და ელექტრონული რესურსების ცენტრის თანამშრომლებს; მათაც აქვთ ინტერნეტი და უფლებას გვაძლევენ ბიბლიოთეკის მკითხველებს, ხშირად ვისარგებლოთ ინტერნეტითა და მათი კვალიფიციური რჩევებით. ზემოთხსენებული საინტერნეტო ცენტრების მაღალი დონის თანამშრომლების თანადგომის გარეშე ვერ შევძლებდი იმ მრავალენოვანი ზღვა მასალის მოძიებას, მოპოვებას, წაკითხვას, ანალიზს, რაც აუცილებელი იყო გამოკვლევისა და ჩვენი სხვა საყურადღებო ნაშრომების მომზადებისას.

14 ივლისი, 2006 წელი.

მერაბ ღაღანიძე

ბერმონაზვნობა ქრისტიანულ აღმოსავლეთსა და დასავლეთში

ყველას მოგვეხსენება, რომ ეგვიპტეში დღესაც არის ეროვნული უმცირესობა, რომელსაც კოპტები ეწოდება, სინამდვილეში კი ისინი ძირძველ ეგვიპტელებს წარმოადგენენ. ის კულტურა, რასაც კოპტური ეწოდება, ძნელად თუ ითქმება, რომ გამორჩეული და დიდად მნიშვნელოვანი იყოს (თუ არ ჩავთვლით მათ წინარე ანუ ძველ ეგვიპტურ წარსულს), გაგვიჭირდება ვთქვათ, რომ მათი წვლილი მსოფლიო კულტურაში რამით განსაკუთრებული იყოს. კოპტური ენა, რამდენადაც ცნობილია, ბერძნულისა და ძველი ეგვიპტურის სიმბიოზია; მათი ლიტერატურაც საკმაოდ ღარიბია და, ძირითადად, თარგმნილი ტექსტებისგან შედგება. კოპტების წვლილი არქიტექტურასა და მხატვრობაშიც მოკრძალებულია, მაგრამ მათ ეკუთვნით ერთი დიდი წვლილი კაცობრიობისა და, მითუმეტეს, ქრისტიანობის წინაშე – კოპტების შექმნილი და დაფუძნებულია ის, რასაც ქრისტიანობაში ბერმონაზვნობა ჰქვია.

ბერმონაზვნობა დღემდე არსებული ორივე სახით კოპტებს შორის ჩამოყალიბდა: იქნება ეს განდევილური ბერობა თუ სამონასტრო ბერმონაზვნობა. რა თქმა უნდა, ეს უფრო სიმბოლურ ფიგურებს უკავშირდება. მონაზვნობა, როგორც ცხოვრების ტიპი, ჩვენ შეგვიძლია ვიპოვოთ წინარექრისტიანულ ტრადიციებშიც, სხვა რელიგიებშიც, მაგრამ ქრისტიანული ტრადიცია ბერმონაზვნობის დაფუძნებას მაინც ერთი პიროვნების სახელს უკავშირებს და ეს გახლავთ წმინდა ანტონი დიდი ანუ, ქართული ტრადიციით, ანტონ მეგვიპტელი. მან ჯერ კიდევ სიყმაწვილისას (იგი ცხოვრობდა მესამე-მეოთხე საუკუნის შუა წლებში, მან თითქმის 100 წელი იცხოვრა) სახარებისეულ ხმას მოუსმინა, რომელიც მოუწოდებდა, დაეტოვებინა სახლ-კარი, ყოველივე, რაც ჰქონდა და გაჰყოლოდა ქრისტეს. ანტონ მეგვიპტელმა, როგორც ეს არაერთ წმიდანს გაუკეთებია, პირდაპირი მნიშვნელობით გაიგო ეს სიტყვები, მიატოვა სახლი და წავიდა უდაბნოში. ეს გახლავთ ის სახელგანთქმული უდაბნო, რომელმაც ევროპის კულტურის ისტორიაში სიმბოლური, ემბლემატური მნიშვნელობა შეიძინა – ეს გახლავთ თებაიდის უდაბნო, სამხრეთ ეგვიპტეში, სადაც იგი დაემკვიდრა და საიდანაც სათავეს იღებს IV საუკუნიდან დღემდე არსებული ყველა მონასტერი, ყველა განდევილი თუ ბერმონაზონი. წმიდა ანტონისა და მისი კოპტი მოწაფის, პახომისგან იწყება საბერმონაზვნო და სამონასტრო ცხოვრების ისტორია. წმიდა ანტონი განდევილი იყო და, სხვა თუ არაფერი, ევროპული ლიტერატურიდან და ფერწერიდან ყველას გვახსოვს იმის შესახებ, თუ როგორ აფორიაქებდნენ მას ეშმაკები და ჭინკები. იგი მოდელი და პირველსახე გახლავთ იმ ბერისა, რომელსაც ცდუნებების სახით ეშმაკი ებრძოდა. მისი მოწაფე, წმიდა პახომი აფუძნებს ნამდვილ მონასტერს ანუ განდევილ ადამიანთა საერთო საცხოვრებელს.

შემთხვევით არ არის, რომ ამ მოძრაობის აღმოცენება IV საუკუნეში ხდება მას შემდეგ, რაც ქრისტიანობა აღარ არის დევნილი რელიგია და ნელ-ნელა სახელმწიფო რელიგია ხდება არა მარტო რომის იმპერიაში, არამედ მეზობელ ქვეყნებშიც. მაგრამ ეს, პირველ ყოვლისა, ეხება აღმოსავლეთ რომის იმპერიას ანუ ბიზანტიას (თუმცა ყველას მოგვეხსენებათ, ბიზანტიელებმა ისე დაამთავრეს თავიანთი არსებობა, არ იცოდნენ, რომ ბიზანტიელები იყვნენ და საკუთარი თავი მათ ბოლომდე რომაელებად მიაჩნდათ. ბიზანტიელები მათ მხოლოდ რენესანსის ხანაში უწოდეს).

რამ განაპირობა ბერობის, მონაზვნობის ასეთი მძლავრი შემოჭრა ქრისტიანულ კულტურაში? ეს მართლაც მძლავრი ნაკადი იყო იმიტომ, რომ ასობით და ათასობით ელინურ და რომაულ კულტურას ნაზიარები ადამიანი მიემართება თებაიდის

უდაბნოსკენ ჭეშმარიტების საძიებლად, ღმერთთან პირისპირ დასარჩენად, საკუთარი სულის გადასარჩენად...

ქრისტიანობაში არ არსებობდა ბერმონაზვნობა მანამ, სანამ ქრისტიანები იდევნებოდნენ. დევნის დამთავრების შემდეგ ქრისტიანი ადამიანი ირჩევს განდეგილობას, მონაზვნურ ცხოვრებას, და ამაში ჩვენ დავინახავთ ყველა რელიგიისთვის ნაცნობ ასკეტურ ცხოვრებას, ასკეზას. ეს არის თვითშეზღუდვა ღმერთთან მისაახლოებლად, რაც ყველა რელიგიისთვის არის ცნობილი. ადამიანი რელიგიური განვითარების კვალობაზე ღმერთს მსხვერპლად სწირავს არა ცხოველს, არა მცენარესა თუ სხვას, არამედ საკუთარ თავს. ასკეტიზმი, პირველ ყოვლისა, არის საკუთარი თავის მსხვერპლად მიტანა. მეორე მოტივი ასკეტიზმისა არის ის, რომ ღმერთთან მისვლა და შემდეგ ღვთის სიტყვის ადამიანებამდე მიტანა მხოლოდ განწმენდილს შეუძლია. მესამე მოტივია სურვილი იმისა, რომ ქრისტიანი შეუერთდეს ქრისტეს ტანჯვას, რაც ჯერ კიდევ პავლე მოციქულთან არის დამოწმებული. იგი ამბობს: „მე, თანამოწამე ვარ, თანაჯვარცმულ ვარ ქრისტესთან, იესოსთან ერთად“. ყოველი განდგომილი, ყოველი თვითშეზღუდული ადამიანი ქრისტესთან ერთად თანაწამება. აქვე ჩავურთავ, რომ ეს, ძირითადად, დამახასიათებელია არაპროტესტანტული მიმდინარეობებისთვის, რადგან პროტესტანტებისთვის ქრისტეს წამება, ჯვარცმა ერთჯერადი იყო (თუმცა, გამონაკლისებიც არსებობს, მაგალითად, კირგეგორი). ჩვენთვის, არაპროტესტანტებისთვის, ქრისტეს ტანჯვა მარადიულია, რომელიც გრძელდება და რომელშიც მონაწილეობა გვევალება.

შეგვიძლია თუ არა დავსვათ ერთმნიშვნელოვანი ტოლობის ნიშანი ქრისტიანობასა და ასკეტიზმს შორის? არამც და არამც. მონაზვნებს ევალებოდათ სამი ალთქმის დადება: უპოვარებისა, უმანკოებისა და მორჩილებისა (სხვათა შორის, ძველ ქართულში სიტყვა „მონაზონში“ იგულისხმებოდა ქალიც და კაციც, დღევანდელ ქართულში ძირითადად ქალს გულისხმობენ, რაც სწორი არ არის. მე ორივე მნიშვნელობას ვგულისხმობ). უპოვარება მონაზვნებისთვის პირველი და აუცილებელი პირობაა. იგი ნიშნავს უქონლობას, მიუჯაჭველობას ამ სოფლისადმი, მისგან სულიერად განთავისუფლებას. უმანკოებაც ხორციელ ვნებათაგან თავშეკავებას, ხორციელ სწრაფვათაგან, ხორცის ძახილისგან თავისუფლებას ნიშნავს; ხოლო მორჩილება, რომელიც უცნაურად უპირისპირდება ამ ორ თავისუფლებას, ღვთის მიერ არჩეულ ადამიანთა მორჩილებას ნიშნავს. ეს გულისხმობს პიროვნული, ეგოცენტრული მეობის დაძლევას. ამ სამი ალთქმის დადებით ადამიანი, პირველ ყოვლისა, საკუთარი სულის, ჭეშმარიტი მეობის თავისუფლებას მოიპოვებს.

კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ ასკეტიზმი და მონაზვნობა აუცილებელ კავშირში არ არის ერთმანეთთან, ეს მე ერთხელ პრაქტიკულადაც, საკუთარი თვალითაც დავადასტურე და გეტყვით, როდის: ეგვიპტური მონაზვნობა მთელ მსოფლიოში გავრცელდა, ხოლო მცირე აზიაში ის გადმოიღო ეკლესიის დიდმა მამამ – ბასილი დიდმა. იგი, თავის სულიერ თანამოღვაწეებთან – გრიგოლ ნოსელთან და გრიგოლ ნაზიანზელთან ერთად სათავეში უდგება სამონასტრო-სამონაზვნო მოღვაწეობას კაბადოკიაში. მე მქონდა ბედნიერება, უშუალოდ მენახა სწორედ ეს პირველი კაბადოკიური მონასტრები და გავცნობოდი ოდესღაც იქ მცხოვრები ბერების ცხოვრებას. თავდაპირველად, როდესაც ამ გამოქვაბულებს ნახავთ, წარმოიდგენთ, როგორი

თვითშეზღუდული იყო ამ ბერების ცხოვრება. მაგრამ იქვე ვნახე სოფელი, რომელიც მიწისძვრას დაუზიანებია და ხალხისგან დაცლილა. იგი ისეთივე სახით იყო შენარჩუნებული, როგორც XIX_XX საუკუნეების მიჯნაზე ყოფილა. ამ სოფლის ნახვისას კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ბერობა, მონაზვნობა არა იმდენად საზოგადო ცხოვრებისგან განდგომას, არამედ შინაგან გარდაქმნას ნიშნავს, რომელსაც ძველი ბერძნები „მეტანოიას“ უწოდებდნენ. მთავარია შინაგანი გარდაქმნა და არა გარეგნული ცხოვრების წესის შეცვლა.

მოგეხსენებათ, მონაზვნობა ამ გზით – ახლო აღმოსავლეთიდან და, პირველ ყოვლისა, სირიიდან საქართველომდეც აღწევს. მაგრამ მე დღეს თავს ნებას მივცემ, საქართველოს შესახებ არ ვისაუბრო, თუნდაც იმიტომ, რომ ეს თემა ბევრისთვის ნაცნობია, მეტ დროს მოითხოვს და ბევრმა ჩემზე უკეთ იცის. თუმცა, ვიცით, რომ საქართველოში მონაზვნობა სირიის გზით შემოსულა.

ეგვიპტიდან, ახლო აღმოსავლეთიდან ბერმონაზვნური ცხოვრების წესი მალე მთელ მსოფლიოს მოედება და აღმოსავლური საბერო ცხოვრება, პირველ ყოვლისა, ყვავის ათონზე, სადაც ბერმონაზვნობა დღემდე იმ წესებს ინარჩუნებს, ბასილი დიდმა რომ დაუდო საფუძვლად.

თავი რომ არ შეგაწყინოთ, ახლა მე დასავლეთისკენ გადავინაცვლებ, სადაც მონაზვნობა და მონასტერი უკავშირდება ბენედიქტე ნურსიელის სახელს, რომელიც როგორც დასავლურ, ისე აღმოსავლურ ქრისტიანობაში წმიდანად არის აღიარებული (აღმოსავლურ-ქრისტიანულ კალენდარში იგი ღირს მამად არის მოხსენიებული) და ლათინური, დასავლური მონაზვნობის ფუძემდებელი გახლავთ. სხვათა შორის, ღირშესანიშნავია, რომ მისი ცხოვრება, რომელიც რომის პაპმა – გრიგოლ დიდმა დიალოგოსმა აღწერა, ქართულად თარგმნა ეფთვიმე ათონელმა. არსებობს ეფთვიმეს ხელით დაწერილი ლოცვაც ბენედიქტესადმი. სხვათა შორის, XIV_XV საუკუნემდე ათონზე მცხოვრებ ბენედიქტელ ბერებთან ქართველი ბერებიც მეგობრობდნენ და შემთხვევითი არ არის, რომ „იოანესა და ექვთიმეს ცხოვრებაში“ (XI საუკუნე) მოხსენიებულია ერთი რომაელი ბენედიქტელი ბერი ლეონი, რომელიც მეგობრობდა გაბრიელ ქართველთან. ტექსტში წერია, რომ მათ ერთმანეთის ენა არ იცოდნენ, მაგრამ მათ შორის იმდენად დიდი სულიერი ერთობა ყოფილა, რომ ეს არ უშლიდა ხელს მათ ურთიერთობას. ათონელ ქართველთა ბერებს საგანგებო სენაკი ჰქონი ათ ამ ბენედიქტელი ბერისთვის, სადაც იგი რჩებოდა ქართველ ბერებთან სტუმრობისას.

როგორც ვთქვით, პირველი დასავლური მონასტრის ფუძემდებელია ბენედიქტე ნურსიელი, რომელმაც 529 წელს დააარსა მონტე კასინო. თეოლოგებისა თუ მისტიკოსების აზრით, ეს თარიღი შემთხვევითი არ არის: როგორც ვიცით, 529 წელს დაიხურა ანტიკური წარმართული კულტურის უკანასკნელი კერა – პლატონის აკადემია, ხოლო უკანასკნელი წარმართი ნეოპლატონიკოსები ირანში გადასახლდნენ. სწორედ ამ წელს ჩნდება ევროპის მიწაზე მონტე კასინო, – ბარბაროსების მიერ აოხრებულ, განადგურებულ, კულტურა და ცივილიზაციადაკარგულ ევროპაში ახალი კულტურის კერა.

(ერთი მცირე გადახვევა: ბენედიქტე ნურსიელის მემკვიდრეობისადმი, ევროპულ-ქრისტიანული ფასეულობებისადმი ერთგულების ნიშნად აიღო სახელი «ბენედიქტე» რომის ახლანდელმა პაპმა).

დავუბრუნდეთ ევროპასა და ბენედიქტეს. მე მქონდა ბედნიერება, მენახა ის ადგილი, სადაც წმიდა ბენედიქტემ განდევილური ცხოვრება დაიწყო – იტალიაში, სუბიაკოში, მთის მწვერვალზე, სადაც იგი განმარტოებული ცხოვრობდა სამი წლის განმავლობაში. ეს იყო იმ გზის გაგრძელება, რომელიც აღმოსავლური ბერობისთვის არის ჩვეული. მისი ბიოგრაფიიდან ცნობილია, რომ იგი შთაგონებული იყო წმიდა ანტონი მეგვიპტელის ცხოვრებით და მისი ცხოვრების წესს იმეორებდა („ანტონი დიდის ცხოვრება“ დაწერილია ეკლესიის დიდი მამის, ათანასი ალექსანდრიელის მიერ, რომელიც ქართულადაცაა რამდენჯერმე თარგმნილი. ეს ლიტერატურული ძეგლი მრავალი საუკუნის განმავლობაში იყო მოდელი წმიდა მამების ცხოვრების აღწერისთვის. სხვათა შორის, გარკვეული პარალელების გავლებაც შეიძლება ანტონ დიდის ცხოვრებასა და გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას შორის).

სამი წლის განმავლობაში განდევილად ყოფნის შემდეგ წმიდა ბენედიქტე მიდის იმ აზრამდე, რომ ბერი ქვემოთ, ხალხს შორის უნდა ჩამოვიდეს და უნდა ცხოვრობდეს საზოგადოებაში. სუბიაკოში ჩემი ყოფნისას ამ გზის გავლა ოთხჯერ მომიხდა ფეხით და მაშინ იმ გზაზე კარგად მივხვდი, რა მნიშვნელოვანი იყო ეს გზა – მთის მწვერვალსა და იქვე მდებარე პატარა ქალაქს შორის – ევროპული ცივილიზაციისთვის. წმიდა ბენედიქტე ჩამოდის ქვემოთ და ხდება შუა საუკუნეების ევროპული ცივილიზაციის ერთ-ერთი უმთავრესი ფუძემდებელი. ბენედიქტეს შემოაქვს სულიერი კულტურა და მისი მოღვაწეობის საფუძველი. ორი რამ ხდება: ლოცვა და შრომა. ბენედიქტემ შემოიტანა სამიწათმოქმედო კულტურა – ბენედიქტელი ბერები ასწავლიან ევროპელებს მიწაზე შრომას, სოფლის მეურნეობას, მეღვინეობას. ისინი სახლდებიან ქალაქებთან და სოფლებთან ახლოს და აზიარებენ ცივილიზაციას გაველურებულ ევროპულ მოსახლეობას. დღესაც ევროპაში საუკეთესო ღვინოები, მინერალური წყლები და ხილ-ბოსტნეული შეგიძლიათ ბენედიქტელთა სამონასტრო მაღაზიებში იყიდოთ. მაგრამ მათი მოღვაწეობა მარტო ამით არ შემოიფარგლება. ბენედიქტე წერს წესდებებს, მონასტრის ტიპიკონს, რომლის მიხედვითაც მონაზვნებისათვის სავალდებულოა წიგნების კითხვა. ბენედიქტელთა მონასტერში ერთ ბერს ჰქონდა საგანგებო მოვალეობა – დადიოდა და ამოწმებდა, კითხულობდნენ თუ არა წიგნებს ბერები. ბენედიქტეს მიმდევრები იწყებენ ძველი ლიტერატურული ძეგლების დამუშავებას. სწორედ მათი დამსახურებაა, რომ დღეს ადვილად შეგვიძლია მსჯელობა ანტიკური ლიტერატურული ძეგლების შესახებ. მაგრამ, როგორც გითხარით, ბენედიქტელთა მონასტრები ქალაქებისა და სოფლების მახლობლად იყო დიდი გალავნით გარშემორტყმული. ადგილობრივი ელიტა საუკუნეების განმავლობაში თავიანთ ვაჟებსა თუ ქალებს ამ მონასტრებში აგზავნიდა განათლების მისაღებად. ევროპაში ცივილიზაცია და კულტურა ბენედიქტელთა გადარჩენილია.

ახლა ცოტათი მოზრდილ დროით ნახტომს გავაკეთებ და ვისაუბრებ იმ მონაზვნური წესების რამდენსამე სახეობაზე, რომლებიც ევროპაში დამკვიდრდა. თქვენ უკვე იცით, რომ აღმოსავლური ტრადიციის ქრისტიანი ბერმონაზვნები, თვით აღმოსავლური წესის კათოლიკენიც, წმიდა ბასილის წესის, მისი წესდების მიმდევრები არიან (საქართველოს ისტორიიდან გვახსოვს, რომ ამ ტრადიციის მიმდევარი იყო სულხან-საბა ორბელიანიც, თუმცა, კათოლიკე ბასილიანელები აღიარებენ რომის პაპის მმართველობას, მის

უზენაესობას), დასავლეთ ევროპულ ქრისტიანობაში კი რამდენიმე წესის მონაზვნობა ყალიბდება.

ერთის შესახებ უკვე გვქონდა საუბარი და ეს არის ბენედიქტელთა ორდენი, რომელიც ცხოვრების წესად ირჩევს განუწყვეტლივ ლოცვასა და შრომას. დღესაც ბევრი უმნიშვნელოვანესი სკოლა და უმაღლესი სასწავლებელი ბენედიქტელთა მფარველობის ქვეშ არის. ბენედიქტელები აქტიურად იყვნენ და არიან ჩართულნი საკომპიუტერო მოღვაწეობაში და მათ მონასტრებში არაერთი მნიშვნელოვანი საკომპიუტერო პროგრამა მომზადდა.

მაგრამ დგება პერიოდი, როდესაც მონაზვნები სხვა ამოცანას დაისახავენ და აქ ჩნდება ქრისტიანობის ისტორიისთვის უმნიშვნელოვანესი პიროვნება, წმიდა ფრანჩესკო ასიზელი. იგი გამოდის სახარების რადიკალური აღსრულების იდეით, რომ სახარება სიტყვასიტყვით უნდა იქნეს გაგებული და შესრულებული (თუმცა, დღეს ძალზე სახიფათო იქნებოდა ამგვარი ფორმულირება, რადგან მას ფუნდამენტალისტად ჩათვლიდნენ. მოგეხსენებათ, სალექსიკონო განმარტების მიხედვით „ფუნდამენტალიზმი“ კანონიკური ტექსტის პირდაპირი მნიშვნელობით წაკითხვაა). მიწიერი ცხოვრებით გატაცებული ახალგაზრდა ყმაწვილი, რომელიც ფრანგულის ცოდნით ხიბლავდა ასიზელ ქალებს, უეცრად ასიზის ერთ-ერთ ტაძარში, ჯვრიდან ისმენს ხმას: მიდი და უპატრონე ჩემს ეკლესიას, რომელსაც საფრთხე ემუქრება. ფრანჩესკო ასიზელი ისმენს იესოს მოწოდებას და იმ წუთიდან ტოვებს მდიდრულ ცხოვრებას (მისი მამა ნაჭრების გამყიდველი ვაჭარი იყო). ჯოტოს ერთ-ერთ ფრესკაზე სწორედ ის მომენტია ასახული, როდესაც მამა ფრანჩესკოს ეუბნება, მე შენ გარჩენდი, გაჭმევდი და გაცმევდიო, ფრანჩესკო კი იხდის ყველაფერს და სრულიად შიშველი მიდის ახალი ცხოვრების დასაწყებად (ცოტა უცნაური შედარებაა, მაგრამ XII_XIII სს-ის ევროპაში ფრანჩესკოს ორდენის დაარსება მოგვაგონებს XX საუკუნის ჰიპების მოძრაობას). ფრანჩესკოს მაგალითით აღტაცებულმა ათასობით ახალგაზრდამ მიატოვა საკუთარი სახლ-კარი და გაემართა ფრანჩესკოსთან ამ ულამაზეს და უმდიდრეს ქალაქში, რათა აღესრულებინათ იესოს სიტყვა. ვინც ასიზში ერთხელ მაინც ყოფილა, ყველა აღტაცებით მოგიტხრობთ ამ ქალაქის შესახებ (როდესაც პირველად ვიყავი ასიზში, მეც ამგვარი აღტაცების გრძნობა დამეუფლა). მსოფლიოს ყველა კუთხიდან დღემდე ათიათასობით ადამიანი ჩამოდის ამ ქალაქში, რათა თავიანთი სცენ წმიდა ფრანჩესკოს ქალაქს. ფრანჩესკოს შესახებ დაწერილია უმშვენიერესი წიგნი „ფრანჩესკო ასიზელის ყვავილუკები“ (სხვაგვარად შეუძლებელია, ეს იტალიური სიტყვა – „ფიორეტტი“ – ითარგმნოს). ყველას გვახსოვს ფრანჩესკო ასიზელის ჰიმნი მზისადმი, რომელშიც ის სიყვარულს უცხადებს ყველაფერს, რაც კი ირგვლივ არსებობს: წყალს, მთას, მზეს, რომელიც დაგვნათის; იგი მიმართავს თავის დას, სიკვდილს, რომელიც უნდა მოვიდეს და მოეხვიოს მას. ფრანჩესკო ასიზელი იტალიური ლიტერატურის ფუძემდებელიცაა. მისი ტექსტებით იწყება იტალიური ლიტერატურის ისტორია. მე მახსენდება ოსკარ უაილდის ერთი პარადოქსული ფრაზა – „ქრისტემდე ბევრი ქრისტიანი ყოფილა, ქრისტეს შემდეგ კი მხოლოდ ერთადერთი – ფრანჩესკო ასიზელი“. ფრანჩესკოს ცხოვრების ყოველი ფურცელი აღსავსეა უმშვენიერესი უბრალოებითა და სიყვარულით მთელი სამყაროსადმი. ის განიცდიდა, რომ არ შეეძლო ყველა არსების ერთნაირად შეყვარება. შემთხვევითი არაა, რომ თავიანთ კითხვებზე პასუხის

საპოვნელად ადამიანთა ნაკადი განუწყვეტლად მიემართება ამ უდიდესი ადამიანის საფლავისკენ, რათა თავიანთი სცეს მას. დღემდე მახსოვს ჯერ კიდევ სიყმაწვილეში მოსმენილი პატარა ეპიზოდი „ფრანჩესკოს ყვავილუკებიდან“. ფრანჩესკო ეკითხება თავის მოწაფეებს: რა არის ყველაზე მშვენიერი ამქვეყნადო? ზოგი უპასუხებს, მთაო, ზოგი – ვარსკვლვიანი ცაო, ზოგიც – ყვავილიო. არაო, – ეუბნება მათ ფრანჩესკო, – ყველაზე მშვენიერი ის არის, ქვემოთ რომ ჩავალთ, მოხუც ქალს სახლის კარზე მივუკაკუნებთ და ვთხოვთ, პური გვიწილადოს, ის კი კომბლით გამოგვიდგებაო. ფრანჩესკოს იმდენად ვერ წარმოედგინა ორგანიზებული ცხოვრება, რომ ერთ ხანს წინააღმდეგიც იყო, თავისი სამმოსთვის ორგანიზაციის სახე მიეცა. მაგრამ რომის კათოლიკე ეკლესია, მოგეხსენებათ, ორგანიზაციის გარეშე არ არსებობს და ფრანჩესკოს მიმართეს მოწოდებით, რომ არ შეიძლებოდა წესრიგისა თუ წესდების გარეშე ცხოვრება. ის თვალცრემლიანი, ტირილით დათანხმდა, რომ შექმნილიყო ფრანცისკელთა ორდენი და მათ თავიანთი წესდება ჰქონოდათ. ამ ორდენის წარმომადგენლები ერთ დროს საქართველოშიც მოღვაწეობდნენ.

საქართველოში ასევე მოღვაწეობდნენ სხვა ორდენის – დომენიკელთა ორდენის წარმომადგენლები (XIII ს.). ამ ორდენის დამფუძნებელია ესპანელი თავადი, დომენიკე დე გუზმანი, რომელსაც მიაჩნდა, რომ საჭიროა ქრისტეს მოძღვრების ქადაგებით მიტანა ადამიანებამდე. იგი ყველგან დადიოდა და ქადაგებდა – შარაგზაზე, სასაფლაოს კარიბჭესთან თუ დუქანში. მისთვის ქადაგება ისევე მნიშვნელოვანია ღვთისმსახურებისთვის, როგორც ექვარისტია. დომენიკელთა ორდენის ერთ-ერთი პრინციპია ქალაქის შუაგულში, ხალხში ცხოვრება. დომენიკელები ქალაქის ცენტრში აშენებდნენ მონასტრებს. დომენიკეს აზრით, კარგი ქადაგებისთვის აუცილებელია ღრმა ინტელექტუალური მომზადება და თეოლოგიური მზადყოფნა. სწორედ დომენიკელებმა დააარსეს პირველი უნივერსიტეტი ევროპის მიწაზე. დომენიკელთა სახელს უკავშირდება ისეთი დიდი მამები დასავლური ეკლესიისა, როგორებიც არიან წმიდა ალბერტუს დიდი და წმიდა თომა აკვინელი. სხვათა შორის, თომა აკვინელს დიდი დაბრკოლება შეხვდა, როდესაც ორდენში შედიოდა. ცნობილია, რომ ფრანცისკელთა და დომენიკელთა ორდენს მათხოვართა ორდენებსაც უწოდებენ, რადგან მათ წევრებს არ აქვთ უფლება, ჰქონდეთ რამე შემოსავალი, თუ ის მათხოვრობით არ არის მოპოვებული. და უცებ, დიდებული ნეაპოლელი ოჯახის წარმომადგენელი თომა აკვინელი ხდება ამ ორდენის წევრი. ამის გამო, ის მამას და ძმებს ერთი წლით სახლში ჰყავდათ დამწყვდეული, ქალიც კი შეუგზავნეს, მაგრამ ამაოდ. ერთი წლის შემდეგ იგი გამოიპარა და ორდენს დაუბრუნდა. საქმეში ჩაუხედავ ხალხს ხშირად ეშლება იეზუიტთა ორდენი ინკვიზიტორებში. სინამდვილეში, იეზუიტები არასოდეს ყოფილან ინკვიზიტორები, ხოლო იეზუიტთა ორდენის დამაარსებელი თავად მოხვდა ინკვიზიტორთა სამსჯავროზე. ინკვიზიტორები ყოველთვის იყვნენ დომენიკელები, როგორც თეოლოგები. სწორედ მათ უნდა გამოეტანათ თეოლოგიური დასკვნა, ჰქონდათ თუ არა საქმე ამა თუ იმ შემთხვევაში ღვთისგმობასთან ანუ მკრეხელობასთან. დომენიკელთა განსაკუთრებული როლი და მნიშვნელობა დღემდე არის შენარჩუნებული რომის ეკლესიაში. რომის პაპს ჰყავს პირადი მრჩეველი თეოლოგიაში, რომელიც, წმიდა დომენიკედან მოყოლებული, ყოველთვის დომენიკელია.

კიდევ ერთი ტიპი მონაზვნობისა, რომელიც დასავლეთში ჩამოყალიბდა, გახლავთ კარმელელების ორდენი (XII ს.). მისი წარმომადგენლებიც მოღვაწეობდნენ საქართველოში. ამ ორდენის აყვავება გვიანდელ, XVI საუკუნის ესპანეთს უკავშირდება. განახლებულ ანუ ფეხშიშველა, ან უკეთესად რომ ვთქვათ, უხამურ კარმელელთა ფუძემდებელი იყო ორი მონაზონი. ერთია დიდებული ოჯახის წარმომადგენელი, უდიდესი თეოლოგი და ეკლესიის მოძღვარი წმიდა ტერეზა ავილელი, ხოლო მეორე იყო წმიდა იოანე ჯვრისა – ხუან დე ლა კრუსი. სხვათა შორის, დასავლურ ეკლესიას ჰყავს ოცდაორი უდიდესი მოძღვარი, მათ შორის, სამი ქალია. მათგან ერთი დომინიკელია – წმიდა ეკატერინე სიენელი, ხოლო ორი – წმიდა ტერეზა ავილელი და წმიდა ტერეზა ლიზიელი – უხამლო კარმელელები არიან. ტერეზა ავილელს ეკუთვნის ესპანური ლიტერატურის დიდებული ძეგლი „შინაგანი ციხესიმაგრე“. ავტორს ადამიანის სული ციხესიმაგრედ აქვს წარმოდგენილი, მის ლაბირინთებსა და ბნელ კუნჭულებში იკვლევს გზას. მის გვერდით იდგა მისი უმცროსი თანამოაზრე, ესპანური კულტურის უდიდესი წარმომადგენელი, ხუან დე ლა კრუსი (საეკლესიო ენაზე – წმიდა იოანე ჯვრისა). მისი ნაწარმოები – „ბნელი ღამე“ ესპანური ლიტერატურის შედეგია. მას ტერეზა ავილელი პატარა სენეკასაც უწოდებდა.

უხამლო კარმელელთა ორდენის წევრი იყო XIX საუკუნის ფრანგული სულიერების უდიდესი წარმომადგენელი წმიდა ტერეზა ლიზიელი, რომელიც 27 წლისა 1897 წელს გარდაიცვალა, მაგრამ ეკლესიის 22 უდიდეს მოძღვართა შორის ისიცაა შერაცხილი. მისი წიგნი „ჩემი სულის ამბავი“ ფრანგული ლიტერატურის, ფრანგული სულიერი ცხოვრების უდიდესი ძეგლია.

კარმელელთა ორდენი მედიტაციური ორდენია, რომლის წევრები მთლიანად მოშორებულნი არიან საერო ცხოვრებას. ეს ორდენი დღესაც არსებობს. სამონაზვნო ცხოვრება დასავლეთში, როგორც ქანქარა, ისე მოძრაობს საერო და განდგომილ ცხოვრებას შორის.

მეხუთე მნიშვნელოვანი ორდენია იეზუიტების ორდენი. „იეზუიტების ორდენი“ იესოს საზოგადოებას ნიშნავს და იგი XV საუკუნეში დააფუძნა ბასკმა აზნაურმა – ეგნატე ლოიოლამ. მას რაინდობა სურდა, მაგრამ ბრძოლაში დაიჭრა და დაკოჭლდა. მისი ისტორია დონ კიხოტის ამბავს მოგვაგონებს: მძიმე ოპერაციის შემდეგ, თვეების განმავლობაში იგი ლოგინში იწვა და სარაინდო რომანებს კითხულობდა. მაგრამ როცა წასაკითხი სხვა არაფერი დარჩა, მას წმიდანთა ცხოვრება მოუტანეს. ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ მან წმიდანებში დაინახა რაინდები. ამის შემდეგ ის ხდება ევროპის ისტორიის უდიდესი მოღვაწე და აარსებს იეზუიტთა ორდენს, რომლის მისიაც ქრისტიანობის გადარჩენა ხდება. ამ პერიოდში ევროპაში მძლავრობს პროტესტანტიზმი და ეგნატე ლოიოლა სიტყვის დახმარებითა და ინტელექტუალური შრომით აღწევს მიზანს. იგი გადაწყვეტს, რომ ქრისტეს მოძღვრების დასაცავად განათლებული უნდა გახდეს. უკვე მოწიფულ ასაკში შედის სკოლაში, დაამთავრებს უნივერსიტეტს და დაიცავს სადოქტოროს. შემთხვევითი არ არის, რომ ამ პერიოდში იეზუიტების ხელში აღმოჩნდება წამყვანი სასწავლებლები. უმთავრესი უნივერსიტეტების დამაარსებლები იმ ხანად იეზუიტები არიან. ეს სხვაგვარი მონაზვნობაა, დასავლეთის სამონაზვნო პროფესურა დღესაც იეზუიტები არიან. იეზუიტებს არ აცვიათ გამორჩეული

ტანსაცმელი, არც ლოცვის საათები აქვთ განსაზღვრული – ისინი ყოველთვის უნდა ლოცულობდნენ.

XX საუკუნეში დასავლურ საზოგადოებაში ჩნდება ახალი ტიპის მონაზვნობა – „ოპუს დეი“. ამ პრელატურის ფუძემდებელია ესპანელი მღვდელი, ხოსემარია ესკრივა. მისი იდეით, მონაზონი არ უნდა იყოს საზოგადოებისგან, გარემოსგან გარეგნულად გამორჩეული ადამიანი, იგი არ უნდა იჯდეს ჩაკეტილ სივრცეში და უნდა მუშაობდეს, როგორც ჩვეულებრივი ადამიანი. მან წამოაყენა იდეა შრომის კურთხევისა, – რომ ყოველნაირი შრომა კურთხეულია (ჩემი ერთი ესპანელი მეგობარი, „ოპუს დეის“ წევრი, სარეცხი ფხვნილების ფირმის მფლობელია, მაგრამ ის მონაზონია სამმოსთან ერთად და მათი ცხოვრების მკაცრი წესით ცხოვრობს). ამ ორდენის წევრებიც ასრულებენ უმანკოების, უპოვარებისა და მორჩილების აღთქმას. მაგალითად, ისინი მთელ თავის შემოსავალს ორდენს აბარებენ. ეს არის XX საუკუნის მონაზვნობის ყველაზე რადიკალური ფორმა. „ოპუს დეის“ წევრთა აზრით, თანამედროვე ეპოქა მონაზვნობის ასეთ ტიპს მოითხოვს.

ჩემი აზრით, საბერო-სამონაზვნო, სამონასტრო ცხოვრება გამოწვევა არის დღევანდელი საზოგადოებისთვის, ბერ-მონაზვნობა საზოგადოების განსხვავებულ მოდელს გვთავაზობს. ალბათ, ყველას აქვს უფლება, ასე სჯეროდეს მიუხედავად იმისა, ეს მოდელი შესძლებს თუ არა არსებობას მომავალში. მე მიმაჩნია, რომ სასწავლო-საგანმანათლებლო, სამედიცინო საქმეში თუ ქველმოქმედების თვალსაზრისით, მონაზვნები დღესაც თავის სიტყვას ამბობენ. მათი ყოველი ქმედება დაფუძნებულია უანგარობასა და იმ სამ პრინციპზე, რომლებიც ადამიანს ათავისუფლებს ამქვეყნიურ პრობლემებზე ფიქრისგან, აძლევს მას საშუალებას, თავისი თავი მიუძღვნას მოყვასს ისე, როგორც ამას სახარება გვასწავლის. ჩემი ღრმა რწმენით, მონაზვნობას არა მხოლოდ წარსული და აწმყო, არამედ დიდი მომავალიც აქვს. მე ჩემს რწმენაში მარტო არ ვარ და ამის დასადასტურებლად მხოლოდ ტომას სტერნზ ელიოტს დავასახელებ, რომელიც მონაზვნობას დიდ, მნიშვნელოვან და ღირსეულ მომავალს უწინასწარმეტყველებდა.

15 სექტემბერი, 2006 წელი.

ლელა იაკობიშვილი

ძალაუფლების ქალური და მამაკაცური სქემები «ვეფხისტყაოსანში»

კულტურის ისტორიის ერთი შეხედვით უახლესი პრობლემები მითოლოგიურ ცნობიერებასა და სტრუქტურებში იღებს სათავეს. მითოსური სამყარო არ გახლავთ კოსმიური სივრციდან გამხოლოებული ერთეული, რომელშიც დედამიწის რიტუალი თამაშდება. მეორე მხრივ – ეს სწორედ ასეა. ეს კოსმოსის გამხოლოებული ერთეული, – რომელშიც დედამიწის რიტუალი კოსმიური ჰარმონიის ცოცხალ ორგანიზმში ორგანულად ჩართული სამყაროსადმი ღიაობის ნიშნით განსაზღვრულ ფორმათა ორ

უკიდურესობაში მოცემული „მისტერიული მორჩილებაა», – კოსმიური, უცხო და სრულიად ნაცნობია ღვთაებრივი სუფევის წინაშე. ამ რიტუალში უმთავრესად ღვთაებრივი არსების ორი უკიდურესი მეტამორფოზა – მდედრი და მამრი ფორმა მონაწილეობს. მითისათვის დამახასიათებელი ჟინიანი და ვნებიანი, საკუთარ ემოციასთან სრულიად იდენტიფიცირებული ჯადოსნურ ქმედებათა რიგი, უმთავრესად ერთარსების „ფორმალურ» დანაწევრებაზე მუშაობს – ფორმათა მეტამორფოზირებაზე. ამ ფორმათა სახელები კი მდედრი და მამრია, რომელთა უმთავრესი განსხვავებანი, ფორმალურ განსაზღვრულობასთან ერთად, ქცევაში უნდა გამოიხატოს. ქცევა კი ყოველთვის ჯადოსნურია, მითისთვის ყოველთვის გასაგები და „რაციოსთვის» ყოველთვის მოუხელთებელი.

რიტუალური ქცევა – ეს არის გზა, გზა ინიციაციისკენ, საკუთარ მდედრ თუ მამრ საწყისთან ინიციაციისკენ, საკუთარ პირველარსებასთან იდენტიფიკაციისაკენ. იწყებს თუ არ „რიტუალურ სვლას» – რაც მითში შესაბამისად „მაქციობის» იდენტურია, მითოსური პერსონაჟი აღმოჩნდება ფანტასმაგორიულ სივრცეში, განსაცვიფრებლად ცვალებად და ერთგვაროვან ფორმათა საუფლოში, სადაც მას უხდება „ქცევა», „მაქციობა», რაც საბოლოო ჯამში იქცევა „გზად», ჯადოსნურ „კვალად», რომელსაც უკვე სახელი ჰქვია – მითოსური პერსონაჟის სახელი. ასე იქცევა სახე სახ-ელ-ად.

მითში მამაკაცური და ქალური ქცევები თითქმის სრულიად იდენტურია. ისინი მონაცვლეობით იღებენ ერთსა და იმავე ფუნქციას და საკუთარ ღვთაებრივ საწყისთან იდენტიფიცირებას ცდილობენ. „გზის გავლა» გახლავთ გმირის ცდა, როგორც საკუთარი ნების დასტური ღვთიურ „გამო-ცდაში», ღვთისაგან გმირისათვის ცდის გამო-ტყუებაში, რომელიც საბოლოოდ იქცევა გამო-ცდილებ-ად, ცდილობ-ად, მცდელობ-ად, ღვთიურ ჯადოსნურ აქტად, რომელიც ცოდნის სახით ფორმდება. ფორმდება გზად, კვალად, ღვთისა და გმირის თანასწორ ნებელობით აქტად, სადაც გმირის ნება იდენტიფიცირდება ღვთის ნებასთან, სადაც, ქრისტიანულ მითოლოგიას რომ დავესესხოთ, „მე და მამაი ერთნი ვართ», სადაც „თეთრ ხნულში შავი თესლი ითესლება» და „თესლი მთესველს ე-უბნ-ება».

ამ თემის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ და მომხიბლავ თვალსაჩინოებად წარმოგვიდგება ფსიქეას ძიება დაკარგული სატრფოს, კუპიდონის მოსაპოვებლად. აქ თითქმის ყველა ძირითად როლს ადგილები გაცვლილი აქვს (დღევანდელი გადასახედიდან, რადგან თავად მითში ეს აქტი სულაც არ განიხილება ადგილის გაცვლად). შეყვარებული მამრი გმირის ნაცვლად, რომელიც დაკარგული სატრფოსა და საცოლის მოსაპოვებლად გასდგომია გზას, თავად საცოლე ცდილობს იპოვოს თავისი შეყვარებული. სასტიკი მამის, რომელიც არ უშვებს თავის სატრფოსთან, ნაცვლად არის ეჭვიანი დედა – ვენერა, რომელიც თავის ვაჟს კუპიდონს მის საცოლეს უმაღავს. ფსიქეა თხოვნიტა და მუდარით მიმართავს ვენერას, ის კი, უგულო და მრისხანე, თმაში სწვდება მას და თავს მიწას ახლევიანებს. შემდეგ იღებს ხორბლისა და ჭვავის, ყაყაჩოს თესლისა და მუხუდოს, უგრეხელისა და შვრიის თესლს, ერთმანეთში ურევს, უზარმაზარ გროვად დაახვავებს და უბრძანებს ფსიქეას ღამის დადგომამდე გადაარჩიოს. ფსიქეას ჭიანჭველათა მთელი ჯარი ეხმარება. ვენერას შემდეგი ბრძანება კიდევ უფრო უღმობელია – იგი უბრძანებს მას გაკრიჭოს საშიში, ველური ვერძები, რომელთაც წვეტიანი რქები და შხამიანი კბილები აქვთ და მოაცილოს მათ ოქროს ბეწვი

(ოქროს ბეწვის, ოქროს თმის მეტაფორას მითოლოგიურ თქმულებებში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, რაზედაც ქვემოთ ვისაუბრებთ. იგი, როგორც მეტაფორა უკავშირდება, აგრეთვე, XX საუკუნეში ფემინისტური მოძრაობის დასაწყისს, როცა ქალი თავად, საკუთარი ნებით იჭრის საკუთარი საკრალურობის ერთ-ერთ უმთავრეს ნაწილს, _ მეცნიერებაში რუდიმენტად წოდებულ, მითოსში – პარციალური სულის ადგილსამყოფელს _ თმას და სოციალური როლის „ახალი გზის» ძიებით დაიწყებს). ამ თემას ჩვენ კიდევ დაუბრუნდებით ამირანისა და მედეას მითების განხილვისას.

ოქროსბეწვიანი ვერძები უღრანსა და გაუვალ ტყეში ბალახობდნენ. მწვანე ლერწამი ასწავლის ფსიქეას, როგორ უნდა მოაგროვოს ოქროსბეწვიანი ვერძების ოქროს ბულულების ფთილები, რომლებიც ვერძებმა ლერწმიანში დატოვეს. მის შემდეგ ღვთაება ვენერა მოსთხოვს ფსიქეას მოუტანოს წყალი ყინულოვანი წყაროდან, რომელიც უძირო უფსკრულის ძირას ეცემა კლდის უსაშველო სიმაღლიდან და რომელსაც მუდამ ფხიზელი დრაკონი იცავს. ამ რთულ დავალებას ფსიქეას ნაცვლად არწივი ასრულებს; ბოლოს კი უკანასკნელ გამოცდას უწყობენ ფსიქეას: ვენერა მისგან მოითხოვს უბოდოს ზებუნებრივი მშვენიერების მქონე ზარდახმა. უმაღლესმა მცველმა ასწავლა ფსიქეას, როგორ ჩასულიყო ქვესკნელში, მისცა მას მონეტები ჰარონის მოსაქრთამად და ნელსურნელებანი ცერბერის გასაბრუებლად, თანაც მისი გზა დააჩქარა.

ჩვენი სტერეოტიპული ცნობიერებისათვის თითქოს უცხოა ქალის ასეთი როლი, მისი ასეთი ქცევა. მითოლოგიური კოსმოგონია კი სრული თავისუფლებით, თითქოს შინაგანი „ტოლერანტიზმითაც» აგებს „გენდერულ სტრუქტურებს». თითოეული მდებარი თუ მამრი პერსონაჟი აქ ძალზედ თავისუფლად იცვლის როლებს. უფრო მეტიც, ქრონოლოგიურად უთმობენ ერთმანეთს მიწიერ როლებს. ანდროგენულ ერთარსებას ყოფიერების სრულყოფილების სიღრმე და განურჩევლობა ახასიათებს. მას მუდამ მარადი დედის სურნელი ასდის. სწორედ მის წიაღში უნდა გადათამაშდეს მდებარსა და მამრს შორის უკიდურესად ანტაგონისტური მიწიერი ძალაუფლობის ფლობის მისტერიაც და თითოეული მათგანის სრული ინიციაციაც საკუთარ პირველარსებასთან. მის წიაღში მუდამ მამრის ჯანყია, რომელიც, როგორც კემპბელი იტყვის, მთავრდება დედა ღვთაებასთან, ყოფიერების სისავსესთან შეხვედრით. მისი აღწერა კი მხოლოდ მშვენიერებისა და მომხიბლავის ეპითეტით შეიძლება. ის არის მშვენიერების ყველა შესაძლო არსებობის ნიმუში. ის პასუხია ყველა სურვილზე, ყველა ვნებაზე და თავის არსებაში იტევს ყველა მიწიერი და არამიწიერი ძიების მიზანს, სრულყოფილ სუფევას. იგი დედაა, დაა, შეყვარებული, საცოლე, ყველაფერი ის, რაც ამ ცხოვრებაში გიპყრობს და გახელებს, ყველაფერი, რაც შორეულ ნეტარებას გპირდება. იგი მარად ქალურია. მარადი და მოუხელთებელი ხიბლი კი მისი არსების განმსაზღვრელი ნიშანია, მარად ძიებაში რომ ამყოფებს გმირს რეალურ სამყაროში, საკუთარ სივრცეში, საკუთარ ქალაქში, სოფელში, ტყეში, ღრესა და არარეალურში _ სიზმრის სიღრმეებში. იგი აღქმული სრულყოფილების განსხეულებაა, გმირის არსებაში დატოვებული „ზალოგია», ანდროგენის არსებიდან გამევეებული გმირის „ზალოგი». იგი უნდა დაუბრუნდეს მას, თავისი გზის დასასრულს, გზისა, რომელიც შორსაა სრულყოფილებისაგან, გზისა, რომელსაც ნება და ძალისხმევა ადგენენ და არა სულის მშვიდობა და სუფევა. უნდა დაუბრუნდეს შორეულ სანახებზე მოლივლივე მარადიულ

მშვენიერსა და მადლიან დედას, რომელსაც ოდესღაც იცნობდა, სცნობდა და მის შესახებ მეხსიერება ახლა მისი არსების ხიზლად გადაქცევია, მისი მუდმივი ძიების ჟინიან თავგადასავლად.

თუმცა კი, მისი ხატი ყოველთვის სიკეთით აღვსილი არ უნდა იყოს. მაგალითად, ბაბილონურ მითში – „ენუმა ელიშ“-ში დიდი დედა თიამათის წინააღმდეგ მამრობითი ღვთაებები ჯანყს აწყობენ, რომლის ხელმძღვანელადაც მარდუქს ირჩევენ. ამ ბრძოლაში ისინი სასტიკად კლავენ დედა თიამათს და მარდუქს უზენაეს ღმერთად აცხადებენ.

ქართულ მითოლოგიურ წარმოდგენებში ძალზე საინტერესოა მდედრ ღვთაებათა მთელი პანთეონი, რომელთა ნაწილი ხთონური ძალების დემონურ ბუნებას გამოხატავს. ხთონური ძალების უმთავრესი სახასიათო ნიშანი მათი ჯადოსნური ძალაა, რომელიც ძირითადად ფრჩხილებსა და თმებშია თავმოყრილი. ის თვისებები ხთონურ ძალებს, როგორც ჩანს, გენდერულ როლთან აკავშირებდა.

ვენდიადის მიხედვით, მთელი სამყარო სავსეა ორივე სქესის დემონებითა და მათი თაყვანისმცემლებით. ისინი ჯოჯოხეთის შესასვლელთან იყრიან თავს. საჭიროა მათგან თავის დაცვა განსაკუთრებული რიტუალების შესრულებით – გაფრთხილებას საჭიროებს მოჭრილი თმა და ფრჩხილები, რომლებიც ეშმაკთა ხელში იქცევიან საშიშ ინსტრუმენტებად.

მდედრი დემონები თქმულება-წარმოდგენებში განსაკუთრებული მშვენიერებით გამოირჩევიან, მამრი დემონები კი ამაზრზენი გარეგნობისანი არიან. თუშური თქმულების მიხედვით, საშინელი შესახედავია დორა ისხეველი (დორა იქითა ხეველი). იგი ასე გამოიყურება: გოლიათი მთა-კაცია, შუბლზე საცრისოდენა ერთადერთი, მრგვალი, წითელი „თაქნთქალა« თვალი უზის, მხრებზე შავი ნაბადი აფარია (შეადარეთ ჰომეროსის ოდისეას პერსონაჟი პოლიფემი). ციკლოპსაც ერთადერთი თვალი შუბლზე უზის. მას შემდეგ, რაც ოდისევსი თვალს გამოსთხრის ციკლოპს, იმარჯვებს დემონურ არსებებზე და კმაყოფილი ტოვებს ქვეყანას).

ასევე საზარელია მეგრული თქმულებების ერთ-ერთი პოპულარული დემონური პერსონაჟი – ოჩოკოჩი, რომელსაც მახინჯ მკერდზე უზარმაზარი კუზი აქვს. ეს მახინჯი გოლიათი ტყის ულამაზეს დედოფალს ტყაშმაფას ემტერება.

«ვეფხისტყაოსნის» გენდერული სტრუქტურები

«ვეფხისტყაოსანი» სრულად იმეორებს მითოსური გენდერული სისტემების სტრუქტურას. ამ ნაწარმოებში, ისევე როგორც ღმერთების ამბებში, ხდება ქრონოლოგიური მონაცვლეობა კოსმიური სისტემებისა – მამრისა მდედრით და პირიქით.

როსტევან მეფე არაბეთის ქვეყნის მფლობელია. „სახითა მის (ღვთის) მიერთთა« არსებული მეფე სრულყოფილების განსახიერებაა დედამიწაზე. იგი შემკულია თორმეტი (საკრალური) უკეთილშობილესი თვისებით, რაც მას მეუფების უფლებას ანიჭებს. ის გახლავთ:

« ... მეფე ღვთისაგან სვიანი,
მაღალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარმრავალი, ყმიანი,

მოსამართლე და მოწყალე, მორჩმული, განგებიანი,
თვით მეომარი უებრო, კვლა მოუბარი წყლიანი».

არაბეთის სამფლობელოში როსტევანი ერთპიროვნული მმართველია. ამას ადასტურებს ისიც, რომ დედოფალი არსად ჩანს. ჩანს მხოლოდ მისი „მარტოდენ მარტო« ასული, „სოფლისა მნათი მნათობი«. როსტევანი ხვდება „უფლის ჩანაფიქრს« – იცის, რომ ასული მისთვის ძეა ბოძებული ღვთისგან, რომელმაც უნდა გააგრძელოს მეუფება არაბეთის სამფლობელოში. მეფე ამ ფაქტს სრულიად უდრტვინველად, განსჯის გარეშე, ვეზირებთან შეთანხმების შემდეგ ახორციელებს კიდეც. თავად თინათინისთვისაც მისი გამეფების ერთადერთი ბარიერი ისაა, რომ „მამისა ტახტსა საჯდომად თავი არ ეღირსებოდა«. სხვა მხრივ კი, იგი მზადაა გვირგვინისა და ძალაუფლების მისაღებად და მამის დარიგებას „ბრძნად მოისმინებდა».

ამ შემთხვევაში, მეფის გადაწყვეტილება არ გახლავთ შემთხვევითი ან სპონტანური. თინათინი თავიდანვე სასახლის კარზე მეფედ იზრდებოდა და ბავშვობიდანვე შეითვისებდა სახელმწიფოს უზენაესი ხელისუფალისათვის საჭირო უნარ-ჩვევებს. ამას მოწმობს როსტევანის ნაზირ-ვეზირთა სიტყვები:

« ... იცის მეფობა, უთქვენოდ გვითქვამს კვლა დია,
შუქთა მისთაებრ საქმეცა მისი მზებრ განაცხადია».

როსტევანის მთელი სამეფო კარიც ეთანხმება ღმერთის ნებას: „თუცა ქალია ხელმწიფედ, მართ ღვთისა დანაბადია«. „მზეობა«, მეუფება ღვთის სახედ ყოფნას ნიშნავს. მზის სიმბოლო კი ლომია, რომელიც ძალაუფლების სიმბოლოცაა და ძალაუფლების, როგორც საქმის, როგორც მზებრ განაცხადის განხორციელების შემთხვევაში – „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია«. სრულიად არაბეთმა იზეიმა თინათინის გამეფება. სამეფოში საეჭვოც არაფერი გამხდარა ქალის ხელმწიფობის წინააღმდეგ. თინათინისთვისაც საკუთარი ქალობა მეფობასთან არავითარ კავშირში არ არის. არაბეთში, არც სამეფო კარზე და არც ხალხში, ზოგადადაც კი არ დგება საკითხი ამის ირგვლივ. თინათინი იმდენად გრძნობს თავს მფლობელის, მეფის, არაბეთის სახის როლში, რომ არაბეთის ამირბარს, მისსავე სატრფოს, ავთანდილს თავის სწორად არ მიიჩნევს. როდესაც იგი მას უცხო მოყმის სამებრად უშვებს, ასეთი ტექსტით მიმართავს:

«ასრე გითხრა სამსახური ჩემი გმართებს ამაღ ორად:
პირველ, ყმა ხარ, ხორციელი არვინა გვყავს შენად სწორად,
მერმე ჩემი მიჯნური ხარ, დასტურია, არ ნაჭორად».

თავად ავთანდილიც სხვაგვარად ვერ ხედავს საკუთარ როლს თინათინთან მიმართებაში. ამ ყოველივეს არაფერი აქვს საერთო ქრისტიანული მორალის პრინციპებთან, სადაც ქალი არა მხოლოდ „მხევალია ღვთისა«, არამედ „უფლის მონისაც« (მამაკაცის). ქვეყნის ამირბარი, თინათინის მიჯნური, მისი მომავალი მეუღლე ავთანდილიც, რომელსაც თინათინი ერთგულებას ასე შეჰფიცავს:

«შენგან კიდევ თუ შევირთო რაცა ქმარი,
მზეცა მომხვდეს ხორციელი, ჩემთვის კაცად შენაქმარი,
სრულად მოვწყდე სამოთხესა, ქვესკნელს ვიყო დასანთქარი,
შენი მკვლიდეს სიყვარული, გულსა დანა ასაქმარი».

სრულიად ეთანხმება ძალაუფლების ამგვარი იერარქია ქალსა და მამაკაცს შორის. უცხო მოყმის საქებრად გამგზავრებული ავთანდილის ტექსტი ასეთია:

«პირველ ყმა ვარ, წასვლა მინდა პატრონისა სამსახურად,
ხამს მეფეთა ერთგულება, ყოფა გვმართებს ყმასა ყმურად».

მთელი არაბეთის საზოგადოებაში, სადაც სრული ჰარმონია სუფევს ყველა სოციალურ რგოლში, არავინ მიიჩნევს ქალის გამეფებას განსაკუთრებულ მოვლენად. უფრო მეტიც, იქ პრობლემის დონეზეც არ დგება მეფის სქესის საკითხი. აქ, ამ თვალსაზრისით, მითოსური თავისუფლება სუფევს, სადაც არ დაგიდევენ ღვთაებების სქესს. „ვეფხისტყაოსანში« მამაკაცის მეუფება ძალზე თავისუფლად, ყველასთვის უმტკივნეულოდ იცვლება ქალის მეუფებით. ძალაუფლების განხორციელება არათუ შესაძლებელია, არამედ – მხოლოდ ამ ფორმითაა შესაძლებელი, ანუ ღვთიური სუფევა დედამიწაზე ხორციელდება მონაცვლეობით: ძალაუფლების „ანიმური« ფორმით, რომელსაც მოსდევს ძალაუფლების „ანიმუსური« ფორმა და ასე უსასრულოდ.

აქ შეგვიძლია გავიხსენოთ ამირანის მითის ასეთი პასაჟი: როდესაც ღვთაება დალი მშობიარობს, იგი სულკალმახს ეუბნება, – თუ ქალი დაიბადოს, რაც გინდა ის დაარქვი. თუ ვაჟი იყოს, ამირანი დაარქვიო. და შემდეგ ჩამოუთვლის იმ პირობებს, რომლებიც ამირანის დაბადების შემთხვევაში უნდა განახორციელოს სულკალმახმა, რომ კოსმოსი არ დაირღვეს, რომ მამაკაცის ძალაუფლება ჩამოვიდეს დედამიწაზე, რომლის დედაც დალია. ქალის დაბადების შემთხვევას დალი არ განიხილავს, როგორც მნიშვნელოვანს. მისთვის ქალის სახელსაც კი არა აქვს მნიშვნელობა. ამ მნიშვნელობით ღირებულებას იგი მხოლოდ ამირანის დაბადებას ანიჭებს. ასეთ შემთხვევაში მას მემკვიდრის სახე და სახ-ელ-იც ესახება. მისი სიკვდილის შემდეგ უნდა მოვიდეს მამაკაცის მეუფება და ისიც მიწაზე – ზესკნელიდან სკნელში.

არაბეთის საპირისპიროდ, ინდოეთში სიტუაცია სხვაგვარია. აქ ტახტზე მეფეც გვყავს და დედოფალიც, თუმცა ინდოეთის მეფე დედოფალზე სახ-იერია პოემაში. მეფე-დედოფალი უშვილოა კარგა ხნის განმავლობაში:

«მე არ ესვა მეფესა და დედოფალსა მზისა დარსა,
ჭმუნვა ჰქონდა, ჟამი იყო, მით აეხვნეს სპანი ზარსა».

თვითონ ინდოეთი შვიდ ნაწილად დასახსრული ქვეყანაა. მეფე და დედოფალი პირმშოს ელოდებიან და არჩევანს აკეთებენ ერთ-ერთი სამთავროს უფლისწულ ტარიელზე. იგი მეფის კარზე გადაჰყავთ და ზრდიან, როგორც ინდოეთის ტახტის მემკვიდრეს. მიუხედავად იმისა, რომ მეფე-დედოფალს ამ ხნის მანძილზე უშვილობის

„ჭმუნვა» ჰქონდათ, ვერ ჩასწვდნენ ღვთის ნებას და ტარიელის სასახლეში გადასვლის ხუთი წლისთავზე დაბადებულ ქალიშვილს – ნესტანს ვერ იღებენ, როგორც ტახტის მომავალ მემკვიდრესა და მფლობელს. აქედან იწყება მათი დრამაც. დღენიადაგ მომავალი მეფის ძიებას შეუპყრია მეფე ფარსადანი, მისი ნესტანიც მზეთ-უნახავივით სასახლის კარიდან მოშორებით, მითიური ყამარივით ფარდაგებჩამომვებულ სასახლეში იზრდება, სადაც მზის სხივიც ვერ აღწევს. იზრდება, როგორც დედოფალი და არა როგორც მეფე. მსოფლმხედველობრივი უმწიფრობაც მალე იჩენს თავს – ინდოეთი მართლაც „გარდაქადადა». ამას კი დიდი ისტორია უსწრებდა წინ.

ნესტანს, თინათინისგან განსხვავებით, მეფის როლში არ წარმოუდგენია თავი. მიუხედავად უფლისწულობისა, ნესტანი არ გახლავთ მომავალი ერთპიროვნული გამგებელი თავისი სამეფოსი. მისმა სასახლის გარეთ ყოფნამ, მისმა მზეთ-უნახავობამ, მისთვისვე მძიმე შედეგი გამოიღო. რა თქმა უნდა, მას არ უნდა ხვარაზმელი ხელმწიფე, რომელიც არა მხოლოდ მის ქვეყანას, არამედ მასაც დაეპატრონება. მაგრამ გზაც არ იცის, როგორ მოიქცეს. ის ტარიელს, თინათინისგან განსხვავებით, თავის პარტნიორად აღიქვამს და ხვარაზმშას შვილის მოსაკლავად აგზავნის ასეთი მიზანდასახულობით – „მე და შენ დავსხდეთ ხელმწიფედ, სჯობს ყოლა სიძე-სძლობასა».

ნესტანი არ გახლავთ ერთპიროვნული მმართველი, ის არ და ვერ ეუბნება ტარიელს „პირველ ყმა ხარ ხორციელიო». იგი ვერც ღვთის ნებას სწვდება ამ თვალსაზრისით, რომ აღარაფერი ვთქვათ მისი მშობლების პოლიტიკურ უმწიფრობაზე, რომელთათვისაც გაფრთხილებასავით უნდა ყოფილიყო უმვილობის წლები.

ღვთის ნების ამ მიუღებლობამ უმძიმესი შედეგები გამოიღო. ეს შეეხო როგორც ინდოეთის სამეფო კარს, ისე მთელს სამეფოს. ჩვენ აღარაფერი ვიცით ინდოეთის მეფე-დედოფლის შესახებ. ტახტის ორივე მემკვიდრეს კი უმძიმესი ბედისწერა ერგო: ერთი ქაჯეთის ტყვეა, მეორე კი – ველად გაჭრილი რაინდი, რომელიც მხოლოდ შეწევნის წყალობით ახერხებს დაუბრუნდეს საკუთარ თავს. ეს შეწევნა კი ისევ არაბეთის სამეფოდან მოდის – გაწონასწორებული, მშვიდი, ჰარმონიული ქვეყნის მმართველებიდან. ნესტანის მშობლების უგუნურობითა და ღვთის ნების ვერშეცნობით დარღვეული ჰარმონია ინდოეთში აღდგება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ისინი ეზიარებიან ღვთიური წესრიგის დედამიწისეულ სახეს, სადაც „ვარდთა და ნეხვთა მზე სწორად მოეფინების», სადაც ღვთისა და მეფის ნება იდენტურია, ყოველი არსი „მართ ღვთისა დანაზადია» და სადაც „სახედ ღვთისად», „სახითა მის მიერთთა» ყოფნა ერთნაირად შეუძლია როსტევანსაც და თინათინსაც – უმაღლეს ხელისუფალთ, რომელთა ხელმწიფობა „მისგან არს» (ღვთისგან არს). ალბათ, ამ უმაღლეს ჭეშმარიტებას უნდა ზიარებოდა ინდოეთიც, თუმცა ამ უკანასკნელმა საკმაოდ რთული გზა განვლო, ვიდრე ისევ ღვთის შეწევნასა და ნებას ჩასწვდებოდა.

საკმაოდ საინტერესო სახეა „ვეფხისტყაოსანში» დავარი, ერთადერთი ქალი, რომელიც ღვთისაგან თვითმკვლელობისათვის ხდება განწირული, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია. იგი სწორედ იმ ქაჯეთის რძალი გახლდათ, რომელთა ტყვეობაშიც ნესტანი მოხვდა – მოხვდა ინდოეთის უფლისწული, სწორედ იმისთვის, რომ ღვთის ნება ვერ განხორციელებულიყო ინდოეთში. დავარის უკანასკნელი საქმეც ესაა – მან უნდა გაწიროს ნესტანი ქაჯებისთვის, რომ ისედაც მზეთუნახავობაში გაზრდილმა ქალმა თვითონ ვერ შეიგრძნოს საკუთარი ძალაუფლება. დავარი ქაჯებიდან იღებს იმ

„სიბრძნეს», რომლითაც ნესტანი უნდა გაიწიროს, სამაგიეროდ გახანგრძლივდეს ე.წ. მამრთა მმართველობის სტაგნაცია. ქაჯი შემთხვევითი მეტაფორა არ გახლავთ: ისინი მართლაც ფლობენ სიბრძნეს, თუმცა, არაღვთიურს (რასაც ვხვდებით არაბეთში). დავარიც ამ „სიბრძნით» ხელმძღვანელობს, როცა ნესტანს მავრს ატანს ქაჯეთში გადასამალად: იგი მშვენივრად ხვდება საკუთარი ძალისხმევის ღვთიური ნების საწინააღმდეგო მიმართულებას და თვითონ უსჯის საკუთარ თავს სასიკვდილო განაჩენს. ეს ის განაჩენია, რის შემდეგაც ღვთის სივრცეს დავარი ველარასოდეს შეეხება.

არაორდინალურია „ვეფხისტყაოსნის» იდეალურ სივრცეში გულანშაროს სამეფოს ვაჭართა უხუცესის მეუღლის ფატმანის არსებობა. ფატმანის ზნეობას მორალურს ვერ დავარქმევთ, მაგრამ იგი არც ამორალურია (ყოველ შემთხვევაში, ღვთის განგებულების წვდომას ის უფრო უკეთ ახერხებს, ვიდრე, ვთქვათ, ინდოეთის მთელი სამეფო კარი). უფრო სწორი იქნებოდა ფატმანის ზნეობა მორალს მიღმა, ი-მორალურად განგვესაზღვრა. მიჯნურობის თემა, რომელიც საკვანძოა „ვეფხისტყაოსანში», ძალზე საინტერესო ინტერპრეტაციას იძენს ფატმანის შემთხვევაში, რომელიც იდეალური გრძნობის განსხეულებას ერთი რომელიმე მამაკაცის სახეში არ ეძებს. „მუტრიბთა და მომღერალთა მოყვარული», „მომღებნი და ღვინის მსმელი» ფატმანი თავად განუცხადებს ავთანდილს მისდამი „ნდომის» შესახებ. „სიყვარულსა მალვა უნდა» აქ თითქმის საპირისპიროში ხორციელდება: „მიჯობს, მივჰყვე, განლა სადმე ვსცნობ საქმესა დამალულსა». ამასთან, ფატმანი მშვენივრად აცნობიერებს ავთანდილისადმი საკუთარი გრძნობების არამარადიულობას – მისთვის სრულიად უცხოა პურიტანული ზნეობა, მიჯნურთა ერთგულება და მაინც, სწორედ ის ხდება ნესტანისა და ტარიელის, მათი ზედროული და ზე-მორალური სიყვარულის, მეგობრობისა და თანალმობის ზნეობრივი კატეგორიების გამტარებელი და პირველი შემწე.

გულანშაროს სამეფოს, ფატმანის ლოგიკა, რომელსაც ერთგვარი დისონანსი შემოაქვს „ვეფხისტყაოსნის» იდეალურად სტრუქტურირებულ სივრცეში, გარკვეულ ინვარიანტულ თამაშებრივ სამყაროს აგებს. ამ გარემოში აღარ არსებობს ერთხელ და სამუდამოდ გაქვავებული, მყარი ზნეობრივი იდეალები, აქ ყველაფერი თამაშებრივ რელატივიზმს იძენს, რითაც „ვეფხისტყაოსნისათვის» ესოდენ ჩვეულ „უცხოს» თემას კიდევ უფრო მძაფრს ხდის. ეს ის სივრცეა, სადაც:

„აქა მოსვლითა გაყმდების, კაციცა იყოს ბერები,
სმა, გახარება, თამაში, ნიადაგმც არს სიმღერები,
ზამთარ და ზაფხულ სწორად გვაქვს ყვავილი ფერად-ფერები,
ვინცა გვიცნობენ, გვნატრიან, იგიცა, ვინ-ა მტერები».

აშკარაა, რომ აქ კულტურის სულ სხვა, არა-ჩვეულ პარადიგმაში ვხვდებით, სადაც „თამაში თამაშისათვის» ამ სივრცის მთელი ეთოსია. ამიტომაც, რომ ავთანდილი, რომელიც სიბრძნისა და პურიტანული ზნეობის იდეალად ისახება მთელს პოემაში, აქ მორალურ კატეგორიებს მიღმა იწყებს მოქმედებას. სწორედ აქ არის ნესტანის პოვნის გასაღებიც, თამაშის რეგისტრიდან საუკეთესოდ ჩანს ქმედებათა ყოველი რიგი და კოსმიური ჰარმონიის აღდგენის შესაძლებლობა.

გაგა ნიჟარაძე

იაპონური კულტურის მოდელები

თავიდანვე უნდა გაგაფრთხილოთ, რომ იაპონიის სპეციალისტი არ გახლავართ და ამიტომ ბევრ სპეციფიკურ კითხვას ვერ გავცემ პასუხს. მაგრამ, მოგახსენებთ, რატომ ავირჩიე ეს თემა. მე პროფესიით სოციალური ფსიქოლოგი ვარ, სხვადასხვა ეთნოსების კულტურით დაინტერესებული. იაპონიის შესახებ ბევრი ლექცია მომისმენია, რამდენიმე წიგნი წამიკითხავს და იაპონური კულტურის შესახებ სტერეოტიპიც ჩამომიყალიბდა – ეს არის ეგზოტიკური კულტურა, რომელსაც უცხოელი ბოლომდე ვერასოდეს ჩასწვდება. ასე იყო, სანამ ხელში არ ჩამივარდა გამოჩენილი კულტურ-ანთროპოლოგის, რუთ ბენედიქტის წიგნი – „ერიზანტემა და მახვილი“. ეს წიგნი ნიმუშია იმისა, თუ როგორ შეიძლება ძალიან რთული, ძალიან უცნაური და ძლიერი კულტურა აღიწეროს ისე, რომ გაიხსნას მისი შინაგანი ლოგიკა. მისი წაკითხვის შემდეგ ჩვენთვის გასაგები ხდება ის „უცნაურობები“ იაპონელთა ქცევაში, რაც ფილმში გვინახავს თუ წიგნში წავგვიკითხავს. სწორედ ამით მოახდინა ნაშრომმა ჩემზე ძალიან დიდი შთაბეჭდილება.

ეს ნაშრომი გასული საუკუნის 40-იან წლებში დაიწერა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის დაკვეთით, – იმდენად არაწინასწარმეტყველებადი იყო იაპონური არმიისა და ცალკეული ჯარისკაცების ქცევა, რომ საჭირო გახდა მათი კულტურის შესწავლა.

ომის პრაქტიკიდან ცნობილია, რომ ერთ მოკლულ ჯარისკაცზე ოთხი ტყვედ ჩავარდნილი მოდის; იაპონიის ომმა კი სრულიად ფენომენალური სტატისტიკა მოგვცა – ერთ ტყვედ ჩავარდნილ იაპონელზე 120 მოკლული მოდიოდა: ტყვედ ვარდებოდნენ მხოლოდ დაჭრილები, სხვები სიკვდილს ამჯობინებდნენ. მხოლოდ ომის ბოლოსკენ შეიცვალა ეს შეფარდება – ერთი ხუთთან გახდა, თუმცა, ეს მონაცემებიც ყველა ცნობილი წესის დარღვევა იყო. მაგრამ ამით უცნაურობები არ ამოწურულა. დატყვევებული იაპონელი ჯარისკაცები უცბად გადაიქცეოდნენ „სამაგალითო“ ტყვეებად – ყველაფერს „ფქვავდნენ“ და დიდი მონდომებით ასრულებდნენ ყველანაირ ბრძანებას. გმირული სიკვდილის არჩევანი და, თუ შეიძლება ასე ითქვას, სანიმუშო ტყვეობა არანაირ შესაბამისობაში არ მოდიოდა ერთმანეთთან. ამავე დროს, თავად იაპონელები წარმოუდგენელ სისასტიკეს იჩენდნენ ამერიკელი ტყვეების მიმართ. სწორედ ამ უცნაურობების გამო შეუკვეთეს ბენედიქტს ეს წიგნი. ავტორმა ნაშრომი ისე დაწერა, რომ იაპონიაში არც ერთხელ ყოფილა. მან უზარმაზარი მასალა ამოიღო ამერიკაში მცხოვრები იაპონელებისგან, ჩაიწერა ინტერვიუები და ა.შ. მიუხედავად ამისა, ეს წიგნი დღემდე ითვლება ერთ-ერთ საუკეთესო ნაშრომად იაპონური კულტურის შესახებ.

იაპონური კულტურის თავი და თავი ორი რამაა: იერარქია და წესრიგი. იერარქია და წესრიგი ყველგან და ყველაფერში უნდა იყოს. შვილმა არ შეიძლება მისცეს მამას უბრალო შენიშვნაც კი, ვთქვათ, საყოფაცხოვრებო საკითხებზე, ანდა არ დაემორჩილოს მას. თუ ჩემი ბავშვობის მეგობარი სამხედროა, მე შემიძლია მასთან ფამილიარულად მოვიქცე, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას სამხედრო ფორმა არ აცვია,

წინააღმდეგ შემთხვევაში, მე უნდა ვიყო ძალზე ფორმალური და პატივისცემით გამსჭვალული. ევროპულად ჩაცმულ ქალს შეიძლება გზა დაუთმო, ხოლო თუ კიმიონო აცვია, თავად უნდა გაგატაროს, – იაპონური წესი სწორედ ასეთია, ევროპული ტანისამოსი კი მის მტარებელს სოციალურ როლს, ქცევის წესსაც უცვლის.

იაპონელი დედები ბავშვებს ზურგზე მოკიდებულს ატარებენ. თუ ვინმე პატივისცემი პიროვნება შემოვიდა, დედა თვითონ ხომ უკრავს თავს და ბავშვსაც თავს აკვრევინებს ხელით. ასე ბავშვიც სულ ჩვილობიდან ეჩვევა უფროსებისადმი პატივისცემის გამოხატვას. მოყვანილი მაგალითები გარკვეულად ნათელს ჰფენენ იაპონელი ტყვეების ქცევას. ისინი ხვდებოდნენ ახალ იერარქიულ სისტემაში (ტყვე – ზედამხედველი), სადაც უფროსი – ამერიკელია, უფროსს კი უნდა დაემორჩილო, ასეა მოწყობილი სამყარო. შეზღუდული სიტუაცია იყო ამერიკელი ტყვეების შემთხვევაში – იაპონელებს შეურაცხყოფდა და ანრისხებდა ის, რომ ამერიკელები „თავაწეული“ შეჰყურებდნენ მათ, იცინოდნენ კიდეც, რაც იაპონური გაგებით, არანაირად არ შეესაბამებოდა ტყვის სტატუსს.

როდესაც იაპონელებმა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ძალიან დიდი ტერიტორიები დაიპყრეს (მთელი კორეა, ფილიპინები, ჩინეთის ნაწილი და ა.შ.), მათ გულწრფელად უკვირდათ, რომ დაპყრობილი ხალხები სიხარულს არ გამოხატავდნენ დამპყრობლების მიმართ. თავიანთი გაგებით, მათ პატივი მიაგეს დაპყრობილებს იმით, რომ იერარქიაში ჩასვეს, თუნდაც, სადღაც დაბალ დონეზე: ისინი ხომ იმპერატორის ქვეშევრდომები ხდებოდნენ და თავისი ადგილი მოიპოვეს...

როგორც ვხედავთ, იაპონიაში ძალიან დიდი ღირებულებაა საკუთარი ადგილის დაკავება და ამ ადგილის შესაბამისად მოქცევა.

ახლა მე დავესესხები არა ბენედიქტს, არამედ ფერნან ბროდელს, ფრანგ ისტორიკოსს. იგი ჩინური და იაპონური კულტურების კარგ შედარებას გვაძლევს და ამბობს, რომ ჩინური კულტურა უფრო „დემოკრატიულია“. ფეოდალურ იაპონიაში აბსოლუტურად გამორიცხული იყო, რომ შვილს მშობლებისგან განსხვავებული პროფესია აერჩია: თუ ხაბაზი იყავი, შვილიც ხაბაზი უნდა ყოფილიყო, თუ ყაჩაღი, შვილიც ყაჩაღი და ა.შ. განსხვავებით იაპონიისგან, ჩინეთში შესაძლებელი იყო თეორიულად და, ხშირად, პრაქტიკულადაც, რომ გლეხის შვილი მანდარინი გამხდარიყო. თუ ჩინელი გლეხი მოულოდნელად გამდიდრდებოდა, იგი პირველ რიგში შვილს აძლევდა განათლებას. ნასწავლი ახალგაზრდა, ასე ვთქვათ, ჩინოვნიკურ კარიერას იკეთებდა და, პრინციპში, შეეძლო მაღალი რანგისთვისაც მიეღწია. ამგვარი რამ იაპონიაში სრულიად გამორიცხული იყო. მაგრამ ასეთი ვიწრო სოციალური საზღვრების გამო იაპონელები უმაღლეს ოსტატობას აღწევდნენ თავიანთ სფეროში, იქნებოდა ეს პურის ცხობა, მჭედლობა თუ ნებისმიერი სხვა რამ. იაპონურმა კულტურამ ამის გამო ტექნოლოგიურად ბევრად გაუსწრო ჩინეთს.

მიუხედავად იაპონიის ერთი შეხედვით მისტიურობისა და იქ ძალიან გავრცელებული ცრურწმენებისა, მთელი კულტურა ორიენტირებულია ამქვეყნიურ ცხოვრებაზე. სიკვდილის შემდეგ რა ხდება, იაპონელებს არ აინტერესებთ. ისინი წინაპრებს თავყვანს სცემენ, მაგრამ ჩინელებივით სერიოზული კულტი არა აქვთ. მაგალითად, თუ საფლავის ქვაზე გაკეთებული იეროგლიფები და წარწერა ჩამოცვივდა, აღარ აღადგენენ. საგვარეულო ხესაც აღგენენ არა ზევიდან, როგორც

ტრადიციულად ევროპაში, არამედ ქვევიდან. რაც ხდება, ხდება აქ, ამქვეყნად არის ჯოჯოხეთიც და სამოთხეც.

საინტერესოა, რომ იაპონელებისთვის, ფაქტობრივად, არ არსებობს კარგის და ცუდის ცნება. მითოლოგიაშიც კი არ არის ცუდის და კარგის შეჯახება. იაპონიაში ძალიან უყვართ მითოლოგია. იაპონელი იმპერატორები ქალღმერთ ამატერასუს შთამომავლებად ითვლებიან. ამატერასუს ძმა ძალიან პოპულარული მითოლოგიური ფიგურაა. იგი „ხულიგანი“ ღმერთი იყო, თავის დას ისეთ საშინელებებს უკეთებდა, რომ ჩვენი გაგებით, ულაპარაკოდ, ამაზრზენ პერსონაჟად ჩაითვლებოდა, იაპონიაში კი დიდი სიმპათიით სარგებლობს.

ერთი შეხედვით, ძალიან ძნელი გასაგებია იაპონელების ცხოვრების წესი – აქვთ იერარქია, მაგრამ ეს არ არის ავტორიტარიზმი. მამა ოჯახში აბსოლუტური ღმერთია, მაგრამ არ არის ავტორიტარული – ხელებს არასოდეს აბაკუნებს და ძალაუფლებას ბოროტად არ იყენებს. გენდერული ასპექტით, სოციალურად მამაკაცი და ქალი იმდენად გამოყოფილია ერთმანეთისგან, რომ არ არსებობს სიტყვა მშობელი, არსებობს დედა და მამა. მათი ფუნქციები და სოციალური სტატუსი ძალიან განსხვავებულია. XX საუკუნეში, როდესაც ქალების თანასწორუფლებიანობაზე ლაპარაკი დაიწყო, ამან დიდი სკანდალი და ბევრი სიცილი გამოიწვია. საკმაოდ დამახასიათებელია ერთი ეპიზოდი – იაპონიაში ქალების კოლეჯის გახსნა უნდოდათ, სადაც ძირითადად უცხო ენებს შეასწავლიდნენ. დაისვა შეკითხვა: რად უნდა ქალს უცხო ენის სწავლა? ერთ-ერთი გამამართლებელი არგუმენტი ასეთი იყო: წარმოდგინეთ ცოლი, რომლის ქმარი განათლებულია, ბევრი ენა იცის და სახლში ბევრი წიგნი აქვს. ცოლი რომ სახლს დააღაგებს და მტვერს გადაწმენდს, ხომ უნდა იცოდეს ენა, რომ წიგნი სწორად დადოს?!

თუმცა, რეალურ ცხოვრებაში ქალი გაცილებით სერიოზულ როლს ასრულებს, ვიდრე ეს გარედან ჩანს. ოჯახურ ბიუჯეტს, როგორც წესი, ქალი განაგებს. ერთი ავტორი აღწერს ასეთ სცენას: გლეხი მოლაპარაკებას აწარმოებს ვაჭართან, ისინი მაგიდასთან სხედან, გვერდით კი გლეხის ცოლი ზის. პერიოდულად, როცა რაღაცაზე ვერ თანხმდებიან, ქალი ქმართან მიდის, ყურში რაღაცას უჩურჩულებს და თავის ადგილას ჯდება. ქმარს რეაქცია არა აქვს; ცოტა ხნის მერე, ვაჭარს ცოლის მიერ შეთავაზებულ წინადადებებს, როგორც თავისას, ისე სთავაზობს.

აბსოლუტური გაიგივება ხდება პიროვნებისა სოციალურ როლთან. თუ მე ჩემი მასწავლებელი რაიმე შეცდომაზე გამოვიჭირე, ეს მასწავლებელი თავს მოიკლავს და შეცდომას არ აღიარებს, წიგნიც რომ მოვუტანო. თუ აღიარა, საკმაო საბაბია იმისთვის, რომ თავი მოიკლას. არ შეიძლება მოსწავლემ მასწავლებელზე მეტი იცოდეს, არ შეიძლება სტუმარს სახლის ტანისამოსში შეხვდე. თუ ვინმე მოულოდნელად სტუმრად გეწვია, ტანთ უნდა გამოიცვალო და მხოლოდ შემდეგ შეეგებო; ზოგჯერ ტანსაცმლის გამოცვლა სტუმრის თვალწინ ხდება.

სადაც XVI-XVII საუკუნემდე იაპონიაში განუწყვეტილად მიმდინარეობდა სისხლიანი შიდა ომები. ეს გრძელდებოდა მანამ, სანამ ტოკუგავას გვარმა გამარჯვება არ მოიპოვა, სიტუაცია არ დააწყნარა და ტოკუგავები ე.წ. სეგუნები (მმართველები) არ გახდნენ. სეგუნები ფეოდალური მმართველები არიან, თუმცა, მათზე ძალა იმპერატორი დგას. მაგრამ, იმპერატორი ტოკუგავას ეპოქაში, XIX საუკუნემდე აბსოლუტურად ნომინალური ფიგურა იყო და მთავარმმართველი სეგუნი იყო. ეს

წმინდა ფეოდალური, ძალიან იერარქიზებული წყობის საზოგადოება საინტერესოა იმით, რომ მასში, ფაქტობრივად, ადგილი არ ჰქონია კლასობრივ ბრძოლებს, აჯანყებებს – იერარქიის პრინციპი იმდენად მყარი იყო, რომ აზრიც არ ჩნდებოდა ფეოდალის წინააღმდეგ გამოსვლის შესახებ. ამ ეპოქაში ზუსტად იყო გათვალისწინებული, თუ რამდენი პროცენტი უნდა გადაეხადა გლეხს. ეს ძალიან დიდი პროცენტი იყო, დაახლოებით – 70. ხშირად ფეოდალი ამასაც არ სჯერდებოდა და გლეხს უფრო მეტს ართმევდა. იმდენად საშინელი სიღატაკე იყო, სტუმარი რომ მოდიოდა და (უკაცრავად) გლეხის კარ-მიდამოზე ისაქმებდა, დიდ პატივად ითვლებოდა, რადგან სასუქი იყო. ისეთი შემთხვევებიც ყოფილა, როდესაც გლეხები იერარქიას არღვევდნენ, საჩივრებსა და არუებს აწვდიდნენ ზემდგომ ფეოდალს. გლეხი სპეციალურად მიდიოდა ქალაქში და ზოგჯერ ახერხებდა სეგუნისათვის არზის მიწვდენას. არანაკლებ საინტერესოა, რომ 50 პროცენტამდე ასეთი საჩივრებისა კმაყოფილდებოდა – სეგუნი ფეოდალის ასალაგმავად გარკვეულ ღონისძიებებს მიმართავდა და ა.შ. მაგრამ – იერარქია, უპირველეს ყოვლისა! – გლეხი, რომელმაც ეს საჩივარი მიიტანა, სიკვდილით ისჯებოდა. გლეხმა ეს იცოდა და მაინც მიდიოდა სიკვდილზე, რადგან ფეოდალი წესრიგს არღვევდა, წესრიგი კი თვით სიცოცხლედ ღირს.

რა თქმა უნდა, როგორც ყველგან, იაპონიაშიც სიკვდილი არ უყვართ, მაგრამ გაცილებით „ნაკლებად არ უყვართ«, ვიდრე სხვა კულტურის წარმომადგენლებს. სამურაისთვის სიკვდილში არაფერია განსაკუთრებული, იგი ისეთივე ჩვეულებრივი რამაა, როგორც სიცოცხლე. იამამოტოს, სამურაების იდეოლოგს, ეკუთვნის გამონათქვამი: თუ სიცოცხლესა და სიკვდილს შორის არჩევანი დადგა, უყოყმანოდ აირჩიე სიკვდილი. ხარაკირის გაკეთების, ანუ მახვილით თავის მოკვლის უფლება მხოლოდ და მხოლოდ სამურაის, აზნაურობის წარმომადგენელს ჰქონდა. როგორი იყო იდეალური ხარაკირი? თუ თქვენ სამურაი ხართ და გადაწყვიტეთ ხარაკირის გაკეთება, დილას ბრინჯიან ფიალაში ვერტიკალურად არჭობთ ბრინჯის ჯოხებს, იცვამთ ყველაფერ ახალს, კარგი იქნება თუ დაწერთ ლექსსაც – ჰოკკუს – ამოების შესახებ, უკანალში იდებთ ბამბას, რომ პროცედურის დროს მარცხი არ მოგივიდეთ; ამის შემდეგ მოკლე მახვილით იფატრავთ მუცელს, თქვენი საუკეთესო მეგობარი კი, თქვენდამი უდიდესი პატივისცემის ნიშნად, გრძელი მახვილით გკვეთავთ თავს. „საუკეთესო« შემთხვევაში თავი კანზე ეკიდება, რაც მეგობრის ვირტუოზობისა და თქვენს მიერ კარგი მეგობრების არჩევის უნარის ნიშანია.

კიდევ ერთი დამახასიათებელი ეპიზოდი: 20-იან წლებში ერთი ლიბერალი პოლიტიკოსი იაპონიაში დაბრუნდა ევროპაში დიდი ხნის ცხოვრების შემდეგ და ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნა, რომ უხარია დაბრუნება, რადგან ძალიან მოენატრა ცოლი. ამ ფაქტმა გამოიწვია სკანდალი, რადგან იაპონელებისთვის ცოლი არ არის ის ფიგურა, რომლისადმი სიყვარული შეიძლება გამოხატო. მას რომ ეთქვა, მშობლები მომენატრაო, ან სულაც, ფუძიამა, ეს მისაღები იქნებოდა.

რუთ ბენედიქტის შემდეგ იაპონიას აკუთვნებენ ე.წ. „სირცხვილის კულტურებს«, დასავლეთი კი „ბრალის კულტურაა«. სირცხვილი არის ურჩხული, რომელიც თან სდევს ყველა იაპონელს. ამიტომაც ამბობენ, რომ იაპონელის ჯოჯოხეთი აქ არის. იგი ქრისტიანული ვერ წავა აღსარებაზე და ვერ მოინანიებს ცოდვას, სხვას ვერ გაუზიარებს სირცხვილის მიზეზს. თუ შერცხვი, მორჩა და გათავდა, მნიშვნელობა არ აქვს, კარგი

განზრახვა ჰქონდა თუ ცუდი. საქციელი ფასდება მხოლოდ და მხოლოდ შედეგით: თუ შენ კარგი გინდოდა და ცუდი ჩაიძინე, ე.ი. ცუდად გაიზარე.

იაპონელები ზრუნავენ არა მარტო საკუთარ თავზე, არამედ სხვებზეც, რათა ადამიანი არ ჩავარდეს სირცხვილის მდგომარეობაში. ერთი ჩემი მეგობარი იაპონიაში იმყოფებოდა და მის საპატივცემულოდ უნივერსიტეტში, კათედრაზე წვეულება მოაწყვეს. წვეულებაზე სინზე დალაგებული ჭიქები შემოიტანეს რაღაცა სასმელით, იქვე იდო ყინულის პატარა ნაჭრები. პირველ რიგში, როგორც სტუმარს, მას მიაართვეს, მან კი ყინული სასმელში ჩააგდო; ყველამ იგივე გაიმეორა. ერთი კვირის შემდეგ კი გაიგო, რომ თურმე ეს ყინული ხელის დასაბანად ყოფილა განკუთვნილი, მაგრამ იმის გამო, რომ სტუმარს თავი უხერხულად არ ეგრძნო, სხვებმა „სახე შეუნარჩუნეს“.

ჩემმა სომეხმა კოლეგამ მომიყვა ერთი კომიკური ეპიზოდი, რომლის ჭეშმარიტი ქვეტექსტი ჩემთვის ცხადი გახდა მხოლოდ რუთ ბენედიქტის წიგნის წაკითხვის შემდგომ: ორი იაპონელი ბიზნესმენი სომხეთში ჩავიდა, სუფრა გაუმალეს, რომელზეც სხვა კერძებთან ერთად ბევრი მოხარშული კვერცხი დადეს. ამ დროს, ორი ადგილობრივი მოხელე იმდენად ვერ იტანს ერთმანეთს, რომ ან თავს არიდებდნენ ერთმანეთს, ან როგორც კი ხვდებოდნენ, იმწამსვე ხელჩართულ ჩხუბს იწყებდნენ. ხსენებულ წვეულებაზე ორივე მივიდა, სათანადოდ გაფრთხილებული, თან ერთ-ერთი თამადა იყო. ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ ბოლოს თამადამ ვერ მოითმინა და გადაკვრით რაღაც „უჩხვლიტა“ თავის მოწინააღმდეგეს. იმან ხელი დაავლო კვერცხს, დაუმიზნა, მაგრამ „დაამუხრუჭა“, შემოუარა მაგიდას, შუბლზე შეაზილა და გავიდა. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. უცებ ადგა იაპონელი, აიღო კვერცხი, მივიდა თამადასთან, შუბლზე კვერცხი დაუჭახუნა და გავიდა. მეორემაც იგივე გააკეთა. ყველამ იფიქრა, რომ იაპონელებმა ჩათვალეს, ამ ქვეყანაში ასეთი ტრადიცია არის, სუფრის ბოლოს თამადას მოხარშული კვერცხი უნდა შეამტვრიო შუბლზე. სინამდვილეში იაპონელები, რა თქმა უნდა, ძალიან კარგად მიხვდნენ, რაშიც იყო საქმე და ვირტუოზული სვლა გააკეთეს – იმის გამო, რომ იაპონური კრიტერიუმებით იერარქიით მაღლა მდგომი ადამიანი, მასპინძელი და სუფრის ხელმძღვანელი, თანაც სტუმრების წინაშე, ძალიან უხერხულ მდგომარეობაში არ ჩავარდნილიყო, თავები გაიბრიყვეს – ვითომ კვერცხის ჩარტყმა ადათი ეგონათ.

იაპონელი რომ იზადება, მას იმთავითვე უზარმაზარი ვალი აქვს, ვალი, რომელსაც ვერასდროს გაისტუმრებს. ეს არის ვალი იმპერატორისა და მშობლების წინაშე. არის სხვა ვალებიც, რომელთა გასტუმრება შესაძლებელია. არსებობს პასუხისმგებლობის სფეროები, რომელთაც ცალ-ცალკე სახელები ჰქვია, თითოეული გარკვეულ ვალდებულებებთანაა დაკავშირებული. ესაა ვალდებულება შენი სახელის, ახლობლების, მეგობრების, სამუშაოს და ა.შ. წინაშე. ხშირ შემთხვევაში, პასუხისმგებლობის ორ სფეროს შორის კონფლიქტს აქვს ადგილი. ამ მხრივ იაპონური სულისათვის ძალიან კარგად გასაგები იქნება ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“, – კონფლიქტი პირად ვალდებულებებსა და სოფლის ტრადიციებს შორის. გასაგები იქნებოდა აგრეთვე „ხევისბერი გოჩა“. მეორე მხრივ, ალუდა ქეთელაური იაპონელისთვის სუსტი პიროვნებაა, რომელიც აჰყვა თავის პირად გრძნობებს, მოეწონა ვიღაც და ამის გამო წინ ალუდა საუკუნოვან ტრადიციებს. ასეთივე სუსტი პიროვნება,

იაპონური კრიტიკრიუმებით, არის ავთანდილი, რომელმაც პირადი გრძნობების გამო სიუზერენი მიატოვა.

იმის გამო, რომ იაპონელებს ამდენი ვალდებულება აქვთ, ძალიან ალმაცერად უყურებენ სპონტანურ კეთილ საქციელს. მაგალითად, თქვენ თუ ქუჩაში დაეცით და დახმარება გჭირდებათ, ძალიან დაფიქრდებიან, სანამ ხელს გამოგიწვდიან და, პირველ რიგში, თქვენზევე ზრუნვის გამო. საქმე იმაშია, რომ ამაგი, იაპონურად «გირი» (ამ შემთხვევაში დახმარება) აუცილებლად უნდა გადაუხადოთ. იმდენი «გირი» გაქვს გასასტუმრებელი, რომ კიდევ აღარ გინდა დაიმატო. ზოგ შემთხვევაში, დახმარება შეურაცხყოფადაც შეიძლება აღიქვან, რადგან ჩათვლიან, რომ გამორჩენის გამო „გირის“ აუცილებელი დაბრუნების იმედით ეხმარები.

საინტერესოა, რომ ჩინურ კულტურაში ერთ-ერთ ყველაზე მაღალ ღირებულებად ითვლება ე.წ. „ჟენი“ ანუ კეთილგანწყობა. უნდა გაიზიარო გვერდზე მდგომის ჭირი თუ ლხინი, მიეხმარო მას. ეს მოდის შინაგანი კულტურიდან. იაპონიაში იგივე ცნებამ, „ჟენმა“ ტრანსფორმაცია განიცადა და უარყოფითი კონოტაცია მიიღო: იაპონელისათვის „ჟენი“ ნიშნავს იმის გაკეთებას, რაც არ გევალება, მათ შორის, მაგალითად, დახმარებას უცხოსადმი.

რაც გევალება, ის ულაპარაკოდ უნდა გააკეთო, თან ისე, რომ გჯეროდეს მისი სისწორე. იგივე ჩემი მეგობარი ამბობს – ერთ იაპონელთან ერთად მივდიოდი ქუჩაში, წინ დიდი ბანკი იდგა და ვიკითხე, ნეტა ძნელია ამ ბანკის გაქურდვა?! იაპონელი ჩავარდა საშინელ შოკში, – როგორ შეიძლება ასეთი აზრი, საერთოდ, თავში მოგივიდესო. მათთვის ასეთ რაღაცაზე ფიქრიც კი შეუძლებელია. ადამიანის ბუნება კეთილია (უფრო ზუსტად, სწორია), მას უბრალოდ გავარჯიშება სჭირდება; შენს შინაგან ბუნებას უნდა მიენდო და ყოველთვის „სწორად“ მოიქცევი.

ამიტომ, იაპონელები დამცინავად და ეჭვით უყურებენ ხალხებს, პირველ რიგში, ჩინელებს და ევროპელებსაც, რომლებთაც აქვთ სახელმძღვანელო მცნებები – იქნება ეს ათი მცნება, თუ კონფუცის გამონათქვამები, ანუ გარედან მოსული კანონები. მათი აზრით, ყველა ადამიანს ერთი რამ სჭირდება – სულის დაუღალავი „გაპრიალება“, მუდმივი ვარჯიში, რიტუალების შესრულება და ა.შ. ამას „სულის გაპრიალებას“ უწოდებენ. თუკი სული „გაპრიალებული“ გაქვს, „არასწორ“ საქციელს უბრალოდ ვერ ჩაიდენ.

საშინელი შეურაცხყოფაა, – მე თქვენ რაღაც გაჩუქეთ, თქვენ კი საპასუხოდ უფრო ძვირფასი რამ მომართვით. ამით მე მავალდებულებთ და მაჩვენებთ, რომ ჩემზე მაღლა დგახართ. საჩუქრების გაცვლა-გამოცვლის წესები ძალზე დახვეწილია, საპასუხო ძღვენი აბსოლუტური სიზუსტით უნდა უდრიდეს მიღებულის საფასურს; თუ გადაამეტე, საჩუქრის ადრესატს შეურაცხყოფ, თუ დააკელი – შენი სირცხვილია.

არის ერთი პოპულარული მოთხრობა, რომლის სიუჟეტი ასეთია: ახალგაზრდა მასწავლებელი ჩადის პატარა ქალაქში. იქ კოლეგასთან ერთად ქუჩაში სეირნობს და კოლეგა მისთვის ყინულიან წყალს ყიდულობს, რომელშიც ერთ სენს, ანუ ძალიან ცოტას, იხდის. შემდგომ ირკვევა, რომ კოლეგამ გმირის შესახებ ბოროტად იჭორავა. და იწყება გმირის უმძიმესი განცდები, ემოციათა ქარიშხალი იმის გამო, რომ მას ბოროტი კაცის ვალი აქვს. მოთხრობა იმით მთავრდება, რომ გმირი უგდებს ჭორიკანას ამ ერთ სენს.

ერთი ამერიკელი წერს, როგორ შეუკვეთეს იაპონელებმა ნაშრომი, რომელიც მან შეასრულა, გაუგზავნა, მიიღო ანაზღაურება, მაგრამ არანაირი წერილი ნამუშევრის შეფასების შესახებ ან რაიმე მაღლობა არ მიუღია. გაუკვირდა, რადგან კარგად იცნობდა იაპონელებს. ბოლოს, მისი შემკვეთი ჩამოვიდა და სამასი ნერგი საკურა ჩამოუტანა. ეს ძალიან ძვირფასი საჩუქარია იაპონელებისთვის. როგორც გამოირკვა, დრო სპეციალურად გაწელეს, რათა შემკვეთს უფრო ძვირფასი საჩუქრის გაკეთების უფლება ჰქონოდა, დროის სვლასთან ერთად საჩუქრის ღირებულებაც იზრდება, თუ შეიძლება ითქვას, პროცენტი ემატება.

კიდევ ერთი სიუჟეტი, ამჯერად ოჯახური ურთიერთობების შესახებ. არის სოფლის სკოლის მასწავლებელი, რომელსაც ცოლი, შვილი და დედა ჰყავს. სოფელი ფულს აგროვებს, რომ თანასოფლელი გოგონა საროსკიპოდან გამოისყიდონ. ამ ფულს მასწავლებელს ახარებენ, მისი დედა კი, სრულიად გაურკვეველი მოტივებით ამ ფულს იპარავს. შვილმა იცის ქურდის ვინაობა, მაგრამ კრინტსაც არ ძრავს და დანაშაულს საკუთარ თავზე იღებს, – მე მოვიპარეო. ამას იგებს მასწავლებლის ცოლი, წერს წერილს, რომ მან კი არა, მე მოვიპარეო და თავს იხრჩობს ბავშვთან ერთად. დედის ბრალიანობის საკითხი დღის წესრიგში არც კი დგება. იგულისხმება, რომ ყველა პერსონაჟი მოიქცა „სწორად“, შესაძლებელია, დედის გარდა, რომლის არამოტივირებული ქურდობა, როგორც ჩანს, მხოლოდ ინტრიგისათვისაა შემოტანილი.

მთელი კლასიკური იაპონური ლიტერატურა სავსეა ისეთი სიუჟეტებით, რომლებიც ჩვენთვის ძალიან უცნაური და უჩვეულოა. მაგალითად, სეგუნის ორ თავის სამურაის აჩვენებს მახვილს, ვერ გავარკვიე, რომელი ოსტატის გაკეთებულიაო და იქნებ თქვენ დამეხმაროთო. ერთი ერთს ამბობს, მეორე – მეორეს, ვერ შეთანხმდნენ; მოიყვანეს ექსპერტი და აღმოაჩინეს, რომ ერთ-ერთი მართალი იყო. მეორემ ეს საშინელ შეურაცხყოფად მიიღო, ჩათვალა, რომ იგი დაამცირეს სეგუნის წინაშე და იმდენი ქნა, რომ მართალი მოკლა.

ასეთი სიუჟეტები ძალიან ხშირია იაპონურ ლიტერატურასა და კინოში. ერთ-ერთი კლასიკური ნაწარმოებია, შეიძლება ითქვას, იაპონური „ვეფხისტყაოსანი“, – „თქმულება ორმოცდაშვიდი რონინის“ შესახებ (რონინი „უპატრონო“, სიუზერენის გარეშე დარჩენილი სამურაია). სიუჟეტის მიხედვით, ფეოდალს ჰყავს ასი სამურაი და სეგუნთან გამართულ ცერემონიაზე უნდა წავიდეს. აქ მთავარი გმირია მისი პირადი მრჩეველი, ბრძენი სამურაი, რომელიც იმ მომენტში იქ არ იმყოფება. ფეოდალმა რიტუალის ელემენტები არ იცოდა და რჩევა ჰკითხა სეგუნის მრჩეველს, ვეზირს, როგორ უნდა ჩავიცვაო? მან არ იცოდა, რომ ვეზირი ამგვარი კონსულტაციებისათვის ქრთამს იღებდა და არასწორი რჩევა მიიღო, რის შედეგადაც მიღებაზე სახალხოდ შერცხვა. ამას რომ მიხვდა, ხმალი ამოიღო და ვეზირს ჩაარტყა, მაგრამ ვერ მოკლა. ატყდა ერთი ალიაქოთი. ფეოდალს ხარაკირი მიესაჯა და მთელი ქონება ჩამოერთვა, ვინაიდან სეგუნის კარისკაცი ხელჰყო. ამასობაში ჩამოდის მისი მრჩეველი, იგებს მთელ ამ ამბავს; ფეოდალი თავს იკლავს. ასმა სამურაიმ იცის, რომ შური უნდა იძიოს, ეს ძალიან კარგად იცის ვეზირმაც და ამიტომ აძლიერებს დაცვას. მრჩეველს უნდა, კარგი სამურაები აირჩიოს, ასივეს კრებს და ეკითხება, როგორ გავიყოთ მათთვის განკუთვნილი ფული, – პროპორციულად ანუ თანამდებობების მიხედვით, თუ თანაბრად. ნაწილმა თქვა პროპორციულადო, ნაწილმა – თანაბრად. ვინც თქვა პროპორციულად, იმათ მრჩეველმა

გადაუხადა და გაათავისუფლა შურისძიების ვალდებულებისაგან, რადგან ჩათვალა, რომ მათ ფული ზედმეტად უყვარდათ. ვინც თქვა თანაბრად, ისინი დაიტოვა. სულ 47 კაცი დარჩა. შეიმუშავეს შურისძიების გეგმა და გადაწყვიტეს მტრის ყურადღება მოედუნებინათ. დაიწყეს აღვირახსნილი ცხოვრება, ლოთობა, საროსკიპოებში სიარული, ყველანაირად დაკარგეს სამურაის სახე. ბევრი სახლიდან გამოჰყარეს სიმამრებმა. ბოლოს, ყველა დაიჯერებს, მათ შორის ვეზირიც, რომ ორმოცდაშვიდივე საბოლოოდ გადაგვარდა და შურისძიებაზე აღარც ფიქრობენ. სწორედ ამას ელოდნენ ჩვენი გმირები. სამურაები შეიპარებიან ვეზირის კარ-მიდამოში, იჭერენ მას და ბოლო შესაძლებლობას აძლევენ – თავი მოიკალიო. ვეზირი თავისი ლაჩრობის გამო უარს ამბობს და გაქცევას ცდილობს; მას თავს აჭრიან და ფეოდალის საფლავზე მიაქვთ. მაგრამ ახლა სეგუნის წინაშე დგება მძიმე დილემა: ხალხი რონინებს გმირებად რაცხავს, თანაც მათ პირნათლად შეასრულეს ვასალური ვალდებულება, მაგრამ მეორე მხრივ კი მრჩეველი მოუკლეს. საბოლოო ჯამში, სეგუნს გამოაქვს გადაწყვეტილება, რომელიც იაპონური მართლმსაჯულებისა და სიბრძნის ეტალონად ითვლება: რონინებს მიესაჯათ საპატიო ხარაკირი და ისინიც ერთმანეთს თავებს აჭრიან. ამ ტექსტს დღემდე ასწავლიან ბავშვებს 8 წლის ასაკიდან.

ახლა, მოკლედ, ბავშვის აღზრდის წესებზე. არსებობს აზრი, რომ იაპონელ ბავშვებს 7-8 წლამდე არაფერს უშლიან. ეს მთლად ასე არ არის. ბევრ რამეს პატიობენ, მათ შორის მშობლების მიმართ აგრესიასაც, მაგრამ ადრეული ასაკიდან აჩვენებენ, რომ, მაგალითად, ცეცხლთან თამაში არ შეიძლება, ასწავლიან ჰიგიენის წესებს. საერთოდ, ითვლება, რომ სწრაფი ჭამა და, უკაცრავად, სწრაფი დეფეკაცია – იაპონური ღირსებებია. ბავშვი რომ იბადება, სამი დღის განმავლობაში არ აჭმევენ და ნამდვილი რძის გამოჩენას ელოდებიან.

ითვლება, რომ ბავშვის კვების პერიოდში დედა წარმოუდგენელ სექსუალურ სიამოვნებას იღებს, ამიტომ, თუ ბავშვის კვების მიღებულ ვადებს გადააცილებს, ცოტა ალმაცერად უყურებენ. ბავშვი უფრო ადრე იწყებს ლაპარაკს, ვიდრე სიარულს. გოგონებს ადრეული ასაკიდან ასწავლიან სწორად ძილს ანუ ზურგზე. თუ ვინმემ ნახა, რომ მძინარე ქალი ზურგზე არ წევს, დიდ სირცხვილად ითვლება. ასევე სირცხვილია პირისპირ ჭამა. ამის გამო, თუ მატარებელში სხედან და სკამები ერთმანეთის პირდაპირ დგას, შეიძლება 5-6 საათი იმგზავრონ და საჭმელს პირი არ დააკარონ. თვითმფრინავში ჭამა შეიძლება, რადგან სხვების პირისპირ არ ზიხარ.

ნამდვილი აღზრდა 7-8 წლიდან იწყება. მანამდე – ბავშვობის „ოქროს ხანაა“, ხანა, როდესაც ბავშვს სირცხვილის გრძნობა არა აქვს. მაგრამ უკვე შემდეგ, თუ 8-9 წლის ბავშვი (უმთავრესად ბიჭი) აღზრდას არ ემორჩილება, ცუდად იქცევა, ცელქობს, შემდეგ ხერხს მიმართავენ: სპეციალურ ბალახების ნაზავს ხელზე აყრიან და ცეცხლს უკიდებენ. ეს ძალიან მტკივნეული პროცედურაა, მაგრამ ეს არ არის სასჯელი, არამედ „მკურნალობის“, „განწმენდის“ მეთოდია. იშვიათად, რომ ბავშვს ეს პროცედურა ორჯერ დასჭირდეს, სამზე ლაპარაკიც არ არის.

თუ მასწავლებელმა მშობელთან დაიჩივლა, თქვენი შვილი ცუდად სწავლობს ან ცუდად იქცევაო, ბავშვს სახლიდან აძევენ. იგი იძულებულია, დღეების განმავლობაში ქუჩაში ეძინოს, ღამეები თოვლში ათიოს და თან ნათესავებთანაც ვერ მიდის სირცხვილის გამო. ამ მხრივ იაპონური კულტურა უნიკალურია. როგორც წესი,

კოლექტივისტურ კულტურებში (იაპონია კი ძალიან კოლექტივისტურია) მე ჩემიანს ვიცავ, მიუხედავად იმისა, როგორ აფასებენ მას სხვები. იაპონიაში კი, თუ ვინმე გეუბნება, რომ შენი შვილი ცუდია, შენ მართლა ცუდად თვლი მას და მკაცრად სჯი, როგორც ჯგუფის (ოჯახის) შემარცხველს.

არ ვიცი ახლა როგორ არის, მაგრამ ადრე იაპონიაში ძალზე გავრცელებული იყო უფროსის მიერ უმცროსის დაჩაგვრა და დამცირება სკოლასა თუ ჯარში; მეტიც, ეს სასარგებლოდ ითვლებოდა უმცროსის ხასიათის გამოსაწრობად. ამასთან, საინტერესოა, რომ წყენა და შეურაცხყოფა ხშირ შემთხვევაში დაჩაგრულს რჩება და შურისძიებას განაპირობებს, რომელიც შეიძლება წლების მერე მოხდეს. იაპონელისთვის შურისძიების გრძნობა კეთილშობილურია, ჩინელისა და კორეელისგან განსხვავებით. მაგალითად, ჩინელისთვის ცილისწამების დაჯერება „გოიმობაა“, იაპონელისთვის – არა. იაპონელმა აუცილებლად რეაქცია უნდა მისცეს, რომ სახე შეინარჩუნოს.

საინტერესოა იაპონელების სექსთან დამოკიდებულება. ტრადიციულ იაპონურ ოჯახში, მამაკაცისთვის საროსკიპოში წასვლა, ანდა სულაც გეიშას სახლში მოყვანა, სირცხვილი არ არის; ცოლი ვალდებულია, გეიშას ჩაით გაუმასპინძლდეს, ჰკითხოს, ფული გადაუხადეს თუ არა და ა.შ. რა თქმა უნდა, ცოლს ეს ყველაფერი არ უხარია, მაგრამ ეს მისი პირადი პრობლემაა. სერიოზული კოლიზიაა „რძალ-დედამთილიანი“. ოჯახში სერიოზული კონკურენცია მიმდინარეობს რძალ-დედამთილს შორის შვილის და ქმრის გამო. მაგალითად, დედა უკრძალავს ბავშვს ტკბილეულის ჭამას, მუცელი აგტკივდება; მოდის ბებია, მოაქვს კანფეტი, აძლევს ბავშვს და ამბობს: „ჩემი კანფეტი მუცელს არ აგატკივებს“. რძალს ხმის ამოდების უფლება არ აქვს, მაგრამ მოგვიანებით, როგორც წესი, შურს იძიებს უკვე თავის რძალზე.

სექსი ერთადერთი სფეროა, რომელშიც, ჩვეულებრივ, მიღებული არაა წვრთნა, მოძღვრის ყოლა. სიყვარულისა და სექსის ხელოვნების კურსის გავლა შეიძლება გეიშებთან, მაგრამ ეს ძალზე ძვირი ღირს. იაპონელი ახალგაზრდების უმრავლესობა საწინააღმდეგო სექსთან ურთიერთობისას მოკრძალებული და გაუბედავია, რაც კარგ თვისებად ითვლება. ამასთან, არსებობს თვითდაკმაყოფილებისათვის განკუთვნილი ძალიან დახვეწილი და შთამბეჭდავი მოწყობილობები ორივე სქესისთვის.

ერთი რამაა, რისი სერიოზული დეფიციტია იაპონიაში: იუმორი. ჩემი მეგობარი მიყვებოდა, რომ თუ ვინმე ხუმრობას დააპირებს, გარშემომყოფთ ამცნობს: ახლა მე ვიხუმრებ; შემდეგ კი – დავამთავრე ხუმრობაო. ეს იმისთვის ხდება, რომ „გაუფრთხილებელი“ ხუმრობა ვინმემ თავის თავზე არ მიიღოს და დამცირებულად არ იგრძნოს თავი. დაცინვა უმძიმესი შეურაცხყოფაა და არაგულწრფელობასთან, იაპონელისათვის უდიდეს მანკიერებასთან, არის გაიგივებული. მეორე ადამიანის დაცინვა, გაშაყრება, საშინელი შეურაცხყოფაა.

დავუბრუნდეთ ომის პერიოდს – ამერიკულ გენერალიტეტში სერიოზულად საუბრობდნენ იაპონელების სრულ განადგურებაზე, არ დაგვნებდებიანო. მართლაც, ომის შედეგი უკვე ცხადი იყო, იაპონელთა რაზმები კი განაგრძობდნენ წინააღმდეგობას სრულიად უიმედო სიტუაციებში. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა – იმპერატორმა კაპიტულაცია გამოაცხადა. მართალია, ამის შემდეგ რამდენიმე ათეულმა იაპონელმა ოფიცერმა მოიკლა თავი, მაგრამ ეს იყო და ეს. ამერიკელებს ეგებებოდნენ ღიმილით, ყვავილებით და, რაც მთავარია, ეს

კეთილგანწყობა გულწრფელი იყო. რა მოხდა? ამერიკელები გაცეზას ვერ მალავდნენ. იაპონელებისათვის კი არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა: უმაღლესმა ავტორიტეტმა, იმპერატორმა, წესი შეცვალა – გუშინდელი მტრები მეგობრებად გამოაცხადა, ხოლო იმპერატორის გადაწყვეტილება – აბსოლუტურ ჭეშმარიტებად. მაშ, გაუმარჯოს იერარქიასა და წესრიგს!

13 ოქტომბერი, 2006 წელი.

ტილმან ალერტი

გერმანული მისალმება

მიხარია, რომ შესაძლებლობა მომეცა, ეროვნულ ბიბლიოთეკაში მოვაწყო ჩემი წიგნის – „გერმანული მისალმება“ – პრეზენტაცია. ამ წიგნს ცოტაოდენ უცნაური სათაური აქვს. მასში არის ინფორმაცია გერმანიის ისტორიის ავადმოსაგონარ პერიოდებზე. ის ყველაზე საყურადღებო სიმბოლოთი, ჰიტლერის მისალმებით მკითხველს უჩვენებს, თუ რა ადვილად შეიძლება ჩაიძიროს ბარბაროსობაში თანამედროვე საზოგადოება, როგორც ეს გერმანიის იმდროინდელ საზოგადოებას დაემართა. ამასთან ერთად, წიგნი შეიცავს მისალმების მოკლე სოციოლოგიასაც, ე.ი. კომუნიკაციის ფიგურას, რომელსაც ადამიანები სხვებთან ურთიერთობის დაწყებისას იყენებენ. წიგნი გვამცნობს, როგორ იქნა მორალური თვალსაზრისით დამახინჯებული დასაწყისი – რომაული მისალმების ფორმა იმ მისალმებითაა შეცვლილი, რომლითაც ჰიტლერი, როგორც ყველგან მყოფი «ღმერთი», პირადი ცხოვრების სფეროშიც იჭრება. ეს არის ქარიზმის ზეგავლენა, რომელიც იმ დროში ჰიტლერს მიეწერებოდა.

სამუელ ბეკეტი გერმანიაში ერთ-ერთი მოგზაურობისას, 1937 წლის 3 მარტს, რეგენბურგის დომინიკანური ეკლესიის შესასვლელთან დაფას შეამჩნევს და დღიურში ჩაწერს: გზას მივუყვები, დომინიკანელთა ეკლესიას ჩავუარე ისე, რომ არც ამიხედავს, მაგრამ მაინც შევნიშნე ჩრდილოეთის კარზე, დაფაზე „სალამი ღვთისა“ გადაუხაზავთ და „ჰაილ ჰიტლერთ“ ჩაუნაცვლებიათ!!!

ეს დაკვირვება ემატება ჩანაწერების ჩამონათვალს: „სამუშაო“, „სახელები და რიცხვები“; ეს ერთ-ერთია იმ მრავალ „ჩალის ღეროთაგან“, რომელიც ბეკეტს შესაძლებლობას აძლევს, გამოცდილებებიდან ინკოპერენტული და ქაოტური განასხვავოს. ნებისმიერი ინტერპრეტირებისადმი ეჭვით განწყობილს, ამა თუ იმ ისტორიული ფაქტის დამოწმებისას „თმები ყალფზე უდგება“, თავისი დაკვირვებების მონტაჟისმაგვარ პროტოკოლში თავის პოზიციას თითქმის შეუმჩნეველი ფორმით, სასვენი ნიშნების დასმით გამოხატავს; თვალში ხვდება, რომ მისალმების ფორმა შეცვლილია, გერმანელებთან შეხვედრისას ჰამბურგში, ბერლინსა თუ სხვა ქალაქში აღმოაჩენს ჰიტლერის მისალმების თვალშისაცემ წესს: – „გაუთავებელი 3. 3.„, საპირფარეშოს ზედამხედველიც კი „ჰაილ ჰიტლერთ გესალმებათ“.

მაგრამ ეს შენიშვნა სამი ძახილის ნიშნით მთავრდება. ეს რიცხვი დაკვირვების საგანია ისევე, როგორც სხვა ჩანაწერები, რომლებიც, სავარაუდოდ, ლაპიდარულ რეპორტაჟებს ფარავენ.

რამდენიმე ძახილის ნიშანი, შემაცბუნებელი უჩვეულობა, რომელიც მოგზაურებს თვალში ხვდებათ – ეს გამოწვევა უცხოში ძახილის რეფლექსიას იწვევს.

1937 წლის აპრილში, ერთი თვის შემდეგ ბეკეტმა გერმანია დატოვა და საფრანგეთში გადასახლდა. აღქმულით გაოგნება, მაგრამ გონებისთვის მიუწვდომელი ენობრივი სუბვერსია იძირება ლანდებისმაგვარი მოგონებების ნაკვალევში ერთი ახალგაზრდა კაცისა, რომელიც ესთეტიკურ-ლიტერატურული ძიების პროცესშია და, მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ, მსოფლიოში ცნობილი ხდება იმით, რომ ჩვეულებათა წინა პლანზე წამოწევით, საუბრის, დიალოგის, საშუალებებით ადამიანური გარემოს ამოხსნას თავის ცენტრალურ ლიტერატურულ თემად აქცევს. ბეკეტის ძახილის ნიშნები – სიტყვის შეცვლისგან ინტუიციით ნაგრძნობი საშინელების ნიშანი, დღიურში ყვირის და ეს უნდა ვიგრძნოთ.

ეს წიგნი, უპირველეს ყოვლისა, სოციოლოგიურ სფეროში მოღვაწე ადამიანებისთვის შეიქმნა. ჰიტლერის დიქტატურის პერიოდიდან 60 წელი გავიდა. საერთოდ, ყოველი თაობა ცდილობს ისტორიული წლების, წინა თაობების ცხოვრების ახლებურად გააზრებას. ალბათ, საქართველოშიც ხდება, რომ ძველი თაობა ამბობს: დასრულდა რაღაც ეტაპი და ახლა მომავლისკენ უნდა გავიხედოთ. რა თქმა უნდა, ეს ფრაზა სიტყვასიტყვით არ უნდა გავიგოთ. გერმანიაში ყოველთვის იყო ნაციონალისტურ-სოციალისტური ეპოქის «დემონიზირების» ტენდენცია. ეს სტალინის ეპოქაზეც ითქმის – ადამიანები ფიქრობდნენ, რომ ეს «დემონი» მათ არ ეხებოდა, მოვლენები მათ გარეშე ხდებოდა და ვერაფერს შეცვლიდნენ. ამ წიგნის მიზანია არა აღნიშნული ეპოქისა და ჰიტლერის ეგზოტიკურ საბურველში გახვევა, არამედ მისი ისტორიული მნიშვნელობის დადგენა. ამ წიგნის დაწერის მეორე მოტივი იყო ის, რომ პოლიტიკურ სისტემებს ყოველთვის აქვთ ერთგვარი ცერემონიალის კულტურა. ნაციონალურ-სოციალისტური კულტურის მთავარი ნიშანი ის იყო, რომ ყოველი ადამიანის კარში შედიოდა და ზედმეტად ღრმად იჭრებოდა ადამიანების პირად ცხოვრებაში. მესამე მოტივი წმინდა სოციოლოგიურია, ანუ ის გარემო, რომელშიც მე ვიმყოფები. მათთვის, ვისაც მეტ-ნაკლები შეხება აქვს სოციოლოგიასთან, იცნობს ლევი-სტროსის თეორიას ნათესაობის ელემენტარული სტრუქტურების შესახებ. ჩემს მთავარ მიზანს წარმოადგენს, ვაჩვენო, თუ როგორია ელემენტარული საზოგადოებრივი სტრუქტურა. წიგნი იწყება ისეთი ელემენტარული ჩვეულების აღწერით, როგორიც მისაღმებაა. სალამი ურთიერთობის ის ყველაზე მარტივი ფორმაა, რომელსაც ხოსე ორტეგა ი გასეტი „ჩვევათა ჩვევას» უწოდებს. მე ამ თემაზე საქართველოშიც ბევრი მისაუბრია. საქართველოში სიტყვა „გამარჯობა» ძალზე მრავლისმეტყველია – შემხვედრს სამომავლოდ გამარჯვებას, წარმატებას უსურვებ. მისაღმების ფორმის ისტორია ყოველთვის კულტურის ტრადიციიდან იღებს სათავეს; ამ ფორმის მიხედვით ვმსჯელობთ, ჩემი მტერია თუ მოყვარე ადამიანი, რომელიც მესაღმება. ამ შემთხვევაში, მისაღმებისას ქართველი მშვიდობასა და გამარჯვებას გისურვებს. დავუბრუნდეთ წიგნს:

მისაღმება მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ყოველდღიურ ცხოვრებაშია ჩართული და ნაკლებად ვაქცევთ ყურადღებას. ჰიტლერის პერიოდში, როდესაც ადამიანი მაღაზიაში ჩადიოდა, მეზობლებს კი არ უსურვებდა გამარჯვებასა და კარგად ყოფნას, არამედ ჰიტლერს. იგივე ხდებოდა შეკრებებზე, სადაც ათასობით ადამიანი

იყრიდა თავს. ეს გაუცნობიერებლად ახდენდა გავლენას ადამიანის ცხოვრებაზე. ჩნდება კითხვა: როგორ ხდება ეს?

გასაგებია, რომ ადამიანები ნაციონალურ-სოციალისტურად იყვნენ განწყობილნი, მაგრამ რატომ რთავდნენ თავიანთ იდეოლოგიას ყოველდღიურობაში?

მე ვეცადე თავად მისაღმების ჟესტის «მიკროსკოპის ქვეშ» განხილვას. თუმცა, აქ ჟესტი და სემანტიკა ერთმანეთს არ უთავსდება. მე შემოდგამა მისაღმების ამ ფორმის პრაქტიკაში დანერგვა – მაგალითად, ავიღოთ ფრანგული და შვეიცარიული მისაღმება («სალიუტ»), როცა კონკრეტულ ადამიანს უსურვებ გამარჯვებას და სახელით მიმართავ. მისაღმების მოცემულ ფორმაში ჰიტლერის გვარია ჩასმული და გარკვეული ინსტანციის სახით შემოდის ყოველდღიურობაში. ჰიტლერი ამ შემთხვევაში ზეადამიანური, ღმერთთან დაახლოებული ფიგურა ხდება. ეს მაგალითია იმისა, თუ როგორ მოდის ზემოდან მისაღმების ფორმა. მოკლედ რომ ვთქვა, ამ ტრადიციის დამკვიდრებით გარკვეული კონტროლი მოახდინა საზოგადოებაზე. მეორე, რაც თვალშისაცემია, თავად ჟესტი გახლავთ. ჩვეულებრივ, ადამიანები ერთმანეთს ხელს ართმევენ და კავშირისთვის მზადყოფნას ანიშნებენ, რაც ზოგჯერ კოცნით მთავრდება, სხეულის შეხებით ჩვენ ურთიერთობის დაწყების რატიფიცირებას ვახდენთ. ჰიტლერის ჟესტი სხვაზე გადადის და უფრო სამხედრო მასშტაბს იძენს – ეს ჟესტი მთელი სხეულის აბსოლუტურ კონცენტრაციას მოითხოვს. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ნაციონალ-სოციალისტების მისაღმების ფორმა ადამიანს წარმოგვიდგენს ნებისმიერ დროს სამხედრო ოპერაციისთვის მზადყოფნა არსებად.

შევგვიძლია, აქ შევჩერდეთ და ვისაუბროთ იმაზე, რაც ყველასთვის საინტერესოა – როგორ ახდენს რეჟიმი ნებისმიერ სიტუაციაში ადამიანების კონფორმისტებად ქცევას? ეს არის ადამიანების გრძელვადიანი შემოწმება, თუ რა დოზით არიან ისინი კონფორმულები რეჟიმის მიმართ. ამ წიგნში მოცემული მრავალი ანეგდოტი და ისტორია იმის შესახებ, თუ როგორ ცდილობდნენ ადამიანები ამ წესების უარყოფას. ერთ მათგანს მოგიყვებით:

1933 წელს, რეჟიმის დასაწყისში, საკონცერტაციო ბანაკში მოხვდნენ ის საეკლესიო პირები, რომლებმაც აბუჩად აიგდეს მისაღმების ახალი ფორმა. მოგვიანებით, ერთ-ერთი სოციალ-დემოკრატი, გერმანიის კონსტიტუციის ერთ-ერთი ავტორი, ტუბინგენის უნივერსიტეტის დოცენტი ამ ფორმით მისაღმების პასუხად მხოლოდ ქუდს იხდიდა. სამწუხაროდ, მან ვერ გააგრძელა თავისი კარიერა. არსებობს კონფორმიზმისა და ნონკონფორმიზმის სხვა მაგალითებიც. არსებობდნენ ადამიანები, რომლებიც ამ წესს არ იცავდნენ, მაგრამ სახალხოდ ვერ გამოთქვამდნენ პროტესტს და „ჰაილ ჰიტლერის“ ნაცვლად „აინ ლიტერ“-ს (ერთი ლიტრი) ამბობდნენ. ეს ორი სიტყვა ფონეტიკურად ძალიან გავს ერთმანეთს. ვინც ამას ისმენდა, ხვდებოდა, რომ საქმე ნონკონფორმისტთან ჰქონდა. მადლობა ღმერთს, მოსახლეობის 50 პროცენტი ჩუმი «ნონკონფორმისტი» იყო.

იმ პერიოდის გერმანიაშიც იყვნენ მოხეტიალე მსახიობთა დასები. ერთ-ერთ დასში შიმპანზეებს ასწავლეს მისაღმების ჟესტი. დღემდე არავინ იცის, ეს კონფორმიზმის გამოხატულება იყო თუ პირიქით, მაგრამ ამ დასის მსახიობებს შემდგომში დევნა დაუწყეს. არსებობს კითხვა: ეს ყველაფერი როგორ წარმოიშვა?

არსებობს მთელი რიგი კვლევებისა, რომლებიც ამ ჟესტის გენეზისს აღწერენ. მოკლე ფორმულირებისთვის ვიტყვი, რომ ადამიანი ქარიზმატული თვისებების გათავისებას

ახდენს და ამას კავშირი არ აქვს ნაციონალურ დისპოზიციასთან. ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რომ გერმანელები ქარიზმასთან არიან მიჯაჭვულნი. ამგვარი რამ შეიძლება ყველა ქვეყანაში მოხდეს. არსებობს რამდენიმე ფაქტორი, რომელიც გერმანელთა მზადყოფნას განსაზღვრავდა; გერმანელებმა ძალიან ბევრი რამ დაკარგეს პირველ მსოფლიო ომში, რასაც საშინელი ეკონომიკური მდგომარეობაც ერთვოდა. ცუდი ეკონომიკური პირობების არსებობისას ჩნდება სურვილი, რომ საკუთარი პრობლემების მოგვარება ქარიზმატულ ლიდერს გადააბარო. არსებობს მესამე, ასევე მცდარი მოსაზრება, რომ მხოლოდ ელიტას შეუძლია სიტუაციის შეცვლა. ამდენად, დიდი იყო საკუთარი პრობლემების მოგვარების ხელისუფლებისთვის გადაბარების ტენდენცია. სხვა საკითხია, როგორ შეიძლება ასეთი პიროვნება გააფეტიშონ. „ჰაილ ჰიტლერი« იმით იყო საინტერესო, რომ რეჟიმის მიმართ ადამიანის ლოიალურ დამოკიდებულებას გამოხატავდა.

როგორ წარმოიშვა ეს შესტი? მისალმების დროს ხელის აწევა ჩვეულებრივი ტრადიცია იყო. ამას ნაციონალ-სოციალიზმთან არანაირი კავშირი არ აქვს და ჯერ კიდევ ძველი რომიდან იღებს სათავეს. შესტების მრავალი აზრობრივი ფენა არსებობს: გაშლილი ხელი, როგორც შეუიარაღებლობის სიმბოლო; მეორე საკითხია ჩემი კონკრეტული დამოკიდებულება სხვისადმი, ხდება მისალმების ტრანსცენდირება; სამხედრო მისალმებისას ხელი სხეულთან მიაქვთ. შესტების ანბანით არსებული განსხვავება ზუსტად უნდა განისაზღვროს.

ჰიტლერს ჰქონდა სხვაგვარი შესტის გაკეთების პრივილეგია. ამ შესტის ისტორიული წინამორბედა მისალმება 20-იან წლებში, რომელიც ნაციონალ – სოციალისტური მოძრაობის სიმბოლო იყო. ეს იყო კონკურენცია იტალიურ ფაშიზმთან და აი, რატომ იტალიურთან – ეს მისალმება რომის იმპერიასთან თანამედროვე იტალიის უწყვეტ კავშირს მიანიშნებდა. მუსოლინი ყოველთვის დასცინოდა ჰიტლერს და ამბობდა: ის, რაზეც გერმანელებს პრეტენზია აქვთ, ჩვენ ისტორიულად გვეკუთვნისო. ჩემი წიგნი მხოლოდ ამ კონკრეტული შესტის შესახებ მოგვითხრობს.

16 ოქტომბერი, 2006 წელი.

თომას ჰოიზერმანი

შეხვედრა ეროვნულ ბიბლიოთეკაში

ემზარ ჯგერენაია:

ყველა დამეთანხმება, რომ ეროვნულ ბიბლიოთეკაში განსაკუთრებული დღეა, რადგან ჩვენი სტუმარია შვეიცარიელი ქართველოლოგი, ჩვენი ქვეყნის მოსიყვარულე, ჩვენი ქვეყნის ქომაგი – თომას ჰოიზერმანი. დღეს მისი წიგნის პრეზენტაციაა. ქართველებს ძალიან გვიხარია, რომ ჩვენს კულტურას, ჩვენს ქვეყანას სწავლობენ.

სიტყვას გადავცემ ამ წიგნის მთარგმნელებს – ქალბატონ ლამარა რამიშვილს და ქალბატონ ლამარა ნაროუშვილს.

ლამარა რამიშვილი:

ეს არის უდიდესი პატივი დიდი ქართველი მამულიშვილის გრიგოლ რობაქიძის ხსოვნის წინაშე. ჩვენ სისხლის წვიმების დროს ვართ გაჩენილი და მაშინ კარგად ახსოვდა ქართულ საზოგადოებას რობაქიძის და ახმეტელის დაუვიწყარი სპექტაკლი „ლამარა“. მაშინ მთელ საქართველოს მოედო ეს სახელი. ეს პროტესტის ერთ-ერთი გამოვლენა იყო, რომელსაც ქართული საზოგადოება მუდამ ავლენდა ფარულად თუ ცხადად. მრავალი თაობა შეეწირა კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლას. ამით გვეუბნებოდნენ, რომ ეს არის ძალად თავსმოხვეული რეჟიმი, რომელსაც არაფერი ჰქონია საერთო ქართულ მსოფლმხედველობასთან და ზნეობრივ ტრადიციებთან. სიტყვამ მოიტანა და შევეხები ლამარას მეუღლის სერგო ოქროპირიძის დამსახურებას. ალბათ, ის ზოგიერთისთვის ცნობილია კიდევ, როგორც ჩინებული რუსულის და გერმანული კულტურის მცოდნე. მან რუსულიდან თარგმნა გრიგოლ რობაქიძის თხზულებები.

ლამარა ნაროშვილი:

მოგეხსენებათ ჰოიზერმანი ევროპელია და თითქოს ქართული სინამდვილის გარედან მაყურებელიც, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ევროპას მოსდგამს უდიდესი უნარი, თავისი და უცხო კულტურის მოვლენათა ღრმა ანალიზისა და მძაფრი კრიტიკული ხედვისა, არ გამიკვირდება, რომ ეს გამოკვლევა გამორჩეულია. აქ ჩანს თომას ჰოიზერმანის უტყუარი ალლო ქართულ მოვლენათა შეფასებისას. მახვილი თვალით არის დანახული ქართული სინამდვილე და ჩვენი დიდი მამულიშვილების მწარე ხვედრი. აქვე შევეხები ნინო რამიშვილს, ყველას კარგად მოეხსენება გრიგოლ რობაქიძის დაუოკებელი ჟინი «ქართული ერის ჩხრეკისა». სულ სიტყვებს ეძებდა და თავადაც ქმნიდა სიტყვებს. ერთ-ერთი ასეთი სიტყვა არის „თაურდგმელი“. მე ვიტყვოდი, რომ მთელი ამ საქმის და არა მარტო ამ საქმის „თაურდგმელი“ არის ქალბატონი ნინო რამიშვილი. ერთიც უნდა დავამატო – ამ საქმეში უდავოდ თავისი კეთილი წვლილი აქვს შეტანილი ბატონ თომასს.

თომას ჰოიზერმანი:

პირველად, ვისგანაც გავიგე გრიგოლ რობაქიძის შესახებ არის გურამ რამიშვილი. გრიგოლ რობაქიძის და ჩემი მსოფლმხედველობა ბევრ რამეში უახლოვდება ერთმანეთს. თქვენთვის საინტერესო იქნება, თუ რატომ დავწერე რობაქიძეზე. ბატონ ავთანდილ ჩხიკვიშვილის ბრალია. მე ვარ შვეიცარიაში ქართული საზოგადოების წევრი, მომივიდა წერილი ბატონი ავთოსგან, რომელიც ეძებდა გრიგოლ რობაქიძის მემკვიდრეობას. ეს საქმე მე გადმომაბარეს. პირველ რიგში მინდოდა მცოდნოდა ვინ არის იგი. ვიყავი ისეთ ადამიანთან, ვინც იცნობდა გრიგოლ რობაქიძეს, მაგრამ მათ არ ჰქონდათ საკმარისი ინფორმაცია. სად ინახება ეს მემკვიდრეობა, სამწუხაროდ დღემდე არ ვიცი.

პირველად რობაქიძეზე გერმანულად წავიკითხე. დავწერე ახალი სტატიები მასზე, ჩხენკელზე და შავიშვილზე. პირველ გამოცემაში რობაქიძეზე სტატია დაწერა ჩხენკელმა და იქ იყო ლაპარაკი ქართულენოვან თხზულებებზე – დრამებზე, ლექსებზე, რამაც ძალიან დამაინტერესა. მერე წავიკითხე რობაქიძის დრამები, რომელიც ჯერ კიდევ არაა გამოსული წიგნად. მაღლობა უნდა გადავუხადო ქალბატონ ბელას, რომელმაც ამ დრამებზე და ექსპრესიონიზმზე დაწერა დისერტაცია, ასევე ჰქონდა ფოტოასლები. ჩემი ქართული არ ჰყოფნიდა რობაქიძის შემოქმედებას და ქალბატონი ლამარა და ნინო

რამიშვილი დამეხმარნენ, რომ კარგად გამემართა ქართული. მარჯანიშვილის თეატრის არქივი და თეატრისა და კინოს მუზეუმიც ძალიან დამეხმარა ინფორმაციის მიღებაში. ამავე დროს, მე ვნახე რობაქიძის და სხვა ქართველების დოსიეები. იქ იყო საკმაოდ ბევრი ბიოგრაფიული მონაცემი, მაგალითად, პროტოკოლი. ამ პროტოკოლში მოხსენიებულია ერთი ავსტრიელი ჯარისკაცი, რომელიც დაეხმარა რობაქიძის ოჯახს. ისმის კითხვა – ცხოვრობდა თუ არა რობაქიძე 25 წელი შვეიცარიაში?! ფული პრაქტიკულად არ ჰქონდა. არსებობდა რობაქიძის ფონდი, მაგრამ მისი გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრეობა ამ ფონდს უნდა გადასცემოდა, მაგრამ გადაეცა კერძო ბიბლიოთეკას. ასევე, ვიპოვე „კავკასიური ენების» პირველი გამოცემა წარწერით – გრიგოლ რობაქიძე. იქ არის რამდენიმე კორექტურა, მაგალითად ცხინვალი, ჟინვალი, რომელიც თვითონ დაწერა. მწერლის არქივში ნახსენები არის ერთი პიროვნება, რომელმაც ჟენევაში იპოვა რობაქიძის წიგნი, რომელშიც ჩანს, რომ რობაქიძემ ფილოსოფიური წიგნი გერმანულ ენაზე დაწერა.

მე არ წამიკითხავს მისი გერმანული ნაწერები. მისი გერმანული შეიძლება მივაკუთვნოთ ღრმა ლიტერატურულ მიმდინარეობას. ლიტერატურულ ნაკადში შეიძლება მოვაქციოთ მისი ლიტერატურული ესთეტიკა. როდესაც ბერლინის ბიბლიოთეკის ელექტრონულ კატალოგში შევედი, მისი არაერთი ნაწერი აღმოვაჩინე. ერთ-ერთი მათგანი იყო „ადოლფ ჰიტლერი (უცხოელი მწერლის თვალით)«, რომელიც ქართულად თარგმნა დალი ფანჯიკიძემ.

ქალბატონმა ნატა ჯანელიძემ ამ თარგმანთან დაკავშირებით ასეთი შენიშვნა გამოთქვა: ეს ბროშურა ქართულად ითარგმნა ქალბატონ დალი ფანჯიკიძის მიერ და სასურველი იქნებოდა, რომ მას თან ახლდეს რობაქიძის განმარტება, თუ რა მიზნით და როგორ დაიწერა ის.

მე არ მინდა შევეხო რობაქიძის მარტო პოეტურ დახასიათებას, შთაბეჭდილება მექმნება, რომ რობაქიძე გერმანიაში უფრო კონსერვატიული გახდა და მისი სტილისტიკა ექსპრესიონალიზმს დაემსგავსა. პატარა ფრაგმენტები, რომელიც ჟენევაში დაწერა, ძალიან კარგად აღწერს, თუ როგორ მოქმედებს ადამიანის სულზე საბჭოთა სისტემა.

საინტერესოა, თუ როგორი იყო რობაქიძის დამოკიდებულება მაშინდელი გერმანიის ინტელექტუალურ წრეებთან. რობაქიძის მეგობრის გერმანიის სახელმწიფო სამართლის ცნობილი სპეციალისტის ვერნერ ზომბარტის ვაჟი ნიკოლაუსი იხსენებს, თუ ვისთან ერთად ცხოვრობდა მწერალი, ვისთან ჰქონდა კონტაქტები, გერმანელ ინტელექტუალებთან, თუ პირიქით, რობაქიძის გარშემო არ იყვნენ ისეთი დიაპაზონის ადამიანები, როგორებიც უნდა ყოფილიყვნენ.

გერმანია საქართველოსთან შედარებით დიდი ქვეყანაა და სხვადასხვა ფრაქციებს ნაკლები ურთიერთობა ჰქონდათ რობაქიძესთან. რობაქიძის წერილებში ნახსენებია ერთი პიროვნება, რომელმაც თარგმნა აპოლონის „როდოსი» გერმანულად. ასევე ნახსენებია ერთი ბალტიელი მწერალი (რომანის ავტორი), რომელმაც თავის დროზე დიდი წვლილი შეიტანა ფსიქოლოგიის განვითარებაში. იგი რობაქიძის ძალიან ახლო მეგობარი იყო.

ძალიან დავინტერესდი რობაქიძის დრამებით და იმით, თუ რა კავშირშია ისინი მის სხვა რომანებთან. ეს ერთი მთლიანი სამყაროა.

მსმენელი:

მე მინდა მადლობა მოგახსენოთ რობაქიძის შემოქმედებით დაინტერესებისა და კვლევისთვის. ძალიან რთულია შვეიცარიაში იპოვო დაკარგული მასალები. მაინტერესებს თქვენი აზრი: რობაქიძე იყო საკმაოდ თავისებური პიროვნება და შემოქმედი, მისი შემოქმედების რომელი წახნაგი მოგწონთ? დრამა, თუ სხვა...

ჰოიზერმანი:

უპირველეს ყოვლისა, მისი მრავალესთეტიკური მთლიანობა მომწონს. მისი დრამა „ლამარა», შეიძლება კლასიკურ ნაწარმოებად არ ჩაითვალოს, მაგრამ მასში იგრძნობა, რომ იგი არის რობაქიძე. ასევე რომანები – „გველის პერანგი», „ფალესტრა» ახლოა ჩემთვის.

მსმენელი:

ვფიქრობ, ამ ბროშურის შინაარსს ხალხი არ უღრმავდება. ბევრი რამ არის ანტიფაშისტური.

ჰოიზერმანი:

მისი წიგნები მოიცავს დოკუმენტებს, ასევე გვიჩვენებს, რომ ერთი კაცი არის ხალხის ძალების შემკრები. არის რაღაც ელემენტები, რაც რობაქიძისთვის მიუღებელი იყო, მაგრამ მან აჩვენა ქალის პოზიცია. ყველაფერს აქვს თავისი ადგილი. მაშინდელი გესტაპოს ცენზურა ცხრა თვე კითხულობდა მის წიგნს, საბოლოოდ აკრძალა.

მსმენელი:

ხშირად ამბობენ, რომ რობაქიძე პროვინციელია.

ჰოიზერმანი:

ჩემთვის სიტყვა პროვინციალიზმი ბევრს არ ნიშნავს. იგი ლიტერატურას ქმნიდა და არ შეიძლება მას ვიწრო ჰორიზონტის მქონე ვუწოდოთ.

19 ოქტომბერი, 2006 წელი.

ნათია ამაღლობელი

მიმდინარეობები დღევანდელ ფრანგულ ლიტერატურაში

გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან ფრანგულ ლიტერატურაში გართულდა კონკრეტული მიმდინარეობების გამოყოფა. თუკი ადრე ამა თუ იმ მწერალზე ლაპარაკისას იმთავითვე ხდებოდა მისი შემოქმედების კონკრეტულ ლიტერატურულ მიმდინარეობაში მოთავსება, მაგალითად, შატობრიანის სახელი რომანტიზმთან ასოცირდებოდა, ზოლა კი – ნატურალიზმთან, დღესდღეობით ისეთი თანამედროვე მწერლების კონკრეტულ მიმართულებებში მოთავსება, როგორც დანტეკი, მარი დარიესეკი, ლე კლეზიო, უელბეკი თუ ამელი ნოთომბია, თითქმის შეუძლებელია. ლიტერატურულ კონტექსტში გაჩენილი ამგვარი ქაოტურობა ერთის მხრივ ხელს უწყობს ახალი ფორმებისა თუ სიუჟეტების გაჩენას, ავტორს ადარ ზღუდავს კონკრეტული მიმდინარეობის ჩარჩოებით, მაგრამ, მეორეს მხრივ, ამ უზარმაზარ სამყაროში, სადაც თითოეული მწერალი განცალკევებულად წარმოდგება,

განსხვავებული აზრი, იდეოლოგია თუ ფორმა გააჩნია, მკითხველს ორიენტაცია უძნელდება.

მიუხედავად ამისა, დღევანდელ ფრანგულ ლიტერატურულ ავანგარდში, იმისდა მიხედვით, თუ რა კრიტერიუმს დავყვრდნობით, მაინც შეიძლება რამდენიმე, მართალია არა მკაცრად დეტერმინირებული, მაგრამ მაინც შეკრული მიმართულების გამოყოფა. ქვემოთ შევეცდებით მოკლედ განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი.

1. პერპენდიკულარები

პერპენდიკულარები – ასე ეწოდა 90-იანი წლების დასაწყისში ჩამოყალიბებულ ლიტერატურულ დაჯგუფებას, რომელშიც თავი მოიყარეს ყოფილმა უნივერსიტეტელმა მეგობრებმა: ნიკოლა ბურიომ, კრისტოფ დიუშატლემ, ჟან-ივ ჟუარემ, ჟან-ფრანსუა მარშანდიზმმა, მიშელ უელბეკმა. ოდნავ მოგვიანებით მათ შეუერთდა კრისტოფ კიმი და ლორან კენტრო. 1995 წელს გამოვიდა ჟურნალი **“La revue perpendiculaire”**-ის პირველი ნომერი. რამდენიმე წლის განმავლობაში პერპენდიკულარები კაფე **“Le Marronnier”**-ში იკრიბებოდნენ, აწყობდნენ მკითხველებთან შეხვედრებს, ლიტერატურულ დებატებს, განიხილავდნენ ახალ ნაწარმოებებს. ჟურნალის დაარსებიდან სამი წლის შემდეგ ჯგუფიდან წასვლა მოუხდა მიშელ უელბეკს, რისი მიზეზიც მისი ახალი ნაწარმოები **«ელემენტარული ნაწილაკები»** გახდა. როგორც თავად პერპენდიკულარები აცხადებენ, **«მიშელ უელბეკმა [მათთვის] მიუღებელი რეაქციონერული პრინციპები გამოხატა ევგენიკის, აბორტის, რასიზმის, თავისუფლებისა და რელიგიური ინტეგრირების შესახებ»**. უელბეკის ჩამოშორება ჟურნალისთვის საბედისწერო გამოდგა. პერპენდიკულართა შორის უელბეკი ყველაზე პოპულარული და მკითხველისთვის ყველაზე საყვარელი მწერალი იყო, რომლის წარმატებასაც ამ ინციდენტმა ვერაფერი ავნო, სამაგიეროდ, გამომცემლობა **«ფლამარიონმა»** ამის გამო პერპენდიკულარებთან თანამშრომლობა გაწყვიტა და მე-11 ნომრის შემდეგ ჟურნალი დაიხურა.

პერპენდიკულართა ძირითადი თემატიკა და მრწამსი გარკვევით ჩამოაყალიბა ჟან-ფრანსუა მარშანდიზმმა თავის ერთ-ერთ სტატიაში: **«წარმოების შემოსავლიანობა, საერთო ხარისხი, ვაჭრობის მონდიალიზაცია, დასაქმებულობა, მომხმარებელზე ორიენტაცია, უამრავი სარეკლამო ფრაზა – ყოველივე ეს, საინტერესო მასალას იძლევა. თავისებური პოეტურობით, ენერგიით, გამძლეობით, ეჭვით, შფოთითა და მღელვარებით აღსავსე ეს სფერო დაკვირვებისთვის შესანიშნავი ადგილია. მაგრამ მწერალი არც ისტორიკოსია და არც სოციოლოგი. მართალია, იგი ზოგჯერ ანთროპოლოგის, ან კიდევ კლინიკოსის ნიღაბს ირგებს, მაგრამ მის სამოქმედო ასპარეზს ისევ და ისევ წარმოსახვა, ფორმები, სიტყვები, ადამიანი და მისთვის დამახასიათებელი ძალადობა, კრახი, ამბიციები წამოადგენს, მოკლედ, ადამიანურობა მისი ყოველგვარი გამოვლინებით. ამისთვის კი განსაკუთრებით ნაყოფიერია **«მუშა სამყაროზე»** დაკვირვება»**.

პერპენდიკულარები ლიტერატურაში მოცემული ეპოქისთვის დამახასიათებელი რეალობის შესახებ ინფორმირების ერთ-ერთ საშუალებას ხედავენ. მათთვის წერა უბრალო, სადა და არა აუცილებლად ლირიკული საქმიანობაა. აქედან გამომდინარე აინტერესებთ ე.წ. უნებლიე ლიტერატურა, ანუ ყოველდღიური ცხოვრების,

ადმინისტრაციული თუ ტექნიკური სამუშაოს, პროფესიული წრეების ამსახველი ნაწარმოებები. მკითხველმა უნდა მიიღოს შიშველი, გაურანდავი ტექსტები, რომელთა მიზანი დარწმუნებაზე მეტად მოხიზვლაა. «გულუბრყვილო იქნებოდა გვეფიქრა, რომ წარსული დროიდან შემორჩენილი რამდენიმე ფაქტი თუ ნაწარმოები თავისი ეპოქის აზროვნების საუკეთესო და ყველაზე მნიშვნელოვანი ქმნილებაა. ამ ტექსტებმა ჩვენამდე მხოლოდ იმიტომ მოაღწია, რომ ერთმა კონკრეტულმა წრემ აირჩია და მოიწონა, სხვა დანარჩენი კი გვედზე გადადო» (ყაკ დუბუფე). პერპენდიკულარები თავიანთი შემოქმედებისთვის საზრდოს ეძებენ თითქმის ყველგან – კულტურულ თუ სამეცნიერო წრეებში, სარეკლამო თუ საწარმოო სფეროებში, კარაოკე საღამოებსა თუ რეტრო პავილიონებში. «ადამიანური არტისტულზე მნიშვნელოვანია. ხელოვნება ქმედებიდან წარმოიშობა და ეთიკას ექვემდებარება» – ასეთია პერპენდიკულართა, ანუ, როგორც მათ ხშირად უწოდებენ «სუპერმარკეტების ჰიპერრეალისტთა» ძირითადი კრედო.

2. ახალი ფიქცია

ახალი ფიქცია – კიდევ ერთი მეტ-ნაკლებად შეკრული ლიტერატურული მიმდინარეობაა, რომელიც დღესდღეობით საფრანგეთში მნიშვნელოვანი წარმატებით სარგებლობს. ჯერ კიდევ XIX საუკუნიდან მოყოლებული «რეალისტური» ლიტერატურის პარალელურად არსებობს – ე.წ. «წარმოსახვითი» ლიტერატურა. თუკი პირველი გარემომცველი რეალობის შეძლებისდაგვარად ადეკვატურ აღწერას გვთავაზობს და დიდ ადგილს უთმობს სოციალურ და ფსიქოლოგიურ საკითხებს, «წარმოსახვითი» მიმართულება არაცნობიერსა და წარმოსახულს ემყარება. «ახალი ფიქცია» საყოველთაოდ ცნობილი სამეცნიერო ფანტასტიკური მიმართულების რადიკალიზაციას წარმოადგენს და მიზნად ისახავს ადამიანის სულში არსებული პოეტური სიღრმეების შეცნობას, რისი მიღწევაც შეუძლებელია ყოველდღიური ცხოვრების უბრალო ტრანსკრიფციით. ამისთვის აუცილებელია ქვეცნობიერი თუ წარმოსახვითი ნიღბების თამაში. «ახალ ფიქციაში» განასხვავებენ სხვადასხვა ტენდენციებს. ავტორთა ერთი ნაწილი უპირატესობას ანიჭებს დროში მოგზაურობას: ერთი ინტრიგის ფონზე ხდება სხვადასხვა წარსული ეპოქის გაცოცხლება, რაც ხშირად წმინდა ფანტასმაგორიაში იზრდება. ამგვარად სტრუქტურირებული ისტორიული ამბავი სრულიად ახალი კუთხით გაიაზრება, რის საშუალებასაც რეალისტური მიდგომა არ იძლევა. წარსულის ფანტასტიკური გაცოცხლება ხდება «ფარაონის სიცილში» (ფ. კუპრი, 1984), «კონფუცის სიზმარსა» (ჟ. ლევი, 1989) თუ «შუშის კომპში» (ჟ. ო. შატორეინო, 1994). მწერალთა მეორე ნაწილი სივრცეში მოგზაურობას გვთავაზობს. განსაკუთრებული ინტერესით სარგებლობს აღმოსავლური (ტიბეტური ოცნება, პ. კარე, 1994; დიდი იმპერატორი და მისი ავტომატები, ჟ. ლევი, 1985), გერმანული და ებრაული სამყარო. ხშირად მწერალი თავადვე იგონებს ახალ ადგილებსა და ცივილიზაციებს. დროისა და სივრცის ტრანსგრესიას მითოლოგიური პერსონაჟები და სიუჟეტებიც ემატება.

საინტერესოა ახალი ფიქციისათვის დამახასიათებელი თხრობითი კონსტრუქციების თავისებურებაც. მონათხრობი და თხრობის მანერა იმგვარად ირევა ერთმანეთში, რომ ფიქცია თავადვე იქცევა ფიქციის შესახებ მსჯელობად. ამის ნათელი მაგალითია ისეთი

რომანები, როგორცაა: «ჩინელი მხედრის ზღაპრები» (ფ. კუპრი, 1994), რომლის თითოეული თავი ცალკე ზღაპარს შეიცავს; «სტეფანი ფანისტე» (ფ. ტრისტანი, 1997), რომელშიც უამრავი ურთიერთსაწინააღმდეგო მონათხრობია ჩართული; «სიმაღლის სურნელი» (ს. ჟუტი, 1999), სადაც სამი სხვადასხვა, მაგრამ ურთიერთდაკავშირებული ამბავი ერთმანეთის ინტერპრეტაციას წარმოადგენს.

ამგვარად, ახალი ფიქცია არც ყოველდღიური რეალობის მსგავსად აგებული უბრალო გამონაგონია, არც ტრანსგრესიული ფიქცია, რომელიც რეალობას სრულიად სცილდება და ახალ სამყაროს ქმნის. «ყველაფერი, რაც გარემომცველ რეალობაზე შეიძლება ითქვას, მკვდარი ფიქციაა, რადგან ჩვენს ხელთ არსებული შეცნობის საშუალებები და ენა არაადეკვატური და გამოუსადეგარია. ახალი ფიქცია კი ერთგვარი ზეფიქციაა, რომელიც ნიღაბს ხდის ამ ვითომდა რეალობას, ამხელს მის ფიქტიურობას და იმავდროულად იწყებს ჭეშმარიტი აზრის დაუსრულებელ ძიებას» – ასეთია ამ მიმართულებაში გაერთიანებულ ავტორთა საერთო შეხედულება.

3. ობიექტივიზმი

ობიექტივიზმი – XX საუკუნის დასასრულსა და XXI საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბებული ფილოსოფიური და ლიტერატურული მიმდინარეობაა.

ტერმინი ობიექტივიზმი ორი მნიშვნელობით იხმარება:

1. სამყაროს მიმართ დამოკიდებულება, რომელიც სუბიექტურობის საპირისპიროდ უპირატესობას ანიჭებს ობიექტურობას, ეყრდნობა მხოლოდ იმას, რაც რეალობად წარმოდგება და უარყოფს ყოველივეს, რაც სულიერებისგან მომდინარეობს.

2. ფილოსოფიური დოქტრინა, რომელიც ამტკიცებს, რომ ზოგიერთი ფენომენი თუ საგანი არსებობს მოაზროვნე სუბიექტის გარეშე, მაშინ, როცა სუბიექტივიზმი მათ სუბიექტთან დაკავშირებით მოიაზრებს, კონსტრუქტივიზმი კი – სუბიექტის მიერ აწყობილად.

აქედან გამომდინარე, ტიპური ობიექტივისტური გამონათქვამია: «რეალობა არის ის, რაც აგრძელებს არსებობას მაშინაც კი, როცა მისი არსებობის აღარ გჯერა» (კ. დიკი).

ობიექტივიზმი პირველად უწოდა რუსული წარმოშობის ამერიკელმა ფილოსოფოსმა და რომანისტმა ეინ რენდმა თავის ინდივიდუალისტურ ფილოსოფიას. ხოლო როგორც ლიტერატურული მიმდინარეობა, იგი დასაბამს იღებს გერტრუდ სტეინის ნაწარმოებიდან *“The making of Americans”*. ამასთან დაკავშირებით ჟორჟ ჰუგე წერს: «გერტრუდ სტეინი ამერიკელებს ისევე აწარმოებს, როგორც ფორდის ქარხანა – მანქანებს. იგი ქარხნის მოძრავ იატაკზე დებს ცხენს და აკეთებს მისგან ამერიკელს. აჩენს თითოეულ ლურსმანს, თითოეულ ჭანჭიკს, ხსნის მათ წარმოშობას, მათ მოგზაურობას, აკლიმატიზაციას, მათი ადათ-წესების, ხასიათის და სახელების ცვლილებებს, და გვიხსნის სხვადასხვა ხალხებისგან შექმნილმა ამ ხალხმა როგორ შეძლო 60 წელიწადში შეექმნათ უძლიერესი ტრადიცია, ინდივიდუალობა და ისეთი ტემპერამენტი, რომ შეუძლებელია ამერიკელის გამოცნობა ვინმეს გაუჭირდეს».

პოეტური ობიექტივიზმი არის მეტყველება, რომელიც გამორიცხავს ავტორის მხრივ ყოველგვარ სუბიექტურ მსჯელობას. იგი სრულიად განსხვავდება რომანტიკული ლირიზმისაგან, სადაც ავტორი საკუთარ მსჯელობებს განავითარებს. ობიექტივიზმი

საგნებს შორის კავშირით ინტერესდება და ცდილობს იმგვარად გადაადგილოს, იმგვარი კუთხით წარმოაჩინოს, რომ ნათელი გახადოს მათ შორის აქამდე დაფარული კავშირები. მაგრამ ეს კავშირები განსხვავდება მეტაფორისგან. ეს უკანასკნელი არის რეალური ურთიერთობის წარმოსახვითი ინტენსიფიკაცია, მაშინ, როცა ობიექტივიზმი ობიექტურ რეალობაში ხდის ფარდას შეუმჩნეველ ან შეგნებულად დაფარულ კავშირებს. ამგვარად, ობიექტური კვლევა ინტერესდება რეალობის სიმბოლური ფორმირებით.

XX საუკუნის დასასრულიდან ამ მიმართულებით მოღვაწე ავტორებმა თავიანთი შემოქმედების პოლიტიზირება დაიწყეს. ამის ნათელი მაგალითია ფრანკ ლაროზის გრძელი პოემა «ჰანტსვილი» – მსოფლიოს სირცხვილი, კრისტოფ ჰანას რედაქცია და ლექსები პროზად.

პოსტმოდერნისტული ღირებულებებით შთაგონებული ობიექტივიზმი XXI საუკუნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმდინარეობა გახდა და, თავის მხრივ, საფუძველი დაუდო კიდევ ერთი ახალი მიმდინარეობის ჩამოყალიბებას, რომელიც დღეისათვის ახალი ტექსტუალობების სახელწოდებითაა ცნობილი.

4. Moins que rien

1998 წელს საფრანგეთში შეიქმნა სრულიად ახალი მიმართულება, შეიძლება ითქვას, ახალი ჟანრიც კი სახელწოდებით **Moins que rien** (არაფერზე ნაკლები). ჟურნალ **NRF**-მა (**“Nouvelle revue française”**) გამოაქვეყნა ექვსი მწერლის ნაწარმოებები. ესენი იყო მოკლე ტექსტები, რომლებშიც ავტორისთვის სამახსოვრო წუთები, შეგრძნებები, სასიამოვნო განცდები იყო აღწერილი. უჩვეულოდ მოკლე ფორმის გამო ამ ნაწარმოებების ავტორებს მინიმალისტებსაც უწოდებენ. აღნიშნული ტენდენციის სათავეში აღმოჩნდა ფილიპ დელერმი, რომლის წარმატებამ მკითხველს ინტერესი გაუღვიძა მთელი მიმართულების მიმართ. დელერმის გარდა მინიმალისტების რიცხვში მოიაზრებიან ჟილ ჟუანარი, ერიკ ფოლდერი, ჟან-პიერ ოსტანდი, პიერ ოსტენ გრენიე და ფრანსუა დე კორნიერი. აღნიშნულ მიმდინარეობას მალევე გამოუჩნდნენ მოწინააღმდეგენი და მწვავე პოლემიკამაც არ დააყოვნა. საინტერესოა ისიც, რომ ზემოთ ჩამოთვლილ ავტორებს თავიდან წარმოდგენაც არ ჰქონდათ თუ «თეორიულად» ისინი ერთ ჯგუფად მოიაზრებოდნენ. ამ ფაქტმა თავიდან მათში დაბნეულობა, ზოგიერთებში აღშფოთებაც კი გამოიწვია, რის გამოც აღნიშნული ტენდენციის ირგვლივ ატეხილი ხმაური კიდევ უფრო გაიზარდა. ამ საკითხის შესახებ პოლემიკა დღესაც გრძელდება.

5. Trashy

Trashy (ნაგავი) კიდევ ერთი ლიტერატურული მიმდინარეობაა, რომელიც ევროპაში 70-იანი წლების ბოლოს ჩაისახა და ჭეშმარიტ ავანგარდად წარმოდგა. ეს იყო ცხოვრებისადმი ახალი ეგზისტენციალური დამოკიდებულება და ახალი ესთეტიკა. თუკი სიურეალისტებმა მიზნად ცხოვრების შეცვლა დაისახეს, ხოლო სიტუაციონისტები არქიტექტურასა და ურბანიზმში ახალი სიტუაციების შექმნით მენტალიტეტების შეცვლას ცდილობდნენ, **Trashy**-ს ამგვარი «კეთილშობილური» ამბიციები არ გააჩნია. იგი ცდილობს არა სამყაროს შეცვლას, არამედ მის, რაც შეიძლება

მწვავედ, უხეშად აღწერას. მისი მიზანია დღის სინათლეზე გამოტანა ყოველივე იმისა, რასაც საზოგადოებრივი პირობითობები, ზრდილობის წესები ნიღბავს – მოკლედ, საჭიროა დიდი სოციალური ტაბუების დამსხვრევა. უწმინდურობა, გარყვნილება, ვულგარობა, უიმედობა, სიმახინჯე, პორნო, სიგიჟე, შიში – ესენია აღნიშნული მიმართულების მთავარი თემები.

Trashy-ს წარმოშობის პარალელურად 1976-77 წლებში დიდ ბრიტანეთში, შემდეგ კი მთელ დასავლეთში გავრცელდა პანკური დაჯგუფებები. პანკურმა ნიჰილიზმმა, რომელსაც სიმახინჯის, სიბილწისა და ანარქიის აპოლოგია ახასიათებდა, მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ახალ ლიტერატურულ მიმდინარეობაზე. **Trashy**-ს დებიუტი, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, შედგა არა დასავლური, არამედ აღმოსავლური სამყაროს წარმომადგენლის, იაპონელი რიუ მურაკამის რომანით «თითქმის გამჭვირვალე ცისფერი» (1976). მასში აღწერილია ცხოვრება ახალგაზრდა ტოკიოელ მოზარდთა ჯგუფისა, რომელთა ერთადერთ საზრუნავს სექსი და ნარკოტიკები წარმოადგენს. ასე რომ, რომანი ჯერ კიდევ 70-იან წლებში ალაპარაკდა მატერიალისტური სამყაროს ერთ-ერთ ძირითად პრობლემაზე.

საფრანგეთში **Trashy** შედარებით გვიან, 90-იანი წლების დასაწყისში გავრცელდა. ეს მოხდა ვენსან რავალეკისა და ვირჟინი დეპენტის რომანებით. თუმცა უცხოელებისგან განსხვავებით ფრანგი ავტორების ნაწარმოებები მორალისგან მთლიანად თავისუფალი არ არის. ძნელია იყო ჭეშმარიტად ამორალური – ეს არის ძირითადი პრობლემა, რაც ვირჟინი დეპენტის შემოქმედებას წითელ ხაზად გასდევს. აღსანიშნავია მისი რომანი «მაკოცე», სადაც მთავარი მოქმედი პირი, ქალი, ყოველგვარი თანაგრძნობის გარეშე კლავს ბავშვს. ამ ცივისსხლიანი მკვლელობის, «უკანასკნელი ტრანსგრესიის» წინაშე მთხრობელს ხმა უკანკალებს და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს თავდაპირველი «ამორალიზმი» უხამს «მორალიზმად» იქცევა. ასეთია ფრანგული **Trashy**-ს თავისებურება.

6. ავტოფიქცია

ავტოფიქცია XX საუკუნის შუა ხანებში ჩამოყალიბებული ლიტერატურული მიმდინარეობაა. ტერმინი პირველად 1977 წელს გამოიყენა სერჟ დუბროვსკიმ თავის ერთ-ერთ რომანზე – «ვაჟიშვილი» საუბრისას.

ეს არის ლიტერატურული, ძირითადად რომანული ჟანრი, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს თხრობის ორ ურთიერთგანსხვავებულ ტიპს: ერთის მხრივ საქმე გვაქვს ავტობიოგრაფიის მსგავსად ავტორის, იგივე მთხრობელის, ანუ პერსონაჟის პიროვნებაზე დაფუძნებულ თხრობას და ამავე დროს აღიარებს, რომ არის ფიქცია, გამონაგონი. ავტორი ყველა საკუთარ ცხოვრებას, მაგრამ უფრო რომანული, შელამაზებული ფორმით, შეცვლილი სახელებით და ზოგ შემთხვევაში მხოლოდბითი რიცხვის მესამე პირში. სერჟ დუბროვსკი, როგორც ამ ახალი ჟანრის ფუძემდებელი, მიიჩნევს, რომ ავტოფიქცია არის «რეალური ფაქტებისა და მოვლენების ფიქცია.» ამ შემთხვევაში ფიქცია ხდება საკუთარი მე-ს ძიების საშუალება.

ვიწრო გაგებით ავტოფიქცია არის საკუთარი მე-ს გამოტანა გამოგონილ სამყაროში, სადაც ავტორს შეიძლება ეცხოვრა, მაგრამ რეალურად არასოდეს უცხოვრია.

ფართო გაგებით ეს არის ზოგადად ავტობიოგრაფიული რომანი, რამდენადაც ნებისმიერ აღსარებაში ყოველთვის არის გარკვეული ხარისხით ფიქცია.

სერჟ დუბროვსკის განმარტებით კი ავტოფიქცია ეწოდება «მოთხრობას, რომლის მახასიათებლები შეესაბამება ავტობიოგრაფიას, მაგრამ, რომელიც რომანულ ჟანრს მიეკუთვნება, რამდენადაც რეალობიდან აღებულ ფაქტებს უმატებს ფიქტიურ ელემენტებს.»

7. პულპი

პულპი (Poulpe – რვაფეხა) – ეს სახელი 90-იან წლებში ჩამოყალიბებულ კიდევ ერთ ლიტერატურულ დაჯგუფებას, უფრო სწორედ რომანთა სერიას დაერქვა. ამ სახელწოდებით გამოდის მასებში კარგი გასაღების მქონე იაფფასიანი, დაბალი პოლიგრაფიული ხარისხის ლიტერატურა. აღნიშნულ სერიაში შემავალი ცალკეული რომანი ერთგვარი ინტერპრეტაციაა ერთი ამოსავალი ტექსტისა, რომელსაც ხშირად, მიუხედავად მისი მიწიერი, შეიძლება ითქვას ბიწიერი და ანარქისტული ხასიათისა, «ბიბლიასაც» უწოდებენ. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ყველა რომანს აერთიანებს ერთი პერსონაჟი – 35 წლის გაბრიელ ლეკუვრერი; მოქმედების საერთო ადგილი – პარიზის მე-11 ოლქი ერთადერთი უბანი, სადაც ზამთრის ცირკის გარდა არანაირი ტურისტული სანახაობა არ არის. გაბრიელს ყოველთვის ჰყავს მეგობარი გოგო – ქერა სტილისტი შერილი; ასევე არსებობს ვინმე პედრო, ესპანელი ანარქისტი, ვინც გაბრიელს იარაღითა და ყალბი საბუთებით ამარაგებს. შეხვედრის ძირითადი ადგილია პატარა ბისტრო, რომლის მენიუშიც აუცილებლად გვხვდება ერთდროულად პოპულარული და რევოლუციური კერძი – ჰოთ-დოგი და ლუდი. გაბრიელის ხასიათი, მისი მოქმედება ავტორზეა დამოკიდებული და რომანიდან რომანში იცვლება. მთავარი მოქმედი პირი ხან მოძალადეა, ხან ძალადობის მსხვერპლი, ხან კეთილი, ხან ბოროტი, ხან მეოჯახე, ხან ავანტიურისტი. ერთ მწერალს უფლება აქვს აღნიშნულ სერიაში არა უმეტეს ორი რომანის გამოცემისა, რათა თავიდან იქნას აცილებული ერთფეროვნება და პერსონაჟი მომაბეზრებელი არ გახდეს. დღეისათვის პულპის სერიაში გაერთიანებული ორასზე მეტი რომანი არსებობს. გაბრიელის თავგადასავლებზე გადაღებულია ფილმები, შექმნილია კომიქსები, განთავსებულია ინტერნეტ საიტებზე. სულ რაღაც ხუთ წელიწადში პულპი გახდა უზარმაზარი სამწერლო სახელოსნო, რომელიც ღიაა ყველასთვის. აღნიშნულ ჯგუფში გაერთიანებულ ავტორთაგან აღსანიშნავია ჟან ბერნარ პუი, ფრანგული დეტექტიური რომანის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფიგურა და პულპის დამაარსებელი, რომელსაც ეკუთვნის გაბრიელის თავგადასავლებისადმი მიძღვნილი პირველი რომანი. ასევე წარმატება ხვდა წილად პიერ მანის, კრისტიან როტის, შანტალ მონტელიეს რომანებს.

8. ახალი ტექსტუალობები

ეს არის ლიტერატურული მიმდინარეობა, რომელიც 1990-იანი წლებიდან იწყება საფრანგეთსა და აშშ-ში. თავად ტერმინი 1997 წელს, ფრანგმა მწერალმა ფრანკ ლაროზმა შექმნა.

ახალი ტექსტუალობები უკავშირდება ახალი ტექნოლოგიების გამოჩენასა და ობიექტივიზმს, რომელმაც უარი თქვა ლიტერატურაში ლირიზმსა და სუბიექტურობაზე, შემოიტანა მასში გარკვეული რაოდენობით პოლიტიკა. ახალი ტექსტუალობები ერთმანეთში ურევს ისეთ ურთიერთგანსხვავებულ ჟანრებს, როგორცაა პოეზია, რომანი, თეატრი, ესე და ა.შ. შეაქვს მათში ფილოსოფია ნაკლებად კლასიკური ფორმით.

ამ «ტექსტუალობას» ორმაგი მახასიათებელი გააჩნია: ერთის მხრივ ძლიერად «დეტერიტორიალიზებულია», ანუ არ აინტერესებს თუ ვის მიემართება, როგორი ფორმით იქნება წარმოდგენილი. ეს ტექსტები შეიძლება ნებისმიერი სახით იქნას წაკითხული: იქნება ეს როგორც პოეზია, როგორც პროზა, როგორც თეატრი თუ როგორც ფილოსოფია. ეს მწერლები იყენებენ ლიტერატურულ მეტაენას, რომლის მიზანია მეტალიტერატურის და, შესაბამისად, გარკვეული უნივერსალურობის შექმნა. მეორეს მხრივ, ახალი ტექსტუალობების ავტორებზე ძალიან დიდი გავლენა მოახდინა ახალმა ტექნოლოგიებმა. ამასთან, ეს შემოქმედები არიან არა მხოლოდ მწერლები, არამედ ხელოვნების სხვა დარგების წარმომადგენლებიც. ამგვარად, ახალი ტექსტუალობა მიზნად ისახავს ხელოვნების ჟანრების გახსნას (ლიტერატურა, ვიზუალური ხელოვნება, მულტიმედია, პლასტიკური ხელოვნება, სასცენო ხელოვნება, ციფრული ხელოვნება და ა.შ.). ამ მიმდინარეობის ფარგლებში შემავალი ნაწარმოებები არის ან პირდაპირ «ვერბო-ვიზუალური» და აუდიო ციფრული ხელოვნებიდან წარმომდგარი, ან იმ მიზნით შექმნილი, რომ მასალად გამოადგეს ასევე ციფრულ ან სასცენო ხელოვნებაში ადაპტაციისთვის. აქედან გამომდინარე, ტექსტთან ერთად მოიცავენ სურათსა და ხმას (ძირითადად ელექტრონულს).

ამგვარი ტექსტები უფრო ხშირად კოლექტიურადაა შექმნილი რამდენიმე ავტორის მიერ. რამდენადაც ამ ნაწარმოებებში მხოლოდ ტექსტი არ შედის, მათ ეწოდათ «ტექსტუალობები», ხოლო იმის გამო, რომ ისინი პირდაპირ კავშირშია ახალ ტექნოლოგიებთან, სახელწოდებას დაემატა ზედსართავი «ახალი».

ეს მიმართულება ნაწარმოების წიგნად გამოცემას მეორე ხარისხოდ მიიჩნევს, რადგან მათ შემთხვევაში წიგნს მთლიანად ცვლის სცენა, ინტერნეტი, მულტიმედია.

თეატრში ეს ახალი ტექსტუალობები უფრო ცნობილია პოსტდრამატული თეატრის სახელწოდებით, რომელიც 1990-იანი წლებიდან ჩნდება სცენაზე. საფრანგეთში ამ მიმართულების მთავარი მხარდამჭერია ჟურნალი “EvidenZ”.


აღნიშნული დაჯგუფებების გარდა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არსებობს უამრავი, ყოველგვარი სკოლისა თუ მიმართულებისგან განზე მდგარი მწერალი. ხშირად, სწორედ ამგვარი შემოქმედები ქმნიან საერთო ლიტერატურულ ამინდს. მაგრამ ჩვენ თავს შევიკავებთ მათი ჩამოთვლისგან, რადგან ეს ძალზე შორს წაგვიყვანს, მით უმეტეს, რომ ნაშრომში მიზნად ვისახავდით მხოლოდ ლიტერატურული მიმართულებების ზედაპირულ მიმოხილვას. ცხადია, ზემოთჩამოთვლილ მიმართულებებზე ლაპარაკით დღევანდელი ფრანგული ლიტერატურის სრულყოფილ პანორამას ვერ წარმოვადგენთ, მაგრამ ვფიქრობთ, ქართველ მკითხველს გარკვეულ წარმოდგენას მაინც შეუქმნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული საფრანგეთის ლიტერატურულ ცხოვრებაზე და ოდნავ მაინც გაუადვილებს ამ უზარმაზარ, თავბრუსხვევადამხვევ სამყაროში ორიენტირებას.

კახა კაციტაძე

გზის შესახებ

სიტყვა „გზა“ ქართულად, უფრო ზუსტად, ქართველურად ქართულ-ჭანური ერთიანობის დონეზე აღდგება, როგორც არსებითი სახელი. თუმცა, სვანურში მას ზმნური მნიშვნელობა აქვს. დღევანდელი სვანური სიტყვა ლიზი – „სვლა“ – დასაბამისეული ფორმით აღდგება როგორც ლი-გზ-ეი (მსგავსი მნიშვნელობით ჭანურში გვხვდება ზმნა ი-გლაზ-უ წავიდა, გაემგზავრა). (იხ. გამყრელიძე, მაჭავარიანი, 348). მაშასადამე, დასაბამისეულად ჩანს, სიტყვა გზა რაღაც ობიექტს კი არ აღნიშნავდა, არამედ გზაზე დგომას, რაღაცის ქმედებას – ანუ დასაბამისეული მნიშვნელობით გზა ნიშნავს არა რაღაც კომუნიკაციას, ტრასას ან ბილიკს, არამედ გზაზე დგომას.

თავიდან ჩაფიქრებული მქონდა, როგორც საჯარო ლექციის ტექსტი. შემდეგ მივხვდი, რომ ეს თემატიკა საჭიროებდა ვიზუალურ წარმოდგენას იმისა, თუ რაზე არის ლაპარაკი და ოციოდე სლაიდი წარმოგიდგინეთ. თქვენ შეგიძლიათ დაინახოთ ძალიან საინტერესო ამბავი. მარცხნივ შეამჩნევთ ანტიკურობის ყველაზე სერიოზულ ფილოსოფოსს. მარჯვნივ კი დაინახავთ ფურნეს (სლაიდი 1). რასაკვირველია დადგება საკითხი, თუ რა შუაშია ერთმანეთთან ფილოსოფია და ფურნე. ეს ცნობილი ისტორიაა. ჰერაკლიტე იყო ქალაქ ეფესოდან და თანამედროვე ტერმინოლოგია რომ გამოვიყენოთ, ეს ადგილი ტურისტულ ღირსშესანიშნაობას წარმოადგენდა. ერთხელ იქ ტურისტები ჩავიდნენ, რომ ენახათ ჰერაკლიტე და ელოდებოდნენ რაღაც ძალიან სიღრმისეულს



სლაიდი 1



– კათედრებიდან რომ ლაპარაკობენ ხოლმე. ჰერაკლიტე ეფიცებოდა ქურას, ანუ ფურნეს, მსგავს რაღაცას. როცა შეხედეს ტურისტებმა და გაკვირვება გამოთქვეს, რა გინდა ამხელა ბრძენს ფურნესთანო, მან ასეთი რამ უპასუხა: გაიგეთ, რომ აქაც არის რაღაც ღვთაებრივიო. ამიტომ მიმაჩნია, რომ ფილოსოფოსის მთელი ოსტატობა იმაშია,

რომ რაღაც ჩვეულებრივში რაღაც ღვთაებრივი დაინახოს. მოახერხოს ის, რომ განჭვრიტოს რაღაც არაჩვეულებრივი და თუ გნებავთ ყველაზე მარტივი კითხვა, რომლითაც დაიბადა ფილოსოფია და რომელიც დაახლოებით ასე ჟღერდა: რატომ არსებობს ის, რაც არსებობს? ბავშვი რომ დასვამს კითხვას: რატომ ჰქვია საზამთროს საზამთრო? მაგრამ ამავე დროს, ალბათ, ამაშია ყველაზე დიდი სიბრძნე და სიღრმე. არავითარი პრეტენზია ჰერაკლიტესთან არ მაქვს და დარწმუნებული ვარ, არც ერთ ფილოსოფოსს – მის შემდეგ ვინც არსებობდა. ხოლო მას, ვისაც პრეტენზია გაუჩნდებოდა, სრულიად ამაო პრეტენზია იყო. იმიტომ, რომ პლატონის ჩათვლით, მსგავსი სიღრმე არც ერთს არ ჰქონდა, მაგრამ აქ შევეცადე ერთი მარტივი თემა ამელო და მასში რაღაც ღვთაებრივი პერსონა აღმომეჩინა. სხვათა შორის, ბერძნულ სიტყვა „თეოსს“ სიტყვასიტყვით ახალ ევროპულ ენაზე ვთარგმნით, როგორც ღმერთს. ეს არასწორი თარგმანია. უფრო სწორია ღვთაებრივი ან ღვთაებრიობა. თავიდან ვეცადე ამელო ძალიან მარტივი მაგალითი ჩვეულებრივი ფენომენისა, როგორცაა გზა და შევეცდები მოგვიანებით განვმარტო, რას ვგულისხმობ ამ სიტყვაში და გზაში რაღაც ღვთაებრიობა, ჰერაკლიტესნაირად განვმარტო. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ჰერაკლიტესთან ღმერთმა დაიფაროს ნებისმიერი ფილოსოფოსის შეჭიდება პლატონისა და არისტოტელეს ჩათვლით (სლაიდი 2). ეს გზაა – ჩვეულებრივი გზა. ძალიან ლამაზია. სამი დღე ვცდილობდი მეპოვა სლაიდი, რომელიც რაღაც საინტერესო გზის პეიზაჟს ასახავდა. ეს ჩვეულებრივი გზაა, თითქოს რაღაც გაჭრილი ჩვეულებრივი კომუნიკაციაა და მეტი არაფერი. მაგრამ სინამდვილეში ძირითადი თეზისი, რომლის დამტკიცებასაც ვაპირებ, არის ის, რომ გზა სინამდვილეში სრულიად სხვა რამეს ნიშნავს. დღეს გზაზე სამი ასპექტით ვილაპარაკებთ. ერთი – რას ნიშნავდა გზა მითოსში? მეორე – რას ნიშნავდა გზა ჩინურ აზროვნებაში? მესამე – რას ნიშნავდა გზა ფილოსოფიაში, ანუ საკუთრივ დასავლურ ფილოსოფიაში? რიგ-ვედაში არსებობს თხუთმეტიოდე სიტყვა, რომელიც აღნიშნავს გზას. მაგრამ არც ერთი არ აღნიშნავს რაღაც კომუნიკაციას... ანუ ორ წერტილს შორის, ორ ფიზიკურ წერტილს შორის გამავალ მონაკვეთს, არამედ ნიშნავს რაღაც სხვას. მაგალითად, “Vartman” ნიშნავს გზასაც და ბორბლის ბრუნვასაც. “Vart” არის ძალიან საინტერესო სიტყვა, რომელიც ინდოევროპული არის. სანსკრიტული და გერმანული “Werden” ამ ბრუნვადობას ნიშნავს. იგივე ძირისაა, როგორც რუსული “врата”, “врат” როგორც კარიბჭე და “вратъ”, როგორც მოტყუება იმ გაგებით, რომ რაღაცას ატრიალებ. როგორც ჩანს, მითოლოგიურ ლიტერატურაში ეს უკავშირდება ღვთაებას, რომელიც იწერება როგორც „ღვთა“. ის არის სამართლის ქალღმერთი, რომელიც ზრუნავს მსოფლიო სამართლიანობაზე, ანუ იმაზე, რომ მსოფლიო გზა წავიდეს ისე, როგორც საჭიროა. როგორც ჩანს, ეტიმოლოგია სწორედ ამას უკავშირდება. მეორე გზა უკავშირდება ბრუნვას, ტრიალს. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მითოსური აზროვნებისთვის ყოფიერება ციკლურია, ანუ რაც ხდება, ის მეორდება და ამიტომ ეს გასაკვირი არ არის, – რუსული “вертет”, იგივე სლავური “вертел”. შემდეგი არის: Path, Pathi, საიდანაც მოდის რუსული “путь”, რაც უკავშირდება რიტუალური გზის გაჭრას. ძალიან საინტერესოა, რომ რომაულ აზროვნებაში ასეთი ინსტიტუტი არსებობდა. რომაელებს განვითარებული რელიგიური ინსტიტუტები არ ჰქონდათ. მათმა სამოქალაქო ინსტიტუტებმა გარკვეულწილად შთანთქმეს რელიგიური ინსტიტუტები, მაგრამ შემორჩა რამდენიმე ძალიან საინტერესო რელიგიური ინსტიტუტი. ერთ-ერთი

იყო პონტიფიკი. ინგლისელები პონტიფიკს თარგმნიან, როგორც “bridge-maker”, ე.ი. ის, ვინც ხიდ-გზას დებს, ანუ სამყაროს სხვადასხვა ნაწილებს ერთმანეთთან აკავშირებს. შემდეგი არის “ftashiatak”, რაც ნიშნავს კანონის გზას, რომლითაც სამყარო მოქმედებს. თუ სამყარომ ამ გზას გადაუხვია, ქაოსი დაისადგურებს. მითოსური აზროვნებისთვის კი ასე არ არის. არის კიდევ “aftal”, ეს უკავშირდება სიტყვა “artanas”-ს, რაც ნიშნავს იმას, თუ როგორ უნდა გაიარო გზა მსხვერპლშეწირვის რიტუალის დროს. ეს შეიძლება იყოს წრიული გზა, ან წაგრძელებული რვიანის მსგავსი გზა. ოღონდ ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ამ გზებიდან არც ერთი არ აღნიშნავს სწორხაზოვან, ანუ „ლინეალურ» გზას და რაღაც დოზით ციკლურობის ელემენტს შეიცავს. ეს რაც შეეხება ძველ ინდოელებს. ახლა გადავიდეთ უშუალოდ ჩვენს მეზობლებზე. მე ხეთები მყავს მხედველობაში. არსებობს ხეთური რიტუალი, ანუ ტექსტი, რომელიც ეხება შელოცვას, რომელიც მიმართულია გზის შებილწვის წინააღმდეგ. შებილწვად ითვლება გზის კიდურზე ჩაცუცქება და ეს შელოცვაშიც არის ხაზგასმული. შელოცვის თანახმად ოდესღაც ჩვენი ბებიები და ბაბუები, დედები და მამები უფროსოდნენ ქმედებებს, რომლებიც გზის კიდესთან იყო დაკავშირებული.



ა. ნოგვიცინი

ეს ძალიან საინტერესოა, არა გზასთან, არამედ გზის კიდესთან, ანუ გზის მიჯნებთან. „დე ნურავინ ჩაიცუცქებს გზის კიდესთან, რამეთუ გზის კიდე ტაროსის ღვთაების ანუ ჭექა-ქუხილის ღვთაების (ამ შემთხვევაში ქართული დამკვიდრებული სიტყვა ვიხმარე) მუხლია, თავად გზა კი მისი მკერდია». გზა ამ შემთხვევაში აღიქმება არა კომუნიკაციად, არამედ, როგორც მთავარი ღვთაების ტორსად. ამაზე მცირე კომენტარს შემოგთავაზებთ. მითოლოგიის სპეციალისტი, რუსი მეცნიერი ნაგოვიცინი წერს: „ამ ფრაგმენტში ერთი მხრივ გზა უიგივდება ტაროსის ღვთაებას, ხოლო მეორე მხრივ მას, ვინც გზაზე ჩაიცუცქება, სასჯელი ემუქრება». მოცემულ ტექსტში ჩაიცუცქვა ნიშნავს გზის ძირითადი პრინციპის გადაადგილების დარღვევას. სხვაგვარად ის, ვინც გზის პირას ჩაიცუცქება, ხელს შეუშლის გზის ძირითადი ფუნქციის – კავშირის განხორციელებას და რამდენადაც გზა ტაროსის ღვთაებაა, პირი, ვინც გზაზე ჩაიცუცქება, ხელს უშლის სკნელებს, სახელდობრ, ციურ და მიწიერ სკნელებს შორის კავშირს. ბერძნული ტრადიციიდან

შეგვიძლია გავიხსენოთ შემთხვევა, როდესაც ალკიდიადეს სიცილიაში ერთ-ერთი ექსპედიცია ჩაუვარდა. რა დასდეს მას ბრალად? ბრალი დაედო არა იმაში რომ ექსპედიცია ჩაუვარდათ და ადამიანები დაიხოცნენ, არამედ იმაში, რომ რასაც “herma” ჰქვია, ანუ გზის აღმნიშვნელი საკრალური მონაკვეთები, მის გამო დაინგრა.

ისევე გავიხსენებ ბერძნულ ღვთაება ჰერმესს, რომელიც ყველამ ვიცით, რომ ვაჭრობის ღმერთია, მაგრამ ჩვენ ასევე უნდა გავიხსენოთ, რომ ძველ ბერძნულში, ყველაზე არქაულ მონაკვეთებში სიტყვა “herma” აღნიშნავდა გზის სამანებს და მიჯნებს, რომელიც გზას ასე რიტუალურად გამოყოფდა ერთმანეთისგან. შესაბამისად, ჰერმესი თავისი არსით იყო გზის ღმერთი. გზის, როგორც გაცვლილობის ღმერთი და, გამომდინარე იქედან, რომ ვაჭრობა გაცვლა-გამოცვლა გაცვლილობის ერთ-ერთი ნაირსახეობაა, სრულიად ბუნებრივად მოხდა მისი დაკავშირება ვაჭრობასთან. აქვე მინდოდა კიდევ ერთი მითოლოგიური პარალელი გამეველო იმ ხალხთან, რომლებიც ჩემთვის საინტერესოა და ძალიან ჰგვანან ქართველებს. სამწუხაროდ მათი შესწავლა საქართველოში არავის უცდია. პირობითად ევროპის რუკას თუ წარმოვიდგენთ, ერთგვარი რომბი შეგვიძლია დავინახოთ: ირლანდიას, სკანდინავიას, ბალკანეთსა და კავკასიას. აი, ასეთია უცნაური რომბი, ერთი შეხედვით მარგინალური კულტურებისა, რომლებიც ძალიან ჰგავს ერთმანეთს. იგივე ჰერმესი, როგორც მთავარი ღმერთის აღიარება, ეს არის კელტებთან, რაც ირლანდიელების მაგალითზე ნამდვილად დასტურდება. ვიცით, რომ იულიუს კეისრის მიერ გალის დაპყრობის მერე რომანიზაცია ისე სწრაფად მოხდა, რომ მათი პანთეონიდან აღარაფერი დარჩა არც ერთ თაობაში და იულიუს კეისარი თუ გახსოვთ, ჯერ კიდევ “de bella galica”-ში ხაზს უსვამს, რომ კელტების პირველი ღვთაება არის მერკური.

შეგვიძლია გავიხსენოთ ყველაზე ცნობილი ქართული სალოცავი, სადაც ლაპარაკია გზაზე:

გასკდა შავი კლდე,
გამოვიდა შავი კაცი,
ესხა ნაბადი შავი,
ეკიდა] დანა[დაშნა] შავი
ეჭირა მათრახი შავი.
გამოიყვა ცხენი შავი;
შედგა უნაგირი შავი
შეჯდა კაცი შავი.
გაემართა გზასა შავსა.
მოდიოდა წყალი შავი,
მოჰქონდა გველი შავი,
შთაყო მათრახი შავი,
მოილო მათრახი შავი,
გარდაჰკიდა ლოდსა შავსა,
ამოილო დაშნა/დანა/ შავი,
გაჰკვეთა გველი შავი,
გამოართო ცმელი შავი.
აყარა მარილი შავი.



ახლა ჩინურ დაოს შევხვით. ეს სიტყვა ძირითადად ძველი ჩინური ფილოსოფიიდანაა ცნობილი, მაგრამ მას არანაკლები მნიშვნელობა აქვს ძველი ჩინური სამხედრო ტრაქტატებისათვის. მაგალითად, სუნ ძის ტრაქტატის პირველივე თავი ამ გზის დეფინიციით იწყება. სუნ ძი წერს: „გზა ეს არის, როცა მიაღწევენ იმას, რომ ხალხისა და მმართველის აზრები ერთმანეთს ემთხვევა, როცა ხალხი მზადაა მასთან ერთად მოკვდეს, როცა მას არაფრის ეშინია და არაფერს უყურებს ეჭვის თვალით».



სუნ მი: „ომი ესაა მოტყუების გზა (ალბათ, უფრო სწორია მოჩვენების – კ.კ). ამიტომ, თუ რაიმე შეგიძლია, მოაჩვენე მოწინააღმდეგეს, რომ არ შეგიძლია. თუ რაიმეთი სარგებლობ, მოაჩვენე, თითქოს შენ ამით არ სარგებლობ; იქნებ შენ ხარ ახლოს – მოაჩვენე, თითქოს შორსა ხარ; იქნებ შენ შორსა ხარ, მოაჩვენე თითქოს ახლოს ხარ; გაიტყუე იგი თითქოს სარგებლობით; დაშალე ან დააყენე ცუდ ხასიათზე; დაიპყარი თუ მას ყველაფერი აქვს, იყავი მზად; თუ ის ძლიერია, აარიდე თავი; გამოიწვიე მისი განრისხება; გახადე უმართავი; მოაჩვენე თავი მორჩილად და აიძულე, გახდეს თავის თავზე დიდი წარმოდგენის».

ჰაიდელბერი დაოს განმარტებისას ამბობს, რომ გზა არის ისეთი რამ, რაც ჩვენ მიგვალწევინებს იქითკენ, რაც ჩვენსკენ მოდის (gelanden). ზმნა ბელანგე გვესმის ჩვეულებრივი აზრით, ნიშნავს ვინმეს მიღებას დაკითხვისათვის. მაგრამ შეგვიძლია დაკითხვი სათვის მიღება ამალღებული აზრითაც გავიგოთ: როგორც შეხება, მოწოდება, დაცვა, შენახვა. მიღება (belang). რასაც ჩვენ ვხვდებით მი-და-მო გზებს გამოიკვალავს. გზა ჩვენ გვესმის როგორც – გზის გა-მი-და-მო-ყვა-ნა, გა-ჭრა. ამ აზრით მოძრაობა ნიშნავს იმგვარ ქმედებას, რომ რაიმემ თავისი ადგილი იცვალოს, მოიმატოს, ან მოიკლოს, ან ზოგადად შეიცვალოს. ეწოგენ – ეს ნიშნავს გზებით მიდამოს მომარაგებას. შვაბურ-ალემანური დიალექტით “vogen” ნიშნავს გზის გაყვანას, მაგალითად, თოვლით დაფარულ ადგილზე.

Voegen და bevoegen როგორც გზის შემამზადებელი და Weg როგორც გზის მიღწევა, გაჭრა განეკუთვნებიან იმავე წყაროსა და მდინარის და კალაპოტის გაჭრას, ისევე როგორც ზმნები wiegen (რწევა), wagen (გაბედვა), wogen (აზვირთება). სავარაუდოა, რომ Weg ენის უძველესი სიტყვაა (Urwort), რომელიც კი სახელმძღვანელო ადამიანს მოსწონს. ლაოდის მთავარი სიტყვა პოეტურ აზროვნებაში არის დაო, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს გზას, მაგრამ რადგან გზას იოლად მხოლოდ ორ ადგილს შორის დამაკავშირებელ მონაკვეთად წარმოიდგენენ, ჩვენ სიტყვა Weg შეუსაბამოდ ჩათვალეს



ჰაიდეგერი


იმის აღსანიშნავად, რასაც დაო ამბობს. ამიტომ, დაოს თარგმნიან როგორც გონებას, საზრისს, ლოგოსს.

დაო ნიშნავს ყველაფრის მომაგზავებელ გზას, ის საიდანაც ფიქრი ძალგვიძს, რაც გონების, გონის, საზრისის და ლოგოსის, რაც ამ ყველაფრის გამოთქმის საფუძველია. შესაძლოა გზა (დაო) დაფარულია, ყველა საიდუმლოს საიდუმლოა, თუ ჩვენ ამ სახელის თავის გამოუთქმელობაში დაბრუნებას ვისურვებთ. შესაძლოა მეთოდოს თავისი ძირითადი მნიშვნელობის შეუღებახავად მაინც არიან ჩამომდინარე წყლები (ნაკადები) დიდი დაფარული მდინარისა, ერგო ნაკადები ყოველივეს მომაგზავებლისა, ყოველივე გზის მოგზავებისა და წამლეკავისა.





გერმანულად გაგების, განმარტების აღმნიშვნელი სიტყვა როტენ თავისი წარმომავლობით უკავშირდება „ადგილს« (Ort) და, შესაბამისად, გზასაც (ადგილი რომელიღაც გზაზე მყოფი ადგილია). განმარტება, გაგება გულისხმობს რაღაც გზაზე რაღაცისათვის ადგილის მიჩენას. მაგრამ დასაბამისეული მნიშვნელობით, სიტყვა, რომელიც დღევანდელ გერმანულში „ადგილს« აღნიშნავს, ნიშნავდა „შუბის წვერს«, ანუ

დასაბამისეული შეხება ჰქონდა სამხედრო საქმესთან. რატომ მაინცდამაინც წვერი? როგორც ჰაიდეგერი აღნიშნავს, წვერი, მწვერვალი ადგილია, რომლისკენაც მიედინება და რომელშიც თავს იყრის ყველაფერი. ყოველივეს შემკრებელი ადგილი მსჭვალავს და ანათებს ყოველივეს. გზა ძველჩინური, შუა საუკუნეების იაპონური და ანტიკური გაგებით, თავისი არსით სწორედ ასეთი ყოვლისშემკრებელი ადგილების საფუძველიცაა და ერთობლიობაც.



ლაპარაკია გზაზე, რომელსაც ყოველი არსებული თავისი არსებობის განმავლობაში გადის. აქ „გზა«, ცხადია, არა მხოლოდ მეტაფორული აზრით მოიხმარება. ის ცხოვრების წესს აღნიშნავს. როცა ვამბობ _ „მან რთული ცხოვრებისეული გზა აირჩიაო« _ ეს მხოლოდ მეტაფორა არ არის. რაღაც მეტია, სახელდობრ, ამ ფრაზით ჩვენ ადამიანის მიერ არჩეულ ცხოვრების, არსებობის წესს ვახასიათებთ.



პარმენიდესთან არსებობს ორი გზა – ჭეშმარიტებისა და მოჩვენებისა. მათი მეუფე ქალღმერთი ალეთეაა.

არისტოტელესთან ბუნება, Φύσις-ი აღნიშნავს γέφυσις-ს (fizika, 193 b 12-12), მაგრამ ამ უკანასკნელის არსი ახლა გაიგება ὄντως-ისაგან. ὄντως-ს ჩვენ ვიგებთ როგორც გზას და მაშინვე ვიწყებთ აზროვნებას გადაადგილებაზე, თუნდაც ამოსავალსა და ბოლოს შორის. მაგრამ გზის გზობის არსი სხვა რამეშიცაა: იმ არეზე გავლა, რომელიც ხსნის რასმე და საკუთარ თავს ხსნის რასმესათვის. აქ ყოფიერების გზაზეა ლაპარაკი ...

მახსენდება გალაკტიონის ლექსი:

„თუ სიკვდილის საიხლოვე როგორ ასხვაფერებს
მომაკვდავი გედის ჰანგთა ვარდებს და
ჩანჩქერებს,
თუ როგორ ვგრძნობ, რომ სულისთვის, ამ
ზღვამ რომ აღზარდა,
სიკვდილის გზა არრა არის, ვარდისფერ
გზის გარდა».

და, საერთოდ, ყველა ჩვენთაგანს თავის დაო აქვს მაგრამ როგორი?

3 ნოემბერი, 2006 წელი.

ზაზა ფირალიშვილი

იერონიმუს ბოსხი: მოხეტიალე

მოხეტიალეს, იგივე უძღვები შვილის პირველი ვარიანტი იერონიმუს ბოსხმა შექმნა, როგორც ტრიპტიხის «თივის გადაზიდვის» გარე ფრთების მოხატულობა (არსებობს ამ ტრიპტიხის ორი ასლი. პირველი შეიქმნა 1480-85 წლებში და იგი მადრიდში, ესკორიალშია გამოფენილი, ხოლო მეორე განეკუთვნება 1500-502 წლებს და პრადოს მუზეუმშია). მეორე ვარიანტი მან დამოუკიდებელი ნახატის სახით შექმნა დაახლოებით ათი წლის შემდეგ. ტრიპტიხის მარცხენა ფრთა გამოხატავს ადამიანის შექმნასა და დაცემას, აგრეთვე, აჯანყებულ ანგელოზთა განდევნას. მარჯვენა ფრთა ჯოჯოხეთს აღწერს. ცენტრალურ პანელზე ჩანს გიგანტური თივის საზიდარა, რომელსაც დემონური არსებები მიაქანებენ, თუმცა კი პაპი და იმპერატორი ცდილობენ შექმნან შთაბეჭდილება, რომ სწორედ ისინი მიუძღვიან პროცესიას, თანაც არა ჯოჯოხეთისაკენ, არამედ მხოლოდ მათთვის ცნობილი უზენაესი აზრისის საუფლოსაკენ. ეს ორი საზიდარას მარცხნივ მყოფი პერსონაჟი განასახიერებს იმ ფსევდომისტერიულ პარადიგმას, რომლითაც ძალაუფლების კონსტრუირება ხდებოდა და ხდება. ძალაუფლება ხომ უზენაეს საზრისთა იმიტაციის სფეროა, რომელშიც პროფანული სამყარო თავისი გამართლების

პოვნას ცდილობს. მავანმა იცის ყოფიერების ის იდუმალი კონტექსტი, რომელიც არ უწყიან სხვებმა და მიუძღვის მათ.

სვლა მარცხნიდან, დაცემის მომენტიდან მარჯვნივ, ნაცვალგების მომენტისაკენ არის მიმართული. მოძრაობის ეს მიმართულება ბოსხთან ხშირად გვხვდება, როგორც მოძრაობა იქეთ, სადაც მარადიული ნაცვალგება უნდა აღსრულდეს.

მთელს ამ პანორამას ფარავს გარე ფრთებზე გამოსახული მოხეტიალე, როგორც ვთქვით, იგივე უძღვები შვილი, რომელიც თავისი დრამატული გზის ყველაზე მძიმე ფაზას გადის. ნახატი გადატვირთულია ნატურალისტურად აღწერილი დეტალებით. სვლას არა



თივის გადაზიდვა

აქვს გარკვეულობა, თუმცა კი იგიც მარცხნიდან მარჯვნივაა მიმართული. მოხეტიალემ უკვე დათმო მამისეული სახლი, დაკარგა ყველაფერი, რაც კი შეიძლებოდა დაეკარგა და ახლა, უბრალოდ, იგერიებს იმ სამყაროს რომელშიც აღმოჩნდა და რომლის სიმბოლიზებისაც გაავებული ძალი ახდენს. იგი, სასოწარკვეთილია და უსაზრისოდ მოძრაობს. მხოლოდ ტრიპტიხის გახსნა მიგვანიშნებს, რომ მოძრაობის საიდუმლო საზრისია ის დამაბულობა, რომელსაც საკრალური და პროფანული პოლარობები ქმნიან. მანამ კი მხოლოდ უსაზრისო და ტკივილით გაჯერებულ ხეტიალს ვხედავთ, რომელსაც არც „საიდან“ მიეწერება და არც „საით“. ეს უბრალოდ ხეტიალია საკუთარი სულის სარკულ ანარეკლთა შორის: სადღაც გარყვნილებაა, სადღაც ვიღაცას ძარცვავენ, შორს კი სახრჩობელა ჩანს. ყოველივე ეს საკუთარი ნაშთებია ხეტიალის გზაზე. თითქოს მოხეტიალე გზად თავის ორეულებს ტოვებს.

წარსული სავსეა ამგვარი ორეულებით. არსებითად, წარსული სწორედ მათი მეშვეობით, როგორც ერთგვარი სუბსტანციით არის კონსტრუირებული და ამიტომაც

ექვემდებარება ათასგვარ ფსიქო და შიზონალიზებს. ეს სულის ის კარიკატურული ფრაგმენტებია, საკუთარი რაობის ის საშიში თუ დამამცირებელი გამჟღავნებებია, რომლებიც ჩვენი სულის მთვლემარების მეშვეობით დემონიზდებიან და ის, რაც გზად იყო დატოვებული, თავად იქცევა გზის განმსაზღვრელად.



თივის გადაზიდვა. გარე ფრთები

სიტყვა „დატოვება“ ზუსტად არ გამოხატავს აზრს, რადგან ეს ნაფლეთები, სულის ეს შხეფები არსად არ მიდიან და სადღაც წარსულში არ იკარგებიან. როგორც ვთქვით, ისინი ჩვენს ერთგვარ სუბსტანციას წარმოადგენენ და ცდილობენ ააგონ ის, რაც მე ვარ – აქ და ახლა. ამ აზრით, წარსული სხვა არაფერია, თუ არა ჩემივე სარკული ანარეკლი, რომელიც ჩემს თვალწინვე სუბსტანცირდება და ცდილობს, მე ჩამანაცვლოს.

წარსული ჩემივე კლონია. იგი ჩემი ფრაგმენტებით კონსტრუირებულ მთლიანობას მოკლებული ორეულია, რომელიც არის ის, რაც არის და მეტი არაფერი და თუკი მას რაიმე დინამიკა მიეწერება, მხოლოდ იმის წყალობით, რომ აწმყო მასში კვლავ და კვლავ გადაისვრის ახალ ფრაგმენტებს.

წარსულის მიმართ ძრწოლისაგან გამოსავალი ის არის, რომ მე მაქვს მომავალი, ანუ მაქვს სხვაგვარად ყოფნის შესაძლებლობა, რაც საშუალებას მაძლევს გავუცხოვდე წარსულისაგან და საბოლოოდ არ ვიქცე მის ტყვედ. ასე თანაობენ ჩემში წარსული, აწმყო და მომავალი. სხვისი თვალი, უპირატესად, ამ კარიკატურული ნაფლეთების მთლიანობად აღმიქვამს – მომავლის, როგორც სხვაგვარად ყოფნის შესაძლებლობის გარეშე. მეც ასე ვხედავ მას. ამიტომაც ამბობს სარტრი, რომ ჯოჯოხეთი არის „სხვა“.

წარსული სხვა არაფერია, თუ არა აწმყო, რომელსაც სხვაგვარად ყოფნის შესაძლებლობა დაუკარგავს და ჩემს თვალწინ გასაგნებულა. მასში ვეღარაფერს

შევცვლით, ვერც ველარავითარ იმედებს დავუკავშირებთ. თუკი ადამიანურ არსებობას რაიმე წყევლა დასდევს, უპირველეს ყოვლისა, ეს არის მარტოოდენ წარსულის ორეულთა თანაყოფნით არსებობა. ეს არის თითქოსდა აჩრდილივით უჩინრად ადევნებული სივრცე, რომელიც უწყვეტად ივსება სულის ახლად და ახლად გასაგნებული ფრაგმენტებით და ჩვენც მეტი და მეტი გულმოდგინებით ვეძებთ ჩვენს თავში იმ საკრალურ ინტუიციებს, რომელთა მეშვეობითაც მათ გაცოცხლებას ან მათგან თავის დაღწევას შევძლებთ. არსებობს იმის საშიშროებაც, რომ ამ მოზიმიზიმე სივრცის ტყვეობაში აღმოვჩნდებით და ზღაპრის გმირივით, უკან მიხედვით ქვის სვეტად ვიქცევით. ეს ძალზე მნიშვნელოვანი მეტაფორაა: არ შეიძლება სიცოცხლე და სიცოცხლისეულობა ვეძიოთ იქ, სადაც არ არის სხვაგვარად ყოფნის შესაძლებლობა. იგი არის ის, რაც არის. ხომ შეუძლებელია სიცოცხლე ვეძიოთ იმაში, რაც თავისი არსით ცნობიერების მუმიფიცირების პროდუქტია.

ის დემონებიც, რომლებიც ტრიპტიხის მარჯვენა ფრთაზე ჩანს, სხვა არაფერია, თუ არა ადამიანის სულის მუმიფიცირებული ფრაგმენტები, რომლებიც ამ ნეგატიური ემანაციის ძალით ადამიური ვნებებით იკვებებიან. არა მხოლოდ ბოსხისეული, არამედ ყოველგვარი დემონოლოგიის საწყისი, ალბათ, აქ უნდა ვეძებოთ.

კიდევ ერთხელ წარსულის შესახებ: რელიგიური აზროვნების ყველაზე პრიმიტიულ ფორმებშიც ცნობილი იყო, რომ ცნობიერება იმგვარი დროითი სუბსტანციით არის აგებული, რომ იგი მყისიერად წარსულში მოისვრის ყოველივეს, რაც კი მის აქტუალურ რაობაში მოქცევას ცდილობს და ამით საკუთარ აჩრდილად აქცევს. დეკარტემ ერთი გამაოგნებელი რამ გააცნობიერა, წერს მერაბ მამარდაშვილი. მან გაიაზრა, რომ ცნობიერებისათვის ყველაზე საშიში მტერი წარსულია. ის, რაც წარსულად იწოდება, ისეთი სისწრაფით აიგება, რომ ვერ ვასწრებთ ვერც გააზრებას და ვერც გაგებას, თუმცა კი გვეჩვენება, რომ გავიგეთ, გავიაზრეთ და განვიცადეთ. წარსული გაგებულისა და განცდილის ილუზიას მხოლოდ იმიტომ ატარებს, რომ ჩვენ სასრული არსებანი ვართ და ყოველწამიერად ვერ ვიქნებით ყველგან. დროის ტოტალობას უნდა ვფლობდეთ, რათა გავამჟღავნოთ, რა გვემართება (რასაც სინამდვილეში ვგრძნობთ, რასაც ვხედავთ). ყველაფერი უკვე წარსულშია გადასროლილი, მნიშვნელობები გამზადებულია და ყოველივე ამას ახლად განცდილსა და აღძრულს ვაწყობთ ზემოდან. მაგრამ (დროითი სუბსტანციის აზრით) ყოველივე ეს მხოლოდ წარსულია. ყოველივე, რაც ენაში არსებობს მნიშვნელობათა და საზრისთა სახით, წარსულია. მეხსიერებაც მხოლოდ მოჩვენებითად გვაჩვენებს თავს საწყობად იმისა, რაც თითქოს გაგვიგია და განგვიცდია. სინამდვილის რაღაც ჩვენთვის დაფარულ პლანში, სინამდვილე თავზარდამცემი სისწრაფით დატ-რიალდა და ჩაეხვა, მოვლენები, საზრისები და ხდომილებები ერთმანეთზე დალაგდა. გვეჩვენება, რომ ვუცქერთ უძრავსაგნებს, მათ გარშემო ვმოძრაობთ, სინამდვილეში კი თავად გრძნობადი მზერის აქტშიც მოძრაობენ არა ჩვენი თვალები, არამედ საგნები და სწორედ იმ წარსულში ლაგდებიან, აზრის მტერს რომ წარმოადგენს („კარტეზიანული განაზრებები“).

მაშასადამე, წარსული ის მორევია, რომელიც ცდილობს თავის წიაღში ჩაგვითრიოს. თითქოს სამოთხის კართან ჩასაფრებულა, რათა მას შემდეგ, რაც ცნობადის ხის აკრძალული ნაყოფი ვიგემე, ანუ მას შემდეგ, რაც წარსულში, როგორც სუბსტანციაში მოცემული გასაგნებული და გაუცხოვებული სინამდვილე ცნობიერების მოძრაობის,

ჩემი, როგორც სულიერი არსების სამყაროში ყოფნის აუცილებელ წანამდღვრად იქცა, იოლად აღარ დაუშვას ჩვენი უკან მიბრუნება და თავის დაღწევა ამ ზღვრული ულმოზელობით მოქმედი კანონზომიერებისაგან, რაც იგივეა, არ დაუშვას ჩემი საკუთარ თავთან დაბრუნება. მისი იმპერატივების წყალობით აწმყო უწყვეტად იქცევა „აწმყოს წარსულად», ანუ იმად, რასაც არა თუ შეზღუდული აქვს შესაძლებლობათა სივრცე, არამედ არც გააჩნია მსგავსი რამ. ამიტომაც არის იგი გარდუვალობის და არა თავისუფლების სამყარო, ამიტომაც წარმოადგენს ინვენტარიზაცია და კალკულაცია მასთან მიმართების ერთადერთ ფორმას, ამიტომაც ფარავს იგი ცხრამაგი საფარველით ჩვენი სულის ცოცხალ წერტილებს და, საბოლოოდ, ამიტომაც აქვს სრულიად გამოკვეთილი ტენდენცია, ჩვენი ცნობიერება ერთგვაროვანი მკვდარი წერტილებით დასახლებულ სივრცედ აქციოს.

კიდევ ერთხელ, რათა უკეთ გავიაზროთ: მართალია, წარსულით კონსტრუირებულ სამყაროში ვცხოვრობ და ვმოდრობ, მაგრამ, როგორც ხსნა, გამუდმებით მხედველობაში მაქვს, რომ შესაძლებელია რაღაც განსხვავებულ პერსპექტივაშიც ვიარსებო, რომ ჯერ კიდევ შესაძლებელია, ჩემს ცხოვრებაში ყველაფერი განსხვავებულად წარიმართოს, რომ სადღაც, ფარულად და მოუხელთებლად, განსხვავებულ შესაძლებლობათა სივრცე არსებობს. რა თქმა უნდა, ეს უპირველესად სამყაროში ჩემი ყოფნის წესს, ჩემი პრაქტიკული გონების რაგვარობას შეეხება. მე ჯერ კიდევ მაქვს შანსი იმისა, რომ რაღაც წამს განსხვავებული ცხოვრება დავიწყო და დანაშაულის თუ ფუჭად დაკარგული ცხოვრების გამო სინანული ჩემი არსებობის საბოლოო წერტილად არ იქცეს: ჯერ კიდევ ძალმიძს, გავაკეთო რაღაც ძალზე მნიშვნელოვანი. იმედი იმისა, რომ ეს წამი, ეს, თუ შეიძლება ითქვას, მარად მომავალში დაგულებული წამი შეიძლება დადგეს, სრულიად განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ჩემს არსებობას, რაც არ უნდა დამამცირებელი ან დანაშაულებრივი იყოს უკვე განვლილი გზა. უფრო მეტიც, იგი ჩემი არსებობის



მოხეტიალე. გვიანდელი ვარიანტი

გამართლებაა. ყოველივე ეს სხვაგვარადაც შეიძლება ითქვას: _ ჩემს ამჟამინდელ მდგომარეობასა და იმ წამს შორის, რომელშიც ხსნა მეგულება, ცირკულირებს იმედი იმისა, რომ მართალია, აქამდე რაღაც მიშლიდა ხელს, ყოვლადმნიშვნელოვანი


არსებობით მეარსება, მაგრამ ჯერ კიდევ მრჩება შესაძლებლობა, რომ საკუთარი ღირსება დავადასტურო, რომ მოვიმოქმედო ის, რასთან მიმართებაშიც ყოველივე სხვა მოქმედების მხოლოდ სიმულაციას წარმოადგენდა, რომ მე ჯერ კიდევ რაღაც თუნდაც უჩინარი, მაგრამ უკიდურესად ღირებული რამ მაქვს გასაკეთებელი და აუცილებლად გავაკეთებ მას. აქამდე მოქმედების მხოლოდ სიმულირებას ვჯერდებოდი, თუმცა კი ვინარჩუნებდი იმედს, რომ ერთ წამსაც მის ადგილს დაიკავებს ის, რამაც უნდა დაიკავოს. მოვალეობასა და მის სიმულირებას შორის არის იმედი, როგორც ჩემი ღირსების „ადგილი«. იგი შესაძლებლობას მაძლევს, დავრჩე წარსულში და მხედველობაში მქონდეს შესაძლო მომავალი, წარსულის სუბსტანცია მომავლის ელფერებით შევამკო. ეს უკვე პერსპექტივის სიმულირების ფორმაა.

შოპენჰაუერი ამბობს: ჰკითხეთ კაცს, რომელმაც უბედნიერესი ცხოვრება განვლო, ისურვებდა თუ არა იგი წარსულის მობრუნებას მისი აქტუალური რესტავრაციის აზრით და დარწმუნებული იყავით, რომ უარს მიიღებთო. აქტუალური წარსული ხომ ყოველთვის უფრო საშინელია, ვიდრე ეს განვლილ დღეთა გამო ოცნებებში წარმოგვიდგენია. მით უმეტეს, მასში აქტუალური მიბრუნება უარის თქმა იქნებოდა იმაზე, რაც აქ და ახლა არსებობის ძალას მაძლევს – პერსპექტივის ცნობიერებაზე. რა მომხიბლავადაც არ უნდა ჩანდეს წარსული, პერსპექტივისა და გახსნილობის თანაყოფნის გარეშე, იგი ჯოჯოხეთია.

გავიხსენოთ დანტეს „ღვთაებრივი კომედია«. თუკი მიწიერი ცხოვრების მდინარებას ახალი ცოდნა და ახალი იმედები მოაქვს და ყოველივე, რაც უკვე არის, ანუ წარსული და აწმყო, ადამიანებთან რჩება, ჯოჯოხეთში ცოდნა შეუქცევლად ილევა. ერთის მხრივ, ჯოჯოხეთი თითქოს მარადი აწმყოა, ცოდვილნი ერთ მდგომარეობაში – წარსულის სახეთა ტოტალურ ტყვეობაში გახევებულან, რაც შეეხება მომავალს, იგი აქ გაუკუღმართებული დროა, იგი კი აღარ ათვალსაჩინოებს სამყაროს (ანუ ჩვენი და სამყაროს სხვაგვარად ყოფნის პერსპექტივას კი აღარ აღვიძებს ჩვენში), არამედ ყოველწამიერად იხვევს მას (ა.ლ. დობროხოტოვი. „დანტე«).

მიწიერი ცხოვრების დასრულებამ ცნობიერებას მომავლის განზომილება მოჰკვეთა, როგორც საკუთარი თავისა და სამყაროს პერსპექტივის დაგულვების ადგილი. სული კვლავ და კვლავ უბრუნდება წარსულს და საკუთარ თავს ხედავს უკვე არა სხვაგვარად ყოფნის პერსპექტივაში (რითაც ხსნის იმედს ინარჩუნებდა), არამედ წარსულის გახევებულ და ყოველგვარ დინამიკას მოკლებულ სახეებში. აქ არსებობა აღარ გულისხმობს სხვაგვარად ყოფნის შესაძლებლობას. იგი არის ის, რაც არის და საკუთარ თავთან ამ უღმობელი იგივეობით გვიმორჩილებს. ამგვარად კონსტრუირებულ ცნობიერებაში ადგილი აღარ აქვს რაიმე განსხვავებულს. იმედი იმისა, რომ ჯერ კიდევ შეიძლება მოვიმოქმედოთ რაღაც ძალზე მნიშვნელოვანი, აღკვეთილა და ჩემივე სულის ფრაგმენტებთან იგივეობაში მოზიმიზიმე ტანჯვად გარდაქმნილა. მომავალი, როგორც გამართლების ერთადერთი საშუალება, აღარ არსებობს. იგი აღარ არის ნათელი, რომელიც ბნელსა შინა ჩანს და რომელსაც ბნელი იგი ვერ ეწია. არსებობა წარსულის მარად დაბრუნებაში იწყებს ცირკულირებას. მე კი არ გამოვხატავდი თანაგრძნობას, არამედ სულ ვაპირებდი მის გამოხატვას, მე მეშინოდა მყვარებოდა ადამიანები, თუმცა საკუთარ თავს განუწყვეტლივ ვპირდებოდი, რომ ერთ წამსაც გადავლახავდი ამ შიშს. გამუდმებით მივისწრაფოდი ძალაუფლებისაკენ, თუმცა მესმოდა, თუ რამდენად

უსამართლო იყო ეს სხვა ადამიანებთან მიმართებაში და მჯეროდა, რომ, ერთ დღესაც, სიმშვიდეს მოვიპოვებდი და სამყაროს გავუღიმებდი. მუდმივ ომში ვიყავი სამყაროსთან, თუმცა მესმოდა, რომ ეს ომი, თუნდაც წარმატებული, საბოლოო სიხარულს ვერ მომიტანდა. მოკლედ, კი არ ვარსებობდი, არამედ ვაპირებდი არსებობას _ ასე შეიქმნა ის, რასაც წარსულად გამოხატვას, მე მეშინოდა მყვარებოდა ადამიანები, თუმცა საკუთარ თავს განუწყვეტლივ ვპირდებოდი, რომ ერთ წამსაც გადავლახავდი ამ შიშს. გამუდმებით მივისწრაფოდი ძალაუფლებისაკენ, თუმცა მესმოდა, თუ რამდენად უსამართლო იყო ეს სხვა ადამიანებთან მიმართებაში და მჯეროდა, რომ, ერთ დღესაც, სიმშვიდეს მოვიპოვებდი და სამყაროს გავუღიმებდი. მუდმივ ომში ვიყავი სამყაროსთან, თუმცა მესმოდა, რომ ეს ომი, თუნდაც წარმატებული, საბოლოო სიხარულს ვერ მომიტანდა. მოკლედ, კი არ ვარსებობდი, არამედ ვაპირებდი არსებობას _ ასე შეიქმნა ის, რასაც წარსულად ვიცნობთ. დანტესეულ ჯოჯოხეთში სულს ორი განზომილებადა რჩება სამოდრაოდ: მან წარსულიდან სულის ნაფლეთები უნდა ამოზიდოს (არა სული, არამედ სწორედ რომ მთლიანობასა და კავშირს მოკლებული და, ამასთანავე, სუბსტანცირებული ნაფლეთები) და აწმყოში განალაგოს. მან უსასრულოდ უნდა გაიმეოროს ერთადერთ აქტუალურ სინამდვილედ ქცეული საკუთარი ნამყო «რაობა». წარსული მას თავის თავში, როგორც უკვე ერთადერთ შესაძლო სინამდვილეში ითრევს. იგი კი აღარ მოძრაობს, არამედ წარსულით გაჯერებული აწმყოს ერთადერთ, უგანზომილვებო წერტილში გახევებულა.



ყოველივე ეს დამაჯერებლად მაინც ვერ გამოხატავდა დანტესეული და ბოსხისეული ჯოჯოხეთის ცეცხლის მნიშვნელობას, კიდევ ერთი გარემოება რომ არა. იგულისხმება სულის ერთი ცოცხალი წერტილი, რომელიც აღიქვამს, თუ როგორ უღმობლად ატყვევებენ მას მისივე ორეულები, ეს საკუთარი თავისაგან გაუცხოვების შედეგად შობილი სინამდვილეა, დამთრგუნველი ძალმოსილება იმისა, რასაც თითქოს მთელი არსებით გაურბოდი. სწორედ ამ ერთადერთი ცოცხალი წერტილისათვის ახლა სინამდვილის მთელი ტოტალობა სხვა არაფერია, თუ არა მიწიერი ცხოვრების განმავლობაში შექმნილი საკუთარი თავის სიმულაციური ხატება, აწმყოსა და მომავლის

სუბსტანციას და, მაშასადამე, „ნამდვილზე უნამდვილეს« არსებობას მოკლებული ორეული. ამ დროს ტანჯვაც შვებად შეიძლება იქცეს, რადგან ტანჯვა ამ დროს უკანასკნელი ნავთსაყუდეელია. იმედის ადგილი ტანჯვას დაუკავებია, „საკუთარი ტანჯვით უგვან ტკობას« (თ. მანი. „დოქტორი ფაუსტუსი«). იგი ამ დროს საკუთარ გასაგნებულ და დემონოლოგიურ ენაზე ამეტყველებულ რაობასთან დისტანცირების ერთადერთი ფორმაა. ამის იქით სრული არყოფნა იქნებოდა – „გახევებულ მასებთან და სტიქიათა გრიგალებთან« (დანტე) სრული შეერთება. ცოცხალი მხოლოდ ტანჯვის ის შესაძლებლობაა, როდესაც ჯერ კიდევ შეგიძლია მინიმალური მანძილი მაინც დაადგინო საკუთარ თავსა და იმ დემონებს შორის, შენვე რომ გიშვია.

სხვადასხვა ეპოქის დემონოლოგიურ თხზულებებში თუ მისტიკოსთა ნაწერებში ხშირად მოიხსენიებიან ავსულები, რომლებიც ადამიანური ვნებებით იკვებებიან³. ბოსხის ბოლო პერიოდის „მიწიერ ტკობათა ბაღის« მარჯვენა ნაწილშიც ჩანს უცნაური, ჭიანჭველისებრი არსება, ადამიანებს რომ ნთქავს და წყვდიადში ისვრის. ის, რაც ადამიანმა შექმნა, იქცევა ძალად, შემქმნელსავე რომ ანადგურებს. ამდენად იგი აღარ არის სულის უბრალო გამოწყოფი, იგი უკვე ციკლური და მექანიკური სიზუსტით მოქმედი არსია, რომლის სიცოცხლისეულობაც მხოლოდ იმაში თუ მუდავნდება, რომ დაუსრულებლად იმეორებს საკუთარ თავს. ეს არ არის სიცოცხლე. ეს არის ის ულმობელი გარდუვალობა, რომელშიც მომავალს მოკლებული სული ცხოვრობს.

«მიწიერ ტკობათა ბაღის» მარჯვენა ფრთაზე ადამიანის სახიანი უცნაური ფიგურაა – მას ზოგჯერ ბოსხის ავტოპორტრეტს უწოდებენ – ორი გამხმარი და წყლით ნალოკი ხის მინამგვანი კიდურით და კვერცხის გატეხილი ნაჭუჭის მსგავსი სხეულით. სხეულში დემონები მოძრაობენ. სიცოცხლის მცირე ნიშანი მხოლოდ მის ერთ წერტილზე მიჩერებულ და ტანჯვაში გახევებულ მხერაში ჩანს. სიცოცხლის ეს უმცირესი ციალი რომ არა, ცვილისებრი სახე, უსიცოცხლო, ჩალისებრი თმა და გვამის ელფერი გვაფიქრებინებდა, რომ იგი უსიცოცხლოა. მის გარშემო, მის შიგნით და მასზე უცნაური და, ამასთან, ჩვენი სულის წყვდიადისათვის მტკივნეულად ნაცნობი არსებები დადიან და ერთხელ და სამუდამოდ დადგენილ მოძრაობებს ასრულებენ. შესაძლოა, მათ არასოდეს შეეხვედრივართ, მაგრამ თვალს გავუსწორებთ თუ არა, ძნელია, მათში სულის ინვოლუციური კლონი-ორეულები არ ამოვიცნოთ – იმ ემპედოკლესეულ არსებაშიც კი, რეპტილიის კუდი, ადამიანის ცალი ფეხი რომ აქვს და თავის ნაცვლად უზარმაზარი ჩაჩქანი ადგას. თავად უცნაური, ცოცხალმხერიანი არსების თავსარქმელის ცენტრში კი გუდა-სტვირია, გაბერილი და, ალბათ, მონოტონური, ზუზუნა ხმით ახმიანებულები. მის გარშემო დემონები საზეიმოდ მიუძღვებიან შიშველ და საკუთარი სიშიშვლის გამო უმწეოდ მოხრილ ადამიანებს.

წარმოვიდგინოთ საკუთარი თავი, როდესაც ისეთი ვართ, როგორც არ გვინდა ვიყოთ. ისიც წარმოვიდგინოთ, რომ ეს ხატება ჩვენგან გაუცხოვდა და ჩვენგან დამოუკიდებლად დაიწყო ცირკულირება. ცხადია, ამგვარი რამ გარდუვალად არის გროტესკული ამ სიტყვის ტრაგიკული მნიშვნელობით. ახლა ისიც წარმოვიდგინოთ, რომ რაღაც უნივერსალურმა ძალამ შესძლო, გაენივთებინა ჩვენი ცნობიერების ის მდგომარეობები, რომელშიც მრავალი მსგავსი შემთხვევის დროს ვიყავით და ჩვენი სულის ამ ექსკრემენტებისაგან შეექმნა ჩვენი ერთგვარი ორეული, რომელიც გრამაფონის

³. ეს მოტივი გვხვდება ვაჟასთან – «დევების ქორწილში» და რუსუდან ფეტვიაშვილის ბევრ ადრინდელ ნახატში.

ძველი, გაფუჭებული ფირფიტასავით გამუდმებით იმეორებს ერთი და იგივე უადგილოდ ამოგლეჯილ და შინაგან მთლიანობასა და ჰარმონიას მოკლებულ მუსიკალურ ფრაზას, ვნებისა და მისწრაფების ერთსა და იმავე კონფიგურაციას, უფრო სწორად კონფიგურაციათა რიგს. ერთი შეხედვით, იგი ცოცხალი, სულიერი არსებაა, მაგრამ იგი არის ის, რაც ის არის და მეტი არაფერი. სხვა რამ იგი ვერ იქნება. სწორედ ეს არის ის ორეულები, ჩვენი სულის ის ნაფლეთები, რომელსაც წარსულში ვტოვებთ და რომელსაც ხალისით ვივიწყებთ, თუმცა კი გონების რაღაც წესით მოულოდნელად ვიხსენებთ მათ და თუ სირცხვილი გვიპყრობს, უმაღლეს კვლავ ვივიწყებთ. ასე გავურბივართ წარსულს.

ახლა წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენი წარსული აქტუალურად განაგრძობს არსებობას, ანუ არსებობს სამყაროს რაღაც შრე, რომელიც მთლიანად ამ ორეულებით არის დასახლებული. იგი გაცოცხლებული წარსული იქნება – ოღონდ სიცოცხლის იმ გაგებით, როგორც აქ ვახსენეთ: ეს არის სულის ერთი და იგივე კონფიგურაციების მუდმივი და მონოტონური განმეორება. სწორედ ესენია ის დემონები, რომელთაც ვშობთ ჩვენი ცხოვრების გზაზე. ნახსენებ ავტოპორტრეტს სწორედ ისინი დაუფლებიან.



ამ ასტრალური ნარჩენების მატერიისაგან მოქსოვილ ორეულთან შეხვედრა ჩემი ყველაზე ფარული, ყველაზე მძაფრი და ყველაზე შემადრწუნებელი მოლოდინია. სწორედ ამ მოლოდინის გამოძახილი ჩანს ივანე კარამაზოვის დიალოგში იმასთან, ვინც

თავად შექმნა საკუთარ სახედ და ხატად, ან შავი კესპერლინის გამოცხადებაში ადრიან ლევერკიუნის წინაშე. ორივე შემთხვევაში, გმირი საკუთარი ცნობიერების ორეულის სასაზღვრო შემთხვევას ხვდება.

ასეთია ჯოჯოხეთი ბოსხთან. მასში ცნობიერების გროტესკულ ნაფლეთთა სამყარო ერთადერთ შესაძლებელ სამყაროდ რჩება. კიდევ ერთხელ ვიტყვით: ჩემს ყოფიერებას განმსჭვალავს და საზრისს ანიჭებს აზრი, რომ მე ჯერ კიდევ მრჩება შანსი იმისა, რომ ყოვლადმნიშვნელოვანი არსებობით ვიარსებო. ახლა წარმოვიდგინოთ, რომ რაღაც წამს ეს შესაძლებლობა ჩამომერთვა, დავკარგე ჩემი არსების ის ნაწილი, რომელსაც ამგვარი დაპირებებით ვავსებდი. მრჩება ყოფიერება, სადაც მუდამ აპირებენ, მიუყურადონ სამყაროს, მაგრამ ვერასოდეს ვერ მოუხერხებიათ. ჩემი ცხოვრების წესით მე თავად შექვემნი ამგვარი ყოფიერება. ამჯერად მე უკვე სხვა აღარაფერი ვარ, თუ არა უსასრულოდ გამეორებადი პარამუსიკალური ფრაგმენტი, უფრო სწორედ, განმეორებადი ფრაგმენტების უსაზრისო თავმოყრა – საზრისი ხომ მომავალს გულისხმობს, ანუ მისი დადასტურების ადგილს. ამ ხმაურს (და, მაშასადამე მეც) უკვე აღარ აქვს საკუთარი თავისაკენ და ჰარმონიული მთლიანობისაკენ სვლის შანსი. ის, რაც ხელთ შეგვრჩა, დაუსრულებელი კვლავგამეორების მიზეზით, მხოლოდ ბოროტი იმიტაციაა იმისა, რაც შეიძლებოდა ჰარმონია ყოფილიყო. იგი დაუსრულებელი კვლავგამეორებაა და სამყაროს კანონად ქცეული მონოტონურობაა. თუკი სიკვდილის შიშს რაიმე აზრი აქვს, ეს მხოლოდ დასრულების შანსს მოკლებულ ამგვარ მუსიკალურ ფრაგმენტად, ემპედოკლესეულ ნახევარარსებად ქცევის შიშია და ის ისტერიულობა, რომლითაც ყოველგვარი ათეიზმი სულის უკვდავებას უარყოფს, სხვა არაფერია, თუ არა ამ მოლოდინისაგან გაქცევა.

აქ თავისთავად ჩნდება ასოციაცია: გარდუვალი სოციო-კულტურული მექანიზმების გამოისობით ნიცშესეულმა ღვთის სიკვდილმა მოახდინა ბოროტების სანქცირება და თანაც არა როგორც იმ რეალობისა, რომელსაც გავუზრებივართ, არამედ როგორც ერთადერთი შესაძლო რეალობისა. ის, რასაც დღეს ჰიპერრეალობად ვიხსენიებთ, საგანთა სისტემა რომ ჩაანაცვლა, სხვა არაფერია, თუ არა წარსულის მკვდარი ფრაგმენტებით ნაგები სუბსტანცია, თუ არა მარადი დაბრუნების ციკლში ჩაჭერილი მუსიკალური ფრაგმენტების „ესთეტიკურ ქირურგიას“ დაქვემდებარებული პანორამა. კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ბოდრიარი: წარსულისათვის მიმართვა, უსასრულო რეტროსპექტივა ყველაფერი იმისა, რაც წინ გვისწრებდა, ჩვენს წინაშე „ნარჩენების“ პრობლემას აღძრავს – წერს იგი. საკითხი დგას, ამ სიტუაციაში თუ რა უნდა მოვუხერხოთ ჩამქრალ იდეოლოგიათა, რევოლუციურ უტოპიათა, მკვდარ კონცეფციათა ნარჩენებს, რომლებიც კვლავ და კვლავ აბინძურებენ ჩვენს მენტალურ სივრცეს? არსებითად, მთელი ისტორია უკვე სხვა აღარაფერია, თუ არა „ცოცხალი ნაშთები“. „ეკოლოგიური იმპერატივი“ მოითხოვს, რომ ნარჩენები კვლავ საქმეში იქნას გაშვებული და მეორად გადამუშავებას დაექვემდებაროს. ჩვენ ვდგავართ დილემის წინაშე: ან ისტორიის „ნარჩენები“ და „ნაშთები“ დაგვმარბავენ, ან ჩვენ მათ გამოვიყენებთ რაღაც „უცნაურ ისტორიაში“, რომელსაც ვქმნით ახლა⁴ რაც იგივეა, რელიგიათა „სეკულარულ უტილიზაციას“ მოვახდენთ. ისტორიას არ ექნება დასასრული, რადგანაც მისი ყველა

⁴ Jean Baudrillard . The Illusion of the End Cambridge: Policy; Stanford, Calif.: Stanford University Press, 1994. p.47



ნარჩენი: ეკლესიები, დემოკრატია, კომუნიზმი, ეთნოსები, კონფლიქტები კვლავ და კვლავ შეიძლება იქნას გამოყენებული ...ისტორია ციკლური დროიდან თავს აღწევს მხოლოდ საიმისოდ, რათა მარადი გადამუშავების რეჟიმად იქცეს⁵. ამერიკელი თეოლოგი პოლ არმსტრონგი წერს, რომ პოსტმოდერნის სამყარო სხვა არაფერია, თუ არა სამყაროს დასასრული, რადგან მიუხედავად ჩვენი ქრისტიანული მრწამსისა, ჩვენ ყველანი ათეისტური პროექტის ნანგრევებში ვართ მოქცეულნი. მომავალი (არა შემდგომ ყოფნის, არამედ თუნდაც აქ და ახლა არსებული მარადი პერსპექტივის აზრით) ისტორიის გადალახვის სიტუაციაში ქრება და ვიღებთ იმას, რაც იმთავითვეა მტრული ყოველგვარი საკრალური იმედისათვის. პოსტისტორიული სამყარო, ამ აზრით, სხვა არაფერია, თუ არა ნაცვალგების სამყარო, რომელიც ეპოქის საინფორმაციო-ვირტუალური ესთეტიკური ქირურგიით ოპერირებს. ეს არის სურვილი, კომუფლირებული იქნას ის, რაც მარადი მეტაფორით „ჯოჯოხეთი“ გამოიხატება.

⁵. იქვე.



ისტორიის გადალახვით მივიღეთ სამყარო, რომელშიც ადამიანი აღარ ატარებს პერსპექტივის, როგორც საკუთარი თავის გადალახვისა და უზენაესი რაობის „ადგილის» მოლოდინს. რელიგიურმა გონმა თითქოს აქაც მიაგნო გულუბრყვილო, მაგრამ მაინც გამოსავალს საკუთარი თავის განსხვავებულ ისტორიაში შენარჩუნების აზრით. ამის მაგალითია ის რელიგიური მოძრაობები, რომლებიც უარს ამბობენ გრიგორიანულ კალენდარზე გადასვლაზე. ეს არ გახლავთ მხოლოდ ფილოსოფიური თუ თეოლოგიური პრობლემა. მთავარი, ვფიქრობთ, აქ ის არის, რომ გადასვლა მათთვის კაპიტულაციის თანაზომადია და „საკუთარი» ისტორიის დათმობად, უფრო სწორედ, ისტორიის ათეისტური პროექტის მიმართ დათმობად და მის ნანგრევებში წარსულის უსიცოცხლო ფრაგმენტების სახით მოქცევა, უფრო მეტიც, ადამიანის იდეის დათმობად გაიაზრება.

პოსტისტორიული სინამდვილე, როგორც ბოდრიარი წერს, იძენს უსასრულო, რელიეფურობას მოკლებულ ლინეარულობის ხასიათს. იგი უარყოფს ისტორიის დასასრულის თეზას, რადგან თავად დასასრულიც რელიეფურობაზე იქნებოდა მიმანიშნებელი⁶.

ისტორია, როგორც უფალთან თუ ბედისწერასთან უჩინარი დიალოგი ჩანაცვლებულია ისტორიით, როგორც ხდომილებათა ჰომოგენური სივრცით. თუ მირჩა ელიადეს მოვიშველიებთ, ისტორიიდან განიდევნა საკრალური წერტილები. მთელი მისი რელიეფი სეკულარული ესქატოლოგიით განისაზღვრა. ამიტომაც იჩენს თავს ასე ინტენსიურად „ნავიანევი სტუმრების» (ოსვალდ შპენგლერი) პრობლემა. ისინი უარს ამბობენ, მონაწილეობა მიიღონ სეკულარულ ესქატოლოგიაში, აღიარონ მსოფლიო ლიბერალური რევოლუციის ფაქტი და, როგორც ვთქვით, ალტერნატიული ესქატოლოგიით აღწერილ ალტერნატიულ ისტორიაში ცდილობენ ცხოვრებას. ისინი

⁶. Jean Baudrillard . The Illusion of the End Cambridge: Policy; Stanford, Calif.: Stanford University Press, 1994. p.49

ცდილობენ, მოვლენათა და ფენომენტა მნიშვნელობა დაუბრუნონ ისტორიას, აღადგინონ ის ლინგვისტური რეალობა, რომელშიც სიკეთე და ბოროტება, ჭეშმარიტება და სიცრუე, მშვენიერება და სიმახინჯე შეასრულებენ არა „მეორადი გადამუშავების“ პროდუქტთა, არამედ კონსტიტუციურ პრინციპთა მნიშვნელობას. ბოდრიარი წერს: საუკუნეების განმავლობაში ისტორია ვითარდებოდა „სიდიადის“, მოვლენათა მნიშვნელობის ილუზიის ნიშნის ქვეშ, რომელიც წინაპრებისაგან იყო შემკვიდრებით მიღებული და მომავალზე ახდენდა გავლენას. ჩვენს ეპოქაში ისტორია დავიწროვდა „შესაძლებლის სფეროდ“ მიზეზებისა და შედეგებისა, – „აქტუალობის“ სფეროდ. მოვლენათა საზრისი იქცა მოსალოდნელ საზრისად, ხდება მოვლენების პროგრამირება. ეს არის ხდომილებათა შეჩერება, და, შესაბამისად, ლაპარაკია ისტორიის ჭეშმარიტ დასასრულზე, ისტორიული გონების დასასრულზე⁷ და ჩვენ დავუმატებდით, ეპოქის ესთეტიკური ქირურგიის მეშვეობით კომუფლირებული inferno-ს დასაწყისზე. ეს არის სამყარო, რომელშიც ბოსხისეულ მოხეტიალეს აღკვეთილი აქვს მარჯვნიდან მარცხნივ, ნაცვალგებისა და პურგაციისაკენ სვლის შესაძლებლობა და რომელშიც მას საკუთარ ნაფლეთებთან მარადი დაბრუნებალა დარჩენია.

17 ნოემბერი, 2006 წელი.

გოგი გვახარია

კინო და ძალაუფლება (სერგეი ეიზენშტეინი)

დღევანდელი საჯარო ლექციის თემა არის „კინო და ძალაუფლება“. აქედან გამომდინარე, გადავწყვიტე ვისაუბრო რეჟისორზე, რომლის შემოქმედების პროპაგანდა დღეს გასაგები მიზეზების გამო არ მიმდინარეობს და ვის შესახებაც საზოგადოებას ძალზე ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს; ეს მაშინ, როდესაც გამოკითხვის შედეგად, ფილმი – „ჯავშნოსანი პოტიომკინი“ – ყველა დროისა და ქვეყნის ფილმებს შორის ლიდერობს. დღეს ჩვენ აქცენტს დავსვამთ კინოხელოვანისა და ძალაუფლების ურთიერთობაზე და შევეცდებით, ეიზენშტეინის ცხოვრებიდან განვიხილოთ ფრაგმენტები, რომელიც შემოქმედებითი ინტელიგენციისა და, საერთოდ, ყველა მოქალაქისთვის ახლობელია.

მე სტუდენტობიდანვე დავინტერესდი ამ ადამიანის ბიოგრაფიითა და ფილმებით. ვფიქრობ, რაც დრო გადის, მისი ბედი და შემოქმედება სულ უფრო თანამედროვე და მნიშვნელოვანი ხდება ჩვენი ცხოვრებისთვის. უამრავი კითხვაა დასმული მის შესახებ, რომელიც გვაღელვებს და ვეცდები, მათზე გავამახვილო თქვენი ყურადღება.

⁷ Jean Baudrillard . The Illusion of the End Cambridge: Policy; Stanford, Calif.: Stanford University Press, 1994. p.72

პირველ რიგში, უნდა გითხრათ, რომ დაახლოებით ასეთივე ლექცია წაიკითხა ეიზენშტეინმა 1933 წელს, მოსკოვის ბიბლიოთეკაში, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო ვლადიმერ ლენინის სახელობის. თავის გამოსვლაში ეიზენშტეინმა თქვა ის, რამაც ბევრი გააკვირვა: ხელოვანისთვის მთავარია შემოქმედებითი ბიოგრაფიის შესწავლა. მაშინ ბევრისთვის გაუგებარი იყო, რას ნიშნავდა ეს. თურმე, კინომცოდნისთვის უფრო მნიშვნელოვანი ყოფილა შემოქმედებითი ბიოგრაფიის შესწავლა, ვიდრე – ფილმებისა. მოგვიანებით, მან აქცენტი გადაიტანა პუშკინის ბიოგრაფიაზე და იკითხა, თუ რა არის პუშკინის ყველა ნაწარმოების ძირითადი თემა. მართალია, სკოლაში სხვადასხვაგვარად გვასწავლიდნენ პუშკინის შემოქმედებას, მაგრამ ის დასკვნა, რომელიც ეიზენშტეინმა გააკეთა, ერთი შეხედვით უცნაური და გულუბრყვილოა; მისი აზრით, პუშკინის ნაწარმოებების ძირითადი თემა ყოფილა მოხუცი, რომელიც ბედნიერებისკენ მიმავალ გზას ელოდება. მან ჩამოთვალა პუშკინის ნაწარმოებები: „ევგენი ონეგინი«, „ბორის გოდუნოვი«, „კაპიტანის ქალიშვილი«, „პიკის ქალი« და სხვ. მაგალითად, „პიკის ქალში« მოხუცი ქალი მალავს საიდუმლოებას და ელოდება ახალგაზრდების ბედნიერებას. შემდეგ ეიზენშტეინმა გაიხსენა პუშკინის ბიოგრაფიის ერთი ფაქტი: მოგეხსენებათ, პუშკინს კარამზინის ცოლი უყვარდა და მისწერა წერილი, რომელშიც შეხვედრას თხოვდა. ქალმა წერილი ქმარს უჩვენა და პაემანზეც მასთან ერთად მივიდა. ეიზენშტეინი ამბობს, რომ ამ ტრამვისგან პუშკინი ვერასდროს გათავისუფლდა. როგორც ვიცით, მოგვიანებით მან ცოლად შეირთო ნატალია გონჩაროვა, რომელიც სულ ღალატობდა, თუმცა ქმარი ღალატს პატიობდა. საქორწინო ღამის მეორე დილას ახლად დაქორწინებულმა პუშკინმა დაინახა, თუ როგორ დაუქნია ნატალიამ ცხვირსახოცი იმპერატორს, რომელმაც ამ დროს ქუჩაში გაიარა. იგი ამ ფაქტს უწოდებს ხელოვანის პირველ შეხვედრას ძალაუფლებასთან.

დომინიკ ფერნანდესი, ფრანგი მწერალი, გონკურების პრემიის ლაურეატი, ფსიქო-ბიოგრაფიების ერთ-ერთი საუკეთესო ავტორი სწორედ ზემოხსენებული ფაქტით იწყებს თავის წიგნს – „სერგეი ეიზენშტეინი«. ფერნანდესი აღნიშნავს, რომ ბევრს უკვირს, რატომ აკრიტიკებდა ეიზენშტეინი ზიგმუნდ ფროიდს და მის შესახებ წერილებს აგზავნიდა ფსიქოანალიტიკოსთა ასოციაციაში; იქვე იხსენებს ამონარიდს ეიზენშტეინის ერთი წერილიდან: საჭიროა ვილაპარაკოთ არა უბრალოდ ფსიქოანალიზზე, არამედ ფსიქო-ბიოგრაფიაზე. ფსიქო-ბიოგრაფიებს ყოველთვის ეროტიკული საფუძველი აქვს. ფროიდისტების ნაკლია, რომ ისინი მიმართავენ ფსიქოანალიზს, მაგრამ ფსიქოანალიზს აკლია მთავარი – ფსიქოსინთეზი. აქ შემოდის სიტყვა „სინთეზი“, რომელსაც უშუალო კავშირი აქვს ხელოვანისა და ძალაუფლების ურთიერთობის პრობლემატიკასთან. იმ დროს, როდესაც ეიზენშტეინმა ბიბლიოთეკაში ლექცია წაიკითხა, იგი იღებდა ფილმს „нежин луг“. ეს ფილმი ეხება ყველასთვის მნიშვნელოვან თემას, მითხ, რომელიც ჩვენს ცხოვრებაში ცოცხლად მეორდება – პავლიკ მოროზოვის ამბავს. პავლიკ მოროზოვს ძალიან ხშირად ახსენებდნენ საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ; მახსოვს, 90-იანი წლების დასაწყისის საქართველოშიც მოულოდნელად გაიღვიძა ამ მითმა. დღესაც, როდესაც ქვეყანაში, თითქოს, შენდება სამოქალაქო საზოგადოება და მიდის დისკუსია, თუ როგორი უნდა იყოს კანონმორჩილი ადამიანი, ძალაუფლებურად გვაგონდება მითი საბჭოთა პიონერზე, რომელმაც დაასმინა კულაკი მამა, შემდეგ კი მამამ მოკლა. ძალიან საინტერესოა, რომ ეიზენშტეინმა, ფაქტობრივად, დაკვეთით გადაიღო ეს ფილმი 1933

წელს; პავლიკ მოროზოვის ამბავი იმ დროისთვის ძალიან პოპულარული გახდა – სტალინი კოლექტივიზაციას იწყებდა და კარგი პიარი სჭირდებოდათ. ამ მხრივ საუკეთესო მაგალითი იყო ამბავი კარგ პიონერ ბიჭუნაზე, რომელიც ცუდმა კულაკმა მამამ მოკლა. ძალიან საინტერესოა, რომ ამ პროპაგანდისტული მითის ეკრანზე გადატანა მოისურვა ადამიანმა, რომელსაც ერთი წლით ადრე, მექსიკაში ყოფნის დროს, იქ დარჩენის სურვილი გაუჩნდა და რომ არა სტალინის მუქარით აღსავსე დეპეშა, ეიზენშტეინი რუსეთში არც დაბრუნდებოდა. მნიშვნელოვანია, რომ ამ ადამიანმა გადაწყვიტა ფილმის გადაღება პავლიკ მოროზოვის შესახებ. ეს ფილმი აიკრძალა, არ არსებობს მისი ორიგინალი, დარჩა მხოლოდ ფოტოფირი და სცენარი. დღეს შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ როგორი იქნებოდა ამ მითის შესახებ იმ ადამიანის პოზიცია, რომელიც ფსიქოსინთეზს ქადაგებს. ფილმში რამდენიმე მნიშვნელოვანი სცენაა, მაგრამ დღეს ჩვენთვის ყველაზე საინტერესოა ეპიზოდი, რომელშიც ეიზენშტეინი დაწვრილებით აღწერს ეკლესიის ნგრევას და მის კლუბად გადაქცევას. მოგეხსენებათ, 20-იანი წლებისთვის ჩვეულებრივი ამბავი იყო ეკლესიის ადგილზე ბიბლიოთეკებისა და კლუბების აშენება. პარტიზნების ხმაურიანი სიმღერის ფონზე ვხედავთ ქალებს, რომლებიც შედიან საკურთხეველში. მნიშვნელოვანია, რომ იმ ეპოქის სხვა რეჟისორების ფილმებისგან განსხვავებით, ამ ფილმში ეკლესია კი არ ინგრევა, კლუბით იცვლება და ამ ეპიზოდიდან სიმღერას პროკოფიევის მუსიკა ენაცვლება. შეიძლება ითქვას, რომ ამ სცენაში, როდესაც ეკლესია ბიბლიოთეკად იქცევა, ეიზენშტეინი ისევ თავის საყვარელ თემას მიმართავს. მისი აზრით, ეკლესია უნდა გადაქცეულიყო სხვადასხვა კულტურისა და რწმენის თავშეყრის ადგილად. უნდა ითქვას, რომ ჩვენ ხშირად განვსჯით ხოლმე ისტორიას და მოსამართლეების როლში გამოვდივართ – პავლიკ მოროზოვის მითზეც მოსამართლეების პოზიციიდან დაიწყეს მსჯელობა. ამ დროს კი, ალბათ, აუცილებელია ჩავუღრმავდეთ ამ მითს, გავიგოთ მისი წყაროები და მივმართოთ ისევ და ისევ ფსიქოსინთეზს.

პავლიკ მოროზოვზე საუბარი 1932 წელს დაიწყო. სინამდვილეში არავინ იცის, ვინ იყო და ვინ მოკლა იგი. ფაქტია მხოლოდ, რომ არსებობს ისტორია მამა-შვილზე, რომლებიც სხვადასხვა კლასობრივ ბანაკში აღმოჩნდნენ. ისტორიული წყაროს მიხედვით, მამა იყო სოფლის საბჭოს თავმჯდომარე, რომელიც კულაკებზე ყალბ ცნობებს გასცემდა. პავლიკმა მამა ბოლშევიკებთან დააბეზლა, პიონერის მშობლები დააპატიმრეს და ნათესავებმა პავლიკი მოკლეს. ცოტა მოგვიანებით გაჩნდა ამ მითის უფრო ტრაგიკული, ჩვენთვის ნაცნობი ვერსია. როგორც ჩანს, ამერიკიდან ახლად დაბრუნებული ეიზენშტეინისთვის სახელმწიფოსა და ოჯახის თემა ძალიან მნიშვნელოვანი იყო. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ზუსტად ამ დროს, 1933 წელს, გერმანიის სახელმწიფოს სათავეში ნაცისტები მოვიდნენ. ამავე წელს გერმანელები იღებენ ფილმს – „ახალგაზრდა ჰიტლერელი კვექსი«. მასში ახალგაზრდა ნაცისტი ბიჭი გამოდის კომუნისტი მამის წინააღმდეგ. ამ ბიჭს კლავენ კომუნისტები, რაც სრულიად საკმარისი ხდება იმისთვის, რომ გერმანიაში ნაცისტური რეჟიმი აღორძინდეს. როგორც ჩანს, ერთსა და იმავე წელს, კომუნისტურ საბჭოთა კავშირში და ნაცისტურ გერმანიაში პავლიკ მოროზოვის მითი ერთნაირად აქტუალური ხდება. მნიშვნელოვანია, რომ სწორედ ამ წელს ეიზენშტეინი აპირებს ფილმის გადაღებას კაენისა და აბელის ისტორიაზე. ეს არის ამბავი მდიდარსა და ღარიბ მძაზე, რომლებიც ერთმანეთს

ემტერებიან და ხოცავენ. ეიზენშტეინს უნდოდა ამ მითის გარკვეული ინტერპრეტირება საბჭოთა სინამდვილეში. ძალიან საინტერესოა, როდესაც ეიზენშტეინი პავლიკ მოროზოვზე ფილმს იღებდა, საბჭოთა კავშირში კიროვი მოკლეს და ეს ფაქტიც ამ თემას დაუკავშირეს. ყველაზე უჩვეულო ისაა, რომ ეიზენშტეინის ფილმში მთავარი უნდა ყოფილიყო არა ის, რომ შვილი აბეზღებს მამას, არამედ ის, რომ მამა კლავს შვილს – მსხვერპლშეწირვის იდეა. მოგეხსენებათ, ეს იდეა ძალიან აქტუალურია 30-იანი წლების დასაწყისიდან – იწყება რეპრესიები, როგორც მსხვერპლშეწირვა ბოლშევიკური იდეის აღორძინებისთვის. აქ კი ჩვენ ვხედავთ ისტორიას, რომელშიც განვითარება შეფერხებულია დაახლოებით ისე, როგორც კიდევ ერთ ლიტერატურულ პირველწყაროში; მხედველობაში მაქვს პროსპერ მერიმეს „მატეო ფალკონე“. ეს ნაწარმოები ეიზენშტეინს ძალიან უყვარდა. პროგრესისთვის შვილის მსხვერპლად შეწირვის იდეა დღესაც ხშირად გვაგონდება, როცა მიმდინარე მოვლენებს ვუყურებთ.

დავუბრუნდეთ ფილმის იმ ეპიზოდს, როცა საკურთხევლის „დაპყრობა“ იწყება. ჩვენ ვხედავთ პავლიკ მოროზოვს, ბავშვს, რომელსაც თავზე აქვს ნათება. იგი, გარკვეული თვალსაზრისით, ქრისტეს როლშია, განსაცდელისთვის ემზადება. ეს ახალი მესიაა, რომელსაც მამა არ მიიღებს. ფაქტობრივად, ჩვენ მივდივართ მნიშვნელოვან თემამდე – მითი იქცევა ტრაგედიად და შვილის დანაშაული ის ხდება, რომ მამა გასცა, მამისა კი შვილის უარყოფა. ფაქტობრივად, ეიზენშტეინი აპირებდა პორტრეტის შექმნას 30-იანი წლების ეპოქისა, როდესაც ისტორია ადამიანის მსხვერპლშეწირვას მოითხოვდა. ეიზენშტეინის აზრით, ეს ყველაზე დაუშვებელი და უსამართლო მოვლენა იყო.

ჩვენ ყველანი მივეჩვიეთ მონო-ფილმებს ერთი კონკრეტული ადამიანის, გარკვეული ჯგუფებისა და მათ ურთიერთობების შესახებ. ეიზენშტეინი იყო პირველი რეჟისორი, რომელმაც ერთი ადამიანი სიმრავლით, ხოლო დრამა ტრაგედიით შეცვალა. სწორედ ამიტომ არის ყოველი დროის საუკეთესო ფილმად აღიარებული მისი ფილმი „ჯავშნოსანი პოტიომკინი“. ჩვენთვის გასაგები ხდება, რატომ უყვარდა მას თეოდორ დრაიზერის რომანი „ამერიკული ტრაგედია“. ეს ნაწარმოები დღეს განსაკუთრებით აქტუალური ხდება ჩვენთვის. ეს არის რომანი ინდივიდუალიზმის ტრაგედიაზე; როდესაც გვეუბნებიან, რომ უნდა ავაშენოთ ინდივიდუალიზმზე, პიროვნების თავისუფლებაზე დამყარებული ახალი საზოგადოება, მე პირადად ყოველთვის მაგონდება „ამერიკული ტრაგედია“, რომელშიც ავტორმა იწინასწარმეტყველა, სადამდე შეიძლება მივიდეს ინდივიდუალიზმი და ლიბერალიზმი – დასავლური საზოგადოების ეს მონაპოვარი. მართლაც, სადამდე შეიძლება მივიდეთ?! ალბათ, ერთიანობის იდეის ისეთ გარყვნამდე, როგორც ეს ფაშიზმმა და კომუნისმმა გააკეთა. თითქოს, ამ ორი ფილმის მაგალითზეც კარგად ჩანს, რომ ინდივიდი არაფერია და მასაა მთავარი. ლოგიკურად მივდივართ რასიზმისა და შოვინიზმის იდეამდე, ადამიანი და ნაცია შემოსაზღვრულია, თეორიაც შემოსაზღვრულია და აქედან გამომდინარე, ადამიანის განუმეორებლობა აღარ არსებობს.

სწორედ იმ დროს, როდესაც სტალინიზმი და ფაშიზმი ძალას იკრებს, ეიზენშტეინი ინტერვიუს აძლევს ერთ ამერიკულ გაზეთს: იგი საუბრობს ფორმალურ, ნამძალადევ, სტატიკურ ერთიანობაზე და ამბობს, რომ ეს მართლაც ასე მოხდება. დღეს, როდესაც ხშირად ვლაპარაკობთ ამ თემაზე, ლიბერალებისგან გამუდმებით გვესმის საყვედური იმის თაობაზე, რომ ჩვენ ვქადაგებთ ერთიანობასა და კომუნისმს ან სოციალიზმს.

მეორეს მხრივ, ადამიანთა საყოველთაო ერთიანობის იდეა, რომელსაც ის ქადაგებს, არის „იდეა“; იდეა კი იდეალურია ყველა იდეასთან მიმართებაში – იგი დაუნახავი და მიუღწეველია, ანუ მითია.

ოთარ იოსელიანი ერთ-ერთ ინტერვიუში ეიზენშტეინს მატყუარასა და იდეალისტს უწოდებს, ამბობს, რომ მან „ჯავშნოსანი პოტიომკინი“, კონიუნქტურას დაუმორჩილა (ფილმში მეფე თავის მესაზღვრეებს ხიზილალას აჭმევდა და არა – მატლიან სუჰს). მაგრამ, თუ ჩვენ შევთანხმდებით, რომ ეიზენშტეინი იდეალისტია, ადვილად წარმოვიდგენთ, როგორ შეცვალა მან ეს ისტორია. მეზღვაურებს მატლიანი სუჰი მისცა და სწორედ ეს გახადა რევოლუციის საბაზი. ეს არის აქამდე არსებულ იდეებს შორის ყველაზე იდეალური იდეა. იგი, ამავდროულად, ბუნების კონცეფციაა, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ. ეიზენშტეინის ფილმი „ივანე მრისხანე“, რომელიც ორი ნაწილისგან შედგება, სტალინმა სახელმწიფო პრემიით დააჯილდოვა, როგორც პროგრესული სურათი. თუმცა, მეორე სერიის ნახვის შემდეგ ეს ფილმი არა მხოლოდ აიკრძალა, არამედ მას ეიზენშტეინის შემოქმედებისა და ცხოვრების დასრულებაც მოჰყვა, იგი 1948 წელს გარდაიცვალა. მიზეზი ის გახლავთ, რომ მეორე სერიაში სტალინმა თავისი თავი იცნო. პირველ სერიაში ივანე მრისხანე წარმოგვიდგება პროგრესულ მეფედ, რომელმაც რუსეთი გააერთიანა. ბუნებრივია, რომ სტალინმა ამ პერსონაჟში საკუთარი თავი იცნო; მით უმეტეს, რომ ფილმი ომის დროს არის გადაღებული. პირველ სერიაში ივანე მრისხანე ამბობს ორ სიტყვას: Я один. რაც მაყურებელში დიდ სიმპატიას იწვევს; მეორე სერიაში ეს ორი სიტყვა გადაადგილებით მეორდება და გმირი იტყვის: Один я. ამ მომენტიდან ყველაფერი ინგრევა – ჩნდება ინდივიდუალიზმი, რომლიდანაც ერთი ნაბიჯი რჩება ძალადობამდე. მეორე სერიაში ჰორიზონტზე აგებული სისტემა ვერტიკალურით იცვლება – მარტო დარჩენილ ივანე მრისხანეს ძალაუფლება ჩაუვარდება ხელში და მაშინ იტყვის: Один я. ფილმის პირველ ნაწილში ივანე მრისხანე ისტორიის მიერ არჩეულ პიროვნებად წარმოგვიდგება; ისტორიამ აარჩია მძიმე ბავშვობის მქონე ადამიანი, რომელსაც დედა მოუკლეს. ტრაგედია ის არის, რომ იგი თავადაც ხვდება ყოველივე ამას. იგი არის კანონის განსახიერება, რადგან ისტორიის კანონმა აირჩია. ცნება „მე ვქმნი“ მოგვიანებით იქცევა ახალ თეზად – „ჩემია კანონი“ ანუ „მე ვარ კანონი“. ამიტომაც, ივანე მრისხანეს ტრაგედია იქცევა პერსონიფიკაციის ტრაგედიად, რომელიც აქტუალურია ჩვენი დროისთვისაც. ეიზენშტეინმა იწინასწარმეტყველა, რომ სწორედ XX საუკუნეში დაიწყებოდა პერსონიფიკაციის ახალი პროცესი; მისი აზრით, თუ 30-იან წლებში ამ პროცესს მხოლოდ ნაცისტები და კომუნისტები ქმნიდნენ (ერთს სტალინი ჰყავდა და მეორეს – ჰიტლერი), მოგვიანებით იგი შეიძლება შექმნან თანამედროვე ლიბერალებმა.

არის კიდევ ერთი ინტერვიუ, რომელიც იმ ადამიანების უკმაყოფილებას იწვევდა, რომლებიც 60-იან წლებში მოვიდნენ – ხრუმჩოვის თაობას საერთოდ არ უყვარდა ეიზენშტეინი და, მით უმეტეს, „პერესტროიკა“. ხრუმჩოვმა ჩათვალა, რომ ფილმი „ჯავშნოსანი პოტიომკინი“ ბოლშევიზმს უწევდა პროპაგანდას. ჩვენი საყვარელი ფრაზაა, რომ „პიროვნება ყველაფერია და უნდა ავაშენოთ ისეთი საზოგადოება, სადაც პიროვნების თავისუფლების იდეა უმთავრესი იქნება“. მაგრამ, ეიზენშტეინი კინემატოგრაფისტია და როგორც ვხედავთ, მხოლოდ კინემატოგრაფისტს შეეძლო არ მიეღო ეს იდეაც და ისიც, რომ ფსიქოანალიზი XX საუკუნეში ახალი რელიგიის

ჩანაცვლებაა. მან პირველმა თქვა, რომ მთავარია ფსიქოსინთეზი. მთავარი არის არა ერთი პიროვნება, მისი ან მეორეს თავისუფლება, არამედ ის, რაც ამ ორ პიროვნებას შორის ხდება, ანუ მათი ურთიერთობა. სწორედ ეს ურთიერთობა უნდა იყოს კულტურის განმსაზღვრელი, თორემ შეიძლება იქამდე მივიდეთ, რომ ფრაზა – “Я один” – შეიცვალოს ფრაზით – “Один я”. გავიხსენებ ჩემთვის საყვარელ ფილმს და რეჟისორს, ლუის ბუნუელსა და მის „ნაზარეველს“. ეს იქნებოდა გამოსავალი ეიზენშტეინისთვის, როცა ვერ იგებდნენ, თუ რისი თქმა უნდოდა სუპერინტელექტუალური ენით მოსაუბრე ხელოვანს, რომელიც იაპონურის სპეციალისტიც იყო. ამ ფილმის ფინალი განგვიმარტავს იმას, რასაც ეიზენშტეინი მთელი ცხოვრების მანძილზე ამბობდა.

«ნაზარეველი» არის ისტორია სოფელ მღვდელზე, რომელიც სოფლის კათოლიკური კანონებისთვის მკრეხელურად იქცევა, ქრისტიანობას ქადაგებს, მათეს სახარებას კითხულობს, მაგრამ სახლში მეძავები მოჰყავს და მათთან ერთად ცხოვრობს. ნაზარელს და მეძავებს დააპატიმრებენ, მღვდელი არ აღიარებს თავის დანაშაულს; ამბობს, რომ ის იქცევა ისე, როგორც ნამდვილი მოძღვარი უნდა იქცეოდეს. ფილმის ფინალში იგი სიკვდილით უნდა დაისაჯოს: ვხედავთ გოლგოთის მსგავს პეიზაჟს, ტანჯული, ნაწამები ნაზარელი ბილიკით მიჰყავთ; ფონზე ჩანს ჯვარი, რომელზეც იგი უნდა გააკრან. ფინალამდე მაყურებელი ფიქრობს, რომ მან სახარების ეკრანიზაციას უყურა და ნაზარელი იგივე ქრისტეა. ნაზარელიც ფიქრობს, რომ მან ქრისტიანულად იცხოვრა. მოულოდნელად, ჩვენ ვხედავთ ახალგაზრდა ქალს, რომელიც მას ანანასს შესთავაზებს. ველით, რომ იგი უარს იტყვის ანანასზე და გზას გააგრძელებს. როგორც ვხედავთ, ეს მართლაც სახარების ეკრანიზაციაა. ბუნუელმა არა მარტო დასცინა ქრისტიანობას, არამედ გააკეთა ის, რასაც ეიზენშტეინი აკეთებდა. შეიძლება, არ უნდა ანანასი და არც მის ჭამას აპირებს, მაგრამ ამ შემთხვევაში იგი სხვასაც და თავის თავსაც უმტკიცებს, რომ არ არის ქრისტე. მას არ უნდა ციტატაში, ტექსტში ყოფნა. აი ეს არის ეიზენშტეინის მთელი შემოქმედება. როგორც კი პიროვნება თავს იგრძნობს ვერტიკალის ნაწილად, «ღმერთად», მაშინ იწყება ის, რასაც იგი ინდივიდუალიზმის ტრაგედიას უწოდებს. რეჟისორს შემოაქვს სიტყვა, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენთვის; ეს არის მხატვრული სახიერება, რომელიც თავისთავად შეიცავს ურთიერთობას. მხატვრული სახე ვერ შეიქმნება კინოში შიდა კონფლიქტის ანუ კონტაქტის გარეშე. სიტყვა «იმაგო» სხვადასხვანაირად ითარგმნება – ეს არის დაპირისპირება სიტყვისა „პერსონა“. არსებობს პერსონა, არსებობს „იმაგო“, იმიჯი.

ეიზენშტეინი ერთ-ერთ თავის წერილს პავლო ფლორენცკის შემოქმედებას უძღვნის. იგი ყველა ჩვენთაგანისთვის საყვარელ ხატზე, წმინდა გიორგის ხატზე საუბრობს. ეიზენშტეინი წერს: მე ყოველთვის მიკვირდა, რატომ არის წმინდა გიორგი ხატებზე სევდიანი. მერე უხსნის, რა თქმა უნდა, თუ ჩვენ, ხატზე, მის შიგნით არსებულ კონფლიქტზე და მითზე ვისაუბრებთ, წმინდა გიორგი კლავს ურჩხულს. თუ ჩვენ ამ ხატს განვიხილავთ როგორც მხატვრულ სახეს, რომელშიც ურჩხული და წმინდა გიორგი ერთი სახის ნაწილებია, ხოლო წმინდა გიორგი თავის თავში კლავს ურჩხულს, ბუნებრივია, რომ იგი ემშვიდობება თავის ნაწილს. ამის შემდეგ იგი ვეღარ იქნება ბედნიერი. აქედან გამომდინარე, ისევ ვხედავთ პირდაპირ პარალელს ივანე მრისხანესთან, რომელიც ბედნიერი იყო. მან მსხვერპლშეწირვის ხარჯზე გააერთიანა რუსეთი და წარმოვიდგა პროგრესულ მეფედ, მაგრამ ვერ იქცა უბედურად,

მიუხედავად იმისა, რომ იგი მარტოა. ისევ და ისევ პერსონიფიკაციის ტრაგედიამდე მივდივართ. რა კავშირი აქვს ამ ყველაფერს ძალაუფლების პრობლემასთან?! საუბარია იმაზე, რომ ადამიანი ინდივიდად ყალიბდება კონტაქტსა და ურთიერთობაში – სიყვარულში, მეგობრობაში თუ სხვა ურთიერთობაში ჩანს, ვინ არის და რამდენად თავისუფალია იგი. მას მოჰყავს ტალეირანის ცნობილი ფრაზა – “я не друг человечества”. სწორედ მაშინ, როდესაც კინოს გადაღებას უკრძალავენ, ეიზენშტეინი წერს გამოკვლევას – „არაგულგრილი ბუნება». მისი მამა რიგის მთავარი არქიტექტორი იყო და იმისათვის, რომ ეს თანამდებობა მიეღო, უარი თქვა ებრაელობაზე, ქრისტიანად მოინათლა. ეიზენშტეინის დედა რუს ვაჭართა კლასს მიეკუთვნებოდა. მან, ფაქტობრივად, მარტოობაში გაატარა ბავშვობა და თავის ბიოგრაფიაში წერს კიდევ: როდესაც მშობლები მიმატოვებდნენ ხოლმე, ჩამოვიღებდი მამაჩემის გრავიურების სქელ ალბომს წმინდანების წამების შესახებ, ვუყურებდი ჩემთვის უცნობ პერსონაჟებს და მეტირებოდა; ვტიროდი ჩემს თავზე და არა ამ წმინდანებზე; ყოველთვის მეშინოდა იმის, რომ არასდროს მეგრძნო თავი წმინდა სებასტიანის, წმინდა გიორგის თუ ქრისტეს როლში. ეიზენშტეინს ეშინოდა და იბრძოდა, რომ მისი ცხოვრებისეული ტრაგედია არ გადაქცეულიყო პერსონიფიკაციის ტრაგედიად; მან ამ შიშს დაუთმო დიდი დრო და გამოკვლევა, რომელსაც „არაგულგრილი» ბუნება ეწოდება. ეს გამოკვლევა ეხება თანამედროვე კულტურას და საერთოდ, ზნეობას. რას ნიშნავს ზნეობა და როგორი უნდა იყოს ზნეობრივი ადამიანი? გამოკვლევა იწყება როზენოვის ციტატით, რომელმაც 1911 წელს დაწერა წიგნი ბახის შესახებ. გამოდის, რომ ბახის მუსიკაში ბგერები ჩამწკრივებულან და თავიანთ რიგს ელოდებიან, ბახის მთელი მუსიკა ბგერების ერთმანეთთან საუბარია. საერთოდ, საუბარი და ურთიერთობა აღმოჩნდება მთავარი ჩვენი ცხოვრებისათვის. რატომ არ დარჩა ეიზენშტეინი ამერიკაში, სადაც თავშესაფარს აძლევდნენ? ბევრი სვამს ამ კითხვას. მრჩება შთაბეჭდილება, რომ იგი ამერიკაში არ დარჩა იმიტომ, რატომაც არ რჩება ბევრი ჩვენგანი. მან იგრძნო დასავლური საზოგადოების – პერსონიფიკაციისა და საუბრის დეფიციტის პრობლემა, რაც დაგეგმარებით და, ზოგჯერ, თვითმკვლევლობებით მთავრდება. ეიზენშტეინი თვითონაც გაკვირვებული იყო, რომ თუ დასავლელს გეგმა ჩაეშალა, მან შეიძლება თვითმკვლევლობით დაამთავროს სიცოცხლე. ეს მისთვის სრულიად გაუგონარი ამბავი იყო.

„მხატვრული ნაწარმოები უნდა იყოს თავისი კომპოზიციით ორგანული და თავისი ზემოქმედებით პათოსური“ – ეს არის ეიზენშტეინის ცნობილი გამოთქმა. რას ნიშნავს პათოსური? თუ ორგანულია თავისი კომპოზიციით, ე.ი. პათოსურია თავისი ზემოქმედებით – ანუ თუ მთლიანია, ორგანულია, მან არ შეიძლება გავლენა არ მოახდინოს ჩვენზე. გადავიდეთ ისევ ბუნებაზე და გავიხსენოთ ცნობილი ლოგარითმული სპირალები, რომლებიც „ოქროს კვეთაში» ერთი და იგივე ფორმულით ერთიანდებიან. ჯერ კიდევ პლატონიც ამბობდა, რომ ორი საგნის შეერთება შეუძლებელია მესამეს გარეშე; გავიხსენოთ პუშკინის «ბებრები», სანამ მესამე არ ჩაერევა, კონფლიქტი არ არის დრამა.

პირველი ხელოვანი, რომლითაც ეიზენშტეინი დაინტერესდა, პუშკინია. მას აინტერესებდა, თუ რა ფარული კანონები არსებობდა ამ ურთიერთობაში; ნოლი მთელი ექვსასთვრამეტი პროპორცია ოქროს კვეთისა სრულიად საკმარისი გახდა იმისთვის, რომ

მას პუშკინის ყველა ლექსი ამ პროპორციის შესაბამისად გაეშალა, დაეწყო ძებნა იმისა, თუ სად გადის მათში „ოქროს კვეთა«. მის ნაშრომში ჩანს, როგორ არის დაყოფილი „რუსლანი და ლუდმილა“. როგორც კი ეიზენშტეინი ამ პროპორციის გაგებამდე მიდის, განუწყვეტლივ ამბობს: зЛОТОНЪ. აქედან იწყება პუშკინის ლექსების ახლებური გაშიფვრა: აღმოჩნდა, რომ პუშკინის მთავარი სათქმელი, რომელსაც ვერასოდეს ეტყვის მეფეს, ამ ფარულ კოდშია ჩადებული. ეს კოდი გადის „ოქროს კვეთაში« – ნულ მთელ ექვსას თვრამეტ მეთასედზე. ეიზენშტეინის აზრით, პუშკინს იმედი აქვს, რომ მოვა ახალი თაობა, ასეთ ლექსებს დაიანგარიშებს და სათქმელს გაიგებს. აი, თურმე ვინ ყოფილა პუშკინი და როგორი კავშირი ჰქონდა მეფესთან. ბუნებრივია, კაცისთვის, რომელიც სტალინის ეპოქაში ცხოვრობდა, მნიშვნელოვანია, რომ თვითონაც მსგავსი კოდებით უთხრას მკითხველს თავისი სათქმელი. იგი ისეთ გასაოცარ საკითხებს ეუბნება მკითხველს, რომ შეიძლება ამისთვის დაეხვრიტათ კიდეც 1937 წელს. კიდეც ერთი მაგალითი ფერწერიდან – მხატვარი სურიკოვი და მისი ცნობილი სურათი “БаярИня Морозова”. აქ მოროზოვა ციგით მოდის და მას ეგებება მოსახლეობა. თავადის ქალი ციგაზე მკაცრი გამომეტყველებით დგას, ხელი წინ აქვს გაწვდილი და რაღაცას ამბობს. ვისთვისაც ნაცნობია კომპოზიციის კანონები, იცის, რომ ჩვენი ყურადღება უნდა იყოს მიმართული დიაგონალისკენ, რათა აღვიქვათ მთავარი პერსონაჟი ან ის, გადაადგილებულია თუ არა პერსონაჟი. მთავარი აქ არის არა მოროზოვა, არამედ მისი სიტყვა. სიტყვა ფერწერაში გამოუხატავია. ავტორს უნდოდა, რომ ჩვენი ყურადღება მეორე მხარეს გადაეტანა. იგი სხვა მხატვრებსაც ასახელებს, მაგალითად, ლეონარდო და ვინჩის.

ბუნებრივად ჩნდება კითხვა: რა გამოდის, რომ პუშკინი როცა „რუსლანი და ლუდმილა«-ს წერდა, თავის სურათებს ხაზავდა და ნულ მთელ ექვსას მეთასედს ეძებდა, იმისთვის, რომ ეს საიდუმლო კოდი დაეფიქსირებინა?! რა თქმა უნდა, არა. აქ მივდივართ ეიზენშტეინის ძირითად დასკვნამდე, რომ თუკი ხელოვანი ორგანული ანუ თავისუფალია, მაშინ ის მუდმივად ცხოვრობს „ოქროს კვეთაში«. როდესაც შემოქმედებითი პროცესი იწყება, ნამდვილი ხელოვანი ინსტიქტურად აუცილებლად იტყვის მთავარ სათქმელს „ოქროს კვეთაში«. შეიძლება ვილაპარაკოთ იმაზე, თუ რამდენად თავისუფალია ხელოვანი. ერთ-ერთ ადგილას ეიზენშტეინი წერს, რომ მეფეზე დამოკიდებული ხელოვანი ვერ იქნება თავისუფალი, ხოლო თუ თავს გრძნობს ჭიანჭველების, აყვავებული ხეების და ა.შ. ნაწილად, ის ყოველთვის თავისუფალია.

ურთიერთობა არის ის, რაც ანვითარებს მოძრავ ხელოვნებას – ბახის მუსიკასაც და კინემატოგრაფიასაც. კინემატოგრაფია თავისი ენით კონფლიქტის ხელოვნებაა. გავიხსენოთ ფილმი „ოქტომბერი«, რომელშიც ასეთი სცენაა: ბოლშევიკები შეესევინან ზამთრის სასახლეს, სარდაფში ჩადიან და იქ ხვდებათ ღმერთების გამოსახულება – ქრისტიანული ხატები, ბუდისტური ხელოვნების ნიმუშები, აფრიკელ კერპთა გამოსახულებები. რევოლუციონერები ჩადიან და ეკრანზე ვხედავთ ბუდას, აფრიკულ კერპს, ამის შემდეგ კადრები ეჯახება ერთმანეთს და მაყურებელი თვალებს ხუჭავს. ჩვენ გვასწავლიდნენ, რომ ეს იყო „აფერისტული“ პოზიცია და რომ ეიზენშტეინმა დასცინა რელიგიას, საერთოდ ღმერთის ცნებას. მთავარია ის, თუ რა ემართება მაყურებელს, რომელმაც თვალები დახუჭა. როცა ჩვენ დავხუჭეთ თვალები, ჩვენს ცნობიერებაში გაჩნდა ღმერთის იდეა – ღმერთი აღარ არის მხოლოდ ხატი. ეიზენშტეინისთვისაც არ

არსებობდა ხატი. მით უმეტეს, 30-იან წლებში, როდესაც ეკლესია გადაიქცა ბიბლიოთეკად, რომელშიც სხვადასხვა რელიგიის და კულტურის წიგნები ჩანდა. კოლმეურნეობაში შესულ მოროზოვის პიონერ მეგობრებს ხელში ეჭირათ წიგნები, გაათავისუფლეს საკურთხეველი, ჩამოიღეს ხატები და შექმნეს ბიბლიოთეკა. ეს იყო მისი პოზიცია, ეს იყო ის ბიბლიოთეკა, რომელსაც მოროზოვი შეეწირა. მამებს არ უნდათ, რომ მათი შვილები ქადაგებდნენ ამ ბიბლიოთეკაში და ამიტომ არის ეს მამა მზად თავისი შვილის მოსაკლავად. ეს არის შვილი, რომელიც სტალინის დიქტატურას შეეწირა. აღმოჩნდა, რომ ცენზურა და ძალაუფლება მშვენიერი რამაა ხელოვანისთვის, მას შეუძლია იანგარიშოს, სად იქნება ექვსას მეთათსედი, თავი წარმოიდგინოს მზესუმზირის როლში, აყვავდეს და ბუნებრივი, ორგანული გახდეს. გამოდის, რომ ცენზურა არის მაღლი, როგორც ეიზენშტეინი ფიქრობდა. ეიზენშტეინი დარწმუნებული იყო, რომ სადაც ცენზურა არ არის, იქ ხელოვნებას უჭირს. მან მაგალითად მოიყვანა მხატვარი, რომელიც მისთვის იდეალი იყო – ელ გრეკო. ელ გრეკოს ძალიან გაუჭირდა ცენზურასთან და დამკვეთთან ურთიერთობა და იგი გიჟად შერაცხეს. მაგალითად, როდესაც ოთარ იოსელიანის ზემოხსენებული ინტერვიუ წავიკითხე, იგი წარმოვიდგინე იმ მღვდელმთავრების როლში, რომლებიც უყურებდნენ ელ გრეკოს „ტოლედოს“ და ამბობდნენ, რომ ეს არ არის «ტოლედო». ამ სურათზე ტოლედო წვიმაში ისეა წარმოდგენილი, ჩვენმა მხატვარმა რომ მამა დავითის გვერდით სპორტის სასახლე დახატოს. ზოგი ხომ იტყვის, რომ ეს არ არის მამა დავითი?! „კანონის“ თანახმად, ხომ უნდა დახატო ზუსტად ის, რასაც ხედავ?! ელ გრეკოს სულ არ აინტერესებდა რეალობა, მისთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო „ტოლედოს“ სახე. და, როგორც ამბობენ, იგი არა თვალთ, არამედ გულით ხედავდა.

ასე ამთავრებს ეიზენშტეინი თავის წერილს.

ჩვენთვის ცნობილია მარია იუდინას ისტორია:

ეს პიანისტი ქალი ძალიან უცნაური ხასიათის იყო. ბევრ კატასთან ცხოვრობდა; იგი მეგობრობდა ეიზენშტეინთან, პასტერნაკთან და სხვა ცნობილ პიროვნებებთან. იუდინას 1946 წელს მოცარტის კონცერტი №20 უნდა შეესრულებინა; ეს პირდაპირი რეპორტაჟი რადიოთი მოისმინა სტალინმა. ბელადს ძალიან მოეწონა შესრულება, რადიოში დარეკა და ითხოვა: „красивую музыку играете, пришлите пластинку“. რადიოს დირექტორმა ვერ გაბედა იმის თქმა, რომ ეს პირდაპირი ეთერი იყო და ფირი არ არსებობდა. სასწრაფოდ მოიწვიეს ორკესტრი ღამის ორ საათზე, დირიჟორი ცუდად გახდა – იცოდა, ვისთვის უნდა დაეკრა. ბოლოს, იუდინამ განაცხადა, რომ თავად იქნებოდა დირიჟორი და დაუკრა. ეს არის ერთადერთი ჩანაწერი მუსიკის ისტორიაში, როდესაც მუსიკოსი დიქტატორისთვის უკრავს. მეორე დღეს სტალინს ფირფიტა გაუგზავნეს. აღფრთოვანებულმა კრემლიდან დეპუტა გაგზავნა მარია იუდინას სტალინის პრემიით და დიდი ფულით დაჯილდოების შესახებ. იუდინამ სტალინს აცნობა, რომ მთელი ფული ეკლესიას გადასცა სტალინის ცოდვების გამოსასყიდად. ამის შემდეგ, რამდენიმე ხნის მანძილზე, იუდინა დაპატიმრებას ელოდებოდა, მაგრამ არავინ მისულა. ამ ამბის შესახებ სხვადასხვა ვერსია არსებობს, მაგრამ ფაქტია, რომ პიანისტი გადარჩა. უკვე საავადმყოფოში მყოფი ეიზენშტეინი წერს: „გულით მცხოვრები მარია იუდინა. სულ მეუბნებიან: თქვენ ჭკვიანი კაცი ხართ, იეროგლიფები გაშიფრეთ და გვითხარით, როგორ ვიცხოვროთ? მე სულ მარია იუდინას მაგალითი მომყავს – ჰკითხე შენს გულს,

გული გეტყვის, როგორ იცხოვრო». რა თქმა უნდა, რეჟისორი გულისხმობს ადამიანს, რომელიც ბუნების ორგანულად ცხოვრობს.

8 დეკემბერი, 2006 წელი.

РАБИН РАВ АВИМЕЛЕХ РОЗЕНБЛАТ

НОРМАТИВНЫЙ ИУДАИЗМ В ТОРЕ (Основные понятия Торы)

Однажды к одному Раввину пришел еврей. Он был человеком нерелигиозным и долго доказывал, что он не верит в Б-га. Раввин долго слушал и в конце сказал: “Знаешь, я тоже не верю”. Еврей поразился – как? Ведь эта ваша “работа”. Все очень просто, ответил Раввин. В того Б-га, в которого ты не веришь, я тоже не верю.

Это анекдот, но в действительности многие вещи происходят от непонимания, или незнания. Поэтому, одно из важнейших требований Торы – познание; познавание мира, познавание себя, познавания своей роли, задачи в этом мире, и как этого достичь. Но мы знаем, что сколько людей, столько и мнений. Поэтому, мы стараемся руководствоваться тем, что было получено непосредственно от Б-га. Вот мы и подошли к понятию Тора. Этимологически слово Тора происходит от еврейского слова “*horaа*” (учение) и имеет два значения. В первом, самом узком смысле понятие Тора означает то, что мы называем “Пятикнижием Моисея”, или Хумаш. В более широком смысле она означает всю еврейскую традицию от получения Торы, включая наши дни, и то, что будет (постановления еврейских мудрецов).

Что такое Пятикнижие Моше – все знают. В нем самом записано, что весь его текст был продиктован Б-гом Моше (Тора дана была уже в 2448 году от сотворения мира, 3316 лет назад). Первая часть Хумаша – “Берейшит” – в ней рассказывается о сотворении мира, о том, что происходило после этого, о рождении Авраама и его потомков. Вторая – “Шмот” – рассказывает о выходе евреев из Египта и о получении Торы на горе Синай. Далее книги “Ваикра” (“Возвал”) и “Бемидбар” (“В пустыне”) – сообщают заповеди и повествуют о том, что происходило с евреями в пустыне на протяжении 40 лет. И книга “Дварим” разъясняет многие законы. То есть это Тора в узком понимании. А что такое широкое понятие? Это законы, обычаи, мировоззрение, нормы поведения человека и общества. Источник этого – Устная Тора, которая была получена одновременно с Хумашем (Пятикнижием) на горе Синай. Евреи получили от Б-га учение в виде Письменной и Устной Торы. Зачем это нужно, и как соотносятся друг с другом эти части? Говорит рав Шимшон Рафаэль Гирш: “Отношение Устной Торы к Письменной подобно отношению прочитанной научной лекции к краткому ее конспекту. Студенты, прослушавшие лекцию, смогут в любой

момент восстановить ее содержание на основе кратких записей. Зачастую им достаточно нескольких слов, восклицательного знака, точки или подчеркнутого слово, чтобы восстановить в памяти целый ряд идей и замечаний, которые были изложены стоящим на кафедре преподавателем; тем же, кто не слышал самой лекции, конспект является чем-то вроде китайского письма”.

Невозможно учить что-то по чужим конспектам. Но если так, можно спросить, зачем так сложно? Почему Б-г не передал всю информацию сразу, и евреи записали бы ее за 40 лет пребывания в пустыне. Ответ в том, что законы и информация, записанные в Торе, были предназначены не для одного поколения, а для всех времен. Тора - единственная у евреев на все поколения. Поэтому, во-первых, необходимо сохранить информацию в ее первоначальном виде. Второе, чтобы оградить закон Б-га от разных искажений, необходимо контролировать передающую систему. Поэтому Тора была получена в Письменном и Устном виде. Переданная в письменном виде информация гарантирована от забвения. Но в этом есть недостаток; далеко не всегда однозначно можно понять то, что записано очень кратко. С течением времени смысл даже одного и того же слова может меняться. Поэтому параллельно Б-г передал евреям устный закон. Если Тора пишет, что в праздник Суккот нужно взять в руки плод этрог (цитрон), то существует опасность, что со временем люди забудут, какой именно плод имеется в виду. Как, например, с кистями на краях одежды “ Тора говорит, что они должны быть покрашены в голубой цвет. Устная Тора объясняет, что краской должна служить кровь определенного моллюска, но так как мы сейчас не знаем, что это за моллюски, поэтому и не красим кисти. В случае этрога – наглядность, демонстрация сохраняет возможность выполнять заповедь во все времена.

Или другой пример – заповедь Тфилин. Тора повелевает, чтобы у евреев была «тотафот» на лбу, между глаз. “Тотафот” – это “украшение”. Каким оно должно быть, Тора не указывает. Но Устная Тора подробно описывает их устройство и способ изготовления. Кроме того, учитель объясняет тонкости каждого закона ученику, показывает связь Письменной и Устной Торы. Еще раз хочу повторить, что это одна Тора, но только Устная поясняет более детально и глубоко Письменную. И в действительности еврейский народ сохранил Тору в том же виде, как она была получена много сотен лет назад. И поэтому, мы сохраняем Тору и для следующих поколений. Проверим, правда ли это.

Посмотрим на Хумаш (Пятикнижие). В любой книге есть опечатки. Кажется, столько раз Тора переписывалась, сколько должно быть опечаток. Но сверим свитки Торы евреев Йемена, Марокко, евреев, которые сотни лет не имели возможности общаться между собой.

Даже свитки, написанные, две тысячи лет назад и найденные сейчас идентичны. Б-г позаботился об этом, дав свои законы. Например, свиток Торы нельзя писать по памяти, только имея оригинал перед глазами. Потом свиток проверяют. И только потом по нему можно читать. Тору читают три раза в неделю по свитку, каждую неделю одну главу, так, чтобы за год прочитать весь Хумаш. Это тоже помогает сохранить и проверить дополнительно текст, потому что чтец читает по свитку, а остальные следят по книгам. И ошибки, если они есть, обнаруживаются сразу же. Если в свитке хоть одна ошибка, или не хватает буквы или лишняя буква – по нему уже нельзя читать Тору.

Устная Тора – ее называют Устной, так как изначально, ее нельзя было записывать. Ее передавали устно от учителя к ученику. Естественно, в этой передаче принимали участие миллионы люди всех без исключения поколений, и это для того, чтобы избежать искажений. И сейчас мы можем восстановить эту цепочку, конечно, не всех людей, а самых выдающихся во всех поколениях.

Но во втором столетии новой эры римляне начали уничтожать мудрецов. А если погибли бы мудрецы, то Тора Устная исчезла бы вместе с ними. Кроме того, началось рассеяние еврейского народа из земли Израиля. Возникла опасность того, что Устная Тора претерпит искажения. Поэтому возникла необходимость ее записать. Так возникла Мишна. Были очень кратко записаны самые основные моменты учения. Естественно, без преподавателя изучать Мишну было невозможно. Теперь задачей мудрецов было разъяснять положения Мишны. В дальнейшем возникла необходимость записать и комментарии к Мишне, все дискуссии и доказательства. В V веке нашей эры появились Гемара. Вместе Мишна и Гемара составляют Талмуд. То есть это запись Устной Торы, полученной на горе Синай. В дальнейшем, назрела необходимость кодификации Устной Торы, чтобы каждый еврей знал, что от него требует закон во всех жизненных ситуациях. Появился “Шулхан Арух”. И сейчас мудрецы продолжают записывать и объяснять Устную Тору народу. Ведь в каждом поколении есть свой язык передачи информации. Таким образом, сохраняется преемственность. Ведь в Торе есть все. Б-г не мог чего-то не предусмотреть. Ко всем поколениям относится его закон. Задача мудрецов – объяснить Тору для своего поколения.

Заповеди были даны Б-гом, и человеческий разум не в состоянии проникнуть в глубины Б-жественного разума. Общая цель заповедей - сформировать нравственного человека. В дополнение к общей цели каждая конкретная заповедь обладает еще и собственным смыслом, также способствующем достижению общей цели. Заповеди делятся на относящиеся к взаимоотношениям между человеком и Б-гом, человеком и человеком.

Сказал раби Акива: “Люби своего ближнего, как самого себя – таково главное правило Торы”. Это заповедь, обеспечивающая существование любого нормального общества. Исполнение же ее дается труднее всего, так как, с одной стороны, человеку свойственно стремиться к наслаждению и удовольствию, часто за счет ближнего, с другой стороны, ему не свойственно делать добро ближнему в ущерб самому себе.

Младенец рождается со сжатыми кулаками, он как бы хочет ухватить весь мир. И всю жизнь человек стремиться схватить, прибрать все. Он не слушает голос разума.

Задача человека – подчинить разуму свои чувства и эмоции. Эта задача неразрешима без постоянного самовоспитания, а выполняется она путем исполнения заповедей. Качества человека формируются под влиянием его поступков. Правильные действия отпечатываются в душе в виде положительных качеств; неправильные, пусть даже совершенные с добрыми намерениями, — наоборот, в виде качеств отрицательных. Совершенством иудаизм считает “золотую середину”, то есть равно удаленность от двух полюсов – например, не скупость, но и не расточительность. Заповеди Торы призваны отодвинуть человека от отрицательного полюса и приблизить к положительному, чтобы в конце концов человек приблизился бы к искомой “золотой середине”.

Например, соблюдения законов кашрута, также служит воспитанию нравственных качеств. Они даны не из медицинских соображений. О запрете есть нечистых животных сказано в Торе: “Не оскверняйте ваши души”. Речь идет о душе, а не о теле. Пища влияет на поведение человека и душевные качества. Это сейчас хорошо известно. Нам не понять, как запрещенные виды пищи стимулирует развитие дурных качеств. Но ведь и принимая лекарства, мы не знаем принцип их действия. Только Творец, который создал и человека и пищу для него, знает это. И так во всем.

Бог дал нам все законы – связанные с имущественным, уголовным правом, диетарные законы, моральные. И вся совокупность их предназначена воспитать человека. Ведь сказано в книге “Берейшит” (“В начале”) – Б-г, обращаясь человеку, говорит: “Создадим человека”. Один из комментариев говорит, что Б-г обращается к каждому из нас: “Давайте вместе создадим из тебя человека, ты и Я. А как? Главное - желание, открой мою книгу и прочитай”.

19 апреля, 2007 год.

ზურაბ კვიციანი

ადამიანი ბიბლიურ დროში

დრო ბიბლიის მდუმარე პერსონაჟია, რომელიც განსაზღვრავს მის ხასიათს. დროის აღქმის თავისებურება განაპირობებს ბიბლიური ნარატივის თავისებურებას. ნ. ბერდიაევი ერთგან წერს, ბერძნები და ებრაელები ცხოვრობდნენ არა სხვადასხვა დროს, არამედ განსხვავებულ დროში. ჩვენ დავუმატებდით: არა მხოლოდ ბერძნები და ებრაელები, არამედ ებრაელები და მისი მონათესავე და მეზობელი ხალხებიც განსხვავებულ დროში, ანუ დროის განსხვავებული განცდით ცხოვრობდნენ. ნამდვილად დროის აღქმა ფუნდამენტურად განასხვავებს ერთმანეთისგან რელიგიებს და კულტურებს.

ბიბლიის (ძველი და ახალი აღთქმის) მკითხველისთვის აშკარაა, რომ ამ ერთიან წიგნში განსაკუთრებულად ძლიერია დროის განცდა. ეს თითქოს ნიშნავს დროული განზომილების უპირატესობას სივრცული განზომილების მიმართ. ბიბლია აღწერს ადამიანს მის მოძრაობაში, მოქმედებაში, მიმოსვლაში. მას არ იზიდავს ბუნება, სივრცეში განფენილი რეალობა. ლანდშაფტის აღწერის სიძუნწე, თუკი სადმე ვხვდებით აღწერას, ბიბლიური თხრობის სტილისტიკის სფეროს არ ეკუთვნის. ეს კონცეპტუალური ნიშანია.

ბიბლიურ თხრობას იზიდავს ადამიანი, რომელიც მიმოდის ქვეყანაში, გაივლის მას, მაგრამ არა თავისთავად ქვეყანას. იგი არ აღწერს ეგვიპტეს, არამედ იმას, თუ რა „ადგილი“ უჭირავს ეგვიპტეში ყოფნას, ანუ ეგვიპტურ დროს ხალხის ისტორიაში; არ აღწერს უდაბნოს, მის ლანდშაფტს, არამედ გზას უდაბნოში, დრტვინვას, მოსმენას, რითაც ივსება უდაბნოში გატარებული დრო – უდაბნოს დრო. ეგვიპტე და უდაბნო ის ჭურჭლებია, რომლებშიც მიედინება ხალხის ჩამოყალიბებისთვის აუცილებელი დრო,

რომელიც მიმართულია დასასრულისკენ. ეგვიპტის ან უდაბნოს გახსენებისას, ითქმის არა სადაც, არამედ როდესაც („როცა ყრმა იყო ისრაელი და მიყვარდა იგი», ოსია 11:1). ბერძნული კოსმოსისგან განსხვავებით, ბიბლიური სამყარო უფრო დროში არსებობს, ვიდრე სივრცეში. კოსმოსი, სადაც ბერძენი ცხოვრობს, დასრულებულია; მაგრამ სოფელი, სადაც ძველი აღთქმის ადამიანი მოძრაობს, ჯერ კიდევ არ დასრულებულა, ის განაგრძობს ქმნადობას, ანუ ის პროცესშია, ის გარდაქმნას ელის. ბიბლია უპირატესობას ანიჭებს დროში თავისუფლად მოძრავ აბელს სივრცის ტყვეობაში მოქცეული, ქალაქთა მშენებელი კაენის წინაშე. აბელი, დრო-ჟამის შვილი, ბუნებრივად, როგორც თევზი დაცურავს დროში, კაენი კი, შიშით და ძრწოლით დაძრწის (დაბ. 4:14) დროში და საბოლოოდ სივრცეში მკვიდრდება. და სახელი იმ ადგილისა, რომელსაც ის სამკვიდროდ აირჩევს, მის სულიერ მდგომარეობას გამოხატავს – ნოდ „ძრწოლა», «წრიალი» (დაბ. 4:16).

თუ დავაკვირდებით აბრაამის ცხოვრებას (და ის პირველია ძველი აღთქმის ადამიანთა შორის, ვისი კონკრეტული ნაბიჯები ვიცით), დავინახავთ, რომ ის მუდმივად გზაშია, არსად სივრცეში მას მუდმივი სამკვიდრო არა აქვს. გზის არსებითი მახასიათებელი კი დროა. დრო-ჟამის განმავლობა თავის კვალს ტოვებს სივრცეზე და სივრცის ყოველი მონაკვეთი ამ დატოვებული კვალის მეოხებით არის ღირებული. პირველი პატრიარქების (განსაკუთრებით აბრაამის, იაკობის, იოსების) მსოფლგანცდაში ეს ქვეყანა, რომელიც აღთქმით მიეცა მათ, არ არის განსრულებული, რადგან ის ჟამი, როცა პატრიარქების წიაღიდან გამოსულმა ხალხმა უნდა დაიმკვიდროს იგი, ჯერ არ დამდგარა, მაგრამ ეს ჯერ კიდევ დაუმდგარი დრო ამოძრავებს ისტორიას. ქვეყნის არსებობის მოდუსი დროა და არა სივრცე. ამგვარი მსოფლგანცდის შედეგად პოსტბიბლიურ ხანაში სიტყვა ყოლამ, რომელიც აღნიშნავდა დროის მონაკვეთს, უფრო სწორად, დროის განმავლობას (როგორც წარსულში, ისე მომავალში), „სოფლის» (სამყაროს) მნიშვნელობას იღებს ძველი მნიშვნელობის შენარჩუნებით.

დროის უპირატესობას სივრცის წინაშე იუდაისტი ფილოსოფოსი აბრაჰამ ჰენშელი ამგვარად წარმოიდგენს: „დასაწყისში დრო ერთი იყო, მარადიული, განუყოფელი. მას არავითარი კავშირი არ ჰქონდა სივრცესთან. მაგრამ როცა ერთიანი დრო შვიდ დღედ დანაწილდა, მაშინ იგი მჭიდროდ დაუკავშირდა სივრცის სამყაროს. თითოეულ დღესთან ერთად, გარდა შაბათისა, საგანთა გარკვეული სფერო წარმოიშვა. შაბათი კი, როგორც დღე, განცალკევებულად დგას“. ჰენშელი განაგრძობს იგავით: „იგი, შაბათი, შეგვიძლია მეფეს შევადაროთ, რომელსაც შვიდი ვაჟი ჰყავდა. ექვსთაგან თითოეულს თავისი დოვლათი უანდერძა, უმრწემესს კი მეფობის ღირსება მისცა“. ეს დოვლათი არის ყველაფერი ის, რაც ექვსი დღის განმავლობაში შეიქმნა, ხოლო მეფობის ღირსება არის შაბათი ანუ წმიდა დრო, როცა არაფერი შექმნილა. მაგრამ ამის გამო შაბათი არ არის ცარიელი დრო, ანუ ასეც შეიძლება ვთქვათ: შაბათის სიცარიელე უქმობაა, რომელიც თავისუფლების გამოხატულებაა, შაბათი არ არის დაბმული ნივთიერ სამყაროზე, როგორც სხვა დღეები. მისი თავისუფლება სულშია, რადგან ის სამეფოა, უფლის დღეა.

რით განსხვავდება შაბათი დანარჩენი ექვსი დღისაგან? ექვსდღიანი წარმავლობა შაბათის სახით მარადისობაში გადადის. შაბათი ექვსეულის განსრულებაა, მასშია მისი მიზანი და საზრისი. დღეს ამ წუთისოფელში, ამ დროჟამულ განზომილებაში, შაბათი ერთადერთი დღეა, რომელიც მარადისობის ხატს ატარებს. შაბათი წინასწარ, ამ

წუთისოფელშივე, ამზადებს ადამიანს მარადისობისთვის, როცა უკანასკნელი შაბათი დაავგირგვინებს დღეებს.

ამრიგად, საბოლოოდ, ძველი აღთქმა პატივს დებს არა დროს თავისთავად, როგორც ასეთს, არამედ პატივს დებს მას იმის გამო, რომ მას შაბათი მოჰყავს. ბიბლია პატივს დებს შაბათს, რადგან იგი, როგორც შეწყვეტა (ეს არის შაბათ-სიტყვის მნიშვნელობა), როგორც დროის შეყენება, მარადისობის ხატია. ექვსი დღე შაბათის მოლოდინით არის სავსე. მოლოდინი ელის დღეთა აღვსებას, უკანასკნელ ჟამს, საბოლოო შაბათს, რომელსაც მეორე დღე – ორშაბათი აღარ მოყვება. შაბათშია იმ ექვსი დღის საზრისი. ბიბლიის ამ განცდამ, სოფლის ხედვამ სუბ სპეციე ტემპორის, დაბადა მესიანისტური მოლოდინი ან, პირუკუ, მესიანისტურმა მოლოდინმა დაბადა სოფლის ამგვარი ხედვა. ეს ორი რამ ერთმანეთს განაპირობებენ. ებრაელთა მონათესავე ხალხები (მოაბი, ამონი, ედომი და სხვანი) არ იყვნენ აღმრულები მესიანიზმით, რადგან ისინი მხოლოდ უდასასრულო წრეში მბრუნავ დროს იცნობდნენ. მათში არ იყო აბსოლუტური დასასრულის მოლოდინი.

დროსთან მჭიდრო კავშირშია მოლოდინი, რომელიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბიბლიური მსოფლგანცდის კონცეპტუალური კატეგორიაა. ბიბლიური ისტორია მოლოდინით არის სავსე. მოულოდნელობანიც, რომლებიც მრავლად ხდება ბიბლიაში, მოლოდინის ნაწილია. მოლოდინი, შეიძლება ითქვას, კუმშავს დროს, რაც იმას ნიშნავს, რომ შორეული მომავალი აწმყოში აქტუალიზდება. მოლოდინის თვისებაა მოვლენათა დაჩქარება, რაც ქრისტიანობას გადმოყვა ძველი აღთქმიდან. ამის გამოხატულებაა იოანეს „გამოცხადების“ (რომელიც სავსეა მოლოდინებით) მოტო, რომლითაც მთავრდება ტექსტი: „ჰე, მოვალ მალე“ (გამოცხ. 22:20). რა თქმა უნდა, ძველ აღთქმაში არსებობდა სიტყვა, მოლოდინის აღსანიშნავი სიტყვა (ახალ), რომელსაც აფერადებს იმედისა და სასოების ნიუანსი, მაინც ახალი აღთქმის ხანაში ბერძნული ენის წიაღიდან ამოტივტივდება სიტყვა, რომელსაც მოიმარჯვებს პავლე მოციქული მის მიერ რეალურად განცდილი განსაკუთრებული სახეობის მოლოდინის გადმოსაცემად. ეს არის აპოკარადიკია (გვხვდება ორგზის: რომ. 8:19; ფილიპ. 1:20) „დაძაბული მოლოდინი“, რომელიც პირველად თავს იჩენს აბრაამის გამოცდილებაში. აბრაამის ეგზისტენციალური დრო მოლოდინში გადის, რომელსაც ორი პერსპექტივა აქვს მოცემული აღთქმის ფარგლებში: ერთი, შორეული, რომელიც ეხება მის წიაღში მთვლემარე მოდემას, მეორე, ახლობელი – მის აღთქმულ შვილს. ცხადია, აპოკარადიკია იღვიძებს განსაკუთრებულ შემთხვევებში, ძველისა და ახლის ზღვარზე, ამდენად ესქატოლოგიურია. ეს არის ყოფიერის დასრულების ან, რაც იგივეა, ყოფიერის გარდაქმნის მოლოდინი. მაგრამ ამ დაძაბულობას ახლანდელსა და მოსალოდნელს შორის, ისტორიის სარბიელს, არავითარი კავშირი არა აქვს მოუთმენლობასთან. არა მოლოდინი მოუთმენლად, არამედ მოლოდინი მოთმინებით, თმენით, რომელსაც რწმენა ასაზრდოებს. პავლე მოციქულისგან ვიცით, რომ რწმენა, იმედი (სასოება) სიყვარულთან ერთად ერთმანეთთან არის წილნაყარი (1 კორ. 13:13). ამ თეზისს ფესვი ძველ აღთქმაში აქვს გადგმული. აბრაამს რწმენის მამა ეწოდა არა მხოლოდ იმიტომ, რომ უცხო მხარეში დაუეჭვებლად გაჰყვა მოწოდებას, არამედ იმიტომაც, რომ თმენით ელოდა მეს, რომელშიც ემარხა აღთქმის განხორციელების შესაძლებლობა. თმენით მოლოდინი ბიბლიისთვის ჩვეული მინიშნებით არის გამოხატული. „და გამოეცხადა მას

უფალი მამრეს მუხნართან, როცა კარვის კართან იჯდა დღის პაპანაქებაში» (დაბ. 18:1). „დღის პაპანაქება“ აქ მეტს ამბობს აბრაამის მოლოდინზე, ვიდრე მთელ პასაჟს შეეძლო ეთქვა. ან ის სამსიტყვიანი წინადადება, რომელიც დაძაბული მოლოდინის, თმენის, საუკეთესო ნიშანს იძლევა: „და მიდიოდნენ ორნი ერთად“ (დაბ. 22:8). სხვაგვარად ძნელი წარმოსადგენია დროის დაძაბული განმავლობის, იმ გზის ხანიერების გამოხატვა, რომლის დასასრულს აბრაამს შვილზე დანის აღმართვა მოუხდება.

ბიბლიის თანახმად დროს აქვს დასაბამი. დროის დასაბამობა ჩანს წიგნის პირველივე მუხლიდან – დასაწყისში ღმერთმა შექმნა... ეს „დასაწყისი“ (ბერემით) უეჭველად აბსოლუტურ დასაწყისზე მიანიშნებს ანუ იგი გვამცნობს დროის დასაწყისს, რასაც არაფერი უძლოდა წინ. მის უკან, მის შემდეგ იწყება დრო, მაგრამ თავად დასაწყისი არ არის დრო. ბასილი დიდი წერს, რომ „როგორც გზის დასაწყისი ჯერ კიდევ არ არის გზა, როგორც სახლის დასაწყისი ჯერ კიდევ არ არის სახლი, ასევე დროის დასაწყისი ჯერ კიდევ არ არის დრო და არც დროის უმცირესი ნაწილი“. დასაწყისი „ნულოვანი საფეხურია“, რომელიც მარადისობის ხატს ატარებს, მისი სიმბოლური ნიშანია. ბიბლიის ავტორის ხილვა-განცდაში არსებობდა ისეთი საწყისი, რომლის ფესვი უდროობაშია. ამ აზრით არის სამყარო ღვთის მიერ არაფრისგან შექმნილი. არაფერში კი არც დრო მოიაზრება და არც სივრცე. მაშასადამე, სამყარო შეიქმნა არა დროსა და სივრცეში, არამედ დროსთან და სივრცესთან ერთად, მათ ერთიანობაში. ანუ ღმერთმა შექმნა ისეთი სამყარო, რომლის არსებობის მოდუსია დრო. მისი არსებობა მხოლოდ დროშია შესაძლებელი და ის შეწყვეტს ამგვარ ყოფას დროსთან ერთად.

ბიბლიის თანახმად, აქტუალურ დროს აქვს როგორც დასაწყისი, ასევე აქვს თავისი დასასრული. ბიბლიის იმ ადგილიდან, სადაც ვკითხულობთ, რომ დასაწყისში ღმერთმა შექმნა ცა და მიწა (დაბ. 1:1), იმ ადგილამდე, სადაც ვკითხულობთ, რომ აღარ იქნება დრო (გამოცხ. 10:6), მოქცეულია კოსმოსისა და ისტორიის მთელი მდინარება, რომელიც მიისწრაფვის დასასრულისაკენ. ეს არის პერიოდი, რომლის დასასრულს იქმნება ახალი კოსმოსი, განახლებული ბუნება („ვიხილე ახალი ცა და ახალი მიწა, რადგან პირველი ცა და პირველი მიწა გარდახდა“ გამოცხ. 21:1), ანუ ისეთი ქმნილება, რომლის არსებობა დროული განზომილებით არ არის განპირობებული. როცა შეწყდება ის წარმავალობა, რომელიც ამ ორ მიჯნას შორის არის მოქცეული, ახალი ქმნილება მარადისობაში აღმოჩნდება.

შეიძლება გვეფიქრა, რომ იოანეს გამოცხადებაში, რომელიც ბიბლიურ წინასწარმეტყველთა გამოცხადებებს ეფუძნება, ლაპარაკია კოსმიურ დროზე, რომელიც არსებითად განსხვავდება ისტორიული დროისაგან, სადაც ადამიანია სუბიექტი. ბოლომდე სწორია თუ არა ნ. ბერდიაევის სიტყვები, რომ კოსმიური მოვლენები სხვა დროში მიმდინარეობენ, ისტორიის მოვლენები – სხვა დროში და ისინი, მსგავსად პარალელური ხაზებისა, არასოდეს კვეთენ ერთმანეთს? ბიბლია არ ფიქრობს ასე. ბიბლიამ გაარღვია წარმართული თუ პანთეისტური დროის ონტოლოგია, უფრო მეტიც, მან ერთიან დროში წარმოიდგინა კოსმიური და ისტორიული მოვლენები, არა მხოლოდ ისტორიული, არამედ ადამიანურ-ეგზისტენციალურიც. ძველი აღთქმის ისტორიაში ისინი კვეთენ ერთმანეთს, ან კონცენტრიული წრეების მსგავსად ერთმანეთში არიან ჩასმული.

წინასწარმეტყველთა ხილვებში დაძლეულია ჰეტეროგენულობა კოსმიურ დროსა და ისტორიულ დროს შორის. ეს იმის ძალით ხდება, რომ სამყაროს შემოქმედი შემოდის ადამიანურ ისტორიაში. თუ პანთეისტური ღვთაება, სახელად ბაალი (ბაალ „უფალი“), რჩება ბუნების ტყვედ, იცვლება ბუნებასთან ერთად, ჩართულია მის წრებრუნვაში. ბიბლიის ღმერთი კი, როგორც ზებუნებრივი და ზეისტორიული მამოძრავებელი, თავისი ქმნილების ტრანსცენდენტულია. ბაალი გადაჰყვება ბუნებას, ბიბლიის ღმერთი კი რჩება, რათა კვლავ ახალი ცა და მიწა შექმნას. მისთვის კოსმოსიც ისტორიაა, რომელსაც თავისი დასასრული აქვს. მას შეუძლია დაამთხვიოს ერთმანეთს კოსმიური დრო ისტორიულ დროს, ანუ კოსმოსის დასასრული – ისტორიის დასასრულს. ჩადოს ერთი საზრისი ბუნებაში და ისტორიაში. ბუნების მოვლენათა და ადამიანთა, ისტორიის სუბიექტთა, ფერისცვალება ეხმიანება ერთმანეთს. წინასწარმეტყველთა კონცეპტი – უკანასკნელი დღეები (ჟამი) ან უფლის დღე გულისხმობს არა მხოლოდ ადამის ცოდვისგან შებღალული მიწის პირის განახლებას, მის დაბრუნებას პირველქმნილ მდგომარეობაში, არამედ ადამიანთა განახლებასაც, მათ ინტეგრაციას ბუნებასთან, გაუცხოებული, დაქუცმაცებული კაცთა მოდგმის გაერთიანებას. ტყვეთა დაბრუნება, რომელიც ერთ-ერთი კარდინალურ მოლოდინთაგანია ბიბლიაში, ხდება არა წუთისოფლის განმავლობაში, არამედ მის დასასრულს. დაბრუნება ეხება მთელ კაცობრიობას, ხალხების შეკრებაში მთაზე ყველა ხალხი, აქამდე მტრული და შეურიგებელი, მონაწილეობს. თუ წინასწარმეტყველი მიქა, როდესაც ამბობს, მთლიანად შეგკრებ, იაკობ, თავს მოვუყრი ისრაელის ნატამალს, ერთად დავსხამ, როგორც ცხვარს ფარეხში (მიქა 2:12), ჯერ კიდევ საკუთარ ხალხზე ლაპარაკობს, ესაიას ხილვაში კი უკვე მთელი კაცთა მოდგმა ჩანს. ეს ფარეხი საყოველთაო კოსმიურ-ისტორიულ ფარეხად იქცევა. ყველა ხალხის, არა მხოლოდ ისრაელის, წილხვედრია „ახალი ცა და ახალი მიწა (ესაია 51:16, 65:17), ყველა მოესწრება იმ ჟამს, როცა

«მოილხენს უდაბნო და ხრიოკი, გაიხარებს ტრამალი და შროშანივით აყვავდება... მაშინ აეხილებათ თვალები ბრძმებს და ყრუებს სასმენელნი გაეხსნებათ. მაშინ ირემივით იბტუნებს მკელობელი და მუნჯის ენა იგალობებს, რადგან ამოხეთქავს უდაბნოში წყალი და ტრამალზე ნიაღვრები. დასიცხული მიწა ტბორად გადაიქცევა და ხრიოკები – წყაროსთვალებად... უფლის გამოსყიდულნი დაბრუნდებიან და მხიარული ყიჟინით მივლენ სიონზე, საუკუნო სიხარული იქნება მათ თავზე, შვება და სიხარული ექნება მათ და ტანჯვა-წუხილი განშორდებათ» (ესაია, 35:1-10).

ეს ადამიანური ზეიმი ბუნების ზეიმიც არის. ისტორიის დღესასწაული, როგორც მისი განსრულება, ბუნების დღესასწაულიც არის. ადამიანის ნეტარება ბუნების ნეტარებაც არის. პირველქმნილი ადამის აღდგენა პირველქმნილი ბუნების სამოთხისეული ყოფის აღდგენაც არის, და ეს წუთისოფლის დასასრულია: უფალი „სამოთხედ გადააქცევს მის უდაბნოს და უფლის ბაღად მის ტრამალს» (ესაია 51:3), „დადგება მგელი ცხვართან ერთად და ვეფხვი დაბინავდება ციკანთან ერთად. ხბო, ლომი და ნასუქალი პირუტყვი ერთად იქნებიან და ჩვილი ბავშვი წარუძღვება მათ» (ესაია 11:16), შეიცვლება დამძველებული ბუნების წესი – დრო უკუიქცევა ან შეჩერდება, შეწყდება ჩვეული თანამიმდევრობა და ახალ თვისობრიობაში გადავა: „აჰა, დადგება

ქამი, ამბობს უფალი, როცა მხვნელი თავს წაადგება მომკელს, ყურძნის მწურავი – მთესველს» (ამოს 9:13), ანუ დრო სივრცეში განიფინება და ეს იქნება ქვეყნის დასასრული, კოსმიური და ისტორიული პროცესის საერთო ბოლო. ამ დასასრულის მოლოდინით არის სავსე ძველი აღთქმის დრო. მოლოდინი და იმედი აქ ერთი მსოფლგანცდის სახესხვაობანია. ორივენი გულისხმობენ დასასრულს, აღსრულებას და განსრულებას, როგორც კოსმიურ, ისე ისტორიულ პერსპექტივაში. ასევე მომავალიც, რომელიც მიზნად და საზრისად აქვს მოლოდინს და იმედს, სხვაგვარად არ გამოიხატება ლექსიკურად, თუ არა როგორც „დღეთა დასასრული».

თუ შევეცდებით მეტაფორულად წარმოვიდგინოთ ბიბლიური დრო, მისი ერთ-ერთი ხატი იქნება მწიფე ხილით სავსე კალათა, რომელიც წინასწარმეტყველმა ამოსმა იხილა ღვთიურ ხილვაში:

«ასე მახილვინა უფალმა ღმერთმა: აჰა, მოწეული ხილით სავსე კალათა. მითხრა: რას ხედავ, ამოს? ვთქვი, მოწეული ხილით სავსე კალათას-მეთქი. მითხრა უფალმა: მოაწია ჩემი ერის, ისრაელის, ბოლომ» (ამოს 8:1_2).

როგორც მწიფდება ხილი და აქვს ზღვარი მის მწიფობას, ასევე დროსაც აქვს თავისი სიმწიფე, რომელსაც ის აზიარებს დროში არსებულ ყველა საგანს თუ მოვლენას. მაგრამ ყველაზე თვალსაჩინო სიმბოლოდ აღებულია ხილის სიმწიფე. ეს პარალელიზმი ენის ლექსიკამაც ასახა: კაიც – მწიფე ხილი და კეც – ბოლო.

რასაც წინასწარმეტყველნი ჰვრეტენ, ეს ისტორიის დასასრულია, როცა წყდება დროის მდინარება და ადამიანის ისტორია და კოსმიური პროცესი ერთ საზრისს ააშკარავენ. მაგრამ ისტორიის შუაგულშიც, მის პროცესში, რჩეული ერის ცხოვრება არ განარჩევს კოსმიურ დროს ისტორიული დროისაგან. კოსმიური დრო მონაწილეობს მის ისტორიაში. ფუძემდებლური და გარდამტეხი აქტები მის ცხოვრებაში კოსმიური დროის მიჯნებით არის აღნიშნული. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბუნების პერიოდული თუ განსაკუთრებული მოვლენები ხალხის ისტორიის ორგანული ნაწილი ხდება. ხალხის ცხოვრება ჩართულია კოსმიურ ცხოვრებაში. დღესასწაულები ამ ჩართვის ცხადი დასტურია. ძველი აღთქმის ფუძემდებლური დღესასწაული – პასექი (ფესახ), რომელიც აღნიშნავს რჩეული ერის ეგვიპტიდან გამოსვლას, მის გათავისუფლებას ეგვიპტის მონობიდან, იმავდროულად გაზაფხულის დღესასწაულიცაა. მაგრამ თუ გაზაფხულის დადგომა მრავალჯერადი მოვლენაა, ეგვიპტიდან გამოსვლა, როგორც ისტორიული მოვლენა, ერთჯერადია. ის ერთხელ მოხდა ხალხის ისტორიაში, როგორც უნიკალური ხდომილება, და არასოდეს განმეორდება. ის მეორდება მხოლოდ ვირტუალურად, ხსოვნაში, ყოველი გაზაფხულის დამდეგს, რომელიც მის ხატად აღიქმება. გაზაფხული და გამოსვლა ერთიანი დღესასწაულია, ერთმანეთს ავსებენ და ამდიდრებენ: გაზაფხული პასექს, ამ ისტორიულ მოვლენას, ანიჭებს თვალსაჩინობას და ბუნებისმიერ ცხოველმყოფელობას; პასექს კი, თავის მხრივ, გაზაფხულში შეაქვს ადამიანური საზრისი, აადამიანურებს მას.

შვიდეულის დღესასწაული (შებუყოთ), რომელიც მოსდევს პასექს, ასევე სინთეზში აქცევს ბუნებრივ და ისტორიულ დროებს: პირველმოწეულ ნაყოფთა დრო ემთხვევა სინაის მთის ძირას რჯულის მიღების დროს. მესამე დიდი დღესასწაული კარვობა

აერთიანებს მოსავლის აღების, სამეურნეო წლის დასასრულის (მდრ. „მკა არის საუკუნის აღსასრული«, მათ. 8:39) ბუნებრივ პერიოდს უდაბნოში ცხოვრების ისტორიულ-ეგზისტენციალურ გამოცდილებასთან.

თითოეული პერიოდი ამ სამთაგან, თუ პაულ ტილიხის სიტყვებს გავიმეორებთ, რომლებიც ისტორიის შესახებ ითქვა, არის გარდატეხის ის მომენტი, როცა მარადიული განსჯის და გარდაქმნის დროჟამულს.

ამრიგად, გამოსვლა, რომელსაც ბუნებრივ არქეტიპად მიწის პირიდან მცენარის აღმოცენება აქვს („ქვეყნად ამოსვლა მწვანისა«), ერთხელ მოხდა იქ და მას ჟამს, და აღარ განმეორდება; რჯული ერთხელ იქნა მიღებული იქ და მას ჟამს; უდაბნოს გამოცდილებაც განუმეორებელია, როგორც კონკრეტულ დროსა და სივრცეში მიმდინარე პროცესი, მაგრამ ეს იქ და მას ჟამს შესაბამისი ბუნებრივი მიჯნების დადგომისას მეორდება, ერთგვარად მარადიულდება. ეს არის ძველი აღთქმის დღესასწაულის საზრისი: ისტორიულის გაკოსმიურება, კოსმიურის გაისტორიულება.

განასხვავებენ ისტორიულ დროს და პიროვნულ (ეგზისტენციალურ) დროს. ისტორიული მოვლენები სხვა დროში ხდება, პიროვნული ამბები – სხვა დროში. ამ ორი კატეგორიის ხდომილებებს სხვადასხვა ნება წარმართავს. მაგრამ როცა ისტორიაში და ადამიანის პირად ცხოვრებაში ღმერთია ჩარეული, აქაც ისევე, როგორც კოსმიურ და ისტორიულ დროთა შემთხვევაში, მათ შორის ზღვარი თითქოს წაშლილია. სხვაგვარად: ისტორიულ დროში იჭრება ადამიანურ-პიროვნული დრო, ასევე განუმეორებელი, მაგრამ უფრო მაღალი ხარისხის უნიკალობით. თუმცა ღმერთი ერთ დროჟამულ მდინარებაში აქცევს თავისი რჩეული ადამიანისა და რჩეული ხალხის თავგადასავალს. მის რჩეულ აბრაამში მისივე რჩეული ხალხის პოტენციაა მოცემული, მთელი ისტორიული მომავალი დრო ზამბარასავით შეკუმშული სახით. მიუხედავად ძლიერი პიროვნული განცდებისა (ისაკის შეწირვა, მელქისედეკთან შეხვედრა, ანგელოზთან საუბარი სოდომის დაქცევაზე და სხვა), რჩეულ აბრაამს ერთი წამითაც არ ტოვებს იმის განცდაც, რომ იგი თავისი ეგზისტენციით ჩართულია ისტორიულ დროში, რომ იგი ატარებს თავის თავში მომავალს. ეს განცდა მას აკისრებს პასუხისმგებლობას საკუთარი თავის მიმართ, რაც, შესაძლოა, უცნაურად მოგვეჩვენოს. ყოველ შემთხვევაში, უცნაურია მისი ყოფით-ზნეობრივი თვალთახედვით არცთუ სანაქებო საქციელი, როცა მან, ეგვიპტეში მდგმურობისას, თავის გადარჩენის მიზნით, უარი თქვა სარას ქმრობაზე. ის მზად იყო დაეთმო სარას, ოღონდ თავად ცოცხალი დარჩენილიყო (დაბ. 12:11-19), რადგან მან იცოდა ერთი უეჭველი რამ – მისი სიცოცხლე დროის ხანიერებასთან ერთად მას არ ეკუთვნოდა. იგი უარყოფდა სარას იმ მომავლის გულისთვის, რომელიც მის წიაღში იყო დაბუდებული, რომელშიც ის სარას მონაწილეობას გამორიცხავდა. მან არ უწყოდა, რომ ამ მომავალში სარას (სხვას არავის) ედო წილი. მან ეს არ უწყოდა, თუმცა დიდი წინასწარმეტყველი იყო. აბრაამი სხვაგვარადაც გამოხატავს პიროვნულ-ისტორიულ დროთა ერთიანობას, მათ ურთიერთგანპირობებულობას. ისტორიული დრო, რომელიც ხალხმა ეგვიპტეში გაატარა, უკვე მოცემული იყო აბრაამის საკუთარ დროში, როცა ის ქანაანურ შიმშილობას გარიდებული ეგვიპტეში მსხემობდა.

ასევე, იოსების კერძო, პიროვნული დრამა, რომელიც მის სუბიექტურ დროშია გაშლილი, ხალხის ისტორიის გენეზისში მონაწილეობს. მის პიროვნულ დროში სიზმრების სახით, რომელთა საზრისს თავად ზეციური იერარქიის მხილველი იაკობიც

ვერ წვდებოდა, იჭრება მომავლის სხივი. პარადოქსულია, როცა მომავლიდან სხივი აწმყოზე აფენს ჩრდილს და ეს ჩრდილი იოსების ისტორიაში სიზმრების სახით არის ვერბალიზებული.

და, საბოლოოდ, მოსეს საკუთარი ასოცი (სამი ორმოცი) წელი ხალხის ერთ ერად შექმნის წლებია. ანუ ეს იმას ნიშნავს, რომ მოსეს წლები აღარ არის მხოლოდ მისი საკუთარი წლები, ისინი უკვე მისი ხალხის ისტორიული ქმნადობის წლებია. მოსეში, მოსეს კვერთხის ქვეშ, გაიარა ხალხის პრეისტორიამ მეწამული ზღვიდან იორდანემდე, რომლის გაღმა მისი კვერთხი ვეღარ მისწვდებოდა. სამი რამ _ მოსეს სიცოცხლე (ას ოცი წელი), მისი ამოცანა და ხალხის ქმნადობის პროცესი ერთდროულად დამთავრდა იორდანეს მარცხენა ნაპირზე. აქ ამოიწურა მოსეს წლები და ხალხის ქმნადობის წლები. ამიერიდან, იორდანეს გადალახვით იწყება ერის ისტორიის ახალი პერიოდი.

დროის აღქმა, რომელიც თავის დაღს ასვამს ბიბლიურ ნარატივს, მკაცრად ესქატოლოგიურია _ დასასრულისკენ არის მიმართული. ცხადია, რეალურ გამოცდილებაში ვერ თავსდება აბსოლუტური (საბოლოო) დასასრული, მაგრამ მას ყოველი პერიოდის დამასრულებელი ფაზა აირეკლავს, ეს ანარეკლები თუ ხატები კი ძველი აღთქმის ხალხის ისტორიულ გამოცდილებაში არცთუ იშვიათია. მაგალითისთვის, სურათი, რითაც მთავრდება მეფეთა მეოთხე წიგნი, რომელიც მოასწავებს ძველი აღთქმის პერიოდის დასასრულს და ახლის დასაწყისს, სიმბოლურია: ბაბილონის მეფეს საპყრობილედან გამოჰყავს იუდას მეფე, „დაუდგა ტახტი იმ მეფეთა მალა, რომლებიც ბაბილონში ჰყავდა მას. გამოუცვალა საპყრობილის ტანისამოსი და მის წინ ჭამდა იგი პურს მთელი სიცოცხლე. და სამუდამო იყო მისი სარჩო და ეძლეოდა მეფისაგან ყოველდღიურად, მთელი სიცოცხლე» (4 მეფ. 25:28-30). თუ სადმე „პურის ჭამა» გვხვდება ბიბლიაში, ყველგან მას რაღაც პერიოდის დამასრულებელი და საბოლოოდ შემარიგებელი მნიშვნელობა აქვს და ერთგვარად გვიხატავს ესქატოლოგიური ნადიმის სურათს. ბაბილონის ტყვეობა წინასწარმეტყველების თანახმად მთავრდება და ამ დასასრულსაც ესქატოლოგიური შეფერილობა აქვს, რამდენადაც ებრაელთა ტყვეობიდან განთავისუფლება მესიანისტურ ფიგურასთან _ მიდიის მეფე კიროსთან იყო დაკავშირებული, რომელზეც ჯერ კიდევ ესაია წინასწარმეტყველი წერდა (ეს. 44:28; 45:1).

მესიანისტური მოლოდინი, რომელიც ჯერ კიდევ ბაბილონის ტყვეობამდე დაეუფლა ძველი აღთქმის ცნობიერებას, _ რომ მოვა მესია-მხსნელი და ქვეყნისა და ხალხის გამოხსნის აქტით დაასრულებს ისტორიას, ყოველ შემთხვევაში, ისტორიულ პერიოდს ახალ საუკუნეში შესასვლელად, _ თითქმის ყველა წინასწარმეტყველის ძირითადი თემა ხდება. დრო, დროის განმავლობა, გარკვეულად იძენს მიზნობრივ ხასიათს, ესქატოლოგია, ანუ დასასრულის მოლოდინი ტელეოლოგიურ საზრისს იძენს: დროის თუ დროული მონაკვეთის დასასრული (ბერძნ. ტელოს), იმავდროულად, აღქმულია ამ მოლოდინში როგორც საბოლოო მიზანი (ტელოს) და, ამრიგად, ისტორია განიცდება არა მხოლოდ სუბ სპეციე ფინიტატის (დასასრულის თვალთახედვით), არამედ საბოლოო მიზნის კუთხითაც. ვინაიდან თუ ისტორიას აქვს საზრისი და მიზანი, იგი დასასრულში უნდა გამოჩნდეს _ ამ კონცეფციით, დაუსრულებელი ისტორია უმიზნო და უსაზრისოა. მაგრამ რა არის ეს მიზანი? ზოგადად ეს არის უფლის დღის დადგომა, როგორც ახალი აღთქმის ხანაში პავლე მოციქულმა გამოჰქედა სიტყვებით, რომ „იქნება ღმერთი

ყველაფერი ყველაფერში», რაც სრულყოფილად გამოხატავს ძველი აღთქმის ესქატოლოგიურ-ტელეოლოგიურ მოლოდინებს. მაგრამ უფლის დღე, რომლის დადგომა გარდაუვალია, ისე არ დგება როგორც სიამისა და ნეტარების მომტანი გაზაფხული. უფლის დღის ხასიათი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორია ადამიანთა ცხოვრება ზნეობრივად ისტორიის განმავლობაში, როგორც არის ადამიანთა ზნეობრივი სახე, ისეთივე სახე ექნება უფლის დღეს ისტორიის დასასრულს. წინასწარმეტყველი ამოსი ამბობს და მის შემდეგ იმეორებენ სხვანაც: „ვაი, უფლის დღის მონატრულთ! რისთვის გინდათ უფლის დღე? ბნელია იგი და არა ნათელი!»! (5:18) უფლის დღეს ისეთივე შეფერილობა ექნება, როგორც ადამიანთა შინაგანი სამყაროა შეფერილი. ეს არის ისტორიის ხედვა ზნეობრივი კუთხით, რაც გამსჭვალავს ძველი აღთქმის ისტორიას.

არის, ცხადია, მეორე პერსპექტივა, ნათელი და ნამდვილად სანატრელი. ეს პერსპექტივა დროის განმავლობას ნეგატიური კუთხით უყურებს: განმავლობა წარმავლობაა. კატასტროფებით და შიშებით, დროის განმავლობით დათრგუნული ადამიანი დროის მდინარეებიდან გასვლისკენ მიისწრაფვის. არის მოლოდინი, რომ შორეულ პერსპექტივაში, რომელიც თანდათან ახლოვდება და „აქვე არის», რეალობა დაუბრუნდება იმ მდგომარეობას, როცა ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი დრო-ჟამის აღმნიშვნელი მნათობები (დაბ. 1:14). აი, ასეთია ეს პერსპექტივა ესაია წინასწარმეტყველის ხილვაში:

*«დღისით მზე აღარ გექნება მნათობად და არც მთვარის ბრწყინვალეობა გაგინათებს:
უფალი გეყოლება საუკუნო მნათობად და შენი ღმერთი _ შენს დიდებად;
აღარ ჩაესვენება შენი მზე და შენი მთვარე აღარ დაცხრება,
რადგან უფალი გეყოლება საუკუნო მნათობად და შენი გლოვის დღეები
დასრულდება;
შენი ხალხი ერთიანად მართალი იქნება და საუკუნოდ დაიმკვიდრებს ქვეყანას ჩემი
დარგული
მორჩი, ჩემ ხელთა ქმნილება, რათა იდიდოს» (ესაია, 60:19-21).*

საბოლოოდ, დასასრულისთვის, რომ დავასრულოთ დროის შესახებ ჩვენი არასრული საუბარი, უნდა ვაღიაროთ, რომ მიუხედავად ბიბლიის ტექსტის დროისმიერი განმსჭვალულობისა, დრო არ არის თვითმიზანი, მისი მიზანი მარადიული სივრცის მოპოვებაა, იმ სივრცის, სადაც ყველაფერი, რაც იყო, რაც არის და რაც იქნება, ერთჟამობაში მოექცევა. დრო მხოლოდ საშუალებაა ამის მისაღწევად. დრო მწიფდება ამ სივრცისთვის და ამწიფებს ამ სივრცეს. ცხადია, ის იმედიანი, დრო-ჟამის დასასრულის იმედიანი პერსპექტივა, რომელიც ესაიას ხილვაში მოგვეცა, არ ეკუთვნის მხოლოდ ძველი აღთქმის ხალხს, ის მთელი კაცობრიობის ხვედრია.

23 მარტი, 2007 წელი.

ნოდარ სარჯველაძე

წარმატების ფსიქოლოგია

ყველაზე მეტად რა სჭირდება დღეს ადამიანებს? მავანი იტყვის, გადარჩენაო. მეორე დაუდასტურებს და დაამატებს – ფულიო, კარგი ხელფასი და პენსიაო. მესამე გარანტიებისა და დაცულობის, ან უსაფრთხოების საჭიროებას გაუსვამს ხაზს. აქვე ძალუძად ამოჰყოფს თავს უმუშევრობის თემა და მავანი ზემოთ ნათქვამს დასაქმების უმნიშვნელოვანეს პრობლემასაც დაუმატებს. ვიღაცა იტყვის, მთავარია განათლება და სათანადო რეფორმებიო, ვიღაც შეეკამათება და პრიორიტეტად საკანონმდებლო ბაზის სრულყოფას, ან ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესებას დაასახელებს. ეს მსჯელობა უსასრულოდ შეიძლება გაგრძელდეს. პრობლემების ახალ-ახალი ვარიანტები თუნდაც იმიტომ არ დაიღვევა, რომ ჩვენი საზოგადოება პრობლემათა დაგროვებაზე უფრო მეტად არის ორიენტირებული, ვიდრე მათ გადაწყვეტაზე. და მაინც, რა სჭირდება ჩვენში დღეს ადამიანებს? მახსენდება ერთი ცნობილი ამერიკელი ფსიქოლოგის ნაშრომი, რომელიც მიიჩნევდა, რომ განვითარებულ ქვეყნებში ადამიანთა 75%-ის ძირითადი მიზანი და მოტივაცია წარმატების მიღწევას, ხოლო ჩამორჩენილ და განვითარებად ქვეყნებში მოსახლეობის უმეტესობა მეტწილად დახმარებისა და შეღავათების მიღებაზე ზრუნავს. აქედან გამომდინარე, ვასკვნით: გეზი განვითარებული საზოგადოებისაკენ რომ ავიღოთ და კეთილდღეობის დონე ავამაღლოთ, პირველ რიგში ცნობიერების რეფორმა უნდა მოხდეს, საზოგადოების თითოეულმა წევრმა წარმატების მიღწევა და განვითარება უნდა დაისახოს მიზნად. თუ გადარჩენის ნაცვლად განვითარებასა და წინსვლაზე იქნებიან მიზანმიმართულნი, გადარჩენა ხელში ისედაც შერჩებათ და დამატებით მეტს მოიმკიან ცხოვრებისაგან. როცა გადარჩენასა და დახმარების მიღებაზე ზრუნავ, გარემო ძალებზე, მთავრობაზე, კარგი ხელისუფალის ან მფარველის მოსვლაზე ამყარებ მთელ იმედებს. ამით საფუძველს უყრი იმას, რომ სხვებზე იყო დამოკიდებული, ხოლო ნამდვილი კეთილდღეობა კი თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას ეფუძნება. მაგრამ მოვა კი კარგი ხელისუფალი, გამოჩნდება კი ყველას მხსნელი, მოგვარდება კი ყველაფერი იმათი შემწეობით, ვიზეც იმედებს ამყარებ? ცხადია არა, რადგან ასეთი დაშვება მცდარ წანამძღვარზეა აგებული და შედეგებიც მცდარი იქნება.

სწორედ ამან განაპირობა წარმატების ფსიქოლოგიის შესახებ თემის აქტუალობა. მმე მსურს, ნაბიჯ-ნაბიჯ მოგაწოდოთ ის ცოდნა და საგულისხმო რჩევები, რაც წარმატების მიღწევის ტექნოლოგიების სფეროში თანამედროვე მეცნიერებასა და პრაქტიკაში შემუშავდა. თუკი მენდობით, უნდა გითხრათ, რომ ამ მხრივ ზღვა მასალა და ფრიად სასარგებლო ინფორმაცია არსებობს.

წარმატების მიღწევა ცვლილებების გამოწვევას გულისხმობს: საკუთარ ცხოვრებაში რაღაც უნდა შეცვალო, თანაც, ცვლილება მნიშვნელოვანი უნდა იყოს და ხანგრძლივ პერიოდს უნდა მოიცავდეს, მას შედეგი მაშინ მოაქვს. მაგრამ პარადოქსი სწორედ იმაშია, რომ ადამიანების უმეტესობა ცვლილებებს უძალიანდება, თუნდაც ეს მათთვის სასიკეთო იყოს. ადამიანებს გატკეპნილი გზით სიარული ურჩევნიათ მაშინ, როცა ცხოვრება ახალი გზის გაკვალვას მოითხოვს. ცვლილებებს, ერთი მხრივ, იმიტომ

გაურბიან, რომ იგი რისკს შეიცავს და დისკომფორტი უნდა წარმოიშვას. ყველა ადამიანს აქვს კომფორტის მისეული ზონა და იგი, როგორც წესი, ჩვეულ გარემოსა და ჩვეულ ვითარებებს გულისხმობს. ხოლო რაც ამ ჩვეულის ფარგლებს გარეთ გადის, ან უპირისპირდება მას – დისკომფორტის ფაქტორად აღიქმება. ამიტომაც, როცა ვინმე მეუბნება – «კომფორტი მიყვარს და დისკომფორტს ვერ ვიტან»-ო, ჩემთვის ნათელი ხდება, რომ მასთან ახალ ამოცანებზე საუბარი და გაბედული, მაგრამ რისკის შემცველი წარმატებული პროექტების განხორციელება ძნელია. ასეთი ადამიანი შეიძლება მხარში ამოგიდგეს, მაგრამ მისი მოქმედების მარგი ქმედების კოეფიციენტი მაშინაა მაღალი, როცა რისკისა და სიახლის ფაზა უკვე გავლილია და იწყება უკვე ცნობილი, გატკეპნილი გზით სიარულის ფაზა. აქ იგი ვირტუოზადაც კი მოგვევლინება. მაგრამ ცხოვრებამ შეიძლება ახალი გამოწვევები შემოგვთავაზოს, სადაც მთავარი სიახლეა და აქამდე ვირტუოზული მსვლელობა გატკეპნილ გზაზე ხელისშემშლელადაც კი შეიძლება მოგვევლინოს. ხოლო ის, რაც გუშინ კომფორტის ზონაში იყო მოქცეული და წარმატებას ასხამდა ფრთებს, დღეს მარცხის მიზეზად შეიძლება იქცეს.

წარმატებისკენ სავალ გზას თავისი პრინციპები და მკაცრი კანონები განსაზღვრავს. თუ გსურთ წარმატების მიღწევა დაისახოთ მიზნად, უნდა ისწავლოთ ყველა შედეგზე (წარმატებული იქნება ის, თუ წარუმატებელი) პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება. საჭიროა მოიხსნას ვიღაცის ან რაღაცის დადანაშაულების, გადაბრალებისა და ჩვენს გარშემო ბრალდებულების ძიების ჩვევა. სჯობს, ცვლილებას საკუთარ თავში დაუდო სათავე, შეცვალო შენი წარმოდგენები და შეხედულებები მომხდარზე. ჩვენი ქმედების ნებისმიერი შედეგი – წარმატებული იქნება ის, თუ წარუმატებელი – ასეთი ფორმულის სახით წარმოგვიდგება: ჩვენს გარეთ არსებულ სამყაროში მომხდარი მოვლენები ჩვენს წარმოდგენებთან, მიზანსწრაფვასთან ან მოთხოვნილებებთან ურთიერთქმედებს, რომლის შეჯამებაა ყველა ის შედეგი, რასაც ვღებულობთ. თუკი წარუმატებლობას შეეჯახებიან, ადამიანები ცდილობენ ცვლილების იერიში გარე მოვლენებზე მიიტანონ, ან მის გარდაქმნაზე ზრუნავენ, ან კიდევ უკმაყოფილებას გამოთქვამენ, რომ გარემოში ყველაფერი ისე ვერ ხდება, როგორც უნდა ხდებოდეს. ამით ისინი გარემოში რეალურ სასიკეთო ცვლილებებს კი არ იწვევენ, არამედ წარუმატებლობის წინაპირობებს კიდევ უფრო აძლიერებენ. წარმატებისაკენ სავალ გზაზე თავდაპირველად სჯობს, ცვლილებები შეიტანო არა გარე სამყაროში და შენს ირგვლივმყოფებში, არამედ საკუთარ ქმედებებსა და წარმოდგენებში. თუკი წარუმატებლობას საკუთარ ქმედებებსა და შეხედულებებში ან სურვილებსა და მიზნებში ცვლილებებს დაახვედრებ, მაშინ დიდი შანსი გაქვს წარუმატებლობის ბორბალი წარმატების მიმართულებით დაატრიალო. უფრო მეტიც, თუკი ცვლილებას საკუთარი თავიდან იწყებ, შანსი გეძლევა, ნაბიჯ-ნაბიჯ და თავისთავად დაუდო სათავე ცვლილებებს გარე სამყაროსა და საცხოვრებო სივრცეში. ამიტომაც, საკუთარ თავზე 100%-იანი პასუხისმგებლობის აღება უპირველესად საკუთარ წარმოდგენებში და მის საფუძველზე საკუთარ ქმედებებში ცვლილებების გამოწვევას გულისხმობს. ამასთან დაკავშირებით ამბობენ: «არ არსებობს წარუმატებლობა, არსებობს მხოლოდ უკუკავშირი». შენი წარუმატებლობა მომავალი წარმატების საწინდარი ხდება, თუკი უკუკავშირის მეოხებით მისგან სათანადო გაკვეთილს მიიღებ და სასარგებლო დასკვნებს გამოიტან. ამიტომ, როცა რაიმე უშედეგოდ ან მარცხით დამთავრდება,

დაუსვით თქვენს თავს შემდეგი კითხვები: «რა უნდა შევცვალო ჩემს ქმედებებსა და წარმოდგენებში ამ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით?» «რა ახალ ინფორმაციას შეიცავს ეს მარცხი და რაზე მიმანიშნებს იგი მე?» «რა ალტერნატიული ხედვები არსებობს და როგორ დავიწყებ ახლებურად მოქმედებას?» «რა ახალი რისკები ჩნდება ახლებურად მოქმედებისას და რამდენად დამეხმარება მიღებული მარცხი ამ ახალი რისკების გათვლაში?» იცოდეთ, სწორად დასმულ კითხვებს სწორ პასუხებამდე მივყავართ. დასმული კითხვები წარუმატებლობის წარმატებად ტრანსფორმაციას უწყობს ხელს და აშკარად განსხვავდება ისეთი კითხვებისაგან, რომლებიც წარუმატებლობას აღრმავებს, მაგალითად, «აწი რა მეშველება?» «რალა მაინცდამაინც მე დამემართა?» «ვისი ბრალია ეს ყოველივე და რა მოხდებოდა ეს რომ არ მომხდარიყო, ან ის რომ არ ჩარეულიყო?» და სხვა ამდაგვარი. შეხედეთ მარცხს როგორც გამოწვევას, რომელიც გკარნახობთ, რომ თქვენი ქმედებები სასიკეთოდ უნდა შევცვალოთ და მთლიანად პასუხისმგებელი იქნებით საკუთარ ახალ ქმედებებსა და გადაწყვეტილებებზე, რომელიც წარმატებისაკენ გარდაუვლად წაგიყვანთ. სცადეთ!

წარმატების კონსულტაცია

ახალგაზრდა ქალმა საინტერესო კითხვით მომმართა. «ვიცი, თუ მოინდომებ, ყველაფერს მიაღწევ, მაგრამ ნუთუ ჩვენში მართლა შესაძლებელია ვინმემ მიაღწიოს დასახულ მიზანს და იყოს წარმატებული, თუკი მას ფინანსური მდგომარეობა არ უწყობს ხელს?» – მშვიდად და დამაჯერებლად მეკითხებოდა ახალგაზრდა ქალბატონი. მენიშნა გრამატიკული კონსტრუქცია – «კი, მაგრამ...» და იმწამსვე გამიელვა აზრმა, რომ რთული საუბარი მექნებოდა. მივხვდი, რომ რაც არ უნდა შემეთავაზებინა, ქალბატონი დამახვედრებდა «კი, მაგრამ...»-ს, რომელსაც ჭკვიანურ და უსარგებლო ფრაზებს მოაყოლებდა, საუბარი კი უსაგნო კამათის სახეს მიიღებდა. თანამოსაუბრე ჯერ დაადასტურებდა რაღაცას («კი») და იქვე, მის მიერვე დადასტურებულს ეჭვის ქვეშ დააყენებდა («მაგრამ...»). ვიგრძენი, ქალბატონი თავის თავს ეწინააღმდეგებოდა. გამოცდილება (და არა მარტო ჩემი) მიდასტურებს, რომ ცხოვრებისადმი «კი, მაგრამ...» დამოკიდებულება წარუმატებლობის თავისებური საწინდარია.

ქალბატონის ნათქვამი ჩემთვის გზავნილი იყო, რომელმაც მიმანიშნა, რომ ეს ადამიანი ბოლომდე ვერ გარკვეულა რა უნდა, ნამდვილად უნდა თუ არა ის, რაზეც ამბობს, რომ უნდა, ან უკვე გაერკვია თავის სურვილებში, მაგრამ რწმენათა და ძირითად დაშვებათა ისეთი სისტემა აქვს, რომელიც სულ შეზღუდვებზეა აგებული. შესაძლოა მესამე ვარიანტიც: არც საკუთარ სურვილებშია ბოლომდე გარკვეული და შეზღუდვებიც უამრავი აქვს («ეს არ გამოვა», «ეს არ შემიძლია», «ამას და ამას ვერ გავაკეთებ», «მიუღწეველია», «არ შეიძლება, აკრძალულია», «ხალხი რას იტყვის და სხვა მრავალი»). ასე იყო თუ ისე, დავიწყე კითხვების დასმა ისე, როგორც კვალიფიციური «კოუჩები» იწყებენ. შევეცადე გამერკვია, რა სურდა ამ ქალბატონს; რა უნდოდა მიეღო ცხოვრებისგან და რა შეეძლო გაეღო ცხოვრებისათვის; ვისთვის უნდოდა, რაც მართლა სურდა და რის ფასად სურდა მიეღწია მიზნისთვის. საუბარი დიდხანს და საინტერესოდ გაგრძელდა და იცით რატომ? მას მკაფიოდ არ ჰქონდა გაცნობიერებული, რა უნდოდა, თუმცა, შედარებით კარგად მიხსნიდა, რა არ უნდოდა. ჩვენ წინ წაგვწევს არა იმის არგაკეთება, რაც არ გვინდა ვაკეთოთ, არამედ იმის გაკეთება, რაც გვინდა

მოვიპოვოთ. ადამიანთა დიდი ნაწილი მოტივირებულია მოცილოს ის, რაც არ უნდა ცხოვრებაში ჰქონდეს და თავის სურვილებს «არა»-ს კატეგორიებში აყალიბებს. შედეგი ისაა, რომ გამუდმებულ «არა»-ს მოაქვს «არა»-რეზულტატი. ადამიანთა უმრავლესობამ არც კი იცის ნამდვილად რა სურს, რა უნდა რომ გულით აკეთოს? თქვენი ნებაა, დამიჯერებთ თუ არა, მაგრამ წარმატების «კოუჩების» და საერთაშორისო რანგის ექსპერტების გამოცდილება მოწმობს: თუ პიროვნება თავის სურვილებში კარგად გაერკვევა და მათ ცხოვრებაში მყარად დააფუძნებს, ამით დიდ ნაბიჯებს გადადგამს წარმატებისკენ სავალ გზაზე.

მაშ ასე, გამოყავით სპეციალური დრო და მყუდრო გარემო საკუთარი თავისთვის, რათა დასვათ თქვენთვის ყველაზე არსებითი და მნიშვნელოვანი კითხვები: 1) რა მსურს, რა მინდა? 2) მართლა მსურს თუ სხვათაშორის? 3) ეს მე მსურს თუ სხვების სურვილია, რომელიც მე გავითავისე? 4) საიდან ვიცი, რომ ეს მართლა მინდა, რა მიდასტურებს ამას? 5) ჩემს მიერ დასახელებულ ყველაზე მნიშვნელოვან სურვილს რა ადგილი უკავია სხვა სურვილებთან მიმართებაში? 6) რის ფასად ვარ მზად ეს სურვილი დავიკმაყოფილო, რას გავიღებდი ამისათვის? 7) რა სარგებლობა და რა ზიანი შეიძლება მომიტანოს მისმა განხორციელებამ? 8) ვისთვის, ან რისთვის მინდა ეს ყველაფერი? 9) რამდენად მყარია ეს სურვილი? 10) რა მოხდება, თუ ამ სურვილს აღსრულება არ უწერია? 11) თუ ჩემი სურვილი ესოდენ მყარია, რა მიშლის ხელს მის განხორციელებაში და როგორ დავძლიო ეს დაბრკოლება? 12) როგორ უნდა მივხვდე, რომ ჩემი სურვილი მართლაც დაკმაყოფილდა? რას დავინახავ, ვიგძნობ და გავიგებ მისი შესრულების მომენტში, ან შესრულებიდან რამდენიმე ხნის შემდეგ?

ეს ქალბატონისთვის დასმული შეკითხვების ერთი ნაწილია. ის ნაბიჯ-ნაბიჯ წინ მიდიოდა თავისი პრიორიტეტების გამოკვეთაში და ჩანდა, რომ სწორ და გაბედულ ნაბიჯებს დგამდა. გაურკვეველობა გარკვეულობამ შეცვალა, საკუთარ ძალებში დაურწმუნებულობა კი დარწმუნებულობამ. თქვენც სცადეთ, დასმულ კითხვებს გასცეთ პასუხი. მერწმუნეთ, წარმატებისკენ მიმავალ ცხოვრებისეულ გზაზე მწვანე შუქი აგენტებათ, თუ ნამდვილად გეცოდინებათ, რა გსურთ. აიღეთ სრული პასუხისმგებლობა საკუთარ ბედსა და ქმედებებზე, ნათლად გაარკვიეთ თქვენი ყველაზე მნიშვნელოვანი სურვილები, მკაფიოდ დაისახეთ რეალისტური და მიღწევადი მიზნები, გათვალეთ რისკები, მისი მართვის გზები და თქვენ უსათუოდ მიაღწევთ წარმატებას. მეტიც, წარმატება თვითონ მოგმეზნით! წარმატების ფსიქოლოგიური კონსულტაცია: ესწრაფე და წარიტაცე წარმატება.

მქონდეს წარმატების იმედი?

ახალგაზრდა კაცმა შეკითხვით მოგვმართა: «ძალას არ დავიშურებ, ყველაფერს გავაკეთებ, მაგრამ, მქონდეს კი წარმატების მიღწევის იმედი?» საინტერესო იყო კითხვის ფორმულირება. ჩანდა, რომ აქცენტი მაინც დაეჭვებაზე იყო დასმული. ამას მოწმობდა «კი, მაგრამ...» გრამატიკული კონსტრუქცია («კი, მაგრამ მქონდეს იმედი?»). გამახსენდა ძველბერძნული მითი პანდორას შესახებ და მოკლედ მოვუყევი. ოლიმპოს ღმერთმა ჰეფესტომ მიწისა და წყლისაგან შექმნა გოგონა _ პანდორა. ღმერთებმა მას აუხსნეს, რომ დახურული ყუთი, რომელიც იქ იყო, არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაეხსნა, ხოლო ასეთი გაფრთხილების თუ აკრძალვის მიზეზი არც კი აუხსნეს. პანდორა უზრუნველად და ლაღად ცხოვრობდა, ბედნიერი იყო. ერთ მშვენიერ დღეს დაინტერესდა, თავი ვერ

შეიკავა და ყუთი გახსნა. ყუთიდან ამოვიდა, ქალიშვილს შეესია და მიწას მოეფინა უბედურებისა და ტანჯვის გამომწვევი საშინელი არსებები. პანდორამ ყუთი უმაღლესად დახურა. იქ ჩარჩა და გამოსვლა ვერ მოასწრო იმედმა. მან ქალიშვილს სთხოვა, ყუთიდან გამოეშვა და მანაც ისევ ახადა ყუთს თავი. იმედი გამოვიდა, მივიდა ქალიშვილთან და მისთვის ყველაზე სასურველი – ნუგეში მისცა.

რისკენ ისწრაფვოდა ჭაბუკი, რომელმაც კითხვა დამისვა? წარმატების მოპოვება სურდა, თუ იმედით გაჯერებულ ნუგეშს ეძებდა? თუ ნუგეშს ეძებ, წარმატება რა შუაშია? ნუგეში და იმედი უნდა მიიღო, ან ვინმემ მოგცეს, ხოლო წარმატებას უნდა მისწვდე, ან მოიპოვო. ხანდახან სწორედ იმედის მაძიებლობა ქმნის დაბრკოლებებსა და პრობლემას. იმედი არაფრის მაქნისია, თუ იგი მოქმედებისა და წინსვლისაკენ არ გიბიძგებს. თუ ის მხოლოდ ნუგეშის მომტანია, მომავლის აგებაში ვერ დაგეხმარებათ, პირიქით ხელსაც კი შეგიშლით. ამასთან ერთად, ადამიანები ისე უყურებენ იმედს, როგორც რაღაც ნივთს, რომელიც შეიძლება გქონდეს, ან არ გქონდეს. ადამიანები უფრო ხშირად იყენებენ გამოთქმას – «იმედი მაქვს», ვიდრე – «ვიმედოვნებ». იმედი თითქოს ისეთ რამედ ქცეულა, რომელსაც აიღებ, ჯიბეში ჩაიღებ და თან წაიღებ, ან მიიტან სადმე და იქ დადებ. ასეთი იმედის მაძიებლობა საკუთარი ბედისადმი პასიურ დამოკიდებულებას გულისხმობს, ხოლო წარმატებისკენ სწრაფვა პასიურობასთან შეუთავსებელია. უფრო მეტიც, იმედი ძალიან შორსაა რწმენისაგან. ჭეშმარიტი რწმენა, რელიგიური იქნება ის, თუ ცხოვრებისეული, ან მეცნიერული, ან საკუთარ ძალებში რწმენა, მეტად აქტიური პროცესია. შენი რწმენა შენვე უნდა დაიდგინო, მას გარედან ვერავინ მოგაწვდის და ჯიბეშიც ვერავინ ჩაგიდებს.

ყველა ჩვენთაგანს აქვს ოცნებები. ზოგი მივისწრაფვით ვიყოთ გამორჩეული და ცნობილი ადამიანი, ზოგს სიმდიდრე და ძალაუფლება სურს, ზოგი დღენიადაც საკუთარი შვილების წინსვლაზე ფიქრობს, ზოგი კი იმაზე ოცნებობს, რომ ცხოვრება და მთელი სამყარო უკეთესი გახდეს. ამავე დროს ყველა ჩვენთაგანს თუ არა, ადამიანთა უმეტესობას მაინც სურს, ჰქონდეს იმის ღრმა რწმენა, რომ აღჭურვილია ღვთისმშობელი განსაკუთრებული უნარით და შინაგანი შესაძლებლობით. მათ გულის სიღრმეში სურთ ირწმუნონ, რომ სწორედ ეს უნარ-შესაძლებლობები განაპირობებს, თავისებურად და გამორჩეულად აკეთონ ის, რისი კეთებაც სურთ, მოახდინონ ზეგავლენა სხვა ადამიანებზე და გახადონ ცხოვრება ან საზოგადოება უკეთესი. «მინდა» და «შემიძლია» – აი, ორი მაგიური სიტყვა, რაც ოცნებათა ახდენის საფუძველია, ამავე დროს იგი აქტიურ მუხტს შეიცავს და იმედის მაძიებლობისათვის დამახასიათებელი პასიურობის საპირისპირო პროცესია. სურვილი და სათანადო რწმენა, რომ მართლაც შეგიძლია, არის წარმატების მიღწევის მნიშვნელოვანი ინგრედიენტი. ამიტომ, ვფიქრობ, რომ წარმატების მიღწევისათვის იმედით კი არ უნდა შევიარაღდეთ, არამედ სათანადო სურვილითა და რწმენით.

რა გსურთ გულითა და სულით? უკვე გაერკვიეთ თქვენს ჭეშმარიტ სურვილებში? თუ იცით რაც მართლაც გსურთ, რის საფუძველზე იცით ის? «მე ესა და ეს მსურს» – ეს მხოლოდ ფარატინა სიტყვებია, თუ მთელი თქვენი არსებით, სულითა და სხეულით, ყველა ფიქრით გრძნობთ, რომ ეს «რაღაც» მართლაც და გარდაუვლად გსურთ? რაც უფრო განიმსჭვალეებით ნამდვილი და არა ხელოვნური, ან თავს მოხვეული, ან ჩაგონებული, ან მოდური სურვილებით, მით მეტი შანსია, რომ განსაკუთრებული და

გამორჩეული იყოს თქვენი მიღწევა. არ გაგიკვირდეთ, თუ ვიტყვი, რომ ადამიანთა დიდი ნაწილი ან ვერ გარკვეულა გამორჩეულად რა სურს, ან სხვისი წამხედურობით ირჩევს სურვილებს, ან არც არაფერი სურს, ან ჩაგონებული აქვს, თუ რა უნდა სურდეს. თუ მართლაც გაერკვიეთ თქვენს ჭეშმარიტ სურვილებში, თქვენი რწმენის ხორცშესხმის ჯერი დგება. რწმუნდებით, რომ მართლაც შეძლებთ ამ სურვილის განხორციელებას. განზე გადადეთ ყველა დამაბრკოლებელი, დამასუსტებელი და შემზღვედავი რწმენანი და დაშვებები («არ გამომივა», «კი მინდა, მაგრამ ძალიან ძნელია და შეუძლებელიცაა», «არ შეიძლება, ხალხი რას იტყვის...»). წინ წაიმძღვარეთ სტიმულის მომცემი და გამაძლიერებელი რწმენანი და დაშვებები («ამას ნაღდად შევძლებ», «როცა მივალწევ, ძალიან გავიხარებ», «ეს ხომ საინტერესო გამოწვევაა...»). ახლა, როცა მართლაც გსურთ და მართლაც გწამთ, რომ შეძლებთ ამ სურვილის განხორციელებას, მხოლოდ საკუთარ თავზე აიღეთ პასუხისმგებლობა და კიდევ მიალწევთ მას.

იღბალი და წარმატება სხვადასხვა რამაა. იღბალი უეცრად გაგიღიმებთ, რადგან მოულოდნელად გაგიმართლათ. იგი თქვენი დამსახურება კი არ არის, არამედ ლატარეაში მოგების მსგავსია, მოგებისა, რომლისთვისაც ძალისხმევა არც კი გაგიღიათ. წარმატება კი უნდა დაიმსახუროთ, იგი თქვენი ძალისხმევის შედეგია. თქვენ იცოდით რაც გსურდათ, იღვაწეთ მის მისაღწევად და მიალწიეთ კიდევ; ამდენად, ის თქვენი წარმატებაა, ის თქვენი თანამდევია და მუდამ თან გახლავთ. თუ იღბალი სიამოვნებასთანაა დაკავშირებული, წარმატება პრესტიჟს უკავშირდება. გნებავთ ისიამოვნოთ? – ეძებთ იღბალი, თუმცა, შეიძლება ის ვერც კი იპოვოთ, იგი თქვენი დაგეგმილი განრიგით არ მობრძანდება, რადგან მან უნდა გიპოვოთ თქვენ და არა პირიქით. გნებავთ პრესტიჟი? – გადადეთ გარკვეული ხნით იმედისა და იღბლის მაძიებლობა და ესწრაფეთ და წარიტაცეთ წარმატება. ზოგს შეიძლება პარადოქსად მოეჩვენოს, მაგრამ სულაც არ არის პარადოქსი, რომ წარმატებაზე ორიენტირებულ ბიზნესმენს ან სხვა დარგში მოღვაწე პირებს იღბალიც თან სდევს. ეს იმიტომ, რომ წარმატებანი თავის «ენერგეტიკულ» ველს ქმნიან და თვითონ უდებენ სათავეს ახალ წინსვლას, ისინი თვითონ მოიზიდავენ ისეთ ხდომილებებს, რომლებიც წარმატების წისქვილზე ასხამენ წყალს. ამიტომაც, წარიტაცეთ წარმატება!

რჩევები წარუმატებლობის მაძიებელთათვის

ჩვენი ცხოვრება პრობლემებითა და სტრესებითაა აღსავსე. ირგვლივ რომ მიმოვიხედო, შევამჩნიე ცალკეული ადამიანები და მთელი ჩვენი საზოგადოება პრობლემებს აგროვებს და აგროვებს, მაგრამ ნაკლებად ცდილობს მათ გადაწყვეტას. პრობლემათა დამგროვებლებს უფრო ვგავართ და ქონების სიუხვის დაგროვების ნაცვლად სიღატაკეს ვაგროვებთ. ჩვენში არსებული კრიზისები და სიღატაკე ჩვენივე მენტალობის გამოძახილია. სწორედ ამიტომ, ამ საკითხს დეტალურად შევეხები.

პრობლემათა მიმართ ადამიანთა დამოკიდებულების 4 კატეგორია შეიძლება გამოიყოს:

- 1) პრობლემისგან განრიდება;
- 2) პრობლემის მიზეზებსა და სიმპტომების ანალიზში «ჩაძირვა»;
- 3) პრობლემის სწრაფი, ზედაპირული, არასაფუძვლიანი გადაჭრის მცდელობა;
- 4) პრობლემის, როგორც გამოწვევის ხედვა და მის რეალურ გადაწყვეტაზე ორიენტირება.

პრობლემისაგან განრიდება

ხშირად ვხვდებით ადამიანებს, რომლებიც ცდილობენ, თავი აარიდონ პრობლემებს, გაიადვილონ ცხოვრება, თვალი დახუჭონ და ზურგი შეაქციონ სირთულეებსა და დაბრკოლებებს, რომლებიც ურთიერთობებში, სამსახურში ან ფინანსებში იჩენენ თავს. ეს «სირაქლემას პოზიცია» არათუ ეხმარება ადამიანებს პრობლემათა დაძლევისა და ცხოვრების გაადვილებაში, არამედ პირიქით, ამ დროს კიდევ უფრო იზრდება გადაუწყვეტელ პრობლემათა რიცხვი, რაც არა მხოლოდ გართულებს ცხოვრებას, არამედ შეიძლება კატასტროფული შედეგებიც კი გამოიწვიოს. გვერდზე გადადებული პრობლემა ადამიანს მდევარივით მოსდევს. დაუმთავრებელი საქმეები, წერტილდაუსმელი პრობლემები ვალებივით იზრდება და მათი მოცილება უფრო და უფრო ძნელი ხდება.

პრობლემათა მიზეზებისა და სიმპტომების ანალიზში «ჩადირვა»

ჩვენს საზოგადოებაში ძალზე ხშირია შემთხვევები, როცა ადამიანები ზედმეტად «ჩაიცვლებიან» პრობლემათა მიზეზების ქექვაში, სიმპტომებზე ლაპარაკში, დამნაშავეს ძებნასა და ბრალდებებში. ნაცვლად იმისა, რომ საღად გაიაზრონ პრობლემათა სიმპტომები, ინდიკატორები და მიზეზები, და ამის საფუძველზე გადავიდნენ გადაწყვეტილების მიღების ფაზაში, მოხაზონ პრობლემის გადაწყვეტის ალტერნატიული ვარიანტები და გააკეთონ კონსტრუქციული არჩევანი, ისინი «ეფლობიან» მიზეზთა და დადანაშაულებათა «ჭაობში». ამის შედეგად ადამიანები მსხვერპლად ეწირებიან მათსავე მიერ მოფიქრებულ მიზეზთა კონსტრუქციებს, მითებსა და ილუზიებს. მიზეზების გადამეტებულ ანალიზს ისინი მიჰყავთ ახალ მიზეზებამდე და ასე გრძელდება გაუთავებელი დებატები. გადაწყვეტილების მიღება კი ან უსასრულოდ იგვიანებს, ან კიდევ საერთოდ ქრება ამ ადამიანთა ცხოვრების სცენიდან და მათი ქმედების რეპერტუარიდან.

გადაწყვეტილებათა ნაადრევი, ნაჩქარევი და ზედაპირული მიღება

პრობლემათა მიმართ დამოკიდებულების მესამე კატეგორია ხასიათდება იმით, რომ ესა თუ ის პირი, ან ადამიანთა ჯგუფი თავს არიდებს პრობლემათა ინდიკატორებისა და მიზეზების ანალიზს და პირდაპირ მიაშურებს ან ნაჩქარევად ეძებრება ნაუცბადევ და ზედაპირულ გადაწყვეტილებას. ხშირად ასეთი გადაწყვეტილებები მიღებული, ცნობილი და ტრივიალური ხასიათისაა, რაც არათუ არ წყვეტს, არამედ ხელახლა ქმნის ახალ სირთულეებს. ისინი ავტომატურ რეაქციებს უფრო ჰგვანან, ვიდრე მოაზრებული არჩევანის ალტერნატიულ და არაორდინალურ ვარიანტებს. აქ გაბატონებულია «ცდისა და შეცდომის» მეთოდი და იღბლისა და გამართლების მოლოდინი. ცხადია, შემთხვევითი წარმატების შანსი არსებობს, მაგრამ შემთხვევა მაინც შემთხვევაა, ხოლო გადაწყვეტილება მხოლოდ მაშინ არის ნამდვილი, როცა «ფსონი» კეთდება არა შემთხვევაზე, არამედ ალტერნატივათა რაციონალურ არჩევანზე. ამდენად, მარცხი და შეცდომა ამ სტრატეგიის მუდმივად თანმხლები მოვლენაა. ისეც ხდება, რომ ამ დროს შეიძლება შეგექმნას შთაბეჭდილება, თითქოს ადამიანები სპეციალურად იღებენ ნაჩქა-

რევ და ზედაპირულ გადაწყვეტილებას, რათა იწვინონ კიდევ ერთი მარცხი, შეცდომა და წარუმატებლობა.

პრობლემის გამოწვევად მიჩნევა და მისი რეალური გადაწყვეტა

პრობლემისადმი მიდგომის ეს სტრატეგია პრობლემის რეალური და კონსტრუქციული გადაწყვეტის სტრატეგიაა. ამ დროს ადამიანი პრობლემაში მარტო დამაბრკოლებელ, ხელისშემშლელ სირთულეებს კი არ ხედავს, არამედ პოზიტიური მომენტის სახით გამოჰყოფს ამ სირთულეებს, როგორც თავისებურ გამოწვევას, რათა მათი დაძლევის საშუალებით თვისობრივად ახალი რამ დაიწყოს, ცხოვრებაში განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდეს, სულიერად და მატერიალურად გამდიდრდეს, სასურველ მიზანს მიაღწიოს და სხვა; როგორ? ამას ამ თემის შემდგომ გაგრძელებაში მოგახსენებთ. ახლა კი გაგაცნობთ ფრიად საგულისხმო რჩევებს მათთვის, ვისაც სურს გარდაუვლად ჩავარდეს წარუმატებლობის ორმოში.

რჩევები წარუმატებლობის მოსურნეთათვის:

1. ისწავლეთ პრობლემის არშემჩნევა, ცალ ყურში შეუშვით და მეორეთი გამოუშვით ინფორმაცია მის შესახებ. ამით პრობლემები დაგროვდებიან და თქვენ გამდიდრდებით მათი რაოდენობის მომატების თვალსაზრისით. იქნებ გირჩევნიათ კიდევ ერთბაშად ბევრს მოუაროთ, ვიდრე ცოტ-ცოტაზე გაისარჯოთ. თუ მათ ვერ მოერევით, ეს იქნება იმის საბაზი, რომ თავი იმართლოთ და მსხვერპლის როლშიც კი გამოხვიდეთ, აქაოდა მაინცდამაინც თქვენ დაგებდათ ასეთი მძიმე ტვირთის ზიდვა, რომლის ტარებასაც სხვა ვერ შეძლებდა და რაღა თქვენ გთხოვენ გადაწყვეტას. ნახეთ, რა მომგებიან პოზიციაში აღმოჩნდებით? მოგწონთ ასეთი მოგება?

2. თუ პრობლემა შეამჩნიეთ და შეგაწუხათ, განერიდეთ წუხილს, უარყავით პრობლემის სიმწვავე და უგულუბელჰყავით ის, ან გადადეთ მისი გადაწყვეტა უსასრულოდ, ან კიდევ იქნებ შეეცადოთ სხვას გადააბაროთ კიდევ მისი გადაწყვეტა. ამით თქვენ არა მხოლოდ პრობლემათა გამრავლებაში მოიგებთ, არამედ მიაჩვევთ ყველას, რომ თქვენ საპასუხისმგებლო მომენტში გამოგტოვონ და როგორც თქვენ გადადეთ გადაწყვეტა, ასევე მათაც გადადონ თქვენგან და სხვას დააკისრონ საპატიო ამოცანის ან მისიის განხორციელება. თუ ეს დიდხანს გაგრძელდა, ერთ მშვენიერ დღეს აღმოაჩენთ, რომ თქვენ ყველა პასუხისმგებლობიდან განთავისუფლებული ხართ და არავინ არაფერს გეკითხებათ, სამაგიეროდ მშვიდად ხართ. თქვენ ხომ გიყვართ ასეთი სიმშვიდე?

3. პრობლემის გამოჩენისთანავე დაიწყეთ მის მიზეზებში ქექვა, ეძებთ ვისი ბრალია ყველაფერი, რაც შეიძლება მეტი არგუმენტი მოიშველიეთ, იკამათეთ, გაბრაზდით, ინერვიულეთ, სხვებიც დაარწმუნეთ თქვენს სისწორეში. პრობლემის მიზეზების ქექვა თქვენს ანალიტიკურ უნარებსაც გააუმჯობესებს და ბევრ სიახლესაც გაიგებთ, მაგრამ იმასაც ჩაწვდებით, თუ როგორ ტკეპნით ერთ ადგილს და როგორ არ იძვრის ადგილიდან არაფერი, რაც პრობლემის გადაწყვეტასთან იქნებოდა დაკავშირებული. ან რაში გაინტერესებთ რაიმე შეიცვალოს, თქვენ ხომ «ჭემმარიტება» და «რეალური მიზეზები» გაინტერესებდათ და აგერ დამნაშავეებიც მოძებნეთ. მთავარი ხომ ისაა, რომ

თქვენ ნამდვილად არ ხართ დამნაშავე და ბრალი პრობლემის აღმოცენებაში არ მიგიძღვით?

4. თუ თქვენ გსურთ, ჩაიძიროთ გადაუწყვეტელი პრობლემების «ჭაობში», ამის უებარი საშუალებაა მიზეზთა მიზეზის მიზეზის და კიდევ მისი მიზეზის დადგენა და ეს უსასრულოდ წაგიყვანთ წარსულში, მის შეცდომებში, რათა ის არასდროს არ გამოასწოროთ. წარსული ხომ უძირო ჭაა და რაც უფრო ღრმად ჩადიხარ, კიდევ უფრო ღრმად გითრევს;

5. თუ გსურთ, სწრაფად იწვნიოთ მარცხი, რათა შემდგომში ამ მარცხიდან არაფერი ახალი დასკვნა არ გამოიტანოთ და ახალი მარცხისათვის ემზადოთ, სწრაფად და ზერელედ გამოიტანეთ გადაწყვეტილება, ნუ ჩაუღრმავდებით მიზეზებს და თავს ნუ შეიწუხებთ ალტერნატიული ვარიანტების გამოთვლით ან პოტენციური რისკების გათვალისწინებით. ეს საუკეთესო საშუალებაა დროის და ენერჯის დაზოგვისათვის, რათა შემდგომში ორმაგი ენერჯია და დრო დახარჯოთ მარცხის შედეგების განეიტრალებაში. ან კი რად გიღირთ ასეთი განეიტრალება, განა არ სჯობს აქაც იგივე ხერხს მიმართოთ და ნაუცბათევად გადაწყვიტოთ, თუ რა უყოთ მარცხის სავალალო შედეგებს. ეს აგაცდენთ ზედმეტ «ტვინის ჭყლეტას». რა ჯობია მარტივ ცხოვრებას?

გაწყობთ წარუმატებლობის გარანტიის ეს რჩევები? თუ გაწყობთ, შეასრულეთ იგი. თუ არა – რადიკალურად შეცვალეთ თქვენი დამოკიდებულება და გაითავისეთ პრობლემათა გადაწყვეტის ის მოდელი, რასაც მომდევნო თავში შევხებით.

simimgareze-ს მეთოდი

კითხვა: «უკვე დავიბენი, ათასი პრობლემა შემომესია. რომელ ერთს გავართვა თავი? როგორ მოვიცილო ეს პრობლემები? რა გზას დავადგე? რამე უნივერსალურ გზას ხომ ვერ მიმასწავლით, რომ კარზე მომდგარი პრობლემა გადავწყვიტო?»

პრობლემის გადაწყვეტის სტრატეგიებიდან ე.წ. simimgareze-ს მეთოდი შევარჩიე, რომელიც პრობლემის წარმატებული გადაწყვეტის ყველაზე ეფექტურ გზად გვევლინება. simimgareze-ს მეთოდი ექვსი ნაბიჯისგან შედგება, რომელთაგან პირველია სიმპტომების (si) გამოვლენა. მეორე – მიზეზების (mi) დადგენა. მესამე – მიზნის (mi) დასახვა. მეოთხე – განხორციელებული (ga) სასურველი შედეგების დაპროექტება და ნათლად წარმოდგენა. ამ ფაზაში ხდება რამდენიმე სასურველი ვარიანტის, სასურველი რეალობის, მდგომარეობის ან შედეგის მენტალური დაპროექტება და მათგან ყველაზე რეალური, მიღწევადი და ეფექტური ვარიანტის შერჩევა-გამოყოფა. მეხუთე ნაბიჯია ადამიანური, სულიერი თუ მატერიალური რესურსების (re), საშუალებების დადგენა. მეექვსე ნაბიჯია ზეგავლენები (ze), სხვაგვარად – ის ზეგავლენა, რასაც ხანმოკლე ან ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოახდენს პრობლემის ესა თუ ის გადაწყვეტა პიროვნებაზე, ჯგუფზე, საზოგადოებაზე ან გარემოზე.

Simimgareze-ს მეთოდოლოგია

1. სიმპტომები (si). პრობლემა ამა თუ იმ სახით ვლინდება და შეიძლება მათი გამოვლენის ნიშნები დავახასიათოთ. თუ ხის მეტაფორას გამოვიყენებთ და პრობლემას ხის ღეროს სახით მოვიაზრებთ, პრობლემების სიმპტომები იქნება ცალკე შტოები და ფოთლები – მის განშტოებებზე. ისინი ბევრია და შესაბამისად ნებისმიერ პრობლემას,

პირად ცხოვრებაში იქნება, სამსახურში თუ ადამიანთა ურთიერთობებში, ბევრი სიმპტომური გამოვლენა აქვს. სიმპტომებთან დაკავშირებით ისმება კითხვები: «რაში ვლინდება პრობლემა?» «რას ვხედავ, რა მესმის, რას ვგრძნობ, როცა პრობლემასთან მაქვს საქმე? რა ჩანს, რა ისმის, რა იგრძნობა?»

2. მიზეზები (mi). პრობლემათა მიზეზებისა და ფესვების გასაგებად უნდა დაისვას კითხვა: «რატომ?». თუ ხის მეტაფორას გამოვიყენებთ, ფესვების ადგილას მივუთითებთ პრობლემის მიზეზებს, ღეროს ადგილას ჩავსვამთ პრობლემის შინაარსს, ხოლო შტოთა, განშტოებათა და ფოთლების ადგილას წარმოვიდგინოთ სიმპტომები. როგორც რეალურ ცხოვრებაში, ასევე ბევრ სახელმძღვანელოსა და პრობლემის გადაწყვეტის შესახებ ტრენინგებში პროვინებათაშორისი, ან ჯგუფთაშორისი, ან ეროვნებათაშორისი კონფლიქტების და სხვა ცხოვრებისეული პრობლემების, სიმპტომებისა და მიზეზების დეტალური დახასიათებით კმაყოფილდებიან. მაგრამ სიმპტომებისა და მიზეზების, ან ფესვების დადგენა არ არის საკმარისი პრობლემათა გადასაწყვეტად. უფრო მეტიც, თუ აქ შევჩერდით და წინ არ წავედით, ამით საკუთრივ ვერც პრობლემას მოვაკლებთ სიმწვავეს და არც მისი მიზეზები აღმოიფხვრება თავისთავად. უფრო მეტიც, აღმოფხვრის პოლიტიკა არც არის სასარგებლო და ეფექტური. და კიდევ: რაც მეტს შეეცდები აღმოფხვრა, მით უფრო გაამრავლებ ახალ პრობლემებს. საჭიროა სხვა მიდგომა და სტრატეგია, რაზეც ახლა გადავალთ;

3. მიზნის (mi) დასახვა. პრობლემის მიზეზთა გარკვევის შემდეგ უმაღლეს უნდა გადახვიდეთ მიზნის დასახვაზე. თუ კითხვა «რატომ?» და მიზეზთა ძიება წარსულთან დებს ხიდს, მიზნის დასახვა და კითხვა «რისთვის ან ვისთვის?» ან «რა მიზნით?» მომავალთან Nკავშირს უზრუნველყოფს. პრობლემის გადაჭრისათვის და არა მისი დაგროვება-შენახვისათვის აუცილებელია მომავლის ხედვა და მომავლის პერსპექტივაზე ორიენტაცია. თქვენ ხომ ცხოვრება მომავალში უნდა განაგრძნოთ, თქვენ ხომ ხვალ, ზეგ და მაზეგ გელოდებთ ცხოვრების გაგრძელება და არა გუშინ ან გუშინწინ. პრობლემის გადაწყვეტაც ხომ სადღეისოდ და ხვალისთვის გჭირდება და არა წარსულისთვის. ამიტომაც, დაისახე მიზანი! მიზანი უნდა იყოს პოზიტიურად ფორმულირებული, დეტალურად და მკაფიოდ წარმოსახული;

4. განხორციელებული (ga) სასურველი შედეგები. აუცილებელია პრობლემის გადაწყვეტის ალტერნატიულ ვარიანტთა შერჩევა და ამ მრავალვარიანტიან სიტუაციაში არჩევანის გაკეთება. ამის შედეგად უნდა დავხატოთ და ნათლად წარმოვიდგინოთ, გავაჟღეროთ და ვიგრძნოთ ის პრობლემაგადაწყვეტილი ვითარება, რისკენაც მივისწრაფვით. უფრო სწორად, თუ ვიტყვით, უკვე წინასწარ უნდა დავხატოთ და დავაპროექტოთ გონებაში, თვალსაჩინოდ წარმოვიდგინოთ ის სიტუაცია, როცა პრობლემა უკვე გადაწყვეტილია, სასურველი მიზანი მიღწეულია და ცხოვრება ახლებურად მიდის. მისაღწევი მდგომარეობის ასეთი მკაფიო წინასწარი წარმოდგენა და დაპროექტება ხელს უწყობს, გვქონდეს გზამკვლევი, რუკა ან კომპასი, თუ საით და როგორ ვიაროთ. მისაღწევი მიზნის მკაფიო წარმოდგენა ჩანაფიქრის რეალობად გადაქცევის მექანიზმი და გარანტი ხდება. ადეკვატური კითხვები, რომლებიც ჩვენს თავს უნდა დავუსვათ, ასეთია: «როგორი იქნება სიტუაცია პრობლემის გადაწყვეტის შემდეგ? რას დავინახავ, მოვისმენ და ვიგრძნობ ისეთს, რომელიც დამიდასტურებს, რომ პრობლემა უკვე გადაწყდა?» «რას მინდა მივადწიო პრობლემის გადაწყვეტით და როგორ

გავიგებ, რომ მიზანს მივალწი? ვინმეს ფილმი რომ გადაელო მაშინდელი ვითარების შესახებ, როგორ გამოჩნდებოდა ჩვენი ცხოვრება, რას გრძნობენ ადამიანები, როგორ გამოიყურებიან ისინი, რას ამბობენ და რა ისმის, რა ჩანს გარემოში?» ამდაგვარი წარმოსახული ფილმის ხატები ადამიანებზე დიდ ზეგავლენას ახდენენ, რათა მათ პრობლემის გადაწყვეტის პროცესი სასურველ შედეგებამდე მიიყვანონ;

5. რესურსები (re). მას შემდეგ რაც მოვიაზრებთ და დავაპროექტებთ სასურველ რეალობას, რომელსაც პრობლემის გადაწყვეტის შედეგად მივიღებთ, საჭიროა დეტალურად განვსაზღვროთ ის საშუალებები და რესურსები, რითაც მიზანს უნდა მივალწით. საშუალებები და რესურსები შეიძლება იყოს მატერიალური, ინტელექტუალური, ადამიანური, ფინანსური, სხვადასხვა სახის მეთოდები, ხერხები, ტექნიკები... საჭიროა ყველა მათგანის თავმოყრა, გათვლა, მომზადება, დახარისხება და ა.შ. ამ ფაზაში დაისმება კითხვა: «რა გზითა და რესურსებით მივალწევ მიზანს?»

6. ზეგავლენები (ze). პრობლემის კონსტრუქციული გადაწყვეტის სტრატეგიის ბოლო ნაბიჯია ყველა იმ შორს მიმავალი ან უახლოესი შედეგის წინასწარ მოაზრება და დაგეგმვა, რაც პრობლემის გადაწყვეტას მოჰყვება თან. სიტყვა «შედეგი» აქ ნიშნავს გავლენას, ცვლილებას, რაც პრობლემის გადაწყვეტის შედეგად მოხდა საზოგადოებაში, ჯგუფში, ცალკეულ პიროვნებაში. შედეგები უნდა იყოს «ეკოლოგიურად ვალიდური». ეს ნიშნავს იმას, რომ პრობლემის გადაწყვეტამ უნდა მოახდინოს პოზიტიური გავლენა ადამიანებზე, გარემოზე და საზოგადოებაზე, მაქსიმალურად უნდა შემცირდეს ზიანის რისკი. პრობლემის გადაწყვეტა არა მხოლოდ უახლოესი ამოცანების გადაწყვეტას უნდა ემსახურებოდეს, არამედ გარკვევით უნდა აისახოს შორეული მიზნების განხორციელებაც. ამ ეტაპზე დაისმება კითხვები: «რა ზეგავლენას მოახდენს პრობლემის გადაწყვეტა გარემოცვაზე, ადამიანებზე, საზოგადოებაზე, კონკრეტულ პირზე, ჩემზე?» «ხომ არ იქნება მიღებული შედეგი ზიანის შემცველი?» «რა სარგებლობას მოიტანს იგი?» «რა შორს მიმავალი ეფექტი ექნება მიღებულ გადაწყვეტილებას და პრობლემის გადაჭრას?» «როგორ აისახება იგი თითოეული ჩვენთაგანის ცხოვრებაზე?» «ხანმოკლე იქნება თუ ხანგრძლივი დადებითი შედეგი?» «როგორ უზრუნველვყოთ მიღებული შედეგის სიცოცხლისუნარიანობა და მდგრადობა?»

27 აპრილი, 2007 წელი.

გურამ წიბახაშვილი


დღევანდელი ტენდენციები ფოტოგრაფიაში

ფოტოგრაფია ხელოვნების ახალგაზრდა დარგი სულაც არ არის. 170 წელი არც თუ ისე ცოტა დროა, რომ რაღაცამ თავის სახე შეიძინოს. ფოტოგრაფიის ძალიან ბევრი სახეობა არსებობს და ერთ-ერთი მიმდინარეობა, თუ შეიძლება მას ასე დაერქვას, ტურისტული სიტუაციების აღწერაა. მეორე არის ომების ან ეკონომიურად ცუდი მდგომარეობის აღწერა, თუმცა, ეს არის ფოტოგრაფიის მთავარი ამოცანა და პირიქით. ვფიქრობ, რომ ომის ფოტოგრაფიამ (რატომღაც მას ჰუმანურ ფოტოგრაფიას ეძახიან), რომელიც ომს, გაჭირვებას, ყოფას ასახავს, ადამიანს უნდა დაანახოს, თუ რა ცუდია ომი,

რომ სწორედ ამის საჩვენებლად იღებენ ამ ფოტოებს. ცოტა სხვა კუთხით თუ მივუდგებით, ომი გარკვეული ადამიანების მიზეზით იწყება და გარკვეულ მიზნებს ისახავს. გარდა იმისა, რომ ვილაცამ ვილაცა უნდა დაიპყროს და ხალხი უნდა დაიხოცოს, ეს არის გამდიდრების ძალიან კარგი საშუალება. ფოტოგრაფები თავიანთი ფოტოებით ცდილობენ ცუდი სიტუაცია ან გაუსაძლისი მდგომარეობა აჩვენონ საზოგადოებას, რათა ისინი მიხვდნენ, თუ რა ცუდია ომი. მაგრამ ფაქტია, რომ ფოტოგრაფები, რომლებიც ამას იღებენ, ამით ცხოვრობენ და ეს არის მათი შემოსავლის წყარო. არ ვიცი, ეს მიზნები რამდენად შეიძლება ერთმანეთთან თანაარსებობდნენ და რამდენად კარგია, რომ ეს შემოსავლის წყაროა და თან გინდა, რომ კაცობრიობას აჩვენო, რომ ომი ცუდია, მაგრამ ასეთი ფოტოგრაფია არსებობს და საკმაოდ პოპულარულია. ასეთ ფოტოებს ჩვენ ძალიან ხშირად ვხვდებით გაზეთებში, საინფორმაციო საშუალებებში და ფოტოგრაფთა ალბომებში. ადამიანი ცნობისმოყვარეა და ცდილობს რაც შეიძლება მეტი ასეთი ფოტო ნახოს. ამიტომაც არსებობს ასეთი ფოტოგრაფია. ვფიქრობ, ფოტოგრაფიამ უფრო სხვა ფუნქციები უნდა აიღოს თავის თავზე.

1839 წელს დაგერმა საფრანგეთის აკადემიაში გამოაცხადა, რომ მან გამოიგონა სურათის შექმნის ახალი მეთოდი და მას ფოტოგრაფია დაარქვა, მაგრამ ეს ერთ კაცს არ გამოუგონია. ფოტოგრაფიის გამოგონებას ძალიან დიდი ისტორია აქვს. დაგერი იყო მხატვარი და როგორც ამბობენ, ის იყო ცუდი მხატვარი. მას სულ ღრღნიდა ჭია, რომ კარგად მოეხერხებინა რაღაცის გამოსახვა და ამიტომ მოიგონა ფოტოგრაფია, ამით იმის თქმა მიინდა, რომ ფოტოგრაფია არის გამომსახველობის ერთ-ერთი ხერხი, რომელიც თანამედროვე ხელოვნებაში ძალიან პოპულარულია და მეტსაც ვიტყვი, მან შეიძლება გადაწონოს კიდევ სხვა ხერხები, ამას ბევრი მიზანი და ბევრი ახსნა შეიძლება ჰქონდეს, კერძოდ ის, რომ ის გაცილებით რეალისტურია, რეალურად ასახავს ამა თუ იმ მოვლენას და ადამიანებს უფრო მეტად უყვართ რეალურის ნახვა, ვიდრე რაღაც გამოგონების. დღეს მიინდა ვისაუბრო თანამედროვე ფოტოგრაფიაზე და იმაზე, თუ როგორ იყენებს თანამედროვე მხატვარი ფოტოგრაფიას, როგორც გამოსახვის საშუალებას ან ფოტოგრაფი როგორ ხდება მხატვარი იმიტომ, რომ ის არის ფოტოგრაფი. პირველი მიზანი, როდესაც ფოტოგრაფია გაჩნდა, იყო ის, რომ როგორმე მოეძებნათ და უფრო რეალური გაეხადათ გამოსახულება, რომელსაც მანამდე მხატვრები აკეთებდნენ. ეს ძალიან ძვირი სიამოვნება იყო. ადამიანს უყვარს საკუთარი თავის დაფიქსირება და შესაბამისად ფოტოგრაფიამ მოიტანა ის, რომ შესაძლებელი გახდა საკუთარი გამოსახულების დაფიქსირება თუ ამის სურვილი ჰქონდა ადამიანს. ეს სიამოვნება იაფი და ხელმისაწვდომი იყო. საკუთარი გამოსახულების დაფიქსირების სურვილი დღესაც ძალიან დიდია. კოლოსალურ ციფრს ასახელებენ იმაზე, თუ რამდენ სურათს იღებენ დედამიწაზე ყოველ წამს. სად მიდის ამდენი ინფორმაცია ღმერთმა იცის, მაგრამ ფაქტია, რომ ეს ხდება. დამეთანხმებით, რომ ტელეფონებზე კამერების დამაგრებამ, სისულელემდე მიიყვანა ეს ყველაფერი. ახლა გადავიდეთ ჩვენს ძირითად თემაზე. საკმაოდ ბევრი სერიოზული თანამედროვე ფოტოგრაფის შემოქმედება (არტისტს დავარქმევ იმიტომ, რომ მხატვარი რომ დავარქვა, ნახატთან არის დაკავშირებული), დაკავშირებულია ხელოვნებასთან. ძალიან ბევრი არტისტი იყენებს ფოტოგრაფიას, როგორც ხელოვნების, ანუ ART-ის შექმნის საშუალებას. ფოტოგრაფიის ხელოვნების მეორედ აღიარება 70-იან წლებთან არის დაკავშირებული, მანამდე ისინი გაყოფილი

იყვნენ. ფოტოგრაფები ცალკე აწყობდნენ გამოფენებს, მათ თავისი საქმე და შემოსავლის წყარო ჰქონდათ, ასევე იყვნენ მხატვრებიც. 70-იან წლებში ამერიკაში ერთ-ერთი პირველი მხატვარი იყო ენდი მარჰოლი, რომელმაც ფოტოგრაფია შეიტანა თავის ნამუშევრებში. მან აილამერიკელი ვარსკვლავების ფოტოები და გადაიტანა (შეიძლება თვითონაც არ გადაუტანია) მხატვრული საშუალებებით. „შელკოგრაფიით“ იქნებოდა



ეს, თუ ტილოებზე ზეთით შესრულებული, რაღაც ფერები დაადო შავ-თეთრ ფოტოებს და თქვა, რომ ეს არის ახალი „იმიჯები“, ეს არის ახალი პორტრეტები, კერპები _ „ახლა მათ უნდა ვცეთ თაყვანიო“. მერლინ მონროს დაარქვა „ახალი ვენერა“ _ ეს არის მისი ძალიან ცნობილი სურათი. მერლინ მონროს ერთი ფოტოსგან მან ძალიან ბევრი ნამუშევარი შექმნა და თქვა, რომ ეს არის თქვენი ახალი „ვენერა“ და ა.შ. ამის შემდეგ ძალიან ბევრმა მხატვარმა, იმავე ამერიკაში, დაიწყო ფოტოგრაფიის გამოყენება. რაუმენბერგმაც დაიწყო ფოტოგრაფიის გამოყენება _ ფოტოგრაფიის პირდაპირ, არა მხატვრულად გადატანა, არამედ კოლაჟური სახით. იღებენ ფოტოს, აწებებენ ტილოზე და ეს ხდება მხატვრული ნაწარმოები. ეს მიდგომა, რომ ფოტოგრაფია სუფთა სახითაც შეიძლება იყოს მხატვრული ნაწარმოები, დღესაც გავრცელებულია. მეტსაც ვიტყვოდი, რომ ახლა უფრო მეტი მხატვარი იყენებს ამ მეთოდს თავისი აზრების სიბრტყეზე გადმოსაფრქვევად, ვიდრე სხვა მეთოდებს _ ფერწერა იქნება ეს თუ სხვა. ერთ-ერთი ასეთი არტისტი არის წარმოშობით ბრაზილიელი მხატვარი ვიკ მუნისი, რომელიც ახლა ამერიკაში ცხოვრობს და ის ახლა ამერიკელი არტისტია. ის შეიძლება დავახასიათოთ, როგორც მხატვარი და როგორც ფოტოგრაფი. აგისნით რატომ. ახლახან ვიყავი უკრაინაში და ვნახე მისი გამოფენა. კატალოგებიდან ვიცნობდი მის ნამუშევრებს, მაგრამ როცა ამას უყურებ ორიგინალში, ძალიან დიდ შთაბეჭდილებას ახდენს, როგორც ყველა ორიგინალი და აგისნით, როგორ მუშაობს დიკ მუნისი. მას აქვს სხვადასხვა მასალაში შესრულებული ნამუშევრები. ის იღებს რაღაც მასალას, ან ბრილიანტს ან

ხიზილას ან შოკოლადს ან კეტჩუპს ან დაჭრილ ფერად ქაღალდებს და ა.შ. მისი ავტოპორტრეტი შექმნილია დაჭრილი ფერადი ქაღალდებით. ის იღებს ფერად ქაღალდებს, დირაკოლით «აკეთებს პატარა ფერად რგოლებს, შემდეგ ამ ფერადი რგოლებით იატაკზე ან დიდ მაგიდაზე ხატავს ფოტოს. სადაც ბაცი სჭირდება, იყენებს ბაცს, სადაც მუქი სჭირდება, იყენებს მუქს და ა.შ. შემდეგ ამ პორტრეტს იღებს დიდი ფოტოაპარატით. გადაღებულ სურათს ადიდება დაახლოებით 23 მეტრზე და ეს არის მისი ნამუშევარი. მას ბევრი ნამუშევარი აქვს შესრულებული ბრილიანტებით. ის წავიდა



რომელიც ბრილიანტების დამამუშავებელ ქარხანაში (იმისათვის, რომ ის ცნობილი მხატვარია), მისცეს ნამდვილი ბრილიანტები და მან გააკეთა დიდი სერია ნამუშევრების, რომლებზეც გამოსახულია XX საუკუნის ლამაზი ქალები: მერლინ მონრო, ჟაკლინ კენედი, მონიკა ვიტი, ბრიჯიდ ბარდო და ა. შ. მოგეხსენებათ, რომ ეს ტიტანური შრომაა. ის შავ ქაღალდზე ბრილიანტებით ხატავდა პორტრეტებს და უკვე დასრულებულ პორტრეტს იღებდა აპარატით, შემდეგ ბრილიანტებს ისევ ყუთში ყრიდა და უბრუნებდა მფლობელს. ამ მხატვარს შეიძლება მხატვარიც ვუწოდოთ და ფოტოგრაფიც, იმიტომ, რომ ის, როგორც მხატვარი, აკეთებს მხატვრულ გამოსახულებას და ფოტოგრაფი არის იმიტომ, რომ საბოლოო სახეს, რომელსაც ის გვაწვდის, არის დიდი ფოტო. ეს სერია ნამუშევრებისა გაკეთებულია პოლიგრაფიული ფერებით, ანუ არსებობს ფერთა გამა, ფერთა შკალა. პოლიგრაფიაში ირჩევენ ფერებს. ყველა ფერს გააჩნია თავისი ნომერი. მან აიღო აი ასეთი ფერები (შკალა) და ამისგან აკეთებს უკვე ცნობილი მხატვრების რეპროდუქციებს. მაგ. ეს არის მონეს რომელიც ნამუშევრის დეტალის რეპროდუქცია. ანუ, მან აიღო მონეს ნამუშევრის რაღაც დეტალი და განსაზღვრა რა ადგილას რა ფერი ჩაჯდებოდა. ამის შემდეგ მან ქაღალდის ეს ფერები დააწება, გადაიტანა ეს ყველაფერი ფოტოზე და თქვა, რომ ეს არის მონეს ასლი. ეს თვითმფრინავი დახატულია მტვრით, შეგროვილი მტვრისგან ხატავს ამ ფოტოს და შემდეგ იღებს. ეს ისევ მონეს მეორე

სურათის კოპია. აი, ეს ოთხი ფერი, რომელიც დაბლა კუთხეშია (ლურჯი, ყვითელი, წითელი და შავი) ეს არის პოლიგრაფიული ფერი, რომელიც შემდეგ ხდება ყველა ფერის გამოსახულების რეპროდუქცირება. არა მარტო პოლიგრაფიაში, არამედ ნებისმიერი ფერადი გამოსახულება, თუ ძალიან ახლოს მივალთ მასთან ანუ მიკროსკოპის დონეზე, ვნახავთ, რომ ეს არის სამი ფერის პიგმენტი და მეტი არაფერი. ამ სამი ფერის პიგმენტით ხდება მილიონი ფერის მიღება. პრინციპში ერთ-ერთი იდეა, რომ ეს გააკეთოს, არის ტექნოლოგიური მიდგომა. ის გეუბნება, რომ მე იმპრესიონიზმი კი არ მაინტერესებს, რასაც მონე გვთავაზობს, მე მაინტერესებს ის სტრუქტურა, რომლითაც ის მერე ახერხებდა აი, ამ ეფექტის მიღებას. ამ სტრუქტურას გვიშლის ის აქ. ეს მზესუმზირები არის ვანგოგის კოპიო და არის გაკეთებული მრგვალი ფერადი ქაღალდებით. ეს ღრუბელი არის ბამბები, ის ბამბისაგან აკეთებდა ღრუბლის ფორმებს და მერე იმას იღებდა. ეს არის მისი ერთ-ერთი ექსპოზიცია, ეს იმიტომ ჩავდე, რომ ვნახოთ რა




ფორმისაა საბოლოოდ ნამუშევრები. ეს სურათი არის გაკეთებული, არის ორიგინალი, რომელიც მან დაამზადა ტექნიკური ნაგვით. ეს ყველაფერი არის რადიოდეტალები და სხვა. ამას ის აკეთებს იატაკზე. ასეთი ნამუშევრები ძალიან დიდი ზომისაა, რომელსაც ის იღებს კამერით, შემდეგ შლის და რჩება მარტო ფოტო. ეს არის კიდევ ერთი ტიპი ნამუშევრებისა, ეს უფრო კლასიკური ფოტოგრაფიაა. აქ ის მუშაობს, როგორც ბევრი მხატვარი ერთად, როგორც „ლენდ არტისტი“ ანუ მხატვარი, რომელიც მიწაზე მუშაობს. არის ასეთი მიმდინარეობა თანამედროვე ხელოვნებაში, რომლებიც მიწაზე აკეთებენ რაღაც ობიექტებს და ა.შ. კონკრეტულად ეს ნამუშევრები ასე კეთდება: ის აკეთებს ჯერ ესკიზს, რაღაც ნივთის ესკიზს, ამას ხაზავს «მილიმეტროვკაზე», აკეთებს ამის გეგმას, მერე ქირაობს მიწის ნაკვეთს და ტრაქტორს, აძლევს ამ ნახაზს და ეუბნება _ აი ეს ნიჩაბი უნდა ამოთხარო, მიწაზე უნდა გააკეთოს ეს ნახაზი, რომელიც უზარმაზარია, მერე ქირაობს ამწე კრანს, ადის ამწე კრანზე და იღებს ამ ნახატს. ეს არის კლასიკური მეთოდით შესრულებული ფოტო შავ-თეთრ ფონზე. ეს ყველაფერი დიდ შრომასთან და თანხებთან არის დაკავშირებული, შესაბამისად მისი ერთი ნამუშევარი ძალიან ძვირი

ღირს. შეიძლება ვთქვათ, ვის რაში ჭირდება ეს ნიჩაბი, რომ გადაიხადოს ამხელა თანხა და სახლში დაკიდოს, მაგრამ საქმე იმაშია, რომ სურათს ვყიდულობთ იმიტომ, რომ მან დაამშვენოს ჩვენი საძინებელი ოთახი და ამ სურათმა მოგვანიჭოს სიამოვნება. ლაპარაკია იმაზე, რომ ამ ადამიანს აქვს რაღაც კონცეფცია, ეს კონცეფცია ღირებულია ხელოვნების განვითარებაში, რომელიდაც ეტაპზე და მისი ნამუშევარი უკვე ერთი ფურცელი კი არ არის, არამედ მისი აზროვნების ჯაჭვი, რომელსაც ის გვთავაზობს. შესაბამისად, თუ ვან გოგის ნამუშევარს ყიდულობს მაგალითად იაპონელი ბანკირი 60 მილიონად და ინახავს სეიფში, ის ყიდულობს იმიტომ კი არა, რომ დატკბეს ამ მზესუმზირებით, არამედ იმიტომ, რომ იცის, რომ ვან გოგის ნამუშევრის ფასი ყოველ წელს 5% იზრდება, ანუ სამი წლის მერე გაყიდის 80 მილიონად. ზუსტად იგივე პრინციპით შეიძლება სხვა ბანკირმაც იყიდოს ვიკ მუნისის ნამუშევარი და არ იცოდეს რა იყიდა, შეინახოს სეიფში და ეცოდინება, რომ თუ გადაიხადა მასში 300 000, ერთი წლის მერე შეიძლება ეს ღირდეს 400 000. ვიღაცა რომ ამ ნამუშევარს ყიდულობს, ის არ



ყიდულობს ქაღალდს, უბრალოდ ის თვლის, რომ მან იყიდა ამ ადამიანის კონცეფცია. ანუ ის აფასებს ადამიანის ნაფიქრალს და ხდება ამ აზრის მფლობელი, ვან გოგს შეუძლებელია დაეხატა ამდენი ორიგინალი, უბრალოდ იგი ვერ მოასწრებდა, დანარჩენი, ალბათ, ვიღაცეების მიერ არის გამეორებული. მაგრამ იმის გამო, რომ ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ ეს არის ვან გოგი, ისიც ეუბნება, რომ ვან გოგია. იგი ისეთივე ეფექტს ახდენს, როგორც დანარჩენი ორიგინალები. ამიტომ, რა მნიშვნელობა აქვს ერთ კვადრატულ მეტრ ტილოს, ეს არის ნახევარი კილო ზეთის საღებავი. ლაპარაკია, რომ ეს არის იმ კაცის დახატული და ხელოვნების ისტორიის რაღაც საფეხურზე მან რევოლუცია მოახდინა და ამიტომ აქვს მას ფასი. ესეც ამ ტიპის ნამუშევარია, როგორც წინა იყო. აი, ეს ნამუშევარი ძალიან საინტერესოა. მე, რომ მქონდეს 300 000 მას სიამოვნებით ვიყიდდი. ეს ნამუშევარი გაკეთებულია გელით (ჟელე). მას 4 თუ 5 ნამუშევარი აქვს ამ სტილში. მათ კონკრეტული სახელები აქვთ. მე შეიძლება ვცდები, მაგრამ ამას შეიძლება ხიროსიმა ერქვას. კომპიუტერულად შეიძლება აღდგენა კოსმოსისა, როცა ბომბი ჩამოაგდეს ხიროსიმაში. ხიროსიმადან როგორ გამოიყურებოდა



ცა. ის მიდის „კომპიუტერშიკებთან“, აღადგენს ამ სურათს და მერე აღდგენილ სურათს აკეთებს გელით. ეს თეთრები რაც ჩანს, ჰაერის ბუმტუკებია, რომელიც კოლოსალური შრომის შედეგად არის შექმნილი. შავი არის რაღაც ფონი და ჟელეს ასხამს ისე, რომ თეთრი ბუმტუკები იყოს კონკრეტულ ადგილზე. კოსმოსს აღადგენს, უღებს სურათს და ვიღებთ ასეთ გამოსახულებას. ასეთი აქვს რამოდენიმე. ერთი არის 11 სექტემბრის კოსმოსი, ერთი ხიროსიმას კოსმოსი. ის ამით გვეუბნება, რომ კოსმოსი იყო ასეთი იმ დროს. ეს შეიძლება უფრო საინტერესო იყოს იმ ადამიანებისათვის, ვინც ფიქრობს, რომ კოსმოსს გავლენა აქვს ყველა იმ მოვლენაზე, რომელიც დედამიწაზე ხდება.

ეს არის შოკოლადით დახატული ავტოპორტრეტი. ეს არის ფერადი პიგმენტებით დახატული მატისის კოპიო. ეს არის ბამბა, მას კატის ფორმა აქვს. ეს არის კიდევ ერთი ტიპის ფოტოები, რომელსაც ის აკეთებს მავთულისგან. იგი მავთულს დებს ქაღალდზე, იღებს და მერე ამას გვთავაზობს, როგორც ფოტოს.

ამერიკელი მხატვარი როი ლიხტენშტეინი აკეთებს ფერწერებს პატარა კომიქსებიდან, ის პატარა დეტალებს ადიდებს და ზეთში ხატავს. ეს არის ერთ-ერთი პერიფრაზირება რემბრანტისა. რემბრანტს აქვს დახატული უამრავი ავტოპორტრეტი სხვადასხვა მასალაში, სხვადასხვა ფორმაში და სხვადასხვა ქუდში დახატული.

ძალიან ბევრი ავტორი მიმართავს თანამედროვე ხელოვნებაში და ფოტოგრაფიაში არა რეალური რაღაცის ასახვას, არამედ უკვე ასახულის ასახვას. ჟან ლუი გოდარს აქვს ფოტოგრაფიის ყველაზე კარგი განმარტება. ის ამბობს, რომ „ფოტოგრაფია არ არის რეალობის ასახვა, ფოტოგრაფია თვითონ არის ახალი რეალობა“. ანუ როგორც კი ფოტო იბეჭდება, ის უკვე რეალობაა და მას თავისი ცხოვრება აქვს. ძალიან ბევრი თანამედროვე არტისტი მიმართავს არა ნამდვილ რეალობას, ის ასახავს ერთხელ უკვე ასახულ რეალობას. მათთვის რეალობა არის ერთხელ უკვე ასახული და ადამიანის ტვინში დალექილი, როგორც იმიჯი. ამის კარგი მაგალითია ვიკ მუნისი. ეს არის მტვრით გაკეთებული ფოტო. ბრილიანტის ბრიჯიდ ბარდო და სხვა. ეს არის ფოტოგრაფიაში

ძალიან მნიშვნელოვანი სურათი. კიდევ ძალიან მნიშვნელოვანი სურათია ფოტოგრაფიაში დაგერის მიერ გადაღებული სურათი, სადაც პირველად დაფიქსირდა ადამიანი ფოტოზე. საერთოდ პირველი ფოტოები არის მარტო სახლები, იმიტომ, რომ ისინი არ მოძრაობდნენ. პირველი ფოტო, რომელზეც ადამიანი დაფიქსირდა, ეს არის მის მიერ გადაღებული ფოტო თავისი ფანჯრიდან. იგი იდგა და ფეხსაცმელს იწმენდა. ეს ის ფოტო არ არის, უბრალოდ ეს არის იმ ფოტოს პერიფრაზის პერიფრაზი. საინტერესოა ასევე ომისდროინდელი სამოქალაქო ამერიკელი ჯარისკაცის ფოტოები. ეს არის პატარა სათამაშოებით (ჯარისკაცებით) გაკეთებული. ვფიქრობ, ეს იყო პირველი სურათი, რომელიც მან სათამაშო ჯარისკაცებით გააკეთა. პორნო ნამუშევრები მას გაკეთებული აქვს კრემით. ახლა მინდა ჩაკ ლოუზზე გადავიდე. ის იყო ამერიკელი მხატვარი, რომელმაც მუშაობა დაიწყო ზეთით. იგი არის ჰიპერრეალისტი და მისთვის უცხო არ არის ფოტოგრაფია. მან თვითონ დაიწყო თავისი სურათების სტილიზაცია. ჰიპერრეალისტი ნიშნავს ჰიპერბოლირებას. ძალიან ბევრი ხატავდა ზეთით და აკრილით ფოტოებიდან ჰიპერრეალისტურად. ხელოვანი იღებს თავის გადაღებულს ან სხვის გადაღებულ ფოტოს და ხატავს მას ტილოზე. ეს იყო ერთ-ერთი პირველი ადამიანი, რომელმაც თანამედროვე ხელოვნებაში დაიწყო თანამედროვე პუანტილიზმის კეთება. პუანტილიზმი არის წერტილებით მიღება იმ კოლორისა, რომელიც შორიდან გვაძლევს რეალისტურ ეფექტს. მან დაიწყო თანამედროვე პუანტილიზმის კეთება ჰიპერრეალიზმში. გასაოცარი იყო როდესაც გამოფენაზე ვნახე ორი დაგეროტიპი. ეს არის პირველი ფოტოგრაფია, რომელიც დაგერმა გამოიგონა და დაგეროტიპია დაარქვა. დაგეროტიპი გადაიღებოდა ვერცხლის ფირფიტაზე, ამ ვერცხლის ფირფიტას აპრიალებდნენ და მერე რაღაცა საშუალებით მას ხდიდნენ სინათლისათვის აქტიურს – მგრძნობიარეს სინათლის მიმართ. ვერცხლის ფირფიტაზე იღებდნენ სურათს და როცა სურათი მჟღავნებოდა, იგი გამჭვირვალე ქაღალდზე კი არ იყო, არამედ ვერცხლის ფირფიტაზე. ეს ძალიან რთული მეთოდი იყო. ჩაკ ლოუზი იმდენად არის აზროვნებით ჰიპერრეალისტი, რომ მან გადაწყვიტა გაეკეთებინა დაგეროტიპი (ავტოპორტრეტი).

სემ ტეილორ ვუდის შთაგონების წყაროა შუა საუკუნეების მხატვრობა. ძალიან ხშირად მესმის ასეთი ნათქვამი „თუ არაფერს არ ნახავ, შეგიძლია შექმნა ახალი“. ეს ჩემი აზრით სისულელეა. ძალიან ბევრი ფოტოგრაფი კმაყოფილდება ტექნიკისა და ფოტოგრაფიის ისტორიის ცოდნით და საკუთარ თავს ფოტოგრაფს უწოდებს. ისინი აღწევენ რაღაც წარმატებას, ფინანსური იქნება ეს თუ რაღაც სხვა, მაგრამ ვერ ქმნიან ღირებულს. სემ ტეილო რუდის ეს პირველი ნამუშევარი გვიჩვენებს, თუ რამხელაა მისი ნამუშევარი ზომაში. თანამედროვე ფოტოგრაფია ცოტა მასშტაბური გახდა. ე.ი. ფოტო შეიძლება იყოს პატარაც და სამმეტრიანიც. როცა ამხელა ფოტოს უყურებ, შეიძლება ერთი და იგივე რამ იყოს გამოხატული. როცა ქაღალდის ნაგლეჯს უყურებ, შეგრძნება გაქვს, რომ ეს არის ინფორმაცია. მაგრამ როცა ეს ყველაფერი მასალაში კეთდება და რაღაც ადგილას იკიდება, მას უკვე სხვა დატვირთვა ეძლევა, ის გამოდის თავისი ინფორმაციული ველიდან და ხდება სხვა ველის მატარებელი. ეს ორივე ავტორის შემთხვევაშიც ერთი და იგივეა. ეს ყველა ნამუშევარი მასშტაბურია. მართალია ბევრი ვერ მოვასწარით, მაგრამ ორი სხვადასხვა ტიპის მიდგომა განვიხილეთ.

ელიზბარ ელიზბარაშვილი

ნიცშე და საქართველო. რეალური ისტორია“

მე შევეცდები გასაგები ენით გადმოვცე ნიცშეს და საქართველოს ურთიერთმიმართების საკითხი, ის, თუ ნიცშეს ფილოსოფიას საქართველოში რა პერიპეტიები გადახდა, როგორი ისტორია ჩამოყალიბდა ამ მხრივ XIX საუკუნის ბოლოდან XXI საუკუნის პირველ წლებამდე. საერთოდ, ეს თემა – „ნიცშე და საქართველო“ – შევეცდები მოვიცვა მთლიანობაში, რა თქმა უნდა, ზოგად კონტექსტში. ჩემს ლექციას სათაურად აქვს „ნიცშე და საქართველო. რეალური ისტორია“. მე ხაზი გავუსვი, რომ რეალური ისტორია განსხვავდება იმისგან, რაზეც ხშირად საუბრობენ საქართველოში ნიცშესთან მიმართებაში. ნიცშე, ერთი მხრივ, თითქოს კარგად კითხვადი ავტორია საქართველოში, თითქოს მოდურიც იყო 80-იანი წლების ბოლოდან, მაგრამ მეორე მხრივ, ქართული საზოგადოება არ არის კარგად გათვითცნობიერებული ნიცშესა და ქართული კულტურის ურთიერთმიმართების საკითხში. უბრალოდ, არსებობს ზერელე დამოკიდებულება. მაგალითად, არსებობს ვაჟა-ფშაველას «ინციდენტი», რომ ვაჟამ დასცინა ნიცშეს ზარატუსტრას, აქედან გამომდინარე, მავანი კმაყოფილდება ამით და ფიქრობს, რომ ნიცშე და ქართული კულტურა, ქართული მსოფლხედვა სრულიად სხვადასხვა რამეა, იმიტომ, რომ ვაჟა ასეთ რამეს წერდა. არადა, აღარ ხდება საქმის გამორკვევა, რეალობა ასეთი. ვაჟასა და ნიცშეს მიმართება და საერთოობა გამოკვლეული აქვს სერგი დანელიას თავის წიგნში «ვაჟა-ფშაველა და ქართველი ერი». ის რომ, ერთი გენიოსი მეორე გენიოსს აკრიტიკებს და თვლის, რომ მასთან არაფერი საერთო არა აქვს, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეს მართლაც ასეა. ნიცშეც აკრიტიკებდა პლატონს, მაგრამ დღეს ევროპულ ფილოსოფიაში ნიცშესა და პლატონს შორის არის ძალიან ბევრი მჭიდრო შეხების წერტილი გამოჩნახული. ისინი უმთავრეს, ფუნდამენტურ საკითხებში ერთმანეთს უკავშირდებიან. საქართველოში ტერმინს – «ნიცშელოგიის ისტორია» – მაინც პირობითად ვიხმარ, რადგანაც, რომ დავითვალოთ, საქართველოში 1899 წლიდან დღემდე მხოლოდ ოცამდე ავტორია, ვინც ნიცშეზე დაწერა სამეცნიერო სტატია, წიგნი თუ საგაზეთო-პუბლიცისტური ნარკვევი. ოცი ავტორი კი არ არის საკმარისი იმისთვის, რომ დარგი ჩამოყალიბდეს ნიცშელოგიის სახელწოდებით, როგორც მაგალითად, ეს არის დასავლეთში – ყოველ წელს ათასობით ნაშრომი იქმნება დასავლურ ლიტერატურაში ნიცშეზე. მხოლოდ მინდა ვთქვა, რომ ტერმინში – ნიცშელოგია – ჩვენ უბრალოდ ვიგულისხმებთ იმ ტექსტებს, სადაც ნიცშეზე საუბრობენ.

საქართველოში ნიცშელოგიის ისტორია შეგვიძლია დავიწყოთ 1899 წლიდან, როდესაც ანტონ ფურცელაძემ გაზეთ „ივერიის“ N 272-ში გამოაქვეყნა წერილი სათაურით – „ჩვენი საჭირბოროტო კითხვები“. ეს თარიღი ჩვენ შეგვიძლია ავიღოთ, როგორც „ნიცშელოგიის“ ათვლის წერტილი საქართველოში. 1900 წელს კიტა აბაშიძე ჟურნალ „მოამბეს“ N 5-ში აქვეყნებს წერილს – „ცხოვრება და ხელოვნება“. აი, ეს ორი წერილი არის პირველი შეხება ქართული აზროვნებისა ნიცშეს ფილოსოფიასთან. მე მინდა გაცნობოთ, რომ ეს პირველი შეხება არის რადიკალურად ნეგატიური, რადგანაც

წარმოდგენილი ავტორები წერენ, რომ ნიცშეს ფილოსოფია არის ავანგარდული ფილოსოფია, ან არის ახალი კერპთაყვანისმცემლობა. ანტონ ფურცელაძე ამ პირველ წერილში საკმაოდ ვრცლად საუბრობს იმდროინდელი საქართველოს ეროვნულ პრობლემებზე; ანუ ეს წერილი დღეს რომ წავიკითხოთ, რომელიც არის XIX საუკუნის ბოლოს დაწერილი, იგივე პრობლემებს წავაწყდებით მასში, რის წინაშეც თანამედროვე საქართველო დგას. აქ ვკითხულობთ, თუ საერთაშორისო საზოგადოებაში როგორ არის გამეფებული უსამართლობა, როგორ არის ურთიერთბრძოლაში ჩაბმული ყოველი ერი, როგორ ხდება ძალის კულტივირება მთელ მსოფლიოში და ასეთ არეალში ერების თვითდამკვიდრება, სუსტი ერები როგორ არიან დაჩაგრული ძლიერი ერებისგან. ბრძოლას თანამედროვე სამყაროში კი, იარაღის გარდა, აწარმოებენ სწავლა-განათლებლითა და ეკონომიური ძლიერებით. ანტონ ფურცელაძე წერს, რომ საქართველოს ამ მხრივ ძალიან სუსტი პოზიციები აქვს. ამ ურთიერთბრძოლისა და ურთიერთგანადგურების სამყაროს შეუძლებელია გამოეყო. შემდეგ იგი განსაზღვრავს დარვინის თეორიას, რომ ეს არის ურთიერთბრძოლისა და ურთიერთგანადგურების ფილოსოფია. ურთიერთგანადგურების სამყაროს ლეგიტიმაცია მოხდა სწორედ დარვინის თეორიაში, ანუ მეცნიერულ ენაზე მოხდა ურთიერთგანადგურების ლეგიტიმირება; ხოლო ნიცშეს ფილოსოფია დარვინის ხაზს აგრძელებს. ნიცშე მიიჩნევს, რომ ეს ბრძოლა არის ევოლუციის კანონი. ევოლუცია მხოლოდ მაშინ იწყება, როცა სუსტი მარცხდება, ნადგურდება, ძლიერი იმარჯვებს, და საბოლოო ჯამში, მივდივართ ზეკაცის იდეამდე. აი, სწორედ აქ იკვეთება, რომ იმარჯვებს ის რასა, ის ერი, ის ინდივიდი, რომელიც ამ ბრძოლაში იქნება ყველაზე ძლიერი. რა თქმა უნდა, მკვეთრად ნეგატიური დამოკიდებულებაა ნიცშესადმი, როდესაც ავტორი წერს, რომ ის არის ავანგარდის ლეგიტიმიზაცია ფილოსოფიაში. დარვინიზმი იყო ავანგარდის ლეგიტიმიზაცია მეცნიერებაში. მაგრამ ფურცელაძე თვლის, რომ უნდა გავუსწოროთ რეალობას თვალი, საერთაშორისო არენას ქართველებმა უფრო რეალურად უნდა შევხედოთ და უნდა ვეცადოთ, რომ გავაგრძელოთ სწავლა-განათლების მიმართულებით მოძრაობა, ასევე ეკონომიური ძლიერება უნდა შევმატოთ ქვეყანას.

კიტა აბაშიძე ერთი წლის შემდეგ ასევე ნეგატიურად მოიხსენიებს ნიცშეს და იგი თვლის, რომ ეს არის უბრალოდ «ხორცის მოთხოვნილებების» აღზევება ფილოსოფიაში, ეს არის, ასე ვთქვათ, ახალი კერპთაყვანისმცემლობა.

საქართველოში ნიცშეს მკვეთრად უარყოფითი შეფასებების შემდგომ დადგა მისი მართლაც სერიოზული გამოკვლევისა და უფრო დაკვირვებული შესწავლის დრო. პირველი მოაზროვნე, რომელიც ამ საქმეს შეეჭიდა, იყო აკაკი ჩხენკელი. მისი წერილები 1901-1902 წლებში გამოქვეყნდა გაზეთ „კვალის“ ფურცლებზე. იგი იწყებს ნიცშეს ფილოსოფიის შედარებით მიუკერძოებელ ანალიზს. იგი ცდილობს ახსნას ნიცშეს ფილოსოფია და მოუძებნოს მას პოზიტიური გააზრება. ნიცშე იწყებს იმით, რომ პიროვნება განიცდის საზოგადოების მხრიდან წნეხს, პიროვნება არის დაჩაგრული. მისი ნება არის ნიველირებული და საზოგადოება არის ბატონი, რომელიც ინდივიდის ღირებულებებს უარყოფს. აქედან გამომდინარე, ნიცშე დგება პიროვნების, ინდივიდის მხარეს, ცდილობს მისი ღირებულებითი რეაბილიტაცია განახორციელოს. იმისათვის, რომ მოახდინოს ინდივიდის გათავისუფლება საზოგადოების ტირანიისგან, პირველ რიგში, ის განუდგება საზოგადოების მიერ დადგენილ ნორმებს. მათი მორალი,

რელიგია, სახელმწიფო – ეს არის საზოგადოების ტირანია, საბოლოო ჯამში, ინდივიდზე. ინდივიდის ღირებულებების დაფუძნებისკენ მოძრაობისას, ნიცმე უარყოფს ზოგადს და გვისახავს ზეკაცის იდეალს. მაგრამ აკაკი ჩხენკელის აზრით, ნიცმე გადავარდა საწინააღმდეგო მიმართულებაში. ეს იდეალი უკვე თვითნებობითა და აღვირახსნილობით გამოირჩევა. აქ უკვე ხდება პირიქით – ინდივიდის გაბატონება საზოგადოებაზე და ინდივიდი ხდება თვითნება და საზოგადოება ამ შემთხვევაში ხდება ინდივიდის მონა. ამიტომაც, ზეკაცის იდეალი არის ცხელ გულზე ნიცმეს პოეტური გადაჭარბებაო, – აღნიშნავს აკაკი ჩხენკელი და მას დიდი ყურადღება არ უნდა მივაქციოთო. მთავარი არის ის, რომ ინდივიდის ღირებულებითი რეაბილიტაცია არის ნიცმეს ფილოსოფიის ღერძი.

ამის შემდეგ, 1910 წელს გერონტი ქიქოძე გაზეთ „დროებაში“ აქვეყნებს წერილს „ცხოვრება და ზნეობრივი იდეალი“ და იგივე თემას მიჰყვება; მაგრამ შეეცდება, რომ ნიცმეს ფილოსოფია მარტო ინდივიდის ღირებულებების რეაბილიტაციაზე არ დაიყვანოს და ცდილობს იგი უფრო ფართო ფილოსოფიურ კონტექსტში გაიაზროს. ქიქოძე საკაცობრიო ისტორიაში გამოჰყოფს ორ მსოფლმხედველობრივ ხაზს. ერთი, რომელიც ვითარდებოდა ინდივიდის ღირებულებითი დაკნინების, ამავე დროს ამქვეყნიური ცხოვრების ღირებულებითი დაკნინების და ცხოვრებისადმი მინორული პათოსის გაბატონების გზით. ეს ხაზი არის პლატონი, ეპიქტეტე, სენეკა, ავრელიუსი, ქრისტიანობა, კანტი, შოპენჰაუერი. მეორე ხაზი კი პირიქით, – ინდივიდის ღირებულების და ამქვეყნიური ცხოვრების ღირებულების წინ წამოწევისა და იმქვეყნიურ ღირებულებებზე უფრო მაღლა დაყენების გზით. ეს არის ანტიკურობიდან მოყოლებული ნებისმიერი ჰედონიზმი და ამ ხაზს ასრულებს ნიცმე. გერონტი ქიქოძის აზრით, ნიცმესთან მხოლოდ პიროვნების, ინდივიდის ღირებულებითი რეაბილიტაცია კი არ ხდება, არამედ საერთოდ ამქვეყნიური ცხოვრების ღირებულებითი რეაბილიტაციაცაა. პიროვნების, ინდივიდის რეაბილიტაცია არის ერთ-ერთი მომენტი ამქვეყნიურის ღირებულებითი რეაბილიტაციისა, ანუ საჭიროა, რომ თვალხილული სამყარო, სიცოცხლე, ამქვეყნიური ცხოვრება გახდეს ღირებულებითად მისაღები და არ იყოს დამცირებული იმქვეყნიური სამყაროთი. აი, ეს არის ნიცმეს ფილოსოფიის მიზანი, რაც დააზუსტა ქიქოძემ ჩხენკელთან შედარებით. მაგრამ ქიქოძეც, ასევე, ჩხენკელის მსგავსად, თვლის, რომ ნიცმე მაინც რადიკალიზმში გადავარდა, როდესაც ზეკაცის გაგება შემოიტანა, იმიტომ, რომ ზეკაცი მაინც აღვირახსნილობისკენ მიისწრაფვის, ის მაინც გადადის თვითნებობის ზღვარს და კარგავს ზომიერების გრძნობას. იმდროინდელ ფრანგულ ფილოსოფიაში იყო ასეთი ფილოსოფოსი – გიუო, რომელიც ასევე სიცოცხლის ფილოსოფიის წარმომადგენელი და ინდივიდუალიზმის მომხრე გახლდათ, მაგრამ გიუოსთან შედარებით ნიცმე გერმანული კულტურის მატარებელია თავის რადიკალიზმში. გიუოსთან სიცოცხლის ჭარბი ძალები არ იწვევს ეგოიზმის გაფეტიშებას, პირიქით, სიცოცხლის ჭარბი ძალები იწვევს ეგოიზმის გადალახვას და სოციალიზაციისკენ მოძრაობას. აი, ასეთი განსხვავებაა გიუოსა და ნიცმეს შორის.

ამის შემდეგ, ქართულ ნიცმელოგიაში იწყება შემდეგი თემის დამუშავება. თუკი აქამდე ჩხენკელი და ქიქოძე ეძიებდნენ ნიცმეს ფილოსოფიის ძირითად მიზანს, ახლა უკვე შემდეგი ავტორები იკვლევენ იმას, თუ როგორ ახდენს ნიცმე თავის ფილოსოფიაში ამქვეყნიური სინამდვილის მიღებას – სამყაროსადმი, სიცოცხლისადმი «ჰო»-ს თქმას –

იგივე პრინციპი – ამორ ფატი. ეს პრინციპი ბედისადმი სიყვარულს ანუ აუცილებლობისადმი, სინამდვილისადმი სიყვარულს გამოხატავს. კითხვა ასე დგას: როგორ ხდება შესაძლებელი სამყაროსადმი «ჰო»-ს თქმა, როდესაც სამყარო არის მრავალი ტანჯვის შემცველი და სამყაროში გვაქვს წარმავლობის სევდა. წარმავლობის სევდა არის ადამიანის ცხოვრებაში ტანჯვის ყველაზე ღრმა მიზეზი, რომელიც სიამოვნებითა და ჰედონიზმით არასოდეს განქარვდება.

ეს კითხვა ქართულ ნიცშელოგიაში რუსული ნიცშელოგიიდან შემოიჭრა. რუსეთში, 1900 წელს, ლევ შესტოვმა გამოსცა წიგნი – „სიკეთე გრაფ ტოლსტოისა და ფრიდრიხ ნიცშეს ცხოვრებაში“. იგი ნიცშეს ფილოსოფიაში უმთავრესად მიიჩნევს ამქვეყნიური სამყაროს მიღებას – მისდამი «ჰო»-ს თქმას, ამორ ფატი-ს პრინციპის გატარებას ადამიანის ცხოვრებაში და სვამს კითხვას თუ როგორ ახორციელებს ფრიდრიხ ნიცშე თავის ფილოსოფიაში ამას. აი, ამ კითხვაზე გარკვეული პასუხების გაცემას შეეცდებიან ჩვენი შემდგომი ავტორები.

პირველი ავტორი არის გრიგოლ რობაქიძე. 1911 წ. 18 მაისს იგი ქუთაისის ქართული თეატრის დარბაზში ატარებს ლექციას, სადაც გადმოსცემს ნიცშეს ფილოსოფიის საკუთარ ინტერპრეტაციას. გრ. რობაქიძე იყო მისტიკოსი და იგი საკმაოდ ორიგინალურ მისტიკურ ინტერპრეტაციას გვთავაზობს. მისი აზრით, ნიცშემ მოახდინა შოპენჰაუერის ნირვანაში საიდუმლო ჭვრეტისა და დიონისური მუსიკით თრობის სინთეზი. ამ ორი პრინციპის ურთიერთშეერთებით შედგა ნიცშეს ფილოსოფია, რომლის მიხედვითაც ადამიანის ყოველდღიური «მე» მუდმივად გამოდის თავის ყოველდღიურობიდან და იძირება სამყაროს ანუ მსოფლიოს ერთიან «მე»-ში, მისტიურ «მე»-ში, განიცდის სამყაროს ძირთან, ამ «მე»-სთან იდენტობას და მარადიულობას. ეს ჩაძირვა სამყაროს საფუძველში, სამყაროს მისტიურ «მე»-ში, სადაც ინდივიდუალიზმი გამქრალია და მარადიულობის განცდაა, არის სასიხარულო ჩაძირვა. ამას რობაქიძე ადარებს არისტოტელეს კათარზისისეულ განცდას. აი, ამ თრობის აქტში ხდება ადამიანის ჩასვლა სამყაროს ძირამდე და მასთან შეხება. ასეთი ინტერპრეტაციით გასაგებია, რომ მარადიული მოზრუნება რობაქიძის მიხედვით არის იმ მსოფლიო მისტიური «მე»-ს მუდმივი კვლავდაბრუნება ამქვეყნიურ «მე»-სთან, კონკრეტული პიროვნების «მე»-სთან, რომ გარდაქმნას ის და გარდაქმნა ხორციელდება იმ კათარზისის საშუალებით, რაც მოაქვს სამყაროს ძირთან შეხებას. აქედან გამომდინარე, რადგანაც ეს მისტიური «მე» ყოველდღიური «მე»-სათვის არის შორეული, აქედან არის ნიცშეს პრინციპი – სიყვარული შორეულისადმი; ყოველდღიურობა კი ხელს უშლის განხორციელდეს მისტიური «მე», ჩამოვიდეს ის ყოველდღიურობაში და ამიტომ, რაც ხელს უშლის ამ პრინციპის განხორციელებას, მკაცრად უნდა აღიკვეთოს და შეიზღუდოს და აქედან – ძალაუფლების ნების ინსტინქტი და აქედან ზეკაცია, რომელიც ამის რეალიზაციას მოახდენს. აი, ეს ინტერპრეტაცია არის ერთ-ერთი ორიგინალური ინტერპრეტაცია. შეიძლება ამას დავეთანხმოთ, შეიძლება არ დავეთანხმოთ. იმ დროისათვის რობაქიძემ ასე გადაწყვიტა ნიცშეს ფილოსოფიის ინტერპრეტაციის საკითხი, მით უმეტეს, იგი მისტიკოსების გავლენის ქვეშ იმყოფებოდა.

1911 წელს „სახალხო გაზეთში« დავით კასრაძე აქვეყნებს წერილებს რობაქიძის ლექციის შესახებ და საკმაოდ ვრცლად აკრიტიკებს მას. იგი წერს, რომ მარტო შოპენჰაუერის ფილოსოფიასა და მარტო ნაწარმოებზე «ტრაგედიის დაბადება მუსიკის

სულიდან» დაყრდნობით არ შეიძლება მივალწიოთ ნიცშეს ფილოსოფიის მთლიანობით გააზრებას, იმიტომ, რომ ნიცშეს ჰქონდა შემდგომი განვითარების ეტაპებიც. ნიცშეს თავის ფილოსოფიურ განვითარებაში ჰქონდა სამი ეტაპი და რობაქიძე ამის იგნორირებას ახდენს. ამავე დროსნდარვინის თეორია, კასრადის ინტერპრეტაციაში უმთავრესია და იგი ფიქრობს, რომ სწორედ ურთიერთბრძოლისა და ამ ბრძოლაში ძლიერის გამარჯვების თეორია არის წამყვანი ძაფი ნიცშეს ფილოსოფიაში და სწორედ დარვინის ევოლუციონიზმის თეორიის გავლენით შეიქმნა ნიცშეს ფილოსოფია, რომელსაც ყურადღების გარეშე ტოვებს რობაქიძე და ამიტომაც მას კასრადე აკრიტიკებს.

1911-12 წლებში კ. კაპანელი გაზეთ “Закавказская речь”-ში აქვეყნებს წერილების სერიას ნიცშეს ფილოსოფიასთან დაკავშირებით. იგი გვთავაზობს რობაქიძისაგან განსხვავებით ალტერნატიულ პასუხს იმაზე, თუ როგორ უნდა მოხდეს ამქვეყნიური სინამდვილის მიღება. რობაქიძესთან ეს განხორციელდება მისტიურ მსოფლიო «მე»-სთან შეერთება-შერწყმით, მაგრამ რადგანაც კონსტანტინე კაპანელი არის სიცოცხლის ფილოსოფიის წარმომადგენელი, იგი სხვა მიმართულებით მოძრაობს და სიცოცხლის საფუძველზე ცდილობს ახსნას ნიცშეს მთელი ფილოსოფია. სიცოცხლე სიცოცხლის ფილოსოფიაში ამქვეყნიური ძალაუფლების ნებაა. ძალაუფლების ნება არის ვნება ზრდისაკენ, წინსვლისაკენ, სიამოვნებისაკენ, სხვისი დაპყრობისაკენ, საკუთარი ინდივიდუალური არსებობის გაფართოებისაკენ. შემოქმედებითი იმპულსი კაპანელის აზრით ყოველთვის უკავშირდება ძალაუფლების ნებას. რაც უფრო დიდია, რაც უფრო ღრმაა ადამიანის ცხოვრებაში ტანჯვა, მით უფრო ძლიერი არის ამ ადამიანში სიცოცხლის იმპულსი და შემოქმედების იმპულსი. რაც უფრო ძლიერი არის ზარატუსტრას ცხოვრებაში ამქვეყნიური უსიამოვნებით მიღებული ტანჯვა, მით უფრო ძლიერი არის მისი ნება ამბოხებისა სამყაროს ამდაგვარი წყობის მიმართ. კონსტანტინე კაპანელი ნიცშეს ფილოსოფიას იმდაგვარად იაზრებს, რომ ამქვეყნიური სინამდვილისადმი ამბოხი არის სწორედ ამქვეყნიური ტანჯვის მიმართ ამბოხებით დაბადებული ნება, რომელიც შეეცდება ამ ამბოხების აქტს სამყაროს საზრისი მიანიჭოს. ამქვეყნიური ღირებულებების დამკვიდრება უნდა მოჰყვეს ამ შემოქმედებით ამბოხს, რადგანაც ის სამყარო, რომლის წინაშეც ამბოხდა ზარატუსტრა, არის მიუღებელი, საზრისს მოკლებული და ღირებულებებს მოკლებული. მაშ ასე, შემოქმედებითი ამბოხი, რომელიც მიგვიყვანს სამყაროს ახალი საზრისის შექმნამდე არის სწორედ ნიცშეს გზა. ეს გზა მიგვიყვანს საბოლოოდ ზეკაცამდე და ზეკაცის ღირებულებებამდე. კაპანელი მნიშვნელოვანია საქართველოში იმ კუთხითაც, რომ ის პირველად აყენებს საკითხს ქართული მსოფლალქმისა და ნიცშეს მსოფლალქმის ურთიერთმიმართების შესახებ. იგი ცდილობს, რომ ვაჟა-ფშაველასა და ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებათა ილუსტრირებით მოახდინოს ქართული სულის დაკავშირება ნიცშეს სულთან, ნიცშეს ფილოსოფიის ძირითად პრინციპთან. მისი აზრით, ვაჟას „მინდია« და ბარათაშვილის მხატვრული სახეები წარმოადგენენ სამყაროს საშინელებით შეძრწუნებულ სახეებს. ისინი შეპყრობილნი არიან საკაცობრიო სევდით, მაგრამ მინდიას სიბრძნე შემდგომში უკვე იკარგება და მარცხდება ყოველდღიურობის მხრიდან. მინდიას სიბრძნე ქრება და კარგავს შემოქმედებით იმპულსს ქალთან ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩართვით, ხოლო ნიკოლოზ ბარათაშვილის მხატვრული სახეები სწორედ აგრძელებენ ამ ამბოხს, იჩენენ

ტიტანურ ნებას და ესწრაფვიან სრულყოფილებას. აი, ასეთი ტიტანური ნების და დაუსრულებელი ამბოხის გამოხატულებაა ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედება. ეს ყველაზე კარგად გადმოცემულია მის ლექსში „მერანი“. აი, ასეთი მსოფლმხედველობა, მუდმივი შემოქმედებითი ამბოხი, ტიტანური ნების გამოვლენა არის, კაპანელის აზრით, ჭეშმარიტი ქართული სულის გამოხატულება და სწორედ ამას აკავშირებს იგი ნიცშეს ფილოსოფიის ძირითად პრინციპთან.

იმ დროის საქართველოში ნიცშეს ფილოსოფიასთან აკავშირებდნენ ქართული ლიტერატურის მოვლენებს, მაგრამ მეორე მხრივ, გრ. რობაქიძემ 1917 წელს გამოაქვეყნა გაზეთ „საქართველოში“ წერილები სათაურით – „დიონისოს კულტი და საქართველო“, სადაც იგი შეეცდება, კაპანელისგან განსხვავებით, ნიცშეს სულსა და ქართულ ტრადიციებს შორის, ნიცშეს მსოფლალქმასა და ქართულ ყოფას შორის გამოენახა საერთო. გრ. რობაქიძე აღწერს ქართველების უძველეს ტრადიციებს სასაფლაოსთან მიმართებაში: როგორ ეძლევიან ქართველები სასაფლაოზე ლხინსა და ღრეობას. გრ. რობაქიძის აზრით, ქართველების დამოკიდებულება სიკვდილისადმი არის ძალზე მსუბუქი. იგი აღნიშნავს, რომ ხშირად ამას ხსნიან ქართველი ადამიანის ზერელობით, მაგრამ ეს ასე არ არის. რობაქიძე ამას დიონისეს კულტით ხსნის, რომ საქართველო გაჟღენთილია დიონისეს კულტით. და ის, რომ სასაფლაოზეც შეიძლება მოაწყოს ქართველმა ადამიანმა ლხინი და „ღრეობა“, თუ ჩვენ ამას ამ კუთხით შევხედავთ, სრულებით გასაგებია. მე მინდა ერთი აბზაცი წაგიკითხოთ ამ წერილიდან, რომელშიც გრ. რობაქიძე ქართველებზე წერს: „ჩვენში «სულის საქმე» უფროსად სასაფლაოზე სრულდება – გარნა, იმავე სასაფლაოზე იმართება ქართული «ღრეობა»: ლხინი ყაბალახითა და ჯირითით. ადგილის უქონლობით ამას ვერ ავხსნით: საქართველოში ბევრია სხვა ადგილი «სალხინოდ», მაგრამ რაღაც უცნაურობით ქართველი ხალხი მაინც სასაფლაოს არჩევს სიცოცხლის ასათამაშებლად. ეს მოვლენა საგულისხმოა ფრიად. გარდა ამისა, არ მოიძებნება მგონი, მეორე ისეთი ხალხი, რომელიც ასე ადვილად ურიგდებოდეს სიკვდილის საშინელებას, როგორც ქართველები. ბევრი ამ მოვლენას «ზერელობით» ხსნის. მაგრამ, თუ ცხად ვყავით, რომ ქართველობამ უმძაფრესად განიცადა «დიონისურობა», მაშინ ადვილი ასახსნელი იქნება ქართველების მიერ სიკვდილის მსუბუქი ატანა. და შემდეგ, უკვე საქართველოს ისტორიას განიხილავს და თვლის, რომ იგი დიონისური მისტერიაა. დიონისურ მისტერიაში გულისხმობს მუდმივ კვდომა-აღდგენას. და საქართველოს ისტორია სწორედ არის მუდმივი კვდომა-აღდგომის სერია. ამიტომ ქართველი შორს არის შავი მელანქოლიისაგან, და ამიტომ არის ქართველის ცხოვრებისეული პრინციპი» – ამორ ფატი. შემდეგ რობაქიძე წერს, რომ საჭირო არის საქართველოში ქართულ იდეოლოგიაზე მუშაობის დაწყება. გრ. რობაქიძე თვლის, რომ ამ წერილით იგი უკვე იწყებს ამ საქმეს, რომელსაც ჯერ მასალათა დაგროვება უნდა ახლდეს.

რობაქიძის შემდეგ ნიცშეს ინტერპრეტაციის განსხვავებული სახე შემოგვთავაზა კონსტანტინე გამსახურდიამ 1919_1924 წლების წერილებში. გამსახურდია თანამედროვე ევროპული კულტურისა და საზოგადოების კრიზისზე ამახვილებს ყურადღებას. იგი წერს, რომ ნიცშემ სწორედ ის გაიაზრა, რომ თანამედროვე ევროპული სამყარო არის ცალსახა რაციონალიზმის, ფიზიკალიზმისა და ნატურალიზმის გავლენის ქვეშ. დაიკარგა მითოსური აზროვნება, დაიკარგა რელიგიური რწმენა და ასე გაგრძელდა

ადარ შეიძლება. თანამედროვე სამყაროში უკვე ყველა აცნობიერებს რწმენის დეფიციტს, რელიგიის დეფიციტს, მითოსის დეფიციტს. საჭირო არის რაღაც ახალი რელიგიის შემოტანა, რომელიც კაცობრიობას გამოიყვანს ამ კრიზისიდან, და სწორედ აქ გვევლინება ნიცშეს ფილოსოფია, როგორც ახალი რელიგიის შემომტანი ევროპაში. ეს რელიგია არ არის ქრისტიანობა, ეს რელიგია არის დიონისური რელიგია, რომლის საფუძველიც არის სიცოცხლე და სიცოცხლის პრინციპის დამკვიდრებით უნდა მოხდეს ახალი ფილოსოფიის შექმნა. გამსახურდია პირდაპირ წერს, რომ დამღეული იქნება მითოსსმოკლებული დრო.

ამ პერიოდის დამამთავრებლად, პირველი პერიოდისა, რაზეც ჩვენ ვსაუბრობთ, ჩაითვლება 1927 წელს სერგი დანელიას მიერ გამოქვეყნებული წიგნი – „ვაჟა-ფშაველა და ქართველი ერი“. როდესაც ეს პერიოდი სრულდება ქართულ ნიცშელოგიაში, უკვე მძაფრდება ცენზურა. 1927 წლამდე შესაძლებელი იყო ნიცშეზე წერა. მოგეხსენებათ, სერგი დანელია ძალიან კარგი მცოდნე იყო ვაჟა-ფშაველას შემოქმედებისა. იგი, ერთი მხრივ, ვაჟა-ფშაველას ფილოსოფიური ანალიზით, და მეორე მხრივ, ნიცშეს ფილოსოფიის ანალიზით ცდილობს, რომ ნიცშესა და ვაჟას შორის, ანუ ქართულ მსოფლგანცდასა და ნიცშეს მსოფლგანცდას შორის დაინახოს მჭიდრო საერთო. დანელია წერს, რომ ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში ჩვენ ვხვდებით სამყაროში ბრძოლას, ბრძოლას ყველასი ყველას წინააღმდეგ. ეს პრინციპი ინდივიდებს შორის ურთიერთბრძოლისა და ურთიერთგანადგურებისა არის დაუსრულებელი სამყაროსეული კანონი. როდესაც ძლიერდება ინდივიდი, იპყრობს სხვას, სუსტი კვდება და მიდის არენიდან. მაგრამ ვაჟასთან არსებობს სამყაროში ბუნების წონასწორობის კანონი. ეს იმას ნიშნავს, რომ არც ერთი ინდივიდი ბოლომდე გაბატონებულ მდგომარეობაში არ აღმოჩნდება. ანუ, საბოლოო ჯამში, მაინც არავინ ბატონდება ყველაზე და ყველაფერზე. მეორე მხრივ, ვაჟასთან გვაქვს წრიულობის კონცეფცია. ნიცშესთან არის მარადიული მობრუნების კონცეფცია და ვაჟასთან გვაქვს ამის ჩანასახები. კულტურის განვითარება ვაჟასთან არის ადამიანის გამოყოფა ბუნებისგან და შემდეგ სვლა ზემოთ, მაგრამ ეს სვლა მაინც ღვთაებრივ სიმაღლემდე ვერ ადის და ბოლოს ისევ ადამიანის დამდაბლებისაკენ მიდის, მისი დაცემისაკენ და ბოლოს ადამიანი დაიშლება და მისგან წარმოიშვებიან ჭიები. შემდგომ, ამ ჭიებიდან იწყება ახალი ციკლი. რა თქმა უნდა, ეს მეტაფორებია. ეს აზრი ბოლომდე რომ გაგვევითარებინა, მივიდოდა პალინგენეზის თეორიამდე, რაც ასე გავრცელებულია აღმოსავლეთში, ან სხვაგვარ ვარიაციაში იგივეს მარადიულ დაბრუნებამდე. ასე ფიქრობს დანელია. რაც შეეხება იმ კითხვას, რასაც ქართველი ფილოსოფოსები ამ ეტაპზე მუდმივად გარს უტრიალებდნენ – როგორ ხდება ამ სამყაროს მიღება, მაშინ როდესაც იგი შემცველია უამრავი ტანჯვის და უბედურების, ამ საკითხს აყენებს თავად ვაჟაც. იგივე შეკითხვა დააყენა ნიცშემ. დანელიას აზრით, პასუხი ორივე მოაზროვნეს, ვაჟასაც და ნიცშესაც აქვს იდენტური. მანამდე დანელია განიხილავს ამ საკითხთან დაკავშირებით ევროპელთა და აზიელთა თვალსაზრისებს და მოკლე რეტროსპექტივის შემდეგ უბრუნდება ქართულ პოზიციას. მასთან ვაჟას მსოფლალქმა და ქართული მსოფლალქმა გაიგივებულია. ევროპული პოზიცია არის ორგვარი – არის ჰედონიზმი და არის ეთიციზმი.

ჰედონიზმი გვეუბნება, რომ ამქვეყნიური სამყარო მისაღებია იმ შემთხვევაში, თუ გავზრდით სიამოვნების პრინციპს და შევამცირებთ უსიამოვნებას. ეს მსოფლმხედველობა ანტიკური ხანიდან მოყოლებული არსებობს ევროპაში. იგი ვერ აღწევს თავის მიზანს და ბევრისთვის მიუღებელია. იგივე შოპენჰაუერი აკრიტიკებს ჰედონისტურ პოზიციას იმიტომ, რომ სიამოვნების პრინციპის როგორი გაბატონებაც არ უნდა მოვახდინოთ სამყაროში, უსიამოვნების ადგილი მაინც იქნება. ყველაზე მცირე უსიამოვნება კი საკმარისია, რომ გადასწონოს და გააბათილოს დანარჩენი სიამოვნება. და რაც მთავარია, სიამოვნების ზრდის პრინციპი – ჰედონიზმი ვერასოდეს გადაფარავს ტანჯვის მთავარ მიზეზს – წარმავლობის სევდას. ანუ ჰედონიზმი წარმავლობისგან მიღებულ სევდას ვერ შველის. შემდგომი პოზიცია არის ეთიციზმი, რომელიც პლატონიდან მოყოლებული არსებობს და გვეუბნება, რომ უნდა გავზარდოთ სიკეთე. სიკეთის ზრდით ჩვენ შევამცირებთ ბოროტებას, გარდავექმნით სამყაროს და შემდეგ ასეთ სამყაროს ვეტყვიტ «ჰო»-ს. ის მისაღები იქნება ჩვენთვის. მაგრამ აქაც პრობლემა დგება. ერთი ბოროტებაც საკმარისია, რომ გაბათილდეს ყველა სიკეთე და თუნდაც საერთოდ სიკეთე გაბატონდეს ამ ქვეყნად, წარმავლობისაგან მიღებული ტანჯვა მაინც არ გაქრება. ამ ორივე თვალსაზრისში, რომელიც არის ევროპული თვალსაზრისი, ვაჟასთვის კატეგორიულად მიუღებელია ის, რომ ორივე ცდილობს სამყაროს მიღებას მისი გამოსწორების შემდეგ. აი, ჰედონისტები ამბობდნენ, რომ სამყაროს გარდაქმნით, მასში სიამოვნების შეტანით, მასში სიამოვნების გაზრდით გამოვასწორებდით სამყაროს და შემდეგ მივიღებდით მას. ეთიციტები კი ამბობდნენ, რომ სიკეთით გარდაიქმნება სამყარო, გამოსწორდება და შემდეგ მივიღებთ მას. ვაჟასთვის ეს არის გამორიცხული იმიტომ, რომ ვაჟას უნდა სამყარო მიიღოს ისეთი, როგორიც ის არის. ეს განასხვავებს მას ევროპული ფილოსოფიისგან. ანუ ვაჟას უნდა მიიღოს ბოროტებისა და სიკეთის შემცველი სამყარო. არავითარი გარდაქმნა, არავითარი სტერილიზაცია-რაფინირება არ არის საჭირო. მას სურს მიიღოს ის, რასაც ხედავს. შემდგომ, დანელია გადადის ირანული თვალსაზრისის განხილვაზე. ირანული თვალსაზრისი არ ცდილობს სამყაროს გარდაქმნას. ზოროასტრიზმი სიკეთისა და ბოროტების უაზრო ბრძოლას ქადაგებს. ხოლო ინდური მათა ამქვეყნიურობას საერთოდ ილუზიად აცხადებს, რაც ვაჟასთვის ასევე მიუღებელია პესიმიზმის გამო. და აქ დგება საკითხი: დანელია წერს, რომ არსებობს კი აღმოსავლური და დასავლური პოზიციების გარდა მესამე ალტერნატივა? იგი ფიქრობს, რომ ვაჟასთან და ქართულ მსოფლალქმაში ეს ალტერნატივა არის განხორციელებული. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ სამყაროს მიღება და გამართლება, სიკეთისა და ბოროტების გაერთიანება ხდება ესთეტიკურ კატეგორიაში. სამყაროს ჭკრეტა ესთეტიურ პრიზმაში არის ის კუთხე, საიდანაც შესაძლებელია სამყაროს მიღება და მისდამი «ჰო»-ს თქმა. ანუ მშვენიერება არის მთავარი კატეგორია, რითაც ვაჟა უყურებს სამყაროს და რითაც მისი გამართლება შესაძლებელი ხდება. ეს არის პანესთეტიზმი ვაჟას შემოქმედებაში. იგი უფრო შორს მიდის, ვიდრე ფაუსტი: «შეჩერდი, წამო, მშვენიერი ხარ». ვაჟა არ გაიმეორებდა ამას, რადგან მისთვის ყოველი წამი არის მშვენიერი, მას არ სჭირდება გაჩერება. ვაჟა არის არსებული კმაყოფილების უკიდურესი სახე, ანუ მას რაც სურს, ის აქვს. ამიტომ ყოველი წამი არის მშვენიერი მისთვის, და ეს არსებული კმაყოფილების უმაღლესი ფორმა პირდაპირ უკავშირდება ნიცშეს პრინციპს – ამორ ფატი. ამ ორ პრინციპს შორის არის იდენტობა და აქედან გამომდინარე, სერგი

დანელია აღნიშნავს, რომ ქართული მსოფლგანცდა, ქართული სულიერება, რომელიც ვაჟა-ფშაველაში გამოვლინდა ყველაზე ძლიერად, პირდაპირ ნათესაურია გერმანელი ფილოსოფოსის მსოფლგანცდისა. ასეთი მჭიდრო კავშირი გამოჩნდა დანელიამ ამ ორ მოაზროვნეს შორის.

მთლიანობაში ეს პერიოდი, საუკუნის დასაწყისიდან ოცდაათიან წლებამდე, არის პირველი პერიოდი ქართულ ნიცშელოგიაში, რომელზეც შეიძლება სამი რამ ვთქვათ, სამი ნიშანი გამოვყოთ და შემდეგ შევადაროთ თანამედროვე პერიოდს. პირველი არის ის, რომ ეს არის მთლიანობაში რომანტიზმის პერიოდი. იმდროინდელ ევროპაში, მაგალითად, იყვნენ ცნობილი ავტორები – ა. ლიხტენბერჟე, ა. რილი, გ. ზიმელი, ჰ. ფაიჰინგერი, რომლებიც რომანტიკულ პარადიგმებში აღწერდნენ ნიცშეს ფილოსოფიას, რომ ეს არის კაცობრიობის განვითარების გეზში იმედგაცრუება, კაემანით დაკარგულ იდეალებზე და ახალი იდეალების ძიება ანტიკურ საბერძნეთში. აზროვნების ასეთი წესით არის მთლიანად დადდასმული იმ დროის ქართული ნიცშელოგია. ის ავტორები, რომლებიც მე ჩამოვთვალე, წარმოადგენენ რომანტიული პარადიგმის ერთგვარ ვარიაციებს. ეს პარადიგმა იყო მსოფლიოში წამყვანი პარადიგმა, XX საუკუნის დასაწყისის ნიცშეს გააზრებებში. ამიტომ, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ იმდროინდელი ქართული ნიცშელოგია არსებობდა ევროპული ნიცშელოგიის აქტუალურ საკითხთა კონტექსტში. იგი სწორედ იმ საკითხების დონეზე აზროვნებდა, რა დონეზეც აზროვნებდნენ მაშინ ევროპელი და რუსი ავტორები. ამ პერიოდის მეორე თვისება არის ძალიან მძლავრი ეროვნული მუხტი. ეროვნული იდეოლოგიის ძიებაში იმდროინდელი ავტორები იყენებდნენ ნიცშეს ფილოსოფიის ანალიზს. ანტონ ფურცელაძე ქართული სახელმწიფოსა და ერის მომავლის საკითხებს იაზრებს ნიცშეს ფილოსოფიის კონტექსტში. თუმცა მიიჩნევს, რომ ის ანტიჰუმანური ფილოსოფიაა, მაგრამ მეორე მხრივ აღიარებს, რომ ის რეალობას ასახავს. შემდგომ უკვე კაპანელი, რობაქიძე, დანელია ცდილობენ გაიაზრონ ქართული მსოფლმხედველობისა და ქართული იდეოლოგიის საკითხები ნიცშეს ფილოსოფიასთან კავშირში. აღნიშნული პერიოდის მესამე მომენტი არის ის, რომ საუკუნის დასაწყისში ჩვენ ვხვდებით ფილოსოფოსებისა და ლიტერატორების ძალიან მჭიდრო კავშირს და ურთიერთმეხებას, ეს იმას ნიშნავს, რომ ქართული კულტურული სივრცე იმ დროისათვის იყო ორგანულად მთლიანი. მაგალითად, ვალერიან გაფრინდაშვილი იცნობდა ნიცშეს და ნიცშეს აპოლონური და დიონისური პრინციპებით ახდენდა სხვადასხვა პოეტების შემოქმედების შეფასებას. იგივე ნიკო ლორთქიფანიძე ნიცშეს გავლენას განიცდიდა ღმერთის სიკვდილის თემიდან გამომდინარე. რობაქიძისა და გამსახურდიას შემოქმედება ნიცშეს ფილოსოფიის ძლიერ გავლენას განიცდის. ამავე დროს, რობაქიძე და გამსახურდია, რომლებიც არიან ლიტერატორები, იკვლევენ ნიცშეს. მეორე მხრივ, არიან პროფესიონალი ფილოსოფოსები – კონსტანტინე კაპანელი და სერგი დანელია, რომლებიც სცილდებიან მკაცრ ფილოსოფიურ ჩარჩოებს და იწყებენ ლიტერატურაზე საუბარს. კაპანელი საუბრობდა ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ნიცშეს ურთიერთ-მიმართებაზე, დანელია კი – ვაჟასა და ნიცშეს საერთოობაზე. ანუ ეს ის კულტურული სივრცე იყო, როდესაც ფილოსოფოსები, ლიტერატორები, მხატვრები, ხელოვნების სხვა დარგის წარმომადგენლები, ერთმანეთს აღიქვამდნენ ერთი კულტურული სივრცის, ერთი მთლიანობის სხვადასხვა ორგანულ ნაწილებად. ფილოსოფიისა და

ლიტერატურის იმპულსები ერთმანეთში აღწევდა, ამ იმპულსებით ასაზრდოებდნენ ისინი ერთმანეთს. მათ შორის იყო პოლემიკა და არ იყო გამიჯვნადი პროფესიონალიზმი. ფილოსოფოსები გადადიოდნენ ლიტერატორების ტერიტორიაზე და ლიტერატორები მართო ლიტერატურის საკითხებით არ იფარგლებოდნენ. ეს იყო მესამე დამახასიათებელი თვისება ამ პერიოდის ნიცშელოგიისათვის.

შემდგომ უკვე იწყება ცენზურა, საბჭოთა კავშირში და ნიცშეზე თითქმის აღარაფერი იწერება. იწერება მხოლოდ საბჭოთა ცენზურით ნებადართული ინტერპრეტაციები. აპოლონ ქუთელია 1944 წელს აქვეყნებს წიგნს – „გერმანიის ფაშიზმის იდეოლოგიის სათავეები“ – სადაც ნიცშე მოთავსებულია ფაშისტურ კლიშეებში. მხოლოდ ამდაგვარი ტექსტები იქმნებოდა საბჭოთა კავშირში, მაგრამ ეს ყურადღების ღირსი არ არის და არც ისტორიული მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის. 30-იან 40-იანი წლებიდან იწყება ნიცშეს ფილოსოფიის ნაციფიკაცია, ანუ ნაცისტურ კლიშეებში ჩასმა. გერმანიის ფაშისტურ რესპუბლიკაში ამ დროს ასევე ნაციფიკაცია მიმდინარეობდა, ისინიც ნაცისტურ ინტერპრეტაციებს აკეთებდნენ. როზენბერგი და ბოიმლერი – ცნობილი გერმანელი ავტორები – წერდნენ, რომ ნიცშე იყო ფაშისტი. ამას აკეთებდნენ იმიტომ, რომ ნიცშე დაეყენებინათ ფიურერის იდეოლოგიის სათავეში და ის ყოფილიყო მათთვის ოფიციალური ფილოსოფოსი. მის იდეოლოგიაზე იზრდებოდნენ გერმანელთა ჯარისკაცები. მაგალითად «ესე იტყოდა ზარატუსტრა» იბეჭდებოდა ფრონტზე წამსვლელი მეზრძოლებისათვის. საბჭოთა კავშირში იგივეს აკეთებდნენ, ოღონდ საწინააღმდეგო განზრახვით – ნიცშეს დისკრედიტაციის მიზნით. მაგრამ ორივენი თანხმდებოდნენ ერთში, – რომ ნიცშე იყო ფაშიზმის მოაზროვნე და მისი იდეოლოგი.

ამის შემდეგ გადის საკმაოდ ბევრი დრო და 60-იანი წლების შუიდან კვლავ იწყება ნიცშეზე წერა საქართველოში. ნელ-ნელა მოიხსნა ცენზურა, მაგრამ ნიცშეზე წერდნენ მხოლოდ ფილოსოფოსები. ნიცშეს ტექსტებამდე „მისვლა“ საკმაოდ სახიფათო იყო. ნიცშეს წიგნებთან მიდგომა ჩვეულებრივ მკითხველს და ლიტერატორს უჭირდა. ეს იყო მხოლოდ ფილოსოფოსებისათვის განკუთვნილი წიგნები, რომლებიც წერდნენ ისე, რომ გარკვეულ ანგარიშს უწევდნენ იმდროინდელ კონიუნქტურას. ცენტრში – მოსკოვში – ცენზურა იყო უფრო ძლიერი, პერიფერიებში ეს ცენზურა უფრო რბილდებოდა. ამიტომ საქართველოში ნიცშეზე წერა შედარებით თავისუფალ პირობებში მიმდინარეობდა. ცენზურის კლანჭები ისე არ ახრჩობდათ ქართველ მოაზროვნეებს, როგორც რუსებს. ამიტომ 60-იანი და 80-იანი წლების ქართული ნიცშელოგია გაცილებით უფრო ავანგარდულობით გამოირჩევა, ვიდრე რუსული. რუსეთში ნიცშე ისევ და ისევ კომუნისტური კლიშეებით არის დალდასმული და ისევ ფაშისტად ხდება მისი შერაცხვა და ვერ გამოდიან ამ დოგმატიკიდან.

საქართველოში ეს პერიოდი იწყება 1966 წლიდან. აქ უნდა აღვნიშნოთ შემდეგი: თუკი პირველ ეტაპზე ქართველი ავტორები იკვლევდნენ საკითხს, თუ როგორ ხორციელდებოდა ნიცშეს ფილოსოფიაში სამყაროსეული ტანჯვის გადალახვა და სიცოცხლისადმი «ჰო»-ს თქმა, ახლა უკვე დაიწყეს იმის გამოკვლევა, თუ რა იყო ნიცშეს ფილოსოფიის წარმოშობის ზოგადკულტურული და ფილოსოფიური წანამძღვარები, ანუ რატომ შეიქმნა ნიცშეს ფილოსოფია, საიდან მოვიდა იგი, რამ განაპირობა კაცობრიობის ამ ეტაპზე ნიცშეს ფილოსოფიის წარმოქმნა. ეს ის მთავარი კითხვებია, რომლებზე პასუხს ეძიებენ უკვე შემდგომი ავტორები. აღნიშნული ეტაპი იწყება ზურაბ

კაკაბაძით. 1966 წელს მან გამოსცა წიგნი «ეგზისტენციალური კრიზისის პრობლემა და ედმუნდ ჰუსერლის ტრანსცენდენტური ფენომენოლოგია». ეს წიგნი პირველად გამოვიდა რუსულ ენაზე. კაკაბაძის წიგნი „ფილოსოფიური საუბრები“ გამოვიდა 1988 წელს. ამ წიგნებში იგი საუბრობს ნიცშეზე, მაგრამ ეს წიგნები მარტო ნიცშეს არ ეხება. ჩვენ შეგვიძლია გამოვავლინოთ, ნიცშეს როგორ ინტერპრეტაციას გვთავაზობს იგი. ნიცშეს ფილოსოფიის წარმომავლობის მიზეზი, კაკაბაძის მიხედვით, იყო XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის მსოფლმხედველობრივი სიტუაცია, რაც შეიქმნა ევროპაში. ეს სიტუაცია გამოირჩევა იმით, რომ ძალიან განვითარდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებები. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებმა მოახდინეს მასებში ნატურალისტურ-პოზიტივისტური აზროვნების გაფეტიშება. აი, ამ ნატურალისტურ-პოზიტივისტური აზროვნების გაფეტიშების დროს ადამიანებში იმკვიდრებს კომფორტულ-ფეშენებელური ცხოვრების კულტი. ნიჭილიზმის პირველი ეტაპი არის სწორედ ის, როდესაც იწყება სურვილების ფეტიშიზაცია და კომფორტულ-ფეშენებელური ცხოვრების კულტი ხდება მთავარი. ნიჭილიზმის მეორე ეტაპი უკვე „შორს მიდის“ და კაკაბაძე წერს, რომ ეს არის ხორცში ჩადირული არსებობის კულტი. ანუ კიდევ უფრო დეგრადირდება კაცობრიობის სულიერება. აქ უკვე აშკარაა კაცობრიობის ეგზისტენციალური კრიზისი. ამის შემდგომ, ნიცშე ცდილობს, რომ ეს ნატურალისტური მსოფლმხედველობა, რომელიც საყოველთაო კრიზისის მიზეზია, გადალახული იყოს ახალი იდეალით. ზეკაცის იდეალის შემოტანა სწორედ ამას ემსახურება. ნიცშემ სხვა, ტრადიციული ძალა ვერ მონახა, რადგან ღმერთი მკვდარია და ამიტომ სიცოცხლის სტიქიას, ძალაუფლების ნებას მისცა ბოლომდე გასაქანი, რომელიც დაუპირისპირა ნატურალისტურ-ფიზიკალისტურ მსოფლმხედველობას. ეს თითქოს კაცობრიობისათვის იყო ალტერნატივა, მაგრამ საბოლოოდ ზეკაცის იდეალი მიდის ძალაუფლების ნების კულტამდე, ანუ იმის მაგივრად, რომ მისით ნიჭილიზმი გადალახულიყო, იგი უფრო გაღრმავდა და ნიჭილიზმის მესამე სტადია დაიწყო. ზურაბ კაკაბაძის მიხედვით, ეს არის ძალაუფლების ნების კულტი და ეს არის აგრესიული ინდივიდუალიზმი, რომელიც საბოლოო ჯამში ლოგიკურ დასასრულს ფიურერიზმში პოულობს. მაშასადამე, ნიცშემ ვერ შეძლო ნიჭილიზმის გადალახვა და უფრო დიდ მსოფლმხედველობით კრიზისში ჩავარდა. ბოლოს კაკაბაძე სვამს საკითხს, თუ რისი იმედი შეიძლება ჰქონდეს მომავალში კაცობრიობას. ერთი მხრივ, ტრადიციული ღირებულებები გაუფასურდა და შეუძლებელია ტრადიციულ გზას გაჰყვეს კაცობრიობა, მაგრამ როგორც ნიცშესთან დავინახეთ, ალტერნატიული გზაც არ გამოიყურება სახარბიელოდ. კაკაბაძეს მოჰყავს სამუელ ბეკეტის პიესა „გოდოს მოლოდინი“, სადაც მოქმედი პირები ელოდებიან გოდოს. გოდო არ არის ღმერთი, მაგრამ ღმერთის ადგილზე უნდა მოვიდეს და ღირებულებითი სიცარიელე უნდა ამოავსოს. ეს არ იქნება ერთი მხრივ ტრადიციული ღმერთი, მეორე მხრივ, ის ვერ იქნება ზეკაცი.

გურამ თევზაძე 1967 წელს წიგნში „ნიკოლაი ჰარტმანის ონტოლოგიის კრიტიკა“-ს განიხილავს ნიცშეს ფილოსოფიის წარმომავლობის საკითხს და თუ კაკაბაძესთან ასეთ მიზეზად მიჩნეულია XIX საუკუნის ევროპის მსოფლმხედველობრივი მდგომარეობა, თევზაძესთან ასეთ მიზეზს წარმოადგენს XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან ევროპულ ფილოსოფიაში შექმნილი სიტუაცია. ამ დროიდან ჰეგელს უპირისპირდება მთელი დასავლური ფილოსოფია. დაპირისპირება ხდება ჰეგელის ლოგიციზმთან,

ზეპიროვნულის გააბსოლუტურებასთან. სორენ კირკეგორი ცდილობს, რომ ზეპიროვნული მოხსნას და ისევ პიროვნების ინდივიდუალური ღირებულებების აღდგენაზე დაიწყოს ფიქრი. მაქს შტირნერმა ისევ ინდივიდი და მისი საკუთრება დააყენა ყველაზე მაღლა და მოხსნა ყოველგვარი ზეპიროვნული. ეს ყოველივე მიდის ნიცშეს ფილოსოფიაში ზეკაცის კულტამდე, რომელიც ანტიჰეგელიანიზმის საბოლოო წერტილია ევროპულ ფილოსოფიაში. ეს აზრი გურამ თევზაძეს 1993 წელს გამოთქმული აქვს აგრეთვე წიგნში: „ნარკვევები ფილოსოფიის ისტორიაში“.

1970 წელს თაზო ბუაჩიძეს «XX საუკუნის ბურჟუაზიული ფილოსოფიის» კრებულში აქვს სტატია ნიცშეს შესახებ. ნიცშეს ფილოსოფიის ინტერპრეტაცია აქვს გადმოცემული აგრეთვე 1986 წელს წიგნში: „თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის სათავეებთან“ და 1993 წელს «ესე იტყოდა ზარატუსტრა»-სადმი დართულ წინასიტყვაობაში. ბუაჩიძე ცდილობს კაკაბაძისაგან და თევზაძისაგან განსხვავებით ახალი საწყისები მოუძებნოს ნიცშეს. მსოფლმხედველობრივ დასაბამში იგი გულისხმობს დასავლურ ფილოსოფიას. როდესაც დასავლური ფილოსოფია „დაიწყო“, მაშინ საფუძველშივე ჩაიღო სამყაროს გაორება ჭეშმარიტ და მოჩვენებით სამყაროებად, გაორება ამქვეყნიურ სინამდვილედ და მიღმურ სინამდვილედ (პლატონი). ეს გაორება არის საერთო-ევროპული კულტურის მსოფლმხედველობრივი დასაწყისი. ასე თვლის მარტინ ჰაიდეგერი, რომლის გავლენასაც განიცდის თამაზ ბუაჩიძე. ასეთი რამის ჩადება კულტურის საფუძველად უკვე არის ნიჰილიზმი და შემდეგი საუკუნეების განმავლობაში ხდება აი ამ მიღმა სამყაროს, ამ ჭეშმარიტი სამყაროს არარსებობის გამომჟღავნება. ქრისტიანობა, რომლის წამყვანი ინსტინქტი არის სიმართლის სიყვარული, სწორედ თანდათანობით, საუკუნეების მანძილზე ახდენს ამ ორი სამყაროს აბსურდულობის გამოვლენას. ანუ ქრისტიანობა საბოლოოდ გამოავლენს იმ მეორე, მიღმური სამყაროს ილუზორულობას. ბოლოს ჩვენ მივედით იმ ეპოქამდე, როდესაც ნიცშე დაიბადა და იგი ცდილობს რომ ეს ნგრევა და მიღმა სამყაროს უარყოფა მიიყვანოს ბოლომდე. ბოლომდე დაინგრეს ქრისტიანული ღირებულებები. ამის შემდეგ ხდება ახალი ღირებულებების დადგენა და ეს ახალი ღირებულებების დამკვიდრების პრინციპი არის ძალაუფლების ნება და ზეკაცი, რომელიც არის სიცოცხლის პრინციპი და ამქვეყნიურობისადმი სიყვარულის პრინციპი, მისდამი «ჰო»-ს თქმის პრინციპი. ბუაჩიძე 1993 წელს გამოცემულ წიგნში «ესე იტყოდა ზარატუსტრა», რომელსაც მისი წინასიტყვაობა აქვს დართული, განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს შურისგების სულისაგან განთავისუფლებაზე. ეს ტერმინი მას მარტინ ჰაიდეგერისაგან აქვს აღებული, რაც ნიშნავს იმას, რომ ყოველგვარი არსებობა და ინდივიდუალური სიცოცხლე აღიქმება როგორც დანაშაული. ჩვენ თუ უკან წავალთ ისტორიაში, მივალთ შოპენჰაუერის ფილოსოფიამდე და თუ წავალთ საწყისებამდე, მივალთ ბერძენ ფილოსოფოს _ ანაქსიმანდრესთან. მასთან არის სწორედ არსებობა გაიგივებული დანაშაულთან და აქედან გამომდინარე, ტანჯვა აღიქმება როგორც საკადრისი სასჯელი. ეს შურისგების სული, არის ის, რაც კაცობრიობას უშლის მომავლისაკენ სვლას, სიცოცხლის დამამკვიდრებელი ღირებულებებისაკენ სვლას და მხოლოდ მისი გადალახვით არის შესაძლებელი ამქვეყნიური ღირებულებების დამკვიდრება. მისი საწინააღმდეგო პოლუსია სწორედ ზეკაცი, რომელიც ამქვეყნიური არსებობის ღირებულებას ამკვიდრებს. და ძირითადი აკორდი ამქვეყნიური სინამდვილის მიღების არის მარადიული მობრუნება. ბუაჩიძე

მარადიული მობრუნების ორ ასპექტს გამოყოფს: ეს არის ონტოლოგიური ასპექტი და ზნეობრივი ასპექტი. ონტოლოგიური ასპექტი გვეუბნება იმას, რომ წარმავალი, ამქვეყნიური არის მარადიული, მაგრამ არის მარადიული არა იმის გამო, რომ ჭეშმარიტი სინამდვილე, იმქვეყნიური სინამდვილე არსებობს, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ ის მარადიულად მეორდება. მარადიული განმეორება გვეუბნება, რომ მარადიულად მეორდება ყოველი მოვლენა, თავად ადამიანის სიცოცხლე, ყოველი სულიერი არსება, ყველაფერი რაც არის. რადგანაც მარადიულად მეორდება ყოველი მოვლენა, ის ამავე დროს წარმავლობაში ეზიარება მარადიულობას. აქ ერთმანეთს ემთხვევა წარმავლობა და მარადიულობა, რომელიც იყო გაყოფილი პლატონის ფილოსოფიიდან მოყოლებული და ნიცშეს უნდა, რომ ისინი ერთმანეთთან დააკავშიროს. ეს მარტინ ჰაიდეგერისეული ანალიზია, რომელსაც თამაზ ბუაჩიძე იზიარებს. ზნეობრივი ასპექტი მარადიული მობრუნების ის არის, რომ თითქოს ის კატეგორიულ იმპერატივს აყალიბებს, ზნეობრივ იმპერატივს აყალიბებს ჩვენთვის აი ისე, როგორც ეს კანტთან იყო. ამ მხრივ თითქოს მარადიული მობრუნება გვეუბნება, რომ იცხოვრე ისე და იმოქმედე ისე, თითქოს გინდოდეს შენი საქციელის მარადიულად განმეორება. როდესაც შენ წარმოიდგენ, რომ შენი ყოველი ქცევა, ყოველი მოქმედება მეორდება მარადიულად, ეს უკვე გადაგიყვანს ზნეობრიობის სფეროში.

შემდგომი ავტორები არიან ავთანდილ პოპიაშვილი და დალი დანელია. ავთანდილ პოპიაშვილის წიგნი – „ინდივიდის პრობლემა ს. კირკეგორისა და ფ. ნიცშეს ფილოსოფიაში“ – 1988 წელს არის გამოცემული, ხოლო 1989 წელს ჟურნალ «მაცნეში» იბეჭდება სტატია – „ადამიანი და ღირებულებათა სამყარო“. პოპიაშვილი ნიცშეს ფილოსოფიის წარმომავლობას უფრო თევზადისეულად იზიარებს და ისიც ასევე ფიქრობს, რომ ჰეგელის შემდგომი ევროპული ფილოსოფიის გეზმა განაპირობა ნიცშეს წარმოშობა. ამის შემდეგ ნიცშეს შემოაქვს სიცოცხლის დამამკვიდრებელი ღირებულებები, შემოაქვს ზეკაცის თეორია და სურს, რომ ღირებულებების გადაფასება მოახდინოს. მაგრამ აი აქ არის სწორედ კრიზისი. კაცობრიობის სხვადასხვა ეტაპზე მომხდარა მრავალჯერ ღირებულებების ასეთი გადაფასება, მაგრამ თანამედროვე კულტურაში ეს პროცესი შეფერხებულია. ავთანდილ პოპიაშვილი ცდილობს ეს კრიზისი ახსნას იმით, რომ დაშრა თავად ღირებულებების მქმედი წყარო. ეს არის ზოგადსაკაცობრიო გონის კრიზისი. ეს არის რაციოს კრიზისი. ანუ თუკი სხვა დროებში, სხვა კულტურებში ყოფილა ღირებულებების გადაფასება, მაშინ არ იყო ზოგადსაკაცობრიო გონის ისეთი კრიზისი, როგორც ეს არის დღეს. ევროპულ აზროვნებაში იმიტომ ვერ მოხდა ახალი ღირებულებების შექმნა, რომ ღირებულებების შემოქმედი წყარო არის დამშრალი. ნიცშე და კირკეგორი აცნობიერებდნენ, რომ აბსოლუტური ინდივიდუალიზმის მიმართულებით სვლა არის ჩიხი, მაგრამ მეორე მხრივ რაციოს აღდგენით შეუძლებელია სიარული.

სწორედ რაციოსა და ზოგადსაკაცობრიო გონის კრიზისი იყო მაშინ და ისინი ცდილობდნენ მუშაობა იქითკენ წარემართათ, რომ თვითონ ინდივიდის მეტამორფოზა-გარდაქმნა მოეხდინათ ისე, რომ თავად ინდივიდს შეძლებოდა ახალი ღირებულებების დამკვიდრება. ავთანდილ პოპიაშვილი დასძენს, რომ ამ გზით ისინი ვერ აღწევენ ვერანაირ დიდ წარმატებას.

დალი დანელია 1993 წელს აქვეყნებს წიგნს „ირაციონალისტური ფილოსოფია და მოდერნიზმი“. აქ ის უკვე ნიცშეს ფილოსოფიის წარმომავლობაში ზურაბ კაკაბაძისა და თამაზ ბუაჩიძის შეხედულებებს იზიარებს. ნიცშეს ფილოსოფიის წარმოშობა განაპირობა, ერთი მხრივ, ევროპული კულტურის მსოფლმხედველობრივმა დასაბამმა (დასაბამშივე იყო ნიჰილიზმი ჩადებული), მეორე მხრივ, XIX საუკუნის ბოლოდან საბუნებისმეტყველო მეცნიერების სწრაფმა განვითარებამ და ეგზისტენციალურმა კრიზისმა. ამ წიგნში ავტორი ნიცშეს ფილოსოფიის მრავალ მომენტს განიხილავს, მაგრამ ყველაზე დეტალურად მას აქვს განხილული ნიცშესა და მეტაფიზიკის მიმართების საკითხი. ის აქ ნიცშეს აკრიტიკებს. შოპენჰაუერთან ძირითადი პრინციპი არის სიცოცხლის ნება, რომელიც ნიცშემ ძალაუფლების ნებად გარდაქმნა. ერთი მხრივ, ნიცშე შოპენჰაუერს ემიჯნება იმით, რომ შოპენჰაუერთან ნება არის მეტაფიზიკური პრინციპი. ნიცშე წერს, რომ ძალაუფლების ნება არ არის მეტაფიზიკური პრინციპი, მაგრამ სხვა ადგილას – წიგნში „ძალაუფლების ნება“ – ნიცშე მოიხსენიებს ძალაუფლების ნებას, როგორც მეტაფიზიკურ პრინციპს. დანელია წერს, რომ აქ ნიცშესთან გვაქვს შეუსაბამობა და შინაგანი წინააღმდეგობა. ასეთივე შინაგანი წინააღმდეგობაა ონტოლოგიის საკითხებში. მაგალითად, ნიცშე გამოორიცხავს მოვლენათა და ფენომენტთა სამყაროს გარდა რაიმე სხვა სინამდვილეს, მაგრამ სხვაგან იგი მაინც უშვებს რაღაც სხვა ტიპის ფენომენალურ სამყაროს, რომელიც არის უფორმო, უთვისებო და ა.შ. საკმაოდ ბუნდოვანია ეს ადგილი, მაგრამ საკუთარ თავს ეწინააღმდეგება ამით ნიცშე, ასკვნის დანელია. აი, ამდაგვარი განხილვები არის ღირებული დანელიასთან.

ეს პერიოდი სრულდება 90-იანი წლების დასაწყისში. მერე იწყება ახალი ეტაპი მსოფლიო ნიცშელოგიაში. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მიმდინარეობს სხვა პროცესები. შევადაროთ ეს ეტაპი საუკუნის დასაწყისს. საუკუნის დასაწყისში რომანტიული პარადიგმა იყო იმ დროის ევროპული ნიცშელოგიის საარსებო დონე და ამ დონეზე იდგნენ მაშინ ქართველი მოაზროვნეები. 70-იან და 80-იან წლებში კი ჩვენში ბატონდება ეგზისტენციალურ-ჰუმანისტური მოდერნიზაცია. ჰაიდეგერის პარადიგმა ხდება ძირითადი განმსაზღვრელი შემდგომი დროის ქართველი მოაზროვნეებისათვის. ეს, ერთი მხრივ, იყო ავანგარდი, ოღონდ საბჭოთა კავშირის მასშტაბით (რუსები იყვნენ ძალიან უკან, ისინი ვერ წერდნენ ჰაიდეგერზე შედარებით თავისუფლად, რადგანაც იყო ძალიან დიდი ცენზურა), მაგრამ მეორე მხრივ – ევროპული ფილოსოფიის მასშტაბით – იგი წარმოადგენდა ჩამორჩენილობას. იმ დროისათვის ევროპაში ჰაიდეგერისეული ინტერპრეტაციები უკვე მოძველებულია. გავრცელებულია პოსტმოდერნიზმი, პოსტსტრუქტურალიზმი, უკვე არსებობს დერიდას, ფუკოს, დელიოზის ინტერპრეტაციები და ამიტომ კვლევები სხვა მიმართულებით წარიმართება. 1980 წელს ქალაქ რაიზენბურგში ჩატარდა მსოფლიო ნიცშელოგიის კონფერენცია და იქ საბოლოოდ დასრულდა ჰაიდეგერისეული ინტერპრეტაციის გარშემო დისკუსია. ამ კონფერენციაზე თითქმის ყველამ აღიარა, რომ ჰაიდეგერისეული ინტერპრეტაცია არ არის სწორი, რომ ეს არის მოდერნიზაცია, და რომ აქ არის ბევრი ხარვეზი. ამ თემაზე განსაკუთრებით კრიტიკულად გამოვიდა გერმანელი ფილოსოფოსი ვ. მიულერ-ლაუტერი. 80-იანი წლები იყო ჰაიდეგერის ეპოქის დასასრულის წლები მსოფლიო ნიცშელოგიაში. ამ დროს წინ წამოიწევს ფრანგი მოაზროვნეების ინტერპრეტაციები. საქართველო

ამ ეტაპზე ჩამორჩენილია მსოფლიო ნიცმელოგიას სადღაც ოცდაათი წლით, მაგრამ საბჭოთა სივრცეში ავანგარდში დგას.

კომუნისტური სივრცის დაშლის, განთავისუფლების, ცენზურის მოხსნის შემდგომ თითქოს ქართველ ავტორებს სწრაფადვე უნდა აეთვისებინათ თანამედროვე მსოფლიო ნიცმელოგიის ყველა მიღწევა, ქართული ნიცმელოგია ადვილად უნდა გადასულიყო ევროპული ნიცმელოგიის სააზროვნო კონტექსტში, მაგრამ ეს ასე არ მომხდარა. ამ დროს ასეთი საწინააღმდეგო პროცესი ხდება: თუკი რუსეთში 90-ინი წლების დასაწყისამდე, ჯერ კიდევ იყო კომუნისტური კლიშეებით დახუნძლული ინტერპრეტაციები და რუსები ვერ აღწევდნენ თავს მარქსისტულ ცენზურას (მოჩკინი, ანდრეევა, ოდუევი), ამ დროს ქართველი ფილოსოფოსები ცენზურისაგან თავისუფალ ჰაიდეგერისეულ ინტერპრეტაციებს ავითარებდნენ, მაგრამ როგორც კი გაიხსნა საზღვრები და რუსები უნდა გადასულიყვნენ თანამედროვე ნიცმელოგიის სააზროვნო კონტექსტში, მიუხედავად იმისა, რომ რუსები ქართველებთან შედარებით დიდი ნაბიჯით უკან იყვნენ, მათ მაინც მოკლე დროში საკმაოდ წარმატებით გაიარეს ეს პროცესი, მაშინ როდესაც ქართველი ფილოსოფოსები უცებ ვერ განთავისუფლდნენ ჰაიდეგერისეული ინტერპრეტაციის მონოპოლიისაგან. ეს იმიტომ, რომ ჰაიდეგერი არ იყო ქართველი მოაზროვნეებისათვის გარედან თავსმოხვეული რამ. ეს იყო მათი შინაგანი მრწამსი. ამიტომ რაც შინაგანია, იმისგან ადვილად ვერ გათავისუფლდებოდი. ამის გარდა, ჰაიდეგერისეული ინტერპრეტაციის მონოპოლიის ამდენმა წელმა განაპირობა ის, რომ ნიცმეს მიმართ უშუალო ინტერესი დაიკარგა. ნიცმე ყოველთვის განიხილებოდა როგორც ჰაიდეგერის ფილოსოფიის ერთ-ერთი ილუსტრაცია, მისი ერთ-ერთი მომენტი.

1993 წელს მერი ჭელიძე ჟურნალ „რელიგიაში« აქვეყნებს სტატიას – „ფრიდრიხ ნიცმე და ქრისტიანობა“. თითქოს აქედან იწყება ჰაიდეგერისეული ინტერპრეტაციის «დავიწყება» საქართველოში. კარლ იასპერსს აქვს წიგნი „ნიცმე და ქრისტიანობა“, რომელსაც ეყრდნობა მერი ჭელიძე. ავტორი ცდილობს, რომ ნიცმესა და ქრისტიანობას შორის გამონახოს მჭიდრო კავშირები. ეს არ იყო ახალი ევროპულ ნიცმელოგიაში, მაგრამ ქართულ ნიცმელოგიაში ახალ მიდგომას წარმოადგენდა. ნიცმე, ჭელიძის აზრით, უბრუნდება პირველქრისტიანობას. კირკეგორი და ნიცმე ისტორიულ ქრისტიანობას თვლიან აბსურდად. მრავალსაუკუნოვანი საეკლესიო ქრისტიანობა არის განდგომა იმისგან, რაც უნდოდა ქრისტეს. ერთადერთი ქრისტიანი ადამიანი იყო ქრისტე. ეკლესიის ინსტიტუტისაგან განსხვავებით, ქრისტეს არასოდეს არ უნდოდა დოგმებით აზროვნება. მას არ შემოჰქონდა ისეთი დოგმები, როგორც იყო მაგ. პიროვნული ღმერთი, სულის უკვდავება, ტანჯვა, გამოსყიდვა, მონანიება, მეტაფიზიკა, იმქვეყნიური სამყარო, სამოთხე – ესენი არის დოგმები. ნიცმე ხვდება, რომ ქრისტიანობა არ არის აი ამ დოგმებით აზროვნება, ქრისტიანობა არის სიმართლის პრინციპი, ბრძოლა. ქრისტიანობა თავის საფუძველში ქრისტეს სახით იყო არა სუსტი და სუსტი ცხოვრების აპოლოგია, არამედ ძლიერი სიცოცხლის, ჯანსაღი სიცოცხლის გამოვლენა. ჯანსაღი სიცოცხლე და სიძლიერე შემდგომ უკვე რომის იმპერიის თარგზე გარდაიქმნა და ქრისტიანობა სუსტებისა და დაჩაგრულების შემწე რელიგიად იქცა. ეს არის გაუფებრობა. ქრისტიანობა თავდაპირველად იყო არისტოკრატიული მორალის მქონე და ნიცმე პატივს სცემს ჯანსაღი ძლიერების კულტს. ძლიერების კულტი ქრისტესთან ისევეა, როგორც ზეკაცთან. ქრისტეს სიკვდილი და ჯვარცმა არ იყო ადამიანებისათვის

მსხვერპლშეწირვა. ქრისტემ ამ სიკვდილით აჩვენა ადამიანებს თუ როგორ უნდა ჭეშმარიტი ცხოვრება. მან გვაჩვენა ცხოვრებისეული პრაქტიკა. ეს არის ცხოვრებისეული პრაქტიკა, თუ როგორ უნდა იცხოვროს ადამიანი. მთავარი არის სიმართლისმოყვარეობის პრინციპი. ბრძოლა თანასწორობისათვის. აი, ეს პრინციპები ჭეშმარიტი ქრისტიანის პრინციპები, ეს არის ის, რაც აკავშირებს ქრისტესა და ნიცმეს ერთმანეთთან და ამით ხდება ნიცმეს ქრისტიანიზირებული გააზრება. საქართველოში ამდაგვარ ინტერპრეტაციაზე შეიძლება ვთქვათ, რომ იგი ჰაიდეგერისეული ანალიზის ერთგვარი „დავიწყებაა“.

1994 წელს სერგი ავალიანი წიგნში „მეცნიერული ონტოლოგია“ საუბრობს ნიცმეზე. აქაც არ ჩანს ჰაიდეგერზე რაიმე მითითება. ავტორი ნიცმეს აბსოლუტურ რელატივიზმში სდებს ბრალს და წერს: ნიცმე მიხვდა, რომ ეს აბსოლუტური რელატივიზმი არის სამყაროს სუბსტანციის გაქრობა და აზროვნების ჩიხში შეყვანა. გერმანელი ფილოსოფოსი თავად ხვდება, რომ მსოფლმხედველობითი ჩიხი რომ გადაილახოს, საჭიროა აბსოლუტური რელატივიზმის მოხსნა. რელატივიზმის მოხსნას კი ნიცმე შეეცდება ზეკაცის იდეალის შემოტანით. ზეკაცის იდეალი არის იმის გაცნობიერება, რომ აბსოლუტური რელატივიზმის მოხსნის გარეშე შეუძლებელია ღირებულებების დაფუძნება.

1996 წელს ირაკლი ბრაჭულის წიგნი „ზეკაცის მსოფლმხედველობა“ ასევე ეხება ნიცმეს ფილოსოფიას და ისიც ცდილობს, რომ ჰაიდეგერისეული ანალიზის მიღმა დარჩეს. ბრაჭულს საკმაოდ განსხვავებული ინტერპრეტაცია აქვს. ავტორის აზრით, ნიცმე ამოდის ევროპული კულტურის დღევანდელი მდგომარეობიდან და ფიქრობს, რომ ეს არის ფიზიკალისტური სამყარო, რაციონალიზმისა და ნატურალისტური მსოფლმხედველობის გაბატონება, რომელიც გამორიცხავს სიცოცხლის ძლიერ მუხტს. თანამედროვე სამყაროში სიცოცხლის დონე და მისი ხარისხი არის ძლიერ დაცემული. ნიცმე სწორედ იმას გრძნობს, რომ საჭიროა ადამიანი მოიპოვოს სამყაროს ენერგეტიკული არხი. და ეს არხი უნდა გახსნას. ამ ენერგეტიკული არხიდან მოხდება იმ ენერჯის წარმოება, რომელიც შექმნის ახალ ადამიანს. მანქანა-ადამიანს გადააქცევს ცოცხალ ადამიანად. მონოტონურ, მკვდარ, ნიველირებულ ადამიანს გაცოცხლებს ახალი ენერჯით, შეაზანზარებს სამყაროს და ადამიანს აამაღლებს ზეკაცამდე. ზეკაცი ბრაჭულის ინტერპრეტაციაში არის სწორედ ის ინდივიდი, რომელიც ფლობს სამყაროს ენერგეტიკულ არხს. და ეს ტექნოლოგიები მოგვეპოვება ჩვენ ანთროპოსოფიაში და განსაკუთრებით რუდოლფ შტაინერთან. მარადიული მოდუნება ამ ინტერპრეტაციაში გაიგება როგორც ზეკაცის დამზადების მთელი სუპერტექნოლოგია. მარადიულ მობრუნებაში ხდება წარსულის გაცოცხლება და მისი მომავლის ენერჯიად გადაქცევა. ეს ძალიან საინტერესოა ისტორიის შეფასებისას. მომავლის ენერჯიას გვამღვეს წარსულის კვლავგაცოცხლება.

ვაჟა იოსელიანი 1998 წელს ჟურნალ «მაცნეში» აქვეყნებს წერილს „ფრიდრიხ ნიცმე და ათეიზმი“, სადაც ფიქრობს, რომ ნიცმეს ფილოსოფიის სახით რაღაც ახალ რელიგიასთან გვაქვს საქმე. იოსელიანის აზრით, თუნდაც ის, რომ ნიცმემ ზეკაცი და მარადიული მობრუნება შემოიტანა, ნიშნავს იმას, რომ ის არ არის ათეისტი, მაგრამ არც ქრისტიანი.

2002 წელს გურამ თევზაძე «XX საუკუნის ფილოსოფიის ისტორიაში» ნიციშეს შესახებ წერს, რომ ჰაიდეგერისეული ინტერპრეტაცია გზას გვიხსნის ქრისტიანიზირებული ინტერპრეტაციებისაკენ. და შემდეგ დასძენს, რომ თუმცა ეს არ არის ერთადერთი შესაძლო ინტერპრეტაცია ნიციშეს ფილოსოფიისა და აქ შესაძლებელია სხვა გზებიც. თევზაძე არ აზუსტებს თუ რა მიმართულების ინტერპრეტაციებს გულისხმობს აქ. საკითხი ღიად რჩება. ამ ტექსტში ნათლად ჩანს, კომუნისტური არეალიდან გამოსვლის შემდგომ ქართული ნიციშელოგია როგორ ცდილობს ნაბიჯის წინ გადადგმას, მსოფლიო ნიციშელოგიის აქტუალურ არეალში ჩართვას და როგორ აცნობიერებს, რომ აუცილებელია ჰაიდეგერისეული ინტერპრეტაციის მონოპოლია გადაილახოს. მაგრამ გურამ თევზაძე ჰაიდეგერისეული ინტერპრეტაციის შემდგომ რეალურ პარადიგმად ქრისტიანიზირებულ გააზრებას მიიჩნევს. აქ ჩანს ტენდენცია, რომ ვერ ხდება გასვლა იმ ღია სივრცეში, იმ კონტექსტში რა კონტექსტშიც ოპერირებს თანამედროვე ევროპული ნიციშელოგია და ამიტომ ქართული ნიციშელოგია ჩერდება ისევ ან ჰაიდეგერზე ან ბრუნდება წინარე ავტორების პარადიგმებში. ამის კარგი დასტურია 2006 წელს გამოცემული თენგიზ ირემაძის წიგნი – „ფრიდრიხ ნიციშე. ესე იტყოდა ზარატუსტრა“. მიუხედავად იმისა, რომ ირემაძის წიგნში ძალიან დიდი ინფორმაციული სიუხვეა და მასში მრავალი ავტორი არის წარმოდგენილი, საბოლოო ჯამში მისი გააზრება მაინც ჰაიდეგერისეული ინტერპრეტაციით არის მთლიანობაში შემოფარგლული. ირემაძე მიჰყვება ტრადიციულ აზრთა მსვლელობას, რომ ნიციშესთან მოხდა ნიციშელოგიის გააზრება, რომ ყოველი ღირებულება გაუფასურდა და ნიციშეს სურს ღირებულებების ეს ნგრევა მიიყვანოს ბოლომდე, რაც იმას ნიშნავს, რომ ბოლომდე მივიდეს ქრისტიანული რელიგიის მსხვერველა. ქრისტიანობა ადამიანის არსთან არის შეუსაბამობაში და უნდა მოხდეს ყოველგვარი მიღმური სამყაროს უარყოფა. სულ ერთია ეს მიღმური სამყარო იქნება ქრისტიანულ-პლატონური გაგებით, თუ კანტიანურ-ჰეგელიანური გაგებით. შემდეგ უნდა მოხდეს სიცოცხლის პრინციპით ახალი ღირებულებების დაფუძნება. ეს არის ზეკაცი, რომელიც მიწის სიყვარულითაა განმსჭვალული და ძალაუფლების ნების პრინციპის განხორციელებაა. ამ წიგნში ჰაიდეგერის მიმართ გარკვეული კრიტიკული აზრებიც არის გამოთქმული. თენგიზ ირემაძე უპირისპირდება ჰაიდეგერს იმაში, რომ ძალაუფლების ნებას არ მიიჩნევს მეტაფიზიკურ პრინციპად. ეს არის ნიციშეს ინტერპრეტაციის ერთადერთი ის არსებითი მომენტი, სადაც ავტორი თავისუფლდება ჰაიდეგერისეული პარადიგმისაგან. ძალაუფლების ნების ანტიმეტაფიზიკური გააზრების შემდგომ, ავტორი ნიციშეს ძირითადი იდეების ურთიერთმიმართებას ადგენს ისე, როგორც ეს ჰაიდეგერთანაა. მაგალითად, თენგიზ ირემაძე აკრიტიკებს იმ მოაზროვნეებს, რომლებიც მიჯნავენ ძალაუფლების ნების და მარადიული მობრუნების იდეებს. როდესაც ავტორი ამ იდეათა ერთიანობის გააზრებას ახდენს, იგი ჰაიდეგერის თვალსაზრისს უბრუნდება – ძალაუფლების ნება გვეუბნება თუ «რა» არის არსებული, ხოლო მარადიული მობრუნება გვეუბნება თუ «როგორ» არის არსებული. გვახსოვს ამ შეხედულებას ეყრდნობოდა თაზო ბუაჩიძეც. ასევე, როდესაც წიგნის ავტორი, ზეკაცისა და მარადიული მობრუნების იდეების ურთიერთმიმართებაზე საუბრობს, საბოლოო ჯამში, ისევ ჰაიდეგერის ინტერპრეტაციას ეყრდნობა.

აი, ამით სრულდება იმ ტექსტების ისტორია, რაც დღემდე გამოიცა ნიციშეს შესახებ საქართველოში. 90-იანი წლების ეპოქა ჩვენ დავახასიათეთ სამი ასპექტით. პირველი – ეს

იქნება ეგზისტენციალურ-ჰუმანისტური მოდერნიზაციის პარადიგმა. ქართული ნიცშელოგია 60-დან 90-იანი წლების ბოლომდე იმყოფებოდა ამ პარადიგმაში, რომელიც დღემდე ინარჩუნებს ძალას. 90-იანი წლების დასაწყისიდან საქართველოში დაწყებულია ჰაიდეგერისეული ინტერპრეტაციის «დავიწყების» პროცესი, მაგრამ ქართული ნიცშელოგია ვერ აღწევს თავს ეგზისტენციალურ-ჰუმანისტურ მოდერნიზაციებს და იმავე პარადიგმის შიგნით ჰაიდეგერიდან ახდენს უკუსვლას იასპერსისაკენ და რელიგიურ-ქრისტიანიზირებული განაზრებებისაკენ. უახლოეს პერიოდში ჰაიდეგერის წინარე ავტორებს უბრუნდება თენგიზ ირემადის გარდა (რომელიც ძირითადად ჰაიდეგერისეულ პარადიგმაში რჩება), თითქმის ყველა წარმოდგენილი ავტორი. ეს იმას ნიშნავს, რომ ქართული ნიცშელოგია რუსულისაგან განსხვავებით ვერ გადავიდა თანამედროვე ნიცშელოგიის აქტუალურ საკითხთა კონტექსტში. ის პრობლემატიკა, რაც თანამედროვე ნიცშელოლოგიაში დგას ვერ გახდა საქართველოში აქტუალური. მაგალითად: ნიცშეს ტექსტების წაკითხვის მეთოდოლოგიაზე რეფლექსია, ჟაკ დერიდასეული ნიცშეს ანტილოგოცენტრისტული გააზრების პრობლემატიკა, ჟილ დელიოზის სიმულაციონისტური გააზრების თემატიკა, ნიცშელოგთა ანგლო-საქსონურ ფრთაში მეტაფორა-ფიქციონისტური გააზრება, ფრანგულ ფილოსოფიაში დისკურსიონისტული გააზრება, ფაშიზმის თემატიკასთან ხელახლა დაბრუნება (რაც რუსულ ნიცშელოგიაშიც გვხვდება), მეტაფიზიკისა და ნიცშეს მიმართების ხელახლა გააზრება და მეტაფიზიკის სხვადასხვა ვარიაციები – ყოველივე ეს თემატიკა საერთოდ უცნობია ქართული ნიცშელოგიისათვის და საბოლოო ჯამში ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართული ნიცშელოგია ჯერაც ვერ გამოვიდა უძრაობის ხანგრძლივი ეპოქიდან.

მეორე თვისება ამ ეტაპისა არის ის, რომ ნიცშეს ფილოსოფიის ანალიზისას ერის ცხოვრების და ეროვნული მსოფლმხედველობის თემატიკა, საერთოდ არ ფიგურირებს. ეს უკვე ცენზურის გამო ვეღარ იქნება გამართლებული. თუკი კომუნისტების დროს ცენზურა აკავებდა ქართველ ფილოსოფოსებს, რომ ნიცშე და ქართული კულტურა ერთმანეთთან დაეკავშირებინათ, ახლა ამ მხრივ აღარ არის ოფიციალურად შემზღველადვი ბარიერები. თუკი ამგვარ განაზრებებს საუკუნის დასაწყისში ახდენდნენ ანტ. ფურცელაძე, გრ. რობაქიძე, კ. გამსახურდია და კ. კაპანელი, დღეს მეტი შესაძლებლობა და თავისუფლებაა ამისათვის. ამიტომ დღეს უკვე ეს მოვლენა გარკვეულ სიმპტომზე მიუთითებს – ზოგადად ქართული ფილოსოფიის მდგომარეობაზე და ალბათ, მიმართულებაზე.

მესამე თვისება, უახლოესი ეტაპისა, ის არის, რომ (აქედან გამომდინარე) ფილოსოფოსებისა და ლიტერატორების სივრცეები ურთიეთგამიჯნულია. ეს დღევანდელ დღეს განსაკუთრებით ნიცშელოგიას ეხება. ჩვენ არ მოგვეპოვებიან ფილოსოფოსები, რომლებიც ნიცშესა და ლიტერატურის თემატიკას განიხილავენ და არ მოგვეპოვებიან ლიტერატორები, რომლებიც სერიოზულად დაინტერესდებოდნენ ნიცშეს კვლევით. არის რამდენიმე პუბლიცისტური სტატია, რომელიც სერიოზული ყურადღების ღირსი არაა. მაგალითად დგებუამის სტატია ჟურნალ „არილში“. აქ ლაპარაკია ხარისხობრივ დონეზე, რომელსაც მიაღწიეს გამსახურდიამ, რობაქიძემ და სხვებმა საუკუნის დასაწყისში. ეს მიუთითებს თანამედროვე ქართული კულტურული სივრცის ორგანულ გაუმთლიანებლობაზე. ფილოსოფოსების ინტერესები არ

უკავშირდება კულტურის სხვა დარგებს. ლიტერატორების ინტერესები საერთოდ გათიშულია ფილოსოფიისაგან. არ ხდება მათი ურთიერთგამდიდრება გარკვეული იმპულსებით, არ განიცდიან ისინი საკუთარ თავს ერთი სააზროვნო სივრცის ნაწილებად. ამასთან ერთად, როგორც ფილოსოფოსები, ასევე ლიტერატორები, პრობლემატურად მოწყვეტილნი არიან თანამედროვე მსოფლიო აზროვნების პირველხარისხოვან, აქტუალურ საკითხებს.

18 მაისი, 2007 წელი.

მერაბ ცაგარელი

შეიგან ტვინი შენი

შესავალი

ცოცხალ ბუნებაში არსებული ყველა სხვა სულიერი არსებებისგან ადამიანს გამოარჩევს გასაოცარი უნარი შექმნას ლიტერატურის, ფერწერისა და მუსიკის შედეგები, ისაუბროს მობილური ტელეფონით, იაროს მთვარის ზედაპირზე. ყოველივე ამას განაპირობებს ადამიანის თავის ტვინი, – მსუბუქი, ჰაეროვანი, საშუალოდ 1200 გრამი წონის მქონე ცხიმოვანი ქსოვილი, რომლის მოქმედება შეიძლება შევადაროთ თანამედროვე სუპერკომპიუტერს.

მაგრამ თავის ტვინი გაცილებით რთულია ვიდრე ეს ხელსაწყო, რაშიც მეცნიერები რწმუნდებიან ლაბორატორიებში ყოველდღიური მუშაობითა და ახალი აღმოჩენებით. თავის ტვინის მაქსიმალური შესაძლებლობები ჯერ კიდევ უცნობია, მაგრამ ის არის ჩვენს სამყაროში არსებული ყველაზე რთული ცოცხალი წარმონაქმნი.


ეს ერთი, ცალკეული ორგანო აკონტროლებს ორგანიზმის ყველა მოქმედებას, დაწყებული გულის ცემით და დამთავრებული მეხსიერებითა და აზროვნებით. თავის ტვინში წარმოიქმნება ჩვენი ფიქრები, იმედები, ოცნებები და წარმოდგენები. მოკლედ, იგი არის ის, რაც ჩვენ გვაქცევს ადამიანად.

ნერვული სისტემის ფიზიოლოგთა, ნეირომეცნიერთა წინაშე დგას ურთულესი ამოცანა – გაიშიფროს საიდუმლოებით მოცულ ყველა მანქანას შორის ურთულესი: თუ როგორ წარმოიქმნება ტრილიონ ნერვულ უჯრედზე მეტი, როგორ იზრდებიან და ვითარდებიან ისინი და როგორ აღწევენ ისეთ, ფუნქციურად სრულყოფილ, ორგანიზაციულ სისტემას, რომელიც ჩვეულებრივ ჯანმრთელი ადამიანის მთელი სიცოცხლის მანძილზე უშეცდომოდ მოქმედებს.


მკვლევართა მუშაობას ორმაგი მიზანი გააჩნია: ერთი მხრივ ადამიანის ქცევის უკეთ შესწავლა – მეხსიერებით დაწყებული და ადამიანის ხასიათის სირთულეების ამოცნობით დამთავრებული. მეორე მხრივ, ახალი გზებისა და საშუალებების ძიება, რათა თავიდან ავიცილოთ ან განვკურნოთ თავის ტვინის მრავალი დაავადება.

თავის ტვინის აგებულება

ადამიანის თავის ტვინი დაფარულია ქერქით, რომლის ნაწილები ერთმანეთისგან გამოყოფილია ღარებით. თავად ქერქი დანაოჭებულია. თუ ზევიდან დავხედავთ მას, გამოვარჩევთ სამ წილს: შუბლის, თხემისა და კეფის წილებს. ყველაზე გრძელი, გასწვრივი ღარით ეს წილები იყოფიან ორ, მარცხენა და მარჯვენა ნაწილებად (სურ. 1). გვერდხედში დამატებით კიდევ გამოვარჩევთ საფეთქლის წილს (სურ. 2).




სურ. 1



სურ. 2

ცენტრალური ღარის მიმდებარედ წარმოდგენილია ორი მოსაზღვრე – მამოძრავებელი (მოტორული) და მგრძნობიარე (სენსორული) უბნები. პირველი განაპირობებს ნებით მოძრაობებს, ხოლო მეორე – შეხებით შეგრძნებებს. შუბლის წილი მონაწილეობს ცნობიერებასა და აზროვნებაში, საფეთქლის წილი სმენით, ხოლო კეფის წილი მხედველობით აღქმაში. თხემის წილი კი განაპირობებს გრძნობათა ორგანოებიდან მოსული ინფორმაციის ინტეგრაციას (სურ. 3ა).

მთლიანად თავის ტვინს ყოფენ სამ ძირითად ნაწილად: წინა, შუა და უკანა ტვინად. ამ უკანასკნელში გამოარჩევენ ტვინის ხიდს, ნათხემსა და მოგრძო ტვინს (სურ. 3ბ). ტვინის ღრმად მდებარე სტრუქტურებიდან აღსანიშნავია ე.წ. თალამუსი, რომელიც ქერქს გადასცემს ყველა გრძნობის ორგანოდან წამოსულ ინფორმაციას, ყნოსვის გარდა. ჰიპოთალამუსი ზრუნავს ჩვენი მოთხოვნების, მათ შორის ძილის, დაკმაყოფილებაზე. ნუშისებრი სხეული, ანუ ამიგდალა დაკავშირებულია ემოციებთან, ხოლო ზღვის ცხენი, ანუ ჰიპოკამპუსი პასუხისმგებელია მეხსიერებასა და სივრცეში ორიენტაციაზე (სურ. 3ბ).




სურ. 3 ა-ბ

უპირველესად რაც ადამიანს გამოარჩევს ცხოველთა სამყაროდან, ეს არის მეტყველების უნარი, რომელსაც თავის ტვინი განაპირობებს და აკონტროლებს. ადამიანის ამ უნიკალურ თვისებას ემსახურება მეტყველების ორი უმნიშვნელოვანესი

ცენტრი. თხემის წილში არსებული ე.წ. ვერნიკეს ზონა, რომელიც განაპირობებს წარმოთქმული სიტყვების აღქმას. მეორე არის შუბლის წილში არსებული, მეტყველების, ე.წ. ბროკას მოტორული ზონა, რომელიც განაპირობებს სიტყვების წარმოთქმას (სურ. 4). საინტერესოა, რომ მეტყველების, წერის, არითმეტიკული გამოთვლების (კალკულაციის) უნარი ძირითადად მოთავსებულია ადამიანის თავის ტვინის მარცხენა ნახევარსფეროში არსებულ ცენტრებში, მაშინ როცა მხედველობით-სივრცითი აღქმა და სივრცეში ორიენტაცია უფრო მეტად წარმოდგენილია მარჯვენა ნახევარსფეროში (სურ. 5).

Copyright © The McGraw-Hill Companies, Inc. Permission required for reproduction or display.


Brain—Speech Control



სურ. 4


Copyright © The McGraw-Hill Companies, Inc. Permission required for reproduction or display.

Cerebral Hemispheres—Functions



სურ. 5


ნერვული უჯრედი (ნეირონი). თავის ტვინის და საზოგადოდ, ნერვული სისტემის სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს ნერვული უჯრედი, ანუ ნეირონი, რომელიც შედგება სხეულისა და მორჩებისგან. სხეულში მოთავსებულია უჯრედის ბირთვი. განარჩევენ ორი ტიპის – მოკლე და გრძელ მორჩებს. პირველს უწოდებენ დენდრიტებს, რომლებიც ძირითადად ნერვული იმპულსების მიმღებლობით ფუნქციას ასრულებენ. მეორეს უწოდებენ აქსონს, რომელიც ნეირონში წარმოქმნილ იმპულსებს გადასცემს სხვა ნერვულ უჯრედებს, კუნთებსა და ჯირკვლებს (სურ. 6). ამ უკანასკნელებთან აქსონის დაბოლოება (ტერმინალი) ქმნის კონტაქტებს, ე.წ. სინაფსებს, რომელთა საშუალებითაც ხორციელდება ნერვული იმპულსების გადაცემა-გავრცელება. სინაფსში განიხილავენ სამ ნაწილს: პრესინაფსს, აქსონის ტერმინალის წარმონაქმნს, სინაფსურ ნაპრალსა და პოსტსინაფსს. ეს უკანასკნელი წარმოადგენს მიმღები ნეირონის, კუნთოვანი ბოჭკოსა და ჯირკვლის რეცეპტორულ უბანს. ასეთ უბნებს, რეცეპტორებს, შესწევთ უნარი «აღიქვან» პრესინაფსში არსებული ბუმტუკებიდან, ვეზიკულებიდან, სინაფსურ ნაპრალში გადმოღვრილი ქიმიური ნივთიერებები, გადამცემები, ანუ ტრანსმიტერები. ასეთი ნეიროტრანსმიტერები განაპირობებენ მიმღებლობით ნეირონში ახალი იმპულსის წარმოქმნას და მის შემდგომ გავრცელებას (სურ. 6).



სურ.6


ზურგისა და თავის ტვინის ფუნქციები

ზოგადად, ნერვული სისტემა შედგება ცენტრალური ნერვული სისტემისა (თავისა და ზურგის ტვინი) და პერიფერიული ნერვული სისტემებისგან. ამ უკანასკნელში იგულისხმება თავისა და ზურგის ტვინისგან გამომავალი ნერვები, რომლებიც მიემართებიან კუნთების, ჯირკვლებისა და შინაგანი ორგანოებისკენ. ზურგის ტვინში შემავალი ნერვები იწოდებიან მგრძნობიარე (სენსორულ), ხოლო გამომავალი – მამოძრავებელ (მოტორულ) ნერვებად (სურ. 7).



სურ. 7


მოდრაობა. ადამიანის გადაადგილება, მოძრაობა, სიარული, სხეულის მდგომარეობის (პოზის) შენარჩუნება ძირითადად განპირობებულია რეფლექსებით, ზურგის ტვინში არსებულ ნეირონთა კოორდინირებული მოქმედებით. როდესაც ნევროპათოლოგი გვირტყამს ჩაქუჩით მუხლზე, ის ამით ამოწმებს კიდურის გაშლის რეფლექსს და შესაბამისად მსჯელობს ნერვული სისტემის მდგომარეობაზე. ერთ ფეხზე დგომისას, სხეულის ბალანსირება ხდება გამშლელი კუნთების აქტივაციისა და მომხრელი კუნთების ინაქტივაციის შედეგად. მუხლის მოხრის დროს კი პირიქით, მომხრელი კუნთები იკუმშებიან, ხოლო გამშლელი კუნთები დუნდებიან. კიდურების ასეთ კოორდინაციას განაპირობებს ზურგის ტვინში არსებული ამაგზნებელი და შემაკავებელი ნეირონების შეთანხმებული მოქმედება (სურ. 8).



სურ.8

მეხსიერება. შესწავლასა და მეხსიერების სხვადასხვა ფორმების ორგანიზაციაში ჩართული არიან თავის ტვინის განსხვავებული უბნები. ჰიპოკამპი და მისი მიმდებარე უბანი, და ქერქის გარკვეული უბნები (შუბლისა და საფეთქლის წილები) ქმნიან სისტემას, რომელიც პასუხისმგებელია ე.წ. კოგნიტიურ მეხსიერებაზე. ეს არის ადამიანის მეხსიერების ფორმა, რომელიც საჭიროებს მეტყველებით აზროვნებას და ამიტომ მას დეკლარაციულ მეხსიერებას უწოდებენ. მისი მაგალითებია ლექსისა თუ მოთხრობის შესწავლა, მათემატიკური ამოცანების ამოხსნა და სხვა.


მისგან განსხვავებით, არადეკლარაციული, პროცედურული, ანუ ქცევითი მეხსიერება განპირობებულია თავის ტვინის სხვა სტრუქტურების მოქმედებით. ესენია: ამიგდალა, ქერქქვეშა ბირთვები (სტრიატუმი) და ნათხემი. მეხსიერების ამ ფორმის მაგალითებია ცურვის, ველოსიპედისა თუ მანქანის მართვის დასწავლა. მათი განხორციელებისთვის არ არის საჭირო თავის ტვინის უმაღლესი (აზროვნებითი) ფუნქციების მონაწილეობა (სურ. 9).



სურ.9


ძილი. ძილი და ღვიძილი, ანუ სიფხიზლე, ქმნიან ერთიან ციკლს, რომელიც ემსახურება ორგანიზმის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. ღვიძილს განაპირობებს თავის ტვინში არსებული გამააქტივებელი სისტემა. იგი ემყარება ნეირონთა ორ ჯგუფს. ერთი მოთავსებულია ტვინის ღეროში, ხოლო მეორე – თალამუსის არასპეციფიკურ ბირთვებში. ორივე გამოიმუშავებს ნეიროტრანსმიტერს – აცეტილქოლინს. მეორე სისტემა, რომელიც გამოიმუშავებს ნეიროტრანსმიტერებს ნორადრენალინს, სეროტონინსა და ჰისტამინს, მოთავსებულია ტვინის ხიდსა და შუა ტვინში.

უკანასკნელი მონაცემების თანახმად, ღვიძილიდან ძილში გადასვლა და ძილის მიმდინარეობა განპირობებული უნდა იყოს ჰიპოთალამუსის ძილის ცენტრებით (სურ. 10).




სურ.10

სტრესი. ყველა ადამიანისთვის ცნობილია სტრესის რეაქცია. უცაბედ წაქცევას თუ თითის გაჭრას ყოველთვის ახლავს სტრესი. ამ დროს ჩაირთვება სიმპატიკური ნერვული სისტემა, რომლის ნერვული დაბოლოებებიდან თავისუფლდება ნეიროტრანსმიტერი ნორადრენალინი. იგი იწვევს გულის ცემის აჩქარებას, სისხლძარღვების შევიწროებას, თვალის გუგების გაფართოებას, სუნთქვის გახშირებას და სხვა. პარალელურად ჩაირთვება ნეიროენდოკრინული სისტემა, რომლის მოქმედებაც ასევე მიმართულია ორგანიზმის ადაპტაციისკენ. ჰიპოთალამუსი გამოყოფს კორტიკოტროფინ-რილიზინგ ჰორმონს, რომელიც იწვევს ჰიპოფიზიდან ადრენოკორტიკოტროფული ჰორმონის გამოყოფას. ეს უკანასკნელი კი სისხლის საშუალებით მიემართება თირკმელზედა ჯირკვლებისკენ. ეს უკანასკნელნი კი თავის მხრივ გამოყოფენ ადრენალინსა და კორტიზოლს (სურ. 11).




სურ. 11

ტკივილი. რაიმე ქსოვილის დაზიანება (დამწვრობა, ჩხვლეტა, გაჭრა), ან ანთება შეიგრძნობა ტკივილის რეცეპტორების მიერ და მცირე დიამეტრის ნერვული ბოჭკოების საშუალებით გადაეცემა ზურგის ტვინს. აქედან იმპულსები გატარდება ტვინის ღეროს, თალამუსისა და ტვინის ქერქისკენ და საბოლოოდ აღიქმება, როგორც ტკივილი. თავის ტვინში არსებობს ტკივილის საწინააღმდეგო ნეირონული სისტემა, რომელიც ძირითადად მოთავსებულია შუა ტვინის ე.წ. რუხ ნივთიერებაში. მისგან გამომავალი დადმავალი გზები აგზავნიან იმპულსებს ზურგის ტვინში ტკივილის შემცველი ინფორმაციის თავის ტვინის ზედა განყოფილებებში გადაცემის დასათრგუნად. ამ დადმავალი ბოჭკოების დაბოლოებებში გამოიყოფიან მორფინის მსგავსი ბუნებრივი ტკივილ-გამაყუჩებელი ნივთიერებები, რომლებიც იწოდებიან ენდორფინებად (სურ. 12).




სურ.12

ჩვეულებრივ ქსოვილის დაზიანების ან ანთების ადგილას წარმოიქმნებიან ქიმიური ნივთიერებები, პროსტაგლანდინები, რომლებიც აძლიერებენ ტკივილის შეგრძნებას. ზოგიერთი ტკივილის საწინააღმდეგო წამლის (მაგ. ასპირინი) მოქმედება მიმართულია პროსტაგლანდინების წარმოქმნის წინააღმდეგ. ადგილობრივი ანესთეტიკები იწვევენ ტკივილის სიგნალების ბლოკირებას, რათა ისინი არ გავრცელდნენ ნერვულ ბოჭკოებში. მორფინის შემცველი წამლები, ოპიატები ძირითადად მოქმედებენ ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე, სახელობრ, ზურგის ტვინზე, მოგრძო ტვინსა და ტვინის ღეროზე. ამით ისინი იწვევენ აღნიშნული სტრუქტურებიდან ტკივილის შემცველი ინფორმაციის გადაცემის ბლოკირებას თავის ტვინის უმაღლეს განყოფილებებში (სურ. 13).




სურ.13

ნარკოზი. მეცნიერებმა ჯერ კიდევ არ იციან ზუსტად თუ თავის ტვინის რომელი სტრუქტურები არიან დაკავშირებული ნარკოტიკული ნივთიერებების მიღებით გამოწვეულ სიამოვნებასთან. მაგრამ ვირთაგვებზე, მაიმუნებსა და ადამიანზე ჩატარებულმა გამოკვლევებმა მრავალ საინტერესო ფაქტს მოჰფინეს ნათელი. აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთი ძირითადი სტრუქტურა, რომელსაც უკავშირდება სიამოვნების განცდა, არის შუა ტვინის უბანი, რომელიც იწოდება ტეგმენტუმად (*tegmentum*). აქ არსებული ნერვული უჯრედები წარმოადგენენ ნეიროტრანსმიტერ *დოფამინის* შემცველ ნეირონებს. ისინი უკავშირდებიან ე.წ. მიმდებარე ბირთვისა (*nucleus accumbens*) და შუბლის წილს. კოკაინი თავის გავლენას ახდენს ამ სისტემაზე ზემოქმედებით (სურ. 14ა). ოპიატები (მორფინი, ჰეროინი) მოქმედებენ ამ სისტემასა და აგრეთვე ამიგდალაზე (სურ. 14ბ). ოპიატების ქიმიურად მსგავსი ბუნებრივი ნივთიერებები, ოპიოიდები, წარმოიქმნებიან რა თავის ტვინში, იწვევენ ჰეროინისა და მორფინის მსგავს ეფექტებს. ალკოჰოლი ააქტივებს აღნიშნულ ძირითად სტრუქტურებს და დამატებით ჰიპოკამპს (სურ. 14გ). ეს ნივთიერება მოქმედებს იქ, სადაც გამოიყოფიან ნეიროტრანსმიტერები – გამა-ამინო-ერბოს მჟავა და გლუტამატი. ეს უკანასკნელი კი ფართოდ არიან წარმოდგენილნი თავის ტვინში, ქერქის, ჰიპოკამპის, ამიგდალასა და მიმდებარე ბირთვის ჩათვლით.



სურ.14 (ა,ბ,გ)

ნარკოტიკული ნივთიერების მოქმედების ადგილი ძირითადად არის ნეირონთშორისი კავშირები – სინაფსები. მაგ., ნარკოტიკი კოკაინი მოქმედებს დოფამინ-ერგულ სინაფსზე. ის იწვევს პრესინაფში დოფამინის უკუმიტაცების ბლოკირებას. ამის შედეგად სულ უფრო მეტი დოფამინი აკუმულირდება სინაფსში, რაც იწვევს ეიფორიის სახით სიამოვნების გამომწვევი ნერვული წრეების გაძლიერებულ სტიმულაციას (სურ. 15).



სურ. 15

ინსულტი. ინსულტს მაშინ აქვს ადგილი, როდესაც სისხლძარღვი, რომელიც ამარაგებს თავის ტვინს ჟანგბადითა და საკვები ნივთიერებებით, გასკდება ან დაიხშობა

სისხლის კოლტიტ. სისხლის დეფიციტი ჩართავს ნეიროქიმიური გადახრების მთელ კასკადს, რაც იწვევს ნერვული უჯრედების კვდომას რამდენიმე წუთის განმავლობაში. ამ დროს წარმოქმნილი თავისუფალი რადიკალები იწვევენ ენდოთელიალური უჯრედებისა და ნეირონთა მიტოქონდრიების დაზიანებას. ამის შედეგად თავის ტვინის გარკვეული უბანი განიცდის ჟანგბადის დეფიციტს, ისქემიას. ლოკალიზაციის მიხედვით, ინსულტმა შეიძლება გამოიწვიოს განსხვავებული სიმპტომები, მაგალითად სხეულის ცალმხრივი დამბლა, ან მეტყველების დაკარგვა (სურ. 15).

ამრიგად, წარმოდგენილი მონაცემები ნათლად გვიჩვენებენ თავის ტვინის უდიდეს მნიშვნელობას ადამიანის ნორმალურ და პათოლოგიურ ქცევაში, და საზოგადოდ ადამიანის ორგანიზმის ჯანმრთელობაში.


15 ივნისი, 2007 წელი.

მერაბ ლომია

ცენტრალური ნერვული სისტემა და ადამიანის ჯანმრთელობა


ლექცია ეხება ცენტრალური ნერვული სისტემის ადამიანის ჯანმრთელობასთან დამაკავშირებელ ფაქტორებს. როგორ არის ადამიანის ჯანმრთელობა დამოკიდებული ცენტრალური ნერვული სისტემის ფუნქციურ მდგომარეობაზე? როცა ლექციის მასალას ვადგენდი, საკუთარ თავთან ასეთი კითხვა გამიჩნდა – რაზე უნდა ვისაუბროთ? სხვადასხვა დაავადებებზე დეტალურად საუბარი არ ღირს, რადგან ეს მასალები შეგიძლიათ ინტერნეტში მოიპოვოთ, არსებობს უამრავი ლიტერატურაც. ამდენად, გადავწყვიტე მესაუბრა იმაზე, რაც ნაკლებად ცნობილი და პოპულარულია.

ცივილიზაციის დაავადებები, რომელთა აღმოცენებაში საკმაოდ დიდი წვლილი მიუძღვის ნერვულ სისტემას, ფაქტობრივად, ადამიანის სიკვდილიანობის ყველაზე ხშირი მიზეზია. ნერვული სისტემა იწვევს არა მარტო ინსულტს, შაკიკს და რადიკულიტს, არამედ იმ დაავადებებსაც, რომლებიც სხეულის სხვა ნაწილში ვითარდება, მაგრამ რა მექანიზმებით ხდება არანევროლოგიური დაავადებების აღმოცენება ნერვული სისტემის მოქმედების გამო, რა მექანიზმები უდევს საფუძვლად ამ პროცესებს, უცნობია. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ორგანიზმის, სომატური ორგანოების და მათი სისტემების ფუნქციონირება, საკმაოდ კარგადაა შესწავლილი.




სურ. 1

მაგრამ პრაქტიკოსი ექიმები და კლინიცისტები ძალიან ხშირად განიხილავენ გულის დაავადებას, როგორც უშუალოდ გულის ქსოვილში მიმდინარე პათოლოგიურ პროცესებს, სიმსივნეებს, როგორც უშუალოდ სიმსივნის ირგვლივ მიმდინარე პათოლოგიურ პროცესებს. ნერვული სისტემის მდგომარეობას დაავადებების პროფილაქტიკაში ძალიან მცირე ყურადღებას აქცევენ. ტვინის გარკვეულ სტრუქტურულ შენაერთებს უშუალოდ შეუძლიათ გამოიწვიონ ესა თუ ის პათოლოგიური მდგომარეობა. საუბარია სწორედ იმ ვეგეტატიურ მარეგულირებელ ფუნქციებზე, რომელსაც თავის ტვინი ასრულებს. ამ პროცესში ტვინის შემდეგი ნაწილები შედარებით აქტიურად მონაწილეობენ: ჰიპოკამპი, ნუშისებრი სხეული, შავი სუბსტანცია, ქერქქვეშა კვანძები და ასევე საკმაოდ დიდი ნაწილი ჰემისფერების ქერქისა, რომლებიც ხშირად სხვადასხვა ორგანოების ამა თუ იმ ფუნქციურ აქტივობას განაპირობებენ. შეიძლება ითქვას, რომ ჯერ ჰიპოკამპში ან ჰიპოთალამუსში ხდება რაიმე პროცესი, შემდეგ ეს აისახება სხვადასხვა ორგანოების ფუნქციონირებაზე, პათოლოგიაზე, მაგრამ ასე მარტივადაც არ არის საქმე. დღემდე უცნობია, თუ როგორ ყალიბდება სიმსივნე, როგორც ფსიქოსომატური დაავადება. ცენტრალური ნერვული სისტემის მდგომარეობა უშუალოდ მოქმედებს სიმსივნის აღმოცენებაზე და მიმდინარეობაზე, მაგრამ კონკრეტულად რა უბიძგებს სიმსივნის აღმოცენებას ცენტრალურ ნერვულ სისტემაში, უცნობია, და ვვარაუდობთ, რომ დიდი ხნის განმავლობაში ეს ასე იქნება. შემეცნების საშუალება არსებობს არა მარტო მოლეკულურ დონეზე, არამედ მაკრო დონეზე, ფსიქოსოციალურ დონეზე, რაც შედარებით უფრო ადვილი გასაანალიზებელია. ფიქრობენ, რომ ჰიპოთალამუსი და ჰიპოფიზი არის ცენტრალური ნერვული სისტემის ნაწილები, რომლებიც განსაზღვრავენ კავშირს ადამიანის ფსიქიკურ მდგომარეობასა და სხეულის სომატურ ორგანოებს შორის. ასევე ცნობილია, რა ზე გავლენას ახდენს პარასიმპატიური ნერვული სისტემა ადამიანის ყოველდღიურ მოღვაწეობაზე. ფაქტობრივად, არ არსებობს ორგანო, რომელიც არ განიცდის საკმაოდ მკაცრ კონტროლს ტვინიდან, მაგრამ ეს ფენომენი დღეს ნაკლებად არის შესწავლილი. ჩვენ ვიცით, როგორ მოქმედებს სხვადასხვა მედიატორები ამა თუ იმ




ორგანოზე, მაგრამ არსებობს ძალიან ბევრი ნივთიერება, რომლის ქიმიური შემადგენლობა უცნობია და მათი არსებობაც კი სათუთაა. მაგალითად, ენდორფინები – არაინი იცის როგორ გამოიყოფა ისინი პარასიმპატიურ ნერვულ სისტემაში და რა ზეგავლენას ახდენენ ისინი ღვიძლზე, ბრონქებზე, გულზე და ა.შ. არის კიდევ სხვა ჯგუფი ნივთიერებებისა, რომლებიც გამოიყოფა პერიფერიაზე, ყველა ამ ორგანოს ირგვლივ არის ნერვული ბოჭკოების წნულები, უხილავი ქსელი, რომელშიც ეს ორგანოები არის ჩამოკიდებული. რა ხდება ამ ქსელში, დღემდე უცნობია. ამის გამოკვლევა მაღალი ტექნოლოგიების გარეშე შეუძლებელია, მაგრამ დღეისათვის ისინიც კი უძღურნი არიან. ეს ნერვული წნულები დაკავშირებულია თავის ტვინის იმ წარმონაქმნებთან, რომლებიც სავარაუდოდ განაპირობებენ ფსიქოსომატური დაავადებების აღმოცენებას და მიმდინარეობას. სხვათა შორის, უნდა ითქვას, რომ ქერქქვემა კვანძებიდან ნუმისებრი ჯირკვალი საკმაოდ ინტენსიურად არის ჩართული



ვეგეტატიურ რეგულაციაში, საფეთქლის წილი და ასევე ქერქის ზოგიერთი წარმონაქმნები იგივეს ასრულებენ. თუმცა, როგორ არიან ისინი ჩართულები, ამის გაგება რთულია. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ადამიანის სხეულის ნებისმიერი ფიზიოლოგიური ფუნქცია ცენტრალური ნერვული სისტემით იმართება. ესენია: სუნთქვითი მოძრაობების მართვა, გულისცემა, სხეულის მოძრაობა, ნაწლავების კედლების მოძრაობა და ა.შ. ფაქტობრივად, ცენტრალურ ნერვულ სისტემაში არ არის დარჩენილი დონე, რომლის გაღიზიანება ჩვენ არ შეგვიძლია გამოვიწვიოთ სუნთქვის ან გახშირებით, ან გაიშვიათებით, ან კიდევ სხვა რომელიმე ფენომენით. აქედან ჩნდება კითხვა: თუ ტვინის ყველა დონე განსაზღვრავს ყველა ფიზიოლოგიურ პროცესს, მაშინ როგორ გავერკვიოთ ამ საოცარ ქსელში? სწორედ ფსიქოლოგიურ, ფსიქოსოციალურ და ნეიროფიზიოლოგიურ დონეზე მაინც შესაძლებელი ხდება გარკვეულწილად ვივარაუდოთ, რა რთული მოვლენები უწყობს ხელს ადამიანში ცივილიზაციის დაავადებების ნეიროგენულ აღმოცენებას.

ბევრი ვარაუდობს, რომ ჭარბი სტრესი არის ის, რაც იწვევს ამა თუ იმ სომატურ დაავადებებს, მაგრამ ეს ბოლომდე არ დასტურდება. საერთოდ, სტრესი არის ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი. არიან ადამიანები, რომელთა მოღვაწეობაში სტრესი ძალიან დიდ ადგილს იკავებს და არის სიტუაციები, როცა ადამიანი წლების განმავლობაში ქრონიკულ სტრესს განიცდის, მაგრამ მიუხედავად ამისა, ხშირად ასეთ ადამიანს არანაირი პათოლოგია არ უვითარდება. უფრო მეტიც, ისინი უფრო ჯანმრთელებიც კი არიან. მაგალითად, კოლექტიური უბედურებების დროს: მიწისძვრის ან საომარი მოქმედებების, ან ლენინგრადის ბლოკადის, ჰოლოკოსტის დროს და ა.შ. ლენინგრადში ბლოკადის დროს იყო უძმომესი სტრესული პირობები, მაგრამ ამავე დროს ქალაქში შემცირდა სომატური დაავადებების სიხშირე, ჰიპერტონიის, სიმსივნეების აღმოცენება და სხვა დაავადებებიც. იმ ხალხს, ვინც ნაცისტურ საკონცენტრაციო ბანაკებში საშინელი სტრესის ქვეშ იმყოფებოდა, ნაკლებად აღმოაჩნდათ ზემოთ ჩამოთვლილი და ვადებები. ინფექციური დაავადებები იყო,



მაგრამ ცივილიზაციის დაავადებებმა მკვეთრად იკლო. უფრო მეტიც, ლენინგრადის ბლოკადის დროს აღწერილია და დადასტურებულია შემთხვევები, როდესაც გაქრა სიმსივნეები, გულის იშემია, ჰიპერტონია. სხვათა შორის, აფხაზეთის ომის დროს მოსახლეობაში, რომელიც ყოველდღიური დაბომბვის პირობებში ცხოვრობდა, სომატური დაავადებები ნაკლები იყო. ვესაუბრე რამდენიმე კარდიოლოგს, რომელთაც აღნიშნეს, რომ თბილისის ომის დროს გულსისხლძარღვთა დაავადებების გამწვავების შემთხვევებმა მკვეთრად იკლო. ყველაზე საინტერესო მაშინ იწყება, როცა კოლექტიური უბედურება გადაივლის და სიტუაცია გამოკეთდება. ცივილიზაციის დაავადებები არამარტო დაუბრუნდებიან ხოლმე თავის ძველ დონეს, არამედ მნიშვნელოვნად გადააჭარბებენ ხოლმე მათ. თუ ჩვენ ავიღებთ სტრესის თეორიას, რომელიც ჰანს სელიემ წამოაყენა, აღმოჩნდება, რომ სტრესი თავისთავად და უპირობოდ არ იწვევს ავადობის მატებას, ზოგჯერ პირიქითაც ხდება. სტრესი ზოგიერთ ადამიანში იწვევს დაავადებებს, ზოგიერთს კი სიცოცხლის ბოლომდე უკვალოდ მიჰყვება. მაგალითად, არიან ადამიანები, რომლებიც მთელი ცხოვრება სტრესულ მდგომარეობაში იმყოფებიან. მათ ჯანმრთელობის პრობლემა არა აქვთ. სამხედრო მფრინავები ხშირად 80, 90 წელს ცხოვრობენ. ძალიან ბევრი ადამიანი კი, რომელიც მშვიდად ცხოვრობს, უძძიმესად ავადდება და ხშირად 50, 60 წლის ასაკში გულსისხლძარღვთა დაავადებებით, ან სიმსივნით იღუპება. რა შემთხვევაში იწვევს სტრესი დაავადებებს? დადგინდა, რომ ამ დაავადებებს სტრესის შემდგომი დისტრეს-სინდრომი უწყობს ხელს. მაგრამ, ზოგჯერ სტრესი შეიძლება გადაიზარდოს დისტრესში ორ დღეში, ორ კვირაში, ზოგჯერ კი – არასოდეს. დისტრესის პერიოდში ცხოველებს შინაგან ორგანოთა დაზიანება უვითარდებათ, რაც ხშირად მათი სიკვდილის მიზეზი ხდება. ეს გამოკვლევები ძირითადად მიღებულია ცხოველებზე, რადგან ადამიანზე ექსპერიმენტები შეუძლებელია. განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვით ვირთაგვებს, რადგან ისინი ძალიან ჭკვიანები არიან, ძალიან კარგად გამოხატული ზოოსოციოლოგიური ცხოვრება აქვთ და მცირე ცხოველებში ყველაზე ინტელექტუალურები არიან.

არსებობს „ნასწავლი უძწეობის“ კონცეფცია, რომელიც ხსნის, თუ რატომ უვითარდება ამა თუ იმ ცხოველს ან ადამიანს დისტრეს-სინდრომი, რომელიც შინაგან ორგანოთა პათოლოგიებში გადაიზრდება, საბოლოოდ კი – სიკვდილს იწვევს. მაგალითად, ვირთაგვა გალიაშია მოთავსებული, სადაც პერიოდულად არტყამს არასასიკვდილო, დაბალი ძალის დენი. ცხოველმა რაც არ უნდა გააკეთოს, მას დენი მაინც დაარტყამს. ცხოველები ცდილობენ აიცილონ ეს დარტყმა. დარბიან ერთი კუთხიდან მეორეში, მაგრამ დენის დარტყმას თავიდან ვერ იცილებენ. როდესაც ცხოველი ხედავს, რომ უსიამოვნო ფაქტორის ზეგავლენას თავს ვერ აღწევს, პასიურ დაცვით მდგომარეობაში გადადის. ის შეშინებულია, წყვეტს აქტიურ მოძრაობას და სწორედ ამ მდგომარეობაში ეწყება შინაგანი ორგანოების ფუნქციათა მოშლა, რაც შეიძლება სიკვდილითაც დასრულდეს. მიუხედავად იმისა, რომ სუსტი დენის დარტყმა ცხოველისთვის სახიფათო არ არის და შინაგან ორგანოებზე არ მოქმედებს, ეს პროცესი მაინც ვითარდება. თუმცა, ამ შემთხვევაში ხელოვნურად შექმნილ მდგომარეობაზე ვსაუბრობთ, ბუნებაში კი ასე არ ხდება. უფრო ზუსტი იქნებოდა ისეთი ცდის ჩატარება, სადაც ცოცხალი არსება სტრესის თავიდან აცილებას შეეცდება. როგორც კი ცხოველებს საშუალება ეძლევათ თავიანთი მდგომარეობა სხვადასხვა მოქმედებით შეცვალონ,

დისტრესი არ ვითარდება. მაგალითად, ავიღოთ იგივე ვირთაგვა, რომელსაც ყველგან დენი არტყამს. თუ გავაკეთებთ ისე, რომ ერთ რომელიმე კუთხეში ცხოველს დენი არ დაარტყამს, იგი სწორედ ამ კუთხეში შეჩერდება. თუ ცხოველმა მიაკვლია ამ უხიფათო კუთხეს, მას დისტრესი არ უვითარდება. გამოდის, რომ სტრესის ხანგრძლივობას მნიშვნელობა არა აქვს. მნიშვნელობა აქვს იმას, შეუძლია თუ არა ცოცხალ ორგანიზმს თავისი მოქმედებით ადრე თუ გვიან ეს მოქმედება თავიდან აიცილოს. ე.ი. შეიძლება სტრესი გრძელდებოდეს ორი კვირა და შემდეგ მიაკვლიოს ცხოველმა, რომ ამ სიტუაციის თავიდან აცილება შეიძლება. თუ ვერ მიაკვლია, პასიურ მდგომარეობაში გადადის. კიდევ ერთი მაგალითი: ვირთაგვების ოთხ ჯგუფს სიმსივნე გადაუწერეს. პირველ ჯგუფს გადატანილი ჰქონდა სტრესული სიტუაცია გამოსავლის არსებობის გარეშე და გამოუვალ სიტუაციაში მოხვდა. ცხოველების მეორე ჯგუფს გადატანილი ჰქონდა სტრესული სიტუაცია გამოსავლის არსებობის გარეშე, მაგრამ მოხვდა სიტუაციაში, სადაც საკუთარი ქმედებებით გამოსავლის მოძებნა შესაძლებელი იყო. ცხოველების მესამე ჯგუფს სტრესული მდგომარეობა ადრე ჰქონდა გადატანილი და გამოსავალი თავად იპოვა, მაგრამ მოხვდა ისეთ სიტუაციაში, სადაც გამოსავალი არ არსებობდა. ცხოველების მეოთხე ჯგუფი, რომელმაც სტრესული სიტუაცია გადაიტანა, გადარჩენის საშუალება იპოვა და მოხვდა სიტუაციაში, საიდანაც გამოსავალი შესაძლებელი იყო. აღმოჩნდა, რომ პირველი და მეორე ჯგუფის ცხოველებს, რომელთაც პასიური, ანუ უმწეობის გამოცდილება ჰქონდათ, სიმსივნე განუვითარდათ. მესამე და მეოთხე ჯგუფის ცხოველებს კი, მიუხედავად იმისა, რომ ერთი მათგანი გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა, მეორემ კი გამოსავალი იპოვა, არც ერთს სიმსივნე არ განუვითარდა. ამდენად, სტრესის საკუთარი ქმედებით დაძლევა ცხოველის მდგრადობაზე გავლენას ახდენს. მაგალითად, ავიღოთ ადამიანი, რომელსაც მძიმე ბავშვობა ჰქონდა და ამ პერიოდში ბევრი ცხოვრებისეული წინააღმდეგობა გადალახა. ასეთ ადამიანს მომავალში სტრესფაქტორების დაძლევის მეტი შანსი აქვს. ბავშვს, რომელიც ფუფუნებაშია გაზრდილი და რომელსაც ყველაფრის უფლებას აძლევდნენ, ან პირიქით, ბავშვს, რომელსაც ყველაფერს უკრძალავდნენ, სტრესის დაძლევის გამოცდილება არა აქვს. ასეთ ადამიანებში პატარა შეფერხებაც კი დეპრესიას, აქედან გამომდინარე კი ფსიქოსომატურ ან ფსიქიურ დაავადებებს იწვევს. ცოცხალ არსებას სტრესის დაძლევის რაც უფრო მეტი გამოცდილება აქვს, მით უფრო მდგრადია ფსიქოსომატური დაავადებების წინააღმდეგ. ფაქტობრივად, აქტიური ძიებით ქცევამ სხვადასხვა სტრესფაქტორების მიმართ ცხოველების მომატებული მდგრადობა გამოიწვია. თავად გამოსავლის ძიება დისტრესის საწინააღმდეგო საუკეთესო საშუალებაა. ეს არის დიდი რუსი და ებრაელი ნეიროფიზიოლოგის ვადიმ როტენბერგის მოსაზრება. ის ამჟამად ისრაელში თელ-ავივის უნივერსიტეტის პროფესორია და განაგრძობს მუშაობას თავის თეორიაზე. მისი მოსაზრებით, „ძიებითი აქტივობა“ არის ის ფაქტორი, რაც ორგანიზმს საშუალებას აძლევს მინიმუმამდე დაიყვანოს სტრესის ფსიქოსომატური გამოვლინებები. რას ნიშნავს „ძიებითი აქტივობა“? ის სრულებითაც არ ნიშნავს აქტივობას, რომელიც საბოლოოდ მიზანს მიაღწევს. „ძიებითი“ ასეთ აქტივობას სწორედ იმიტომ ჰქვია, რომ წარმატება გარანტირებული არ არის. როტენბერგი ვარაუდობს, რომ რაც უფრო მრავალფეროვანია „ძიებითი ქცევა“, მით უფრო ნაკლებადაა სავარაუდო სტრესის და „ნასწავლი უმწეობის“, ანუ დეპრესიის განვითარება. რა უშლის

ხელს „ძიებით აქტივობას“? თუ ცოცხალი ორგანიზმი გამოუვალ მდგომარეობაში ხშირად ვარდება, ეს „ძიებითი აქტივობის“ მოტივაციას, ინტენსივობას და ხანგრძლივობას აფერხებს. ვითარდება «ნასწავლი უმწეობის» ფენომენი. მაგალითად, ადამიანს ყველაფერი აქვს, ბავშვობიდან არაფერი არ აკლდა, ფუფუნებაში გაიზარდა, ყველაფერს აღწევს მაშინ, როცა რაიმეს მიღწევა ადვილია, მაგრამ საკმარისია უმნიშვნელო პრობლემა შეექმნას, უკვე დისტრეს-სინდრომი ვითარდება, რადგან ასეთი ადამიანი პრობლემების გადალახვას არ არის მიჩვეული.

საინტერესოა განვიხილოთ ცხოველებში ძიებითი აქტივობის ამსახველი ე.წ. ვირთაგვების „სამოთხის“ ცდა, რომელიც ჩაატარა ამ მიმართულების კლასიკოსმა ვადიმ როტენბერგმა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც საბჭოთა კავშირი არსებობდა. ვირთაგვები ოპტიმალურ პირობებში მოათავსეს. მათ ჰყავდათ სექსუალური პარტნიორები, ჰქონდათ საკვები, წყალი... ერთი სიტყვით «სამოთხე» მოუწყვეს, მაგრამ გვერდზე იყო ე.წ. ვირთაგვების «ჯოჯოხეთი»: სიბნელით, დენის დარტყმით, კატის კნავილით, სიცივით, არასასიამოვნო სუნით და ა.შ. ამ ორ არეს ერთმანეთთან გასაძრომი ხვრელი აკავშირებდა. რა მოხდა? არ დარჩა ვირთაგვა, რომელიც „სამოთხედან» „ჯოჯოხეთში» არ გავიდა, ყველა კუნჭული არ გამოიკვლია და უკან არ დაბრუნდა. თანაც, ეს გამოიკვლევა სახიფათო იყო. ზოგიერთ ადგილას დენი ურტყამდა და ა.შ. საკმაოდ არასასიამოვნო გარემო შეიქმნა, მაგრამ ეს სივრცე ყველა ვირთაგვამ გამოიკვლია.

ასევე, ჩატარდა ცდა, სადაც ვირთაგვები მხოლოდ «სამოთხეში» იმყოფებოდნენ, „ჯოჯოხეთის“ გარეშე.

როდესაც ორივე ცდაში მონაწილე ვირთაგვების ჯანმრთელობა და სიკვდილიანობა ერთმანეთს შეადარეს, აღმოჩნდა, რომ «ჯოჯოხეთიანი სამოთხის» მქონე ვირთაგვების ჯანმრთელობის მაჩვენებელი უფრო კარგი იყო, ვიდრე იმათი, რომლებიც მარტო «სამოთხეში» ცხოვრობდნენ.

ერთ-ერთი ექსპერიმენტის დროს ადამიანს ეძლეოდა ამოცანა, რომლის გადაწყვეტა რისკის გარეშე ან რისკითაც შეიძლებოდა. კომპიუტერის ეკრანზე მოძრაობდა მატარებელი და იქვე იდგა ბარიერი, რომლის წინაც და შემდეგაც შესაძლებელი იყო მატარებლის გაჩერება. გაჩერება შეიძლებოდა ან ძალიან ადრე, ან ბოლო წამში, ანუ რისკის საფასურად. თავიდან მატარებლის გაჩერება ბარიერიდან მოშორებით მოხდა.




შემდეგ აღმოჩნდა, რომ ყველა ცდილობდა მატარებელი ბარიერთან ახლოს მიემზა და მერე გაეჩერებინა, მიუხედავად იმისა, რომ ამის არანაირი აუცილებლობა არ იყო. ქულები და ფულადი ჯილდო გამიზნული იყო მატარებლის, ბარიერიდან შორს, ნებისმიერ ადგილას გაჩერებაზე, მაგრამ რატომღაც ყველა რისკზე მიდიოდა. არანაკლებ საინტერესოა თამაშისადმი ადამიანის მიდრეკილება, შესაძლებელია ე.წ. «ლუდომანია» სწორედ ასეთი რისკის სურვილთან იყოს დაკავშირებული.

ადამიანში ძიებითი პროცესები უაღრესად რთულია. ადამიანი პროფესიით შეიძლება იყოს, ზეინკალი და ამავე დროს – მწერალი, მუსიკოსი... მას ძიება შეუძლია სხვადასხვა დარგში აწარმოოს. თუ ადამიანი ერთი მიმართულებით არის წარუმატებელი, მეორე მიმართულებით შეიძლება იყოს წარმატებული. მაგრამ ვიწრო (უფრო ფინანსური) გაგებით ე.წ. «წარმატებული» პიროვნება ამა თუ იმ საზოგადოებაში ძიებით აქტივობას ხშირად ერთი მიმართულებით ავითარებს. სამწუხაროდ, ერთწახნაგოვანი ადამიანები თანამედროვე სოციუმებში პირველ პლანზე გადმოდიან. ქრისტესა და სოკრატეს ძიება ინდივიდუუმებისთვის სულ უფრო ნაკლებად საინტერესო ხდება. ეს ძალიან კარგად ჩანს პოსტსაბჭოთა სივრცეში, სადაც ნიჭიერი და ზნეობრივი ადამიანებისთვის წამყვანი სახელისუფლებო და სოციალური სტატუსის მოპოვება შეუძლებელია.

ცხოველისთვის მთავარი წარმატებაა საკვები, სექსუალური პარტნიორის ყოლა, სიცოცხლის შესაძლებლობა, ხოლო ადამიანს შეუძლია ძიება წარმართის მრავალფეროვნად, სულიერი, რელიგიური და ა.შ მიმართულებებით. მაგალითად, სოკრატესთვის სულაც არ იყო მთავარი მატერიალური მიღწევები, მაგრამ დღეს ყველას გვახსოვს სოკრატე. მაგრამ, თუ ვინ იყო მაშინ ათენში ხელისუფალი, ან ყველაზე მდიდარი ადამიანი, მხოლოდ ისტორიკოსებმა თუ იციან. თუმცა, ძალიან ბევრ ადამიანს ცხოველებისთვის დამახასიათებელი წარმატება ყველაზე ღირებულ წარმატებად მიაჩნია.

და მაინც, რა სტრუქტურები და მექანიზმები განაგებენ „ძიებით აქტივობას“, ქერქვეშა კვანძები, თალამუსი, თუ რაიმე სხვა სტრუქტურა, ჯერ დადგენილი არ არის. ერთადერთი, ტვინის ფუნქციური ასიმეტრიულობა დადგინდა, რაც ძალიან დიდ როლს ასრულებს „ძიებით აქტივობაში“. ტვინი შედგება ორი ჰემისფეროსაგან. მარცხენა ჰემისფერო არის კალკულატორი, გამომთვლელი, სადაც ყველაფერი მარტივია და გასაგები. ორჯერ ორი ყოველთვის არის ოთხი და პარალელური ხაზები არასოდეს არ გადაიკვეთება. რაც შეეხება მარჯვენა ჰემისფეროს, ის სამყაროს სხვადასხვა ნიუანსებში



და მრავალფეროვნებაში აღიქვამს. მარჯვენა ჰემისფეროსთვის სამყაროს აღქმა არალოგიკურია, უფრო ინტუიტიური, აფიქსირებს ისეთ რამეს, რაც მარცხენა ჰემისფეროსთვის შეუძლებელია, იმიტომ, რომ ის არ ჯდება მარტივ ლოგიკურ სქემაში. მარჯვენა ჰემისფერო სწორედ ამ ძიებით მოღვაწეობაში ასრულებს ძალიან დიდ როლს. წარმოიდგინეთ ასეთი რამ: ადამიანი ამა თუ იმ დარგში ძიებით მოღვაწეობას ეწევა და წარმატებას ვერ აღწევს. ლოგიკური გადაწყვეტა იქნებოდა ამ ძიებაზე უარის თქმა, მაგრამ მოდით ავიღოთ მარჯვენა ჰემისფერო, რომელიც ჯიუტად მაინც მოქმედებს მარცხენა ჰემისფეროსთან ერთად და ადამიანს აიძულებს, რომ თავისი პროფესიული ტვირთი იტვირთოს. მეცნიერთა უმეტესობა სწორედ ასეთი გზის გავლის შემდეგ გახდა გამოჩენილი.



ვარაუდობენ, რომ ძიებით პროცესში დიდი ადგილი უჭირავს ძილს. ძილის დროს თავის ტვინში ალოგიკური ინფორმაციის გადამუშავება მიმდინარეობს, რაც მარჯვენა

ჰემისფეროში არსებული ალოგიკური ინფორმაციის მარცხენა ლოგიკურ ჰემისფეროსთან შერიგებასა და ადაპტირებაში გამოიხატება. თანაც ეს ხდება ქვეცნობიერულ დონეზე და როცა ეს პროცესი დაარღვიეს, აღმოჩნდა, რომ ძილის სხვადასხვა ფაზას „ძიებით აქტივობაზე“ თავისი ზეგავლენა აქვს.

ადამიანთა ცივილიზაცია სწორედ ძიების ნაყოფია. ადამიანს ძიება რომ არ განეხორციელებინა, დღეს ის ძალიან კარგად იქნებოდა ხეზე მოკალათებული.

„ძიებითი აქტივობა“ ამჟამად აღიარებულია როგორც ადამიანის, და საერთოდ ცოცხალი არსების განუყოფელი თვისება. აღმოჩნდა, რომ „ძიებითი აქტივობა“ ძალიან დიდ ზეგავლენას ახდენს არა მარტო ადამიანის სულიერ ჯანმრთელობაზე, არამედ ფსიქოსომატური დაავადებების აღმოცენებაზე. ძირითადი კვლევები ამ მიმართულებით ჯერ კიდევ წინაა, მაგრამ „ძიებითი აქტივობა“ დღეს ადამიანის ცხოვრების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს.

15 ივნისი, 2007 წელი.

დენის მორბინი

სიღრმისეული სიკეთის გახსნა – ადამიანად ყოფნის ხელოვნება

წარმოშობით კანადიდან ვარ, 15 წელია ევროპაში ვცხოვრობ. ჯერ შვედეთში, შემდეგ საფრანგეთში ვცხოვრობდი. ახლა კი ჩეხეთიდან მოვდივარ. ამჟამად ვთანამშრომლობ საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან მსოფლიო ბანკის ერთ-ერთ პროგრამაზე.

რადგანაც საქართველოში ვარ, გადავწყვიტე, დაინტერესებული საზოგადოებისთვის შამბალას სწავლების შესახებ ერთი ლექცია წამეკითხა.

ჩარლზ დიკენსის ერთი წიგნი ასეთი ფრაზით იწყება: «ეს იყო ყველაზე ცუდი და, იმავდროულად, ყველაზე კარგი დრო. იმედისა და სასოწარკვეთილების დრო». ამ სტრიქონებს მოჰყვება დახასიათება დროისა, რომელშიც ის ცხოვრობდა.

ჩვენ, ათასწლეულების მიჯნაზე, საინტერესო ცვლილებების ეპოქაში ვცხოვრობთ. ეს არასტაბილური მდგომარეობა არც ისე ცუდია, რადგან შამბალას პერსპექტივიდან ეს მდგომარეობა პიროვნებას «მეომრად» აყალიბებს. ამ სწავლებაში დიდი ყურადღება ექცევა არასტაბილურ სიტუაციებს, ცვლილებების პერიოდს რამდენიმე მიმართულებით. რა შეგვიძლია გავაკეთოთ ასეთ დროს, როცა ერთის მხრივ, იმედია, მეორეს მხრივ კი სასოწარკვეთა. როგორ შევინარჩუნოთ ბალანსი ამ ვითარებაში? როგორ მოვახდინოთ ჩვენი სხეულისა და გონების სინქრონიზაცია ჰარმონიის მისაღწევად? როგორ გადავურჩეთ ზომბირებასა და რობოტებად ქცევას? დღეს ბევრი ადამიანი მექანიკურად მოქმედებს. მაგრამ არსებობს ამის ალტერნატივა, ერთგვარი სამკურანლო საშუალება. შამბალას პერსპექტივიდან განკურნების ორი საშუალება არსებობს: იმის გაგება და დაფასება, რომ ჩვენში სიღრმისეული ტალანტია ჩადებული, რომელიც უნდა გაიხსნას. ჩვენ სამწუხაროდ, სათანადოდ არ ვიცნობთ ჩვენს თავს და ფიზიკურ თუ გონებრივ შესაძლებლობებს. როგორც ამბობენ, ჩვენმა მარჯვენამ არ იცის, რას აკეთებს მარცხენა. გამოკეტილები ვართ პატარა ნაჭუჭში, რაც მხოლოდ ერთი შეხედვით ჩანს

კომფორტული, მაგრამ ვგრძნობთ, რომ ეს ჩაკეტილობა, მდგომარეობა, რომელშიც დღეს ვიმყოფებით, ჩვენს ადამიანურ ღირსებას ეწინააღმდეგება და ვერც გარეგანი ფაქტორებისგან გვიცავს. ჩვენ უნდა ვისწავლოთ ჩვენს პიროვნულ განვითარებაზე ზრუნვა.

დაახლოებით 25 წლის წინ ტიბეტელი ჩოგიამ თრუნგპა დასავლეთ ევროპაში ჩავიდა. ამერიკელ სტუდენტებთან რამდენიმე წლიანი ცხოვრების შემდეგ იგი მიხვდა, რომ დასავლეთ ევროპელებისთვის ძველი სულიერი ცოდნის გადასაცემად ახალი, ექსტრაორდინალური მეთოდები იყო საჭირო. იგი სხვადასხვა რელიგიური მიმართულებებისა და სწავლებების კარგი მცოდნე იყო. თრუნგპამ კოლორადოში დააარსა ნაროპას ინსტიტუტი (მოგვიანებით, უნივერსიტეტი), სადაც შემოიღო შამბალას სწავლების მეთოდიკა. აღსანიშნავია, რომ ამ უნივერსიტეტში ასწავლიდნენ ალან გინსბერგი და უილიამ ბუროფი. თრუნგპას ეკუთვნის წიგნი – «მებრძოლის საკრალური ბილიკი», რომელშიც ერთობლივად არის გადმოცემული შამბალას მსოფლმხედველობის ძირითადი თეზისები.

თრუნგპას მიზანი იყო, ადამიანებისთვის ესწავლებინა, თუ როგორ უნდა გაემდღოთ ამ არასტაბილურობისთვის ჰუმანურობის შენარჩუნებით, ადამიანად ყოფნის ხელოვნებით. ეს გზა არ არის ადვილი მეთოდი შინაგანი სიმშვიდის მისაღწევად, ეს დიდი სულიერი და ფიზიკური შრომაა.

ერთ-ერთი მეთოდი, რომელიც მან გამოიყენა, არის მჯდომარე მედიტაცია მარტივი ტექნიკით. თუ დავაკვირდებით, ერთ ადგილზე გაჩერება უფრო რთულია, ვიდრე რამდენიმე ადგილას სირბილი – ჩვენ ზომბებივით დავქრევართ წინ და უკან და ნაკლებ დროს ვუთმობთ საკუთარ პიროვნებას, იმას, რაც ჩვენში იმალება. ეს მეთოდი გვასწავლის, თუ როგორ უნდა ჩავუღრმავდეთ ჩვენს თავს, როგორ ავირიდოთ ქაოსი. ტიბეტური მედიტაციის ამ პრაქტიკას ეწოდება „შენგან“ – შინაგანი გონებრივი და სულიერი სიმშვიდის განვითარება. ეს სწავლება წარმოადგენს რუკას ერთგვარი სახე ცხოვრებისთვის.

ჩვენ გვაქვს შინაგანი სულიერი სიმდიდრის პოტენციალი, პროგრამის მიხედვით ამას ჰქვია სიღრმისეული სიკეთის, შინაგანი ძალის და სულიერი სიმდიდრის ხელახლა აღმოჩენა.

ეს სწავლება რამდენიმე საფეხურისგან შედგება. პირველი საფეხური მოიცავს ამ შესაძლებლობებში ჩაღრმავებას – ადამიანად ყოფნის ხელოვნებას; მეორე საფეხურზე განვიხილავთ ადამიანების, როგორც ზომბების მდგომარეობას; ჩვენ გავიაზრებთ, თუ როგორ ვართ „მიჩვეულნი« ერთი და იგივე მოქმედებების გაუაზრებლად, მექანიკურად კეთებას, რაც ხელს გვიშლის გავაკეთოთ არჩევანი გააზრებული, თავისუფალი ქმედების სასარგებლოდ. ჩვენ გვაქვს არჩევანი მექანიკურ მოქმედებასა და სიხარულით სახე ცხოვრებას, დეპრესიასა და შემოქმედებით მიდგომას შორის. ჩვენი ცხოვრების ყოველ წამს გვეძლევა ამ არჩევანის საშუალება. ამავე დროს, ჩვენი არჩევანის თავისუფლება შეზღუდულია როგორც გარეგანი ფაქტორებით, ისე ჩვენივე სიზარმაცით, რაც ხელს გვიშლის განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე ასვლაში. ჩვენს ქვეცნობიერებაში არსებული „კრიტიკული ხმა« გვიკრძალავს ახლებურად მოქმედებას. ეს ყველას გამოგვიცდია. შამბალას პერსპექტივიდან, ჩვენ პოზიტიურ არჩევანს ვაკეთებთ. ვამზადებთ წიგნს, რომლის სათაური იქნება – «შინაგანი თამაში მუშაობისას». ამ წიგნის

მოდელად ავიღეთ ტიმ გალვეის ბესტსელერი „ჩოგბურთის შინაგანი თამაში“. მაგალითისთვის აღებულია ჩოგბურთის დროს კუთხიდან დარტყმა. თუ კუთხე არასწორად ავიღეთ, მაშინ ბურთი მოედანს გასცდება. ბევრი ამ დროს თავის თავს ეტყვის: „რა სულელი ვარ, ჩოგბურთს აღარ ვითამაშებ“, ამასვე გვეუბნება ჩვენი კრიტიკული ხმა პირველივე დაბრკოლებისას. არჩევანის თავისუფლება საშუალებას გვაძლევს, დავძლიოთ ეს თვითკრიტიკა და ჩვენს თავს ვუთხრათ: „ითამაშე უფრო ძლიერად, შენ ეს შეგიძლია“. ჩვენ უნდა ამოვიღოთ ცნობიერებიდან ეს მიმართვა როგორც საკუთარი თავის, ისე სხვისადმი. ტრენინგის დროს ვსწავლობთ ცვლილებების მენეჯმენტს, უპირველეს ყოვლისა კი საკუთარი პიროვნული ცვლილებების მართვას. რიგითი ცვლილებისთვის პირველ რიგში საჭიროა იმის გაცნობიერება, თუ რა უნდა შევცვალოთ და შემდეგ პრაქტიკული, სისტემური მიდგომა გამოვიყენოთ. შამბალას მეთოდი კი ითვალისწინებს პიროვნულ შემეცნებას. საჭირო მდგომარეობის გასახსენებლად სიტყვიერ სლოგანებს ვიყენებთ. მაგალითად, სიტუაცია და საკუთარი მდგომარეობა კრიტიკული ანალიზის მეშვეობით შინაგანი მარწუხებისგან როგორ უნდა გავანთავისუფლოთ. ჩვენ შაბათ-კვირას ვაწყობთ ტრენინგებს. პირველი ასეთი ტრენინგი თბილისში ნოემბერში ჩატარდება. სემინარებზე არჩევანის თავისუფლების მნიშვნელობის გაცნობიერებას ვსწავლობთ.

გაგიჩნდებათ კითხვა: რას გვასწავლის შამბალა ისეთს, რაც ქრისტიანობაში არ არის? მოდით, ამ საკითხს სხვაგვარად შევხედოთ. შამბალა სხვებზე ზრუნვასაც გვასწავლის, მაგრამ ამ შემთხვევაში, ეს საკუთარ თავზე ნაკლებ ფიქსაციას გულისხმობს. შამბალას ტრენინგის ლიდერმა, საკიონგ მიჰამ შექმნა მუსიკალური დისკი; ჯაზისა და რეპის მიქსის სტილში შესრულებული პირველი სიმღერა – „ჰჰჰატ აბოუტ მე“ – პირველი სტრიქონი მოგვითხრობს ადამიანზე, რომელიც დილიდან გეგმავს თავის დღეს. შემდეგ ვიგებთ, რომ თუ ჩვენ ვცვლით მიდგომას სამყაროსადმი, სამყაროც იცვლება ჩვენთვის უკეთესობისკენ. ჩვენში იღვიძებს გარკვეული სიღრმისეული გრძნობა, რომლის საშუალებითაც უფრო ბევრ რამეს ვიგებთ ჩვენს შესახებ, როდესაც ვსწავლობთ მიდგომას, თუ როგორ გავუძლოთ სტრესს. ამ ტრენინგის უნიკალურობა მედიტაციის, კონცენტრაციისა და წარმოსახვის სინთეზში მდგომარეობს. ტრენინგი 5 დონისგან შედგება. ჩვენს ტრენინგებში უფრო მეტი კონცენტრაცია მედიტაციაზეა, ხოლო ქრისტიანობაში – კონცენტრაციაზე. მართალია, ვიცით, რომ ქრისტიანობაში არსებობდა მედიტაციის ტრადიცია, მაგრამ მაინც მინდა ვთქვა, რომ ჩვენი უნიკალურობა არა მის პირველადობაში, არამედ ტრენინგის მიდგომაში მდგომარეობს. შაბათ-კვირას მედიტაციის საშუალებით ერთგვარ ორდღიან „კონტინერს“ ვქმნით, რომელშიც შეიძლება მოხდეს გარკვეული შინაგანი ძალების ტრანსფორმაცია. პირველი დონე იწყება კარგი ამბებით, როგორც არის ჩვენში სიღმრისეული სიკეთის არსებობა; მეორეზე ხდება პრობლემების – თანამედროვე სამყაროში ზომბად ქცევის საშიშროება; მესამე დონე გვასწავლის, როგორ გამოვფხიზლდეთ და შევუერთდეთ სამყაროს; მეოთხე დონე გვასწავლის გულის გახსნას; მეხუთეს კი – „გახსნილი ზეცა“ ეწოდება. ბოლო საფეხურზე ვაცნობიერებთ იმას, რომ ჩვენ სიცოცხლისთვის ამოუწურავი შესაძლებლობები გაგვაჩნია.

თქვენ მკითხავთ: რამდენად მიზანშეწონილია, რომ ადამიანს რეპის საშუალებით გააცნო ძველი სწავლება. თქვენთვის ცნობილია ტანტრას მეთოდოლოგია, რომელიც უამრავ

მეთოდუკას შეიცავს. შამბალას სწავლებაში კომუნიკაციის უამრავი ფორმაა – არ არის შეზღუდული გამოხატვის საშუალებებში. და თუ თანამედროვე ადამიანს უფრო კარგად ესმის რეპის ენა, რატომაც არ უნდა ვუთხრათ სათქმელი ამ ენით? ეს არ არის მაკდონალდსის მსგავსი პროდუქტი, ტიბეტური მოძღვრებები დღესაც იგივე მეთოდებით გადმოიცემა, მაგრამ სიახლესაც იღებს, არ არის დოგმატური.

როდესაც ადამიანს აქვს მიწიერი პრობლემები, ცხოვრობს არასტაბილურ ქვეყანაში, არ აქვს ოჯახი, როგორ უნდა მოიქცეს? რა ტექნიკა დაგვეხმარება იმაში, რომ ადამიანს ამ ორი დღის განმავლობაში შეძენილი ცოდნა სტრესულ სიტუაციებშიც დაეხმაროს?

შამბალას ტრენინგი ერთგვარი „სამზარეულო ტრენინგია“. ეს სხვა ადამიანთან სწორი კომუნიკაციის დამყარებაში გვეხმარება. შამბალა სხვადასხვა დონეზე სხვადასხვა თაობისთვის ისწავლება. ერთის მხრივ, ეს არის მითოლოგიური სახელმწიფო, რომელშიც ადამიანებმა აზროვნების თავისუფლება აირჩიეს, მაგრამ ტექსტების მიხედვით, ეს სახელმწიფო არსებობდა პაკისტანის საზღვარზე. მთავარი იდეა ამ სახელმწიფოს არსებობისა არის ის, რომ იგი წარმოგვიდგენს ბილიკს შინაგანი გაღვივებისთვის. ეს ქვეყანა შეიძლება ფიზიკურად არ იყოს თვალსაჩინო, მაგრამ მისი პროექცია ამჟამად კანადაშია. მედიტატორებმა ბოსტონში ჩაატარეს დიდი გამოკვლევა, შეამოწმეს მათი ფიზიკური მდგომარეობა და, როგორც გაირკვა, მედიტაცია არა მხოლოდ ფსიქოლოგიურად, არამედ ფიზიოლოგიურადაც მოქმედებს.

დარბაზში იკითხეს, თუ რამდენად ვიცნობ გურჯიევის სწავლებებს. ჩემთვის კარგად არის ცნობილი მისი თეორიები – მასთან ვსწავლობდი. თქვენ იცით, რომ ტიბეტი აღიარებს რეინკარნაციას, რომელიც, ბუნებრივია, ჩვენი აღქმის უნარის მიხედვით ვლინდება. როგორც ლეგენდა ამბობს, 1976 წელს აღმოაჩინეს გურჯიევის რეინკარნაცია. ეს მშვენიერი ახალგაზრდა ქალია, სახელად სოფია და ტიბეტში მოღვაწეობს. შამბალას სწავლებაში დიდი ყურადღება ეთმობა გენდერულ პრობლემებს. ყველა რელიგიაში ძირითადად მამაკაცები არიან ლიდერები, შამბალას სისტემაში მასწავლებლები ძირითადად ქალები არიან. 35 მასწავლებლიდან 20 კაცია და 15 ქალი. ჩვენი მიმდინარეობა გამორიცხავს ნებისმიერ ექსტრემიზმს.

დარბაზში იკითხეს, თუ რატომ მიეძალა თრუნგპა ცხოვრების ბოლო პერიოდში ბოჰემურ ცხოვრებას. მე მასთან დიდი დრო გავატარე და ვიცი, თუ როგორ ცხოვრობდა იგი. აღსანიშნავია, რომ თვით ყველაზე ნასვამ მდგომარეობაშიც კი მისი ცნობიერება ფხიზელი იყო. ბოჰემური ცხოვრება სტუდენტებთან მათთვის გასაგებ დონეზე კომუნიკაციის დამყარების საშუალება იყო. ის ყოველთვის თავმდაბალი იყო სტუდენტებთან, რომლებსაც ძალიან უყვარდათ. მთავარი ყოველთვის სწორი აზროვნების შენარჩუნებაა.

თქვენ დაგაინტერესებთ, თუ რაში მდგომარეობს შინაგანი პოტენციალის გახსნა. ეს სამყაროს აღქმასთანაა დაკავშირებული, რასაც საკრალური აღქმა ეწოდება. ეს გულისხმობს საკუთარი შეგრძნებების ფიქრებისგან განწმენდას და სუფთად ჩართვას. ზემოხსენებული 5 ეტაპის გავლის შემდეგ იწყება ტრენინგის მეორე დონე – საკრალური გზა. ამ გზაზე ვსწავლობთ, თუ როგორ ახდენს ემოცია ენერჯის დადებით ტრანსფორმაციას.

ეს მედიტაცია ეტაპობრივად, ბავშვის ნაბიჯებით ისწავლება. პირველი საფეხურია პრაქტიკული მედიტაცია, ადამიანი სწავლობს ერთ ადგილზე ბალანსის შენარჩუნებას.

მთავარი ის კი არ არის, რომ დონეები სწრაფად გავიაროთ, არამედ ის, რომ დონეებს შორის გარდამავალ ეტაპებზე საკუთარ თავზე ვიმუშაოთ. აქ ინდივიდის თვითდისციპლინა და უნარებიც მნიშვნელოვანია. სხვათა შორის, ჩვენს სწავლებაში ასაკი შეზღუდული არ არის.

15 ივნისი, 2007 წელი.

პოლ მანინგი

«მაგნას» ეპოქა: ბრენდის ტოტემიზმი და წარმოსახვითი გადასვლა სოციალიზმიდან პოსტ-სოციალიზმზე საქართველოში

მას შემდეგ, რაც საქართველოში დავიწყე მუშაობა, კერძოდ, 1992 წლიდან, ბევრი რამ შეიცვალა. პოსტსოციალიზმის მთელ ისტორიას ჯერ კიდევ „გადასვლა“ ეწოდება, რაც გულისხმობს, რომ ეს ცვლილებების ეპოქაა. ამ ტერმინს, სავარაუდოდ, იმისთვის ვიყენებთ, რომ ხაზი გავუსვათ კონტრასტს „სტაგნაციის“ პერიოდთან, რომელიც წინ უძღოდა „გადასვლას“. ცხადია, ამ ტერმინში გარკვეული მიმართულება იგულისხმება – სვლა გარკვეული მიზნისკენ, ვთქვათ, კაპიტალიზმისკენ, დემოკრატიისკენ, ლიბერალიზმისკენ ან ქაოსისკენ, ანარქიისკენ. შესაძლოა, ეს, უბრალოდ, ერთისა და იმავეს გამომხატველი სხვადასხვა სახელებაა. ფაქტია, რომ გადასვლა სოციალიზმიდან კაპიტალიზმში არათანაბარია. მაგალითად, დღევანდელი ხელისუფლება, როგორც ჩანს, ყველა ხერხით ცდილობს სოციალისტური წარსულის უკანასკნელი ხილული ნიშნების ამოშლას. ამის უამრავი მაგალითის მოყვანა შემიძლება, მაგრამ, ვფიქრობ, ერთიც საკმარისი იქნება – თბილისის მეტრო.

ყოველთვის მიყვარდა მეტრო – თბილისისა და მოსკოვისაც, ერთი სიტყვით, – ყველა სოციალისტური მეტრო. მეტრო, განსაკუთრებით მოსკოვში, სოციალიზმის ერთ-ერთი უკანასკნელი მიღწევაა, რომელიც ჯერ კიდევ ხილულია. სოციალისტური მეტრო, ჩემი გამოცდილებით, დღესაც მის დასავლელ კონკურენტებზე უკეთესია. შეიძლება გაგეცინოთ, მაგრამ ეს სიმართლეა. დამატებით, მეტროს კიდევ ერთი სტატუსი ჰქონდა – ის ასახიერებდა კულტურულ-საზოგადოებრივ ცხოვრებას სოციალიზმში, ე.წ. „კულტურნოსტს“. შეიძლება ითქვას, რომ მეტრო იყო ერთგვარი ტამარი სოციალისტური კულტურისა („კულტურნოსტისა“). იგი დიდი ხნით გადაურჩა დასავლელ რეფორმისტებს (ამის მიზეზი შეიძლება ისიც იყოს, რომ მიწის ქვეშაა). პოსტსოციალიზმის დროსაც მეტრო აგრძელებდა ილუსტრირებას იმისა, რაც საუკეთესო იყო სოციალისტური საზოგადოების საქციელში – ე.წ. „კულტურნოსტს“, რადგან, რამდენადაც ჩემთვისაა ცნობილი, ადამიანები მეტროში ჯერ კიდევ არ იფურთხებიან, არ ეწევიან და არ ვნებენ თავიანთ სხეულს ათასგვარი საზიზღრობით. ნებისმიერი უცხოელისთვის, რომლისთვისაც ნაცნობია დასავლურ საზოგადოებრივ ტრანსპორტთან ასოცირებული სუნები, საბჭოთა მეტროში არსებული სიტუაცია საკვირველი და უპრეცედენტოა.

მაგრამ „გადასვლა“ არის „პერმანენტული რევოლუცია“ და, ამიტომ, დიდი ცვლილებები მოხდა თბილისის მეტროშიც. როგორც ჩანს, ახალ ხელისუფლებას გადაუწყვეტია, სოციალისტური კულტურის ეს უკანასკნელი ნაწილიც გახადოს აბსოლუტურად დასავლური. მე ვიტყვოდი, რომ ყველაზე მარტივი გზა ამის მისაღწევად იქნებოდა მეტროში გადაფურთხების, მოწვევისა და ა.შ. წახალისება. მაგრამ ხელისუფლების გადაწყვეტილება სხვანაირი აღმოჩნდა: საქართველოში სოციალისტური მეტრო იმ ადგილად იქცა, სადაც დასავლური ტიპის რეკლამა ყველაზე აგრესიულია და ყველაზე უხვად მოწოდებული. ყველგან, სადაც არ გაიხედავთ, სოციალისტური ფრესკები, რომლებიც გამოხატავენ მწარმოებლურობას, უზარმაზარი სარეკლამო დაფებით შეიცვალა. ეს დაფები კი დასავლურ მომხმარებლურ კულტურას განასახიერებენ. ყოველი 5 მეტრის დაშორებით რეკლამიანი ბრტყელი ეკრანი შეგიძლიათ ნახოთ.

როგორც ჩანს, სოციალიზმის სულის მეტროდან განდევნის საუკეთესო, ყველაზე ეფექტიანი გზა ბრენდებისა და რეკლამის გამოყენებაზე გადის. ეს ნიშნავს, რომ ბრენდი და რეკლამა ჯერ კიდევ ატარებენ „დასავლურობის“ თვისებას. ისინი ჯერ კიდევ გულისხმობენ თავის თავში დასავლურობას. დღეისთვის ქართველები მიეჩვივნენ, რომ საქონელს აქვს ბრენდი; მიეჩვივნენ რეკლამას. მაგრამ დაახლოებით 10 წლის წინ, განსაკუთრებით კი სოციალიზმის დროს, ბრენდის სახელი დასავლური მოვლენა იყო. მართალია, გაჩნდნენ ადგილობრივი ბრენდებიც, მაგრამ, ვფიქრობ, ასოციაცია ბრენდსა და დასავლეთს შორის ჯერ კიდევ არსებობს. მე ასე მესმის ის, რაც მეტროში მოხდა: ბრენდი და რეკლამა, ამ შემთხვევაში, სოციალიზმის უკანასკნელ ბასტიონზე, მეტროზე გადამწყვეტ თავდასხმაში ვესტერნიზაციის დროშად და ბრძოლის სტანდარტად გვევლინება.

ნელ-ნელა მივუახლოვდით ჩემთვის მნიშვნელოვანს ამ საუბარში: როგორ ასოცირდებიან ბრენდი და რეკლამა სოციალურ ტრანსფორმაციებსა და პოლიტიკურ პროექტებთან; როგორ ასოცირდებიან ისინი სივრცეებთან „წარმოსახვით გეოგრაფიაში“, ვგულისხმობ „დასავლეთს“. ამ შემთხვევაში ბრენდს არავითარი კავშირი არ აქვს საქონლის გაყიდვასთან, მაგრამ ის უკავშირდება წარმოდგენების ცვლილებას საზოგადოებაში. ერთი მაგალითი: მსოფლიოში «კოკა-კოლას» ბრენდი არ არის მხოლოდ კონკრეტული კომპანიისა და მისი პროდუქტის სიმბოლო. როცა ადამიანები საუბრობენ «კოკა-კოლაზე», იგულისხმება არა მხოლოდ უალკოჰოლო სასმელი, არამედ ვესტერნიზაცია, იმპერიალიზმი, კაპიტალიზმი, ამერიკანიზაცია და ა.შ. იმავეს თქმა შეიძლება, მაგალითად, „მაკდონალდსზე“. ადამიანები ხშირად ხმარობენ სიტყვას „მაკდონალდიზაცია“. ამ დროს იგულისხმება დასავლური იმპერიალიზმი, კაპიტალიზმი, ადგილობრივი ტრადიციის დაკარგვა და ა.შ. ანთროპოლოგი დანიელ მილერი ბრენდის სახელის სიმბოლოდ გამოყენებას უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, ვიდრე მხოლოდ მისი პროდუქციასთან ასოცირებულობა გახლავთ. ზოგიერთ ბრენდს ის „მეტასიმბოლოს“ უწოდებს. ბრენდის სახელი გარკვეული პროდუქტის ან მწარმოებლის სიმბოლოა, ზოგი ბრენდი კი გაცილებით უფრო დიდი სოციალური ერთობის, დროისა ან ადგილის სიმბოლო ხდება. «კოკა-კოლა», მართალია, უალკოჰოლო სასმელების კომპანიის სიმბოლოა, მაგრამ, იმავდროულად, დასავლეთის მეტასიმბოლოცაა. სხვა პროდუქტებს შეუძლიათ იტვირთონ მსგავსი როლი: რუსეთში,

მაგალითად, საუბრობენ „სნიკერსიზაციაზე“, რაც „ვესტერნიზაციის“ ეკვივალენტია, რადგან ეს შოკოლადი ყველაზე ნათელი სიმბოლო იყო დასავლეთის შემოსვლისა. გადასვლის დასაწყისში, საქართველოსთვის გადასვლის მეტასიმბოლოდ, ვფიქრობ, სიგარეტი „მაგნა“ იქცა.

სიგარეტ „მაგნას“ გახსენებისას, ისევე, როგორც კაპიტალისტური «მემჩანობის» გამო, მეტროს სახეცვლილებაზე ფიქრისას, ერთგვარ ნოსტალგიას ვგრძნობ 1992 წელზე, „გადასვლის“ პირველ წლებზე. «გადასვლა», რა თქმა უნდა, ღირებულებათა კრიზისთან იყო დაკავშირებული, რადგან ყველაფერი, რაც სოციალისტურ სამყაროში მყარად იდგა, მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ, ჰაერში დადნა. გადასვლის პერიოდი ასევე „თარგმნის“ პერიოდიც იყო, რადგან დასავლური საქონელი, რომელსაც ჰქონდა განსაკუთრებული, – იშვიათობის, პრესტიჟულობისა და სიძვირის სტატუსი, ყოველდღიური და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი გახდა. შესაძლებელი გახდა აგრეთვე დასავლური საქონლის ყიდვა რუბლებით და არა დასავლური ვალუტით, რაც ფასებისა და პროდუქტების შედარებისკენ უბიძგებდა. დასავლური საქონელი უხვად იყო წარმოდგენილი, ის ფიზიკურად არსებობდა დახლებზე, მაგრამ ჰიპერინფლაციის და ეკონომიკური კოლაფსების გამო, მას მკვდარი ფულით, – რუბლით და შემდეგ კუპონით ვერ შეიძენდით. მიუხედავად ამისა, უეცარმა აფეთქებამ, სოციალისტური საქონლის გვერდიგვერდ დასავლური საქონლის დიდი რაოდენობით დახვავებამ წარმოქმნა სიტუაცია, როცა შეიძლებოდა საქონლის ორი ფორმა, სოციალისტური და კაპიტალისტური, შედარებული ყოფილიყო. რაც, ვთქვათ, თუ კვებისთვის არ იყო განკუთვნილი, ანუ აქტუალური მოხმარებისთვის ხელმისაწვდომი, ჩვენს გონებას, თვითონ „გადასვლის“ შესახებ ფიქრისათვის აძლევდა საკვებს. თბილისის ქუჩებში, დახლებზე გვერდიგვერდ არსებული პროდუქტების, – ორი მსოფლიოს „თარგმნის“ მცდელობიდან გაჩნდა ახალ ღირებულებათა გაგება.

«გადასვლის» კულტურა, იმავდროულად, «თარგმნის» კულტურაც იყო. ამ დროს, ორი კულტურის საქონელი ხან კატეგორიულად უპირისპირდებოდა ერთმანეთს, ხან კი გაუბედავად უტოლდებოდა. თვითონ შეფასების სისტემაში არსებული ცვლილებების გამო, ზოგჯერ საქონელი ფასდებოდა და იყიდებოდა როგორც ორი, ერთმანეთისგან დამოუკიდებელი გადაცვლის საგანი. იმის თქმა მინდა, რომ არსებობდა ვალუტის საქონელი, რუბლის საქონელი და კუპონის საქონელიც კი. ეს ადამიანებს იქითკენ უბიძგებდა, სხვადასხვა საქონლისთვის შეეხედათ, როგორც ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ნივთებისათვის, რომელთა შედარება არ შეიძლება. თუმცა, იმავდროულად, დასავლური საქონელი, რომელიც «კიოსკებში» რუბლებზე იყიდებოდა, ქმნიდა აზრს, რომ სოციალისტური და დასავლური საქონლის შედარება შეიძლებოდა არა მხოლოდ ფასების მიხედვით, არამედ ხარისხითაც და სხვა ნიშნებითაც. ეს ორმაგი მიდგომა გამოხატავს ზოგად დასავლურ აზრს სოციალიზმზე, როგორც ერთგვარ ანტიმოდერნულ მოვლენაზე: დასავლურ წარმოდგენებში, საბჭოთა ეკონომიკას ხანდახან მიეწერება არსებობა, ხანდახან კი – დასავლურ ეკონომიკებში ძირითადი კატეგორიების მთარგმნელობითი ეკვივალენტების ნაკლებობა (აქ იგულისხმება: სამომხმარებლო ნივთები, ფული, სამარკო ნიშნები და ბრენდის სახელებიც კი). არსებითად, ერთი მხრივ, საბჭოთა ეკონომიკა ხასიათდებოდა ერთი ძირითადი ნაკლით: მას აკლდა პოლიტიკური ეკონომიკის ყველა კატეგორიის მთარგმნელობითი

ეკვივალენტები; ხოლო თუ სხვა მხრიდან შევხედავთ, საბჭოთა ეკონომიკაში იგივე კატეგორიები, ანუ ეკვივალენტები მოიპოვებოდა, მაგრამ კაპიტალისტურ ქვეყნებთან შედარებით, ისინი ამ კატეგორიების დეფექტურ, პათოლოგიურ ვერსიებად ითვლება.

ერთ-ერთი ასეთი მაგალითია სოციალისტური საქონელი. საბჭოთა საქონელი მისტიური რამ არის. შეიძლება უფრო მისტიურიც, ვიდრე კაპიტალისტური საქონელი. სოციალიზმთან დაკავშირებული ზოგი დასავლური მითის მიხედვით, საბჭოთა საქონელი ანტი-საქონელია, რომელსაც ღირებულება არც მოხმარებაში, არც გაცვლა-გამოცვლაში აქვს; იგი უხარისხოა, თუმცა გამძლე; ის ზოგადია, ანონიმური, უბრენდო; იგი მიმართულია ადამიანის საჭიროების და არა მისი სურვილების დასაკმაყოფილებლად. მოდით, მაგალითად, ავიღოთ ბრენდის თვისება. ბრენდი საკვანძო განმასხვავებელი ნიშანი იყო დასავლურ კულტურასა და სოციალიზმს შორის. მეორე მხრივ, არსებობდნენ სოციალისტური ბრენდები. ბრენდი იყო რაღაც, რაც, საყოველთაოდ მიღებული აზრით, სოციალისტურ პროდუქტებს არ ჰქონდათ, ხოლო თუ ჰქონდათ კიდევ, ეს იყო კაპიტალისტური ბრენდისგან განსხვავებული რამ, რადგან სახელმწიფოს მიერ მართულ ეკონომიკაში მას იგივე ფუნქციები ვერ ექნებოდა. ბრენდის სოციალისტური ეკვივალენტი, თუ ასეთი არსებობს, სოციალისტური სამომხმარებლო ეკონომიკის მხოლოდ მცირე სექტორში თუ მოიძებნება. ძირითადად, ეს იყო ფუფუნების საგნები, – მიმართული ადამიანთა სურვილების დასაკმაყოფილებლად – სიგარეტი, ალკოჰოლი, შოკოლადი; ხოლო საქონელი, რომელიც მიმართული იყო ადამიანთა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, ზოგად ფორმაში, დაპაკეტებისა და განმასხვავებელი ნიშნის გარეშე გახლდათ წარმოდგენილი. ბრენდული საქონელი იყო საბჭოთა მოხმარების ნაწილი, იდენტიფიცირებული ე.წ. კულტურულ ვაჭრობასთან. ის იყო მატერიალური საფუძველი „კულტურნოსტის“ – კულტურულობის ცნებისა, კულტურული მოხმარებისა, სახელმწიფოს მიერ მართული სურვილებისა. სოციალისტური ბრენდები დასავლეთს ეჯიბრებოდნენ, ისინი ხალხს უფრო ნათელ მომავალს ჰპირდებოდნენ. მათ ჰქონდათ პედაგოგიური, ცივილიზატორული ფუნქციები, რაც უკულტურო მასებისკენ მიიმართებოდა.

ამდენად, დასავლური საქონელი სოციალისტურისგან განსხვავდებოდა ერთი მარტივი ნიშნით – ბრენდით. ამ გაგებით „გადასვლა“ (ტრანსფორმაცია) იყო გადასვლა უბრენდობიდან ბრენდზე. დასავლური საქონლის ერთი სიმბოლური თვისება – ბრენდი გადასვლის მეტასიმბოლო გახდა. ყველა ამ დასავლური ბრენდიდან ერთი, წინა პლანზე განსაკუთრებული ადგილის მქონე, თავის თავში სოციალიზმიდან კაპიტალიზმში მთელ გადასვლას შეიცავდა. ასე გახდა „მაგნას“ წითელი კოლოფი მთელი პერიოდის გამომხატველი, პერიოდისა, როცა თითქმის ყველა „მაგნას“ ეწეოდა. ეს „მაგნას“ ეპოქა იყო.

მეორე მხრივ, სოციალისტური პროდუქტი შეიძლებოდა ისევე ყოფილიყო გაგებული, როგორც კაპიტალისტური საქონელი; სოციალისტური „ბრენდი“ აღმოჩენილიყო კაპიტალისტურის პირისპირ – „ჩვენი ბრენდი“ და „მათი ბრენდი“. სიგარეტები: „ასტრა“ და „კოლხეთი“, „მაგნა“ და „მალბორო“ წარმოადგენდნენ მეტასიმბოლოებს, რომელთა გამოყენება გაცვლის კულტურების შესადარებლად შეიძლებოდა. აქ განსხვავებები ბრენდებს შორის იშლება და საკუთარ თავში რთავს მთლიან დროსა და სივრცეს. ეს არის ერთგვარი „ბრენდის ტოტემიზმი“, სადაც ბრენდი

გამოყენებულია დროისა და სივრცის, სოციალურ ჯგუფებს შორის არსებული განსხვავებების კლასიფიკაციისთვის. მსგავსი ბრენდები არ წარმოადგენენ მხოლოდ პროდუქტებს, არამედ მთლიან სოციალურ ერთობებს, მთლიან დროსა და სივრცეს.

როცა ვიყენებ ტერმინს „ბრენდის ტოტემიზმი“, ალბათ, უნდა ავხსნა კიდევ, რა მნიშვნელობას ვდებ ამ ტერმინში. ფრანგი სტრუქტურალისტი და ანთროპოლოგი ლევი-სტროსი ტოტემიზმს ასე ხსნის: ტოტემიზმი არის ერთგვარი გზა/ხერხი, რომლითაც ბუნებრივი ოპოზიციები ბუნების სამყაროდან (მცენარეები და ცხოველები) გამოყენებულია მეტაფორებად ადამიანთა ჯგუფებს შორის კულტურული ოპოზიციების გამოსახატავად. დაპირისპირება ბუნებასა და კულტურას შორის აქ ცენტრალურია. საზოგადოების ტოტემისტური პერსპექტივით, ურთიერთობა ადამიანების სოციალურ ჯგუფებს შორის წარმოდგენილია, როგორც ბუნებრივი დაჯგუფებების დაპირისპირება. მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფი A მუდმივად ახორციელებს თავდასხმებს ჯგუფ B-ზე, ჯგუფი A და ჯგუფი B ერთმანეთთან მიმართებაში არიან ლომი და ცხვარი. ეს არის ანემიზმის საპირისპირო ცნება, სადაც ბუნება განხილულია როგორც ცალკე საზოგადოება, ცხოველები ცხოვრობენ სოფლებში, საუბრობენ და ა.შ.; ასევე საპირისპიროა ნატურალიზმისა, სადაც ბუნებას და საზოგადოებას აქვთ აბსოლუტურად განსხვავებული პრინციპები. მე კი, მარშალ საჰლინსის მსგავსად, ტოტემიზმს უფრო ფართო მნიშვნელობით ვიყენებ: თუ ბუნებრივ საგნებს შორის განსხვავება (მაგალითად, განსხვავება ცხოველსა და მცენარეს შორის) შეიძლება იყოს გამოყენებული, როგორც სიმბოლო სხვადასხვა ჯგუფის განსხვავებებისა, მაშ რატომ არ შეიძლება „მეორე ბუნების“ (კულტურის) განსხვავებები (განსხვავებები ადამიანთა პროდუქტებს შორის, მაგალითად, ბრენდებს შორის) გამოყენებული იყოს, როგორც განსხვავებები ადამიანთა ჯგუფებს შორის. ტერმინით – ბრენდის ტოტემიზმი – მე ვიგულისხმებ სიტუაციას, სადაც პროდუქტებს შორის ბრენდებს შორის, განსხვავებები გამოყენებულია კულტურული განსხვავებების ორგანიზაციისთვის.

ამას მივყავართ უკან, „მაგნასთან“. დიდი რაოდენობით დასავლური ბრენდების თბილისში ჩამოსვლა ეპოქალური მოვლენა იყო. ყოველ შემთხვევაში, ერთი ბრენდის, „მაგნას“ ჩამოსვლა ნამდვილად იყო ასეთი. 1992 წელს მთელი თბილისი „მაგნას“ ეწეოდა, მათ შორის მეც. „მაგნა“ გახდა სიმბოლო არა მხოლოდ პროდუქტისა, არამედ დროის, ადგილის, ადამიანებისა და ზოგადად, მთელი პოსტსოციალისტური რთული პერიოდისა. აკა მორჩილამის რომანი „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები“ მოგვითხრობს იმ ბნელ, ღარიბ, ძალადობით გაჯერებულსა და ქაოტურ პერიოდზე. მთავარი გმირი ზაზა მთელი ნოველის განმავლობაში ცდილობს შეიძინოს კოლოფი „მაგნა“. იგი მეტ დროს „მაგნას“ აბსტრაქტულ მნიშვნელობაზე ფიქრში ხარჯავს, ვიდრე კონკრეტულად ამ სიგარეტის მოწევაში. სიგარეტი „მაგნა“, საქონელი, ზაზასთვის, ორი განსხვავებული თვალსაზრისით, პრობლემური სიმბოლოა. ერთი მხრივ, „მაგნა“ არის შესანიშნავი სიმბოლო ახალი ეპოქის, „მაგნის ეპოქის“ მოსვლისა. მეორე მხრივ, „მაგნა“ დომინირებს მის ფიქრებში, რადგან ის ნამდვილი საქონელია, რომელსაც აქვს ნამდვილი ღირებულება და მისი მოწევა სურს. ზაზა მწეველია, მწეველისთვის კი სიგარეტის კოლოფი არასდროსაა მთლიანად სიმბოლური. „მაგნა“ ზაზასთვის მისივე რთული პერიოდის, ამ გადასვლასთან დაკავშირებული პრობლემების მეტაფორაცაა და მეტონიმიც. ერთი მხრივ, „მაგნა“ არის აბსტრაქტული მეტაფორა, დროების ნიშანი.

მეორე მხრივ, ადამიანს არ შეუძლია მეტაფორების მოწვევა, მას შეუძლია მოსწიოს მხოლოდ ნამდვილი სიგარეტი „მაგნა“, რომლის ყიდვის საშუალება ზაზას არა აქვს. აქედან გამომდინარე, „მაგნა“ ასევე მეტონიმური, კონკრეტული სიმბოლოა მისი პრობლემებისა.

„მაგნა“ არის დროის ნიშანი და მისი ორი განსაზღვრება, მეტაფორული და მეტონიმური, მუდამ კავშირშია. კონკრეტულად ვიტყვით: ნამდვილად არსებობს რეალური „მაგნას“ კოლოფის შექმნის პრობლემა იმ მკვდარი ფულით, კუპონებით, რომლებიც მას ჯიბეში აქვს. გნებავთ, აბსტრაქტულად: არის ბრენდის მეტაფორული სიმბოლიზმი. „მაგნას“ კოლოფები, რომელთა ყიდვა მას არ შეუძლია, წარმოადგენს სიახლეს, საქონელს, როგორც სპექტაკლს. ნებისმიერ ჯიბურში „მაგნას“ განუსაზღვრელი რაოდენობის, მიუწვდომელი კოლოფების სპექტაკლი არის ის, რაც „მაგნას“ საშუალებას აძლევს, გახდეს იმ დროისა და სივრცის მეტასიმბოლო.

ზაზასთვის „მაგნა“ საქართველოს იმ რთული პერიოდის განმსაზღვრელი მეტაფორაა, სამი თვალსაზრისით მაინც: ნიშანი – დროისა, ადგილისა და ქართველებისა. ზაზა ფიქრობს:

„ჰოლში ვდგავარ და ფულს ვითვლი. ერთი კოლოფი „მაგნა“ ხომ უნდა მომივიდეს წესით, მაგრამ, გააჩნია, სად ვიყიდი. ეს „მაგნა“ ხომ პირდაპირ ეპოქის სიმბოლოა – ლამის კომუნიზმის დასასრულის მაუწყებლად შემოვიდა თბილისში. შეიძლება, პირდაპირ დავარქვათ – ეპოქა „მაგნა“.“

პირველ რიგში, იგი დროის სიმბოლოა, სიმბოლო კომუნიზმის დასასრულისა, რომელიც „მაგნას“ ქალაქში შემოსვლით გაცხადდა; იგი ასევე დროის ნიშანია: ზაზას აზრით, „მაგნა“ იმდენად ხშირად გვხვდება, რომ შეიძლება ქალაქის ღერბი „მაგნას“ კოლოფით შეიცვალოს.

„ჭკვიანებზე ჯიბურები „მაგნას“ კოლოფებითაა გამოტენილი. „მაგნა“, „მაგნა“ – თბილისისათვის გერბი რომ შეგვეცვალა, ყველაზე კარგი, ალბათ, „მაგნას“ კოლოფი იქნებოდა. ისე, თუ გახსოვს „მაგნას“ ფასები? მე მახსოვს, მაგრამ ახლა მეზარება, ყინავს და მგონი, ცალი ყური სადღაც დავკარგე.“

და ბოლოს, ის ქართველების სიმბოლოა: იმათი, ვინც გამოიღვიძა კომუნიზმის ძილიდან და მიიღტვის სიგარეტის ბრენდისკენ, რომელსაც, რამდენადაც ზაზამ იცის, ამერიკაში პუერტორიკოელები ეწევიან. იგი ფიქრობს, რომ აქ არის კანონზომიერება, რადგან:

„მაგრამ ჩვენც ხომ ლათინოსები და ლათინოსებზე უფრო ლათინოსები ვართ ლათინოსობაში. ამას ვინმე უარყოფს?“

ერთი მხრივ, „მაგნა“ არის მეტაფორული მეტასიმბოლო გადას-ვლისა. იგი გამოხატავს ახალი დროების მოსვლასა და ქალაქის პოსტსოციალისტურ სივრცედ გადაქცევას. მაგრამ ასევე გადასვლის ეს მეტაფორა მუშაობს, როგორც მეტონიმური თარგმანი: ზაზამ იცის, რომ იგივე ბრენდი არსებობს დასავლეთში და მას იქ პუერტორიკოელები ეწევიან. თვითონ ცოდნა იმისა, რომ ქართველები იმავე სიგარეტს ეწევიან, რასაც პუერტორიკოელები აშშ-ში, მათ მსოფლიო სისტემის ეთნიკური იერარქიების ჩარჩოში გარკვეულ ადგილს მიუჩენს. ქართველები არიან ლათინოსები იმიტომ, რომ ეწევიან „მაგნას“, რადგან „მაგნა“ არის ლათინოსების ბრენდი. ლათინოსობაში ქართველები, შესაძლოა, უფრო ლათინურები არიან, ვიდრე ნამდვილი

ლათინოსები: იგი ფიქრობს _ რაღაც შეცდომის, გაუგებრობის შედეგი იყო, რომ პაბლო ესკობარი კოლუმბიაში დაიბადა, იქ, სადაც მოკლეს და არა საქართველოში, სადაც მას ისე მოეპყრობოდნენ, როგორც ეროვნულ გმირს. ნებისმიერ შემთხვევაში, აქ ბრენდის ტოტემიზმის რაღაც ფორმა მუშაობს. „მაგნა“, გადასვლის პერიოდის ყველაზე თვალსაჩინო ბრენდი, წარმოადგენს ზოგადად ბრენდს, როგორც ასეთს. იგი ყველაზე ნათელი, ხილული დიაკრიტიკული ნიშანია, რომელიც კაპიტალისტურ საქონელს სოციალისტურისგან გამოყოფს; ამის შემდეგ, ის წარმოადგენს ყველაფერს, რითაც პოსტსოციალისტური თბილისის დრო და სივრცე განსხვავდება სოციალისტურისგან: ეს არის „მაგნას“ ეპოქა.

„მაგნა“ ასევე დასავლეთისკენ დაუსრულებელ, მიუღწეველ სვლას წარმოადგენს. წარმოსახვითი დასავლეთის პირდაპირ გამოცდა შეუძლებელია, მისი გამოცდა შესაძლებელია მხოლოდ მისი პროდუქტების გამოცდით. „მაგნას“ ეპოქაში წარმოსახვითი დასავლეთი „მაგნას“ ფორმით ჩამოდის თბილისში, მაგრამ ადამიანს იქ, დასავლეთში, წასვლა არ შეუძლია. ზაზას არ შეუძლია კოლოფი სიგარეტის შექმნა და ეს მას ახსენებს ემიგრაციაში წასვლის აუხდენელსა და მიუღწეველ ოცნებას. ზაზა არა მხოლოდ დასავლური საქონლით, ზოგადად, დასავლეთითაა დაინტერესებული. კოლოფი „მაგნას“ კონკრეტული სურვილი (და არა ადგილობრივი „კოლხეთისა“) უწყვილდება უფრო აბსტრაქტულ, წარმოსახვით დასავლეთში წასვლის სურვილს. ზაზა განსაკუთრებულად მოხიბლულია საფრანგეთში, კერძოდ, ნიცაში, წასვლის იდეით. იგი სულ ნიცაზე ლაპარაკობს. ეს ის პერიოდია, როცა მისი მეგობრები მიემგზავრებიან. საზოგადოებრივი ცხოვრება თბილისში, როგორც ჩანს, მთავრდება, კვდება. ყველა დასავლეთში მიდის, განსაკუთრებით კი ისეთ ადგილებში, როგორც ნიცა და კანზას სიტია. თუ „მაგნას“ შემოსვლა პოსტსოციალისტურ თბილისში ცვლილებებს ჰგავს, ზაზასთვის რეალური კოლოფი „მაგნა“ ისეთივე მიუწვდომელია, როგორც დასავლეთი და ნიცა.

„მაგნას“ კოლოფები რეალურად არსებობს. მათ ყველგან ნახავთ, ყველა ჯიხურში, მაგრამ მიუწვდომელია. ის წარმოდგენილია, როგორც სპექტაკლი, ანუ არ არის წარმოდგენილი მოხმარებისთვის. ეს განსხვავებული პრობლემაა: სოციალიზმის დროს ის, რაც იყო, იყო იმისთვის, რომ მოეხმარათ, კაპიტალიზმის დროს კი საქონელი, რომელიც არის, რომელიც წარმოდგენილია, შეიძლება მიუწვდომელი აღმოჩნდეს. ხშირად ამბობენ, რომ მოხმარება დაუკმაყოფილებელი, შეუსრულებელი პირობა იყო სოციალიზმის დროს, გამოყენებული იყო მხოლოდ და მხოლოდ პროპაგანდისთვის, მაგრამ, თუ ამას გლობალურად შევხედავთ, ეს ასეა: კაპიტალიზმი პოსტსოციალიზმის პირობებში განასახიერებდა მცირე ულუფებიან სამომხმარებლო სპექტაკლებს, მაგალითად, „მაგნას“ კოლოფებს, რომლებიც იძლეოდნენ მცირე, ინდივიდუალურ პირობებს, და ეს პირობები შეუსრულებელი რჩებოდა. ასე რომ, სამუალო მომხმარებელს, ალბათ, ეჩვენებოდა, თითქოს ის გაშინაურებული არ იყო გავრცელებისა და მოხმარების კაპიტალისტურ ნორმებთან.

რეალური საქონლის ტანჯვისმომგვრელ სპექტაკლებამდე დაყვანამ ახალი პრობლემა გამოიწვია. მათ შორის ერთ-ერთი ვალუტის პრობლემაა: „ეს იყო მკვდარი ფულის პერიოდი...“ ფულმა ფულობა შეწყვიტა. ეს ზაზას კიდევ ერთი პრობლემაა, პოსტსოციალისტური ქართული ფული ვერ გაიცვლება დასავლურ საქონელზე ან სხვა,

მსგავს რამეზე. ეს ფული მხოლოდ მეგობრების წრეში ტრიალებს. ასეთი ფული მხოლოდ მეგობრებს ესაუბრება, მას უცხოებთან არაფერი აქვს საერთო. დასავლური პროდუქტის ნახვა ახლა ყველგან შეიძლება, მაგრამ ის მიუწვდომელია ქართული კუპონით, განსხვავებით სოციალისტური ეკვივალენტისგან, „კოლხეთისგან“, რომლის ყიდვა „მკვდარი“ ფულით შესაძლებელია. ზაზა ცდილობს, გზად კოლოფი ქუჩის გამყიდველისგან იყიდოს.

„ცოტა ქვემოთ ბებერი აისორის ქალი „მაგნას“ კოლოფს ათამაშებს თითებში.

რა ღირს „მაგნა“?

ხუთას ორმოცდაათი, ორი «პაჩკა» ათასი.

კუპონზე?

არ გავყიდი.

წადი, შენი... – არ ყიდი და ქვემოთ ვიყიდი, მეტროსთან. მეორედ ვმაზავ „მაგნას“. თან ვერ ვიტან, მაგრამ ხომ იცი, „მაგნა“ უფრო ჟღერს, ვიდრე „კოლხეთი“ – 5000 კუპონი.“

„მაგნას“ „გადასვლის“ სიმბოლოდ არჩევა არ არის პოეტური ხერხი. არამწვევლებსაც კი ახსოვთ „მაგნა“. ის, იმ პერიოდის თბილისში, ალბათ, ყველაზე ტიპური მომხმარებლისთვის გათვლილი დაბალფასიანი ბრენდი იყო. „მაგნა“ წარმოადგენდა ბრენდის ტიპს, რომელიც ყველაზე ხშირი იყო სიგარეტებში. ეს სიგარეტი იყო შინაგანად ღირებული, შექმნილი მწვევლებისთვის. იგი დიდი ხნის განმავლობაში ინახებოდა, – ამის გამო ზოგისთვის რაღაც ფულის მსგავსი გახდა ჰიპერინფლაციის პერიოდში. ერთი მეგობარი მყავდა, რომელიც უმუშევარი იყო, ან, თითქმის დაუსაქმებელი, ბრიგადირი ფეხსაცმლის ქარხანაში. ჩვეულებისამებრ, ერთ დილას რადიოს უსმენდა. შეიტყო, რომ იმ დროს მოქმედი ვალუტა უნდა გაუქმებულიყო. სასწრაფოდ მთელი თავისი ფულით სიგარეტი „მაგნა“ იყიდა, რომელსაც შემდეგ, აისორის ქალივით, ფულზე ყიდდა.

ზაზასთვის „მაგნა“ ისეთივე მიუწვდომელი იყო, როგორც ნიცაში ემიგრაციაზე ოცნება. სიგარეტი გახდა შორეული ადგილების მეტაფორული განსახიერება, „მაგნას“ სურვილი გავს ნიცაში ემიგრაციის სურვილს. ბრენდის ტოტემიზმი მუშაობს არა მხოლოდ ასეთ გლობალურ კონტრასტებში, არამედ – უფრო მცირე მასშტაბებშიც. კიდევ ერთი ცვლილება იმ დროისა, ახალი გაგებით, იყო ის, რომ ინდივიდუალურ კოლოფებს ინდივიდუალური ფასი ჰქონდა. ფასი ყალიბდებოდა არა მხოლოდ ბრენდთან მიმართებაში, არამედ იმ ადგილსა და დროზე იყო დამოკიდებული, როცა ის იყიდეს. სოციალიზმი გულისხმობდა ფასის კონტროლს, სოციალიზმის ბოლო კი, შოკური თერაპია გულისხმობდა მუდამ მოძრავ ფასებს, რომლებიც, ძირითადად, ზემოთკენ მიცოცავდა.

ჩემი პირველი საველე სამუშაოების დროს, ყოველდღიურ საუბარში, ყველაზე ხშირად ლაპარაკობდნენ ფასებზე იქ, დასავლეთში, და ფასებზე აქ, თბილისში. სიგარეტის შემთხვევაში, რა თქმა უნდა, სოციალისტი მომხმარებლებისთვის დიდი სიურპრიზი იყო, რომ იქ ნებისმიერი სიგარეტი, დაახლოებით, ერთი ფასია. ეს, ალბათ, გამოიყურებოდა, როგორც სპეციფიკური სოციალისტური ერესი კაპიტალიზმის სამყაროში. ჩემი საველე სამუშაოების დროს ფასები მუდამ იცვლებოდა და, ამიტომ, ის მუდამ იყო საუბრების თემა. მორჩილადის ნოველაში გმირი – მწერალი პეტრუჩიო წარმოიდგენს: 1800 დოლარი რომ ჰქონოდა, წიგნის გამოქვეყნებას შეძლებდა

თანამედროვე თბილისზე. შემდეგ კი იგი ითვლის, რამდენ კოლოფ სიგარეტ „როტმანსს“ გასწვდებოდა ეს თანხა. „შვილიშვილებიც კი გააბოლებენ“.

იმდროინდელ თბილისში, თითქმის, აქსიომა იყო, რომ სხვადასხვა ბრენდის სიგარეტს ერთი და იგივე ფასი ვერ ექნებოდა. ბრენდებს ჰქონდათ გარკვეული იერარქია და ფასიც, შესაბამისად, ამ იერარქიიდან გამომდინარე ჩნდებოდა. იერარქია ყალიბდებოდა შემდეგი კრიტერიუმებით: შედარებითი გლობალური პრესტიჟი ბრენდისა და ადგილი, საიდანაც ის ჩამოვიდა; ამასთან ერთად, იერარქიაზე გავლენას ახდენდა ის ადგილიც, სადაც სიგარეტი იყო ნაყიდი. თუ ბრენდებს შორის ოპოზიცია გამოხატავს გლობალურ ოპოზიციებს წარმოსახვით გეოგრაფიაში, – ვგულისხმობ, აქ, თბილისში, წარმოსახვითი დასავლეთის პირისპირ, – მაშინ კონკრეტული ბრენდების ფასთა ცვლადობას ემატება ახალი, ადგილობრივი ღირებულება იმ ადამიანებისთვის, ვინც მას მოიხმარენ.

ამ მსჯელობას მივყავართ ახალ განსხვავებებამდე, სადაც ერთმანეთთან დაკავშირებულია განსხვავება ბრენდებსა და ადამიანებს შორის. მომხმარებლურ საზოგადოებაში საქონელთან მიღწევადობა დარეგულირებულია ამ საქონლის ფასით, ბრენდები კი განსხვავებულ ფასებს გვკარნახობენ. ბრენდზე დაყრდნობით იქმნება ადამიანთა იერარქიაც. მაგრამ ლევი-სტროსის კლასიკური გაგებით, ეს არ არის ტოტემიზმი. ლევი-სტროსი ფიქრობდა, მხოლოდ მისთვის გასაგებ, ცნობილ მიზეზთა გამო, რომ მხოლოდ სოციალური და ბუნებრივი წესრიგების პარალელურ ოპოზიციებს (ტიპის, ჯგუფის ან გვარის დონეზე და არა ინდივიდუალურ დონეზე) შეუძლიათ ერქვათ ტოტემიზმი. მაგალითად, „მაგნა“ და „კოლხეთი“, ნიცა და თბილისი, ვალუტა და კუპონი, დასავლელი – ქართველი და ა.შ. ყველა ამ შემთხვევაში ოპოზიციების ჯგუფები სხვა ჯგუფების პარალელურია. ბრენდი საქონლის გარკვეული ტიპია, რუბლი და კუპონი ვალუტაა და ა.შ. ტიპებს შორის შედარება ტოტემიზმია, ჯგუფების ინდივიდუალური წევრების შედარება კი – ტოტემიზმი არ არის. ასე ამბობს ლევი-სტროსი, ნუ მკითხავთ, რატომ.

ბრენდი არის ეკონომიკური ფენომენი, ეკონომიკა კი არ არის დაკავშირებული აბსტრაქტულ ტიპებთან. იგი დაკავშირებულია კონკრეტული საქონლისა და კონკრეტული მომხმარებლების მოძრაობასთან. აქაც რაღაც მსგავსი ბრენდის ტოტემიზმისა ქმნის განსხვავებებს არა მხოლოდ ჯგუფებს შორის, არამედ ინდივიდებს შორისაც. ბრენდის განსხვავებულობა, ფასისა და ვალუტის განსხვავებულობასთან ერთად, გავლენას ახდენს კონკრეტულ ინდივიდზე და მის მუდმივად ცვალებად სიტუაციაზე თხევად ეკონომიკურ კონტექსტში. საქონელი სტაბილურად არ იდო მაღაზიის დახლებზე. კოლოფი „მაგნა“ მწვევლის მიერ ერთ ან ორ დღეში მოიწევა, – ეს ყველაფერი განაპირობებს ადამიანების ეკონომიკური მდგომარეობის ინდექსების მგრძობელობას ბრენდის მიმართ. ეს ის პერიოდი იყო, როცა ადამიანის ეკონომიკური მდგომარეობა ყოველდღიურად რადიკალურად იცვლებოდა.

სიგარეტის ფლობა, უფრო სწორად, სპეციფიური ბრენდის სიგარეტის ფლობა, განაპირობებს კონკრეტული ადამიანის ცვლად, ინდივიდუალურ თვისებებს ნებისმიერ მოცემულ მომენტში (და არ განაპირობებს ხანგრძლივ კატეგორიულ ოპოზიციებს ჯგუფებს შორის). სიგარეტი ამას სხვადასხვა ხერხით აკეთებს. რადგან სხვადასხვა ბრენდის სიგარეტის კოლოფი არის განსხვავებული საქონელი, რომელიც ფულის სხვადასხვა

რაოდენობითა და სხვადასხვანაირი ფულითაა (რუბლი, დოლარი, კუპონი) შექმნილი. აქ სიგარეტი მიუთითებს ადამიანის შეძლებულობაზე. არა საერთოდ, _ იმ კონკრეტულ დღეს. ჰიპერინფლაციის გამო ადამიანის ეკონომიკური შესაძლებლობები ყოველდღე იცვლება. ფასის ცვალებადობას დროში ემატება მისი ცვალებადობა სივრცეში; ფასები იზრდება, როცა რკინიგზის სადგურიდან პრესტიჟული უბნისკენ მიემართებით, განსხვავებულია საბითუმო და საცალო ვაჭრობისას.

ამ დროს, სხვადასხვა უბნებს შორის პრესტიჟულობისა და განსხვავებულობის ფორმები კაპიტალისტურად იქცევიან და იზომებიან განსხვავებული ფასებით ყველა ნივთზე („მარლბორო“, HB, „როტმანსი“, „სენტმორისი“ ზემოთ, „კოლხეთი“ ქვემოთ, „მაგნა“ შუაში); ასევე ფასი გამოხატავს უბნის პრესტიჟულობას (ცხადია, ვაკე ზემოთაა). ნოველაში, როგორც ჩანს, ზაზას ეს ავიწყდება, მაგრამ მისი მეგობარი, რომელიც კარგად იცნობს სლენგსა და იმჟამინდელ რეალობებს, ძალიან კარგად ხვდება ამ განსხვავებებს:

„ვაკეში ყიდვას სხვა მულამი აქვს. აქ რომ ყიდულობ, ესე იგი, კარგად ხარ. განსაკუთრებით „ყაზბეგთან“ რომ ყიდულობ. ყველაფერი ძალიან ძვირია, თითქმის ორმაგი ფასი ადევს და რომ ყიდულობ, კლიენტი ხარ. პრესტიჟი, მოკლედ».

ასეთი ლოგიკა („ნოვე რიჩე“) ოთხმოცდაათიანებში ტიპურ ხუმრობად იქცა ახალი ქართველების შესახებ („ნოვე რიჩე“ პოსტსოციალიზმში). ახალი ქართველი ეუბნება მეორეს: „ნახე, ეს საათი 100 დოლარად ვიყიდე!“ მეორე პასუხობს: „100 დოლარად? ეს ქურდობაა, მე ვიცი ადგილი, სადაც ამის ყიდვა 200-ად შეიძლება».

როცა ბრენდიდან გადავდივართ კონკრეტულ კოლოფზე, სიგარეტის კოლოფის კარიერა არ მთავრდება, რადგან კონკრეტული კოლოფიდან კონკრეტულ სიგარეტზე გადავდივართ. კონკრეტული კოლოფის ბრუნვის კარიერა მიგვითითებს იმ ადამიანის თვისებებზე, რომელსაც კავშირი აქვს მაღაზიასთან. მაგრამ სიგარეტი, როგორც კონკრეტული ღერი, უფასო საქონელივით გადადის. მათი გადაცვლა, გადაცემა მეგობრულობისა და ინტიმურობის ნიშანია, უცხოთა შორის გადაცვლა კი _ ვითომ მეგობრობისა, ერთგვარი sociability-ს. ზაზას, რომელიც ვერ ყიდულობს კოლოფ „მაგნას“ და ვერ მიდის ნიცაში, არ აკლდება სიგარეტი მისი მეგობრისგან. ყოველთვის, როცა ზაზა ვიღაცის სიგარეტს ეწევა, ჩვენ ვხედავთ, რომ სიგარეტი, ჩართული რაღაც სოციალურ ურთიერთობაში, ხდება „უფასო საქონელი«. როგორც ჩანს, ზაზამ ეს იცის. მან ნაკლებად იცის, რომ, სიგარეტი არ არის უფასო, ისინი თავიანთ თავში ატარებენ საბაზრო ფასებს, სადაც ბრენდი სიმბოლურია. ეს ყველაფერი ახდენს ადამიანის ინდივიდუალურ კლასიფიკაციას, რაც ახლო მომავალში ჩამოყალიბდება, როგორც კლასობრივი განსხვავება.

როგორც ბევრი ინტელექტუალი, ზაზა კარგად იჭერს აბსტრაქციებს, მაგრამ კონკრეტულ დონეზე, როგორც ჩანს, მან არ იცის, რა ხდება მის ირგვლივ. ამდენად, კატეგორიულ (ტოტემურ) დონეზე ზაზა ხედავს, როგორ ხდებიან ბრენდები ოპოზიციები ადგილებსა და ადამიანების კატეგორიებს შორის, მაგრამ ის ვერ ხედავს, როგორ გახდნენ ეს ოპოზიციები მისი მეგობრების განმასხვავებელი ოპოზიციებიც; ის ვერ ხედავს, როგორ იყოფა კლასებად მისი სოციალისტური პერიოდის სამეგობრო ჯგუფი.

ფასითა და ბრენდით განპირობებული განსხვავებები არ ჩანს სიგარეტის, როგორც უფასო საქონლის უკან, რადგან მისი ყიდვის ფასია უბრალო კეთილგანწყობილი

ურთიერთობა (sociability). ეს იგი ეს განმასხვავებელი თვისებები (ბრენდი, ფასი, და ა.შ.) დამალულია, აღარ ჩანს მაშინ, როცა ჩვენ ვფიქრობთ ღერებით სიგარეტის გადაცვლაზე, სადაც სიგარეტი არის „უფასო საქონელი“. ასე რომ, ზაზამ მარგინალურად იცის, რომ სიგარეტი, რომელსაც ის მეგობრებს გამოართმევს (არ ყიდულობს), მას აყენებს სოციალურ სივრცეში სხვა ადამიანებთან მიმართებაში. ახლა ყველას აქვს საკუთარი ბრენდი და ამ ბრენდებს აქვთ თავისი ფასი. ეს არის საუბრის ხშირი თემა. აქედან გამომდინარეობს, რომ პირველადი ინფორმაცია კონკრეტული ადამიანის შესახებ შეიძლება იყოს გამოტანილი მისი ბრენდის არჩევანიდან და იქიდან, შეუძლია თუ არა მას მის მიერ გაკეთებული არჩევანის დაკმაყოფილება. ბრენდი სახეს აძლევს არა მხოლოდ პროდუქტს, არამედ მომხმარებელსაც. ადამიანებს უკვე აქვთ თავიანთი საკუთარი ბრენდები: ზაზა ეწევა „მაგნას“, ან მოწვედა მას, შეძენის საშუალება რომ ჰქონოდა; მისი მეგობარი პეტრიოჩკა ეწევა ზუსტად სამ ღერ „როტმანსს“ დღეში და ა.შ. და ა.შ.

სოციალიზმის დროს სიგარეტი იყო უბრალოდ სიგარეტი, მაგრამ მაშინაც არსებობდა განსხვავებები უხეშ, პროლეტარულსა და მამაკაცურ „ასტრასა“ და „კოსმოსს“ ან „კოლხეთს“ შორის. ზაზა ეხუმრება გოგონას, რომელიც მას მოსწონს: ეუბნება, _ სიგარეტი დაგრჩა მანქანაშიო და აწვდის „ასტრას“. ასე მას ხუმრობით აძლევს ერთგვარი „ვირაგოს“ (ქალი, რომელიც კაცს ჰგავს) კლასიფიკაციას. „ასტრა“ არ არის ქალის სიგარეტი, ამ სიგარეტის გოგოსთვის მიწოდება და მიყოლება _ „სიგარეტი დაგრჩა“ აშკარა შეურაცხყოფაა.

მაგრამ სოციალისტური სიგარეტები, რაღაც გაგებით, რეალურად იყო „უფასო საქონელი“. იმის მიხედვით თუ რას ეწეოდნენ, _ „კოსმოსი“, „ყაზბეგი“, „სტიუარდესა“ თუ „კოლხეთი“, _ საზოგადოებრივი პრესტიჟის ჩამოყალიბების ეტაპზე შეიძლებოდა კლასის დადგენა. მაგრამ პოსტსოციალიზმის დროს გაჩნდა განსხვავება: „კოლხეთის“ მსგავსი ქართული სიგარეტი აკმაყოფილებდა მოთხოვნას, მაგრამ არ იყო ნატვრის ობიექტი. მაშინ, როდესაც დასავლური ბრენდი ოცნების საგანი იყო და ის გახდა საგანგებო საჩუქარი, უფრო მეტად, ვიდრე უფასო საქონელი. მაგალითად, როდესაც ზაზა ითხოვს სიგარეტს ოფისში, სადაც ვითომ მუშაობს, მამაკაცი იღებს „ყაზბეგის“ შეკვრას, რომელიც არის გამოსადეგი, მაგრამ არაშთამბეჭდავი ბრენდი. ახალმა გოგონამ, ნანამ, რომელსაც ზაზა პირველად შეხვდა, დაჟინებით მოითხოვა, მოეწია მისი სიგარეტი. ის დაბრუნდა „სენტ მორისის“ შეკვრით საგანგებოდ მისთვის (სწორი წარმოთქმით, რომელსაც სხვა თანამშრომელი, რომელსაც ნანამ „ქაჯის“ იარლიყი მიაკრა, ეძახის «მორეს»). მისნაირი უცოდინარი იფიქრებს, რომ მამამისს კარგი კავშირები აქვს ან მდიდარია, მაგრამ დანარჩენები ასკვნიან, რომ ნანა ეკვლუცება ზაზას. ამით იმის თქმა მსურს, რომ სხვადასხვა რამის გაგება შეიძლება ორი ოპოზიციის შედარებით _ ნამდვილად „უფასო საქონლისა“, სოციალისტური სიგარეტის, „კოლხეთის“, და მდიდრული დასავლური საქონლის „ს. მორისის“. ერთი რამ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ზაზა უცოდინარია ქალებთან მიმართებაში, თუ ის ვერ ხედავს, რომ „კოლხეთის“ შეთავაზება არაფერს ნიშნავს, მაშინ, როცა „სენტ მორისის“ შემოთავაზება ნიშნავს, რომ მას იგი მოსწონს.

მაგრამ თუ სიგარეტი ახალ პირობებში უფასო საქონელში გადაინაცვლებს და გახდება განსაკუთრებული საჩუქარი, არა მხოლოდ ეკონომიკური პრივილეგიის ნიშანს

იმენს, არამედ ინტიმურობისაც. სხვა პირობებში, უფასო საქონელი დაპირისპირებული ბრენდის პრესტიჟთან, იწვევს სოციალისტური ურბანულობის ეგალიტარული ნორმების კრახს. ზოგ შემთხვევაში, „მარლბოროს“ მსგავსი, იერარქიულად უმაღლესი სიგარეტი, არამხოლოდ სიმდიდრისა და პრესტიჟის სიმბოლოა, არამედ სიმბოლო იმ საშუალებებისაც, რომლებითაც სიმდიდრე ხელიდან ხელში გადადის. ძალადობის, იარაღისა და ქაოსის ქალაქში „მარლბორო“ შეიძლება საფრთხის სიმბოლო იყოს. „მარლბოროს“ მწვეელი, რომელიც იჭრება სახინკლეში და იქ ადამიანების სიცოცხლეს საფრთხეს უქმნის, ახალი ქართველის დროის შესაბამისი სახეა. კაკუჩას ხასიათი იდენტიფიცირდება „მარლბოროს“ სულსწრაფ მწვეელთან, რომელსაც უნდა ემსახურონ, დაემორჩილონ მის ბრძანებებს, დაუყოვნებლივ, როგორც ახალი ტიპის ქართველისას, რომელიც იდენტიფიცირდება მომხმარებლის კატეგორიის შემდეგ ტერმინებთან:

„ვიცნობ ეგეთებს. ნაშები ელოდებიან. კარგ სასტავშია მომჯდარი, წოვს რომელიმე დაწესებულებას. უყვარს ამარეტო და ხინკალი, მეტეხში ადის, ცხელ წყალს იჭერს, წესრიგდება და ოთხი-ექვსი კუბი უყვარს. მე ვიცნობ ეგეთებს. ლაპარაკობს საჭმელზე, სასმელზე, ტანსაცმელზე, ფეხსაცმელებზე, მანქანებზე და იარაღზე. მოსწონს კაგდატა ვ ამერიკე, ლიცო სა შრამამ და სამშობლოს რომ დასჭირდება, მის პირველ დამახილზე იქ არის.“

«მალბოროს» მწვეელი ნამდვილად არ არის ის, ვინც მონაწილეობს სიგარეტების, როგორც უფასო საქონლის, sociable, მეგობრულ, ინტიმურ გაცვლაში. ნოველის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სცენაში აღწერილია კონფლიქტი, რომელიც არსებობს სოციალიზმის ურბანულ, ტრადიციულ ნორმებსა და „ახალი ქართველების“ ტიპს შორის. ძველ, მთვრალ, ღატაკ, მაგრამ ამაყ ქალაქელს, სოციალურობის ქალაქური ნორმის მიხედვით, სურს მოიპოვოს, ქუჩაში გამოართვას, სთხოვოს სიგარეტი. ქალაქში მიღებული, თბილისური ნორმების მიხედვით იგი მიმართავს „მალბოროს“ მწვეელს:

„ძმაოჯან, ერთი მოგვაწვეინე, ქალაქელი ხალხი ვართ! ეს უკვე კარებში იყო და მაგრად არ ეამა. ხო ვერ იტანენ, ხელი რომ ეშლებათ? ჩაიყო ხელი შარვლის ჯიბეში, ამოიღო მალბორო და ამ ბიძას უყურებს.“

„მალბოროს“ მწვეელი ვერ ხედავს მეგობრულ სულისკვეთებას სიგარეტების გაცვლაში, არამედ იერარქიას. ის ვერ ხედავს სარგებელს სიგარეტის გაცემაში _ ეს არის შებრალების, მომსახურების აქტი ღატაკის მიმართ. შესაბამისად, ის თავს არ იწუხებს გადადგას ზედმეტი ნაბიჯი, რათა დაეხმაროს ღატაკს, მათხოვარი უნდა მივიდეს მასთან. ზაზუშა, რომელიც ზაზას გვერდით ზის, აკვირდება მას, ამბობს:

„აშკარად გაუტყდა. მაგათ ხომ კომპლექსები აქვთ, რომ მაგარი როჟები არიან და ვინმესთვის დახმარება მომსახურებას ნიშნავს.

_ მე მოგიტანო, თუ რა არი, ვერ გავიგე, _ ისე უთხრა, გეგონება, მართლა რაღაც იყო.

ბიძა კიდევ, ღარიბია, მაგრამ ამაყი. ქალაქური უჭირავს. ის მეორე ბიძა ზის გატრუნული, ჭერში იყურება.

არ მინდა, ძმაო, გაიარე, _ გამოაცხადა უცებ ამაყმა ბიძამ, ჩვენ რომ გვთხოვა, იმან.

რა? _ დაიჭმუჭნა ხინკლის შემკვეთი.

გაიარე, ძმაო და ზრდილობა ისწავლე.“

გაცოფებული იმით, რომ ასე მოექცნენ, „მალბოროს“ მწვეელი გადის. მოხუცი კაცი განადგურებულია და ზაზა და ზაზუშა მას კარის გაღებაში ეხმარებიან. მალბოროს კაცი

სადღაც მიდის, ზაზასა და ზაზუმას ეუბნება, რომ იმ კაცს მოკლავს, თუ სახინკლიდან გამოსულს კვლავ აქ დახვდება. ამ მოკლე, შთამბეჭდავ სცენაში ნაჩვენებია, თუ როგორ ხდება კლასიფიკაციის ჩამოყალიბება სიგარეტის მიხედვით. მალბოროს კაცმა უარი თქვა სიგარეტის, როგორც თავისუფალი საქონლის, გაცვლაზე, რადგან ხელმძღვანელობდა აზრით, რომ ახლა სიგარეტის ბრენდებს შორის განსხვავება არა მხოლოდ ეკონომიკური ღირებულებაა, არამედ მაჩვენებელია ნორმატიული ღირებულებისა. საყოველთაოდ აღიარებული თანასწორობის სოციალისტური ღირებულებები და ქალაქელთა შორის მეგობრული ინტერაქციის ნორმები, რაც გამოხატული იყო უცხოებს შორის სიგარეტის უფასოდ გაცვლაში, სწრაფად ქრება. სიგარეტის გაცვლა ნიშნავდა ზოგადად თანასწორობას და მეგობრობას ზრდილობიან ქალაქელებს შორის.

მველი ქალაქელის შეხედულებები, რომელთა თანახმად, სიგარეტი შეიძლება იყოს უფასო საქონელი, ეწინააღმდეგება ეკონომიკური დიფერენციაციის ახალ ფაქტორებს. «მალბოროს კაცს» სოციაბილური, მეგობრული, კეთილგანწყობილი ინტერაქცია გადაჰყავს იერარქიულ ჭრილში. სიგარეტის მიწოდება გარდაიქმნება საქველმოქმედო მომსახურებად, სიგარეტი ეძლევა უბრალო მათხოვარს. «მალბოროს კაცი» წარმოადგენს ახალი მომხარებლის ტიპს, ახალი ქართველის, პარადიგმატულად კრიმინალის პროტოტიპს, რომელიც წარმოადგენს ამ კულტურული საზოგადოებისა და ზრდილობის დასასრულს, ანტიუტოპიური სამყაროს მოსვლის მაუწყებელს, რომელშიც მე ჩავატარე ჩემი ადრეული საველე გამოკვლევები. ეს არის სამყარო, სადაც ზაზა ვერასდროს ყიდულობს „მაგნას» კოლოფს, არასოდეს წავა ნიცაში, რადგან ვილაცა ქუჩაში მოკლავს.

და ბოლოს, ეს წარმოადგენს თბილისში სხვა, უფრო რთული ვითარების მინიშნებას ამ პერიოდში, ვგულისხმობ ქალაქელის, როგორც კატეგორიის, დაკარგვას. დაკარგვას იმისა, რაც ახასიათებდა სოციალისტურ ქალაქს და რაც აღარ არსებობს პოსტსოციალისტურ თბილისში. პოსტსოციალისტურ ქალაქში ჩვენ კარს მიღმა სივრცე აღარ არის „კულტურნოსტის» ადგილი. «ველური კაპიტალიზმის» პირობებში ქუჩები დაუბრუნდნენ ბუნებრივ წესრიგს – «ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები». ამ პერიოდის ქაოსში, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო «ბედნიერება», – თუ არავინ მოგკლავდა გასროლით და სახლში ცოცხალი დაბრუნდებოდი, „მაგნას» მსგავსი ბრენდები საზოგადოებრივი ადგილების სიმბოლოდ იქცა. მაგრამ, მეორე მხრივ, იყო ძალადობა (გამოსახული „მალბოროიან კაცში») და ველური ძაღლების ხროვა. საეჭვო სოციალისტური მიღწევა, საზოგადოების ნორმატიული „კულტურულობისა», გაქრა. ყველაფერი, რაც საზოგადოებრივ ადგილებშია, პირადი ინტერესია (ხშირად შეიარაღებული), შინაური ცხოველები გაველურდნენ; დასავლური ბრენდების ყიდვა არ არის ხელმისაწვდომი. განსხვავება პირადასა და საზოგადოებრივს შორის, ჩადებული იქნა პოსტსოციალისტურ თბილისში (სადაც „მაგნა» მოხმარების მიუღწეველი სიმბოლოა). იყო მხოლოდ ორი განსაზღვრება – შინაური-გარეული. წესრიგი ახლა კარს მიღმა სრულდება, საზოგადოებრივი ადგილი ველური ადგილია, სადაც წესრიგი არ არსებობს. აქ ზაზას მეგობარი, პეტრიოჩკა, ჟურნალისტი, საბოლოოდ ასრულებს საქართველოში საზოგადოებრივი სოციალური ცხოვრების ბუნების გაცნობიერებას, აკეთებს ეთნოგრაფიულ სკეტჩს, არა საზოგადო სოციალურ ცხოვრებაზე ქუჩაში, ადა-

მიანებს შორის, არამედ „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლებზე», რომელიც აყალიბებს რომანის ცენტრალურ ნაწილს და რომლის მიხედვითაც მიიღო სახელწოდება. ზოგმა შეიძლება იფიქროს, რომ ეთნოგრაფიული სკეტი ველური ძაღლების, როგორც საზოგადოებრივი ქალაქური ცხოვრების წარმომადგენლების შესახებ, იყო თავისებური მეტაფორა და მას გააჩნდა ფარული მნიშვნელობა. პრობლემა, რა თქმა უნდა, იმაშია, რომ ეს სულაც არ იყო მეტაფორა, ეს იყო, უბრალოდ, რეალისტური აღწერა. აი, რატომ მიიჩნია რედაქტორმა, რომ სკეტის გამოქვეყნება შეუძლებელია, იგი აკრავს მას “top secret”-ის იარლიყს და მაღავს.

მინდა, მადლობა გადავუხადო ჩემთვის უცნობ აკა მორჩილაძეს იმისთვის, რომ ასეთი არაჩვეულებრივი ეთნოგრაფიული ნარკვევი დაწერა პერიოდზე, საიდანაც მოდის ყველა ჩემი იდეა. მინდა მადლობა ვუთხრა ემზარ ჯგერენაიას, რომელმაც მომცა შესაძლებლობა, წარმომედგინა ეს იდეები. მადლობას ვუხდის ჩემს მეგობრებს და კოლეგებს, რომლებიც მეხმარებოდნენ თარგმნაში და თქვენ, მსმენელებო, იმისთვის, რომ მოთმინება გეყოთ ჩემს მოსასმენად. გმადლობთ.

6 ივლისი, 2007 წელი.

ემზარ ხვიჩია

პიროვნება - ერი - ცივილიზაცია

საზოგადოების ოპტიმალური სტრუქტურა ახალი პარადიგმის მიხედვით

დასახელებული თემა საზოგადოების ოპტიმალურ მოწყობას ეხება, რომელიც კატეგორიათა სამეულის: _ პიროვნება _ ერი _ ცივილიზაცია _ ურთიერთმიმართებაშია წარმოდგენილი.

აქ მთავარია საკითხი იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს საზოგადოებრივი წარმონაქმნი, რომელიც ოპტიმალური სტრუქტურის მიღების და ტარების უნარიანია.

ეს საკითხი, თავის მხრივ, როგორც ვნახავთ, დაკავშირებულია საზოგადოებრივი წარმონაქმნის თვითკმარობის საკითხთან, ე.ი. იმასთან, თუ როგორი საზოგადოებრივი წარმონაქმნი ფლობს უნარს თავისი წარსული და აწმყო მდგომარეობის შინაარსის საფუძველზე სამომავლო მდგომარეობის შინაარსის განსაზღვრისა.

როგორც ნაჩვენები იქნება, ამგვარი სოციალური წარმონაქმნის განმსაზღვრელია პიროვნების კატეგორია, მისი ერთი ისეთი ასპექტი, რომელიც განასხვავებს მას, როგორც ინდივიდურ ფსიქიკურ ფენომენს სხვა ამგვარივე ფენომენებისაგან.

პიროვნება _ ერი _ ცივილიზაცია კატეგორიათა სამეულის ურთიერთმიმართება გვადლევს ისტორიის პროცესის მსხვილმასშტაბიანი სტრუქტურის დადგენის, ისტორიულ მოვლენებს შორის დღემდე შეუმჩნეველი კავშირ-მიმართებების

გამომჟღავნების, მომავლის თვისებრივი პროგნოზირების და ოპტიმალური სტრატეგიის შემუშავების საფუძველს. ამის გარეშე შეუძლებელია თანამედროვე მსოფლიო საზოგადოების მანკიერი მახასიათებლების, მისი განვითარების თვითმამუხრუჭებელი ფაქტორების წინააღმდეგობის დაძლევა. ყოველივე ეს შეადგენს ახალი სოციალურ-პოლიტიკური პარადიგმის, „ნაციონალ-გლობალიზმის“ შინაარსს.

საერთაშორისო ურთიერთობათა თანამედროვე პრაქტიკის განმსაზღვრელია ტრადიციად ჩამოყალიბებულ, მეტ-ნაკლებად ორიგინალურ ღირებულებათა სისტემის და სახელმწიფოებრიობის ინსტიტუტის მატარებელი, მეტ-ნაკლები სიმტკიცის მქონე საზოგადოებრივი ერთობანი, თანამედროვე სახელმწიფოები, რომელთა სულისკვეთება განსაზღვრულია წარმოდგენით, რომლის მიხედვითაც თითოეულ მათგანს თავისივე თავის მემკვიდრედ, ანუ ღირებულებათა იმავე სისტემის მატარებლად არსებობა-განვითარების უზრუნველყოფაში დაინტერესებული მხოლოდ საკუთარი თავი მოეპოვება და, ამდენად, თავის არსებობის გარანტიად დედამიწაზე მოცემულ საარსებო (სასიცოცხლო და სამრეწველო) რესურსების სულ უფრო და უფრო მეტ წილზე საკუთარი კონტროლის დამყარებაა დასახული, არა მხოლოდ საარსებო რესურსებზე საკუთარი მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით, არამედ, ამ რესურსებით სარგებლობაზე კონტროლის დამყარებით მოწინააღმდეგე ძალების გაძლიერების შესაძლებლობის აღსაკვეთად. ესე იგი, შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ეტაპზე (და ასე იყო ყოველთვის, დღემდე) საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში გაბატონებულია „საარსებო რესურსების დატაცების სტრატეგია“ და სახელმწიფოებრიობის ინსტიტუტისა და საზოგადოებრივი ერთობის სხვა უფრო მცირე სტრუქტურულ ელემენტთა (მათ შორის მონოპოლისტური ჯგუფები და კორპორაციები) მთავარი ამოცანა ამ შეუჩერებელი შეტევითი ქვევის სტრატეგიითაა განსაზღვრული. ამის გამო სახელმწიფოთა შორის მოკავშირეობა მხოლოდ საერთო მტრის პირისპირ ხდება შესაძლებელი და ამ შემთხვევაშიც კი პრობლემურია (მაგ., საბჭოთა საფრთხის მოხსნამ ბზარი მიაყენა ამერიკისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების ურთიერთობას. დღეს დასავლეთ ევროპის ინტეგრაციის პროცესი ამერიკის წინააღმდეგ კონსოლიდაციის მომენტსაც შეიცავს; სწორედ ამიტომ შეიძინა მან ახალი ბიძგი სსრკ-ს დაშლის შემდეგ).

„საარსებო რესურსების დატაცების სტრატეგიის“ კარნახით ყოველი ისტორიული საზოგადოებრივი ერთობა მოწოდებულია გაანადგუროს სხვა ამგვარი ისტორიული ერთეულები, ან თავს მოახვიოს მათ საკუთარი ღირებულებათა სისტემა, რადგან თითოეულ მათგანს, ხსენებული სტრატეგიის მიხედვით, მხოლოდ ამგვარად შეიძლება შეუმცირდეს ამგვარივე გარეგანი ზემოქმედების ობიექტის როლში ჩავარდნის შესაძლებლობა სამომავლოდ.

ცხადია, რომ საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში „საარსებო რესურსების დატაცების სტრატეგიის“ ბატონობის პირობებში შეუძლებელია შიშის ფაქტორის დაძლევა და მყარი მშვიდობის მიღწევა ერთ-ერთი საზოგადოებრივი ერთობის საბოლოო გამარჯვებამდე, რაც ნიშნავს ისეთი მდგომარეობის დამყარებას, როცა ადამიანისთვის ხელმისაწვდომ საარსებო რესურსთა უდიდესი ნაწილი ერთ-ერთი

საზოგადოებრივი ერთობის კონტროლქვეშ იქნება მოქცეული, ხოლო სხვა საზოგადოებრივ ერთობებს, თუ ისინი გააგრძელებენ არსებობას, საარსებო მინიმუმის ზღვარზე ექნებათ ამის შესაძლებლობა დატოვებული.

ამრიგად, „საარსებო რესურსების დატაცების სტრატეგია“ – „ძველი პარადიგმა“ – პოლიტიკური ექსტრემიზმის, საერთაშორისო დაძაბულობისა და გლობალური ომის საფრთხის განუხრელი ზრდის პირობად წარმოგვიდგება.

„საარსებო რესურსების დატაცების სტრატეგიის“ უკუგდებას დიდ პრობლემად აქცევს ის გარემოება, რომ, როგორც ნაჩვენებია იქნება, XX საუკუნის შუა წლებამდე გარკვეული ფაქტორის გავლენით, ეს სტრატეგია წარმოადგენდა საზოგადოებრივ ერთობათა ოპტიმალური ქცევის სტრატეგიას. XX საუკუნის შუა წლებში მოიხსნა ამ ფაქტორის გავლენა, მაგრამ, პოლიტიკური აზროვნებისა და პრაქტიკის ტრადიცია დასახლებულ სტრატეგიაზე, ძველ პარადიგმაზე აღმოცენებული და ჩამოყალიბებული ჩვეულების ინერციით, იგი დღემდე რჩება მსოფლიოში მოვლენათა განვითარების განმსაზღვრელად.

* * *

ამ ნაკლის იდეური დაძლევისა და საერთაშორისო ურთიერთობათა პროცესების ახალ სტრატეგიაზე დაფუძნების შესაძლებლობის და გზის მაჩვენებელია ბოლო დროის სამეცნიერო სიახლეები ფსიქოლოგიისა და თვითრეგულირების პროცესთა ლოგიკის კვლევის სფეროში. აქ დასმული საკითხებისათვის მნიშვნელოვანი ასპექტი ამ სიახლეებისა მდგომარეობს „ერისა“ და „ცივილიზაციის“ კატეგორიათა ზუსტი მეცნიერული დეფინიციის მიღწევაში (ამ ტერმინთა მნიშვნელობის ლოგიკურად მკაცრად დაფიქსირება, საერთაშორისო ურთიერთობების სუბიექტების განსაზღვრა) და ისტორიული პროცესის ლოგიკის განსაზღვრაში (ისტორიულ ეპოქათა იდენტიფიკაცია და მათი მონაცვლეობის კანონზომიერების დადგენა), რაც განხორციელებულ იქნა აზრის ორი განსხვავებული მიმართულებით განვითარების შედეგად.

პირველი მიმართულების ამოსავალს წარმოადგენს დიმიტრი უზნაძისეული დეფინიცია განწყობის კატეგორიისა, როგორც სუბიექტის სიმრთელის მომენტის, გარეშე სინამდვილესა და ფსიქიკურ შინაარსებს შორის შუამავალი რგოლის არსებობის მოდუსისა. განწყობის ამ დეფინიციისა და „განწყობის შინაარსში საზოგადოდ მოუცილებადი მომენტის“ არსებობის აღმოჩენის საფუძველზე ჩამოყალიბებულ იქნა ისტორიულ საზოგადოებრივ ერთობათა თვისებრივი კლასიფიკაციისა და იდენტიფიკაციის ორიგინალური ლოგიკური აპარატი, რომელსაც „ფსიქიკურ სტიქიათა თეორიას“ ვუწოდებთ.

განწყობის შინაარსში საზოგადოდ მოუცილებად მომენტს ოთხი განსხვავებული მნიშვნელობის მიღება შეუძლია, რომელთაც „ფსიქიკურ სტიქიებს“ ვუწოდებთ. „ფსიქიკური სტიქიებისა“ და შესაბამისი ფსიქიკური კომპლექსების აღსანიშნავად შემოტანილ იქნა მათი შედარებითი დახასიათებისთვის მოხერხებული შემდეგი სახელები: ფორმის მანია, ძლევის მანია, ცხრომის მანია და მართვის მანია.

წარმოდგენილ დასახელებებში ტერმინ „მანია“-ს გამოყენება „ფსიქიკურ სტიქიათა“ (კომპლექსთა) დომინანტურობის ხაზგასმას ემსახურება, ხოლო მის დომინანტურობას აქვს ის საფუძველი, რომ განწყობის შინაარსში არ მოიძებნება (არ არსებობს) სხვა

საზოგადოდ მოუცილებადი მომენტი, გარდა „ფსიქიკური სტიქიებით“ გამოხატულისა და ამდენად, ერთი ინდივიდის (მხოლოდითი სუბიექტი) მოქმედების აქტის საკმარისად ხანგრძლივობის პირობებში, ამ აქტის განმავლობაში, დროის ყოველი შუალედისათვის, ინდივიდის (სუბიექტის) განწყობის შინაარსში დაფიქსირებული, ფსიქიკურ სტიქია-თაგან განსხვავებული ყოველი მომენტისათვის მოიძებნება ამავე აქტის განმავლობაში დროის ისეთი შუალედი, რომელშიც ინდივიდის (სუბიექტის) განწყობის შინაარსის აღებული მომენტი, მის საზოგადოდ არამოუცილებადობის საფუძველზე, ჩანაცვლებული აღმოჩნდება საპირისპირო ეფექტის მქონე მომენტით; ხოლო ერთობლივად მოქმედი ჯგუფის (მრავლობითი სუბიექტი) მოქმედების აქტში, დროის ყოველ მომენტში, ამ ჯგუფის წევრთა რიცხვის საკმარისი სიდიდის პირობებში, ჯგუფის ყოველი წევრისთვის და მისი განწყობის შინაარსის „ფსიქიკურ სტიქიათაგან“ განსხვავებული ნებისმიერი მომენტისთვის მოიძებნება ამავე ჯგუფის სხვა წევრი, რომლის განწყობის შინაარსში აღებული მომენტი ჩანაცვლებული აღმოჩნდება საპირისპირო ეფექტის მქონე მომენტით. ამრიგად, ერთი ინდივიდის (მხოლოდითი სუბიექტი) საკმარისად ხანგრძლივი მოქმედების აქტის, ხოლო ინდივიდთა საკმარისად მრავალრიცხოვანი ჯგუფის (მრავლობითი სუბიექტი) ნებისმიერი ხანგრძლივობის ერთობლივი მოქმედების აქტის შემაჯამებელი, ანუ ინტეგრალური შედეგი მხოლოდ „ფსიქიკური სტიქიებით“ არის განსაზღვრული, წმინდად „ფსიქიკურ სტიქიათა ეფექტის ფენომენად“ წარმოგვიდგება.

ცხადია, რაც უფრო მეტი იქნება ერთობლივად მოქმედი ჯგუფის (მრავლობითი სუბიექტი) მოქმედების აქტის ხანგრძლივობა, საზოგადოდ, მით უფრო ნაკლები იქნება „ფსიქიკურ სტიქიათა“ დომინანტურობის გამოსავლენად აუცილებელი რიცხვი ამ ჯგუფის წევრებისა და ზღვარში, აქტის ხანგრძლივობის საკმარისად გაზრდით, „ფსიქიკურ სტიქიათა დომინანტურობის ეფექტის“ შენარჩუნება ერთობლივად მოქმედ ჯგუფებში წევრთა რიცხვის ერთსაკენ მისწრაფების პირობებშიც მიიღწევა. მაგრამ საამისოდ საკმარისი დროის შუალედი (აქტის ხანგრძლივობა), საზოგადოდ, შეიძლება რამდენიმე თაობის სიცოცხლის ხანგრძლივობისა აღმოჩნდეს და, ამდენად, ფსიქიკურ სტიქიათა დომინანტურობის ეფექტში მრავლობითი სუბიექტის წარმომდგენი, ინდივიდთა სინქრონული (თანადროულობითი) მრავლობა და ინდივიდთა დიაქრონული (დრომონაცვლებითი) მრავლობა ურთიერთგარდასახვადობით უნდა ხასიათდებოდეს. ინდივიდთა დიაქრონულ მრავლობაზე აქტის სუბიექტის ერთიდაიგივეობას უზრუნველყოფს აქტის მანძილზე ურთიერთმონაცვლე ინდივიდთა შორის მემკვიდრეობითი ურთიერთკავშირი: წინა თაობის ინდივიდის შემოქმედების შედეგთა, მოქმედების მოტივაციათა და მისი ხასიათის თვისებრივ პარამეტრთა გათავისება მომდევნო თაობის ინდივიდის მიერ, მის მოქმედებას (შემოქმედებას) წინა თაობის ინდივიდის იმ მოქმედების (შემოქმედების) აქტის გაგრძელებად სახავს (აქცევს), რომელმაც წინა ეტაპზე წინა თაობის ინდივიდის მოქმედების (შემოქმედების) შედეგთა განხორციელება მოიტანა და, რომელიც ამაზე არ შეჩერდა.

„ფსიქიკურ სტიქიათა“ დომინანტურობის ეფექტი ორივე პარამეტრის (დრო და ინდივიდთა რიცხვი) მიხედვით არის წარმოდგენილი ისტორიულ საზოგადოებრივ ერთობათა ფენომენში, ანუ მემკვიდრეობითი ურთიერთმიმართებით დაკავშირებულ თაობათა შეუჩერებელი ურთიერთმონაცვლეობისა და ურთიერთქმედების მოვლენაში.

ამდენად, ისტორიის პროცესი სივრცესა (ინდივიდთა სიმრავლე) და დროში მსხვილმასშტაბიანი სტრუქტურის მიხედვით, არსებითად, „განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტის“ ინტეგრალური ეფექტის ფენომენად წარმოგვიდგება.

შეიძლება შემოვიტანოთ ფსიქიკური ინდივიდუალობის ოთხი ეტალონური ფენომენი: სუბიექტი, რომლის განწყობის შინაარსი ერთ-ერთი ფსიქიკური სტიქიით ამოიწურება. ეს ეტალონური ფენომენები არიან ისტორიის სუბიექტები მისი მსხვილმასშტაბიანი სტრუქტურის მიხედვით.

განწყობის შინაარსის მოუცილებადი მომენტის დომინანტურობის გამოვლენის დროითი და რიცხვითი (სივრცითი) პარამეტრების ურთიერთმიმართების საფუძველზე, ინდივიდთა სინქრონული მრავლობისა და დიაქრონული მრავლობის ურთიერთგარდასახვადობა ისტორიულ პროცესში პიროვნული და საზოგადოებრივი ფაქტორების ფაქტიური ტოლფასობის, ისტორიულ პროცესზე ინდივიდის მიერ კოლოსალური გავლენის გატარების შესაძლებლობების ამხსნელია: ის, რაც ისტორიის კონკრეტულ ეპოქაში დიდმასშტაბიანი, სინქრონული მრავლობის (მაგ., ჰეგემონური საზოგადოებრივი ერთობა) სახით გვაქვს დაფიქსირებული, ისტორიის ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ მისივე თვისებრივ განმეორებასთან მხოლოდ ერთეულ ინდივიდთა დიაქრონული მრავლობით (ერთეულ ინდივიდთა მემკვიდრეობითი კავშირების ჯაჭვით) შეიძლება აღმოჩნდეს დაკავშირებული.

განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტის ინტეგრალური ეფექტი შეიძლება განხორციელებულ იქნას ორგვარად: ან თავისი ოთხი შესაძლო მნიშვნელობიდან ერთ-ერთზე დაფიქსირებულობის პირობებში, ან ამ ოთხი შესაძლო მნიშვნელობის მონაცვლეობის დაშვებულობის პირობებში, ე.ი. ან წმინდად ერთ-ერთი „ფსიქიკური სტიქიის ეფექტის“, ან „ფსიქიკურ სტიქიათა ეფექტების“ მონაცვლეობის პროცესის სახით. პირველი შემთხვევა – „განწყობის შინაარსის მოუცილებადი მომენტის პირველი გვარის ინტეგრალური ეფექტი“ – შეესაბამება „ერის“ კატეგორიას და გულისხმობს თაობებს შორის მიმდებლობით ანუ პოზიტიურ მემკვიდრეობით კავშირს (განწყობის შინაარსის მოუცილებადი მომენტის მოცემული მნიშვნელობით შენარჩუნება, თაობიდან თაობაში), ხოლო „განწყობის შინაარსის მოუცილებადი მომენტის მეორე გვარის ინტეგრალური ეფექტი“ შეესაბამება „ცივილიზაციის“ კატეგორიას და გულისხმობს თაობებს შორის უარყოფილობით ანუ ნეგატიურ მემკვიდრეობით კავშირს (თაობიდან თაობაში განწყობის შინაარსის მოუცილებადი მომენტის ერთი მნიშვნელობის მეორით ჩანაცვლება, ან ერთ მნიშვნელობასთან მეორის კომბინირება, რაც ასევე, ციკლური ლოგიკის მიხედვით, განსაზღვრული მესამით ჩანაცვლების ტოლფასია).

ცხადია, რომ განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტის მეორე გვარის ინტეგრალური ეფექტი გულისხმობს განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტის პირველი გვარის ეფექტის სათანადო მნიშვნელობით თაობებს შორის მემკვიდრეობითი კავშირის გაუქმებას და რეალიზებადია მხოლოდ ამ პირობით.

ტერმინ „ერი“-ს გამოყენება განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტის პირველი გვარის ინტეგრალურ ეფექტთან მიმართებაში ნაკარნახევია იმ გარემოებით, რომ უზოგადესი გაგებით „ეროვნულ მემკვიდრეობათა“ სახელით ცნობილ

ისტორიულ ფენომენტა (ენის, კონფესიის, ყოფითი ტრადიციის, ხელოვნების, სამეცნიერო მიღწევებისა და სხვა ასპექტების ერთობლიობა), ძირითადი თვითშეთანხმებული კომპონენტების მიხედვით თვისებრივი ურთიერთმსგავსება და ურთიერთგანსხვავება „ფსიქიკური სტიქიების“ თვითთავისებობისა და ურთიერთგანსხვავების გამოხატულებად წარმოგვიდგება.

ამრიგად, შეიძლება ისტორიულ მემკვიდრეობათა საფუძველზე ერთა თვისებრივი კლასიფიკაციის განხორციელება ერთა ოთხი თვისებრივი ტიპის დაფიქსირებით, რომელთაც ფსიქიკურ სტიქიათა დასახელების მიხედვით შეიძლება ვუწოდოთ: „ერთა ფორმის მანიის კლასი“, „ერთა ძლევის მანიის კლასი“, „ერთა ცხრომის მანიის კლასი“ და „ერთა მართვის მანიის კლასი“. მათი თვისებრივი მახასიათებლები (მათ შორის, მაგალითად: სამართლებრივი მოწყობის, სქესთა შორის და თაობათა შორის ურთიერთობის, აღზრდის პრინციპებისა და სხვა ასპექტები) განსაზღვრულია სათანადო ფსიქიკურ სტიქიათა ეფექტების პარამეტრებით. ცხრილში წარმოგიდგენთ ზოგიერთ მათგანს, რომელთაც განსახილველ საკითხთან აქვთ გარკვეული მიმართება. (იხ. ცხრილი)

დასაშვებია ერთა თვისებრივი ტიპების ალტერნატიული დასახელებაც, ფორმის მანიის, ანუ მოვალეობის აპოლოგიის კლასი, ძლევის მანიის, ანუ თანასწორობის აპოლოგიის კლასი, ცხრომის მანიის, ანუ თავისუფლების აპოლოგიის კლასი, მართვის მანიის, ანუ თანხმობის აპოლოგიის კლასი.

განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტის მეორე გვარის ინტეგრალური ეფექტი, მისივე პირველი გვარის ეფექტის ფენომენტა, ანუ სხვადასხვა თვისებრივი ტიპის ერთა ურთიერთქმედებაში პოულობს უმაღლეს გამოხატულებას. ამრიგად, მეორე გვარის ინტეგრალური ეფექტის ფენომენტები ანუ ცივილიზაციები, თავის უმაღლეს რეალიზაციაში, ოთხივე თვისებრივი ტიპის ერთა ერთობლიობას გულისხმობენ და მათი ურთიერთქმედების პროცესის სახით ვლინდებიან.

ყოველი ისტორიული საზოგადოებრივი ერთობა, საზოგადოდ, განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტის ორივე გვარის ინტეგრალური ეფექტის რეალიზაციის ობიექტია. ამდენად, მის თვითორგანიზაციის მოვლენაში ანუ „სახელმწიფოებრიობის“ ფენომენტში საფუძველი გააჩნია ორი ურთიერთსაპირისპირო ტენდენციის ურთიერთბრძოლას: ერთი მათგანი გამოიხატება საზოგადოებრივი ერთობის ერთად თვითდამკვიდრებისკენ მისწრაფებაში, მეორე – საზოგადოებრივი ერთობის ცივილიზაციად თვითდამკვიდრებისკენ მისწრაფებაში; ე.ი. პირველი მიმართულია სახელმწიფოებრიობის ინსტიტუტის მისი მატარებელი საზოგადოებრივი ერთობის წმინდად ერთად არსებობის შედეგად და მექანიზმად დადგენისკენ, მეორე – მის ცივილიზაციად არსებობის შედეგად და მექანიზმად დადგენისკენ. ეს გარემოება, რომელიც სახელმწიფოებრიობის ინსტიტუტის თვისებრივი გრადაციის პოტენციურ დიაპაზონს მონიშნავს, ერის და ცივილიზაციის ტერმინთა მნიშვნელობის ურთიერთაღრევის ტრადიციის არსებობის საფუძველსაც წარმოადგენდა.

ფსიქიკურ სტიქიათა ეფექტის პარამეტრები, (იხ. ცხრილი) ანუ ერთა თვისებრივი ტიპების მახასიათებლები ცივილიზაციის ფენომენტში ერებს შორის ოპტიმალური ურთიერთმიმართების შინაარსს განსაზღვრავენ, მაგრამ კაცობრიობის ისტორიაში ლოკალურ ცივილიზაციათა სიმრავლის მიუხედავად ვერ დავასახელებთ ვერც ერთ

მათგანს, რომელშიც ერებს შორის ურთიერთობები, მათ შორის ოპტიმალური ურთიერთმიმართების მნიშვნელობაზე ყოფილიყო დაფიქსირებული (ისტორიულ ცივილიზაციათა სტიქიურობის პირობა). ამ გარემოებას გააჩნია ფუნდამენტური ახსნა, რომელიც, ამასთანავე, ცივილიზაციისა და მისი მატარებელი საზოგადოებრივი ერთობის ურთიერთმიმართების მნიშვნელობის დაზუსტებაშიც გამოიხატება.

განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტის მეორე გვარის ინტეგრალური ეფექტის განხორციელების კანონზომიერებათა დადგენას დიდად აადვილებს აზრის მეორე მიმართულებით განვითარების შედეგად ჩამოყალიბებული, ორიგინალური ლოგიკური აპარატი, „ციკლური ლოგიკა“, რომელიც განსაზღვრული ლოგიკური პირობის მაკმაყოფილებელი ობიექტების, „სრული სისტემების“ სტრუქტურისა და არსებობის წესის დამდგენია (თვითრეგულირებადობის დედუქციური დეფინიცია).

„ციკლური ლოგიკის“ მიხედვით, „სრულ სისტემათა“ არსებობა განსაზღვრული თვისებრივი ფაზების, ერთ-ერთი შესაძლო სქემის მიხედვით შეუჩერებელ ურთიერთმონაცვლეობაში გამოიხატება.

„ფსიქიკურ სტიქიათა თეორიით“ წარმოდგენილი დეფინიცია ცივილიზაციის კატეგორიისა, მას „სრული სისტემის“ კერძო, თუმცა კი განსაკუთრებულ მაგალითად წარმოგვიდგენს.

ამრიგად, ცივილიზაცია „სრული სისტემის“ სოციალური მოდუსია, ხოლო სრული სისტემის არსებობის გამომხატველ ურთიერთმონაცვლე თვისებრივ ფაზათა რეალიზაცია მის ისტორიაში, უმაღლეს გამოხატულებაში, სათანადო თვისებრივი ტიპის ერთა, როგორც კონკრეტული თვისებრივი ფაზის რეალიზატორ, ფუნქციურ ელემენტთა (ეს არის ცივილიზაციის „სრული სისტემის“ განსაკუთრებულ მაგალითად წარმოდგენი გარემოება), პროდუქტიულ აქტიურობაში პოულობს ასახვას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ციკლური ლოგიკა იძლევა ფსიქიკურ სტიქიათა ეფექტების ურთიერთმონაცვლეობის შესაძლო სქემების განსაზღვრას, ცივილიზაცია კი, ფსიქიკურ სტიქიათა ეფექტების მონაცვლეობის ერთ-ერთი შესაძლო სქემის რეალიზაციის ფენომენად წარმოგვიდგება და იგი თავის მატარებლად გულისხმობს საზოგადოებრივ ერთობას, რომელიც ამ პროცესს არის თვითდაქვემდებარებული.

„ციკლური ლოგიკა“ ოთხი განსხვავებული თვისებრიობის ცივილიზაციის არსებობის შესაძლებლობას ამტკიცებს, რომელთა შორის სხვაობა „ფსიქიკურ სტიქიათა“ ეფექტების მონაცვლეობის სქემის ოთხი განსხვავებული ტიპის არსებობის შედეგია. მათ შორის, სტაბილურობისა და დინამიურობის ოპტიმალური შეთავსებით ხასიათდება სქემა, რომელსაც „ფარული დასაწყისის ეფექტს“ ვუწოდებთ, იმდენად არ არის შემთხვევითი, რომ თანამედროვე გლობალური ცივილიზაციის ფორმირებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა სამი ამგვარი ცივილიზაციის ურთიერთკონფლიქტმა.

„ფარული დასაწყისის ეფექტის“ სქემაში შეწყვილებულია ოთხხვლიან ციკლურ რიგში ერთმანეთისგან გაშუალებული ორი ფსიქიკური სტიქია, ესე იგი, ან მართვის მანია და ძლევის მანია, ან ცხრომის მანია და ფორმის მანია, რაც ქმნის „ორმაგი ეფექტის ფაზებს“, რომელთაც მონაცვლეობით მოსდევს დანარჩენი ორი ფსიქიკური სტიქიის „ცალფა ეფექტის ფაზები“.

„ფარული დასაწყისის ეფექტის“ კერძო რეალიზაციის, ანუ ამგვარი კერძო ცივილიზაციის დასახელება მოხერხებულია პირველი „ორმაგი ეფექტის“ ფაზის რეალიზაციის პროცესის ლოკალიზაციის გეოგრაფიის მიხედვით. ამის გათვალისწინებით ხსენებული სამი ცივილიზაცია შემდეგნაირად შეიძლება დავასახელოთ: „მესოპოტამიური ფარული დასაწყისის ეფექტის განვითარების ფენომენი“ – მესოპოტამიური ცივილიზაცია; „ეგეოსური ფარული დასაწყისის ეფექტის განვითარების ფენომენი“ – ეგეოსური ცივილიზაცია; „დასავლეთევროპული (ევროპული) ფარული დასაწყისის ეფექტის განვითარების ფენომენი“ – ევროპული ცივილიზაცია.

ამრიგად, ერი, საზოგადოდ, ცივილიზაციის ფუნქციონალურ ელემენტად, მისი ისტორია კი, აქტიურობის (მისი განსაკუთრებულად პროდუქტიულობის) და მოლოდინის (მისი ნაკლებად პროდუქტიულობის) ეტაპთა მონაცვლეობად წარმოგვიდგება. ესე იგი, ცივილიზაციის ისტორიაში ყოველ მომენტში როდია კონკრეტული თვისებრივი ტიპის ერთა არსებობა აქტუალური; თავის მოლოდინის ეტაპზე ერის თვისებრივი ტიპის (სათანადო ფსიქიკური სტიქიის) შესაბამისი განწყობით მოქმედება ნაკლებპროდუქტულია და ვერ უზრუნველყოფს ამ ერის წევრთა წარმატებას, რაც ერის წარმომდგენ საზოგადოებრივ ერთობაში თვისებრივი ტრანსფორმაციისაკენ მიდრეკილების წარმოშობის საფუძველია; ერი იხსნება მიმდინარე ფაზის რეალიზატორ ერთა გავლენისადმი და მისი არსებობის შენარჩუნება მხოლოდ ტრადიციის ინერციაზე რჩება დამყარებული. ისტორიის უკანასკნელ ეტაპამდე ლოკალურ ცივილიზაციებში ფაზათა ხანგრძლივობა რამდენიმე საუკუნეს შეადგენდა, ამდენად, არაა გასაკვირი, რომ ერთა თვისებრივი ტრანსფორმაციის მრავალი მაგალითის დასახელება შეიძლება (იხ. ცხრილი).

ცივილიზაციაში მიმდინარე ფაზის სათანადო თვისებრივი ტიპის ერთა ზეგავლენა სხვა თვისებრივი ტიპის ერებზე მხოლოდ დახმარების გაწევის სურვილის შემთხვევაშიც კი, და მით უფრო საარსებო რესურსების დატაცების სტრატეგიის ბატონობის პირობებში, თვისებრივი ტრანსფორმაციის ხალშეწყობის მნიშვნელობას ვერ ასცდება და შეიძლება კონკრეტულ ფაზაში ცივილიზაციის მთელი არე ამ ფაზის სათანადო თვისებრივი ტიპის ერთმა ან რამდენიმე ერმა დაიკავოს. სწორედ ეს გარემოებაა ცივილიზაციაში ერებს შორის ურთიერთობის მათ შორის ოპტიმალური ურთიერთმიმართების მნიშვნელობაზე დაფიქსირების ხელშემშლელი ფაქტორი (თანამედროვე მსოფლიოში, თავისი არსით, მსოფლიო საზოგადოების ცხრომის მანიის კლასის ერთიან ერად ჩამოყალიბებისკენ მიმართული, ეგრეთწოდებული, გლობალიზმის იდეოლოგიაა ამ მისწრაფების გამომხატველი). მაგრამ თუ ცივილიზაციაში განხორციელდა ამგვარი მდგომარეობა, მაშინ მასში მორიგი თვისებრივი ფაზის დადგომისას, არ აღმოჩნდება შენარჩუნებული ახალი ფაზის სათანადო თვისებრივი ტიპის არც ერთი ერი და გარდაუვალი ხდება შინაგანი კონფლიქტი ცივილიზაციაში ამგვარი ელემენტისთვის ადგილის გამოსათავისუფლებლად, ხოლო ერი (ან ერთი და იგივე თვისებრივი ტიპის რამდენიმე ერის ერთობა), რომელმაც მისთვის ხელსაყრელ ფაზაში მოახდინა ცივილიზაციის მთელი სივრცის დაჭერა, თვითონ გახდა ობიექტი ახალ ფაზაში ნაკლებ ელემენტათვის ადგილის გამოთავისუფლების პროცესისა, რაც მის წარმომდგენ

საზოგადოებრივი ერთობის უპირატეს ნაწილში, წარსულთან პოზიტიური მემკვიდრეობითი კავშირის გაწყვეტისაკენ მისწრაფების საფუძველზე სამოქალაქო კონფლიქტის გაჩაღებას და ერის გახლეჩას ან ერთიანად თვისებრივ ტრანსფორმაციას გამოიწვევს.

ინფორმაციის დაგროვების სიჩქარის ზრდის შედეგად ისტორიის პროცესში განუხრელად მცირდებოდა ცივილიზაციებში ცალკეული ფაზების ხანგრძლივობა. დღეს ეს მახასიათებელი შემცირებულია ორ ათეულ წლამდე. სწორედ, ორი ათეული წლის ხანგრძლივობით ჩაიარა რამდენიმე ფაზამ XX ს-ის 40-იანი წლებიდან მთელ მსოფლიოზე განფენილ ეგეოსურ ცივილიზაციაში. ამდენად, ერთი თაობის ცხოვრება, ისტორიის თანამედროვე ეტაპზე, გლობალურ ცივილიზაციაში, რამდენიმე ფაზის ხანგრძლივობისაა და თაობა, რომელიც წარმოადგენდა კონკრეტულ ერს, მის მიერ ცივილიზაციაში სათანადო თვისებრივი ფაზის რეალიზაციის აქტში, შეიძლება თავისი სიმწიფის ასაკშივე შეხვდეს ამავე ერის თვისებრივი ტრანსფორმაციის მოთხოვნის დამყენებელ ვითარებას, რასაც ცხადია, რომ მისი მხრიდან დიდი წინააღმდეგობა მოელის და შეიძლება ახალმა ფაზამ სათანადო თვისებრივი ტიპის ერის ჩამოყალიბებისთვის ადგილის გამოთავისუფლების მხოლოდ მცდელობის ანუ წმინდად დესტრუქციული მნიშვნელობით ჩაიაროს. ამის მაგალითია XX საუკუნის პირველი მეხუთედი, ერთ-ერთი ფაზა ევროპული ცივილიზაციისა, რომლის სათანადო ნაკლები ელემენტისთვის ადგილის გამოთავისუფლების პროცესი 1905_07 წლების რუსეთის რევოლუციის დამარცხებით შეფერხებული და 1914_18 წლების პირველი მსოფლიო ომის მოვლენაში განვითარებული, 1917 წლის რუსეთის ოქტომბრის რევოლუციის და 1918_20 წლების სამოქალაქო ომის შედეგად ეწია განხორციელებას (ხოლო 1921 წელს ამ ცივილიზაციაში ახალი ფაზის დადგომით რუსეთი ახალი ტრანსფორმაციის პროცესში მოექცა).

სანამ დედამიწაზე თანაარსებობდნენ ლოკალური ცივილიზაციები, ერთ მათგანში სათანადო ნაკლებ თვისებრივ ელემენტზე, ახალი ფაზის დადგომით აქტუალიზებული მოთხოვნილება შეიძლებოდა მეორე ცივილიზაციიდან ამგვარივე თვისებრიობის ელემენტის შეთვისების გზით დაკმაყოფილებულიყო, რაც ცივილიზაციათა კონფლიქტის შემარბილებელ და მათი ინტეგრაციის ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენდა; დღეს კი, როცა მსოფლიოს ყველა ერი, მთელი კაცობრიობა (იზოლირებულ, მცირე ეთნოსთა გამოკლებით) ერთ ცივილიზაციაშია მოქცეული, მასში არც ერთი თვისებრივი ტიპის ერთა დანაკლისი არ შეიძლება იყოს რამენაირი კონსტრუქციული მნიშვნელობის ფაქტორი და, ამრიგად, არ არსებობს არავითარი საფუძველი თავი ავარიდოთ საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში ამ შემოთავაზებული სამეცნიერო სიახლეებით ნაკარნახევ ახალ სტრატეგიაზე გადასვლას, რომელსაც, ზემოთქმულის მიხედვით, საფუძვლად აქვს ის გარემოება, რომ თავისივე თავის მემკვიდრედ ანუ თვისებრივი ტიპის შენარჩუნებით არსებობის და განვითარების ობიექტურად აუცილებელი პირობა ყოველი ერისთვის, მის მომცავ ცივილიზაციის ფარგლებში (დღეს, თანამედროვე გლობალურ ცივილიზაციაში) სამივე სხვა თვისებრივი ტიპის ერების მასთან თანაარსებობის უზრუნველყოფაა.

ეს ნიშნავს თვითგანვითარების პირობად, ყოველი ერის მიერ, ცივილიზაციაში, მისთვის ხელსაყრელ ფაზაში, თავისი ექსპანსიის ისეთ ზღვარზე თვითშეჩერების ობიექტურ აუცილებლობას, რომლის მიღმაც, ცივილიზაციის ფარგლებში, მოცემული

იქნება საკმარისი რესურსები სამივე სხვა თვისებრივი ტიპის თითო მაინც ერის ამავე ხარისხით განვითარებისთვის.

ამ პრინციპზე დაფუძნებულ სტრატეგიას შეიძლება ეწოდოს „საარსებო რესურსების ოპტიმალურად განაწილების სტრატეგია“. იგულისხმება ოპტიმალურად განაწილება არა მხოლოდ ერებს შორის, არამედ, ერის კატეგორიის წარმოდგენილი დეფინიციის საფუძველზე, ერების წარმომდგენ საზოგადოებრივ ერთობათა წევრებს შორისაც: მოკლე დროში განწყობის შინაარსში საზოგადოდ მოუცილებადი მომენტის პირველი გვარის ინტეგრალური ეფექტის გამოვლენის პირობაა თვითგამოხატვაში შეუზღუდველ, სათანადო ფსიქიკური ტიპის ინდივიდთა საკმარისად დიდი, სინქრონული მრავლობის არსებობა.

უნდა აღინიშნოს, რომ ერი წმინდად ფსიქიკური სფეროს ფენომენია და ამდენად, ბიოლოგიური წარმომავლობა ვერ უზრუნველყოფს პიროვნების მოცემული ერის წევრად დადგენას; საამისოდ აუცილებელია, ადამიანმა გაიაროს მოცემული ერის წევრად მაფორმირებელი პროცესი, რაც ერის კულტურულ-ინტელექტუალური მემკვიდრეობის ათვისებას გულისხმობს. ფსიქიკურ სტიქიათა თეორია წარმოაჩენს აღზრდის პროცესში ერთ, აუცილებლად გასათვალისწინებელ ფაქტორს, კერძოდ, რომ ფსიქიკური ინდივიდუალობა არ წარმოადგენს ერთხელ და სამუდამოდ მოცემულ რაობას – მას გამოვლენის, ანუ „ფენომენური განვითარების საფეხურები“ გააჩნია. ნულოვან, ანუ ამოსავალ საფეხურს შეესაბამება მდგომარეობა, როცა „განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტი“ მის ერთ-ერთ მნიშვნელობათაგანზე არ არის დაფიქსირებული; ამგვარი ფსიქიკური ინდივიდუალური ფენომენი მხოლოდ ბიოსფეროს კუთვნილებაა. ფსიქიკურ სტიქიათა თეორია გვამლევს ინდივიდის პიროვნებად, ნოსოფეროს ფენომენად დამდგენ, „ფსიქიკური ინდივიდუალობის, ფენომენური განვითარების“ რამდენიმე (ტოტემიზმი, მითოსი, რელიგია, მეცნიერება...) საფეხურის დედუქციურ იდენტიფიკაციას. ერები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მათი ისტორიით წარმოდგენილ „ფსიქიკური ინდივიდუალობის ფენომენური განვითარების“ პროცესში მიღწეული საფეხურების მიხედვითაც; ყველაზე დაწინაურებული ერები დღეს „ფენომენური განვითარების“ მეოთხე საფეხურზე იმყოფებიან. ისინი თანამედროვე მსოფლიოში თანაარსებობენ „ფენომენური განვითარების“ წინა საფეხურებზე მდგომ ერებთან, რისი გაუთვალისწინებლობაც საერთაშორისო ურთიერთობებში დამატებითი პრობლემების საფუძველს წარმოადგენს.

აღზრდის პროცესში აუცილებელია მოზარდისთვის მისაწოდებელი ინფორმაციის, მისი ასაკის სათანადო „ერის ფენომენური განვითარების საფეხურის“ კონკრეტულობით შემოფარგვლა. აღზრდის სისტემაში ამ პრინციპის გათვალისწინება უზრუნველყოფს ერის თავის თავისადმი მიმართების ოპტიმალურობას და ამდენად, გლობალური პოლიტიკური სისტემის ოპტიმიზაციის აუცილებელი პარამეტრია.

„ფსიქიკურ სტიქიათა თეორიის“ და „ციკლური ლოგიკის“ შედეგებით განსაზღვრული მსოფლიო წესრიგის დამყარების აუცილებელი და საკმარისი პირობაა მსოფლიოს ერთა კულტურულ-ინტელექტუალური მემკვიდრეობის საფუძველზე მათი თვისებრივი ტიპის აღიარების, თვითაღიარებისა და დაფიქსირების გამომხატველი საერთაშორისო შეთანხმების დადება (რომლის საფუძველი, როგორც აღინიშნა, ობიექტური აუცილებლობაა და არა კეთილი ნება). ამით განისაზღვრება ყოველი ერის

საერთაშორისო სტატუსი და ფუნქცია და მისთვის დათმობილი საარსებო რესურსებით, მათ შორის ტერიტორიით, სარგებლობის ხასიათი _ ახალი პარადიგმა.

პირველ მიახლოებაში ახალი ოპტიმალური მსოფლიო წესრიგი ფსიქიკურ სტიქიათა ეფექტების პარამეტრთა მიხედვით შემდეგნაირად შეიძლება წარმოვიდგინოთ:

მისი ერთ-ერთი მთავარი პრინციპი იქნება ფორმის მანიის კლასის ერებისათვის ტერიტორიის ექსკლუზიური ფლობის პირობების უზრუნველყოფა, რამეთუ ამ თვისებრივი ტიპის ერები უცხო სადამი შეუწყნარებლობით, უცხო სთან შეუთავსებლობით ხასიათდებიან; რჩეულობის ცნობიერება მათი მოუცილებელი მახასიათებელია, რამეთუ ფორმის მანიის კლასის ერთა საზოგადოებრივი თვითორგანიზაციის საზრისია საკუთარ საარსებო სივრცეზე „საზოგადოებრივი ყოფიერების ჯერარსული მოდუსის“ რეალიზაციისკენ მისწრაფება; ყოფიერების ყველა სხვაგვარი მოდუსი (ფორმა) უარყოფითად ფასდება და როცა ცივილიზაციაში დგება სათანადო ფაზა, ყოფიერების უცხო მოდუსის ელემენტებისგან საკუთარი საარსებო სივრცის გაწმენდის სულისკვეთების აფეთქებას ან თვისებრივი ტიპის ერებში ვერაფერი შეაჩერებს. გარედან ამ პროცესზე შემადგერხებელი ზეგავლენის მოხდენის მცდელობა მხოლოდ ექსტრემისტული უკურეაქციის პროვოცირების მომტანია.

ფორმის მანიის კლასის ერის სახელმწიფოებრივი მოწყობის ოპტიმალურობა ცენტრალიზმის მომენტის პრიმატში გამოიხატება. ეკონომიკის სახელმწიფო-მონოპოლისტური რეგულირება, სახელმწიფო მოხელეთა მომზადებისა და სელექციის ცენტრალური, სახელმწიფო ინსტიტუტი მისი აუცილებელი ატრიბუტია, რაც თანამედროვე სტიქიური პროცესების შემთხვევაში, ერთპარტიული პოლიტიკური სისტემის დამყარების გზით განიცდის რეალიზაციას. რეაქციულ ხასიათს ამგვარ სისტემებს გარედან მათი ტრანსფორმაციისკენ მიმართული ზეწოლისადმი უკურეაქცია ანიჭებს.

ფორმის მანიის კლასის ერთა წარმომადგენლობითი ინსტიტუტი, ახალი ოპტიმალური წესრიგის ფარგლებში, გლობალური ცივილიზაციის უზენაეს საკანონმდებლო ინსტანციად უნდა დადგინდეს.

ძლევის მანიის კლასის ერების მისწრაფება თვითორგანიზაციისაკენ, ანუ სახელმწიფოებრიობა სამხედრო ინსტიტუტის პრიმატში პოულობს გამოხატულებას, რაც შესაბამისობაშია ერთა ამ თვისებრივი ტიპის საერთაშორისო ფუნქციასთან, რომელიც სასაზღვრო კონფლიქტების აღკვეთაში, საგარეო აგრესიის ობიექტ ერთა დაცვის უზრუნველყოფაში მდგომარეობს. საამისოდ აუცილებელია საკუთარი სამხედრო სამრეწველო კომპლექსი და მთელს მსოფლიოში, განსაკუთრებით, ფორმის მანიის კლასის ერთა საერთო საზღვრების გასწვრივ, სამხედრო ბაზების ინფრასტრუქტურა. ცხადია, რომ ძლევის მანიის კლასის ერთა საერთაშორისო ფუნქციის შემსრულებელი ინსტიტუტის საფუძველი რუსული სახელმწიფოებრიობა იქნება. ამ თვისებრივი ტიპის სხვა ერები მიიღებენ მათ წარმომადგენელთა დაშვებას ამ ინსტიტუტში. აღსანიშნავია, რომ რუსეთის საერთაშორისო ასპარეზზე თვითრეალიზაციის მცდელობაში სწორედ ამგვარ სულისკვეთებას ავლენს; იგი ხელს უწყობს ლოკალური კონფლიქტების გაღვივებას იქ, სადაც თვითონ შეუძლია გამშველელი ძალის ფუნქცია მოიპოვოს. ახალი ოპტიმალური მსოფლიო წესრიგის დამყარების შემთხვევაში მას არ დასჭირდება თვითრეალიზაციის პირობების

ხელოვნურად შექმნა და მსოფლიო მშვიდობის წმინდა კონსტრუქციულ ფაქტორად იქცევა. აღსანიშნავია, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში პოზიციების შენარჩუნება რუსეთისათვის დაკარგავს სასიცოცხლო მნიშვნელობას და კავკასიის ხალხებს მიეცემათ საშუალება, ტრადიციაში მეტნაკლებად ჯერ კიდევ შემორჩენილ ისტორიულ-კულტურულ ორიენტირებს დაუბრუნდნენ.

ერთა ძლიერის მანიის კლასის ფუნქციაა ასევე საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფაზე ზედამხედველობა (მხოლოდ ზედამხედველობა) მსოფლიოს მასშტაბით.

ერთა ძლიერის მანიის კლასის სათანადო, საერთაშორისო პარიტეტის ინსტიტუტს საერთაშორისო აგრესიის მხოლოდ შეკავების უფლება ეკუთვნის, ხოლო აგრესიის ფაქტის აგრესორი ძალის ცივილიზაციისგან განდგომად შეფასების შემთხვევაში (უმაღლესი საერთაშორისო სამართალდამდგენი ინსტანციის ფუნქცია), მის საყრდენ არეზე საპასუხო ინტერვენციის განხორციელება ერთა ცხრომის მანიის კლასის ფუნქციაა. საამისოდ ასევე აუცილებელია გლობალური ფუნქციის სამხედრო ინსტიტუტი, და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საერთაშორისო კოალიციის ჩამოყალიბება და წინამძღოლობა, ხოლო ამგვარ აქციებზე ვეტოს დადება ან მისი შედეგების დაკანონება უზენაესი საკანონმდებლო ინსტანციის, ფორმის მანიის კლასის ერთა წარმომადგენლობითი ინსტიტუტის ფუნქციაა. ამრიგად, არ არის შემთხვევითი, რომ ამერიკა ცდილობს, სწორედ ამგვარად წარმოადგინოს თავისი მოქმედება ერაყში, ავღანეთსა და ბალკანეთში, თუმცა იგი ბოლომდე არ დაემორჩილა საერთაშორისო წინააღმდეგობას სამხედრო ძალის გამოყენებაზე. ყოველ ამ შემთხვევაში მისი მოქმედება მაინც საარსებო რესურსთა დატაცების სტრატეგიის გამოხატულებაა, მით უმეტეს, რომ მოწინააღმდეგე მხარის თვისებრივი ტიპის გათვალისწინება არ ხდება.

ერთა ცხრომის მანიის კლასს გარდა ცივილიზაციის საგარეო თავდაცვისა და საერთაშორისო სამართალდამდგენი სისტემის (სასამართლოს) უმაღლესი ინსტანციის ჩამოყალიბების (ცხრომის მანიის კლასის ერთა წარმომადგენლობითი ინსტიტუტი) ფუნქციისა, ეკუთვნის ცივილიზაციის საგარეო კონტაქტებისა და ცივილიზაციის წევრ ერთა თავისუფალი ეკონომიკური ურთიერთქმედების ანუ მსოფლიო ბაზრის ორგანიზაციის ფუნქცია. სწორედ ეს აძლევს ძალას ამერიკულ დოლარს საერთაშორისო ვალუტად დამკვიდრებაში, რაც გლობალურ ცივილიზაციაში XX სუკუნის 80-იანი წლების მიწურულს დასრულებული ერთ-ერთი ოცწლიანი ფაზის, „ეგეოსური დასაწყისის განვითარების მესამე ცხრომის მანიის ცალფა ეფექტის ფაზის“ უმაღლესი შედეგი იყო. მაგრამ ამ მიღწევასაც „საარსებო რესურსების დატაცების სტრატეგიის“ ბატონობის პირობებში გაუქმება დაემუქრა მომდევნო ფაზაშივე – ფრანგი ერის თავდაცვითმა რეაქციამ, რომელიც, როგორც თვისებრივად იგივეური ამერიკელი ერისა, მძიმედ განიცდის მის კონკრეტულ ზეწოლას, საერთაშორისო ვალუტის როლზე „დოლარის“ კონკურენტად „ევროს“ შემოტანის ფაქტში ჰპოვა ასახვა. საარსებო რესურსთა ოპტიმალური განაწილების სტრატეგიაზე გადასვლის შემთხვევაში საერთაშორისო ვალუტა ერთა ცხრომის მანიის კლასის ყველა წარმომადგენლის ფინანსური სისტემების ბაზაზე უნდა ჩამოყალიბდეს, მაგ., ამერიკის „ფედერალური სარეზერვო სისტემის“ ერთა ცხრომის მანიის კლასზე გაფართოებით. ამერიკული სახელმწიფოებრიობა იქნება ასევე გლობალური ცივილიზაციის საგარეო კონტაქტების,

ექსპანსიისა და თავდაცვის სისტემის მთავარი საბაზისო ერთეული. ასე რომ, ამერიკის ახალი, თავდაცვის სტრატეგიული პროექტები ცივილიზაციაში ერთა ცხრომის მანიის კლასის ფუნქციასთან სრულ შესაბამისობაშია. რუსულ და ამერიკულ სახელმწიფოებრიობაზე დამყარებული გლობალური ცივილიზაციის საშინაო და საგარეო ფუნქციის სამხედრო ინსტიტუტები მსოფლიოში სამხედრო პარიტეტის მთავარ მხარეებად მოგვევლინება.

ცხრომის მანიის კლასის ერთა ოპტიმალური სახელმწიფოებრივი მოწყობა გულისხმობს თავისუფალი საბაზრო ურთიერთობების, პლებისციტისა და ფინანსური ინსტიტუტების პრიმატს, რაც თანამედროვე, სტიქიურ პროცესებში თავისუფალი, დემოკრატიული არჩევნების ინსტიტუტზე დამყარებულ მრავალპარტიულ პოლიტიკურ სისტემაში პოულობს ასახვას. ერთა ცხრომის მანიის კლასის წარმომადგენლობით ინსტიტუტში აუცილებელია იმ სახელმწიფოთა ჩართვა, რომლებიც არ წარმოადგენენ ცხრომის მანიის კლასის ერებს, მაგრამ, რომლებშიც მიღწეულია ან მიღწევადია რამდენიმე ერის წარმომადგენელ დიასპორათა სრულიად შეუზღუდველი თანაარსებობა, რაც ცხრომის მანიის ეფექტს წარმოადგენს. ამგვარ ფენომენტა მაგალითია შვეიცარია და ამგვარივე ერთეულად შეიძლება ჩამოყალიბდეს თურქეთი, რომელშიც ერთ თურქული ელემენტი შუა აზიაში ლოკალიზებულ „თურანული“ პერსპექტიული ეროვნული ერთობის წარმომადგენელ დიასპორად დაისახება, და ერაყიც ეს არის თურქეთისა და ერაყის ერთიანობის გარანტი და მათი განსაკუთრებული დაწინაურების წარმატების პირობა მომავლის მსოფლიოში. ამას ითხოვს მათი ლოკალიზაციის გეოგრაფია – ევროპულ, არაბულ და ირანულ სამყაროთა და რუსეთის ეკონომიკური კონტაქტების არე.

ერთა მართვის მანიის კლასის ფუნქცია ცივილიზაციაში განისაზღვრება იმ გარემოებით, რომ სხვა სამი ფსიქიკური სტიქიისაგან განსხვავებით მართვის მანიის ეფექტით განპირობებული საზოგადოებრივი ერთობა საზოგადოების (ინდივიდთა სიმრავლის) არა ერთად, არამედ ცივილიზაციად თვითორგანიზების გამომხატველია. ამდენად, მართვის მანიის კლასის ერის სახელმწიფოებრიობა მისი მომცავი ცივილიზაციის შემადგენლობაში ჩართულ ერთა სიმრავლის ერთობის ეფექტის რეალიზაციის მექანიზმად წარმოგვიდგება. ამ ფუნქციის შესრულება მართვის მანიის კლასის ერის ამ თვისებრიობით აბსოლუტური თვითგამოხატვის შინაარსის კერძო მომენტს უნდა წარმოადგენდეს, რაც არის ცივილიზაციის პოლიტიკური სისტემის ოპტიმალურობის აუცილებელი ნიშანი – თვისებრივი ტიპის მიხედვით აბსოლუტური თვითგამოხატვის შინაარსისგან განსხვავებული არავითარი დამატებითი მოთხოვნა ერებისადმი, ცივილიზაციის წევრობის პირობად – რაც უზრუნველყოფილია ერთა სხვა სამი თვისებრივი ტიპის სათანადო ფუნქციების ზემოთ ჩამოთვლილ დახასიათებაში. მართვის მანიის კლასის ერების შემთხვევაში, ოპტიმალურობის ამ ნიშანს უზრუნველყოფს მართვის მანიის ფსიქიკური სტიქიის სათანადო, „განსხვავების საფუძველზე ერთობის პრინციპი“ (იხ. ცხრილი), რომლის ძალითაც, მართვის მანიის კლასის ერის საზოგადოებრივ ერთობად შეკავშირების ერთ-ერთი მთავარი ხელშემწყობი ფაქტორია სხვა ერთა წარმომადგენელ საზოგადოებრივ ელემენტთა (დიასპორები) ყოფნა ამ ერთობის რეალიზაციის არეზე. ამდენად, მართვის მანიის კლასის ერის წარმომდგენი საზოგადოება საუკეთესო გარემოა ცივილიზაციის წევრ

ერთა წარმომადგენლობითი ინსტიტუტების ფუნქციონირებისათვის. ამრიგად, გლობალური ცივილიზაციის პოლიტიკური სისტემის ცენტრალური ინსტიტუტი ანუ უზენაესი სამართალდამდგენი ინსტანცია (ცხრომის მანიის კლასის ერთა წარმომადგენლობითი ინსტიტუტი), უზენაესი საკანონმდებლო ინსტანცია (ფორმის მანიის კლასის ერთა წარმომადგენლობითი ინსტიტუტი) და უზენაესი საპარიტეტო ინსტანცია (ძლევის მანიის კლასის ერთა წარმომადგენლობითი ინსტიტუტი) განლაგებულ უნდა იქნას ერთა მართვის მანიის კლასის გამოკვეთილი ლიდერის – ქართველი ერის სახელმწიფოში, მასთან ასიმილაციის პირობით. ეს ნიშნავს საქართველოს სახელმწიფოს საგარეო საქმეთა, შინაგან საქმეთა, თავდაცვის, დაზვერვის, სტრატეგიული კვლევისა და სხვა უწყებების გლობალური ცივილიზაციის პოლიტიკური სისტემის ცენტრალური ინსტიტუტის ამავე ფუნქციის უწყებებად ჩამოყალიბებას. ამ აპარატში დაშვებული იქნებოდნენ მართვის მანიის კლასის ყველა სხვა ერის წარმომადგენელი პირებიც.

აღსანიშნავია, რომ მართვის მანიის ფსიქიკური სტიქიის ეფექტის კავკასიური ფენომენი არ არის მხოლოდ ქართველური სამყაროთი შემოსაზღვრული. იგი ვრცელდება ზოგიერთ კავკასიურ ეთნოსთა განსაზღვრულ ნაწილებზეც, საქართველოს ფარგლებს გარეთ, რაც ახალი ტერმინის – «კავკასიელი ერი» – შემოტანის საფუძველია.

ამ საერთაშორისო ფუნქციის დაკისრების პირობებში, ქართველი ერის „ფენომენური განვითარების საფეხურის“ გათვალისწინებით, საქართველოს სახელმწიფოში უნდა დამყარდეს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფო ინსტიტუტის – „მსოფლიოს ერთა თვისებრივი იდენტიფიკაციისა და განვითარების ინსტიტუტის“ პრიმატი. მართვის მანიის კლასის ერთა წარმომადგენლობითი ინსტიტუტი საქართველოს სახელმწიფოს სახით გლობალური ცივილიზაციის წარმომდგენი უზენაესი ინსტანცია იქნება მის წევრ ერთა წინაშე ანუ ამ ცივილიზაციის შიგნით.

გლობალური ცივილიზაციის პოლიტიკური სისტემის თანამედროვე ცენტრალური ინსტიტუტი, „გაერო“, გარდა იმისა, რომ თავის სტრუქტურით არ ითვალისწინებს ერების თვისებრივ კლასიფიკაციას, თუნდაც იმიტომ ვერ იქნება ქმედითი ინსტანცია, რომ განლაგებულა სახელმწიფოში, რომელსაც, საერთაშორისო საზოგადოების აზრით, მიეწერება მსოფლიოში ერთპიროვნული ბატონობისაკენ მისწრაფება და საამისო პოტენცია. საქართველოსთან მსგავსი საფრთხის ასოცირება ყოვლად შეუძლებელია. ამასთანავე, საქართველოში, მისი ლოკალიზაციის გეოგრაფიის წყალობით, გლობალური პოლიტიკის წამყვანი სუბიექტების გავლენა მაქსიმალურად არის ურთიერთგაწონასწორებული – ერის თვისებრივი ტიპის მისი სახელმწიფოს გეოპოლიტიკურ ფუნქციასთან და ლოკალიზაციის გეოგრაფიასთან ოპტიმალური შესატყვისობა.

ამერიკაში შეიძლება განლაგდეს იმ სახელმწიფოთა წარმომადგენლობითი ინსტიტუტი, რომელნიც არ გაიზიარებენ გლობალური ცივილიზაციის პოლიტიკური სისტემის ოპტიმიზაციის შემოთავაზებულ პროგრამას, რადგან ასეთ სახელმწიფოებთან ურთიერთობას გლობალური ცივილიზაციის საგარეო კონტაქტების მნიშვნელობა მიენიჭება.

თანამედროვე ეტაპზე მსოფლიო საზოგადოების მდგომარეობა განსაზღვრულია იმ გარემოებით, რომ გლობალურ ცივილიზაციაში 1969_1989 წლების შუალედი „ეგეოსური

ფარული დასაწყისის განვითარების მესამე ცხრომის მანიის ცალფა ეფექტის ფაზას“ წარმოადგენდა. ამრიგად, ამ ფაზის მიღწევები მაქსიმალურად სწორედ ამ თვისებრივი ტიპის ერთა ლიდერის, ამერიკის (რომელიც მთელი ინგლისურენოვანი სამყაროს ეროვნული რეკონსოლიდაციის ინიციატორია) მდგომარეობაში უნდა ასულიყო, და მართლაც, 1989 წელი არის მსოფლიოზე მისი გავლენის ზღვრული მნიშვნელობის დაფიქსირების თარიღი – მისი გავლენა გავრცელდა მსოფლიო სოციალისტური სისტემის სივრცეზეც. ამერიკული ფინანსური სისტემა ხდება ჭეშმარიტად გლობალური ფუნქციის ინსტიტუტი. 1990 წლიდან, ახალი ფაზის დადგომით, ამერიკის გავლენის შესუსტების ნაკლებთვალსაჩინოებას (თუმცა, მისი საგარეო პოლიტიკის მთავარი მექანიზმის როლში ფინანსური ინსტიტუტის სამხედრო ინსტიტუტით ჩანაცვლება ცხადად მეტყველებს ცხრომის მანიის ეფექტის ფაზის დასრულებულობაზე) განაპირობებს ის გარემოება, რომ მიმდინარე ფაზის სათანადო ერთა თვისებრივი ტიპის მთავარი წარმომადგენელი, რუსი ერი საარსებო რესურსთა დატაცების სტრატეგიით ხელმძღვანელობის გამო ვერ ახერხებს სათანადოდ თვითრეალიზაციას და მისი საერთაშორისო ფუნქცია ამერიკის სამხედრო ინსტიტუტის მიერ კომპენსირდება (ცივილიზაციის საგარეო და საშინაო ფუნქციის სამხედრო ინსტიტუტებს შორის პარიტეტის დარღვევა). განსაკუთრებული უარყოფითი უკუშედეგი მოაქვს რუსეთისთვის მისი მხრიდან ქართველი ერის შევიწროებას – მიმდინარე, „ეგეოსური ფარული დასაწყისის განვითარების მეექვსე ორმაგი ეფექტის ფაზა“ მართვის მანიის და ძლევის მანიის ერთა ერთობლივ, ურთიერთგანმაპირობებელ თვითრეალიზაციას გულისხმობს. ამდენად, სწორედ საქართველოს მხარდაჭერაზე ხელის აღება რუსეთის მიერ უზრუნველყოფს ამერიკული სამხედრო მანქანის სტრატეგიულ უპირატესობას.

არსებული მდგომარეობა, როცა ამერიკა ინარჩუნებს ინიციატივას მსოფლიო პროცესებში, დასრულდება მკვეთრი გარდატეხით 2010 წლის მახლობლად, როცა დაიწყება „ეგეოსური ფარული დასაწყისის განვითარების მეოთხე ფორმის მანიის ცალფა ეფექტის ფაზა,“ რაც მსოფლიოში 1929 წლიდან დამყარებულის ანალოგიურ მდგომარეობას გამოიწვევს – ამერიკა დაკარგავს პარიტეტის შენარჩუნების შესაძლებლობას. ამჯერად, ფორმის მანიის კლასის ერთა მიერ ინიციატივის დაუფლების აქტში ლიდერად მოგვევლინება არა გერმანია ან იაპონია, არამედ, როგორც ჩანს, – ჩინეთი; ახალ იმპულსს შეიძენს ამავე თვისებრივი ტიპის არაბი ერისა და ზოგიერთი სხვა მონათესავე ხალხთა კონგლომერატების კონსოლიდაციის პროცესები, რაც მსოფლიოში საარსებო რესურსთა დატაცების სტრატეგიის ბატონობის შენარჩუნების შემთხვევაში გლობალური მასშტაბის ჰუმანიტარული და ეკოლოგიური კატასტროფების წინაპირობაა.

მაგრამ, თუ 2010 წლამდე დარჩენილ დროში მოხერხდა მსოფლიო საზოგადოების, ან უკიდურეს შემთხვევაში, წამყვან სახელმწიფოთა საექსპერტო ინსტიტუტების და მათი პოლიტიკის განმსაზღვრელი წრეებისათვის აქ შემოთავაზებული ახალი სტრატეგიის შესახებ საკმარისი ინფორმაციის მიწოდება, მაშინ მომავალი ფაზა, რომელიც მოსალოდნელია, რომ ასევე ოცწლიანი, ე.ი. 2010–2030 წლების გადამფარავი იქნება, გლობალური ცივილიზაციის ახალი სტრატეგიის სათანადოდ მოწყობის მნიშვნელობით, მშვიდობიანად ჩაივლის. არაბთა ეროვნული რეკონსოლიდაცია და საერთაშორისო პოლიტიკის სუბიექტთა გამსხვილებით, გლობალური პოლიტიკის ახალ

სუბიექტთა ჩამოყალიბებისკენ მიმართული სხვა მსგავსი, ჩინეთის ფაქტორის გავლენით „საარსებო რესურსების დატაცების სტრატეგიის“ ბატონობის პირობებშიც გარდაუვალი პროცესები დაჰკარგავენ საერთაშორისო საფრთხის მნიშვნელობას და საყოველთაო მხარდაჭერას მოიპოვებენ; ამასთანავე, საერთაშორისო ურთიერთობათა პრაქტიკაში ერებს შორის მათი „ფენომენური განვითარების საფეხურის“ მიხედვით სხვაობების გათვალისწინება პოლიტიკური ექსტრემიზმის, ტერორიზმის დაძლევის პირობაა.

გლობალური პოლიტიკური სისტემის ოპტიმიზაციის განხორციელებით შეიცვლება არა კონკრეტულობა მსოფლიოზე განფენილი ცივილიზაციისა, მისი ისტორია „ეგეოსური ფარული დასაწყისის ეფექტის განვითარების“ რეალიზაციის პროცესად დარჩება, მაგრამ ცივილიზაცია მიიღებს ისტორიის პროცესისადმი ინვარიანტულ სტრუქტურას, ანუ უნარს, განიცადოს ფაზათა მონაცვლეობის პროცესის შინაგანი რღვევა – აღდგენის აქტების გარეშე. ცივილიზაციის ამ ახალ მდგომარეობას ვუწოდებთ „ნოოსფერულ ცივილიზაციას“. ეს მდგომარეობა „სტიქიური ცივილიზაციის“ მდგომარეობისგან განსხვავებით გარეშე კონტაქტებისადმი ცივილიზაციის სრული მდგრადობის მიღწევით ხასიათდება. სტიქიური ცივილიზაცია, როგორც არის დღეს ჩვენი გლობალური ცივილიზაცია, გარეგანმა კონტაქტმა შეიძლება სრულ რღვევამდე მიიყვანოს, რის მაგალითსაც წარმოადგენს, ერთის გამოკლებით, ყველა ლოკალურ ცივილიზაციათა ხვედრი კაცობრიობის ისტორიაში. დღეს გლობალური ცივილიზაცია საგარეო კონტაქტებისათვის მზად არ არის.

* * *

რაც შეეხება ქართველ ერს, მისთვის გლობალური პოლიტიკური სისტემის ოპტიმიზაციის შემოთავაზებული პროგრამის ინიცირების სტრატეგიას ალტერნატივა არ გააჩნია არც ისტორიის მოკლევადიან პერსპექტივაში, რამეთუ სხვაგვარად საქართველოს სახელმწიფო საერთაშორისო ურთიერთობათა დამოუკიდებელ სუბიექტად თვითდამკვიდრების პროცესში გარედან მოტანილ – მოწოდებულ იდეებზე ორიენტირებულ პოლიტიკურ მიმდინარეობათა მწვავე კონფლიქტს ვერასოდეს დააღწევს თავს. უკანასკნელ დრომდე სწორედ ეს ნიშანია მისი მდგომარეობის განმსაზღვრელი, მთავარ დაპირისპირებულ მხარეებს კი საზოგადოებრივი თვითორგანიზაციის ამერიკულ და რუსულ მოდელებზე, ანუ „ერთა ცხრომის მანიის კლასისა“ და „ერთა ძლევის მანიის კლასის“ სათანადო საზოგადოებრივი თვითორგანიზაციის პრინციპებზე ორიენტირებული პოლიტიკური მიმდინარეობები წარმოადგენენ. ამასთანავე, საქართველოს ახალი კონსტიტუციის პროტოტიპად სათანადო გერმანული ნიმუშის გამოყენების ფაქტი ავლენს საზოგადოებრივი თვითორგანიზაციის „ერთა ფორმის მანიის კლასის“ სათანადო პრინციპებზე ორიენტირებული პოლიტიკური მიმდინარეობების არსებობასაც (ან ინიცირების მცდელობას მაინც) საქართველოში. მაგრამ რაკი არც ერთი ამ ორიენტირისაგან არ შეესაბამება ქართველი ერის თვისებრივ ტიპს, ვერც ერთი ხსენებულ მიმდინარეობათაგან – პრორუსული, პროამერიკული, თუ პროგერმანული („პროევროპული“) – ვერ მიაღწევს საბოლოო გამარჯვებას ქართველი ერის თვისებრივი ტრანსფორმაციის გარეშე და, ამდენად, რომელიმე მათგანის ზედმეტად გაძლიერება ქართველი ერის თვისებრივი ტრანსფორმაციისკენ მიმართულ, საარსებო რესურსების

დატაცების სტრატეგიით განპირობებულ გარეგანი ძალდატანების იმპულსს გულისხმობს. ეს თავის მხრივ მოპირისპირე პოლიტიკურ მიმდინარეობათა მხრიდან ქართველი ერის სტრატეგიული ინტერესების სახელით საბოტაჟის აქციების (რაც კორუფციის განვითარების ინიცირებაშიც შეიძლება გამოიხატოს) გამართლების პირობაა. დამსჯელი სანქციები წონასწორობის კიდევ უფრო მეტად დარღვევის პირობა იქნებოდა და ამდენად, აღწერილ ვითარებაში ოპტიმალური პოლიტიკის მოუცილებელ ელემენტად ისახება დაუსჯელობის სინდრომის ჩამოყალიბების ინიცირება, რადიკალურად დაპირისპირებულ პოლიტიკურ მიმდინარეობათა დაბალანსების ან დაქსაქსვის მიღწევის საზღაურად.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ პრეზიდენტ შევარდნაძის პოლიტიკა არსებული იდეური კრიზისის პირობებში წარმოადგენდა ოპტიმალურ პოლიტიკას და მას არ გააჩნდა არავითარი რესურსი თანმხლები დესტრუქციული ფაქტორების უვნებელსაყოფად.

მაგრამ, თვით ამგვარ პოლიტიკას აბსოლუტური გამართლება შეიძლება მოეძებნოს მხოლოდ ქართველი ერის თვისებრივი ტრანსფორმაციის ასაცილებლად იდეური გამოსავალის მიგნებამდე დროის მოგების მნიშვნელობით, რამეთუ თანმხლები დესტრუქციული ფაქტორები (საბოტაჟი, კორუფცია...) უკიდურესად ზღუდავენ ერის საარსებო რესურსების კვლავწარმოებას (სტაგნაციის ტენდენცია) და დრო, რომლის მოგებაც შეიძლება ამგვარი პოლიტიკით, დამოკიდებულია საარსებო რესურსების იმ მარაგზე, რომელიც გააჩნდა ერს ამ პოლიტიკის დამყარებამდე.

საქართველოს ახალი (2003 წლის ნოემბრიდან) ხელისუფლება რადიკალურად დაპირისპირებულ პოლიტიკურ მიმდინარეობათა შორის პარიტეტის დამრღვევი გაქანების მატარებელია. ამდენად, მის მოქმედებას ახლავს დაუსჯელობის სინდრომისა და კორუფციის აღკვეთის ტენდენცია, მაგრამ ამასთანავე, მდგომარეობის ლოგიკიდან გამომდინარე, მკვეთრი კონიუნქტურის მომენტიც და ქართველი ერის თვისებრივი ტრანსფორმაციისკენ მიმართული გარეგანი ძალდატანების იმპულსიც, რასაც მზარდი წინააღმდეგობა მოელის, რაც პარიტეტის აღდგენისა და შენარჩუნების პოლიტიკურ კურსზე დაბრუნების პირობაა. ამას ხელს უწყობს გლობალურ ცივილიზაციაში მიმდინარე ფაზის თვისობრიობაც, რომლის ძალითაც ხსენებული „პარიტეტის დამრღვევი გაქანება“ პარიტეტისკენ შემომბრუნებელი მომენტის მატარებელიცაა. ასე, რომ ხსენებული დესტრუქციული ფაქტორების აღდგენას ვერაფერი შეაფერხებს. მაგრამ თუ ქართველი საზოგადოება, საქართველოს ახალი მმართველი ძალა მოახერხებს გლობალური პოლიტიკური სისტემის ოპტიმიზაციის შემოთავაზებული პროგრამის რეალიზაციის ინიცირებას, საქართველო გლობალური პროცესების ავანგარდში მოექცევა.

დაწვრილებით ამ თემაზე შეგიძლიათ იხილოთ წიგნი „ქართველი ერი და მსოფლიო ცივილიზაცია“. ე. ხვიჩია, თბილისი, 2004.

| | ფსიქიკური სტიქიები | | | |
|---|---|--|--|---|
| | ფორმის მანია | ძლევის მანია | ცხრომის მანია | მართვის მანია |
| მსოფლმხედველობითი პრინციპი | მთელის პირველადობა | მთელისა და ნაწილის ურთიერთპირველადობა | ნაწილის პირველადობა | მთელისა და ნაწილის ურთიერთმიმართების მოხსნილობა |
| მოქმედება მოიაზრება | ფორმის ქმნის აქტად | ძლევის აქტად | ცხრომის ანუ რელაქსაციის აქტად | მართვის აქტად |
| ურთიერთობის პრინციპი | გაყოფა (ურთიერთდადგენა) | მიღება (შთანთქმა) | გაცვლა (შერწყმა) | გაცემა (არიდება) |
| ძირითადი სოციალურ-პოლიტიკური კატეგორია | მოვალეობა (ჯერარსი) | თანასწორობა (უფლება) | თავისუფლება | თანხმობა |
| დამოკიდებულება უცხოსადმი | მიუღებლობა | ნიველირობა | დამშვებლობა | მომთხოვნელობა |
| ეფექტის სივრცითი ასპექტი | დგომა, სივრცის პყრობა (დამყარება) | კუმშვა, კონცენტრაცია | დინება | გაფართოება |
| საზოგადოებრივ ერთობად შეკავშირების პრინციპი | ერთობის პრიმატი ინდივიდის მიმართ (რელამენტაცია ერთობის პირობით) | იგივეობის საფუძველზე ერთობა | ინდივიდის პრიმატი ერთობის მიმართ (უპირობოდ ერთობა) | განსხვავების საფუძველზე ერთობა |
| ერთა თვისებრივი ტიპების დასახელება | ფორმის მანიის ანუ მოვალეობის აპოლოგიის კლასი | ძლევის მანიის ანუ თანასწორობის აპოლოგიის კლასი | ცხრომის მანიის ანუ თავისუფლების აპოლოგიის კლასი | მართვის მანიის ანუ თანხმობის აპოლოგიის კლასი |

| | | | | |
|--|--|--|--|---|
| ერთა თვისებრივი ტიპების მკაფიოდ გამოკვეთილი ისტორიული და თანამედროვე წარმომადგენლები | ეგვიპტელები, ებრაელები, ჩინელები, ბიზანტიელები (ტანამედროვე ბერძნები), იაპონელები, სომხები, გერმანელები, სპარსები, არაბები, იტალიელები, ჩეხები, პოლონელები, ესპანელები, ვიეტნამელები, ინდონეზიელები, უკრაინელები, თურქები... | მიკენელები, აქადელები, მაკედონელები, რომაელები, მოგვები, ჰუნები, პართები, ვანდალები, ვიკინგები, მონღოლები, იეზიდები, მომთაბარე თურქები მაჰმადიანობის მიღებამდე, ტიბეტელები ბუდიზმის მიღებამდე, რუსები... | ძველი ბერძნები, ფინიკიელები, ინდუსები, ჰოლანდიელები, ინგლისელები, ფრანგები, ამერიკელები (ინგლისურენოვანი სამყარო)... | შუმერები, პელასგები, ფილისტიმიელები, კოლხები და მათი მემკვიდრე ქართველები, კელტები და მათი მემკვიდრე, ირლანდიელები, და შესაძლებელია შოტლანდიელები, ბასკები, კორსიკელები, სიცილიელები... |
|--|--|--|--|---|

გიორგი კვაშილავა

ფესტოსის დისკო - კოლხური ოქროდამწერლობა

სამეცნიერო საზოგადოებას და დაინტერესებულ პირებს მინდა მივაწოდო ინფორმაცია, რომელიც ეხება დაახლოებით ოთხი ათასი წლის წინანდელი, მსოფლიოში პირველი ბეჭდვითი რელიგიურ-ლიტერატურული დოკუმენტის – საყოველთაოდ ცნობილი და დღემდე ამოუკითხავი „ფესტოსის დისკოს“ წარწერის ჩემს მიერ ქართველურ ენაზე, კერძოდ, კოლხურ ენაზე სრულ გამიფვრას.

«ფესტოსის დისკოს» ისტორია

დისკო აღმოაჩინა იტალიელმა არქეოლოგმა, დოქტორმა ლუიჯი პერნიემ 1908 წლის 3 ივლისს, კუნძულ კრეტაზე, საარქეოლოგო ქალაქ ფესტოსში. იგი პირობითად დათარიღებულია ძვ.წ. 1850_1600 წწ-ით და წარმოადგენს თიხის ფირფიტას, რომლის დიამეტრი დაახლოებით 16 სმ-ია, წონა კი – 380 გრ. ამჟამად დისკო ინახება საბერძნეთში, კრეტის მთავარ პორტ-ქალაქ ჰერაკლიონის არქეოლოგიის მუზეუმში (III გალერეა, 41 ყუთი, №P-1358).

1992 წლის დეკემბერს ვლადიკავკაზში 1880 წლის შენობის სარდაფში ნაპოვნი იქნა „ფესტოსის დისკოს“ მსგავსი თიხის ფირფიტის ფრაგმენტი (დიამეტრი: 10 სმ), რომლის შესახებ ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ვლ. კუზნეცოვმა გამოაქვეყნა მეცნიერული გამოკვლევა და მას უწოდა „კავკასიის არქეოლოგიური გამოცანა“ (2001). თუმცა თავად ფირფიტის ორიგინალობა ზოგიერთმა მეცნიერმა ეჭვქვეშ დააყენა.

ამ დრომდე იყო „ფესტოსის დისკოს» ნიშანთა კომპლექსის გაშიფვრის მცდელობები უძველეს ენებზე (მაგ.: იონურ-ბერძნული დიალექტი, კვიპროსული, ხეთური, ლუვიური, ფილისტიმური, ეგვიპტური, სემიტური ენები და ა.შ.).

დისკო მეცნიერულად შეისწავლეს: სერ ართურ ევანსმა (ინგლისელი არქეოლოგი), ალესანდრო დელა სეტამ (იტალიელი არქეოლოგი), ელის კობერმა (ამერიკელი არქეოლოგი, კლასიკური ფილოლოგიის სპეციალისტი), მაიკლ ვენტრისმა (ინგლისელი მიკენოლოგი და არქიტექტორი), ჯონ ჩედვიკმა (ინგლისელი მიკენოლოგი), ჟან ფოკუნომ (ფრანგი მკვლევარი, პარიზის ლინგვისტური საზოგადოების წევრი, მათემატიკოსი), ჟან-პიერ ოლივიემ (ბელგიის სამეცნიერო კვლევების ნაციონალური ფონდის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი), ვიქტორ კეანმა (გერმანელი მკვლევარი), ივ დიუომ (ბელიგიელი მკვლევარი), ლუი გოდარმა (იტალიელი მიკენოლოგი, ეგეოსური და პრებერძნული კულტურის სპეციალისტი), დიტერ რუმფელმა (გერმანელი მკვლევარი), ქრისტოფ ჰენკემ (გერმანელი მკვლევარი), გარეთ ოუენსმა (ბერძნული ენის, კულტურის, ისტორიისა და ცივილიზაციის სპეციალისტი), ტორსტენ ტიმმა (გერმანელი მკვლევარი), ქევინ და ქით მესებმა (ამერიკელი მკვლევარები), მარკო კორსინმა (იტალიელი მკვლევარი), ფრანსუაზა რუჟმონმა (საფრანგეთის არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის სახლის თანამშრომელი, ეგეოსური პროტოისტორიის სპეციალისტი) და სხვებმა.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ავსტრიელი მკვლევარისა და ინჟინერ-ქიმიკოსის ჰერბერტ ძეზიშის ჰიპოთეზა „ფესტოსის დისკოს» წარწერის სავარაუდო ენის თაობაზე, რომელიც მოცემულია მის წიგნებში: „იბერიული – ღმერთების ენა», „პელასგური – იბერიული ენა» და „პელასგები: ისტორია და კულტურა მათი დროის წერილობითი ნიმუშებიდან». ძეზიში ამტკიცებს, რომ წინარებერძნული მოსახლეობის ენა, კერძოდ, „პელასგური ქართველურ ენათა დედაა». მან 1988 წელს ბუდაპეშტში, ეირენეს კომიტეტის XVIII საერთაშორისო კონგრესზე განაცხადა, რომ „ფესტოსის დისკოს» წარწერის ენა პროტოქართული – კოლხურია.

წინარებერძნული მოსახლეობის ენისა და კავკასიური ენების ნათესაობის შესახებ ჰიპოთეზები წამოაყენეს გამოჩენილმა პროფესორებმა: ვილჰელმ ჰუმბოლდტმა (გერმანელი ენათმეცნიერი, ფილოსოფოსი და სახელმწიფო მოღვაწე), პაულ კრეჩმერმა (ავსტრიელი ენათმეცნიერი), ანტონ მეიემ (ფრანგი ენათმეცნიერი), ედუარდ შვიცერმა (შვეიცარელი ენათმეცნიერი, ძველი ბერძნულისა და ბერძნული დიალექტების სპეციალისტი), ფრიც შახერმეირმა (ავსტრიელი ისტორიკოსი, არქეოლოგი და წარწერათმცოდნე), სიმონ ყაუხჩიშვილმა (ფილოლოგი), არლონდ ჩიქობავამ (ენათმეცნიერი, ფილოლოგი), სიმონ ჯანაშიამ (ისტორიკოსი), ვლადიმირ გეორგიევმა (ბულგარელი ენათმეცნიერი), აკაკი ურუშაძემ (ლიტერატურათმცოდნე და წყაროთმცოდნე), ედუარდ იოანე ფურნემ (ჰოლანდიელი ენათმეცნიერი), თამაზ გამყრელიძემ (ენათმეცნიერი, აღმოსავლეთმცოდნე), რისმაგ გორდეზიანმა (კლასიკური ფილოლოგიის სპეციალისტი), ზვიად გამსახურდიამ (საქართველოს პირველი პრეზიდენტი, მეცნიერი-ფილოლოგი და მწერალი) და სხვებმა.

ჩემს მიერ „ფესტოსის დისკოს» წარწერის გაშიფვრის შედეგები

ქართველური ენების შესწავლითა და ხანგრძლივი მეცნიერული კვლევა-ძიებით მივედი შემდეგ დასკვნამდე:

1). კოლხი კორიბანტების მიერ შექმნილი „კირიბიშის», „კირბის», ანუ წერილ-ფირფიტის – „ფესტოსის დისკოს» წარწერის ენა ქართველურია, კერძოდ, კოლხური (ანუ მეგრულ-ლაზური);

«ანტიკურ წყაროთა ჩვენებით კორიბანტები მცირე აზიის ავტონომური ტომებისა და წინაელინურ პერიოდში კრეტაზე მოსახლე პელასგების მატრიარქალური ღვთაების კვბელეს ქურუმები იყვნენ... კორიბანტები, რომელთაც დამწერლობის – კვრბების შექმნა მიეწერებათ, კოლხთაგანნი არიან და მჭიდროდ უკავშირდებიან რკინის მეტალურგიის, მჭედელობის მფარველ ლემნოსელ კაბირებს» (აკ. ურუშაძე).

«ტიტანებმა რეას გადასცეს კორიბანტები შეიარაღებულ მცველებად; მათზე ზოგიერთები ამბობენ, ისინი ბაქტრიანიდან/ბაქტრიიდან [ამჟამად ჩრდ. ავღანისტანი] არიან მოსულნიო, ზოგიერთები კი – კოლხებისაგან არიანო» (სტრაბონი).

კირბებზე/კვრბებზე (ბერძ.: «კირბის», მხ. რ. «კირბის» <= კოლხ.: «კ2რბი/»კ2რ2ბი/»კირიბი» – კრავი (ვლ. სიჭინავა); მეგრ. : «დოკირიბუა» – ამოტვიფვრა, დაბეჭდვა) ცნობა შემოგვინახეს ბერძენმა ავტორებმა: კრატინემ (490_423/421 ძვ.წ.), ლისიამ (459_380 ძვ.წ.), პლატონმა (428/427_348/347 ძვ.წ.), თეოპომპე ქიოსელმა (377/376_300 ძვ.წ.), ტიმეოსმა (356/352_260/256 ძვ.წ.), აპოლონიოს როდოსელმა (295_215 ძვ.წ.), არისტოფანე ბიზანტიონელმა (257_180 ძვ.წ.), აპოლოდორე პლუტარქემ (ათენელმა (II ს. ძვ.წ.), სტრაბონმა (ძვ.წ. 64/63 – ახ.წ. 23/24), (46/50_125/127), ფოტოსმა (810/827_891/897), სვიდამ (X ს.) და ა.შ.

«[კოლხებმა] შემოინახეს თავიანთი მამათა ნაწერები, ამოკვეთილი კირბებზე, ქვის წერილ-სვეტებზე, რომლებზედაც ირგვლივ, ყოველ მხარეს მოგზაურთათვის დაბეჭდილია ზღვისა და ხმელეთის ყველა გზა და საზღვარი» (აპოლ. როდოსელი).

«კირკეს სურდა ქალწულის [მედეას] პირიდან მშობლიური ხმა გაეგონა. მართლაც, მრისხანე აიეტის ასულმა, კირკეს წყნარი ხმით უამბო ყველაფერი კოლხურ ენაზე» (აპოლ. როდოსელი).

«[მედეა] კოლხური ენით გრძელი ლოცვის წარმოთქმას შეუდგა» (დიოდ. სიცილიელი).

«მეგრული და ლაზური კოლხური ენებია», ამბობს პროფ. აკაკი შანიძე.

«ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისში უკვე არსებობდა მეგრულ-ქანურის წინაპარი „ხანური» დიალექტი... აია-ქვეყნის მეფე აიეტი და მისი მემკვიდრენი... დასავლურ-ქართულ დიალექტზე მეტყველებდნენ, რომლის დღევანდელი გაგრძელებაა ჩვენთვის ცნობილი მეგრული და ლაზური» (თ. გამყრელიძე).

2). დისკოზე დაბეჭდილი ნახატ-ნიშნები „კოლხური ოქროდამწერლობაა»;

«კოლხური ოქროდამწერლობის» (ბერძ.: „ხრისოგრაფია» <= „ხრისოს»; მეგრ. : „ორქო» – ოქრო) შესახებ ცნობები უმთავრესად დაცულია ბერძენი ავტორების: ევკემეროსის (ძვ.წ. IV ს.), ხარაქს პერგამონელის II_III ევსტათეოსის სს.), იოანე ანტიოქელისა (VII ს.) და თესალონიკეს არქიეპისკოპოს (1120_1194) თხზულებებში.

3). დისკოს ტექსტი წარმოადგენს საგალობელს _ „ნენანას», რომელიც ეძღვნება „აია-ნემკარის» მფარველ, პელაზგურ-კოლხური მოდგმის მაკრონების ნაყოფიერების დიდ დედაღვთაება ნანას/რეა-კიბელეს;

მოგვიანებით, ქრისტიანულ ეპოქაში, „ნენანას», როგორც რელიგიის ისტორიიდან ცნობილია, ივერონის მონასტრის ბერები ათონის წმინდა მთაზე უგალობდნენ ვითარცა ღვთისმშობელს (Епископ Порфирий Успенский, 1877). ლექსიკურ პარალელებთან ერთად ქვემოთ მოცემულია «ფესტოსის დისკოზე» ამოტვიფრული შემდეგი კოლხური სიტყვები:

I. «ნენა»/»ნენანა» _ ახალი ნანა, პირველი დედა, წმიდა დედა;

ლაზ.: „ნენა» _ ენა, სიტყვა; მეგრ.: „ნინა» – ენა, მეტყველება; მეგრ.: „ნე»; ლაზ.: „ადანი», «ადანე»; ბერძ.: „ნეოს» _ ახალი; მეგრ.: „ნეში»/»ნეშა»/»ნეჩი»/»ნერჩი» _ დედამიწისა და [სასახლის] ფუძე-ადგილის მფარველი დედაღვთაების ზეწოდება; ფუძისა და მიწის ღვთაება, დედამიწის ღვთაების სახელი, ადგილის დედა (ივ. ჯავახიშვილი); ქვედა [მიწის] კერძო (სულხან-საბა); კოლხ.: „ნანა»/»ნანაია»/»ნაია»/»ნა» _ დედა; დედამიწის დედაღვთაება; შუმერ.: „ინანა» – ცის დედოფალი; ხურიტული: „ჰანნაჰ» _ დედა/ნანა; „ჰანნაჰანაჰ» _ დედამიწის დედაღვთაება და ხეთური ღვთაებების დედა/ნანა; სვან.: „ნენე» _ დედა/ნანა; უდიური, ლეზგიური ქვეჯგუფის ენებიდან: «ნანა» _ დედა.

II. «ნემკარ2» _ ახალი კარი, პირველი კარი, წმინდა კარი, მთავარი კარი; დედის კარი;

შეად.: ტოპონიმი „ნე[ნე]შკარი» (მარტვილის რ-ნი); ლაზ.: „ნეკნა» _ კარი.

III. „ფაგარ2თ2» _ 1. ძვირფასი ქვა (სულხან-საბა); 2. საამო; მშვენიერი; 3. პელაზგები; კრეტელები, ქეფთიუსი; ქაფთორელები; ქერეთელები;

IV. „თ2რ2ნენაYო»/»თ2რ2ნენანაYო» _ გვარის დედაო, მოდგმის დედაო; გვარის არსებობის, სიცოცხლისა და ნაყოფიერების დედაო;

კოლხ.: „თ2რ2»/»თ2რ2ნე»; ბერძ.: „ტირენოი»; ეგვიპტ.: «თBრშYა»/»თBლშYა“ _ 1. მეგრ.: „თური» _ გვარი, მოგვარე, სისხლით ნათესაობითი ერთობა; მოდგმა; მეგრ.: „თურ2სკა»/»თ2სკა» _ ნათესავი ხალხი, ჩვენებურები; 2. ეტრუსკები, ტირსენელები; კოლხ.: „ნაYო» _ 1. მეგრ.: „ნოYო» _ ნაყოფი; 2. ნაყარი, განშტოება;

«პლუტარქეს გადმოცემით პელასგური წარმომავლობის ტირენები (ეტრუსკები) ჯერ თესალიაში მოსახლეობდნენ, მერე ლიდიამი გადასახლდნენ, ლიდიიდან კი იტალიაში გადავიდნენ. პლუტარქე ჩვენთვის უცნობ, უძველეს წყაროებზე დაყრდნობით გვიმოწმებს ამას და რომის დაარსების შესახებ ამბობს, რომ ძველი ცნობებით ეს ქალაქი დაფუძნებულია საბერძნეთიდან ლტოლვილი პელასგების ან კოლხთა წინამძღოლის აიეტის დის კირკეს ვაჟის _ რომანოსის მიერო. რომანოსი ოდისევსისა და კირკეს ძეა („რომულუსი», თ. 1.2; 2)» (აკ. ურუშაძე).

ძველბერძენი ლოგოგრაფოსი ჰელანიკე მიტილენელი (480_395 ძვ.წ.) თავის თხზულებაში, „ფორონიდში» ამბობს, რომ თესალიის მეფე პელასგეს შთამომავლის, ნანას მეფობის დროს ელინების მიერ უწინ პელაზგებად წოდებული ეტრუსკები განდევნილ იქნენ იტალიაში.

V. „გარ2ფ2»/»გარ2ფ2ნ2» => «Yორ2ფ2»/Yორ2ფ2ნ2» _

1. კორიბანტები;

ბერძ.: „კირბანტეს» (მხ. რ. „კირბას» „მფარავი/მფარველი ანგელოზი») _ კორიბანტები, ჰელიოსის შვილები და აიეტის ძმები, რეა-კიბელეს და ზევსის ქურუმები;

შეად.: ბერძ.: „კირბის» – კირბი/კვრბი, სამწახნაგოვანი პირამიდული წერილ-სვეტი; ებრ.: „ქირბ» – ედემის ბაღის მცველი, მფარველი ანგელოზი; მეგრ.: „კ2რბი»/»კ2რ2ბი»/»კირიბი» – კრავი; ბერძ.: „კრიოს» – ცხვარი, ვერძი.

2. კაბირები;

ბერძ.: „კაბეიროი» (მხ. რ. „კობეროს»/»კობალოს» – „ფუძის ანგელოზი») – კაბირები, ჰეფესტოსის შვილები;

შეად.: ხევს.: „კოპალა» ძვ. ქართული ღვთაება; ძვ. მეგრ.: «Yოფალ2ა», «Yობალ2ა» – აყვავების/ ნაყოფიერების ძვ. კოლხური ღვთაება; გვარები: „კობალაძე», კოპალიანი», „ქობალია», „ქობალავა», „კობერიძე», „კიბირია».

3. კურეტები;

ბერძ.: „კურეტეს» – კურეტები, რეა-კიბელეს და ზევსის ქურუმები;

4. კარიელები;

ბერძ.: „კარეს» – კარიელები; ბერძ.: „კაროს» – კარიელთა მამამთავარი; ბერძ.: „კარია» – კარია, ქვეყანა მცირე აზიაში; ქართ.: „კარი»;

5. გარები/გალები => «მა[ნ]გარელები»/»მი[ნ]გარელები»;

შეად.: ტოპონიმი „მინგარიე»/»მიგარია» – მთა მარტვილის რ-ნში, ეგრისის ქედზე; ბერძ.: „მეგარა» – ქალაქი კორინთოს უბესთან; ბერძ.: „მეგარის» – მხარე ძვ. საბერძნეთში; ბერძ.: „მეგარეის» – მეგარელები.

6. გოლხები/კოლხები, კოლები;

«კოლხებზე მეფობდა აიეტი, ჰელიოსისა და პერსეისის ვაჟიშვილი, კირკესა და მინოსის ცოლის პასიფაეს ძმა» (აპოლოდ. ათენელი).

«კოლები, ხალხი, რომელიც ცხოვრობს კავკასიაში... კავკასიის მთის ქედებს ეწოდება კოლის მთები, თვით ქვეყანასაც ეწოდება კოლიკე» (ჰეკატ. მილეტელი).

7. ეგრები/ეკრები => მეგრელები/»მარგალეფი»;

ბერძ.: „მაკრიეს» (<= „მაკრის»/»მაკრი» – პელასგთა ღვთაება ჰელიოსის ვაჟიშვილი), „მანრალი» „მაგრალი», „მაკრონეს», „მიგკრელი», „მანგრალი», „მაგკრალი», „ეკვიტიკე»/»ეგრისიკე» – მაკრისელები, მაკრელები, მაკრონები, მეგრელები, ეგრისელები;

შეად.: მეგრ.: „მარგუ»/»მარგუალი» – დამრგველი; ბერძ.: „არგოს პელასგიკონ» – არგოსი, პელაზგური ქალაქი თესალიაში (ჰომეროსი); ბერძ.: „არგოს» – 1. სწრაფი, მარდი; 2. თეთრი; 3. მზრწყინავი, მზინვარე, კაშკაშა. გამოთქმულია მოსაზრება, რომ „არგ»/»აგრ»/»აგ2რ» ფუძიდან ნაწარმოებია „მარგალი» – მეგრელი, ეგრისელი (И. Мегрелидзе; აკ. ურუშაძე). «სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებულია, რომ „მაკრონი» (სან-ი//ზან-ი) მეგრელთა სატომო სახელი იყო» (აკ. ურუშაძე; ივ. ჯავახიშვილი; ს. ჯანაშია; ს. ყაუხჩიშვილი). ბერძნული წყაროების მიხედვით, „მაკრონების უფრო ძველი სახელი უნდა იყოს დაცული – ეს სახელია მაკრისელები ანუ მაკრელები» (აკ. ურუშაძე).

«მაკრისელების ლაშქარი პელასგურად მოიხსენია [როდოსელმა პოეტმა], ვინაიდან ისინი [მაკრისელები] ევბეელთაგან არიან გადმოსახლებულნი. [კუნძული] ევბეა [ანუ მაკრისი, ნეგროპონტი, ევია] კი მდებარეობს მახლობლად პელოპონესისა, რომელსაც ძველად პელასგია ერქვა» (აკ. ურუშაძე).

«პელასგთა ოდინდელი სამკვიდრებელი კორინთო – ევირე ძველი წყაროების ჩვენებით [ევმელოს კორინთელი (VIII ს. ძვ.წ.), ეპიმენიდე კრეტელი (VI ს. ძვ.წ.),

სიმონიდე კეოსელი (556_469/468 ძვ.წ.), ლიკოფრონ ქალკიდელი (285_247 ძვ.წ.) და სხვ.] ჰელიოსის ძის აიეტის და მისი შთამომავლობის საგამგებლო მხარე იყო. იასონი და მედეა კორინთოში ჩადიან როგორც წილნახვედრ ქვეყანაში» (აკ. ურუშაძე).

«აიეტი ეფირესთან, ანუ წინაბერძნული ტომების გავრცელების ერთ-ერთ ძირითად რეგიონთან არის დაკავშირებული, კირკეს სამეუფო მისი კოლხიდიდან დასავლეთით გადასახლების შემდგომ ტირსენის, ანუ ეტრუსკების ქვეყანაში მდებარეობს, ხოლო პასიფაე კრეტის მეფის, მინოსის მეუღლე ხდება. კრეტა კი წინაბერძნული მინოსური კულტურის გავრცელების ძირითად რეგიონს წარმოადგენს ძვ.წ. II ათასწლეულში. თანამედროვე გამოკვლევების მიხედვით, შესაძლებლად არის მიჩნეული, რომ ძვ.წ. III-II ათასწლეულთა მიჯნაზე კავკასიის ფარგლებიდან ქართველურ ტომთა ერთი ნაწილი ეგეიდაში გადასახლდა, რაც აქ პელასგური ეთნოსის ჩამოყალიბების საფუძველი გახდა. აქედან მოხდა ქართველიზებული ტომების ერთი ნაწილის კ. კრეტაზე, ხოლო მეორე ნაწილის იტალიაში გადასახლება. ამ ჰიპოთეზის საფუძველს წარმოადგენს ე.წ. წინაბერძნულ, მინოსურ და ეტრუსკულ ენობრივ მონაცემებში მნიშვნელოვანი, აშკარად ქართველური ელემენტების გამოყოფა» (რ. გორდეზიანი).

VI. „2ლ2მგ2»/»2ლ2მგ2[რ2]ნ[თ]ე»/»2[რ]ჩხ2მგ2ნე» _ 1. მიკენური ბერძ.: «დაპურიტონო» _ ლაბირინთი; განსაწმენდელი სასახლე, ტაძარი; 2. ოლიმპო;

მეგრ.: «ოლ2ფურინთე», «ოფურინთე», «დოფურინთე», «დაფურინთე», «დობურინთე», «დაბურინთე»; ლაზ.: «დოფუთხინუ» (<= მეგრ.: «დოფურინუა» _ დაფრენა; მეგრ.: «ფურინი»/»ფურინუა»; აფხაზ.: «ფ2რა» _ ფრენა, გაფრენა) _ დასაფრენი და ასაფრენი ადგილი (მაგ., ბერძნული მითიდან: დედალოსისა და იკარუსის ლაბირინთიდან გაფრენა); მეგრ.: «დაფურინთე», «დოფურინთე», «ოფურინთე» _ დასაფრენი და ასაფრენი ადგილი; მეგრ.: «დაბურინთე» _ დაბურული, დამალული, დაფარული ადგილი; მეგრ.: «ბურინთი» _ დაბურული, დამალული, დაფარული;

VII. «ჩხოფა[2]2რ2ნენა»/»ჩხოფა[2]2რ2ნენანა» _ გაბრწყინებული/გასხივოსნებული/სხივოსანი/ცხებული [ახალი, პირველი, წმიდა] დედადმერთი/სიტყვალვთაება/ენალვთაება;

შეად.: მეგრ.: «ჩხორია» _ მზის სხივი; მზის შუქი; მეგრ.: «ჩხონა»/»ჩხანა» _ მზე; ლაზ.: «ჩხოფა» _ სიცხე, გვალვა; მზიანი; მეგრ.: «ჩხონაფა» _ ცხონება; ლაზ.: «ჩხიმოლაფა», «ცხიმოლაფა», «შხიმოლაფა» _ ბრწყინვა;

ძვ. მეგრ.: «ორონი», «ორონე», «ორანი»; მეგრ.: «დორონთი» _ ღმერთი; შეად.: «ორონი» _ ძეგლი წერილისა (სულხან-საბა); სვეტი (ბიბლია).

VIII. «ა2აბ2შ2ფ2 _ აია-ჭაბუკები; ძვ. მეგრ.: «აია» _ მზის ქვეყანა (აკ. ურუშაძე);

«წყაროებიდან, აია მხარეს გულისხმობს და არა ქალაქს! იგი კოლხეთის უძველესი სახელი ჩანს» (აკ. ურუშაძე).

კოლხ.: ბ2შ2; მეგრ.: «ბოში»; სვან.: «ბეფშ»/»ბოშშ»; უბიხური (აფხაზურ-ადიღური ჯგუფის ენებიდან): მ2ზ2; დაღესტნური ჯგუფის ენებიდან: ანდიური: «ვოშო»; თაბასარანული: «ბიწი» _ ბიჭი;

IX. «მა2ჩხ2» _ განმწმედელი/წინამძღოლი; ძვ. მეგრ.: «მა[რ]ჩხი» (<= «ჩხუალა»/»რჩხუალა» _ რეცხვა) _ განმწმედელი; შეად.: «მაჩხი» _ [თვალი] მოთეთრო და მშვენიერი (სულხან-საბა);

X. «ჩხოფა[2]მა2ჩხ2» – გაბრწყინებული/გასხივოსნებული/სხივოსანი განმწმედელი/წინამძღოლი;

XI. «ნეთაფათ2» – 1. ნათელი ჰეფესტოსი; 2. ნათელი ფესტოსი; 3. ნათელი ფოთი; კოლხ.: «ფათ2»; მეგრ.: «ფუთი»; ლაზ.: «აში»; ბერძ.: «ფასის», «ფასიდოს» – ფოთი; მიკენური ბერძ.: «ფაიტო»; ბერძ.: «ფაისტოს» – ტოპონიმი ფესტოსი; კოლხ.: «ფათ2»; მეგრ.: «ფუთი» – 1. ვულკანის, ცეცხლის, დუდილის ღვთაება; 2. «ფუზე» – ფუძე, პირველი სამკვიდრო;

შეად.: ბერძ.: „პოტის“ - ოსტატი (?);

ეგვიპტ.: «ფუთიჰ» - ძვ., ოსტატღვთაება, ცეცხლის ღვთაება; ბერძ.: «ჰეფესტოს»; რომ.: «ვულკანოს» ბერძნული ცეცხლისა და ხელოვნების ღვთაება; დიდოსტატი.

მეგრ.: «ნოთე» – 1. ნათელი; 2. ჩირაღდანი; კვარი; ძვ. მეგრ.: «თა», «თო», «თე» – 1. სინათლე; 2. თვალი; ლაზ.: «თე» – სინათლე; სვან.: „თე“ – თვალი; მეგრ.: „თანუა“ – [გა]თენება;

მეგრ.: «ფუ» – 1. ვულკანი; 2. ცეცხლი; 3. დუდილი; „ფუნა“ – დუდილი; მეგრ.: „ფუნუა“, „ფუნალა“, „ფუნაფა“ – ადუღება; დუდილი, დუღება;

«ბერძნული ფასისი მიგვანიშნებს ქართველური ენების განვითარების იმ დონეზე, როდესაც ქართულ-ზანური ა-ს ო-ში გადასვლა ჯერ კიდევ არ იყო მომხდარი. შესაბამისად, ბერძნულში გმირთა ეპოქაში სახელწოდება ჯერ კიდევ *ფათი ფორმით უნდა შესულიყო, რომელიც შემდგომ მეგრულ ფოთი-ში გადავიდა» (რ. გორდეზიანი).

«ძველ ეგვიპტელთა ღვთაებანი თითქმის ერთიანად კოლხური ჩამომავლობისა არიან, ფინიკიურთან და პელასგურთან ერთად, ეგვიპტური სახელები და ხალხის ხასიათი კი თვითონ შექმნეს» (ვ. ი. შპრენგელი, 1792), ხოლო «ელადაში თითქმის ყველა ღმერთის სახელი ეგვიპტიდანაა შემოსული» (ჰეროდოტე).

XII. „ნოფაფალ2ნჯ2“ – ქალღვთაების, დედის სპილენძის [ახალი] ტაძარი, შესაკრებელი სასახლე; ღმერთთა საკრებულო;

მეგრ.: „ოფაფალი“ „ოფაფინალი“ – ბევრი ხალხის რევის ადგილი; მეგრ.: „ფაფინი/«ფაფაფი/«ფოფინი» ბევრის ერთად მოძრაობა; მეგრ.: „ლინჯი“ – სპილენძი;

«ნე მდებდრობითი სქესის აღმნიშვნელი მიმღობის ოდესღაც ქართულში არსებული ფორმანტი ყოფილა» (ივ. ჯავახიშვილი).

ჩემი გამოკვლევით დადასტურდა:

1). სერ არ. ევანსის, ჯ. ჩედვიკის, ჟ.-პ. ოლივიეს, ჰ. რ. ძეზიშისა და ფ. რუჟმონის უმთავრესი მოსაზრება, რომ „ფესტოსის დისკოზე“ აღნიშნული ნიშანთა ერთობლიობა ტექსტია;

2). ვ. ი. კვანისა და ჰ. რ. ძეზიშის ჰიპოთეზა, რომ დისკოს A გვერდის ცენტრში წარმოდგენილი აია-მზის სიმბოლო, რვაფურცლიანი როზეტი დასაწყისის ნიშანია, ანუ საწყისი მარცვალაია;

3). ლ. პერნიეს ჰიპოთეზა, რომ დისკოს A და B გვერდებზე წარმოდგენილი სიმბოლო, ვერტიკალური ხაზი ხუთი წერტილით, დასასრულის ნიშანია;

4). ლ. პერნიეს, ვ. გეორგიევის, ჰ. რ. ძეზიშის, ვ. ი. კვანის, კ. აარტუნის, დ. ოჰლენოთის, ს. ვ. რიაბჩიკოვის, ად. მარტინის, ჰ. რულვინკის, ქ. და ქ. მესეზისა და მ. გ. კორსინის არგუმენტები, რომ ნახატნიშნები იკითხება მარცხნიდან მარჯვნივ, ანუ ცენტრიდან ნაპირისკენ;

5). ჟ. ფოკუნოს, ბ. ფელის, ჰ. რ. ძეზიშის, მ. გ. კორსინისა და ჩემს მიერ გაშიფრული მარცვლების ნაწილობრივი დამთხვევა;

6). სერ არ. ევანსის ჰიპოთეზა, რომ წარწერა საგალობელია და ეძვნება ნაყოფიერების ქალღვთაებას.

დაბოლოს, მივმართავ სამეცნიერო საზოგადოებას და დაინტერესებულ პირებს წინადადებით:

I. საქართველოში გაიმართოს სამეცნიერო კონგრესი „ფესტოსის დისკოს გაშიფვრის თაობაზე“;

II. „ფესტოსის დისკოს“ წარწერისა და ხაზოვანი დამწერლობის დემიფრირების საფუძველზე განხილულ იქნეს ქართული სახელმწიფოებრიობის საიუბილეო თარიღად 4000 წელი.

P.S. დაინტერესებულ მკითხველს შეეძლება კვლევის შედეგები უფრო დაწვრილებით იხილოს ჩემს წიგნში, რომელიც, სპონსორის გამოძებნის შემთხვევაში ახლო მომავალში გამოქვეყნდება.

მადლიერებით მინდა აღვნიშნო, რომ უკვე მივიღე უცხოელი მეცნიერების: ქით მესის (აშშ), მარკო კორსინის (იტალია), როსარიო ვიენის (იტალია), ივ დიუოს (ბელგია), ტორსტენ ტიმის (გერმანია), დიტერ რუმფელის (გერმანია), ჰედვიგ რულვინკის (ნიდერლანდის სამეფო), გარეთ ოუენსის (საბერძნეთი), კარინა ვამლინგისა (შვედეთი) და ჰერმან ძეზიშის (ავსტრია) წერილები, რომლებშიც ისინი გამოხატავენ დაინტერესებას „ფესტოსის დისკოს“ წარწერის ჩემს მიერ გაშიფვრის გამო.

20 ივლისი, 2007 წელი.

ТОМАС ВЕНЦЛОВА

ГРАНЕННЫЙ ВОЗДУХ . . .

Я родился в Литве. Отец мой был левых взглядов. Он был министром просвещения когда Литву аннексировал Советский Союз. Потом он стал довольно популярным, плодовитым и известным советским писателем. Сейчас его сравнительно мало читают и помнят. Только-что исполнилось сто лет со дня его рождения, выходит книга его стихов, так что он - человек не забытый. С моей матерью, ныне уже покойной он бывал в Грузии, хорошо знал Гиоргия Леонидзе и Симона Чиковани, посвящал им стихи. Мама скончалась три месяца назад, в возрасте 95 лет. Они много рассказывали мне о Грузии. Я бывал в Грузии с друзьями семь раз. В первый раз – 50 лет назад, точнее – в 1957 году. Последний раз в 1971, это было 36 лет назад. Завел в Грузии знакомых и друзей, один из них – Нонешвили - находится в этом зале, он прекрасно говорит по литовски. Тут, в зале, есть и

другие люди прекрасно говорящие на литовском. Был такой классик литовской прозы Антанас Свенорис, который жил в Тбилиси, был тут аптекарем, немного принимал участие в революционных действиях. Перевел Руставели на литовский язык. Перевод довольно хороший, хотя я в оригинале не читал.

Я недавно издал книгу “На Вильнюсские имена”. Там рассказывается о 556 знаменитостях, побывавших в Вильнюсе, Начиная от великих князей, основателей города, до Мицкевича, разумеется – Чеслава Милоша. Упомянуты и многие другие. Вильнюс был огромным центром еврейской культуры, там живет очень много людей, говорящих на иврите, идише, и один грузин Гиоргий Эристави. Но в этой книге есть Наполеон, Стендаль, Достоевский. С тех пор я в Грузии не был - эмигрировал и долго не был ни в России, ни в Литве, и тем более, в Грузии. Но это оказалось возможным – и я решил показать Грузию жене, которая сейчас присутствует в этом зале. Она родилась в Петербурге, в Грузии никогда не бывала. Я с большим удовольствием наблюдаю как она приходит в восторг от Тбилиси, и от всего остального. Нас тут великолепно принимают. К сожалению, мы в Литве так не умеем, хотя среди прибалтийцев мы считаемся самым гостеприимным народом.

Теперь о самом себе: я довольно давно в Вильнюсском университете. В 1956 году я полюбил то, что любил мой покойный отец. Меня интересовала несколько другая литература, и в основном другая политика. У меня были связи с русскими и литовскими диссидентами. Пока отец был жив, мы с ним сохраняли тёплые отношения, любили друг друга. Люблю его и сейчас, но все знали, что взгляды у нас разные. Отец тоже уважал Пастернака, Ахматову, но все-таки он был социалистическим реалистом, каковым я никогда не мог быть. Это было для меня невыносимо. Писал стихи совершенно другого рода, чуть-чуть печатал, но в основном занимался переводами. Перевел на литовский язык русских, английских, американских поэтов – Томаса, Элиота, немного Джойса. Книга избранного составляет целый том. Этим худо-бедно жил. Четыре года прожил в Москве, четыре года в Петербурге, и там познакомился с Бродским. Мы сблизились.

После смерти отца жить в Союзе стало довольно трудно. В это время Бродский уехал. Когда он уехал, я почувствовал сильнейшую пустоту. Тем более, что после смерти отца перестали печатать стихи и даже переводы, и стало трудно жить. Я написал письмо Центральному Комитету литовской коммунистической партии, которое я назвал “Открытым письмом”, потому что сумел переслать его на Запад, где надо было его печатать на разных языках. В письме было написано: “Уважаемые”... , не было слова “товарищи”. Коммунистическая идеология мне чужда, и это ни для кого не было секретом. Изменить я ничего не мог, но я был обязан сказать свое мнение об этой идеологии: “Жить и заниматься культурной деятельностью в Советском Союзе мне представляется невозможным, и, в соответствии с Декларацией Прав человека прошу дать мне разрешение на выезд”. Написал письмо и думал что получится. Несколько человек написали такие-же письма и большинство из них оказались в сумасшедших домах. Я полагал, что может быть тоже окажусь там, но меня вызвали в центральный комитет литовской компартии и сказали, что письмо написано в минуту депрессии, в минуту отчаяния, “мы готовы это

забыть”. Я согласился перевести на литовский язык Шекспира, потому что мне надо было кормить семью. Жена моя тогда работала в театре.

Потом меня пригласили вступить в группу “Хельсинки”. В Грузии наверное все знают эту группу, потому что ею здесь руководил Звиад Гамсахурдиа. Когда я туда вступил, меня выкинули из Советского Союза, было это в 1977 году. Мой счастливый билет оказался на Западе. Там я был назначен официальным представителем этих групп. Мы вели там пропаганду – как обстоят дела с правами человека в Советском Союзе. Они обстояли плохо и мы открыто об этом говорили. Но после нескольких выступлений, в том числе в американском конгрессе, меня лишили политического убежища. Мне пришлось просить его вновь. Дали в 1977 г. Через некоторое время получил американское гражданство. У меня есть и литовское. В XIX веке Польша и Литва, как известно, были разделены между тремя государствами. Единственное государство, которое не признавало этого раздела, была Турецкая Оттоманская Империя. В XX веке это повторила Америка. Она не признала аннексию Литвы, Латвии, Эстонии. На приемах с советскими послами всегда присутствовали послы Латвии, Эстонии, у которых не было государства, но были посольства. Единственная территория Литвы была территория посольства. Литва все время имела территорию. Также территории имели Латвия и Эстония. Сейчас я часто езжу в Литву, издаю книги. В Литве я очень беспомощный человек и, слава богу, у меня есть хорошая жена. Мне удалось там сделать академическую карьеру, худо-бедно и литературную. Я очень мало издаю книг. Потому что я мало плодовитый поэт. Но все-таки издаю книги и переводы на английский, немецкий, шведский, русский и многие другие языки, недавно даже и на албанский.

А сейчас немного прочитаю стихи: у меня вышла на русском языке книжка, названная моей женою «Граненый воздух». На русском вышла пока только одна книжка, но я написал около двухсот стихотворений. В юности писал короткие. Сначала я прочитаю по литовски, потом это же по русски. Литовский очень трудный язык. Он принадлежит к индоевропейским языкам. На нем говорят 300000 человек, издаются книги. Я читаю “Гомера” в оригинале (я немного знаю древнегречески язык, но не очень хорошо. Мой дед был классический филолог и немного меня научил). Вижу, что гомеровская фонетика и морфология близка к литовскому языку. Чем только можно гордиться. Я сейчас расскажу анекдот – был у меня студент, нью-йоркский молодой еврейский юноша, который знал пятьдесят языков и не хватало только литовского языка. Стал ходить ко мне на лекции. Это гениальный человек, он за один семестр так выучил, что начал писать мне письма на литовском. Тогда я его спросил: “Ну вот вы выучили, а мы гордимся, что язык очень трудный, действительно это так или нет?!” Он сказал, что язык средне трудный, чуть легче санскрита.

Sustok, sustok. Suyra sakinys.

Stogu riba sutampa su ausra.

Byloja sniegas, pritaria ugnis.

Kaskart leciau svytuoja skidinys,

Ir asla braukia svino atsvara.
Sustok, sustok. Suyra sakinys.

Pasauliao vietoj zeri brezinys,
Kuri astpindi veidrodzio dykra.
Byloja sniegas, pritaria ugnia.

I kamera sugrizta kalinys,
I dangu brenda zonos aptvara.
Sustok, sustok. Suyra sakinys.

Erdves skeveldra, laiko trupinys
Apgaubia musu kunus nei sfera.
Byloja sniegas, pritaria ugnis.

Prie veido glaudzias visa, kas isnyks,
Ir angelo galvugaly nera.
Sustok, sustok. Suyra sakinys.
Byloja sniegas, pritaria ugnas.

Эти стихи написанны в 1976 году, перед отъездом, когда многие мои друзья сидели в тюрьмах. Сейчас прочитаю по русски. Перевод Гольцмана. К нему хорошо относился Бродский.

Постой, постой. Во фразе пульса нет.
Границей крыш отчеркнутый восход.
Чуть молвит что-то снег – огонь в ответ.

Противовес по грунту чертит след
И замедляет маятника ход.
Постой, постой. Во фразе пульса нет.

Зеркальной пустотой не мир воспет –
В ней, отразясь, чертеж его плывет.
Чуть молвит что-то снег – огонь в ответ.

Зек видит, возвратясь: небесный свет
Пересекает проволока вброд.
Постой, постой. Во фразе пульса нет.

Клочок пространства, время без примет
Берут, обволокнув нас, в оборот.

Чуть молвит что-то снег – огонь в ответ.

Все, что уйдет в песок с течением лет, -
К лицу прижалось. Ангел не поет.
Постой, постой. Во фразе пульса нет.
Чуть молвит что-то снег – огонь в ответ.

В 1951 году я очень многое узнал, с многими познакомился, много пережил в жизни, многое рухнуло в моей жизни, потом посетил опять Москву. Я Москву описываю, как лабиринт Ариадны. В том году написал:

Холод сумерек встретил меня.
Выйдя в город сквозь черные арки,
Я увидел вокзалы огня
И за ними ноябрьские парки.
Эта местность с кирпичной стеной,
Луч стоваттный, куда-то ведущий
И сбивающий с толку, в иной
Мир, в его лабиринтовы кущи.

Ариадны и Миноса дом,
Для жилья, пусть на время, пригодный,
Обеззвученный аэродром,
Погруженный в туман беспогодный.
Но, отбывший свой срок иногда
По конвою скучает в квартире.

Я увидел родные края –
Те, что мне задолжало пространство.
“остров, памятник, улица”, – я
повторял, узнавая убранство
этих мест. “Я уеду чуть свет”, –
говорил, и душа, на границе
пребывая с живыми, на нет
поспешала сойти и сродниться

с тьмой. Приблизились вновь адреса,
лабиринт, Ариадна и Минос,
исчезающие голоса
я ловил, но не в силах найти нас
был ни в запертом доме с ковром
и картинами, мне неродными,

ни в небесных хоромах, ни в дыме
дня, ни в Дантовом круге втором.

Так смиряют ход стрелок, точней –
С бытием расстаются не сразу,
Только, я бы сказал, все длинней
Растоянье, не видимое глазу,
До вчерашнего, – памяти круг,
Ширясь, вытянет тем, что умолкло.

Что увидишь сквозь темный покров,
В этой яви, с собой разлученной?
Не разрушил поток берегов, –
Окантовки Коцита мощеной.
Что ни смерть, то отдельная весть.
Ты умрешь, но не стихнет звучанье
Тех, кто жив. Все, что есть, все, что есть –
Девять муз. Девять муз и молчанье.

Там, где город кружится и снег
Все бредет в переулок фонарный,
Где укутан в туман человек, –
Есть запас, слава Богу, словарный.
Там, где друг не успеет помочь,
В этой самой печальной не встрече, –
Пустотой окрыляется ночь
И вседышащим ангелом речи.

Не прощенья, не смерти прощу,
Не забвенья, не правды предметной, –
Первозданный оставь только шум
Над замлей ледяной, беспросветной.

Это удалось напечатать в Советском Союзе.

Сейчас я еще прочитаю стихи напечатанные в Союзе. Там я встретил Константина Богатырёва. Он был переводчиком с немецкого, человек замечательный. В 1948 году его обвинили в покушении на Симоновича и приговорили к смертной казни. Он отсидел лет шесть и потом вышел. Он не был диссидентом, но он был тем каналом, который выходил на запад. Он был моим приятелем. Это стихотворение я посвятил памяти Богатырёва. Там описаны разные виды смертей, которые случались в тогдашнем Вильнюсе.

Настигнут срединной века, я

Небытию учился в этом мире,
Смерть-родственница или смерть-семья
Вселились, потеснив меня в квартире.
Я приручал ее до темноты
И умолял не прикасаться, чтобы
В рассветный час мне брезжили черты
Прекраснейшего города Ев

Эти стихи мрачные. Сейчас я прочитаю чуть более веселые стихи, американские, называются: “На рождение младенца”. Это написано на рождение сыновей моих двух аспирантов. Это о том как человек развивается и это развитие как сотворение мира. Там цитата из Библии, что “земля была пуста”...

Судьба напоминает лишь судьбу,
И смерть – лишь смерть. Пожалуй, детский опыт
Бесхитростнее. Повторяя Книгу,
Ребенок созревает в колыбели,
Как в яслях Вифлеемских. Он внимает
Сначала свету, позже тьме. Он видит
Различие между глубиной и высью
И между гранью берега и морем,
Безбрежным и подобным материнству.
Он познает траву и солнце, месяц
И радугу форели, а над полем –
Блуждающее воинство ворон.
Пять запинаящих чувств приручает
Колонну раскаленную каштанов.
Автомобиль, крушину, снег, ольху,
Домашнего в полдневной дреме волка
И волка дикого, который только образ
Неясных страхов. Так придет к ребенку
То, с чем сознание стрястется, - слово,
Твердящее “да будет”, и тогда
Сознание, себя осознавая.
Вдруг заподозрит, что мы сами – тьма,
Что свет – над нами.
С этого момента
Он с миром породнен уже сильней,
Чем с теми, кто его зачал. Он тайно
С мезонами, алмазом, Амазонской,
С мерцанием Меркурия, рудой,
С архангелом, Бирнамским лесом грозным

И с Керинейской ланью обручен.
Предметы дышат, то к нему склоняясь,
То поднимаясь до него. Уже
Не рай потерянный, еще не судный
Трубою оглашенный день. – пустырь,
Где он проснется, чувствуя себя
Вселенной, - он, песочные часы,
И он, песок, как говорил Джордж Херберт.
Ему мерещится, что вот порог,
Где линии скрестились, он у цели.
Но Книгу Бития прочтя чуть раньше.
Лишь смертью нам откликнуться дано.

Мы старше, потому и знаем: ноты
Стираются и линии отюдь
Не бесконечны, и когда-то гаснет
Звук, и страница букву не хранит.
Лишь изредка встречаемся друг с другом,
В сочувствии к вещам, в слепой надежде
И в памяти, пытающейся (тщетно,
Как правило) собою заменить
Бессмертие. Спасибо и на этом.
Что говорить, она дает нам силу,
Когда спускаемся в долину ночи,
Той, о которой лучше помолчать,
Еще не зная, носится ли Бог
Над водами безвидными, пустыми.

Потом прочитаю стихи под названием «Улица Пестеля». Эти стихи об улице, на которой жил Бродский в Ленинграде. Так сложилось, что в 1988 году, в самом начале перестройки я туда часто приходил. Это очень долгая история. Перестройка начиналась. Я был первым диссидентом, кто приехал в Союз. Там я встретился с многими друзьями, и с матерью.

Город затоплен июнем.
Стекло отражает лишь пыль.
В запотевший бокал
Теплое каплет вино.
Воздух с поблекшим на солнце
Золотом куполов.
Письменами водорослей
Исчиркан узкий канал.

Что ты здесь идешь? Стертый
Текст на трухе штукатурки,
Старый балкон, вчерашний
День, превратившийся в прах.
Развязанный Гордиев узел,
Известка, асфальт, черепица,
Сор подворотен и лестниц,
Незатворенная дверь.

Здесь, где совпала когда-то
Жизнь со звуком и жестом,
Улица на слегка измененном
Говорит языке.
Июнь белизной мерцает,
И каменеющий мозг,
Слепнувший, не вмещает уже
Устраченные времена.

Веком окрашены синтаксис,
Архитектура, солнце
В капителях колонн,
Бронзовая улыбка в нише.

Разве что, голод и бедность
Сопротивляются веку,
Разве что, остается
От юности только страх.

Чувствуй себя в нем так же,
Как рыба в воду.
Он здесь приписан надолго
И – сохраннее тел.
Тихо открытые площади
Дышат полуденным дымом,
Известка, асфальт, черепица,
Письмена на трухе.

Жизни всего-то осталось
Несколько медных монет –
Сдача, которую выдал
Местный абсурдный банк.

Жест и мелодия тают.
От переулков проспект
Отрекается. Странно,
Что мы повидались раньше,

Чем думали – не в долине
Иосафата, не в роще
Возле Леты, ни даже
В безвоздушной вселенной,
Там, где Как боги, Кельвин
Царствуют и Беккерель.
Каплет вино. Над июнем
Жарким плывут облака.

Звук уходит с толпою,
Но ремесло неизменно –
Время на строфы разменивать,
Страх сколачивать в смысл.

Трепещут лишь пыль да голос,
Которому знать не дано,
Сколько вбирает истины
Его одинокий блеск.

“Инструкция” – длинное стихотворение. Оно написано в 1987 году, еще до того как я приехал в Петербург. Потом я купил билет и полетел в Будапешт. Я вышел на улицу и встретил моего приятеля, переводчика, который был потрясен увидев меня. Дело в том, что венгерская революция началась с того, что возлагали розы генералу Бема. Он был поляк, но герой «польской и литовской революций». Умер в Турции. Ему поставили памятник. Все это в стихах:

Час полета – и пограничник,
Просмотрев неторопливо твой паспорт –
Эту единственную карту в бесконечной игре, –
Дает добро. Разумеется, все может
Измениться через год или через минуту.
Впрочем, вряд ли. Порыжевшие кирпичи трущоб
Времен Майерлинга. Праздник. В окнах портреты.
Ты не видел их доброе десятилетье. Лозунги, флаги.
Лучшее время в этих краях: власти за городом,
Архивы закрыты, дежурному лень прикоснуться
К диску, и, вероятно, в тюрьмах

Остаются два-три слишком уж преданных
Службе безнаказанно перелетает в страну, где урана
Больше, чем зерновых, и куда, конечно,
Ты уже не вернешься. Правда, он посмелее.
Темнота ноябрьских бульваров. За арками непременно
Кто-то прячется. Все, как во сне.

Мглистый холм, на который взбираться не надо.
Он здесь один. Равнины
Простираются до Днепра, Урала, пустыни Гоби.
За мостом – направо. Гордыня незрячих стекол,
Погасшие фонари, ограды в стиле модерн, мечети.
Ты невидим даже для редких прохожих.
День и ночь моросит. Долина как дно лагуны.
Над дверями каменные улитки; на карнизах
Осьминоги и морские лилии; даже река подобна
Выползшему из скорлупы моллюску.
День и ночь. День и ночь. Деревенская женщина
Торгует цветами. Одной гвоздники будет довольно.
У памятника дежурят обычно те,
Кто отбирает цветы. Но сегодня праздник.
У них есть тоже право на отдых. Ровно тридцать
Лет назад здесь собралась толпа (тысяча? Две?
Для пяти не хватило бы места), некоторые с гвоздиками.
Все остальное описано в книгах.
Чтобы читали их – ты оставил родину.
Местами пулями гранит, разбитый угол здания,
Но после стольких лет без гида не разобраться.

О человеке на площади ты знаешь немного:
“руки скрестив на латах”, “рухнут стены Иерихона”,
“дальше – дальше – ». Лучшие, возможно, стихи на свете.
Артиллерист, масон. Хромой, с опаленным лицом.
Лабиау, Остроленка, воля, Тимишоара.
Поражений больше, чем побед.
Умер от лихорадки в Алеппо, приняв ислам.

Ни души. Положи гвозднику к его ногам,
Чтобы мир пал, как звезда под собственной тяжестью.
Континент обрушивается в долину, долина во мглу
Города, город в площадь, площадь в памятник.
Центр всего – гвоздика. Тяжелая, сплошь из нейтронов.

Через два часа, когда ты пройдешь мимо,
Она еще будет лежать на камне. Так, по крайней мере, покажется.

Бессмысленный жест. Ты ждал его долго.
Ты сменил страну и друзей, но настоял на своем.
Люди, собравшиеся тогда на площади (не все вернулись
Домой) ждали больше столетья: сто восемь лет.
Что поделаешь – эти равнины учат терпению.

Бродскому эти стихи не нравились. Я находился в Голландии, на берегу Балтийского моря, а он находился в Лондоне. Он писал открытые письма. Тогда я написал стихи посвященные ему. Они были напечатаны, но без посвящения, называются “Щит Ахилеса”.

Затем и говорю, чтоб зренья луч,
Подобно твоему когда-то взгляду,
Высвечивал часовни, и ограду,
И в двух вершках от пепельницы ключ.
Что здесь, что там – без разницы. Ты прав.
Повсюду недостатка нет в просторе –
Воображенье это или море.
Во тьме, избрав

Двоих, он к нам привержен. Зелена
Равно листва по обе части света.
Есть разнбой во времени, и это
Опаснее, чем горькая волна
Для нас. Ты удаляешься. Простор.
Ты чужестранец в нем – мидиец? Грек ли?
Мы остаемся. Нет, мы не избегли –
На наш позор –

Крысиных трюмов. Кстати, и для крыс
Небезопасных. Не корабль. Куда там.
Вниманье к зачистившим в гости датам,
Под крышей, среди стен, где грязь и слизь,
Наш возраст выдаст. Время – по пятам,
И попирает нас своей пятою.
Простор. Он ослепил бы пустотою,
Когда бы там,

Где льет отвесный дождь, у рубежа,

Не высился торжественный свод звука,
Случайно устоявший днесь, – порука
В том, что оковы – благовесть. Душа
Согласна с ними. Пусть своим огнем
Формуют, обжигая. Тетраферма,
Иль наши небеса с тобой, – наверно,
Лишь голос. В нем

Покой и мир. Покой тебе и мне.
Да будет тьма. Секунды не считаю.
Твою любую букву прочитаю
В слоистом и густом пространстве – сне.
Противовесом смерти и судьбе
Послужит белый щит как символ веры.
В нем две несовпадающие эры, –
В его резьбе, –

Два времени, – хватило б только сил! –
Как на зеркальной глади, отразятся.
Подвижные рисунки растворятся
В морской волне. Забвенья пенный пыл.
Черны квадраты окон. Сквозь стекло
Сочится воздух сонный и нагретый.
Мотор автомобиля слышен где-то,
Чтобы текло

В меня пространство-время. Иногда
Тьму окликает колокол, и через
Едва не вечность, в оклике уверяюсь,
Фундамент отвечает глухо: да.
Гудят порталы. Арка оклик свой
Соседке адресует. Эта смычка,
Как душ и континентов перекличка
В ночи живой.

На снасти липнет утренняя мгла.
Прибрежный пар пристанью сырою.
Ты, фермопилы видевший и Трюю, –
Ты со щитом стоишь. Ты есть скала.
Ты есть скала. Ты со щитом в руке.
Металл и ветер. Грозное звучанье.
Хоть та скала от лжи и от молчанья

Невдалеке.

Доверив наши судьбы нам, сейчас
Ты жить в воспоминаньи начинаешь,
Но двойственно мгновение, ты знаешь,
И свет двойной утрачивает нас
В сужающемся что ни день кругу.
Светило зажигает в луже пламень.
Еще неотличим от лодки камень
На берегу.

Как видите, библейское перемешано с греческим. Скала, которая упоминается в стихах, это известная скала на которой строятся стихи.

Сейчас прочитаю стихи сначала на русском, а потом на литовском. Это называется "Заречье". "Заречье" такой район Вильнюса, где живут хиппи.

В сутолоке лип, у камней прибрежных,
Где течет поток торопливый, с Тибром
Схожий, с бородачами двумя "Gilbey's"
Пью, стаканы, сумерки с дымом.
Их не знаю. Знал родителей только.

Что ж, сменяются поколения. Шорох
Диктофона, шелканье. О, вопросы
Те же, что и я задавал когда-то:
Есть ли смысл в жалости или страданьи
И возможно ли искусство вне нормы.

Точно был таким же, куда сранной
Не был испытан судьбой, других, впрочем,
Судеб не лучше. Знаю: зло пребудет,
Слепоту можно отчасти развеять
И стихи значительней сновиденья.

Часто просыпаюсь перед рассветом
И без страха чувствую: близко время,
Когда новое поколение вкусит слово,
Соль и хлеб, увидит облако и руины,
И когда мне выпадает лишь свобода.

сейчас по литовски:

uzupis

Lipu surmuly, pries akmens krantine,
Ties skubria srove, panasia I Tibra,
Su jaunais barzdociais gurksnoju "Gilbey's".
Sutema, stiklu skambesys ir dumai.
Nepazistu ju. Pazinau ju tevus.

Ka gi, kartos keiciasi. Diktofonas
Slama ir uzsikerta. Pasnekovams
Rupi lygiai tas, kas ir man kadaise:
Ar kancia ir gailestis turi prasme
Ir ar menas tvers, jei nebus taisykliu.

As buvai kaip jie, kol patyriau keista,
Uz kitas tikrai ne geresne lemti,
Ir zinau, jog blogis nezuva niekad,
Bet aklybe galima prasklaidyti,
Ir eiles vertos daugiau uz sapna.

Vasara daznai nubundu pries ausra
Ir be baimes junttu, kad arteja laikas,
Kai naujoms gentims pasiliks zodynas,
Debesis, griuvesiai, druska ir duona,
O man jau neiko, isskyrus laisve ропы.
Там истлевал, шурша во мгле, тростник,
И сталь мерцала, закнута за пояс,
И камень к человеку жил впритык,
И вспыхивал бензин, и мчался поезд.
Я в окруженьи смерти ел и пил,
Пытаясь в ее замысел проникнуть,
Я даже забывал о ней, но сил
У человека нет, чтоб к ней привыкнуть.

И сердце начинало вдруг неметь,
Пока с ключом я шел по коридору,
В отечестве, где, между прочим, смерть
Бывала и случайной в эту пору.

июль, 2007 год.

ავტორები

აბაშიძე ლევან

დაიბადა 1959 წელს;

ფიზიკოსი, თეოლოგი;

სამეცნიერო მუშაობას ეწეოდა თეოლოგიისა და თანამედროვე ისტორიის საკითხებზე ჰალესა და გოეტინგენის უნივერსიტეტებში (გერმანია);

მუშაობს თეოლოგიის, ფილოსოფიის, ისტორიისა და კულტურის ინსტიტუტ – „საბაში“, არის საქართველოს პარლამენტის კვლევითი დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი (ადამიანის უფლებების დაცვის, ეროვნულ უმცირესობათა და რელიგიის საკითხები).

ალერტი ტილმან

დაიბადა 1947 წელს გერმანიაში;

სოციოლოგი;

მაინის ფრანკფურტის უნივერსიტეტის სოციოლოგიის პროფესორი.

მუშაობს მიკროსოციოლოგიასა და ოჯახის სოციოლოგიაში;

1999 წელს სადოქტორო დისერტაციისთვის მიიღო “Christa-Hoffmann-Riem”-ის ჯილდო;

7 წიგნისა და მრავალი პუბლიკაციის ავტორი;

დიდი გამოხმაურება მოჰყვა მის ბოლო წიგნს – „გერმანული მისაღმება“.

ამაღლობელი ნათია

დაიბადა 1980 წელს;

ფილოლოგი;

თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტის ფრანგული ენის კათედრის მასწავლებელი;

სამი სამეცნიერო სტატიის, თარგმანებისა და ნაწარმოებების ავტორი.

ანდლულაძე ნოდარ

დაიბადა 1927 წელს;

ენათმეცნიერი, მომღერალი;

საქართველოს სახალხო არტისტი;

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი, სოლო სიმღერის კათედრის გამგე;

არის ერთი წიგნისა და სამეცნიერო ნაშრომებს ავტორი.

ბაქრაძე ლაშა

დაიბადა 1965 წელს;
ფილოლოგი-გერმანისტი, ისტორიკოსი;
ისტორიის დოქტორი;
სწავლობდა თბილისის, იენის, ბერნის, პოტსდამისა და ბერლინის
უნივერსიტეტებში;
მუშაობს რადიოსა და ტელევიზიისთვის, ჟურნალ-გაზეთებში, როგორც
საქართველოში, ასევე უცხოეთში;
არის „ქართულ-გერმანული სასაუბროს» ავტორი, რომელიც მესამედ გამოიცა
გერმანიაში; წერს კინოსცენარებს.

ბენდიანიშვილი ალექსანდრე

დაიბადა 1926 წელს;
ისტორიკოსი;
ისტორიის დოქტორი, პროფესორი;
ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ახალი ისტორიის განყოფილების გამგე.
14 წიგნისა და 30 სამეცნიერო ნარკვევის ავტორი.

გვახარია გიორგი (გოგი)

დაიბადა 1957 წელს;
ხელოვნებათმცოდნე;
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი.

ელიზბარაშვილი ელიზბარ

დაიბადა 1970 წელს;
ფილოსოფიის დოქტორი;
მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის
უფროს მეცნიერ-თანამშრომლად;
გამოქვეყნებული აქვს 14 სამეცნიერო ნაშრომი და მონოგრაფია: „ნიცშე:
„ფილოსოფიის კულისები და სიმულაციები».

ვენცლოვა თომას

დაიბადა 1937 წელს ლიტვაში;
ფილოლოგი, პოეტი, მთარგმნელი;
70-იანი წლების ცნობილი დისიდენტი, საბჭოთა კავშირში ჰელსინკის ჯგუფის ერთ-
ერთი დამფუძნებელი;
იელის უნივერსიტეტის პროფესორი, სლავისტი;

არის ლიტვურ ენაზე რუსი და ამერიკელი პოეტების ლექსების მთარგმნელი, პუბლიცისტური წერილების კრებულისა და ისტორიულ-ლიტერატურული ნაშრომების ავტორი.

იაკობაშვილი ლელა

დაიბადა 1958 წელს;

ფიზიკოსი;

ფილოსოფიის დოქტორი;

თბილისის ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი; მედიატექნოლოგიების კათედრის გამგე; სახელმწიფო უნივერსიტეტის ესთეტიკის კათედრის დოცენტი;

გოეთეს საერთაშორისო საზოგადოების წევრი;

სხვადასხვა დროს სახელმწიფო ანალიტიკური ცენტრის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი;

გამოქვეყნებული აქვს 14 სამეცნიერო ნაშრომი და ერთი მონოგრაფია: „ფერი, სინათლე, სიმბოლო»;

არის ასამდე წერილისა და ინტერვიუს ავტორი პრესაში, რადიოსა და ტელევიზიაში.

კაციტაძე კახა

დაიბადა 1959 წელს;

ფილოსოფოსი, პედაგოგი;

ფილოსოფიის დოქტორი;

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

არის 5 მონოგრაფიისა და მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

კვაშილავა გიორგი

დაიბადა 1972 წელს;

მათემატიკოსი;

1990 წლიდან მუშაობს კუნძულ კრეტაზე აღმოჩენილ, მსოფლიოში პირველი ბექდვითი დოკუმენტის „ფესტოსის დისკოს» დეშიფრირებაზე;

არჩეულია აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიისა და „ფაზისის» მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად;

არის 20 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

კიკნაძე ზურაბ

დაიბადა 1933 წელს;

ორიენტალისტი-ასირიოლოგი, ბიბლესტი, ფოლკლორისტი, ლიტერატორი;

ფილოლოგიის დოქტორი;

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
არის რამდენიმე წიგნისა და არაერთი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი;
პეტერბურგის, მოსკოვის, იერუსალიმის, ხოლონის, პარიზის, რომის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების, ბიბლიური საზოგადოების ფორუმების (ბუქარესტი, კვიპროსი, მოსკოვი, ბრიუსელი) მონაწილე.
სხვადასხვა დროს ლექციებს კითხულობდა პეკინში, როდოსში, მალაგასა და გრანადაში;
არის ივანე მაჩაბლისა და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი.

ლადარია ნოდარ

დაიბადა 1960 წელს;
ფილოლოგი, ფიზიკოსი, თეოლოგი, მთარგმნელი;
აღმოსავლურ საეკლესიო მეცნიერებათა დოქტორი;
ილია ჭავჭავაძის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი კულტურული კვლევების დარგში;
გაზეთ „24 საათის“ პრესომბუდსმენი;
საერთაშორისო ქრისტიანული კულტურის ასოციაციის “Granum Sinapis” (რომი) ვიცე-პრეზიდენტი;
შესრულებული აქვს თარგმანები: „კათოლიკური ეკლესიის კატეხიზმო« (ქართულად), ეგნ. ლოიოლა „ავტობიოგრაფია« (რუსულად), დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი« (იტალიურად), გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება« (იტალიურად);
ამჟამად მისი სამეცნიერო ინტერესის მთავარ სფეროს წარმოადგენს XIII-XIV საუკუნეების იტალიური პოეზია, უპირატესად, დანტე ალიგიერი. გამოქვეყნებული აქვს მარკო პოლოს, ფრანჩესკო პეტარკას, ჯოვანი ვერგას, გაბრიელე დ'ანუნციოს, ლუიჯი პირანდელოს, ჯუზეპე ტომაზი დი ლამპედუზას, ტომაზო ლანდოლფისა და უმბერტო ეკოს თხზულებათა ქართული თარგმანები.

ლომია მერაბ

დაიბადა 1961 წელს;
ექიმი;
მედიცინის დოქტორი;
რეაბილიტაციის ცენტრი „რეა«, ფსიქონევროლოგიური განყოფილების გამგე;
არის 40 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი და წიგნის – „უნარშეზღუდული ბავშვების სოციალური ინტეგრაციის პედაგოგიური, ფსიქოლოგიური და სამედიცინო ასპექტები« – თანაავტორი.

მანინგი პოლ

დაიბადა 1964 წელს აშშ-ში;

კლასიკური ფილოლოგი, ლინგვისტი, თეოლოგი, ანთროპოლოგი;
რელიგიისა და კლასიკური ფილოლოგიის ბაკალავრი, ლინგვისტიკის მაგისტრი,
ასოცირებული პროფესორი ანთროპოლოგიის დარგში;
მუშაობდა ჩრდილოეთ ილინოისის უნივერსიტეტის ანთროპოლოგიის
ფაკულტეტზე, რიდისა და ბარდის კოლეჯში. ამჟამად არის ტრენტის(პეტერბურგი,
ონტარიო, აშშ) უნივერსიტეტის ანთროპოლოგიის ფაკულტეტის ასოცირებული
პროფესორი, ჟურნალის „Linguistic Anthropology“ რედაქტორ-გამომცემელი;
გამოქვეყნებული აქვს ნაშრომები: “The Russian Review”, “Comparative Studies in
Society and History”, “Cultural Anthropology”, “American Antropologist”, “Language &
Communication”.

მორბინი დენის

დაიბადა 1948 წელს კანადაში;
განათლების მაგისტრი.

ნიჟარაძე გიორგი (გაგა)

დაიბადა 1957 წელს;
ფსიქოლოგი;
ფსიქოლოგიის დოქტორი;
მუშაობს დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის სოციალური
ფსიქოლოგიის განყოფილების უფროს მეცნიერ-თანამშრომლად; კონფლიქტებისა და
მოლაპარაკებების საერთაშორისო-კვლევითი ცენტრის კვლევითი განყოფილების
ხელმძღვანელი; ლექტორი სოციალურ და კულტურის ფსიქოლოგიაში;
40-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

როზენბლატი ალექსანდრ ავიმელეხ

დაიბადა 1968 წელს;
დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. პარალელურად სწავლობდა
ისრაელში, „იეშივაში« (რელიგიური სასწავლებელი);
2001 წლიდან ასრულებს საქართველოს მთავარი რაზინის მოვალეობას.

სარჯველაძე ნოდარ

დაიბადა 1945 წელს;
ფილოსოფიის დოქტორი;
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე 11 წიგნისა და სამეცნიერო სტატიების
ავტორი.

ფირალიშვილი ზაზა

დაიბადა 1957 წელს;

ფილოსოფოსი;

ფილოსოფიის დოქტორი;

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი. მუშაობს რელიგიისა და ხელოვნების, ფილოსოფიისა და რელიგიათმცოდნეობის საკითხებზე;

არის რამდენიმე ათეული სამეცნიერო ნაშრომისა და ფილოსოფიური ესეს ავტორი; სხვადასხვა დროს მიწვეული მეცნიერის რანგში უმუშავია აშშ-სა და იაპონიის უნივერსიტეტებში.

ფოფხაძე ნათელა

დაიბადა 1945 წელს;

ფილოლოგი;

დემოგრაფიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი;

რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

ლალანიძე მერაბ

დაიბადა 1961 წელს;

ფილოლოგი, რელიგიის ისტორიკოსი, თეოლოგი;

ფილოლოგიისა და ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი;

მუშაობს ილია ჭავჭავაძის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტში (თბილისი) და თომა აკვინელის პაპის უნივერსიტეტში (რომი);

გამოქვეყნებული აქვს ნაშრომები და ესეები ლიტერატურის, კულტურის, რელიგიის შესახებ, არის ასზე მეტი პუბლიკაციის, მათ შორის სამი წიგნის ავტორი.

შათირიშვილი ზაზა

დაიბადა 1966 წელს;

ფილოსოფოსი, ფილოლოგი;

ფილოსოფიის დოქტორი;

ილია ჭავჭავაძის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი.

არის შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკი; განვითარების სახლის (კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი CTC) კვლევისა და ინფორმაციის დეპარტამენტის უფროსი მკვლევარი; იყო კალიფორნიის უნივერსიტეტის (ბერკლი) მიწვეული მეცნიერი;

სამი წიგნისა და სამეცნიერო სტატიების ავტორი.

ცაგარელი მერაბ

დაიბადა 1954 წელს;
ბიოლოგი;
ბიოლოგიის დოქტორი;
ივანე ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი;
საქართველოს ეკოლოგიური აკადემიის და ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის წევრი;
85 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი;

წიბახაშვილი გურამ

დაიბადა 1960 წელს;
ფოტოხელოვანი;
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ასწავლიდა ფოტოგრაფიის თეორიას;
მუშაობდა სხვადასხვა გაზეთებისა და ჟურნალების ფოტოკორესპონდენტად;
არის 16 პერსონალური გამოფენის ავტორი;
მიღებული აქვს მონაწილეობა 35 ჯგუფურ გამოფენაში, მათ შორის იყო გამოფენები: ბერლინში (გერმანია), ბრატისლავაში (სლოვაკეთი), ნიუ-იორკში (აშშ), ლონდონში (დიდი ბრიტანეთი), ვენაში (ავსტრია), პარიზში (საფრანგეთი), კიევში (უკრაინა), ბაზელში (შვეიცარია), ამსტერდამში (ჰოლანდია);

ხვიჩია ეშვარ

დაიბადა 1964 წელს;
ფიზიკოსი;
სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი;
არის 2 წიგნისა და 10 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

თომას ჰოიზერმანი

დაიბადა 1947 წელს შვეიცარიაში;
ქართველოლოგი, პიანისტი;
კითხულობს ლექციების კურსს ფოლკლორის საკითხებზე შვეიცარიასა და გერმანიაში;
გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომი ქართული ხალხური მუსიკის შესახებ; გამოსცა ქართული ხალხური სიმღერების 7 კომპაქტ-დისკი (CD); ასევე, გამოაქვეყნა მონოგრაფია “Amor Feti” („ბედისწერის სიყვარული») – გრ. რობაქიძის დრამები.